მარიამ ცაცანაშვილი

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია

დასაბეჭდად რეკომენდებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ

(მეორე გამოცემა)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2013

უაკ. (UDC) 321+34[(09)
ც-26

საავტორო სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა მომზადებულია „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის" სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელსაც საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები.

გათვალისწინებულია ზოგიერთ ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი სასწავლო კურსის სპეციფიკა. ამასთან, შენარჩუნებულია სამართალმცოდნეობის ტრადიციული და ფუნდამენტური სქემები კომპლექსური თემების სახით, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიაში და წარმოაჩენენ სამართლებრივი სისტემების გარკვეულ თავისებურებებს.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესი განხილულია კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის დოქტრინალური მიდგომის გარეშე ზოგადფილოსოფიური და სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

გათვალისწინებულია სტუდენტების, იურიდიული ფაკულტეტების მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ბ.ზოიძე**

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი – **ნ. სურგულაძე**
სამართლის დოქტორი –
ნ. კორძაია-სამადაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2013

© მ. გ. ცაცანაშვილი

ISBN 978-9941-10-767-2

სარჩევი

შესავალი 9

კარი I. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის შესავალი

§ 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის საგანი..... 13
§ 2. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის მეთოდი და სისტემა 17
§ 3. ისტორიოგრაფია..... 21

კარი II. ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი (ძვ. წ. XXX-I სს.)..... 24
§ 4. ეგვიპტის სახელმწიფოს წარმოშობა და პერიოდიზაცია 24
§ 5. ეგვიპტის სახელმწიფო წყობილება 26
§ 6. ეგვიპტის საზოგადოებრივი წყობილება..... 29
§ 7. ეგვიპტის სამართლის ძირითადი ნიშნები 30

თავი II. ბაბილონის სახელმწიფო და სამართალი (ძვ. წ. XX-I სს.) 34
§ 8. სახელმწიფოს წარმოშობა ბაბილონში 34
§ 9. ბაბილონის სახელმწიფო წყობილება 35
§ 10. ბაბილონის საზოგადოებრივი წყობილება..... 37
§ 11. ბაბილონური სამართლის წყაროები..... 39
§ 12. სამართალგანვითარება ბაბილონში..... 46

თავი III. ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი (ძვ. წ. IX-I სს.)..... 57
§ 13. ძველი საბერძნეთის ისტორიული და ნარატიული წყაროები 57
§ 14. სპარტის სახელმწიფო და სამართალი 60
§ 15. ათენის სახელმწიფო და სამართალი..... 68

თავი IV. ძველი რომის სახელმწიფო და სამართალი (ძვ.წ.VII-ახ.წ.V სს.) 80
§ 16. რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია..... 80
§ 17. რომის სახელმწიფო წყობილება რექსების ხანაში 83

§ 18. რომის სახელმწიფო წყობილება რესპუბლიკის პერიოდში (ძვ.წ.V-I სს.) 86
§ 19. პრინციპატის პერიოდის სახელმწიფო წყობილება რომში (ახ.წ.I-III სს.) 91
§ 20. რომის სახელმწიფო წყობილება დომინატის პერიოდში (ახ.წ.IV-V სს.) 94
§ 21. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობა რომში 95
§ 22. რომის სამართლის წყაროები 98
§ 23. რომის სამართლის ზოგადი დახასიათება 103

კარი III. ევროპული სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ფრანკთა სახელმწიფო და სამართალი (ახ.წ. VI-IX სს.) 108
§ 24. მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო წყობილება 108
§ 25. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობა მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოში 112
§ 26. კაროლინგების ფრანკთა სახელმწიფო წყობილება 113
§ 27. სამართლის ძირითადი ნიშნები ფრანკის სახელმწიფოში 116
თავი II. გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (ახ.წ. IX-XX სს.) 122
§ 28. სახელმწიფო წყობილების ევოლუცია გერმანიაში 122
§ 29. საზოგადოების ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობის ევოლუცია გერმანიაში 148
§ 30. გერმანიის კავშირები 152
§ 31. საგანგებო რეჟიმი გერმანიაში (1933-1945 წწ.) 155
§ 32. განსხვავებული სისტემის ორი გერმანული სახელმწიფო 159
§ 33. სამართლის წყაროები და სამართალგანვითარება გერმანიაში 164
თავი III. საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (ახ.წ. IX- XX სს.) 174
§ 34. საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება ბურჟუაზიულ რევოლუციამდე 174

§ 35. ბურჟუაზიული რევოლუციის ეტაპები საფრანგეთში (1789-1794 წწ.) 185
§ 36. საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება დირექტორიის პერიოდში (1795-1799 წწ.) 190
§ 37. იმპერიის პერიოდის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1799-1812 წწ.) 191
§ 38. მეორე რესპუბლიკა საფრანგეთში (1848-1852 წწ.) 194
§ 39. პარიზის კომუნა 195
§ 40. მესამე რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1875-1940 წწ.) 196
§ 41. მეორე მსოფლიო ომი და ახალი პოლიტიკური რეჟიმი საფრანგეთში 199
§ 42. მეოთხე რესპუბლიკა საფრანგეთში (1946-1958 წწ.) 201
§ 43. მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1958 წ.-ის კონსტიტუცია) 203
§ 44. ადგილობრივი მმართველობის თავდაპირველი ფორმები საფრანგეთში 206
§ 45. საზოგადოებრივი წყობილების ევოლუცია საფრანგეთში (ახ.წ. IX-XX სს.) 208
§ 46. საფრანგეთის სამართლის წყაროები 212
§ 47. სამართლის ცალკეული დარგების ევოლუცია საფრანგეთში 215
§ 48. საპოლიციო სამსახური საფრანგეთში 226

თავი IV. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (ახ.წ. V-XX სს.) 229

§ 49. ინგლისის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა 229
§ 50. სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა და განვითარება ინგლისში 250
§ 51. ბრიტანული კოლონიალიზმი 273
§ 52. ინგლისის საზოგადოებრივი წყობილება და მისი ევოლუცია 278
§ 53. ეკლესია და სახელმწიფო 287
§ 54. სამართლის წყაროები ინგლისში 291
§ 55. საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი 296

§ 56. სამართლის ცალკეული დარგები ანგლოსაქსურ სამართალში 302
§ 57. სამართლის დარგების ევოლუცია საერთო სამართლის და სამართლიანობის სამართლის მიხედვით.....306
§ 58. სასამართლო სისტემა დიდ ბრიტანეთში 312

კარი IV. აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები და სამართალი.

თავი 1. ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია 319
§ 59. ინდოეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა.....319
§ 60. სახელმწიფოს მმართველობის ფორმები ძველ ინდოეთში.. 325
§ 61. ძველი ინდოეთის საზოგადოებრივი წყობილება.....329
§ 62. შუა საუკუნეების ინდოეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი 331
§ 63. ძველინდური სამართლის ზოგადი დახასიათება.....335
§ 64. ინდოეთის სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები 346
თავი II. ჩინეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია..... 356
§ 65. ჩინეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა 356
§ 66. ძველი ჩინეთის სახელმწიფო წყობილება.....358
§ 67. ძველი ჩინეთის საზოგადოებრივი წყობილება 362
§ 68. შუა საუკუნეების ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი.....363
§ 69. ძველი ჩინეთის სამართლის ზოგადი დახასიათება 370
§ 70. ჩინეთის სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები..378
თავი III. იაპონიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია 387
§ 71. იაპონიის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა 387
§ 72. სახელმწიფო წყობილება ფეოდალური ხანის იაპონიაში.....389
§ 73. იაპონიის საზოგადოების წოდებრივი დაყოფა და მათი უფლებები 395
§ 74. იაპონიის სამართლის ძირითადი ნიშნები.....398

§ 75. იაპონიის სახელმწიფოსა და სამართლის თავისებურებანი რევოლუციის შემდეგ (XIX-XX სს) 406
თავი IV. არაბთა სახალიფო 410
თავი V. შუა აზიის სახელმწიფოები 141
§ 76. პირველი სახელმწიფოები შუა აზიის ტერიტორიაზე 414
§ 77. ფეოდალიზმის ხანის სახელომწიფოები და სამართალი შუა აზიის ტერიტორიაზე (ახ.წ. V-XIX სს) 415

კარი VI. საქართველოს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ურარტუს სახელმწიფო და სამართალი 418
თავი II. სომხეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია 422
§ 78. სომხეთის სახელმწფოს წარმოშობა და განვითარება 422
§ 79. სახელმწიფოს ფორმები და მათი ევოლუცია 424
§ 80. საზოგადოების ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობის ევოლუცია 426
§ 81. სამართალგანვითარების ძირითადი ტენდენციები 427
თავი III. აზერბაიჯანის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია 430
§ 82. სახელმწფოს წარმოშობა და განვითარება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 430
§ 83. სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ევოლუცია 433
§ 84. სამართლის ძირითადი ნიშნები 438
თავი IV. თურქეთისა და ირანის სახელმწიფოები 441
§ 85. თურქეთის სახელმწფოს განვითარების ძირითადი ტენდენციები 441
§ 86. ირანის სახელმწფოს წარმოშობა და განვითარების ეტაპები ... 445
თავი V. მუსლიმური სამართალი 458
§ 87. მუსლიმური სამართალის წყაროები 458
§ 88. სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობები 464
§ 89. დანაშაული და სასჯელი მუსლიმურ სამართალში 475
§ 90. მუსლიმური სამართალის თანამედროვე პრობლემები 471

თავი VI. რუსეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია..... 482
§ 91. კიევის რუსეთის ადრეფეოდალური მონარქია.....482
§ 92. ძველრუსული სამართლის ძირითადი ნიშნები.....487
§ 93. ფეოდალური სახელმწიფოები რუსეთის ტერიტორიაზე (XII-XV ს.ს).....493
§ 94. რუსეთის (მოსკოვის) სახელმწიფო და სამართალი (XV-XVII ს.ს).....503
§ 95. რუსეთის სახელმწიფო და სამართალი აბსოლუტიზმის ხანაში (XVII ს. II ნახ. — XVIII ს. II ნახ.).....516
§ 96. რუსეთის სახელმწიფო და სამართალი (XIX ს.).....526
§ 97. ცვლილებები რუსეთის პოლიტიკურ სისტემასა და სამართალში 1905 წ. რევოლუციის შემდეგ.....532
§ 98. საბჭოთა სამართლებრივი სისტემა.....534

კარი VII. ამერიკის სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ამერიკის შეერთებული შტატები..... 539
§ 99. აშშ-ის სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ეტაპები.....539
§ 100. აშშ-ის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები.....549
§ 101. აშშ-ის სამართლის თავისებურებანი.....566
თავი II. ლათინური ამერიკა..... 572
§ 102. ლათინური ამერიკის სახელმწიფოები და სამართლის თავისებურებანი.....572

კარი VIII. თანამედროვე სამართლის განვითარების ტენდენციები..583

Summery.....592

რეკომენდირებული ლიტერატურა.....593

შესავალი

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იურიდიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი სისტემების განვითარების პროცესი. ამ საგნის ცოდნა თანამედროვე სახელმწიფოებრიობის სიღრმისეული გაგებისა და სამართლის ძირითადი ტენდენციების განვითარების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რადგან თანამედროვე რეალობას საფუძველი სწორედ წარსულში აქვს და გარკვეულწილად მომავალსაც განსაზღვრავს. ამიტომ, კარგად რომ გვესმოდეს თანამედროვე სახელმწიფო და სამართალი, უნდა ვიცოდეთ როგორ წარმოიშვა თითოეული, რა ძირითადი ეტაპები გაიარა და რა პირობები განსაზღვრავდა მათ ფორმასა თუ შინაარსს.

ისტორიული მეცნიერება კაცობრიობის უცვლელი თანამგზავრი და მისი ერთგული მასწავლებელია. ძნელად თუ მოიძებნება საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელიმე სფერო (პოლიტიკა, ეკონომიკა, მორალი, რელიგია, ხელოვნება, სამართალი), რომელიც ისტორიის გაკვეთილებით არ იყოს გაჯერებული და ფაქტების თუ მოვლენების ანალიტიკურ აღწერას არ ეფუძნებოდეს. მსოფლიო ცივილიზაცია ცალკეული ქვეყნების მიერ შექმნილ ინდივიდუალურ მოდელებზე დაყრდნობით განვითარდა. მათ პარალელურად ისტორიული პროცესების საერთო ნიშნების დასადგენად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეალისტურმა კონცეფციამ, რომლის საფუძველზეც განსხვავებული ხედვის სხვადასხვა სკოლა ჩამოყალიბდა, კერძდ კი, „ბიოგრაფიული“, „ისტორიულ პიროვნებათა“ (Great man), „გეოგრაფიული“, „ფსიქოლოგიური“, „ეკონომიკური“ და სხვა. ამ კონცეფციათა მრავალფეროვნება არ გამორიცხავს ისტორიული პროცესების სისტემურ, კომპლექსურ და ობიექტურ შესწავლას. სწორედ ამ პრონციპებზეა აგებული სახელმძღვანელო, რომლის მეცნიერულობა და პლურალიზმი იმას

გულისხმობს, რომ სხვა ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურების ან სამართლებრივი სისტემების ბრმად გადმოტანა არა მარტო საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის იგნორირებაა, არამედ შესაძლოა იურიდიული კონფლიქტის საფუძველიც კი გახდეს. თუ ერთ სახელმწიფოში სამართლის ესა თუ ის ინსტიტუტი მაქსიმალურად არეგულირებს ერთი ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელიმე მხარეს, სხვა სახელმწიფოში მის პირდაპირ რეცეფციას შეიძლება სრულიად სავალალო შედეგები მოჰყვეს.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის ჩვენ მიერ არჩეული მოდელი სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესის კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის (მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი) დოქტრინალური მიდგომის გარეშე განხილვას გულისხმობს., ანუ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კლასიკურ სახელმწიფოთა ევოლუცია გადმოცემულია მთლიანი პანორამის სახით სინთეზის, ანალიზის, დედუქციის, ინდუქციის ზოგადი მეთოდებისა და შედარებითი, ისტორიული, ლოგიკური და პროგნოზირების კონკრეტული მეთოდების გამოყენებით.

ამ მეთოდების გამოყენების ძირითადი აზრი კაცობრიობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაზების ურთიერთშერწყმა და საზოგადოების საქმიანობის ცალკეული ასპექტების (პოლიტიკა, ეკონომიკა, რელიგია, სახელმწიფო, სამართალი) ერთობლივი ანალიზია. სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ სხვა მეთოდებთან შედარებით ეს მეთოდები უფრო სრულყოფილად გადაჭრის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის პრობლემებს. მაგრამ ერთი კი ცხადია, ისინი ერთმანეთს ავსებენ და სახელმწიფოსა და სამართალს იდეოლოგიური წინაპირობების გარეშე წარმოადგენენ. როგორც იტყოდა თანამედროვეობის უდიდესი ისტორიოგრაფი ვილ დიურანტი: „საუკუნებიის განმავლობაში ადამიანთა ყოფიერებასა და მის განვითარებაზე დაკვირვება უფრო მეტ ცოდნას გვაძლევს, ვიდრე ეს პლატონის, არისტოტელეს, სპინოზას თუ კანტის შრომებიდან შეიძლება გავიგოთ“.

სახელმძღვანელო შეიცავს უამრავ ფაქტს, მონაცემებსა და ცნობებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ იურიდიული განათლებისა და პროფესიონალური იურიდიული კულტურის შესაძენად. ამ შემთხვევაში მიზანი სამართლის ისტორიული აზრის სიღრმეებში ჩასვლა და ისტორიული ცნებების შესწავლა არაა. ეს მიზანი, როგორც სპეციალური ისტორიულ-სამართლებრივი ცოდნა, მონოგრაფიული კვლევების ამოცანაა. სახელმძღვანელო კი თანამედროვე სამართლებრივი ტრადიციებისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის ათვისების დამხმარე საშუალებაა. ყურადღება უპირატესად ევროპულ პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურაზეა გამახვილებული, რადგან, სწორედ აქ გადის პროფესიული იურიდიული საქმიანობის მთავარი ღერძი. ამასთან, რადგან სახელმძღვანელო საქართველოშია შექმნილი, ყურადღება ეთმობა მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოებსა და სამართალს (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი).

სასწავლო კურსის სრულად ათვისების პროცესში აუცილებელია წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობა და საგნის ხელმძღვანელთან კონსულტაციებით პრაქტიკული – იმიტირებული პროცესების მომზადება. ეს სახელმძღვანელო გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესახებ ცოდნის თეზაურუსს, „ცოდნის კოდიფიკაციას“ მოცემული მომენტისა და გარემოებების გათვალისწინებით. ბუნებრივია, ის პირდაპირაა დამოკიდებული სამართლის ისტორიის სამეცნიერო კვლევებზე, რომელიც რეფერატებსა და სადიპლომო შრომებში უნდა განვითარდეს.

ასე რომ, ამ სახელმძღვანელოსთან გულდასმით მუშაობა არის გარანტია, რომ სტუდენტს ჩამოუყალიბდეს შეხედულებათა ერთიანი სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაზე, რომლის შედეგი იქნება:

- ცოდნა – სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების თავისებურებებსა და კანონზომიერებებზე;

- წარმოდგენა – სახელმწიფოსა და სამართალის კავშირებზე ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, რელიგიასა და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან;
- სამართლის ისტორიული ფორმებისა და ინსტიტუტების თანამედროვე სახელმწიფოსა და სამართალის პრაქტიკაზე გავლენის ხედვა;
- სამართლის წყაროების დამოუკიდებელი ანალიზის უნარი;
- ისტორიული მეთოდის პროფესიულ იურიდიულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

კარი I. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის შესავალი

1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის საგანი

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია ისტორიულ-იურიდიული მეცნიერებაა და ამავე დროს, სასწავლო დისციპლინასაც წარმოადგენს.

მთავარ ამოცანას, რაც ამ საგნის წინაშე დგას, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგადი კანონზომიერების გახსნა და კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის კი შეიძლება რამდენიმე მიმართულება გამოვყოთ. თითოეულისათვის ისტორიის დანიშნულება და ამოცანა სხვადასხვაგვარად არის გაგებული და სწორედ ეს წარმოშობს სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა ხერხსაც. მაგალითად: ნეოკანტიანელებს – ვ. ვინდელბანდს, ჰ. რიკერტს, ო. შპენგლერს, ოტტო შპანოს, ა.რაიმონს, კ.თ. იასპერსს ისტორიის დანიშნულებად მხოლოდ კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების აღწერა მიაჩნიათ[1]. სოციალური დარვინიზმის წარმომადგენლები – თ. მომზენი, უ.სამნერი, ჰ. სპენსერი, ა. შეფლე, ა. სმოლლა და სხვები ფიქრობენ, რომ სამყაროში ბევრი რამ მეორდება და ამიტომ ისტორიული და სამართლებრივი მოვლენებიც განმეორებადია გარკვეული თავისებურებების დამატებით[2]. ზოგჯერ იქამდეც მიდიან, რომ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს განვითარების კანონზომიერებებთან აკავშირებენ. მარქსისტულმა ფილოსოფიამ კი სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემის შესწავლა ცალკეული ხალხების გარკვეულ ისტორიულ ეპოქას-

1 ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, დ. ჯალაღონია. ფილოსოფიის შესავალი; თბ., 2009; გვ. 41.

2 თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია. შედგენილია იანოშ კიშის მიერ; მთარგმნ.: სანდრო ბარამიძე და სხვები; თბ.; 1997; გვ. 221.

თან დააკავშირა. ამ თვალსაზრისით მოიძებნა საერთო, ტიპიური მომენტები, რითაც შეიძლებოდა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების გაერთიანება (მაგ., სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა საზოგადოებრივი ფორმაციების მიხედვით მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური).

რამდენი აზრი და მიმართულებაც არ უნდა დავასახელოთ, ერთი ცხადია, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის საგანი სახელმწიფო და სამართალია. ეს ორი მოვლენა დიალექტიკურად უნდა იქნეს შესწავლილი კონკრეტულ სახელმწიფოთა მაგალითზე, დადგინდეს ის თავისებურებები, რომელიც ცალკეულ ხალხთა პოლიტიკურ ორგანიზმსა და სამართალს გააჩნია.

განმარტებისათვის მხოლოდ ეს ფორმულირება არ იქნება საკმარისი. აქვე უნდა მივუთითოთ, რატომ ეწოდება ამ საგანს „ზოგადი“ და რა კავშირი აქვს მას სხვა მეცნიერებებთან, ან რითი განსხვავდება მათგან. „ზოგადი“ – შეიძლება ეწოდოს იმ თვალსაზრისით, რომ ხდება არა ყველა სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა, რომელიც კაცობრიობამ თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპამდე შექმნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რომლებიც ტიპიურია და არსებითი კვალი დატოვეს სახელმწიფოს ფორმათა და სტრუქტურათა განვითარებაში. სამართალგანვითარების თვალსაზრისითაც იმ ქვეყნების სამართალს შევეხებით, რომლებიც დამოუკიდებელ სისტემებად ჩამოყალიბდა და ზოგადი პრინციპებიდან განსხვავებული რეგულირების ხერხები დაამკვიდრა. ამიტომ მასალის სიდიდისა და სირთულის გამო, როგორც სასწავლო დისციპლინა, სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები შეიძლება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიად გაერთიანდეს. ამ საგანს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. თუ თეორიული თვალსაზრისით საინტერესოა ამა თუ იმ სახელმწიფოს ფორმისა და მექანიზმის, აგრეთვე ცალკეული სამართლებრივი სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზა, პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ყოველივე სახელმწიფოთმცოდნეთა და სამართალმცოდნეთათვის გარკვეული

პროგნოზირების საშუალებას იძლევა ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნისა და სამართლის ცალკეული დარგების კოდიფიკაციისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის საგნის დანიშნულება სხვა საგნებთან მიმართებაშიც უნდა გაირკვეს. ამ საგანს კავშირი აქვს ისეთ მეცნიერებებთან, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტმოძღვრებათა ისტორია, სამართლის ცალკეული დარგები.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით ხსნის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხს, იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის ცნებების, ფორმების, ფუნქციების, სამართლის სისტემებისა და ინსტიტუტების უმაღლეს განზოგადებას. რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიას, კონკრეტულ სახელმწიფოთა მაგალითზე, იგი სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების არსებით საკითხებს. ისიც აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია თავისი საგნის შესწავლის დროს მნიშვნელოვნად იყენებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ გაკეთებულ დასკვნებს. მაგალითად, თეორია სწავლობს რა არის სახელმწიფო, მისი ფორმა, მექანიზმი და ა.შ., ისტორია კი ამ ზოგადი ცნებების საფუძველზე არკვევს როგორ წარმოიშვა, რა ფორმითა და მექანიზმით დამკვიდრდა და განვითარდა სახელმწიფო და სამართალი ეგვიპტეში, ბაბილონში, რომში, ჩინეთში, ინგლისში, საფრანგეთში და ა.შ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია კი თავის დასკვნებს ისტორიული პროცესების განვითარებაზე დაყრდნობით აკეთებს.

ასევე მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიას პოლიტმოძღვრებათა ისტორიასთან.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია სწავლობს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართალზე, სახელმწიფოს მოწყობის ისეთ პროექტებს, რომლებიც რეალურად არ განხორციელებულა. სახელმწიფოსა და სამართლის

ზოგადი ისტორიის პრინციპული დებულებები ასევე დასაყრდენია პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგნისათვის.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას და სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიას კვლევის საგანი ერთი და იგივე აქვთ, განსხვავებაა მხოლოდ სივრცისა და ტერიტორიის თვალსაზრისით. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია კონკრეტულ სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარებას ეხება და როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, რომელიც დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. მართალია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სახელმწიფოების ცალკე გამოყოფა რაიმე აუცილებლობასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ არც ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოებისა და სამართლის შესწავლის იგნორირება იქნება სწორი. ამიტომ იგი თავისთავად შევიდა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის ნაწილად.

ცალკე უნდა გამოვყოთ დარგობრივ მეცნიერებებთან სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კავშირი. თუ ცალკეული დარგები (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საქორწინო-საოჯახო სამართალი, კონსტიტუციური სამართალი და ა.შ.) შეისწავლიან ცალკეული დარგების მიხედვით მოქმედი სამართლის ინსტიტუტებს, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია ამ ინსტიტუტების წარმოშობასა და განვითარებას სწავლობს ამა თუ იმ სახელმწიფოში. ასე რომ, დარგობრივი მეცნიერებები თავისი საგნის კვლევისას გარკვეულწილად ეყრდნობიან ისტორიულად დამკვიდრებულ სამართლებრივი რეგულირების მეთოდებს.

§ 2. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის მეთოდი და სისტემა

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიას, როგორც დამოუკიდებელ ისტორიულ-იურიდიულ მეცნიერებას, თავისი კვლევის მეთოდი აქვს. სხვადასხვა მეცნიერი კვლევის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით დიალექტიკის მეთოდს, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირსა და განპირობებულობაში იხილავს. ამავე დროს სახელმწიფო და სამართალი მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაშია. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სამართლის სისტემა ან სახელმწიფო წყობილება. ისინი ვითარდებიან საზოგადოებაში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ა) *ისტორიულ-შედარებითი მეთოდი* – სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის კონკრეტული მეთოდი და ძირითადი დასაყრდენია. მოძღვრება ამ მეთოდის შესახებ XIX ს. 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. მისი წარმომადგენლები იყვნენ: გერმანიაში – იოსებ კოლლერი, საფრანგეთში – რუდოლფ დარესტი (მანვე გამოიკვლია ვახტანგ VI სამართალი), ინგლისში – ე. ფრიმენი, რუსეთში – ო. კოვალევსკი. ამ მეთოდის არსი შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: აიღებს რომელიმე სამართლებრივ მოვლენას (მაგ., შურისძიებას სისხლის აღებით), განიხილავს მას სხვადასხვა ხალხთა ისტორიაში, შეადარებს მსგავს მოვლენებს ერთმანეთს და აკეთებს დასკვნებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არ ითვალისწინებს ამა თუ იმ ხალხისა და ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონეს და კმაყოფილდება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა ცხოვრებიდან აღებული სამართლებრივი ინსტიტუტების ერთმანეთთან შედარებით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიდგომა ვერ მოგვცემს სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობის და მათი განვითარების აბსოლუტურად სწორ ახსნას. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ლოგიკურ პრინციპებზე დაყრდნობით სახელმწიფოსა და სამართ-

ლის ზოგად ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერად მაინც ეს მეთოდი ითვლება. საქართველოში ისტორიულ-შედარებითი მეთოდი პირველად გამოიყენა XIX ს. ცნობილმა იურისტმა ნიკო ხიზანაშვილმა (ურბნელი). მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სადაც სამართლის ისტორიის კურსს თ. ლეონტიევიჩი კითხულობდა და ურბნელი მისი იდეების გამგრძელებლად და მოსწავლედ ითვლება. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ბექა-აღბუღას სამართალი", „გიორგი ბრწყინვალეს სამართალი". გამოიცა მისი რჩეული იურიდიული ნაწერები 1983 წ.

ბ) ცალკე უნდა დავახასიათოთ ***ქრონოლოგიური*** კვლევის მეთოდი. ისტორია ეს არის მოვლენათა მოძრაობა დროში. ამიტომ, როგორც ისტორიულ-იურიდიული მეცნიერება, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის საგნის განვითარება შეუძლებელია მოვლენათა და ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გარეშე.

გ) ***სისტემური*** მეთოდის გარეშე, ასევე შეუძლებელია სახელმწიფო და სამართლებრივი მოვლენების ისტორიული შესწავლა. ეს ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოვლენა გარკვეული სისტემით უნდა იქნეს შესწავლილი (სისტემის საკითხს ცალკე შევეხებით).

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მეთოდის პრობლემასთან მჭიდროდ აკავშირებდნენ პარტიულობის პრინციპს. ეს კიდევ ერთი გამოხატულებაა რეჟიმული სახელმწიფოს ფორმისა, რომ ის, რაც მიუღებელია პარტიისათვის, არაა ჭეშმარიტი და საგნის კვლევის გარეშე უნდა დარჩეს. ან პირიქით, თუ პარტიული პრინციპისათვის ხელსაყრელია, ფაქტებზე დასკვნების შემუშავება მხოლოდ მაშინ არის მისაღები. პარტიულობის პრინციპის გამოყენება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში პროკრუსტეს სარეცელს შეიძლება შევადაროთ. პროკრუსტე — ძველი ბერძნული მითოლოგიით გოლიათი იყო, რომელიც მგზავრებს „ეპატიჟებოდა" სახლში და ძალით აწვენდა სარეცელზე. თუ სარეცელი მოკლე აღმოჩნდებოდა, მგზავრებს ფეხებს აჭრიდნენ, ხოლო თუ გრძელი, სარეცლის ზომამდე დაჭიმავდნენ. აქედან გამომდინარე,

„პროკრუსტეს სარეცელი" გადატანითი მნიშვნელობით ხელოვნურ საზომს გულისხმობს.

მიმდინარე კურსი მოიცავს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგანს არა იმ პროგრამით, როგორც ის ადრეულ წლებში ისწავლებოდა, არამედ ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით: უპირველეს ყოვლისა, შევეხებით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს — ეგვიპტესა და ბაბილონს, შემდეგ ანტიკური სამყაროს სახელმწიფოებს — ძველ საბერძნეთს, ძველ რომს. საბერძნეთის ტერიტორიაზე 1380-მდე ქალაქ-სახელმწიფო, პოლისი [პოლისი (ბერ).) — სითიზენ (ლათინ.) — ქალაქ-სახელმწიფო, პოლიტიკური ორგანიზმის განსაკუთრებული ფორმა ძველ საბერძნეთში, იტალიაში. მას თავისებური მმართველობა ჰქონდა. სახელმწიფოს აპარატს შეადგენდა სრულუფლებიანი მოქალაქეების (მამაკაცები) სახალხო კრება (აპელა), საბჭო (გერუსია, არეოპაგი, ბულე, სენატი) და არჩევითი თანამდებობის პირები (მაგისტრები)] არსებობდა. მათგან მხოლოდ ორს განვიხილავთ, სპარტასა და ათენს, როგორც განსხვავებული მმართველობის ფორმის პოლისებს. სპარტას — როგორც ოლიგარქიას, ანუ არისტოკრატიულ მონარქიას, ათენს — როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმის სახელმწიფოს.

რომის სახელმწიფოს შევისწავლით სამ ეტაპად: რექსების ხანა, რესპუბლიკის პერიოდი და მონარქია (პრინციპატი და დომინატი). შემდეგ – ევროპის კლასიკური სახელმწიფოები: ინგლისი – ანგლოსაქსების ეპოქიდან XX საუკუნემდე, საფრანგეთი და გერმანია — ფრანკებიდან მოყოლებული XX ს-მდე. აზიის სახელმწიფოებიდან შევეხებით ჩინეთისა და ინდოეთის სახელმწიფოებს — უძველესი პერიოდიდან დღემდე. მოკლედ მიმოვიხილავთ მუსლიმური სამართლის ზოგიერთ თავისებურებას და არაბთა ხალიფატის სახელმწიფოს ისტორიას. ცალკე იქნება განხილული ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოები: აშშ — როგორც დემოკრატიული სახელმწიფო და მისი კონსტიტუციის ისტორია, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები — როგორც სამხედრო რეჟიმული ფორმის სახელმწიფოები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შევეხებით რუსეთის სახელმწიფოს შექმნას და ფორ-

მათა განვითარებას კიევის რუსეთიდან მოყოლებული XX საუკუნის პოლიტიკურ ძვრებამდე.

თითოეულ სახელმწიფოს განვიხილავთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ისტორიული მიმოხილვა, ანუ სახელმწიფოს წარმოშობის თავისებურებანი, მისი განვითარება ფორმის მიხედვით და ძირეული ისტორიული მომენტები;

2. სახელმწიფო წყობილება. აქ განიხილება ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ევოლუცია. ცალკეული თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილება;

3. საზოგადოებრივი წყობილება, ანუ საზოგადოების ცალკეული კატეგორიები, მათი უფლებრივი მდგომარეობა და ევოლუცია;

4. სამართალგანვითარება. ამ ნაწილში მიმოვიხილავთ სამართლის წყაროებს და მათზე დაყრდნობით სამართლის ცალკეული დარგების განვითარებას ამა თუ იმ სახელმწიფოში. სამოქალაქო სამართლიდან შევეხებით საკუთრების უფლებას და საკუთრების ფორმებს, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, ხელშეკრულების ცალკეულ სახეებს. საქორწინო საოჯახო სამართლიდან — ქორწინების წესსა და პირობებს, ქალის უფლებრივ მდგომარეობას და მემკვიდრეობის საკითხებს. სისხლის სამართლიდან — დანაშაულის ცალკეულ ჯგუფებსა და სასჯელთა სისტემას, მტკიცებულებებს და მათ ევოლუციას, ასევე სასამართლოსა და პროცესის ზოგიერთ სხვა მხარეს. ძირითად ყურადღებას სახელმწიფო სამართლის საკითხებზე კონსტიტუციების წარმოშობის ეპოქიდან გავამახვილებთ და შევეხებით იმ თავისებურებებს, რითაც ესა თუ ის კონსტიტუცია ხასიათდება კონკრეტულ სახელმწიფოში.

§ 3. ისტორიოგრაფია

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში გამოცემული ლიტერატურა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ პერიოდის გამოკვლევებს და არ დავასახელოთ 1946 წ. ს.კეჩეკიანის სახელმძღვანელო „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია (ძველი საბერძნეთი)". იგი ქართულადაცაა ნათარგმნი. იმავე სახელწოდებით 1945 წ. გამოიცა ი.პერეტერსკის წიგნი, რომელიც ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას ეხება. არსებობს პ.ნ. გალანზას რედაქციით გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ორტომეული (1963-1969 წწ.) რუსულ ენაზე. უკანასკნელ პერიოდში გამოიცა).მ. ჩერნილოვსკის სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია (1983 წ.), რომლის შემოკლებული ქართული თარგმანი 1991 წელს გამოვიდა.

საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართალს გამოკვლევები მიუძღვნა აკადემიკოსმა ი.დოლიძემ, რომლის ავტორობით 1950 წ. გამოვიდა ადრეფეოდალური სამართლის ძეგლები. იგი მოიცავს სალიკურ სამართალს, ფრაგმენტებს რიპუარებისა და ბავარიელების სამართლიდან, დართული აქვს ავტორის კომენტარები. 1960 წ. მისივე ავტორობით გამოქვეყნდა მონოგრაფია „ძველი აღმოსავლეთი", რომელშიც შევიდა ბაბილონის ასირიული და ხეთური კანონები, ხოლო 1962 წ. გამოვიდა კიდევ ერთი მონოგრაფია „შუა საუკუნეების სამართალი".

ძველი პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს ეხება პროფ. ვ.აბაშმაძის მიერ 1990 წ. გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო, სადაც შეტანილია ეგვიპტის, ბაბილონის, ძველი ჩინეთის, ძველი ინდოეთის, რომის სახელმწიფოები და სამართალი. ქართული სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი მონაპოვარია გიორგი ნადარეიშვილის – სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (2008); ირანისა და რომანისტიკის სფეროში საინტერესო შრომები აქვს გამოქვეყნებული ნუგზარ სურგულაძეს – სეფიანთა

ირანის ცენტრალური მმართველობა (1990), იუსტინიანეს დიგესტების ქართული თარგმანი (2000).

მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ქრესტომათიები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება წყაროებზე მუშაობა.

გვერდს ვერ ავუვლით რენე დავიდის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემების“ ქართული თარგმანის 1993 წ. გამოცემას, რომელიც სამართლებრივი სისტემების შექმნასა და ჩამოყალიბებაში ჩაახედებს სტუდენტს.

კონკრეტული მონოგრაფიები დასახელებულია ცალკეული სახელმწიფოების განხილვისას.

კარი II

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი (ძვ. წ. XXX–I სს.)

§ 4. ეგვიპტის სახელმწიფოს წარმოშობა და პერიოდიზაცია

ეგვიპტე ძველბერძნულად „შავს" ნიშნავს. ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები თავის ქვეყანას ნიადაგის ფერის გამო, უდაბნოს „წითელი" მიწისაგან განსხვავებით[1].

ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე, მდინარე ნილოსის გასწვრივ, მარიმდა-ბანი-სალამის, ელ-ომარის, მაადის, ტასისა და ბადარის კულტურის მქონე ხალხებში ვხვდებით პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს, ანუ ნომებს. ნომის სამეურნეო-ეკონომიკურ ძალას სასოფლო თემი წარმოადგენდა და მის სათავეში ნომის მმართველი ნომარქი იდგა. დაახლოებით ძვ. წ. 3600 წელს, ცალკეულ ნომებს შორის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად იწყება მათი გაერთიანება, რასაც მოჰყვა ორი სამეფოს წარმოშობა: ერთი, რომელიც მდინარე ნილოსის ზემოწელში მდებარეობდა, ზემო ეგვიპტედ იწოდებოდა, ხოლო მეორე, ქვემოწელში, ქვემო ეგვიპტედ იწოდებოდა. ასე რომ, 40 ნომი ჯერ ორ სამეფოდ გაერთიანდა, მოგვიანებით კი ძვ.წ. 3000 წელს, მეფე მენესის დროს, ერთ სახელმწიფოდ და ამ ეტაპიდან იწყება ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფოს და სამართლის ისტორია.

---

1 კლასიკურ ეგვიპტოლოგიას საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ეგვიპტოლოგმა ალექსანდრ მორემ. გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი კვლევები „ეგვიპტური მისტერიები", „ფარაონების ეპოქა", „ეგვიპტის მედეები და ღმერთები" დღესაც პოპულარულია. უახლესმა თეორიებმა და აღმოჩენებმა ვერ შეცვალეს ალექსანდრ მორეს ეს შრომები.

პირობითად ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორიას სამ ეტაპად ყოფენ, რომელთა შორის არსებობდა უმეფობის ან ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პერიოდები. პირველ ეტაპს ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორიაში წარმოადგენს ***ძველი სამეფო***, რომელიც გრძელდებოდა 3000-დან 2400 წლამდე. ძველი სამეფოსათვის დამახასიათებელია ეგვიპტეში უზარმაზარი საირიგაციო სამუშაოები, პირამიდებისა და სასახლეების მშენებლობა. ცალკეულ ნომებს ცენტრალური სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრათ შრომითი ბეგარა. ყველა ნომი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ცენტრალური მთავრობის სასარგებლოდ, საქვეყნო სამუშაოების წარმოებაში. ამავე ეპოქაში ფარაონები მეფედ კურთხევის დროს რას-ძის (მზის ღვთაება) ტიტულსაც ღებულობდნენ.

დაახლოებით ძვ. წ. 2500 წელს წარმოიშვა დეცენტრალიზაციის ტენდენცია. ნომების მმართველებმა მსხვილ მემამულეთა ფენად გადაქცევის შემდეგ მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას მიაღწიეს. ამ პერიოდში დაწინაურდა ქალაქ თებეს მმართველი გვარი (XI დინასტია), რომელმაც საბოლოოდ შეძლო ქვეყნის გაერთიანება და სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა. დეცენტრალიზაციის პერიოდი დაახლოებით 300 წელი გაგრძელდა და ძვ. წ. 2100 წელს იწყება შუა სამეფოს ხანა.

ეგვიპტის კვლავ გაერთიანებას ხელი შეუწყო იმან, რომ ცალკეულ ნომებად დაშლილმა სახელმწიფომ ვერ შეძლო საერთო-საქვეყნო სამუშაოების წარმოება. მოიშალა სარწყავი სისტემა, რამაც მოსავლის კატასტროფული შემცირება გამოიწვია. XII დინასტიის წარმომადგენელმა ამენხოტეპ I-მა საბოლოოდ შეზღუდა ნომარქების დამოუკიდებლობა, უხვი წყალობებით მიიპყრო წარჩინებულთა გარკვეული ნაწილი და აღადგინა ერთიანი ეგვიპტის სახელმწიფო. ***შუა სამეფოს*** ხანა დაახლოებით 1700 წლამდე გაგრძელდა და ამენემხეტ III-ის სიკვდილის შემდეგ, XII დინასტიის ძლიერება დაეცა, რასაც მოჰყვა უმეფობის ხანა.

შუა სამეფოს დასასრულს ეგვიპტეში მოხდა დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც საზოგადოების ზედა ფენის დამარცხება გამოიწვია. ეს ისტორიული ფაქტი მოთხრობილია დოკუმენ-

ტში, რომელსაც „ლეიდენის პაპირუსი" ეწოდება. ამ დოკუმენტით, ვინმე ბრძენი იპუვერი მოგვითხრობს ეგვიპტეში მომხდარ გადატრიალებაზე, რომ „ყველგან სისხლი იღვრება, კეთილშობილნი მწუხარებას შეუპყრია, მდაბიონი კი სიხარულს მოუცავს, ავაზაკი სიმდიდრის პატრონი გამხდარა, მდიდარი მძარცველად გადაქცეულა. ჭიშკრები, თაღები, სვეტები დამწვარია, მეფის სასახლის კედლები დანგრეულია. სასამართლო პალატა გაძარცვულია, აქტები დატაცებულია, მონები მონათმფლობელები გამხდარან, ღატაკნი დაიარებიან სასახლეებში. ვისაც საკუთარი ქოხი არ ჰქონდა, სიმდიდრის პატრონი გამხდარა, ვინც წინათ შიკრიკი იყო, ახლა სხვას დაარბენინებს"[1].

ძვ.წ. 1730 წელს ეგვიპტე დაიპყრეს აღმოსავლეთის მომთაბარე ტომებმა ჰიქსოსებმა, რომელთა ბატონობა დაახლოებით 150 წელს გაგრძელდა. ამით მთავრდება შუა სამეფოს ისტორია ეგვიპტეში. XVIII დინასტიის წარმომადგენლებმა აღადგინეს ეგვიპტის მთლიანობა და შექმნეს ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია. დაახლოებით ამ პერიოდიდან, ძვ.წ. 1500 წლიდან დაიწყო ***ახალი სამეფოს*** ხანა და გაგრძელდა 1100 წლამდე. ამ პერიოდის ეგვიპტე წარმოადგენდა უზარმაზარ იმპერიას, რომლის ტერიტორია მოიცავდა 3200 კმ². შეიქმნა სახელმწიფო აპარატის ისეთი უმნიშვნელოვანესი იძულებითი ძალა, როგორიცაა მუდმივი დაქირავებული არმია. ახალი სამეფოს დასასრულს ეგვიპტეში თავი იჩინა ცენტრიდანულმა ძალებმა, რომლებიც აღარ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და პატარ-პატარა სახელმწიფოებს ქმნიდნენ ნომების სახით. XX დინასტიის დროს პრაქტიკულად ეგვიპტე ორ ნაწილად გაიყო. აზიაში ეგვიპტის ერთიანი სამეფოს სრული დაცემით ისარგებლეს ისრაულმა ტომებმა და შექმნეს თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ისრაელის სამეფო. მოგვიანებით ეგვიპტეს ჰერაკლეოპოლისის და თებეს სამთავროები გამოეყო, თუმცა ერთიანი სამეფოს დაქუცმაცება ამით არ დამთავრებულა. ისტორიული წყაროების მიხედვით ამ პერიოდში 18-მდე სამეფოს სახელია ცნობილი. ქვეყნის დაქუც-

1 Henri Frankfort. Ancient Egyptian Religion: An Interpretation New York, Harper 1948, p. 52.

მაცებას დაემატა მონებისა და ღარიბ-ღატაკების აჯანყება და VI აუკუნის ბოლოს, 525 წელს, დაშლილი და დასუსტებული ეგვიპტე სპარსეთმა დაიპყრო. თუმცა გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში ეგვიპტე კვლავ ახერხებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. IV ს-ში მას ალექსანდრე მაკედონელი იპყრობს, ხოლო ძვ.წ. 30 წელს რომაელებმა რომის პროვინციად, „რომის ბეღლად" აქციეს. რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ ეგვიპტე ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის იმპერიის) შემადგენლობაში დარჩა.

§ 5. ეგვიპტის სახელმწიფო წყობილება

ეგვიპტის სახელმწიფო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელიც ***აღმოსავლური დესპოტიის*** ფორმით არსებობდა. სახელმწიფო წყობილებაში აღმოსავლური დესპოტიის ფორმა გულისხმობს:

1) მთელი ხელისუფლების თავმოყრას სახელმწიფოს მეთაურის ხელში;

2) პოლიტიკური ხელისუფლებისა და წარმოების ძირითად საშუალებებზე საკუთრების უფლების გაერთიანებას;

3) ხელისუფლების უკიდურეს ცენტრალიზაციას.

ეგვიპტე ***თეოკრატიული*** სახელმწიფოც იყო, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლების გაღმერთებას (სახელმწიფო წყობილებაში კი სახელმწიფოს მეთაური კულტის სათავეშიც დგას).

განვიხილოთ ეგვიპტის სახელმწიფო აპარატი.

ა) ***ფარაონი*** (მომდინარეობს ეგვიპტური სიტყვისაგან „პერო", რაც ნიშნავს უმაღლეს სასახლეს და იგი ბერძნული ტრანსკრიპციით იკითხება, როგორც ფარაონი). სახელმწიფოს სათავეში იდგა განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი მეფე-ფარაონი, რომლის პიროვნება წერილობით წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „სიცოცხლისა და სიხარულის წყარო", „მარადისობის უფალი". ფარაონს ეკუთვნოდა უმაღლესი საკანონმდებლო, აღ-

მასრულებელი, სასამართლო, სამხედრო და სასულიერო ხელისუფლება. როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი, ფარაონი გამოსცემდა კანონებს. ფარაონი სათავეში ედგა ქვეყნის სამოხელეო აპარატს. იგი იყო უმაღლესი ადმინისტრატორი და გამგებელი. ყველაფერი მეფეს უნდა მოხსენებოდა ვეზირის მეშვეობით. ფარაონი, ამავე დროს, უმაღლესი მხედართმთავარი იყო. ახალი სამეფოს პერიოდში, როცა ჩამოყალიბდა მუდმივი არმია, იგი ფარაონს დაექვემდებარა. როგორც უმაღლესი სასულიერო პირი, ფარაონი სათავეში ედგა ქურუმთა მრავალრიცხოვან არმიას. ძნელია სრულად განისაზღვროს ფარაონის კომპეტენცია, რადგან მისი ხელისუფლება განუსაზღვრელი და შეუზღუდავი იყო.

ბ) ***ვეზირი.*** ფარაონის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდა ვეზირი, რომელსაც ეგვიპტეში ***ჯატი*** ეწოდებოდა. ეს თანამდებობა IV დინასტიის დროს დაარსდა. ისტორიულ წყაროებში ვეზირიც ისეთივე მაღალი ეპითეტებითაა მოხსენიებული, როგორც ფარაონი. მის შესახებ ნათქვამია, რომ ვეზირი არის „მთელი სახელმწიფოს უფროსი“, „მთელი ქვეყნის მმართველი“, „მეფის საიდუმლო მრჩეველი“, „ცის საიდუმლოების მჭვრეტელი“ (აქ იგულისხმება მიწათმოქმედება და ვარსკვლავთმრიცხველობა). ასე რომ, ვეზირი ფარაონის შემდეგ უზენაესი მსაჯული და გამგებელი იყო. ეს თანამდებობა ეგვიპტის სახელმწიფოში ფარაონის უახლოეს ნათესავებს ეკავათ. ხოლო VI დინასტიიდან მოყოლებული სხვა პირებიც ინიშნებოდნენ. მოგვიანებით ჯატს დაემატა „ირი-პატის“ ტიტული, რაც ნიშნავს „პრინცს“. ჩვენამდე მოღწეულია ე.წ. „ინსტრუქცია ვეზირის შესახებ“, რომელშიც დაწვრილებითაა განსაზღვრული ვეზირის ფუნქციები და მოვალეობები. მას უნდა მოხსენებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ციხესიმაგრეთა შესახებ. შეუთანხმებდნენ აგრეთვე ყოველივეს, რაც მეფის სასახლეს შეეხებოდა. ყოველგვარი თხოვნა მეფის სახელზე ვეზირს უნდა გადასცემოდა. ვეზირი აგროვებდა ჯარებს და განაგებდა მეფის მცველ რაზმებს ლაშქრობის დროს, იძლეოდა ინსტრუქციებს ჯარის მართვის შესახებ. ვეზირი ღებულობდა ზომებს წყალმომარაგებისათვის მთელ

ქვეყანაში. მას მოახსენებდნენ ნომების მდგომარეობას. დოკუმენტები ნომების შესახებ ინახებოდა ვეზირთან. ვეზირი განაგებდა თითოეული ნომის სახნავ-სათეს საზღვრებს. ბოლოს, იგი ისმენდა საჩივრებს და გამოჰქონდა განაჩენი უმნიშვნელოვანეს საქმეებზე. ამრიგად, ფარაონის შემდეგ ვეზირი იყო უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც სათავეში ედგა მთელ სამოხელეო აპარატს.

გ) ***მთავარი ხაზინადარი*** უმაღლესი თანამდებობის პირი იყო, რომელიც განაგებდა სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის საქმეებს. ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ მთავარი ხაზინადარი არის გამგე ყოველივე იმისა, რასაც „ცა იძლევა, რასაც მიწა წარმოშობს და რაც ნილოსს მოაქვს". ხაზინადარი, ამავე დროს, ითვლებოდა სახელმწიფო სახაზინოს, საგანძურისა და საწყობების გამგებლად.

მთავარ ხაზინადარს ორი ხელქვეითი ხაზინადარი ჰყავდა, რომლებიც განაგებდნენ სამხედრო და საზღვაო საქმეებს.

დ) ***სამეფო კარი***. აქ შეიძლება დავასახელოთ ისეთი თანამდებობის პირები, როგორიცაა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, რომელიც აწესრიგებდა თავისუფალი მოსახლეობის მიერ ბეგარის შესრულებას და გადასახადის გადახდას. მდივნები, საქმის მწარმოებლები, სამეფო კანცელარიის მუშაკები და ქურუმები.

ე) ***სამხედრო მმართველობა***. მთელი სახელმწიფო ძლიერება ემყარებოდა არმიას. როგორც აღვნიშნეთ, მუდმივი არმია ეგვიპტეში წარმოიშვა ახალი სამეფოს ეპოქაში. ეგვიპტის სამხედრო ტექნიკაში პირველად გამოყენებულ იქნა ე.წ. „ეტლოსანთა რაზმები". ეს იყო ცხენშებმული ეტლები, რომლებიც საბრძოლო ოპერაციას ასრულებდნენ.

ასეთი იყო ძირითადად ეგვიპტის უმაღლესი და ცენტრალური მმართველობა.

ვ) რაც შეეხება ეგვიპტის ***ადგილობრივ მმართველობას***, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტე დაყოფილი იყო ტერიტორიულ ოლქებად, რომლებსაც ***ნომები*** ეწოდებოდა. ნომები იყოფოდა ***თემებად***. დაქუცმაცებულობისა და დაშლის პერიოდებში ნომები ფაქტობრივად პატარა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ ყველა

იმ ატრიბუტით, ანუ ნიშან-თვისებით, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის. რაც შეეხება ცენტრალიზებული ეგვიპტის სახელმწიფოში ნომების უფლებამოსილებას, ისინი თითქმის არავითარი დამოუკიდებლობით არ სარგებლობდნენ, ყველაფერში ანგარიშს უწევდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ანგარიშვალდებულნი იყვნენ ფარაონის წინაშე.

სასამართლო ორგანოებს ეგვიპტეში წარმოადგენდნენ: სამეფო სასამართლო, ათთა საბჭოს სასამართლო, ექვსთა პალატა, 30 მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო კოლეგია, ანუ კენბეტი, საეკლესიო სასამართლო.

სამეფო სასამართლოს თავმჯდომარეობდა ფარაონი. ათთა საბჭოსა და ექვსთა პალატის სასამართლოებს თავმჯდომარეობდა ჯატი. ადგილობრივი სასამართლო ხელისუფლება ორი სახით იყო ეგვიპტეში წარმოდგენილი: ნომების სასამართლო, რომელსაც ნომარქი თავმჯდომარეობდა და სამეფო ხელისუფლებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ქალაქების სასამართლოები, რომელსაც ***კენბეტი*** ეწოდებოდა. საერო სასამართლოებთან ერთად არსებობდა აგრეთვე სასულიერო, სატაძრო სასამართლოები, სადაც მართლმსაჯულებას, ზოგიერთ სამოქალაქო საქმეზე, ქურუმები ახორციელებდნენ. მეფის განკარგულებით შეიძლებოდა ყველა ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული აქტის გაუქმება. მთელი სასამართლო სისტემა ექვემდებარებოდა ფარაონს. მას პირადად შეეძლო განეხილა ყველა საქმე, შეეცვალა ყველა გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცა მისთვის, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა.

§ 6. ეგვიპტის საზოგადოებრივი წყობილება

ეგვიპტეში საზოგადოებაში განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობის ფენებს ვხვდებით. საზოგადოების ზედაფენას შეადგენდნენ: დიდებულები, ქურუმები, მოხელეები, სამხედრო დიდკაცობა. რაც შეეხება ქვედაფენას, აქ შედიოდნენ: თავისუფალი

გლეხები, ხელოსნები, მონები. კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ეგვიპტეში თავისებური მონობა არსებობდა, რაც განპირობებული იყო საერთოდ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით. აქ ვხვდებით კოლექტიურ მონათმფლობელობას, ე.ი. მონები ეკუთვნოდნენ სახელმწიფოს ნომებს, ანუ ტერიტორიულ ოლქებსა და ტაძრებს. გარდა ამისა, აღმოსავლური მონობა უფლებრივი მდგომარეობით განსხვავდება კლასიკური მონათმფლობელური ქვეყნების მონობისაგან. აღმოსავლეთის ქვეყნების მონა ნივთი არ არის. მას ჰქონდა ერთგვარი პირადი და ქონებრივი უფლებები, ჰყავდა ოჯახი, გააჩნდა სამუშაო იარაღები. ზოგიერთი უმნიშვნელო პირადი უფლებების არსებობის გამო ეგვიპტის მონა გლეხთა კატეგორიასაც უახლოვდება.

§ 7. ეგვიპტის სამართლის ძირითადი ნიშნები

სამართლის წყაროები. ეგვიპტეში სამართლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ***ადათი.*** ადათი არაბული სიტყვაა და ქართულად ჩვეულებას ნიშნავს. ხშირად ეგვიპტეში ადათობრივი ნორმები შერწყმული იყო რელიგიურ ნორმებთან. ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში ბევრი ასეთი ჩვეულებაა აღნიშნული.

კანონები. კანონებს ეგვიპტეში ფარაონი გამოსცემდა. იგი მნიშვნელოვანი სამართლის წყარო იყო. კანონთა კრებულები, როგორც ეს ისტორიული წყაროებიდან ჩანს, შედგენილი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში. კერძოდ, ძვ. წ. XIII საუკუნეში რამსეს მეფის დროს შედგენილ იქნა კანონთა კრებული, ხოლო ძვ. წ. VII ს-ში ჩნდება ახალი საკანონმდებლო ძეგლი — ბოქჰორსის კოდექსი. იგი რვა წიგნისაგან შედგებოდა. მაგრამ ამ საკანონმდებლო ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. იურიდიული თვალსაზრისით შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ ისეთ ცალკეულ აქტებზე, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი. ასეთებია: „ინსტრუქცია ვეზირის შესახებ", ყიდვა-გაყ-

იდვის, სესხის, ქირავნობის, გირავნობისა და სხვა ხელშეკრულებები. ჩვეულებრივად, ასეთი გარიგებები კერძო მოქალაქეებს შორის იწერებოდა თიხის ფირფიტებზე, რომელთაც შემდეგ გამოწვავდნენ და ინახებოდა როგორც იურიდიული დოკუმენტი.

ადმინისტრაციული ხასიათის განკარგულებანი. ასეთ განკარგულებებს გამოსცემდა არა მარტო ფარაონი, ვეზირი ან ხაზინადარი, არამედ ნომარქებიც, როგორც ადგილობრივი მმართველობის მოხელეები. მართალია, ასეთი სახის განკარგულებები კანონებს არ წარმოადგენდა, მაგრამ მათ სავალდებულო ძალა ჰქონდა შესაბამის ტერიტორიაზე.

სასამართლო პრაქტიკა, ანუ სასამართლო პრეცედენტი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ერთი სასამართლო იყენებს ანალოგიურ საქმეზე მეორე სასამართლოს მიერ წინათ გამოტანილ განაჩენს. ასეთი აუცილებლობა მაშინ წარმოიშობა, როცა კანონში პირდაპირ არ არის მითითებული ესა თუ ის კაზუსი. მოსამართლე იძულებულია გაითვალისწინოს წინა პერიოდის სასამართლო პრაქტიკა და ამის მიხედვით გადაწყვიტოს საქმე. ძველ ეგვიპტეში სასამართლო პრეცედენტის გამოყენება სამართლის წყაროდ, ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება.

სამართლის ამ წყაროების მიხედვით დავახასიათოთ ცალკეული დარგების განვითარება ეგვიპტეში.

სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო სამართლიდან შევეხებით საკუთრების ინსტიტუტსა და ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს ეგვიპტეში. საკუთრების ძირითად ობიექტს მონები და მიწები წარმოადგენდნენ. ერთიცა და მეორეც კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდა. ისინი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ნომებს, ტაძრებს. ასეთ მფლობელობაში მყოფი მიწების გასხვისება არ შეიძლებოდა. დაშვებული იყო კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვა. კერძო-საკურთებაში უმთავრესად იყო საკარმიდამო მიწები და ბაღები, სახელმწიფოში – კი სახნავ-სათესი მიწები. ჩვენამდე მოღწეული კერძო სამართლებრივი აქტებიდან ჩანს, რომ კერძო საკუთრებაში მყოფი მონები შეიძლება გაყიდულიყო როგორც მიწით, ისე უმიწოდაც.

როგორც ცნობილია, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან და ზიანის მიყენებიდან. ეგვიპტეში ორივე საფუძვლით წარმოშობილ ვალდებულებებს ვხვდებით. ხელშეკრულებიდან ცნობილია ყიდვა-გაყიდვის, სესხის, ქირავნობის, გირავნობის, ამხანაგობის ხელშეკრულება და სხვა.

საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. ძველ ეგვიპტეში ქალი მაღალი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდა. მას ჰქონდა ქონებრივი დამოუკიდებლობა და ვაჟებთან ერთად თანაბარ მემკვიდრეობას ღებულობდა. ქმარს არ შეეძლო მისი მზითვების გაყიდვა ან გასხვისება. რაც შეეხება ქორწინებას, იგი წარმოადგენდა წერილობით ხელშეკრულებას სასიძოსა და საპატარძლოს მშობლებს შორის. ასეთი ხელშეკრულება ჩვეულებრივად იდებოდა სასიძოსა და საპატარძლოს მცირეწლოვნობის დროს. ამას საპატარძლოს დაწინდვის ჩვეულება ერქვა.

სისხლის სამართალი. სისხლის სამართლიდან განვიხილოთ დანაშაულისა და სასჯელის სახეები ეგვიპტეში. განასხვავებდნენ დანაშაულის ოთხ ძირითად ჯგუფს: 1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები. დანაშაულთა ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდა — ღალატი, შეთქმულება, ამბოხება, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, მტრის მხარეზე გადასვლა და ა.შ.; 2. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება და სხვა; 3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები — ქურდობა, ძარცვა, მითვისება, თაღლითობა და ა.შ.; 4. რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები — ღვთის გმობა, ტაძრების, სასაფლაოების, წმინდა ადგილების შეურაცხყოფა, ჯადოსნობა, მისნობა და სხვა.

თითოეული ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სასჯელის განსაზღვრული სახეები. ძველი ეგვიპტის სამართალი იცნობს სასჯელთა შემდეგ სახეებს: 1. სიკვდილით დასჯა. სისრულეში მოჰყავთ ცეცხლში დაწვით, წყალში გადაგდებით ან მახვილით განგმირვით; 2. დამასახიჩრებელი სასჯელები. იგულისხმება ასოთდამაზიანებელი სასჯელები. ჩვეულებრივად დამნაშავეს იმ ორგანოს მოჰკვეთდნენ ან დაუზიანებდნენ, რომლითაც დანა-

შაული ჩაიდინა (ხელის მოკვეთა, ფეხის მოკვეთა, ყურის ან ცხვირის მოკვეთა და ა.შ.); 3. პატიმრობა. თავისუფლების აღკვეთა ხდებოდა სხვადასხვა ვადით; 4. იძულებითი სამუშაოები. დამნაშავეს შეუფარდებდნენ სასჯელის სახით იძულებით სამუშაოს.

სასამართლო პროცესი. როგორც წესი, სისხლისა და სამოქალაქო საქმე აღიძვრებოდა დაზარალებულის საჩივრით. სახელმწიფო თითქოს არ ერეოდა ამ საქმეებში. ასეთ პროცესს, რომელიც დამყარებულია კერძო პირის ინიციატივაზე, საბრალდებო პროცესი ეწოდება. ზოგიერთი კატეგორიების საქმეებზე, როგორიცაა სახელმწიფო დანაშაული, თვით სახელმწიფო აღძრავდა საქმეს. საქმისწარმოება წერილობითი იყო.

მტკიცებულებებს პროცესზე წარმოადგენდა: ფიცი, შემთხვევის ადგილის დათვალიერება (მაგ., საფლავის შეურაცხყოფის დროს), წამება ხელსა და ფეხზე ტკივილის მიყენებით. ფიცი გამოიყენებოდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე ქონებრივი დავების დროს. ფიცს სდებდნენ როგორც მხარეები, ასევე მოწმეები. თითოეული მოფიცარი ასახელებდა ისეთ სასჯელს, რომელსაც ფიცის დარღვევის შემთხვევაში იკისრებდა. მაგ., „თუ ჩემი ნათქვამი სინამდვილეს არ შეესაბამება, დაე, ნემსებზე დამსვან". ისიც უნდა ითქვას, რომ ფიცი გადამწყვეტი მტკიცებულება არ იყო, იგი მოწმდებოდა მოწმეთა ჩვენებით და საქმესთან არსებული სხვა მტკიცებულებებით.

გადაწყვეტილების მიღების პროცედურა შემდეგი სახით ხდებოდა: მოსამართლეს კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა ჭეშმარიტების გამოსახულება და მდუმარედ შუბლზე შეახებდა იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც საქმე გადაწყდებოდა.

თავი II. ბაბილონის სახელმწიფო და სამართალი (ძვ.წ. XX–I სს.)

§ 8. სახელმწიფოს წარმოშობა ბაბილონში

ბაბილონი ბერძნულად „ღმერთის კარიბჭეს“ ნიშნავს და შუამდინარეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს სახელწოდებაა. ძველ ეგვიპტეში სახელმწიფოს წარმოშობის პარალელურად, IV-III ათასწლეულების მიჯნაზე, მდინარეების — ტიგროსისა და ევფრატის აუზებში, ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ ერთიანი ბაბილონის სახელმწიფოს წარმოშობამდე, IV ათასწლეულის შუა წლებში, ჩამოყალიბდა რამდენიმე ათეული ქალაქ-სახელმწიფო, თავიანთი საოლქო ცენტრებით. ასეთი სახელმწიფოები იყო: ური, ურუქი, ერიდუ, ლაგაში, ქიში და სხვა. გამუდმებული ბრძოლების შედეგად III ათასწლეულის შუა წლებში გაიმარჯვა ლაგაშის სამეფომ, რომელიც არსებობდა 2500-2370 წლებში. ეს ეპოქა ისტორიაში ცნობილია ***შუმერული*** ეპოქის სახელით, რომლის დასასრულს ბაბილონში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება ვინმე ურუქაგინას მეთაურობით (ზოგიერთი ცნობით — ურუინიმგინა). იგი იყო ქვედაფენების წარმომადგენელი და სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. მათ შორის აღსანიშნავია: მფლობელობის აღდგენა სათემო და სატაძრო მიწებზე, რომლებიც დასაკუთრებული ჰქონდათ ზედა ფენებს, გააუქმა თვითნებურად შემოღებული გადასახადები. მაგრამ 6 წლის შემდეგ საზოგადოების ზედაფენამ დაამარცხა ურუქაგინა და ძველი წესრიგი აღადგინა.

შემდგომი პერიოდი შუამდინარეთის ისტორიაში აღინიშნება ***აქადის*** სახელმწიფოს ისტორიით (ძვ.წ. 2369-2230 წწ.). ამ დროს აქადის სახელმწიფო წარმოადგენდა შუამდინარეთის უძლიერეს მონარქიას. დაახლოებით 2230 წელს აქადის სახელმწიფო დაიპყრეს მთიელმა მომთაბარე ტომებმა — გუთიებმა. მათი ბატონობა დაახლოებით 100 წელს გაგრძელდა. შემდეგ შუამდინარეთში ვხვდებით ***ურის*** სახელმწიფოს (ძვ.წ. 2024-1232 წწ.). ეს იყო შუამდინა-

რეთის უმაგალითო აყვავების პერიოდი, მაგრამ III ათასწლეულის ბოლოს, დაახლოებით 2000 წელს, ურის სამეფო დაეცა მომთაბარე ტომების შემოსევის შედეგად. ამის შემდეგ იწყება ***ძველბაბილონური*** ხანა, რომელიც მოიცავს პერიოდს 2000-დან-1600 წლამდე. ძველი ბაბილონის სამეფომ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია მეფე ხამურაბის დროს. ხამურაბის მეფობის უკანასკნელ წელს, 1750 წ., ბაბილონის სახელმწიფო დაიპყრეს მომთაბარე ტომებმა, კასიტებმა, რომელთა ბატონობამ დაახლოებით 500 წ. გასტანა. ძვ.წ. XII-VII საუკუნეებში ბაბილონი ასურეთის სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. VII საუკუნის ბოლოს ბაბილონმა შეძლო თავი დაეხსნა ასურეთის ბატონობისაგან, მაგრამ დაახლოებით 548 წელს სპარსეთის ძლიერმა მონარქიამ დაიპყრო, რითაც დამთავრდა ბაბილონის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ისტორია. როდესაც ბაბილონის ძლიერება სხვა ქალაქ-სახელმწიფოებზე ვრცელდებოდა, მას ბაბილონეთადაც მოიხსენიებდნენ. ამიტომ ბაბილონეთის სახელმწიფოს პერიოდიზაცია ოდნავ განსხვავებულად წარმოდგება სახელმწიფოთმცოდნეთა ნაშრომებში: 1. შუმერების და აქადის პერიოდი (ძვ.წ. III ათასწ.); 2. ძველბაბილონური ხანა (ძვ.წ. 1895-1518 წწ.); 3.კასიტური პერიოდი (ძვ.წ. 1518-1204 წწ.); 4.პოლიტიკური დაქვეითების ხანა (ძვ.წ. 1204-626 წწ.); 5. ახალბაბილონური სამეფო (ძვ.წ. 626-539 წწ.).

§ 9. ბაბილონის სახელმწიფო წყობილება

ბაბილონის სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს სათემო და სატაძრო საკუთრება წარმოადგენდა. როდესაც ბაბილონის სახელმწიფო წყობილებაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ ბაბილონი ხამურაბის ეპოქაში, რადგანაც ისტორიული დოკუმენტები ამ ეპოქიდან მოგვეპოვება.

ბაბილონის **სახელმწიფო წყობილება** შემდეგი სტრუქტურით წარმოგვიდგება:

1. სათავეში იდგა განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურ-

ვილი მეფე – ***პატესი***. როცა პატესის ხელისუფლება რამდენიმე სახელმწიფო-ქალაქზე ვრცელდებოდა, მას ემატებოდა ***ლუგალის*** ხარისხი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იყო გაერთიანებული ბაბილონის სახელმწიფოს მეთაური. ეტიმოლოგიურად ლუგალი ნიშნავს დიდკაცს. ბაბილონური წყაროების მიხედვით პატეს-ლუგალი ისეთივე პირია სახელმწიფოში, როგორც ფარაონი ეგვიპტეში. პატეს-ლუგალს ეკუთვნოდა სახელმწიფოში უმაღლესი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო, სამხედრო და სასულიერო ხელისუფლება. მეფე სათავეში ედგა ძველი ბაბილონის ღვთაებას პანფონს, ანუ ღვთის მსახურებს. ყოველ ქალაქს, ანუ პატარა სახელმწიფოს, თავისი ღვთაება ჰყავდა. ყველა ამ ღვთაებათა მეთაური პატესი იყო. ხამურაბის კანონების შესავალში პატესი შემდეგი ეპითეტებითაა შემკული: „ბაბილონის მზე", „ქვეყნის ოთხი ნაწილის მფარველი", „სიცოცხლის მომნიჭებელი", „წინასწარმეტყველებათა შემსრულებელი". მეფის პიროვნება იმდენად გაღმერთებული იყო ბაბილონში, რომ მათ ღმერთის სახელს არქმევდნენ.

როგორც უმაღლესი კანონმდებელი, პატესი გამოსცემდა კანონებს: მისი ყოველი სიტყვა კანონი იყო. იგი სათავეში ედგა ქვეყნის სახელმწიფო აპარატს, ე.ი. იყო უმაღლესი გამგებელი. განახორციელებდა მართლმსაჯულებას, ე.ი. იყო უზენაესი მსაჯული. სათავეში ედგა არმიას, ე.ი. იყო უმაღლესი მხედართმთავარი. დაბოლოს, სათავეში ედგა კულტის მსახურთ, ე.ი. იყო ქურუმთხუცესი, ანუ მღვდელთმთავარი.

2. ***ნუბანდა***. ასე ეწოდებოდა უმაღლესი თანამდებობის პირს სამეფო კარზე, რომელიც სასახლის მმართველად ითვლებოდა. იგი ახორციელებდა შემდეგ ძირითად ფუნქციებს: ხელმძღვანელობდა სარწყავი სისტემების მოწესრიგებას, იყო მეფის ხაზინადარი, სამეფო კარის გამგებელი, მთავარი ნოტარიუსი, ჯარების სარდალი, მას ექვემდებარებოდა ადგილობრივი მმართველობა.

3. ***ისაკუ*** — იყო მეფის ერთ-ერთი მოადგილე, რომელიც ახორციელებდა ზედამხედველობას ქალაქის მმართველობაზე. აგრეთვე ხელმძღვანელობდა მეურნეობას.

4. ***მოხელეთა აპარატი.*** აქ შედიოდნენ სამეფო კანცელარიის მუშაკები და სამეფო კარის სხვა მსახურები. აქვე შედიოდნენ ქურუმები, რომლებიც კულტის სამსახურს ახორციელებდნენ. გარდა ამისა, ადგილებზე იყვნენ სპეციალური საფინანსო და საპოლიციო დარგის აგენტები, რომლებიც განაგებდნენ გადასახადების აკრეფის საკითხებს, დამნაშავეთა შეპყრობას ახორციელებდნენ და ა.შ. ამას ემატებოდა სამეურნეო მუშაკები, საზოგადოებრივი საწყობების მცველები.

სახელმწიფო აპარატის განუყრელ ნაწილს შეადგენდა არმია. მუდმივი დაქირავებული არმია ჩამოყალიბდა მეფე ხამურაბის დროს. ხამურაბის კანონებიდან ირკვევა, რომ ბაბილონში არსებობდა სამხედრო მეთაურთა სხვადასხვა კატეგორია.

ასეთი იყო მმართველობის ცენტრალური სისტემა ბაბილონში. რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას***, იგი შეიქმნა მას შემდეგ, როცა შუამდინარეთში პატარა-პატარა სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემდეგ ძლიერი ბაბილონური სახელმწიფო შეიქმნა. მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო ტერიტორიულ ოლქებად, რომელთაც სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული მმართველი — ***შაკანაკუმი.*** ოლქები თავის მხრივ იყოფოდა ტერიტორიულ თემებად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ***რაბიანუმი.*** როცა ბაბილონი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო, ადგილობრივი საოლქო მმართველობა თითქმის არ სარგებლობდა დამოუკიდებლობით, ხოლო, როცა ცენტრალური სახელმწიფო დაიშლებოდა, მაშინ საოლქო მმართველები თავის თავს ადგილობრივ მეფეებად თვლიდნენ.

§ 10. ბაბილონის საზოგადოებრივი წყობილება

ძველ ბაბილონურ სახელმწიფოში მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორია არსებობდა:

1. ***ავილუმები*** — სიტყვასიტყვით ავილუმი ნიშნავს კაცის შვილს, „ძეს კაცისას". აქ იგულისხმება თავისუფალი და სრულუ-

ფლებიანი ბაბილონელი მოქალაქე, რომელიც ფლობდა მიწას საადგილმამულო თემში. ხამურაბის კანონებში ავილუმი წარმოდგენილია, როგორც პრივილეგიური წოდება. ისინი ფლობენ მიწებს, მონებს, სახნავ-სათესებს და სხვა.

2. ***მუშქენუ*** — საზოგადოების ზედაფენას შეადგენდა და მისი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ არ ჰქონდა მიწის ნაკვეთების მფლობელობა საადგილმამულო თემში. სიტყვასიტყვით მუშქენუ „წვრილ ერს" ნიშნავს. მოსახლეობის ამ კატეგორიაში იგულისხმებოდა უმთავრესად სამეფო კარის მსახურები, რომელთაც სამსახურის შესრულების პირობით მეფე აძლევდა სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთებს, მაგრამ ეს მიწები მათ საკუთრებას არ წარმოადგენდა. მიწის მესაკუთრედ მეფე რჩებოდა. მეშქუნუმს მიწა მხოლოდ დასამუშავებლად ეძლეოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ასრულებდა სამეფო კარის სამსახურს. ხამურაბის კანონებიდან ირკვევა, რომ ავილუმსა და მუშქენუმს შორის უფლებრივი განსხვავება იყო. მაგ., თუ ვინმე ავილუმს თვალს დაუზიანებდა, ასეთ შემთხვევაში მოქმედებდა ტალიონის პრინციპი — „თვალი თვალისა წილ", ხოლო თუ ვინმე მუშქენუმს დაუზიანებდა თვალს, ამ შემთხვევაში ტალიონის პრინციპი აღარ მოქმედებდა. დამნაშავე მხოლოდ საზღაურს იხდიდა ჩადენილი დანაშაულისათვის. მუშქენუმების შესახებ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ ისინი მეფის მსახურთა შემადგენლობაში შედიოდა.

3. ***ქურუმები*** —, ანუ კულტის მსახურნი ბაბილონში, პრივილეგიური წოდება შედიოდა. ეკლესია-ტაძრების საკუთრებაში უამრავი სახნავ-სათესი მიწები იყო. ყოველ ოლქში ყოველ ტაძარს თავისი ადგილობრივი ღვთაება ჰყავდა, რომლის მსახურები უდიდეს იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ მოსახლეობაზე.

4. ***თამქარი***. ეს იყო დიდვაჭართა კატეგორია. ვაჭართა ზედაფენა პრივილეგიური უფლებებით სარგებლობდა. ვაჭართა მეორე კატეგორიას ***შამალუმები*** წარმოადგენდნენ. თამქარსა და შამალუმს შორის იდებოდა სავაჭრო ხელშეკრულება. შამალუმთა კატეგორია წვრილმან ვაჭართა კატეგორიაა, რომლებიც სავაჭრო აგენტები იყვნენ და თამქარის დავალებით მიდიოდნენ სავაჭროდ

შორეულ ქვეყნებში. ხამურაბის კანონებიდან ჩანს, რომ თამქარს მონები ჰყავდა, შამალუმს – არა.

5. *ვარდუმები*. ეს იყო უუფლებო ფენა — მონათა კატეგორია. მონობის წყაროს ძველბაბილონში შეადგენდნენ სამხედრო ტყვეები, გაღატაკებული წვრილიმწარმოებლები, შთამომავლობით მონები, სავალო კაბალაში გადაცემულნი (ვალაუვალი მევალე), სასამართლოს მიერ მონებად მსჯავრდებული პირები.

§ 11. ბაბილონური სამართლის წყაროები

ბაბილონური სამართლის წყაროებია:

1. *ადათი*. ხამურაბის კანონების გაცნობისას ნათელი ხდება, რომ გადმონაშთის სახით ამ კანონებში შენარჩუნებულია გვაროვნული წყობილების ბევრი წეს-ჩვეულება, რომელთა შორის აღსანიშნავია კოლექტიური პასუხისმგებლობა. გვაროვნული წყობილების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ურთიერთთავდებობა და აქედან გამომდინარე, სისხლის აღების ადათი. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ეს ადათი შენარჩუნებულ იქნა თავისებური სახეცვლილებით. ხამურაბის კანონები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებდა არა მარტო დამნაშავეს, არამედ დამნაშავის ოჯახის წევრებსაც. ისჯებოდნენ მშობლები შვილების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ შვილი მართლმსაჯულებას თავს აარიდებდა და პირიქით. უფრო მეტიც, თუ დამნაშავეს ვერ აღმოაჩენდნენ, მთელი თემი აგებდა პასუხს სისხლის სამართლის წესით. შემდეგი ჩვეულებაა ე.წ. „ტალიონის პრინციპი“. „დაბადების“, ანუ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში ეს პრინციპი გადმოცემულია შემდეგნაირად: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ფერხი ფერხისა წილ, ხელი ხელისა წილ, განტეხა განტეხისა წილ“. ე.ი. ტალიონის პრინციპი გულისხმობს დამნაშავისათვის ისეთივე ზიანის მიყენებას, რაც მას მიადგა. ხამურაბის კანონებში ტალიონის პრინციპი გათვალისწინებულია, მაგრამ მისი მოქმედება ვრცელდება თანაბარი სოციალური მდგომარეობის ადამიანებზე.

ხოლო, თუ სოციალურად დაბლა მდგომმა დანაშაული ჩაიდინა ზემდგომის მიმართ, მაშინ მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ხამურაბის კანონების მიხედვით შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი ჩვეულება, როგორიცაა სისხლის დაურვება. სისხლის აღების ჩვეულების ნაცვლად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა დანაშაულის გამოსყიდვა გარკვეული საფასურით, საზღაურით. სწორედ ეს საზღაური ითვლება სისხლის დაურვებად. სისხლი არის ფულადი ან ქონებრივი საზღაური, რომელიც დამნაშავემ, მისმა ოჯახმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ან მის ოჯახს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის ქონებრივი ან უფლებრივი მდგომარების მიხედვით. ევროპულ სამართალში სისხლის დაურვებას კომპოზიცია ეწოდება, რაც სიტყვასიტყვით ანაზღაურებას ნიშნავს. სისხლის დაურვება, როგორც სასჯელი, გავრცელებული იყო ქართულ სამართალშიც. ქართული სამართლის წყაროები, მოყოლებული XIX საუკუნიდან XI საუკუნემდე, ფართოდ იყენებდა სისხლის დაურვების სისტემას.

ადათ-ჩვეულებებიდან შეგვიძლია კიდევ დავასახელოთ დამნაშავის თემიდან გაძევება. ეს ჩვეულება გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობდა. დამნაშავე წევრს გვარი მოიკვეთდა, გააძევებდა, ყოველგვარ უფლებებს აყრიდა. ამის შემდეგ ყველას შეეძლო დაუსჯელად მისი მოკვლა. საპატარძლოს მოტაცებაც იყო გვაროვნული წყობილებიდან გადმოსული ჩვეულება, რაც კიდევაც დაკანონდა ხამურაბის კანონებით. გარკვეულ პერიოდში საპატარძლოს მოტაცება შეიცვალა საპატარძლოს გამოსასყიდით — ვაჟის მშობლები ქალის მშობლებს უხდიდნენ თერხათუმს, ანუ საქორწინო გამოსასყიდს. ადათობრივი სამართლის ინსტიტუტებია აგრეთვე შერიქთუმი, ანუ მზითვი, რომელიც ქალს მამისგან ეძლეოდა, და ბიბლუმი, ანუ საქორწინო საჩუქარი.

ბევრი ძველი ადათი საპროცესო სამართლის ნორმებშიც დამკვიდრდა. მაგ., ფიცი და ორდალი, ანუ სასამართლო გამოცდა.

2. ***კანონი.*** საისტორიო წყაროებით დგინდება, რომ ძველ ბაბილონში, ჯერ კიდევ III ათასწლეულში ე.წ. შუმერულ ეპოქაში, არსებობდა არა მარტო ცალკეული საკანონმდებლო აქტები, არ-

ამედ კანონთა კრებულებიც. ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოღწეულია შუმერული საოჯახო კანონები, რომლებიც უმთავრესად ეხება მშობლებისა და შვილების ურთიერთობებს, აგრეთვე მეუღლეთა ურთიერთობებს. გარდა ამისა, ჩვენამდე მოაღწია აქადის დინასტიის პერიოდის ორმა საკანონმდებლო ძეგლმა: იშნუნის მეფის — ***ბილალამის*** კანონებმა და ისინის მეფის — ***ლიფით-იშთარის*** კანონებმა. ორივე ეს ძეგლი, როგორც მეცნიერებაშია დადგენილი, ძვ.წ. XX საუკუნეს ეკუთვნის. ბილალამის კანონების თითქმის 3/4 შეტანილია ხამურაბის კანონებში. ასევე შეიძლება ითქვას ლიფით-იშთარის კანონებზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია ასევე ხამურაბის კანონებში. ბაბილონური სამართლის მკვლევარების აზრით, ბილალამისა და ლიფით-იშთარის კანონები ორიგინალურ ტექსტს კი არ წარმოადგენდა, არამედ კანონთა კრებულებია, რომლებიც სასწავლო მიზნითაა შედგენილი[1].

ცალკე განვიხილოთ ხამურაბის კანონები, როგორც კაცობრიობის ისტორიაში უძველესი სამართლებრივი აქტი.

ხამურაბის კოდექსი აღმოაჩინა საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ახ.წ. 1901 წელს ქალაქ სუზაში (სპარსეთში). ეს ქალაქი ერთ დროს ძველი ელამის სახელმწიფოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა. როცა ბაბილონი სპარსელებმა დაიპყრეს და იგი დასუსტდა (ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს), მაშინ ბაბილონის ტაძრიდან გაიტაცეს კანონთა ტექსტიც. იგი დაწერილია ქვის სტელაზე ორივე მხარეს. ძეგლის სიმაღლე 2 მეტრს უდრის, სიგანე 1,5 მ. ორივე მხარეს ტექსტი ლურსმული დამწერლობითაა შესრულებული. ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ ეს დამწერლობა გაიშიფრა 1857 წელს და ძეგლი აღმოჩენისთანავე წაიღო ექსპედიციამ საფრანგეთში. ერთი წლის შემდეგ გამოჩენილმა ასირიოლოგმა შეირმა გამოსცა ძეგლი პარალელური ტექსტით. ერთ მხარეზე იყო ლურსმული დამწერლობა, მეორეზე – ფრანგული თარგმანი. კანონთა ტექსტი დედანში მუხლებად არის დაყოფილი. შინაარსის მიხედვით შეირმა მიიჩნია, რომ ძეგლი შეიძლება მუხლებად დაიყოს. ეს დაყოფა, მართალია პირობითია, მაგრამ მეცნიერთა მიერ

1 Gadd C. J. Hammurabi and the end of his dynasty, Camb., 1965; Gordon C. H., Hammurabi's code, N. Y., 1957; Code de Hammurapi, Limoges, 1973.

იგი გაზიარებულია.

ვიდრე კანონის სისტემაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ ძეგლის ზოგიერთი გარეგანი მხარეც.

ძეგლის თავში გამოსახულია ბაბილონის მეფე ხამურაბი და ძველბაბილონური მზის ღვთაება შამაში, რომელიც გადასცემს ხამურაბს კანონთა გრაგნილს. ამით გამოხატულია, რომ კანონები ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღვთის წყალობაა, შამაშის განგებაა. თვითონ ხამურაბი კანონების პროლოგსა და ეპილოგში არაერთხელ აღნიშნავს, რომ „მე ქვეყნად დავამკვიდრე სამართლიანობა იმ კანონების წყალობით, რომელიც მართლმსაჯულების ღვთაებამ მიბოძა“.

ძეგლი იყოფა სამ ნაწილად: პროლოგი, კანონთა ტექსტი და ეპილოგი. პროლოგში აღწერილია ხამურაბის მიერ ჩატარებული ლაშქრობანი. გადმოცემულია თუ როგორ გააფართოვა მან ბაბილონის სახელმწიფოს საზღვრები და დაუმორჩილა მთელი შუამდინარეთი ბაბილონს. ნათქვამია აგრეთვე სატაძრო მშენებლობებზე, სარწყავ-საირიგაციო სისტემის მოწყობასა და სხვა საკითხებზე. პროლოგი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ხამურაბის კანონების შედგენის შესახებ. ირკვევა, რომ კანონთა კრებული შედგენილ იქნა მას შემდეგ, რაც ხამურაბი გახდა „ქვეყნის ოთხივე ნაწილის მმართველი“. ეს გულისხმობს მთელი შუამდინარეთის გაერთიანებას, რაც ხამურაბის მეფობის ბოლო წლებში მოხდა. ხამურაბი გამეფდა ძვ.წ. 1790 წელს და იმეფა 43 წელი, ე.ი. კანონები შედგენილია ძვ.წ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. გარდა ამისა, პროლოგში აღნიშნულია, რომ მეფემ კანონთა შედგენისას გამოიყენა მის მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები.

კანონთა ტექსტი იყოფა 282 მუხლად. მაგრამ ძეგლს მთლიანად ჩვენამდე არ მოუღწევია. რაც ძეგლი სპარსელებმა გაიტაცეს, ელამის მეფის განკარგულებით, მასში ამოფხიკეს რამდენიმე მუხლი. ამჟამად კანონებს აკლია 24 მუხლი. ძეგლის დედანი დაცულია პარიზში, ხოლო თაბაშირში ჩამოსხმული პირი ინახება მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

კანონთა სისტემა პირობითად შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ: 1-5 მუხლები ეხება სასამართლო წყობილების საკითხებს, მოპასუხის სასამართლოში დაბარებას და სხვა. 6-126-ე მუხლები ეხებიან საკუთრების დაცვის საკითხებს. კერძოდ, ეს მუხლები ადგენენ პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, ძარცვისათვის, პასუხისმგებლობას ხეების გაჩეხვისათვის, მინდვრის გათიბვისათვის და ა.შ. აქვე შედის სხვისი საკუთრების სარგებლობის მარეგულირებელი ნორმებიც. 127-195-ე მუხლები აწესრიგებენ საქორწინო და საოჯახო სამართლის საკითხებს. 196-214-ე მუხლები შეეხება პიროვნებისა და მისი ჯანმრთელობის დაცვას. 215-282-ე — შრომის დაცვის საკითხებს. ძირითადად ეს ნაწილი კაზუისტურ პრინციპზეა აგებული. ეხება ექიმის, ვეტერინარის, მშენებლის პასუხისმგებლობას ცუდად შესრულებული სამუშაოსათვის და ა.შ. დაქირავებული შრომის გამოყენებას, გირავნობის საკითხებს და სხვა.

ასეთია ძირითადად ხამურაბის კანონების პირობითი სისტემიზაცია. იგი თავისი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, აღემატება ყველა ძველი დროის საკანონმდებლო ძეგლს და წარმოადგენს ანტიკურ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის გვირგვინს. აღმოჩენისთანავე ხამურაბის კანონები თარგმნილი იქნა ევროპულ ენებზე. 1904 წელს გერმანელმა ასირიოლოგმა – ბ. მეისნერმა გამოაქვეყნა კანონთა გერმანული თარგმანი, ხოლო 1909 წელს — ა. უნგნადმა. უნგნადის გერმანული თარგმანი ერთერთ საუკეთესოდ ითვლება. არსებობს აგრეთვე ი.კოლერის, პ. კოშაკერის, პ. კრიუველიეს თარგმანები. 1950 წელს ამერიკაში ტ.მიკის მიერ ინგლისურ ენაზე ითარგმნა, 1956 წელს გ. დრაივერისა და ჯ. მაილზის მიერ ინგლისური კომენტარებით. რუსულად 1914 წ. ი.ვოლკოვმა გამოაქვეყნა, ხოლო 1952 წ. – ი. დიაკონოვმა. ქართულად იგი გამოვიდა 1935 წელს რუსული თარგმანის მიხედვით, შემდეგ 1961 წელს. ხოლო 1988 წელს პირდაპირ აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ. ხამურაბის კანონებმა საკმაოდ ნათლად გამიჯნეს ერთმანეთისგან სამართალი და რელიგია. ამ მხრივ იგი შუა საუკუნეების სამართლებრივ

ძეგლებზეც მაღლა იდგა.

3. ***მეფეთა განაწესი.*** იყო ცალკეულ საკითხებზე გამოცემული მეფის ბრძანებულება, რომელსაც ჩვეულებრივად განწესება ეწოდებოდა. იგი ეხებოდა კონკრეტულ საქმეებს. მაგ., ნატურით სესხის გადახდის დროს (ხორბლის) რამდენი პროცენტი უნდა გადაეხადა მსესხებელს, ანდა ქირავნობის ხელშეკრულების დროს სამუშაოს სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით რა გასამრჯელო უნდა მიეღო დაქირავებულს. ხამურაბის კანონებში ვხვდებით ასეთ მითითებებს: თუ ასეთი და ასეთი ხელშეკრულებაა დადებული, მაშინ ერთ-ერთმა მხარემ ამდენი და ამდენი უნდა გადაიხადოს თანახმად „მეფის კანონისა". სწორედ ამ კანონში იგულისხმება ის ბრძანებულება ან განკარგულება, რომელიც რაიმე კონკრეტულ საქმეს ეხება.

აღსანიშნავია, რომ ხამურაბის წინდროინდელ მეფეთა განაწესები მეტად მცირე რაოდენობით არის შემონახული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადრე გამოცემულ განაწესთა დიდი ნაწილი ხამურაბიმ გააუქმა ან შეიტანა თავის კანონთა წიგნში. ხამურაბის შემდგომდროინდელი მეფეების მიერ გამოცემული განაწესებიდან ჩვენამდე ბევრმა მათგანმა მოაღწია.

ბაბილონის პირველი დინასტიის მეფეები განაწესებს გამოსცემდნენ იმისათვის, რომ განსაზღვრული ყოფილიყო სხვადასხვა კერძოუფლებრივი ურთიერთობანი და გარიგებანი. ხშირად განაწესი გამოიცემოდა ფასების, ტარიფების განსაზღვრის, გარკვეული იურიდიული კაზუსებისათვის პროცედურული წესების დადგენის ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ფორმულა „თანახმად მეფის განაწესისა" მოხსენებულია ხამურაბის მიერ თავისი ხელქვეითი მოხელეებისადმი გაგზავნილ ზოგიერთ წერილში. ერთ-ერთ წერილში მეფე ხამურაბი ავალებს ლარსის მმართველს სინ-იდინამს, რომ მან მეფეთა განაწესის თანახმად განსაჯოს ორი საქმე: ხარის უკანონო წართმევისა და სხეულის დაზიანებისა. აქედან ჩანს, რომ ადგილებზე ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, რომლებიც სასამართლო ფუნ-

ქციებსაც ახორციელებდნენ, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ჰქონდათ სათანადო „განაწესი“.

როგორც ჩანს, „განაწესები“ მრავალნაირი იყო, ისევე, როგორც მრავალნაირი იყო კერძო უფლებრივი გარიგებანი და კაზუსები. ამრიგად „მეფის განაწესი“ ბაბილონური სამართლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა.

4. ***მეფეთა წერილები***. ბაბილონური ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულია მეფეთა წერილები. ადგილობრივი ოლქის მმართველს მეფე უგზავნიდა წერილს, ანუ ინსტრუქციას, რომლითაც აცნობებდა, თუ რა სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო სარწყავი, საირიგაციო სისტემის მოსაგვარებლად. მრავალრიცხოვანი წერილებია მოღწეული ხამურაბის მეფობის ეპოქიდან. ასეთი წერილები ჩვენ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ბაბილონური სამართლის ცალკეული ინსტიტუტები. კერძოდ, სამეურნეო, ადმინისტრაციული სამართლიდან და ა.შ.

5. ***კერძო-სამართლებრივი აქტები***. აქ იგულისხმება ყოველგვარი ხელშეკრულების ტექსტი, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვა, ქირავნობა, სესხი, ამხანაგობა, ნივთის შესანახად მიბარება და სხვა. ასეთი გარიგებები ჩვეულებრივად თიხის ფირფიტებზე იწერებოდა. ისინი წარმოადგენდნენ იურიდიულ საბუთებს და დავის შემთხვევაში სასამართლოში გამოიყენებოდა როგორც დამამტკიცებელი საბუთი. ჩვენამდე მოღწეული ეს საბუთები გვეხმარება კერძო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა შესწავლაში.

6. ***სასამართლო პრაქტიკა***. ხამურაბის კანონების პროლოგიდან და ეპილოგიდან ჩანს, რომ ხამურაბის ეპოქაში სამართლის სხვა წყაროებს შორის მნიშვნელოვანი იყო სასამართლო პრაქტიკა. პროლოგში ხამურაბი ამბობს, ვინც ჩემს კანონებს წაიკითხავს, იგი დაინახავს სასამართლო განჩინებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამომქონდა სხვადასხვა საქმეზეო. მართლაც, როცა ჩვენ ვეცნობით ხამურაბის კანონებს, ვხედავთ, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილებათა ჩანაწერს.

ძველბაბილონური სამართლის წიგნები შედგენილია კაზუის-

ტური პრინციპის საფუძველზე. კრებულების კაზუისტური ხასიათი, სამართლებრივი ნორმების განზოგადებათა მოუხდენლად გადმოცემა აიხსნება იურიდიული ცოდნისა და მართლშეგნების მაშინდელი, საწყისი დონით[1]. მართალია, ბაბილონური სამართლის წიგნებში სამოქალაქო, სისხლისა და პროცესის საკითხები გამიჯნული არ არის, მაგრამ დღევანდელი თვალთახედვიდან გამომდინარე, შეიძლება კანონთა მუხლები ცალკეული დარგების მიხედვით განვიხილოთ.

§ 12. სამართალგანვითარება ბაბილონში

საკუთრების სამართალი. ***საკუთრების ობიექტს*** ძველ ბაბილონში წარმოადგენდა მიწები და მონები, რომლებიც უმთავრესად კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდა. მიწებისა და მონების მესაკუთრე იყო სახელმწიფო, ტაძრები და საოლქო ადმინისტრაცია. ხამურაბის კანონებიდან ჩანს, რომ ბაბილონში არსებობდა საკუთრების სპეციალური სახე, რომელსაც ***ილკუ*** ქონება ეწოდებოდა. ეს იყო ქონების ის კატეგორია, რომელიც სამხედრო მსახურთა განკარგულებაში იყო. ასეთ ობიექტებს წარმოადგენდა: სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ბაღები, საქონელი და სხვა. ეს ქონება სამხედრო მოსამსახურეს ეძლეოდა სამუშაოს შესრულების პირობით, მაგრამ, თუ იგი სამხედრო სამსახურს არ შეასრულებდა, მაშინ კარგავდა უფლებას ქონებაზე. ილკუ ქონება სამხედრო მოსამსახურეთა საკუთრებას არ წარმოადგენდა. მათ არ შეეძლოთ მისი გასხვისება. ეს ქონება სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იყო. ამავე დროს ხამურაბის კანონებში აღნიშნულია, რომ, თუ სამხედრო პირი მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს არ დაამუშავებს და მოსავალს არ მოიყვანს, მაშინ სამი წლის შემდეგ იგი კარგავს მფლობელობის უფლებას ამ მიწაზე.

ვალდებულებითი სამართალი. სამოქალაქო სამართლის შემ-

1 Richardson, M.E.J. Hammurabi's Laws: Text, Translation and Glossary (Academic Paperback) , 2000, p. 122.

დეგ ინსტიტუტს, რომელიც ხამურაბის კანონების მიხედვით უნდა განვიხილოთ, ვალდებულება წარმოადგენს. ცნობილია, რომ ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან და ზიანის მიყენებიდან. ხამურაბის ეპოქაში, როგორც ჩანს, ფართო სახელშეკრულებო ურთიერთობანი იყო განვითარებული. არსებობდა ***ყიდვა-გაყიდვის*** ხელშეკრულება, რომლის ობიექტს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება შეადგენდა. იყიდებოდა მიწა, სახნავ-სათესები, ბაღები, ყანები, საცხოვრებელი სახლები და სხვა. ზოგიერთი ობიექტი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იყო, ე.ი. არ შეიძლებოდა მისი გასხვისება. ასეთი იყო საერთო საკუთრების მიწები (სახელმწიფო, სატაძრო და ტერიტორიული ოლქების საკუთრებაში არსებული მიწები). სამოქალაქო ბრუნვიდან იყო ამოღებული ილკუ ქონებაც, ქვრივი ქალის მზითევი, რომელიც მან მიიტანა ქმრის ოჯახში.

ხელშეკრულების სხვა სახეს ბაბილონში წარმოადგენდა ***სესხი***. ხამურაბის კანონებით დადგენილია წესი, რომ დებიტორს, ე.ი. მსესხებელს, შეუძლია ყოველგვარი ვალი გადაიხადოს, თუ იგი სამი წლის განმავლობაში იმუშავებს კრედიტორის სასარგებლოდ, ე.ი. კანონმა დაუშვა შესაძლებლობა, რომ ვალის ანაზღაურება შეიძლება მუშაობით 3 წლის განმავლობაში.

ხელშეკრულების კიდევ ერთი სახეა ***ქირავნობა***. ქირავნობა შეიძლება როგორც ნივთის, ასევე სამუშაო ძალისა, ე.ი. შეიძლება დაქირავებულ იქნეს როგორც მონა, ისე თავისუფალი ადამიანიც და აგრეთვე სამუშაო საქონელიც. ნივთის ქირავნობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს, რომ დამქირავებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და ამავე დროს, დაუზიანებლად დაუბრუნოს ნივთი თავის პატრონს. თუ ეს პირობები დაირღვეოდა, მაშინ დამქირავებელს პასუხი უნდა ეგო სამოქალაქო წესით.

ხამურაბის კანონებში ვხვდებით აგრეთვე ნივთის ***შესანახად მიბარების ხელშეკრულებას***. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ყოფილიყო როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო. ნივთის პატრონს ნივთის შენახვისათვის განსაზღვრული საზღაური უნდა

გადაეხადა.არის აგრეთვე ***ამხანაგობის ხელშეკრულება,*** რომელიც ხამურაბის კანონების 99-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ამ მუხლში ნათქვამია: ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებმა „თანაბრად უნდა გაიყონ მოგება და ზარალი“.

დაბოლოს, ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა ***თამქარის ხელშეკრულება შამალუმთან.*** თამქარი დიდვაჭარია, ხოლო შამალუმი სავაჭრო აგენტი. ხელშეკრულების საფუძველზე შამალუმი იღებდა თამქარისაგან პროდუქტებს, ფულს და მიემგზავრებოდა შორეულ ქვეყნებში აღებმიცემობის საწარმოებლად. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო ორმხრივი ვალდებულება. თუ შამალუმი არ შეასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას ზარალი ორმაგად უნდა აენაზღაურებინა.

ასეთი იყო ხელშეკრულების ძირითადი სახეები ხამურაბის კანონების მიხედვით. რაც შეეხება ვალდებულების წარმოშობის მეორე საფუძველს — ***ზიანის მიყენებას,*** ხამურაბის კანონებში რამდენიმე ასეთი შემთხვევაა გათვალისწინებული: თუ სარწყავი არხის პატრონმა არხის ჯებირი დროზე არ გაამაგრა, რასაც შედეგად მოჰყვა არხის ჯებირის განგრევა და მეზობლის ყანის წალეკვა, ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი მხარე ვალდებულია ყანის პატრონს აუნაზღაუროს ზიანი. უკეთუ პირუტყვი ყანას წაახდენს, პირუტყვის პატრონი ვალდებულია ყანის პატრონს აუნაზღაუროს ზიანი. თუ დაუდევრობის გამო აღმა მიმავალი გემი შეეჯახება დაღმა მიმავალს, მაშინ ხომალდის პატრონს ბრალეულმა მხარემ ზიანი უნდა აუნაზღაუროს. ასეთია ყველა ის შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია ხამურაბის კანონებში ზიანის მიყენების შედეგად ვალდებულების წარმოშობისათვის.

საოჯახო სამართალი. ხამურაბის კანონების მიხედვით ქორწინება წერილობითი ხელშეკრულება იყო, რომელიც იდებოდა სასიძოსა და საპატარძლოს მშობლებს შორის ჯერ კიდევ მათი მცირეწლოვნობის დროს. ქორწინება ამ დროს მონოგამიურ სახეს ატარებდა. კანონით არ იყო დაშვებული მრავალცოლიანობა. ქორწინების ნამდვილობისათვის საჭირო იყო შემდეგი პირობების დაცვა:

1. სასიძოს მშობლებს საპატარძლოს მშობლებისათვის უნდა მიეტანათ საქორწინო საჩუქარი — ***ბიბლუმი***. ასეთი საჩუქარი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ნივთების, ისე ფულის სახითაც. ვაჟის მშობლებს ქალის მშობლებისათვის უნდა მიეცათ საპატარძლოს გამოსასყიდი ფასი — ***თერხათუმი***. ეს მხოლოდ ფულადი სახით გადაიხდებოდა. თუ ამის შემდეგ სასიძო ან მისი მშობლები უარს იტყოდნენ საპატარძლოს შერთვაზე, საქორწინო საჩუქარი და საპატარძლოს გამოსასყიდი თანხა დაკარგულად ითვლებოდა. მაგრამ თუ საპატარძლოს მშობლები იტყოდნენ უარს ქალის მითხოვებაზე, მაშინ ორმაგად უნდა გადაეხადათ საქორწინო საჩუქარი და საპატარძლოს გამოსასყიდი. ქორწინების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქალის მზითევს — ***შერიქათუმს***. ფაქტობრივი თანაცხოვრება მამაკაცისა ქალთან როგორც ქორწინება, არანამდვილად ითვლებოდა. ამის შესახებ ხამურაბის კანონებში პირდაპირაა ნათქვამი: „უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა".

რაც შეეხება საოჯახო სამართლის ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა ***განქორწინება***, ხამურაბის კანონების მიხედვით, როგორც წესი, იგი აკრძალული იყო, მაგრამ არსებობდა ზოგიერთი გამონაკლისი. მაგ., ქმარი თუ თემიდან გადაიხვეწებოდა, ან ლაშქრობის დროს ტყვედ ჩავარდებოდა, ქალს უფლება ჰქონდა განქორწინება მოეთხოვა. ქმარს თავის მხრივ, ზოგ შემთხვევაში თავისუფლად შეეძლო გაშორებოდა ცოლს: თუ ცოლი ქმრის ოჯახში დაიწყებდა სელგაშლილად ცხოვრებას და თავისი ქმრის შერცხვენას, ქმარს შეეძლოგაშორებოდა ან არ გაშორებოდა და შეერთო სხვა ცოლი, ხოლო პირველი ცოლი თავისი ქმრის სახლში დარჩებოდა როგორც მხევალი. ქმარს უფლება ჰქონდა მიეტოვებინა უშვილო ცოლი, მაგრამ, ამასთანავე, ვალდებული იყო მიეცა მას გამოსასყიდი თანხის ოდენობა და დაებრუნებინა მზითევი, რაც ქალმა თავისი მამის სახლიდან მიიტანა. ერთგულების დარღვევისათვის ქალი და კაცი სხვადასხვა სასჯელით ისჯებოდა. თუ ქმარი სისტემატურად ღალატობდა ცოლს, ამ უკანასკნელს შეეძლო წაეღო თავისი მზითევი და სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ, თუ ცოლი

უღალატებდა ქმარს, მას ამისათვის წყალში ახრჩობდნენ. ხშირად საქორწინო კონტრაქტებში პირობად დებდნენ, რომ, თუ ცოლი ქმარს უღალატებდა, მაშინ ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა დაედაღა ქალი და მონად გაეყიდა.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა, როგორც სამართლებრივი რეგულირების სფერო, პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. მამას შეეძლო შვილის გაყიდვა, ანდა მისი სავალო კაბალაში მიცემა, შეეძლო აგრეთვე შვილისათვის ჩამოერთმია მემკვიდრეობა.

ხამურაბის კანონებში ვხვდებით მემკვიდრეობის ორ სახეს: ***ანდერძით მემკვიდრეობასა*** და ***კანონით მემკვიდრეობას***. კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ შვილები და შვილიშვილები, თუ ასეთები არ იყვნენ, მაშინ მემკვიდრეობას გარდაცვლილის ძმები ღებულობდნენ. თუ არც ისინი იყვნენ, მაშინ — მამის ძმები. რაც შეეხებათ ვაჟიშვილებს, ისინი თანაბრად ინაწილებდნენ მემკვიდრეობას, მაგრამ უმცროსი ძმა სამკვიდრო წილის გარდა ღებულობდა საქორწინო გამოსასყიდსაც. ქალები მემკვიდრეობის სახით მხოლოდ მზითევს ღებულობდნენ.

ხამურაბის კანონებით დაშვებული იყო ანდერძით მემკვიდრეობაც, ე.ი. სამკვიდროს დამტოვებელს გარდაცვალების წინ, შეეძლო დაეტოვებინა წერილობითი ან ზეპირი განკარგულება ანდერძის სახით არამემკვიდრე პირისათვის სამკვიდრო ქონებიდან რაიმე ნაწილის გამოყოფის შესახებ.

დანაშაული და სასჯელი. ბაბილონური სამართალი დანაშაულთა შემდეგ ჯგუფებს განასხვავებდა:

1. ***სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები,*** რომელშიც შედიოდა შეთქმულება, ამბოხება, ღალატი, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და ა.შ.

2. ***პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები*** — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ხამურაბის კანონებში ვხვდებით განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობას. განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის კანონებში გათვალისწინებულია სიკვდილით

დასჯა, გაუფრთხილებლობით კი — კომპოზიციის გადახდა (116-ე და 153-ე მუხლები).

3. ***საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები*** — ქურდობა, გაძარცვა, მითვისება, თაღლითობა. კანონი განასხვავებს ქურდობის ორ სახეს: ჩვეულებრივ და კვალიფიციურ ქურდობას. კვალიფიციური გულისხმობს ქურდობას დამამძიმებელ გარემოებებში, მაგ., ქურდობა ღამით ან ქურდობა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ხამურაბის კანონები გაძარცვის შემთხვევაში, თუ მძარცველი არ იქნებოდა აღმოჩენილი, პასუხისმგებლობას აკისრებდა მთელ თემს. დაზარალებულისთვის მთელ თემს უნდა გადაეხადა ნაძარცვი ქონება. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაული, როგორიცაა მითვისება, ხამურაბის კანონების მიხედვით გულისხმობდა მინდობილი ქონების მისაკუთრებაზე პასუხისმგებლობას, მაგ., ხვნა-თესვის დროს თესლის ან გუთნის მითვისებისას პასუხისმგებლობას. კანონი აწესებდა მითვისებული ქონების ორმაგად, ხოლო ზოგჯერ ხუთმაგად გადახდას. რაც შეეხება თაღლითობას, უმეტესწილად ხდებოდა მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. მაგ., ხამურაბის კანონებში აღნიშნულია, რომ, თუ თამქარი უარყოფს ვერცხლის მიღებას შამალუმისაგან და იგი ამაში მხილებულ იქნება, მაშინ ჩადენილი დანაშაული ექვსკეცად უნდა აანაზღაუროს.

4. ***ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები*** — სისხლის აღრევა უახლოეს ნათესავებს შორის, ცოლქმრული ღალატი, რომლის დროს მხოლოდ ცოლი ისჯება, გაუპატიურება და სხვა.

ასეთი სახის დანაშაულებებისათვის შემდეგი კატეგორიის სასჯელები არსებობდა:

1. ***სიკვდილით დასჯა***, რომელიც გათვალისწინებული იყო მძიმე სახელმწიფო დანაშაულისათვის, განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის. სულ ხამურაბის კანონებით 31 სიკვდილით დასჯის შემთხვევაა მოხსენიებული. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონი იცნობს სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს. აქ იგულისხმება სიკვდილით დასჯა ისეთი საშუალებებით, რომელიც განსაკუთრებულ წამებას აყენებდა დამნაშავეს. მაგ., სარზე ჩამოგება

ან ანძაზე აცმა. სასჯელის ეს სახე ცნობილი იყო შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სამართალშიც. აგრეთვე ბიზანტიურ სამართალშიც. დამნაშავეს უკანა ტანით ჩამოაგებდნენ მარგილზე, 1-2 საათის შემდეგ მარგილი ყელის ან გულმკერდის არიდან გარეთ გამოდიოდა. სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეს წარმოადგენდა აგრეთვე დამნაშავის ცეცხლში დაწვა ან ხელ-ფეხის მოგლეჯა. რაც შეეხება ჩვეულებრივ სიკვდილით დასჯას, იგი თავის მოკვეთით სრულდებოდა.

2. ***გამაწბილებელი სასჯელები.*** ამგვარ სასჯელთა ძირითადი დანიშნულება ბრალდებული პირის შერცხვენა იყო და მიზნად ისახავდა მის დამცირებას. ასეთ სასჯელებს განეკუთვნებოდა: უპატიობის ნიშნის დასმა (თმის, წვერის, საფეთქლის გაპარსვა, დაღის დასმა, თავზე ფისის დასხმა) და სხვა.

3. ***დამასახიჩრებელი სასჯელები,*** როგორც წესი, სხეულის რომელიმე ორგანოს მოკვეთით ხორციელდებოდა. მაგ., სამართლის წიგნის მიხედვით, „ენა უნდა მოსჭრან" იმ ნაშვილებს, რომელიც თავის გამზრდელ დედასა და მამას ეტყვის, თქვენ არა ხართ ჩემი დედა და მამაო, ხოლო ვინც შეიძულებს აღმზრდელ დედას და მამას და წავა სახლიდან, თვალი უნდა დასთხარონ".

4. ***სხეულებრივი სასჯელები*** დამნაშავის ტანჯვა-წამებას გულისხმობდა. მისი შეფარდებით მწვავე ტკივილებს იწვევდნენ დამნაშავის სხეულზე. ხამურაბის კანონები სხეულებრივი სასჯელების მხოლოდ ერთ შემთხვევას აღნიშნავენ: თუ ვინმე სილას გაარტყამს მასზე მაღლა მდგომს, მას საქვეყნოდ 60-ჯერ უნდა დაარტყან ხარის ტყავის მათრახი.

5. ***კომპოზიცია*** — ფულადი ხასიათის გადასახადი იყო ჩადენილი დანაშაულისათვის. დამნაშავეს უნდა გადაეცა დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრებისათვის ფულადი ან ქონებრივი საზღაური, რომლითაც ხდებოდა დაზარალებულის დაკმაყოფილება და დანაშაულის გამოსყიდვა.

ხამურაბის კანონები ადგენდა კომპოზიციის საკმაოდ განვითარებულ სისტემას, დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით კომ-

პოზიციის ოდენობა ზოგჯერ ზუსტადაა განსაზღვრული, ზოგჯერ დაწესებულია ერთჯერადი, ორჯერადი ან მრავალჯერადი საზღაური.

6. ***ქონების კონფისკაცია*** დამატებითი სასჯელის სახეს წარმოადგენდა. მაგ., როდესაც დამნაშავეს თემიდან ან ოჯახიდან აძევებდნენ, მას ჩვეულებრივ ქონების კონფისკაციას უფარდებდნენ.

7. ***გაძევება*** (*ექსორია*). დამნაშავის გაძევება, ანუ მისთვის ე.წ. მშვიდობის აღკვეთა, უძველესი და სასტიკი სასჯელია. თემიდან ან ოჯახიდან მოკვეთილი პირი კარგავდა არა მარტო სახლსა და ყოველგვარ ქონებას, არამედ საზოგადოების მხრივ დაცვის უფლებასაც. გაძევებულს უფლება არ ჰქონდა ეცხოვრა ადამიანებს შორის, მისთვის თავშესაფრის მიცემა სასტიკად აკრძალული იყო, მისი მოკვლისათვის არავინ აგებდა პასუხს.

სასამართლო და პროცესი. ხამურაბის ეპოქის სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის თავისებურება ის არის, რომ სასამართლო ხელისუფალი მჭიდრო კავშირშია ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან. მართალია, ხამურაბის დროს შემოღებულ იქნა სპეციალური სასამართლო დაწესებულება მეფის სასამართლოს სახით, მაგრამ ადმინისტრაციული ფუნცქციის გავლენისაგან არც ეს სასამართლო იყო თავისუფალი. სასამართლო ორგანოების სისტემა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ***კოლეგიური სასამართლო*** არსებობდა თემებსა და ოლქებში. კოლეგიის წევრებად ადგილობრივი დიდკაცობის წრიდან გამოსული უხუცესები იყვნენ. ასევე შეიძლება ყოფილიყვნენ დიდვაჭრები და სავაჭრო აგენტები – თამქრები.

ქალაქის სასამართლო კოლეგიის შემადგენლობა არ იყო ზუსტად განსაზღვრული: იგი შედგებოდა ხან 4, ხან 8 წევრისაგან. კოლეგიის თავმჯდომარედ ითვლებოდა რაბიანუმი, აგრეთვე ოლქის მმართველი — შაკანაკუმი. რაბიანუმისა და შაკანაკუმის სასამართლოები იხილავდნენ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებს.

2. ***მეფის მოსამართლენი*** — დიდ ქალაქებსა და ოლქებში

მეფის მიერ ინიშნებოდნენ პროფესიული მოსამართლენი. მეფის მოსამართლეთა გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

მეფის სასამართლო კოლეგიასთან (4-8 კაცი) იყვნენ თანაშემწენი:

ა) რაბიანუმი ხან საქმეს იძიებდა, ხან კი მოწმედ გამოდიოდა.

ბ) მხედარი, ანუ სასამართლოს მოხელე, რომელიც პოლიციური ხასიათის ფუნქციებს ასრულებდა.

გ) საქმისწარმოებას სასამართლოში ტუფშარუმი, ანუ მდივანი განაგებდა. იგი სასამართლოს კანცელარიის გამგე იყო.

3. ***სატაძრო სასამართლოები***, ანუ ქურუმთა სასამართლოები. ძირითადად, მოწმეთა ფიცით დაკითხვას, ფიცის მიღების დამოწმებას, ქონების გაყოფასა და ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთის შეგროვებას ახდენდნენ. სატაძრო სასამართლოები ქურუმების საქმეებსაც იხილავდნენ და წყვეტდნენ. შეიძლებოდა ისინი მიწვეულნი ყოფილიყვნენ სათემო სასამართლოს კოლეგიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებადაც.

4. ***უზენაესი სასამართლო*** — უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება მეფეს ეკუთვნოდა. მის კომპეტენციას შეადგენდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. მრუში დედაკაცისა და მამაკაცის საქმეთა განხილვა, ჯადოსნობა, ტაძრის ან სასახლის კუთვნილი ქონების ქურდობა და სხვა მძიმე დანაშაულებები.

მეფის სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებსაც ახორციელებდა. ასევე მეფესთან შედიოდა საჩივრები სასამართლო საქმეების გაჭიანურების გამო, მოსამართლეთა და მოხელეთა მექრთამეობაზე და სხვა. მეფე მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებს იხილავდა. დანარჩენ საქმეებს ჩვეულებრივ მეფის მოსამართლენი იხილავდნენ, რომელთაც საქმეები ეგზავნებოდათ მეფის მითითებითა და განკარგულებით.

რაც შეეხება თვით ***სასამართლო პროცესს***, ორ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ: 1) სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება, 2) სამოქალაქო საქმეთა წარმოება და გამოვყოთ ზოგიერთი თა-

ვისებურება.

პირველი თავისებურება ისაა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე გადმონაშთის სახით შენარჩუნებულია თვითგასამართლება, მეორე თავისებურებაა ორდალის, ანუ დამნაშავის სასამართლო გამოცდა. თავისებურებას წარმოადგენს ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე საქმის გადაწყვეტაც.

სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე ძიების ინიციატივა დაინტერესებულ მხარეს ეკუთვნოდა.

ბაბილონური კანონები და იურიდიული დოკუმენტები მკაფიოდ განასხვავებდნენ მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებრივ მდგომარეობას პროცესში. საქმის სასამართლო წარმოებაში დაშვებული იყო შეგებებული სარჩელი, მესამე პირთა მიწვევა. სარჩელის ქარაფშუტულად აღძვრის, სიცრუის ან მხარის შევიწროებისათვის მოსარჩელე ისჯებოდა. მოპასუხე, თუ იგი თავს აარიდებდა პროცესს, შეიძლება იძულებით ყოფილიყო მოყვანილი სასამართლოში.

დამამტკიცებელ საბუთებად გამოიყენებოდა: ფიცი, მოწმეთა ჩვენებანი, წერილობითი აქტები (დოკუმენტები), ორდალი.

ფიცი გამოიყენებოდა სხვადასხვა კატეგორიის საქმეზე. ზოგჯერ მთელი მტკიცებულება მარტოოდენ ფიცს ეყრდნობოდა, ისიც მხოლოდ ერთი მხრის — მხოლოდ დაზარალებულის ფიცით ჩვენებას. თუ მძარცველი შეპყრობილი არ იქნება, „გაძარცულმა კაცმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი", რაც მას წაართვეს, და თემმა და რაბიანუმმა უნდა აუნაზღაურონ მას ნაძარცვი ქონება.

მოწმეთა ჩვენებანი ბაბილონურ საპროცესო სასამართლოში გამოყენებული იყო სხვადასხვა კატეგორიის საქმეზე. უკეთუ მოწმე მკვლელობის საქმეზე ვერ დაამტკიცებდა თავის ნათქვამ სიტყვებს, მას შეეფარდებოდა სიკვდილით დასჯა. სასამარლოში საქმეთა განხილვის დროს მოწმეთა მოყვანა ორივე მხრის — მოპასუხისა და მოსარჩელის, მოვალეობა იყო.

ორდალი, ანუ ***სასამართლო გამოცდა*** ღვთის მსჯავრის ერთერთი სახეობაა. ხამურაბის სამართალი იცნობს წყლის ორდალს. სამართლის წიგნი ითვალისწინებდა ორდალს ორ შემთხვევაში.

უკეთუ ვინმე ბრალს დასდებდა კაცს ჯადოსნობაში, მაგრამ ამას ვერ დაამტკიცებდა, მაშინ ბრალეული „უნდა წავიდეს მდინარესთან და გადავარდეს“, თუ მას „მდინარე დაეუფლა“, ე.ი. ბრალეული მდინარეში ჩაიძირება, იგი დამნაშავეა და უნდა მოკვდეს... ხოლო თუ ბრალეულს „მდინარე გაწმენდს“, ე.ი. მდინარე ამოატივტივებს ზედაპირზე, მაშინ ის უდანაშაულოა და ვინც მას ბრალი დასდო ჯადოსნობაში, ის უნდა მოეკლათ. მეორე შემთხვევა ეხება ქმრიანი ქალის ბრალდებას მრუშობაში. თუ ქალი არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, მაშინ ბრალდებისაგან გაწმენდის მიზნით „თავისი ქმრისათვის ის უნდა გადავარდნილიყო მდინარეში“.

ცნობილია, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში წყლით გამოცდით ეჭვმიტანილი პირის ბრალეულობის დადგენა საწინააღმდეგო წესით ხდებოდა. თუ ბრალეული წყალში ჩაიძირებოდა, იგი უდანაშაულოდ ითვლებოდა.

საპროცესო სამართლიდან უნდა აღინიშნოს ***აღსრულების საკითხი***, რომელიც ხშირად მოდავე მხარეებს უნდა გადაეწყვიტა. აღსრულების ეს წესი ეხებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებს. კრედიტორს ან დაზარალებულს შეეძლო მოვალის დროებით დაკავება და მისი სასამართლოში წარდგენა. სასამართლო გადაწყვეტილება ზოგჯერ სისრულეში მოჰყავდა თანამდებობის პირს, რომელიც მცველის ფუნქციას ასრულებდა.

თავი III. ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი (ძვ.წ. IX–I სს.)

§ 13. ძველი საბერძნეთის ისტორიული და ნარატიული წყაროები

ძველი საბერძნეთის სახელმწიფოსა და სამართლის უშუალო განხილვამდე, მოკლედ შევჩერდეთ საისტორიო წყაროებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება საბერძნეთის პოლიტიკური ისტორიის შესწავლა.

ახ.წ. XIX საუკუნიდან მოყოლებული საბერძნეთში ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, რის შედეგადაც დიდძალი არქეოლოგიური მასალა იქნა მოპოვებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შლიმანის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გათხარა ტროას ქალაქი. მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ბერძნული ენის მონაცემები. ენაში შემორჩენილი არქაული სიტყვების საფუძველზე ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა ხდება. მხედველობაშია მისაღები ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, ლეგენდები. ყოველი ლეგენდა ისტორიული ფაქტის ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს.

საბერძნეთის ისტორიას ვსწავლობთ აგრეთვე წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე. მეტად მნიშვნელოვანია ძველი ბერძენი მწერლებისა და ისტორიკოსების თხზულებები. წერილობითი ძეგლები საბერძნეთში ძვ.წ. VII საუკუნიდან მოგვეპოვება. ამ დროს ხდება ჰომეროსის ცნობილი ეპოსის „ილიადა“ და „ოდისეას“ ჩაწერა. საინტერესოა ჰეროდოტეს (ძვ.წ. 480-425 წწ.) თხზულება „საბერძნეთ-სპარტის ომები“,თუკიდიდეს თხზულება „პელოპონესის ომების ისტორია“ (ეს იყო შინაომი საბერძნეთის ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის, რომელიც 27 წელი გაგრძელდა და დამთავრდა ძვ.წ. 404 წელს ათენის სახელმწიფოს დამარცხებით და სპარტის სახელმწიფოს გამარჯვებით). თუკიდიდეს შემდეგ ისტორიას აგრძელებს ქსენოფონტე (ძვ.წ. 430-355 წწ.), მას ეკუთვნის „საბერძნეთის ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს

ძვ.წ. V საუკუნიდან ძვ.წ. IV საუკუნის 60-იან წლებამდე. უამრავი მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის ცნობაა დაცული ბერძენი ფილოსოფოსების პლატონისა და არისტოტელეს შრომებში. არისტოტელეს დაწერილი აქვს ათენის სახელმწიფო წყობილების შესახებ „ათენის პოლიტიკა“. განსაკუთრებით გაიზარდა საბერძნეთის ისტორიაში მუშაობა ახ.წ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდის ისტორიკოსთაგან დასავლეთ ევროპაში აღსანიშნავია ე. მაიერი, შ.პელმანი და სხვები. რუსეთში ძველი საბერძნეთის ისტორიაზე მუშაობდნენ ა. რადიშევი, ვ.ბუზესკული, ს.ჟებელიოვი, მ.როსტოვცევი, მოგვიანებით კი — ს.კოვალიოვი, ვ. სერგეევი, და სხვები. საქართველოში ამ საკითხებს შეეხნენ პროფ. ალ. წერეთელი, მ. ალექსიშვილი, გრ. ქანთარია, რ. გორდეზიანი, ნ. ლომოური და სხვები.

საბერძნეთი, ანუ ძველი ელადა, მოიცავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ეგეოსის ზღვის კუნძულებს, თრაკიის სანაპიროს, მცირე აზიის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს აღწევდნენ პოლიტიკურ ძლიერებას და ცდილობდნენ თავიანთ გარშემო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. გათხრების შედეგად დადასტურებულია კრეტის, მიკენის, ტირინთის, ტროას, კორინთის, სიკონიის და სხვა პოლიტიკური ერთეულების არსებობა. კრეტელების საზღვაო ბატონობა (თალასაკრატია) ბერძნებს მრავალი საუკუნის შემდეგაც ახსოვდათ. დაახლოებით ძვ. წ. 1470 წ. კუნძულ თერაზე ტექტონიკურმა კატასტროფამ ძლიერი მიწისძვრა გამოიწვია, მოსახლეობა და ფლოტი განადგურდა, კუნძული გაუკაცრიელდა.

ძვ. წ. XIII საუკუნიდან იწყება ელადის კულტურის სწრაფი დაქვეითება. ამის მიზეზად ისტორიკოსები ტროას ომს და გამუდმებულ შინაომებს ასახელებენ დორიელებსა და აქაველებს შორის.

დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნიდან იწყება ბერძნული კოლონიზაციის პროცესი, რომელმაც მოიცვა არა მარტო იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი — სიცილია და კორინთა, არამედ საფრანგეთის ნაწილიც. ამ დროს ალმოცენდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა — პოლი-

სი (ქალაქ-სახელმწიფო). პოლისი თავისებური მმართველობით გამოირჩეოდა. მოსახლეობა რამდენიმე კატეგორიად იყო დაყოფილი: თავისუფალი მოქალაქეები, დამოუკიდებელი მოსახლეობა (კლაროტები, პენესტები, ჰილოტები და სხვა) და უცხოელები (მეტეკები).

სახელმწიფო როგორც მეტროპოლიაში, ასევე კოლონიებში დროთა ვითარების მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო. საგვარეულო არისტოკრატიის ხელისუფლების დაცემასთან დაკავშირებით გაიზარდა ვაჭრობისა და ქალაქის მოსახლეობის მმართველობითი როლი და შეიქმნა დემოკრატია, რომლის დროს დემოსი აღჭურვილი იყო პოლიტიკური უფლებებით და იწვევდა სახალხო კრებებს. ზოგ შემთხვევაში, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მმართველობა ერთი პირის — ტირანის ხელში ექცეოდა. ბერძნული ტირანია მიმართული იყო საგვარეულო არისტოკრატიის წინააღმდეგ. ზოგ პოლისებში კი, სადაც საგვარეულო არისტოკრატია ძალაუფლებას ინარჩუნებდა, ყალიბდებოდა არისტოკრატიული მმართველობის ფორმები, რომლის დროს ხელისუფლება ეკონომიურად ძლიერი ზედაფენის ხელში იყო.

საბერძნეთის ტერიტორიაზე ძირითად პოლიტიკურ ერთეულს პოლისი წარმოადგენდა. მათი რაოდენობა 1380 აღწევდა. თუმცა იყო ისტორიული პერიოდები, როცა პოლისების ცენტრალიზაცია ხდებოდა. ცნობილია პელოპონესის კავშირი ძვ.წ. 550-362 წწ. სპარტის გარშემო, დელოსის კავშირი ძვ.წ. 478-404 წწ., ათენის გარშემო და ასევე ათენის მეორე საზღვაო კავშირი ძვ.წ.378-355 წწ. და სხვა. ძვ.წ.338-323 წლებში კი საბერძნეთის ცენტრალიზაცია მოხდა მაკედონიის გარშემო.

ბერძნული პოილისები სხვადასხვაგვარი მმართველობის ფორმით ხასიათდებოდა. ძირითადად შეიძლება გამოვყოთ დემოკრატიული და ოლიგარქიული მმართველობა. ამიტომ ცალკე განვიხილოთ ათენი, როგორც დემოკრატიული მმართველობის ერთეული, და სპარტა, როგორც ოლიგარქიული მმართველობის ნიმუში.

§ 14. სპარტის სახელმწიფო და სამართალი

სპარტის სახელმწიფო დაახლოებით ძვ.წ. IX საუკუნეში წარმოიშვა პელოპონესის (ბალკანეთის ტერიტორიაზე) სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ლაკედემონის სახელწოდებითაც მოიხსენიება ისტორიაში. სპარტაში სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებენ დორიელ და აქაველ ტომთა შორის განუწყვეტელ ბრძოლას და მათ გაერთიანებას მესენიასა და კინურიაში, აგრეთვე ილოთებსა და პერიეკებზე საგვარეულო არისტოკრატიის უფლებრივ და პოლიტიკურ გამარჯვებას, რაც იურიდიულად გაფორმდა ცნობილი კანონმდებლის ლიკურგეს (ძვ.წ. 900-880 წწ.) მიერ შედგენილი დოკუმენტით — რენტა (ხელშეკრულება).

სახელმწიფო წყობილება. სპარტაში ხელისუფლების განხორციელება შემდეგი ორგანოების მეშვეობით ხდებოდა: ორი მეფე, უხუცესთა საბჭო — გერუსია, სახალხო კრება — აპელა, ეფორები.

1. ***მეფის ხელისუფლება.*** სპარტის სათავეში ორი მეფე იდგა, რასაც იმით ხსნიან, რომ ძვ.წ. IX საუკუნეში, როცა სპარტის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მოხდა ორი ტომის გაერთიანება და ტომთა ბელადები, ანუ ბაზილევსები ქვეყნის მეფეებად იქნენ გამოცხადებულნი. ასე რომ, ორმეფობა სპარტაში დორიელთა და აქაველთა დინასტიის წარმომადგენელთა მიერ ხორციელდებოდა.

მეფის ხელისუფლება არ იყო აბსოლუტური. იგი იზღუდებოდა ეფორების მიერ. თუ მეფე უმაღლეს მხედართმთავრად ითვლებოდა, მას ლაშქრობისას მეთვალყურედ ორი ეფორი მიჰყვებოდა. იგი უმაღლეს მოსამართლედაც ითვლებოდა, მაგრამ მისი სასამართლო ფუნქციები შემცირდა მემკვიდრეობისა და შვილად აყვანის საქმეთა განხილვამდე. მეფისა და ეფორების ურთიერთობა მტკიცდებოდა ფიცით, რომელსაც ისინი ერთმანეთის წინაშე დებდნენ თვეში ერთხელ. მეფე იფიცებდა, რომ იმეფებდა დადგენილი კანონებით, ეფორები კი სახელმწიფოს სახელით იფიცებდნენ, რომ, თუ მეფე ფიცს შეასრულებდა, მისი ხელისუფლება დაცული იქნებოდა. ამისდა მიუხედავად, ყოველ 8 წელში ერთხელ

ეფორები მიმართავდნენ ვარსკვლავებზე წინასწარმეტყველებას და მეფისათვის, არახელსაყრელი დასკვნების შემთხვევაში, შეეძლოთ აღეძრათ სასამართლო დევნა და ჩამოერთვათ მისთვის ხელისუფლება.

2. ***გერუსია***. ასე ეწოდებოდა უხუცესთა საბჭოს, რომელიც 30 წევრისაგან შედგებოდა. გერუსიის წევრს გერონტი ერქვა, რაც თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით მხცოვანს ნიშნავს. აქედან მოდის სიტყვა გერონტოლოგია (მეცნიერება სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ). გერუსიაში 28 გერონტი შედიოდა, ორი ადგილი დათმობილი ჰქონდა ორ მეფეს. უფლებრივად გერუსიის წევრები თანასწორნი იყვნენ. წევრები და მეფეები ამ მხრივ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. გერუსია უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანო იყო სპარტაში. იგი პირველ რიგში განიხილავდა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც შემდეგ სახალხო კრებას უნდა გადაეწყვიტა. ამით გერუსია მიმართულებას აძლევდა სახალხო კრებას საკითხების გადაწყვეტაში. გერუსიის მიერ შემუშავებული წინასწარი აზრი, როგორც წესი, სახალხო კრებაზე მიღებულად ითვლებოდა. გერუსიას სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა. აქ განიხილებოდა სისხლის სამართლის საქმეები, მათ შორის სახელმწიფო დანაშაულები, მეფის გადაყენების საკითხები. რაც შეეხება ქონებრივ დავებს, მათ ეფორები განიხილავდნენ. პირველად გერუსიას მეფე იწვევდა, მოგვიანებით (ძვ.წ. V-IV სს.) ეს უფლება ეფორებმა აიღეს. ეფორების როლის ზრდასთან ერთად გერუსიის როლი და მნიშვნელობა მცირდებოდა, უკვე პელოპონესის ომების დროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ომისა და ზავის საკითხი, გერუსიის გვერდის ავლით წყდებოდა.

3. ***სახალხო კრება — აპელა*** მოიწვეოდა თვეში ერთხელ. თუმცა შეიძლებოდა საგანგებო სესიის მოწვევაც და მცირე სახალხო კრებად იწოდებოდა. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ თავისუფალ და სრულუფლებიან სპარტელ მოქალაქეებს, რომელთათვისაც დაწესებული იყო 30-წლიანი ასაკობრივი და გარკვეული ქონებრივი ცენზი. სახალხო კრებას თვეში ერთხელ იწვევდნენ. ხმის მიცემა ყვირილით ხდებოდა, კრებას თავმჯდომარეობდნენ

რიგრიგობით ეფორთა კოლეგიის წევრები. სახალხო კრების უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას შეადგენდა უმაღლეს თანამდებობის პირთა არჩევა, როგორებიც იყვნენ ეფორები, გერონტები, არმიისა და ფლოტის მეთაურები. სახალხო კრება საკანონმდებლო ორგანო იყო და იგი მართვა-გამგეობის ფუნქციასაც ახორციელებდა. სახალხო კრებაზე ხდებოდა ახალი მოქალაქეების მიღება და აგრეთვე ზოგიერთი სპარტელისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. როგორც სასამართლო ორგანო, იხილავდა თანამდებობის პირთა დაქვეითების საკითხს ჩადენილი დანაშაულისათვის. საქმე ის იყო, რომ ბრალდების აღძვრა შეეძლო არა კერძო პირს, არამედ რომელიმე დიდი თანამდებობის პირს, ე.ი. ამ შემთხვევაში სახალხო კრების სასამართლო ფუნქცია დამნაშავე პირის დაქვეითების სანქციონირებაში გამოიხატებოდა.

ეფორთა კოლეგია. ეს იყო სპეციალური სასამართლო კოლეგია, რომელიც ხუთი კაცისაგან შედგებოდა. იგი სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიასაც წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ სამოქალაქო საქმეები განიხილებოდა. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა კი გერუსიის კომპეტენციას შეადგენდა. ამრიგად, ეფორები თავდაპირველად მეფეთა მოადგილეები იყვნენ სამოქალაქო იურისდიქციის დარგში, მაგრამ შემდეგ ეფორთა კოლეგია ყოვლისშემძლე ორგანო გახდა. ყოველწლიურად სახალხო კრება ირჩევდა ხუთ ეფორს, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ეფორთა კოლეგიას. ეფორების მოვალეობას შეადგენდა სახალხო კრების მოწვევა და თავმჯდომარეობა, გერუსიის მოწვევა და თავმჯდომარეობა, საგარეო ურთიერთობების საკითხების გადაწყვეტა და ა.შ. ლაშქრობის დროს ორი ეფორი მეფეს ახლდა. ისინი ახორციელებდნენ კონტროლს ყველა თანამდებობის პირზე, მათ შორის მეფეებზეც. შეეძლოთ მეფეების გადაყენება და სამართალში მიცემა. სამოქალაქო სამართლის საქმეებს ეფორები განიხილავდნენ არა კოლეგიალურად, არამედ ერთპიროვნულად.

ამგვარი იყო სპარტის სახელმწიფო მექანიზმი. რაც შეეხება ფორმას, მისი შეფასება ორგვარად შეიძლება მოხდეს — ისტორიული და თანამედროვე კუთხით. მაგ., არისტოტელე მმართვ-

ელობის ფორმის მიხედვით განარჩევდა ერთპიროვნულ (მონარქია), გარკვეულ პირთა წრის მიხედვით (არისტოკრატია), მთელი მოსახლეობის მიხედვით (დემოკრატია) მმართველობას. არისტოკრატიულმა მმართველობამ ისტორიულ განვითარებაში მიიღო ტერმინი ოლიგარქია (როგორც მცირეთა ბატონობა). დღესდღეობით მმართველობის ფორმებს განარჩევენ იმისდა მიხედვით, ხორციელდება თუ არა უმაღლესი ხელისუფლება ერთი პირის მიერ, თუ იგი ეკუთვნის არჩევით ორგანოს ან თანამდებობის პირს (მონარქია, რესპუბლიკა). ისტორიული თვალსაზრისით, სპარტა არისტოკრატიული (ოლიგარქია) მმართველობის ფორმის სახელმწიფოა, ხოლო თანამედროვე შეფასებით — რესპუბლიკა. ზოგჯერ მას იურიდიულ ლიტერატურაში მონარქიადაც იხსენიებენ[1].

აღსანიშნავია, რომ წმინდა თეორიული შეფასებები კონკრეტულ სახელმწიფოებს ზუსტად შეიძლება არ შეეფარდოთ. საუკუნეების განმავლობაში ისტორიულმა რეალობამ მონარქიის სახესხვაობები წარმოშვა. ერთი კი უტყუარია, რომ ტერმინი მონარქია ბერძნული წარმოშობისაა („მონოს" — ერთი, „არხე" — ხელისუფლება) და ნიშნავს ერთპიროვნულ მმართველობას, სპარტა სწორედ იმ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც ორი მეფე იდგა სახელმწიფოს სათავეში, და მათი არჩევა ხდებოდა საზოგადოების გარკვეული წრიდან. თუმცა პოლიბიუსი მონარქიას უწოდებს ორი კონსულის ხელისუფლებას. და პირიქით, ის პირები, ვინც მონარქებად ითვლებოდნენ, რომის სამეფოს პერიოდში ფაქტობრივად ვერ ფლობდნენ ერთპიროვნულ ძალაუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ იურისტები დიდ ყურადღებას უთმობენ ძველი პერიოდის სახელმწიფოების მმართველობის ფორმების შესწავლას, დასახელებულ სახელმწიფოთა ფორმის საკითხი მაინც არ შეიძლება სრულყოფილად დამუშავებულად ჩაითვალოს. არისტოტელე არ იძლევა რესპუბლიკის დახასიათებას. იგი თვლის, რომ პირველი მმართველობის ფორმები მხოლოდ მონარქიები იყო, რომელთა უფლებამოსილება იზღუდებოდა სახალხო კრებების ან უხუცესთა საბჭოს მიერ (რომში სენატისა და კურიის კრებების

1 David Cartwright. A Historical Commentary on Thucydides: a companion to Rex Warner's Penguin translation, The University of Michigan Press, 1997, p. 89.

მიერ, სპარტაში უხუცესთა საბჭოსა და ეფოსთა კოლეგიის მიერ). თავდაპირველად მონარქის ხელისუფლებას მხოლოდ სამხედრო ფუნქციების განხორციელებას უკავშირებდნენ, მოგვიანებით სასამართლო და საფინანსოც დაემატა. ხელისუფლების შთამომავლობით გადასვლა ჯერჯერობით მონარქიის მთავარი ატრიბუტი არ იყო, უფრო დიდი ყურადღება ექცეოდა მეფის პირად თვისებებს. მნიშვნელოვანი განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკურ მმართველობას შორის ახალი პერიოდიდან იწყება, როცა არსებითად ჩამოყალიბდა მონარქიის სახესხვაობები: აბსოლუტური მონარქია, შეუზღუდავი და კონსტიტუციური მონარქიები, რომლებიც გაემიჯნენ სახელმწიფოში წარმომადგენლობით სახალხო მმართველობას (პარლამენტს).

საზოგადოებრივი წყობილება. განვიხილოთ საზოგადოების ცალკეული კატეგორიები, რომელთა უფლებებს განსხვავებულად იცავდა სპარტის კანონმდებლობა:

1. ***მონები*** — სპარტაში მონებს ***ილოთები*** ეწოდებოდა. მონობა სპარტაში კლასიკური გაგებით არ უნდა წარმოვიდგინოთ. ილოთები იძულებით მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე. იჯარით ამუშავებდნენ მონათმფლობელის მიწას და მოსავლის უდიდეს ნაწილს მიწის მეპატრონეს აძლევდნენ. ამავე დროს, ილოთები შეადგენდნენ სახელმწიფო მონებს, რომლებიც კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდნენ. ისინი არმიაშიც მსახურობდნენ. ყოველწლიურად სპარტაში ეწყობოდა ილოთების ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტა, რათა დაეშინებინათ მონათა დანარჩენი მასა. ეს განაპირობებდა ხშირ აჯანყებებს. ქსენოფონტე გადმოსცემს: ესოდენ დიდი ყოფილა ილოთების ზიზღი სპარტანელებისადმი, რომ მზად იყვნენ კაბიანად და თმიანად შეეჭამათ ისინი (ს.წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968 წ., გვ. 38). ილოთები გარკვეული დამსახურებისათვის შეიძლება გაეზატებულიყვნენ კიდევაც.

2. ***პერიეკები*** შეადგენდნენ მოსახლეობის განსაკუთრებულ კატეგორიას. აქ უმთავრესად შედიოდნენ ვაჭრები და ხელოსნები. სპარტა საერთოდ მწირი ქვეყანა იყო. აქ პერიეკები მოსახლეობის სწორედ ის ნაწილი იყო, რომლებიც მწირი მიწებიდან აიყარნენ

და სპარტაში ჩასახლდნენ, შეისწავლეს ვაჭრობა და ხელოსნობა, შეიძინეს ქონება, მაგრამ პოლიტიკურად ისინი სრულუფლებიან მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. მათ არ შეეძლოთ სახალხო კრებაში მონაწილეობა და არ შეიძლება არჩეული ყოფილიყვნენ თანამდებობებზე. ეფორებს გაუსამართლებლად შეეძლოთ მოეკლათ პერიეკები. მათ გარკვეული სამხედრო ვალდებულებაც აწვათ კისერზე.

3. ***თავისუფალი სპარტელი მოქალაქეები*** იყვნენ თავისუფალი და სრულუფლებიანი მდიდრები, რომლებიც საზოგადოების ზედაფენას შეადგენდნენ. მთელი პოლიტიკური ძალაუფლება სწორედ მათ ხელში იყო თავმოყრილი.

სპარტის საზოგადოებრივი ცხოვრება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იგი წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს, სადაც შემოღებული იყო აღზრდის უსასტიკესი რეჟიმი. სწორედ აქ გაჩნდა ცნება სპარტანული აღზრდა. 7 წლის ასაკიდან ბიჭები მიჰყავდათ სპეციალურ ბანაკში და სასტიკი დისციპლინის პირობებში შიშველ-ტიტველს ზრდიდნენ. ხშირად ქურდობასაც ასწავლიდნენ. მათ უფლება არ ჰქონდათ დაქორწინებულიყვნენ 30 წლამდე. სპარტაში შემოღებული იყო საერთო სუფრა, რომელსაც სისიტია ეწოდებოდა. ყველა სპარტელი და მათ შორის მეფეებიც ვალდებულნი იყვნენ ამ სუფრაზე ესადილათ და ამისათვის თითოეულ სპარტელს სურსათი უნდა გაეღო.

აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს სპარტელების რიცხვი 700 კაცამდე შემცირდა. ძვ.წ. III საუკუნის ბოლოს გატარებულ იქნა სახელმწიფოებრივი რეფორმები. ეფორები დახოცეს, ხოლო მათი კოლეგია გაუქმდა. ასევე გაუქმებულ იქნა გერუსიაც. ქვეყნიდან გააძევეს დიდკაცობა. მოხდა მათი მიწების კონფისკაცია და ეს მიწები გადანაწილდა თავისუფალ სპარტელებზე. ამასთან დაკავშირებით მოქალაქეობა მიანიჭეს სპარტის რამდენიმე ათას მცხოვრებს. ძვ.წ. III საუკუნის დასასრულს სპარტაში ადგილი ჰქონდა მონათა აჯანყებას. ილოვები და დაბალი ფენები გამოვიდნენ სპარტელების წინააღმდეგ. მაგრამ ეს აჯანყება დამარცხდა. ძვ.წ. II საუკუნის შუა წლებში საბერძნეთი და მათ შორის სპარტა

რომის იმპერიამ დაიპყრო და დამთავრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორია სპარტაში.

სამართლის ძირითადი ნიშნები. სპარტაში სამართლის ძირითად წყაროს ***ადათები*** წარმოადგენდა. რაც შეეხება დაწერილ სამართალს, რაიმე პირველ წყაროს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ ხარვეზებს ავსებს პლუტარქეს ცნობილი ბიოგრაფიული თხზულება, სადაც საგანგებოდაა მოხსენიებული ლიკურგეს საკანონმდებლო საქმიანობა. ამ თხზულების მიხედვით ლიკურგე ლეგენდარული კანონმდებელია. მან ტახტი ძმის გარდაცვალების შემდეგ მიიღო, გაზარდა უფლისწული და ის გაამეფა. ლიკურგეს ეკუთვნის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმები. კერძოდ, მან გადაანაწილა მიწები, დააარსა უხუცესთა საბჭო, მანვე შემოიღო ტრაპეზი, შეადგინა კანონთა კრებული, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

საერთოდ, სპარტის სამართალზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ზოგადად ბერძნულ კანონმდებლობას, რადგანაც ცალკეულ პოლისებში მოქმედი სამართალი გარკვეულ გავლენას ახდენდა ერთმანეთზე. აქ არ შეიძლება არ დავასახელოთ უძველესი ბერძნული საკანონმდებლო ძეგლები და მათ შორის ***გორტინის კანონები***. იგი კუნძულ კრეტაზე ქ. გორტინშია აღმოჩენილი. ამოჭრილია საზოგადოებრივი დანიშნულების კედელზე და თარიღდება ძვ.წ. VI საუკუნის 60-იანი წლებით. უფრო ადრინდელ ვარიანტად ითვლება ჩრდილოეთის კედლის წარწერა, რომელიც ძალზედ დაზიანებულია. ამ კანონებში განსაკუთრებული ყურადღება ერთმობა საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს.

საბერძნეთში კანონმდებლობაზე დიოგენე ლაერტელის ასეთი გადმოცემაც არსებობს: არტემიდეს ტაძარს თავი შეაფარა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტე ეფესოელმა. როცა ხალხმა სთხოვა კანონი დაგვიწერეო, უპასუხა: — კანონი რა შავ ქვად გინდათ, როცა ქვეყნის სათავეში არამზადები დგანანო, — წავიდა და ტაძარში ბავშვებთან კოჭობანას თამაში დაიწყო. ხალხი რომ შემოეხვია, შესძახა: — რა გიკვირთ უბადრუკნო, განა ჩვენს ქვეყანაში კანონების წერას კოჭობანას თამაში არა სჯობსო?[1]

1 ა. გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. 1983 წ., თბ., გვ. 76.

მრავალი თქმულების, სპარტანული აღზრდის თავისებურებებისა და ბერძნული კანონმდებლობის საფუძველზე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ სამართლის ცალკეული ნიშნები სპარტაში.

სამოქალაქო სამართალი. ხანგრძლივი დროის მანძილზე სპარტაში მიწაზე საერთო საკუთრება არსებობდა. საერთო საკუთრების მიწა დაყოფილი იყო ნადელებად, რომლის გასხვისება არ შეიძლებოდა. მხოლოდ ძვ.წ.IV საუკუნის შუახანებში გამოიცა კანონი, რომელიც ნებას რთავდა ნადელის ჩუქებასა და ანდერძით დატოვებას. გაყიდვა კვლავ მკაცრად იყო აკრძალული.

რაც შეეხება ***საქორწინო-საოჯახო*** სამართლის თავისებურებებს, აღსანიშნავია, რომ დაშვებული იყო წყვილადი ქორწინება, თუმცა იმგვარი ნიშნებით, რომ ხშირად ჯგუფურ ქორწინებას მოგვაგონებს. მაგ., სპარტაში რამდენიმე ძმას შეიძლება ერთი საერთო ცოლი ჰყოლოდა. ქალებს სპარტაში უფლებრივად შედარებით მაღალი ადგილი ეკავათ. ისინი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

სისხლის სამართლის ნორმები შემოიფარგლებოდა ამა თუ იმ ქმედების დასჯადობაზე მითითებით. სასჯელის ზომის განსაზღვრა ხდებოდა მოსამართლის შეხედულებით. სასჯელად გამოიყენებოდა ფულადი ჯარიმა, გასახლება, უფლების ჩამორთმევა — ატიმია, სიკვდილით დასჯა (დახრჩობით და მთის წვერიდან გადაგდებით). ატიმია ყველაზე მძიმე სასჯელი იყო, რადგანაც მისჯილი პირი უფლებას კარგავდა ხელახლა მიემართა სასამართლოსათვის. ასეთი სასჯელი შეეფარდებოდა ყველას, ვინც ლაჩრობას გამოიჩენდა ბრძოლაში ან გაიქცეოდა ბრძოლის ველიდან, ან ტყვედ დანებდებოდა.

ილოთებს სპარტაში ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე ხოცავდნენ. პერიეკებსაც ხშირად უსწორდებოდნენ სასამართლოსა და განაჩენის გარეშე.

სასამართლო ფუნქციებით სპარტაში აღჭურვილი იყო გერუსია, ეფორები, მეფე, სახალხო კრებები. გერუსია სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა, ეფორები — სამოქალაქო საქმეებს,

მეფე — მემკვიდრეობისა და მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შესახებ დავებს. ასე რომ, პროცესუალური თვალსაზრისით, გარკვეული კატეგორიის დავების გადაწყვეტა სხვადასხვა სასამართლო ორგანოთა კომპეტენცია იყო.

§ 15. ათენის სახელმწიფო და სამართალი

ათენის სახელმწიფოს განვიხილავთ, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ნიმუშს. იგი ძველ საბერძნეთში, კერძოდ, სამხრეთ ატიკაში ჩამოყალიბადა, მაგრამ აქ თავიდანვე დემოკრატიული მმართველობა არ დამყარებულა. ეს ხანგრძლივი პროცესი უამრავი სოციალური ძვრებითა და სახელმწიფოებრივი რეფორმებით იყო განპირობებული. ათენი ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XII სს-ში იქცა საკმაოდ მნიშვნელოვან დასახლებად. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს უკავშირებენ ***თეზევსს*** (დაახლოებით ძვ.წ. XIII საუკუნე), რომელმაც ათენის გარშემო ატიკის ცალკეული თემები გააერთიანა და შემდეგი რეფორმები ჩაატარა: 1. სინოიკიზმი — ეს იყო ყველა ტომის ერთ ხალხად შეერთება, რასაც შედეგად მოჰყვა ათენში ერთიანი ცენტრალური მმართველობის დაწესება. 2. ერთ ხალხად გაერთიანებული მოსახლეობა თეზევსმა დაყო სამ კატეგორიად: ***ევპატრიდებად***, ანუ კეთილშობილებად, ***გეომორებად***, ანუ მიწათმოქმედებად, ***დემიურგებად***, ანუ ხელოსნებად. ეს იყო პროფესიული და სოციალური დაყოფა მოსახლეობისა. ამ რეფორმებს მოჰყვა ის, რომ სათავეში მოექცა ბაზილევსი. თუმცა დროთა განმავლობაში მისი უფლებები თანდათან შეიზღუდა და ძვ. წ. XI ს-დან იგი არქონტმა შეცვალა. დაახლოებით ძვ.წ.753 წლიდან არქონტის უფლებამოსილების ვადა 10 წლით განისაზღვრა, ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრიდან კი 1 წლით. არქონტს არეოპაგი ირჩევდა და ეს უკანასკნელი სიკვდილამდე მის წევრად ითვლებოდა. არეოპაგი უხუცესთა საბჭო იყო, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან იქნა შენარჩუნებული. მას ეკისრებოდა როგორც მართლმსაჯულების, ასევე პოლიტიკური და რე-

ლიგიური ფუნქციებიც. კერძოდ, შეეძლო ვეტო დაედო სახალხო კრების გადაწყვეტილებისათვის, ან ზედამხედველობა გაეწია საკულტო წეს-ჩვეულებათა შესრულებისათვის. ასე რომ, ათენი თავდაპირველად ოლიგარქიული მმართველობით ჩამოყალიბდა, მაგრამ შემდგომში არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა დემოსის გამარჯვებით დამთავრდა, რასაც ძვ.წ. 594 წელს მოჰყვა ***სოლონის რეფორმები***:

1. ***სისახთეია*** — ასე ეწოდებოდა თავდაპირველად ვალების გაუქმებას. ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს, ათენის სახელმწიფოში წვრილ მწარმოებელთა გაღატაკების შედეგად, სახნავ-სათესი მიწების უდიდესი ნაწილი დაგირავებული აღმოჩნდა ვალებში. საქმე ის იყო, რომ ხელმოკლე ადამიანები თუ ვალს ვერ გადაიხდიდნენ, მის საწინდრად მიწებს აგირავებდნენ. ასეთი პროცესების გამო საზოგადოება გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სოლონმა დაგირავებული მიწებიდან აყარა ბოძები, რაც დაგირავების ნიშანი იყო და გამოსყიდვის გარეშე მეპატრონეებს გადასცა. ამავე დროს, სოლონმა მომავალში აკრძალა ისეთი სავალო ხელშეკრულების დადება, რომელშიც დებიტორის — მოვალის პიროვნება იქნებოდა დაგირავებული. ადრე ათენში ასეთი წესიც იყო: თუ დებიტორი ვალს ვერ გადაიხდიდა, მაშინ იგი კრედიტორს მიჰყავდა სავალო კაბალაში, ე.ი. კრედიტორის მონა ხდებოდა.

2. სოლონმა მთელი ათენის **მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით 4 ძირითად ჯგუფად დაყო**: 1 ჯგუფში შედიოდნენ ისინი, რომელთა წლიური შემოსავალი არანაკლებ 500 მედმინ ხორბალს შეადგენდა[1]. ამრიგად, პირველ ჯგუფში შეყვანილ იქნენ ყველაზე შეძლებული ფენის წარმომადგენლები. მეორეში გაერთიანდნენ ისინი, რომელთა წლიური შემოსავალი 300 მედმინს შეადგენდა. მესამეში — 200 მედმინს, მეოთხეში — თუ შემოსავალი 200 მედმინზე ნაკლები იყო. სახელმწიფო თანამდებობის დაკავება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც პირველ სამ ჯგუფში შედიოდნენ. მეოთხე ჯგუფის წარმომადგენლებს ამის უფლება არ ჰქონდათ.

---

1 მედმინი წონის ერთეული იყო, რომელიც 52,5 ლ. უდრიდა.

3. სოლონმა დააარსა ათენის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ***სახალხო კრების*** სახით.

4. დააარსა ***სახელმწიფო საბჭო,*** როგორც მართვა-გამგეობის უმაღლესი ორგანო. მას ეწოდებოდა 400-თა საბჭო, რადგან 400 წევრისაგან შედგებოდა, თითო ტერიტორიული ოლქიდან, ანუ ფილიდან ას-ასი კაცი. სულ ათენში 4 ფილა იყო. 400-თა საბჭოს ირჩევდნენ ყოველწლიურად, პირველი სამი ჯგუფის წარმომადგენლებისაგან. არჩევნები ხდებოდა სახალხო კრებებზე. ჯერ კიდევ VII საუკუნეში ჰომეროსის პერიოდის უხუცესთა საბჭო, ანუ ბულე შეიცვალა სახელმწიფო საბჭოთი, რომელსაც არეოპაგი ეწოდებოდა. უხუცესთა საბჭო არეას გორაზე იკრიბებოდა და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. სოლონს არ გაუუქმებია არეოპაგი, არამედ შეზღუდა მისი ფუნქციები. ჩამოართვა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფუნქცია და გადასცა იგი 400-თა საბჭოს. არეოპაგს მხოლოდ სასამართლო ფუნქციები დაუტოვა.

5. სოლონმა შემოიღო სპეციალური სასამართლო დაწესებულება ***ჰელიასტების სასამართლო.*** ეს იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელშიც დაშვებულ იქნენ IV ჯგუფის წარმომადგენლებიც.

მიუხედავად ამ რეფორმებისა, ათენში დიდებულებთან ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, რასაც პოლიტიკური გადატრიალება მოჰყვა და ძვ.წ. 560 წ. ათენში დამყარდა ***პისისტრატეს ტირანია.*** მას თავდაპირველად მხარს უჭერდნენ წვრილი მიწათმფლობელები — დიაკრიები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ცნობილი კანონმდებელი ლიკურგე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო. პისისტრატემ მიწები ჩამოართვა ევპატრიდებს და გლეხობას გაუნაწილა. მანვე დააწესა სახელმწიფო სესხი გლეხობისათვის, შექმნა მუდმივი ჯარი, გამსვლელი სასამართლოები. რაც მთავარია, შეინარჩუნა სოლონის რეფორმები და კანონმდებლობა.

ტირანია ათენში ძვ.წ. 510 წელს დაემხო ქვეყნის შიგნით აჯანყების შედეგად, რასაც მოჰყვა ***კლისთენეს რეფორმები*** 509 წელს:

1. მთელი ათენის მოსახლეობა კლისთენემ დაყო 10 ტერიტორიულ ფილად, თითოეულ ფილაში 2/3 ქალაქის მოსახლეობა

შედიოდა, ხოლო 1/3 სოფლის. ფილები იყოფოდნენ მესამედებად, ანუ ტრიტიებად, ხოლო ტრიტიები იყოფოდნენ დემებად, ანუ თემებად. თითოეული თემის სათავეში იდგა თემარქი, ანუ თემის მმართველი.

2. სოლონის მიერ შემოღებულ 400-თა საბჭოს ნაცვლად კლისთენემ შემოიღო 500-*თა საბჭო*, სადაც თითოეული ფილიდან 50 წევრი ირჩეოდა. სულ ათი ფილა იყო, მაშასადამე საბჭოს შემადგენლობაშიც 500 კაცი შედიოდა.

3. შეიქმნა მმართველობის ახალი ორგანო *სტრატეგთა კოლეგია*.

4. *ოსტრაქიზმი* (განდევნა). „თიხის ნატეხების სასამართლო", ანუ სახალხო კრება, როგორც სასამართლო, დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ იყო მიმართული. სახალხო კრებაში კენჭისყრა თიხის ნატეხებით ხდებოდა და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ყოველწლიურად სახალხო კრებაში დაისმებოდა საკითხი, ხომ არ არის ათენში ვინმე ისეთი პირი, რომელიც ცდილობს დაამხოს ათენის დემოკრატია და დაამყაროს ერთპიროვნული დიქტატურა. ასეთი პირის დასახელება კრების თითოეულ მონაწილეს შეეძლო. თიხის ნატეხების საშუალებით, ფარული კენჭისყრით ასეთ პირს დამნაშავედ იცნობდნენ. მას 10 წლით გააძევებდნენ ათენიდან.

ძვ.წ. 452 წელს დაიწყო საბერძნეთ-სპარსეთის ომი, რომელიც 12 წელიწადს გაგრძელდა. საბოლოოდ ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა ათენი, რომელმაც ომის მსვლელობაში ბერძნული პოლისების, ანუ ქალაქ-სახელმწიფოების საზღვაო კავშირი შექმნა. სათავეში ამ კავშირს თვით ათენი ჩაუდგა. დაწესდა გადასახადები კავშირში შემავალი სახელმწიფოებისათვის. შეიქმნა საერთო სალარო, სადაც მოკავშირეებს შეჰქონდათ გადასახადები. ამ სალაროს ათენის სახელმწიფო განაგებდა და თანხებსაც თავის შეხედულებისამებრ ხარჯავდა. ამის შედეგად ათენის სახელმწიფო გამდიდრდა და გაძლიერდა. პერიოდი ძვ.წ. 479-431 წლები წარმოადგენს ათენის სახელმწიფოს აყვავების პერიოდს.

დემოსის (უბრალო მოქალაქე) გამარჯვებასა და ათენის აყ-

ვავებას ჰერიკლეს მმართველობას მიაწერენ, რომლის დროს არსებითად დასრულდა ათენის სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესი: უმაღლესი ხელისუფლება გადაეცა მოქალაქეთა საერთო კრებას. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება კვლავ 10 სტრატეგოსის კოლეგიას დარჩა, გაუქმდა ქონებრივი ცენზი და სხვა. ჰერაკლეს რეფორმებმა დაამკვიდრა მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მაგრამ მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც დედითაც და მამითაც ათენელი იყო. მოქალაქეობის უფლებას მოკლებულ იყვნენ მეტეკები, მონები და ქალები, მოზარდები.

ძვ.წ. 431-404 წლებში ათენი ებრძოდა სპარტასა და მის მოკავშირეებს (პელოპონესის ომი), მაგრამ დამარცხდა და საბოლოოდ დაკარგა ბერძნული სამყაროს ჰეგემონია. ძვ.წ. 338 წლიდან იგი მაკედონიის, ხოლო მოგვიანებით ძვ.წ. 146 წლიდან რომის ძალაუფლებას დაემორჩილა.

სახელმწიფო წყობილება. 1. ***ხუთასთა საბჭო*** — ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა. იგი დაარსდა კლისთენეს მიერ ძვ.წ. 509 წელს. თითოეული ფილიდან ირჩევდნენ 50 კაცს. საბჭოს წევრებისათვის დაწესებული იყო ასაკობრივი ცენზი 30 წელი. გარდა ამისა საბჭოს თითოეულ წევრს შემოწმება უნდა გაევლო, რასაც დოკიმისია ეწოდებოდა. მოვალეობის შესრულების წინ საბჭოს წევრები ფიცს დებდნენ, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ სახელმწიფო მოვალეობას. საბჭოს წევრებისათვის დაწესებული იყო სპეციალური გასამრჯელო. 500-თა საბჭო წარმოადგენდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც იხილავდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. 500-თა საბჭო წინასწარ იძლეოდა დასკვნებს იმ საკითხებზე, რომელიც შემდგომ სახალხო კრებას უნდა გადაეწყვიტა. ამასთან ერთად, 500-თა საბჭოს სისრულეში უნდა მოეყვანა სახალხო კრების მიერ მიღებული დადგენილებანი. საბჭო განაგებდა სახელმწიფოს შემოსავლისა და ფინანსთა საკითხებს. ზედამხედველობას ახორციელებდა არმიასა და ფლოტზე, ისმენდა თანამდებობის პირთა ანგარიშს, აგვარებდა საგარეო ურთიერთობებს, იხილავდა ზოგიერთ სასამართლო

საქმეებს. ოპერატიული მმართველობის მიზნით 500-თა საბჭო 10 კომისიად იყოფოდა. თითოეულ კომისიაში 50 წევრი შედიოდა ფილების მიხედვით. თითოეული კომისია წელიწადში ერთხელ მორიგეობდა. მორიგე საბჭოს წევრებს პრიტანები ეწოდებოდა, ხოლო მორიგეობის თვეს – პრიტანია.

2. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ***სახალხო კრება***, რომელშიც მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ თავისუფალ და სრულუფლებიან ათენელ მოქალაქეებს (თუ ვინ ითვლებოდა ათენელ მოქალაქედ, ჩვენ უკვე დავახასიათეთ). კრებას იწვევდნენ თვეში ერთხელ. ხმის მიცემა ხდებოდა ხელის აწევით. სახალხო კრების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა კანონის მიღება, რომლისთვისაც დაწესებული იყო შემდეგი პროცედურა: კრების მონაწილე თითოეულ წევრს შეეძლო შეეტანა წინადადება ახალი კანონის გამოცემის შესახებ და თან კანონპროექტის ტექსტი წარედგინა. კრება იხილავდა ამ წინადადებას და მოწონების შემთხვევაში გაუგზავნიდა მას 500-თა საბჭოს დასკვნისათვის, შემდეგ კანონპროექტს გასაცნობად მოედანზე გამოაკრავდნენ. თუ საბოლოოდ კრება მოიწონებდა კანონპროექტს, მაშინ კანონი მიღებულად ითვლებოდა. წინადადების შეტანა ახალი კანონის გამოცემის შესახებ, გარკვეულ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული. კანონპროექტის განხილვის დროს კრების თითოეულ მონაწილეს შეეძლო გამოსულიყო პროექტის წინააღმდეგ და კანონპროექტის ავტორისათვის საჯარო ბრალდება წაეყენებინა, რასაც გრაფე-პარანომონი ეწოდებოდა. სახალხო კრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპეტენციას შეადგენდა თანამდებობის პირთა არჩევა, რაც ხელის აწევით მტკიცდებოდა. სახალხო კრებას სასამართლო საქმეთა განხილვაც შეეძლო.

3. ***არეოპაგი*** — როგორც აღვნიშნეთ, ძვ.წ. VII საუკუნეში შეიქმნა. სოლონმა შეზღუდა მისი ფუნქციები, მაგრამ არ გაუუქმებია. მას სასამართლო საქმეთა განხილვის ფუნქცია დარჩა. არეოპაგის როლი საბოლოოდ დაეცა ძვ.წ. 462 წელს ეფიალტეს მიერ გატარებული რეფორმებით.

4. ***ჰელეია*** — შემოღებულ იქნა სოლონის მიერ ძვ.წ. 585 წელს. ეს იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომლის წევრებიც მოვალეობის აღსრულების წინ ფიცს დებდნენ, რომ სამართლიანი მსაჯულები იქნებოდნენ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 600 კაცისაგან შედგებოდა, იყოფოდა ათ კოლეგტად, ანუ დიკასტერიად. სასამართლოს ირჩევდნენ სახალხო კრებაზე ყოველწლიურად. დაწესებული იყო 30-წლიანი ასაკობრივი ცენზი. გარდა სასამართლო საქმეებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იძლეოდა დასკვნებს კანონპროექტებზე, რომელიც წარედგინებოდა სახალხო კრებას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეორე ინსტანციად, საპელაციო სასამართლოდაც ითვლებოდა. განიხილავდა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებს. გადაწყვეტილებას ხმების უმრავლესობით იღებდნენ. განაჩენი უპელაციო იყო.

5. ***არქონტი*** — ხელმძღვანელობდა სახალხო კრებას და თვალყურს ადევნებდა რელიგიური ხასიათის საქმიანობას. მას სასამართლო ფუნქციებიდან საოჯახო დავების გადაწყვეტა ევალებოდა. არქონტი შეიძლება ბაზილევსის უფლებამონაცვლედ წარმოვიდგინოთ. პირველად არქონტს სამუდამოდ ირჩევდნენ. ძვ.წ. VIII საუკუნის შუა წლებიდან – 10 წლის ვადით, ხოლო ძვ.წ. 683 წლიდან ყოველწლიურად 9 არქონტს ირჩევდნენ, რომელთაგან ერთი ითვლებოდა კოლეგიის მეთაურად, და ახორციელებდა ზედამხედველობას სახელმწიფოს შიდა მმართველობაზე, მეორე არქონტი — ბაზილევსი იყო, რომელსაც სახელმწიფო და რელიგიური შინაარსის საქმეთა განხილვა ევალა. მესამე არქონტი — პოლემარქოსი, სამხედრო ფუნქციებს ახორციელებდა, დანარჩენი 6 წევრი — თესმოტეტები, სასამართლო ფუნქციით იყვნენ აღჭურვილი.

6. ***სტრატეგი*** — უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირი იყო. ათენში მოქმედება სულ 10 კაცისაგან შემდგარი, რომელთაც შეთავსებული ჰქონდათ საფინანსო სამსახურიც. მათ შორის სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა, ასევე დანაშაულისათვის კონფისკებული ქონების გაყიდვა. თუ ერთი სტრატეგი ფლოტს ხელმძღვანელობდა, მეორე ქვეყანას იცავდა, დანარჩენი რიგრიგობით

ჯარს სარდლობდნენ. სტრატეგს სახალხო კრება ირჩევდა 1 წლით (თითო ფილადან თითო). შეიძლებოდა განმეორებითაც არჩევა (მაგ., ჰერაკლე 15 წელს ზედიზედ იყო სტრატეგად არჩეული). სტრატეგი გასამრჯელოს არ იღებდა. თანამედროვე გაგებით იგი სარდალია, სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი.

საზოგადაოების ცალკეული კატეგორიები ათენში. 1. ***მოქალაქეები*** — ათენის მოქალაქის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ ის პირი, რომელსაც დედაც და მამაც ათენის მოქალაქე ჰყავდა. 18 წლის ასაკიდან ისინი ირიცხებოდნენ დემოტების რიგებში. ათენის მოქალაქეები პოლიტიკური უფლებით სარგებლობდნენ, ანუ უფლებით მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრების მუშაობაში, არჩეულნი ყოფილიყვნენ ცალკეულ თანამდებობებზე. ათენის მოქალაქეებს დახმარება ეძლეოდათ სახელმწიფოსაგან. მათ სამხედრო ვალდებულებაც ეკისრებოდათ. 18-დან 60 წლამდე პირები სამხედრო წვრთნას გადიოდნენ.

2. ***მეტეკები*** — უცხო ქვეყნებიდან ათენში ჩასული მოსახლეობა იყო, რომლებიც ათენის მოქალაქეებთან ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი თანასწორი უფლებით ვერ სარგებლობდნენ. ისინი სახალხო კრებისა და სასამართლოს მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდნენ. არ შეეძლოთ მიეღოთ უძრავი ქონება, მაგრამ, თუ ასეთი რამ დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ სახლის ღირებულება არ უნდა ასცდენოდა 2 000 დრაქმას, ხოლო მიწის ნაკვეთის ღირებულება — 12 ათას დრაქმას. მეტეკის ქორწინება ათენელ მოქალაქესთან უკანონოდ ითვლებოდა, ხოლო ამ ქორწინებით გაჩენილი შვილები კანონგარეშედ ითვლებოდნენ. მხოლოდ ძვ.წ. 451 წლის კანონის შემდეგ მეტეკთან გაჩენილი შვილი ათენელი მოქალაქის უფლებით აღიჭურვა.

უფლებრივად მეტეკებს უთანასწორდებოდნენ გათარხნებული, გააზატებული პირები.

3. ***მონები*** — მონობის წყაროდ ითვლებოდა ტყვეობა, გაყიდვა, შთამომავლობით მონობა. მონობა ხანგრძლივი დროით აიკრძალა სოლონის მიერ ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში.

მონა წარმოადგენდა თავისი მეპატრონის საკუთრებას. იგი

ნივთი იყო და არა პირი. ამიტომ მას ქონების უფლებაც არ ჰქონდა. ჯანმრთელი მონისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა მისი მეპატრონის მიმართ. ხოლო მეპატრონე პასუხს აგებდა თავისი მონის მიერ მიყენებული ზიანისათვის. პასუხისმგებლობისაგან მეპატრონე იმ შემთხვევაში თავისუფლდებოდა, თუ თავის მონას გადასცემდა დაზარალებულ მხარეს. მონის სიკვდილით დასჯა სასამართლოს განაჩენით ხდებოდა. მეპატრონეს მხოლოდ გაწკეპვლის უფლება ჰქონდა. თუმცა პრაქტიკულად მეპატრონისაგან მონის მოკვლა რაიმე იურიდიულ პასუხისმგებლობას არ იწვევდა.

სამართლის წყაროები. როგორც სხვა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში, ათენში სამართლის უძველეს წყაროს ***ადათები*** წარმოადგენდა. არეოპაგი გადაწყვეტილებათა მიღების დროს ხელმძღვანელობდა უძველესი პერიოდის ადათ-ჩვეულებებით და მათ უთავსებდა ახალ ვითარებას, კერძოდ, საზოგადოების ცალკეულ კატეგორიათა შორის ქონებრივი დიფერენციაციის საფუძველზე წარმოშობილ უფლებრივ განსხვავებას.

ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში ფართო საკანონმდებლო საქმიანობა გაიშალა ათენში სოლონის მიერ. ეს კანონები 16 ხის დაფაზე იქნა ამოტვიფრული, თუმცა ტექსტის შინაარსს ჩვენამდე არ მოუღწევია. ზოგადად, რაც ამ კანონებზე შეიძლება ითქვას, ისაა, რომ სოლონი ხელს უწყობდა კერძო საკუთრების დამკვიდრებას, ასევე ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. სოლონმა პირველმა დაუშვა ანდერძი იმ პირებისათვის, ვისაც კანონიერი ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ასევე ჩუქება. მანვე დაადგინა, რომ შვილი არ არის ვალდებული არჩინოს მამა, თუ ამ უკანასკნელმა რაიმე ხელობა არ შეასწავლა შვილს. არეოპაგს უფლება მისცა თვალყური ედევნებინა ცალკეულ პირთა შემოსავლის წყაროსათვის და სჯიდა მათ, ვისაც არავითარი ხელობა არ ჰქონდა.

ძვ.წ. V-IV სს-ში კანონი სამართლის მთავარი წყარო ხდება. კანონად ითვლებოდა სახალხო კრებების ის დადგენილებანი, რომელიც ზოგადი ხასიათისა იყო. მათგან განირჩეოდა ***ფსეთიზმები***, რომლებიც ცალკეულ პირებს, ცალკეულ შემთხვევებს და საგნებს ეხებოდა. კანონებიდან საინტერესოა არქონტ ***დრაკონტის კანონ-***

ები. იგი შედგენილი უნდა იყოს ძვ.წ. 621 წელს. თვით ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. ძველი ბერძენი მწერლები გადმოგვცემენ, რომ ეს იყო სასტიკი კანონმდებლობა, რომელიც ყოველგვარი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. ისტორიკოსები ამ ძეგლს სისხლით დაწერილ კანონმდებლობასაც უწოდებენ. სამართლის წყარო იყო სახალხო კრებების დადგენილებანი. ყველა დოკუმენტი, რომელიც სახალხო კრების მიერ იყო მიღებული და ზოგადი ხასიათის ქცევის წესს შეიცავდა, სამართლის წყაროს შეადგენდა.

სამართლის წყაროთა შორის ათენში უთუოდ უნდა დავასახელოთ სასამართლო პრეცედენტი, ანუ სასამართლო პრაქტიკა.

სამართლის ამ წყაროებზე დაყრდნობით განვიხილოთ სამართლის ცალკეული დარგების განვითარება ათენის სახელმწიფოში.

ვალდებულებითი სამართალი. როგორც ცნობილია, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან და ზიანის მიყენებიდან. ათენში ცნობილი იყო ხელშეკრულებათა შემდეგი სახეები: ყიდვა – გაყიდვა, სესხი, ქირავნობა, ნივთის მიბარების ხელშეკრულება, ამხანაგობის ხელშეკრულება და სხვა. თითოეული ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს და ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დგებოდა სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ქორწინება და ოჯახი. ძველი ათენის სამართლის მიხედვით ქორწინება წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რომელიც იდებოდა ქალისა და ვაჟის მშობლებს შორის. ქმარს უფლება ჰქონდა მეორე ცოლის შერთვისა. რაც შეეხება მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას, აღსანიშნავია, რომ პირველ პერიოდში მამის ხელისუფლება მეტად ფართო იყო. ეს იყო პატრიარქალური ოჯახის პერიოდი. სოლონის რეფორმების შემდეგ, ძვ.წ. V საუკუნის II ნახევარში, მამის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

მემკვიდრეობითი სამართალი. მემკვიდრეობითი სამართლიდან ათენში ვხვდებით კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ შვილები, ძმები, ძმისწულები, ბიძები, ქალები მემკვიდრეობას არ ღებუ-

ლობდნენ. ანდერძით მემკვიდრეობა შემოვიდა ძვ. წ. V დსუკუნის II ნახევარში, ათენში სოლონის რეფორმების შემდეგ, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.

დანაშაული და სასჯელი. ათენის სისხლის სამართალი იცნობს დანაშაულთა შემდეგ ჯგუფებს: 1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-შეთქმულება, ამბოხება, ღალატი, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და სხვა. 2. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, შეურაცხყოფა და სხვა. 3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — ქურდობა, ძარცვა, მითვისება, თაღლითობა, აღსანიშნავია, რომ კანონი ხშირად არ განასხვავებდა ქურდობასა და ძარცვას. 4. რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — ღვთისგმობა, წმინდა ადგილების შეურაცხყოფა, ჯადოსნობა და სხვა.

სასჯელთა სახეებიდან აღსანიშნავია სიკვდილით დასჯა, როგორც უმძიმესი სასჯელი. ატიმია (დამნაშავე პირისათვის სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა) — იგივე ღირსების აყრა. არსებობდა აგრეთვე ჯარიმა, რომელიც შედარებით მცირერიცხოვან საქმეებზე შეეფარდებოდა დანაშაულის ჩამდენ პირს.

სასამართლო და პროცესი. ძველ ათენში რამდენიმე სასამართლო დაწესებულება არსებობდა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1. *არეოპაგი* — უმაღლეს სასამართლო დაწესებულებად ითვლებოდა. იგი განიხილავდა სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულს. ძვ.წ. 584 წლიდან სოლონმა შეზღუდა არეოპაგის უფლებები, მაგრამ სასამართლო უფლებები მას მაინც შეუნარჩუნა. საბოლოოდ არეოპაგის როლი, როგორც სასამართლო დაწესებულებისა, ძვ.წ. 462 წელს დაეცა ეფიალტეს მიერ გატარებული რეფორმებით.

2. *თესმოთეტების კოლეგია* — ეს იყო ერთ-ერთი უძველესი სასამართლო დაწესებულება, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. ამ კოლეგიაში შედიოდა 6 კაცი და განიხილავდა მნიშვნელოვან საკითხებს.

3. ***ჰელიეა***, ანუ ***ჰელიასტების სასამართლო***. იგი შეიქმნა 594 წელს სოლონის რეფორმების შედეგად. ეს იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც 10 კოლეგიად, ანუ დიკასტერიად იყოფოდა. გარდა ამისა, სახალხო კრება ჰელიასტების სასამართლოს კანონპროექტებსაც უგზავნიდა დასკვნისათვის.

4. ***დიეტეტების სასამართლო*** — სამოქალაქო დავის საკითხებს განიხილავდა. იყო აგრეთვე სხვა სასამართლო დაწესებულებაც, მაგ., ეგეტების სასამართლო კოლეგია, რომელიც განიხილავდა არაგანზრახი მკვლელობების საქმეებს. განზრახ მკვლელობის საქმე არეოპაგის განხილვის საგანი იყო.

ძველი ათენის სამართალი იცნობდა პროცესის ორ ძირითად ფორმას: ***გრაფე*** და ***დიკე*** პროცესს. გრაფე პროცესი წარმოადგენდა საჯარო ბრალდების პროცესს. ჩვეულებრივად ასეთი პროცესი მიმდინარეობდა ათენის სახალხო კრებაზე და მიმართული იყო იმ პირის ბრალდებისაკენ, რომელიც გამოვიდოდა ათენის დემოკრატიისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ. რაც შეეხება დიკე პროცესს, ამ შემთხვევაში დევნას აღძრავდა და წარმართავდა დაინტერესებული მხარე (დაზარალებული). მასვე ეკისრებოდა დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება და მოწმეების მოყვანა სასამართლოში.

თავი IV. ძველი რომის სახელმწიფო და სამართალი (ძვ.წ. VII – ახ.წ.V სს.)

§ 16. რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია

რომი მონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილ სახელმწიფოს მსგავსად, ისიც იქცა მსოფლიო მნიშვნელობის იმპერიად, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მონებისა და მონათმფლობელების მკვეთრი დაპირისპირება და ბრძოლები, რასაც კიდევაც მოჰყვა სახელმწიფოს დაცემა. პატარა ქალაქ-სახელმწიფოდან ძლიერი ძალაუფლების მქონე იმპერიამდე რომში თავისებური მმართველობის ფორმები შეიქმნა, რაც უზრუნველყოფდა ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას და შემოერთებული ტერიტორიის ერთიან ადმინისტრაციულ მმართველობას. რომში რექსების ხანა რესპუბლიკურმა მმართველობამ შეცვალა. რესპუბლიკა კი ჯერ პრინციპატით, შემდეგ, დომინატით შეიცვალა. პრინციპატი და დომინატი თავისებური მონარქიული მმართველობის ფორმებია, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია ცეზარიზმის სახელწოდებით. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მმართველობის ეს უკანასკნელი ფორმა შენარჩუნებულ იქნა ბიზანტიაში, ოღონდ ფეოდალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. მმართველობის ამ ფორმის გამოყენებას ცდილობდნენ „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაშიც“[1].

სამართლის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომის სამართლის ისტორიას. იგი კლასიკური ტიპის სამართალია, რომელმაც იმპერიის დაცემის შემდეგ არსებითი კვალი დატოვა მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს სამართალზე და დამოუკიდებე-

1 პირველად ეს სახელწოდება 1254 წ. კარლ IV-ის ბუდაში იხსენიება. 1512 წლიდან კი Heiliges Römisches Reich Deutscher Nation იმპერიის ოფიციალური სახელწოდება ხდება.

ლი სამართლებრივი სისტემის (რომაულ-გერმანული) საფუძველიც გახდა. ეს გამოწვეული იყო სამართლის ყველაზე დასრულებული ფორმის შექმნით, განსაკუთრებით კერძო სამართლის სფეროში. ასევე სანივთო სამართლისა და ნოტარიული საქმიანობის ისეთი პროცედურების შექმნით, რაც ევროპულმა ცივილურმა სამართალმა თითქმის უცვლელად მიიღო.

რომის იმპერია დაეცა, მაგრამ რომაული სამართლის რეცეფცია მოხდა იტალიაში, ესპანეთში, ჩრდ. საფრანგეთში, ბიზანტიაში. გერმანიაში კი მხოლოდ 1900 წლის 1 იანვრიდან შეწყდა იუსტინიანეს კოდექსის მოქმედება, რომელიც აქ რამდენადმე შეცვლილი სახით დამკვიდრდა (corpus juris civilis). ამ წელს შევიდა ძალაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. რომაულ სამართალს ეყრდნობოდნენ სლავიანური წარმოშობის სახელმწიფოებიც. მაგალითად, ბიზანტიიდან ბესარაბიაში გავრცელდა (ახ.წ. 1345 წელს) კონსტანტინე არმენოპულოს ექვსტომეული მცირედი ცვლილებებით. რომის სახელმწიფოსა და სამართალს რამდენიმე პერიოდად ყოფენ, მაგრამ ეს პერიოდები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიტერატურაში ცნობილია, რომ რომის სახელმწიფომ შემდეგი ეტაპები გაიარა:

1. რექსების ხანა (ძვ. წ. VIII-VI სს.);
2. რესპუბლიკის ხანა (ძვ. წ. V-I სს.);
3. იმპერიის ხანა (ახ. წ. I-V სს.).

ეს პერიოდები შეიძლება კიდევ დაიყოს, ქვეყანაში მმართველობის განხორციელების წესის მიხედვით: კერძოდ, რესპუბლიკის პერიოდი იყოფა ადრინდელ რესპუბლიკად (ძვ. წ. V-IV სს.) და გვიანდელ რესპუბლიკად (ძვ. წ. III-I სს.). იმპერიის პერიოდი იყოფა პრინციპატის პერიოდად (ახ. წ. I-III სს.) და დომინატის პერიოდად (ახ. წ. IV-V სს.).

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ არსებობას გაგრძელებდა აღმოსავლეთ რომის იმპერია — ბიზანტია, რომელიც დაეცა 1453 წელს თურქ-ოსმალებისაგან კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ. აღმოსავლეთ რომის იმპერია ბიზანტიის სახელმწიფო წყობილებაში განვიხილოთ.

რაც შეეხება რომის სამართლის პერიოდიზაციას, აქ შეიძლება სამი ეტაპი გამოვყოთ: პირველი პერიოდის საზღვარი დაახლოებით ძვ.წ. 264-242 წლებია, როცა შეიქმნა ე.წ. ცივილური, კვირიტული, ანუ სამოქალაქო სამართალი. ამ პერიოდში „სამოქალაქო" ტერმინს არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც მან მოგვიანებით შეიძინა და რომლითაც დღეს არსებობს. „სამოქალაქოდ" ეს სამართალი იმიტომ იწოდებოდა, რომ იგი მხოლოდ რომის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა. მისთვის დამახასიათებელია გვაროვნული წყობილების გადმონაშთების არსებობა და რელიგიის გავლენა სამართლის ნორმებზე, ცალკეული ინსტიტუტების სიმარტივე და პრიმიტულობა, ჩაკეტილი ნაციონალური ხასიათი, მკაცრად გამოკვეთილი ფორმალიზმი.

მეორე პერიოდისათვის ზღვარს წარმოადგენს დიოკლიტიანეს მეფობა (ახ.წ. 284 წ.). ეს პერიოდი რომაული სამართლის აყვავების პერიოდია. იგი გასცდა ნაციონალური სამართლის საზღვრებს და ცივილურ სამართალთან ერთად გაჩნდა პრეტორული სამართალი, რომელსაც მოგვიანებით გამოეყო ე.წ. ზოგადსახალხო სამართალი (jusgentium). ეს სამართალი არეგულირებდა რომის მოქალაქეთა ურთიერთობას უცხოელებთან, ასევე ურთიერთობებს იმ უცხოელებს შორის, რომლებიც რომის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. რომის სამართლის განვითარების ამ ეტაპზე ყალიბდება ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კერძო საკუთრებასა და ფულად სასაქონლო ურთიერთობებს.

მესამე პერიოდი გრძელდება რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემამდე. ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება — ის პროცესები იყო, რომლებიც მკვეთრად აისახა რომის სამართლის შინაარსში მესამე ეტაპზე. ამ პერიოდში ხდება მთელი რომაული სამართლის სისტემატიზაცია. იქმნება იმპერატორ იუსტინიანეს კოდექსი (corpus juris civilis).

§ 17. რომის სახელმწიფო წყობილება რექსების ხანაში

არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ რომის ტერიტორიაზე ლათინთა და საბინთა ტომები ცხოვრობდნენ. მათი გაერთიანებების შედეგად ძვ.წ. 753-509 წწ. (ძვ.წ. 753 წ. — რომის დაარსების ტრადიციული წელია; ძვ.წ. 509 წ. — რესპუბლიკის დაარსების ტრადიციული წელი რომში) ჩამოყალიბდა ქ. რომი. ეს პერიოდი რომის სახელმწიფოს ისტორიაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იგი არც კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოა და არც აღმოსავლური ტიპის დესპოტური მონარქია. სახელმწიფოს მექანიზმის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოთა განვითარების საფუძველზე მოხდა. ამიტომ ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს რომის ისტორიაში სახელმწიფოთმცოდნეები რექსების ხანას უწოდებენ.

სახელმწიფო მოწყობა. ამ პერიოდის სახელმწიფო მოწყობის მნიშვნელოვანი მომენტებია:

1. მთელი რომი იყოფოდა 300 გვარად, 30 კურიად და 3 ტრიბად. თითოეულ კურიაში ათი გვარი შედიოდა.

2. ***კურიის კრება*** — „კომიცია კურიატა" — ეს იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც იხილავდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს როგორც მართვა-გამგეობის, ისე მართლმსაჯულების სფეროში. რომში 30 კურია არსებობდა და თითოეული ცალკე იკრიბებოდა. თითო კურიას თითო ხმა ჰქონდა საკითხის გადაწყვეტის დროს და მიღებულად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ 30-დან 16 ხმას დააგროვებდა. კურიის კრება იხილავდა ომისა და ზავის საკითხებს, ირჩევდა რექსს, განიხილავდა სიკვდილმისჯილთა საჩივრებს, აგრეთვე შვილად აყვანისა და ანდერძის დამტკიცების საკითხებს.

3. ***სენატი*** — ეს იყო უხუცესთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ გვარის უხუცესები. სულ რომში 300 გვარი იყო, ე.ი. სენატის შემადგენლობაც 300 კაცით განისაზღვრებოდა. სენატი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოხუცს, ხანდაზმულს. სენატი წარმოადგენდა

სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს. ამავე დროს, იგი გამოსცემდა სავალდებულო დადგენილებებს, რომელთაც „სენატუს კონსულტა“ ეწოდებოდა. მართალია, იგი კანონი არ იყო, მაგრამ სავალდებულო ძალა ჰქონდა, ე.ი. კანონქვემდებარე აქტი იყო. კანონებს ძველ რომში სახალხო კრება იღებდა. სენატი იძლეოდა წინასწარ დასკვნებს იმ საკითხებზე, რომელიც შემდეგ სახალხო კრებას უნდა გადაეწყვიტა. მას ფორმალურად მინიჭებული ჰქონდა სანქციის უფლება. სახალხო კრების დადგენილების შესრულებაზე სენატი ახორციელებდა ზედამხედველობას, მეთვალყურეობდა საგარეო ურთიერთობებსა და კულტის სამსახურს. ისეთ პერიოდში, როცა რომის სათავეში რექსი ჯერ კიდევ არ იყო არჩეული, სენატი უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა.

4. ***რექსი*** — ეს იყო რომაელი ხალხის ბელადი, ტომის წინამძღოლი, რომელიც შემდეგ სახელმწიფოს მმართველად იქცა. იგი იყო მხედართმთავარი, ითვლებოდა მსაჯულთუხუცესადაც. იყო ქურუმთუხუცესი, კულტის მსახური. რექსს ირჩევდა სახალხო კრება. მასვე შეეძლო თანამდებობიდან გადაყენებაც. კურიის კრება რექსის არჩევით მას უმაღლესი იმპერიუმით აღჭურავდა (უმაღლესი ხელისუფლება). მაგრამ რექსების ხელისუფლება განუსაზღვრელი არ იყო. იგი იზღუდებოდა სახალხო კრებისა და სენატის მიერ.

გადმოცემით ცნობილია რომში 7 რექსის სახელი: რომულიუსი, პომპილიუსი, პოსტილიუსი, მარციუსი, ტარკვინიუსი, სერვიუს ტულიუსი, ტარკვინიუს ამაყი. უკანასკნელი სამი ეტრუსკული დინასტიის წარმომადგენლად ითვლება.

სერვიუს ტულიუსის რეფორმები. ძვ.წ. 509 წელს რომიდან გაძევებული იქნა უკანასკნელი რექსი ტარკვინიუს ამაყი. ამით დამთავრდა რექსების ხანა და დაიწყო ახალი პერიოდი რომის ისტორიაში. ეს იყო რესპუბლიკის პერიოდი. ამავე წელს ***სერვიუს ტულიუსის*** მიერ რომში გატარებულ იქნა სახელმწიფო ***რეფორმები***, რომელთაც საბოლოოდ განაპირობეს რომის არისტოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება. ეს რეფორმები შემდეგ ძირითად ღონისძიებებში გამოიხატა:

1. სერვიუს ტულიუსმა რომის მთელი მოსახლეობა მათი ქონებრივი ცენზის მიხედვით დაყო 6 ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ისინი, რომელთა ქონება არანაკლებ 100.000 **ასს** შეადგენდა. **ასსი** – ფულის ერთეული იყო, რომელიც ერთ გირვანქა სპილენძს უდრიდა. მეორე ჯგუფში შედიოდნენ ისინი, რომელთა ქონება 75.000 **ასსი** იყო, მესამეში, ისინი, რომელთა ქონება არანაკლებ 50.000 **ასსი** იყო, მეოთხეში — 25.000 **ასსი**, მეხუთეში — 11.000 **ასსი**, და, ბოლოს, მეექვსეში (ცხენოსანთა ჯგუფი) — რომელთა ქონება 10.000 **ასსი** იყო.

2. დაყო რა მოსახლეობა მათი ქონებრივი ცენზის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს სერვიუს ტულიუსმა ცენტურიის (ასეულის) გამოყვანა განუწესა. ***ცენტურია*** წარმოადგენდა სამხედრო ასეულს, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ლაშქარში გაყვანა. პირველ ჯგუფს ლაშქარში უნდა გაეყვანა 80 ცენტურია, მეორეს — 20, მესამეს — 20, მეოთხეს — 20, მეხუთეს — 30, მეექვსეს 18 ცენტურია. გარდა ამისა, იყო 5 უიარაღო ცენტურია, რომელიც საზოგადოების იმ ჯგუფიდან შედგებოდა, რომელთა ქონება 11.000 **ასსზე** ნაკლები იყო და ამიტომ მეხუთე ჯგუფში ჩარიცხვის უფლებას არ იძლეოდა. ამრიგად, სულ 193 ცენტურია იყო, ე.ი. აქედან 98 ცენტურია აბსოლუტურ უმრავლესობას ეკუთვნოდა. ხმების მიცემა და საკითხების გადაწყვეტა სახალხო კრებაზე ცენტურიის მიხედვით ხდებოდა. ასე რომ, მოსახლეობის ყველაზე მდიდარ I და VI ჯგუფს ყოველთვის გარანტირებული ჰქონდა ხმების უმრავლესობა 193-დან — 98 ხმა.

ცენტურია წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკურ და საგადასახადო ერთეულს. როგორც სამხედრო ერთეული, ცენტურია იყო ასეული, რომლის მიხედვითაც ლაშქრის დაყოფა ხდებოდა. როგორც პოლიტიკური ერთეული — ცენტურია წარმოადგენდა სახალხო კრებას, სადაც წყდებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხები. კრებები ცენტურიის მიხედვით იწვეოდა. თითო კრებას თითო ხმა ჰქონდა. რესპუბლიკის პერიოდში ცენტურიის კრება წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რომში. როგორც საგადასახადო ერთეული, ცენტურიის მიხედვით ხდებოდა

მოსახლეობაზე გადასახადების შეწერა და აკრეფა.

3. ცენტურიულ დაყოფასთან ერთად სერვიუს ტულიუსმა მთელი რომი დაყო ტერიტორიულ ოლქებად, ანუ ტრიბებად. სულ შეიქმნა 21 ტერიტორიული ტრიბა. აქედან 4 იყო საქალაქო ტრიბა, ხოლო 17 სასოფლო ტრიბა.

§ 18. რომის სახელმწიფო წყობილება რესპუბლიკის პერიოდში (ძვ.წ. V-I სს.)

რომი ძვ.წ. 509-275 წ.-მდე არისტოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, რადგანაც ხელისუფლება მხოლოდ პატრიციებს ეკუთვნოდა. ამ პერიოდში ხელისუფლება და მმართველობა ხორციელდებოდა შემდეგი ორგანოების მეშვეობით:

1. **სახალხო კრებები.** სამი სახის სახალხო კრება იყო:

ა) ***კურიის კრება,*** ანუ კომიცია კურიატა, ასეთივე კრება რომში რექსების ხანაშიც არსებობდა, მაგრამ, რესპუბლიკის პერიოდში იგი შემორჩა როგორც გადმონაშთი, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აღარ მიიჩნევა. მისი ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მის კომპეტენციას შეადგენდა ახალი მაგისტრების, ანუ თანამდებობის პირების დამტკიცება და მემკვიდრეობის საკითხები.

ბ) ***ცენტურიის კრება*** — შემოღებულ იქნა სერვიუს ტულიუსის რეფორმების შედეგად. რომში სულ 193 ცენტურია იყო და აქედან გამომდინარე, 193 სახალხო კრება არსებობდა. ცენტურიის კრებას ეწოდებოდა კომიცია ცენტურიატა. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რესპუბლიკის პერიოდში. ამ კრებაზე ხდებოდა მნიშვნელოვანი კანონების მიღება, უმაღლესი თანამდებობის პირების არჩევნები, როგორიც იყვნენ კოსულები, პრეტორები, ცენზორები. ცენტურიის კრებაზე ხდებოდა აგრეთვე სიკვდილმისჯილთა საჩივრების განხილვა, ე.ი. ცენტურიის კრება უმაღლეს სასამართლო დაწესებულებასაც წარმოადგენდა.

გ) ***ტრიბის კრება***, ანუ კომიცია ტრიბატა. კრების ეს სახეობაც სერვიუს ტულიუსის მიერ იქნა შემოღებული. რაც უფრო ფართოვდებოდა რომის სახელმწიფო, მით უფრო იზრდებოდა ტრიბების, ანუ ტერიტორიული ოლქების რაოდენობა. ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებში ტრიბების რაოდენობამ 25-ს მიაღწია. ქალაქის ტრიბების რაოდენობა იგივე დარჩა. სასოფლო ტრიბების რაოდენობა გაიზარდა 31-მდე. რაც შეეხება ტრიბის კრების კომპეტენციას, აღსანიშნავია, რომ იგი შედარებით უმნიშვნელო საკითხებს წყვეტდა, როგორიცაა, მაგალითად, დაბალი მაგისტრების, ანუ თანამდებობის პირების არჩევნები, მაგ., ედილებისა და ქვესტორების. კრება ირჩევდა აგრეთვე ზოგიერთ ქურუმს და ა.შ.

როგორც წესი, სახალხო კრებას იწვევდნენ და თავმჯდომარეობდნენ მაგისტრატები. წესის მიხედვით კრება უნდა დაწყებულიყო განთიადისას და დამთავრებულიყო მზის ჩასვლისას. ხმის მიცემა ხდებოდა ფირფიტებით, რომელსაც ეწერა „თანახმა ვარ“ ან „წინააღმდეგი ვარ“. რესპუბლიკის პერიოდის დასასრულს, სახალხო კრების როლი რომში თითქმის სრულიად დაეცა. ეს გამოიწვია რომის სახელმწიფოს მსოფლიო იმპერიად გადაქცევამ. ამიტომ სახალხო კრებების მეშვეობით ქვეყნის მართვა-გამგეობა უკვე გაძნელებული იყო. ქვეყანა მიექანებოდა დიქტატურისაკენ, რომელიც ჯერ პრინციპატის სახით დამკვიდრდა, შემდეგ შეზღუდული იმპერიის, ანუ დომინატის სახით.

2. **სენატი**. სენატი მართალია, რექსების ხანაში წარმოიშვა, მაგრამ მაშინ იგი წარმოადგენდა უხუცესთა საბჭოს, რომელშიც შედიოდნენ გვარის უხუცესები. სულ რომში სამასი გვარი იყო, მაშასადამე, სენატში 300 წევრი იყო. რესპუბლიკის პერიოდში კი სენატი წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოს, რომელიც იხილავდა და წყვეტდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. რომის სახელმწიფოს თანდათანობით ზრდასთან ერთად იზრდებოდა სენატორთა რიცხვიც. ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისში სენატორთა რიცხვი 600-მდე გაიზარდა, ხოლო ამავე საუკუნის შუა წლებში, იულიუს კეისრის დროს, 900 კაცს მიაღწია. სენატორები თავის ზეგავლენას აძლიერებდნენ თვით სენატზე. სენატორთა სიებს სპეციალური

თანამდებობის პირები – ცენზორები ადგენდნენ. სენატორის წოდება შეიძლებოდა მინიჭებოდა ყველა მაგისტრს, რომელიც ცენზორის მიერ სიაში იქნებოდა შეყვანილი. სიაში შესატანად საჭირო იყო გარკვეული ქონებრივი ცენზი. სენატორთა სია ყოველ 5 წელიწადში დგებოდა. მასში შეჰყავდათ ყოფილი მაგისტრატები (კონსულები, პრეტორები, კურიის ედილები, ტრიბუნი და ქვესტორი). აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სენატორად შეიძლება არჩეული ყოფილიყო მხოლოდ პატრიციები, ე.ი. საგვარეულო და მსახურეული დიდკაცობა. შემდეგ პლებეებმა მიაღწიეს იმას, რომ სენატში არჩეული ყოფილიყო მათი წარმომადგენელიც.

სენატორთათვის დაწესებული იყო ქონებრივი და ასაკობრივი ცენზი. ეს უკანასკნელი 30 წელს შეადგენდა. სენატორად არ შეიძლება არჩეულიყო გააზატებული პირი და ვაჭარი. რაც შეეხება სენატორის კომპეტენციას, შემდეგში გამოიხატებოდა: როცა რომი კრიტიკულ მომენტში იმყოფებოდა, სენატი ნიშნავდა უმაღლესი თანამდებობის პირს — დიქტატორს. ყველა თანამდებობის პირი ამ პერიოდში დიქტატორს ემორჩილებოდა. სენატი ომის გამოცხადების შემთხვევაში ახდენდა ჯარის მობილიზაციას, განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა მაგისტრატებს. ახორციელებდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ღონისძიებებს. განაგებდა პროვინციის მმართველობას, იწვევდა სახალხო კრებებს მაგისტრატების ასარჩევად. სენატი ახორციელებდა საპოლიციო ზედამხედველობას, ე.ი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებს. მძიმე ხასიათის დანაშაულებანი სენატის განხილვის საგანს შეადგენდა. სენატი ახორციელებდა ზედამხედველობას ფინანსებსა და ბიუჯეტის შესრულებაზე, აგრეთვე სახელმწიფო ქონების მართვა-გამგეობაზე. განიხილავდა ომისა და ზავის საკითხებს. ახდენდა საზღვაო და სახმელეთო ჯარების მეთაურთა შორის პროვინციებისა და არმიების განაწილებას. იხილავდა და წყვეტდა დავას იტალიის ქალაქებს შორის, დაბოლოს, სენატი სათავეში ედგა კულტის სამსახურს. ამდენად, სენატი რესპუბლიკის პერიოდში წარმოადგენდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მთავარ ორგანოს. ღებულობდა სავალდებულო დადგენილებებს,

რომელსაც „სენატუს კონსულტა“ ეწოდებოდა. იგი სავალდებულო იყო შესასრულებლად.

3. მაგისტრატები. მაგისტრატები (magistratus) — ეწოდებოდა თანამდებობის პირებს, რომელთაც სახალხო კრებები ირჩევდნენ. რომაული მაგისტრატურა სამოხელეო აპარატი იყო, რომელიც ორი სახით არსებობდა: ორდინალური (ე.ი. მუდმივმოქმედი) და ექსტრაორდინალური (საგანგებო). ორდინალური მაგისტრატურისათვის დამახასიათებელი იყო მოხელეთა არჩევითობა, ვადიანობა (ერთი წლით ირჩევდნენ), კოლეგიალობა და უხელფასობა. ექსტრაორდინალური იყო დიქტატორი. არ არსებობდა იერარქიული დაქვემდებარება მაგისტრატებს შორის. ისინი ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი იყვნენ მხოლოდ სახალხო კრების წინაშე. რაც შეეხება დიქტატორს, ცენზორს, პლებსის ტრიბუნს, ისინი საერთოდ არ იყვნენ არავის წინაშე პასუხისმგებელნი. როცა სახალხო კრება ამა თუ იმ მაგისტრატს აირჩევდა, მას მიანიჭებდა უმაღლეს ძალაუფლებას — იმპერიუმს. ეს ყველა მაგისტრატს არ ეხებოდა. ზოგიერთ მათგანს შეეძლო მხოლოდ ედიქტის, ანუ განკარგულების გამოცემა და მისი შეუსრულებლობისათვის ჯარიმის დადება. ამ უფლებამოსილებას ეწოდებოდა პოტესტა.

განვიხილოთ ცალკეული მასტრები და მათი უფლებამოსილება.

1. ***კონსული.*** ეს თანამდებობა შემოღებულ იქნა ძვ.წ. 509 წელს სერვიუს ტულიუსის რეფორმების შედეგად. თავდაპირველად ერთ კონსულს ირჩევდნენ მხოლოდ პატრიციების წრიდან. ძვ.წ. 367 წელს პლებეებმა მიაღწიეს იმას, რომ ერთი კონსული არჩეული ყოფილიყო მათი წრიდანაც. კონსულები იყვნენ მხედართმთავრები. როცა ერთი კონსული ლაშქრობაში მიდიოდა, მეორე — რომის გამგებლად რჩებოდა.

2. ***დიქტატორი*** — ეს იყო ექსტრაორდინალური, ანუ საგანგებო მაგისტრატი. იგი ინიშნებოდა სენატის მიერ 6 თვის ვადით, როცა რომში კრიტიკული მდგომარეობა იყო, დიქტატორს ენიჭებოდა უზენაესი და შეუზღუდველი ძალაუფლებით. ყველა მაგისტრატი მას ემორჩილებოდა.

3. *პრეტორი* — ეს თანამდებობა დაარსდა ძვ.წ. 367 წელს. პირველად მხოლოდ ერთ პრეტორს ირჩევდნენ. მაგრამ სულ მალე ძვ.წ. 337 წელს, პლებეებმა მოიპოვეს უფლება პრეტორის არჩევისა. პრეტორი იყო მოსამართლე. ამ თანამდებობამ დიდი როლი შეასრულა რომის სამართლის განვითარებაში. წარმოიშვა სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც პრეტორული სამართალი ეწოდა.

4. *პლებსის ტრიბუნი* — მთელი ორი საუკუნის განმავლობაში (ძვ.წ. V-IV სს.) პატრიციებსა და პლებეებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა თანამდებობაზე არჩევისა და სახალხო კრებებში მონაწილეობის საკითხებზე. ამ ბრძოლაში პლებეებმა დააწესეს სპეციალური თანამდებობა პლებსის ტრიბუნის სახით. იგი იყო პლებეების ბელადი, მათი წინამძღოლი, რომელიც პლებეების ინტერესებს იცავდა. ეს თანამდებობა შემოღებულ იქნა ძვ.წ. 494 წელს. ირჩევდნენ რამდენიმე ტრიბუნს ორიდან ათ კაცამდე.

5. *ცენზორი.* პირველად ამ თანამდებობაზე არჩევის უფლება მხოლოდ პატრიციების წარმომადგენლებს ჰქონდათ. ძვ.წ. 351 წლიდან კი ეს უფლება პლებეებმაც მოიპოვეს. ირჩევდნენ ორ ცენზორს. მათ ძირითად მოვალეობებს სენატორთა სიის შედგენა წარმოადგენდა, აგრეთვე მოქალაქეთა გადასახადებით დაბეგვრა და გადასახადების განაწილება ცენტურიებისა და ტრიბების მიხედვით.

6. *კურიის ედილები.* ირჩევდნენ ორ ედილს. ძვ.წ. 364 წლიდან ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა გაჰყავდათ პლებეებსაც. მათ მოვალეობას შეადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რომში.

7. *ქვესტორები.* ამ თანამდებობაზე პირველად მხოლოდ პატრიციებს ირჩევდნენ, ძვ.წ. 485 წლიდან ეს უფლება პლებეებმაც მიიღეს. ქვესტორების მოვალეობას შეადგენდა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, აგრეთვე ხაზინის შენახვა და საფინანსო საქმეები — ფულის გაცემა და მიღება. I საუკუნეში ქვესტორების რიცხვი 20-მდე გაიზარდა.

§ 19. პრინციპატის პერიოდის სახელმწიფო წყობილება რომში (ახ.წ. I-III სს.)

ძვ.წ. 70-60-იან წლებში რომში ახალი პოლიტიკური მოღვაწეები დაწინაურდნენ: პომპეუსი, ციცერონი, კრასუსი, კეისარი. ისინი აშკარად თუ ფარულად ერთპიროვნული ხელისუფლების მოპოვებისათვის იბრძოდნენ. ამავე პერიოდში ხელისუფლება შეთქმულების გზით ხელში ჩაიგდო კატილინამ (ძვ.წ. 63-62 წ.) და ძვ.წ. 60 წლისათვის შეიქმნა სამი გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის — პომპეუსის, კრასუსისა და იულიუს კეისრის სენატის საწინააღმდეგო კავშირი — *ტრიუმვირატი*. მათ შორის ხანგრძლივი მეტოქეობა კეისრის გამარჯვებით დასრულდა. 45 წლის კეისარი შეუზღუდველი მმართველი გახდა. რესპუბლიკელები დაირაზმნენ მის წინააღმდეგ. ძვ.წ. 44 წლის 15 მაისს კეისარი მოკლეს. დაიწყო ახალი ომი რესპუბლიკელებსა და კეისრის მომხრეებს შორის. რესპუბლიკელების მხარეს გამოდიოდა ბრუტუსი და კრასუსი, ხოლო კეისრის მხარეს ანტონიუსი და ავგუსტუსი. ძვ.წ. 43 წ. ამ უკანასკნელებმა ლეპიდუსთან ერთად ახალი ტრიუმვირატი შექმნა და ძვ.წ. 42 წ. რესპუბლიკელები დაამარცხეს მაკედონიაში. მალე ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის ურთიერთობა გართულდა, რაც ახალ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ანტონიუსი აქციუმის კონცხთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და თავი მოიკლა. ძვ.წ. 30 წ-დან ავგუსტუსი ერთპიროვნული მმართველი გახდა, რითაც დაიწყო მმართველობის ახალი სისტემის დამკვიდრება რომში, ანუ მონარქიული მმართველობა.

იმპერიის ისტორია რომში *პრინციპატით* იწყება. მოკლედ დავახასიათოთ ის მიზეზები, რომელთაც განაპირობეს რესპუბლიკიდან პრინციპატზე გადასვლა: 1. რესპუბლიკის პერიოდში რომის მართვა-გამგეობა ხორციელდებოდა სახალხო კრებებისა და თანამდებობის პირთა, ანუ მაგისტრატების მეშვეობით. ახალ ვითარებაში, როცა რომი მსოფლიო სახელმწიფოდ გადაიქცა, უკვე შეუძლებელი გახდა ძველი სახალხო კრებებისა და მაგისტრატების მეშვეობით უზარმაზარი იმპერიის მართვა-გამგეობა. საჭირო გახ-

და დიქტატურაზე გადასვლა, როცა მთელი ძალაუფლება ფაქტობრივად თავმოყრილი იქნებოდა ერთი პირის ხელში. 2. რომის რესპუბლიკური წყობილების წინააღმდეგ დაიწყო მონების რევოლუცია, რომელმაც თავისი უმაღლესი გამოხატულება პოვა სპარტაკის აჯანყებაში (ძვ.წ. 73-71 წწ.). ამ აჯანყებამ შეაზანზარა რომის იმპერია და საბოლოოდ, მიუხედავად დამარცხებისა, განაპირობა რესპუბლიკის დაცემა.

რომის სახელმწიფო წყობილება პრინციპატის ხანაში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

1. ***პრინცეპსი*** — მას უწოდებენ პრინცეპს-სენატუს, რაც ნიშნავდა პირველ სენატორს. ყველა სენატორი თანასწორუფლებიანი იყო, ხოლო პრინცეპსი იყო თანასწორთა შორის პირველი. 28 წელს ოქტავიანე ავგუსტუსმა მიიღო ძალაუფლება და აღიჭურვა იმპერიუმით, რაც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას ნიშნავდა. პრინცეპსი ითვლებოდა მთავარსარდლად, უზენაეს მსაჯულად და უზენაეს ქურუმად.

თუ რესპუბლიკის პერიოდში სენატორთა სიებს ცენზორი ადგენდა, პრინციპატის დროს ეს უფლება მიითვისა ოქტავიანე ავგუსტუსმა და სენატორთა სიებს თვითონ პირადად ადგენდა. პრინცეპსი ახორციელებდა უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს: აცხადებდა ომს და დებდა ზავს. იგი ახორციელებდა პროვინციების მართვა-გამგეობას. რომის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორია მრავალრიცხოვან პროვინციებად იყოფოდა. პროვინციებს განსხვავებული მართვა-გამგეობა ჰქონდა, ხოლო რომს განსხვავებული. პრინციპატის პერიოდში პროვინციების მართვა-გამგეობა გაყოფილი ჰქონდა სენატსა და პრინცეპსს. პროვინციების ერთი ნაწილი პრონცეპსის მართვა-გამგეობაში იყო, ხოლო II ნაწილი სენატის მართვა-გამგეობაში. პრინცეპსს უფლება ჰქონდა ვეტო დაედო მაგისტრატების მიერ გამოტანილ განკარგულებაზე. პრინცეპსთან ერთად არსებობდა ***პრინცეპსის სათათბირო საბჭო***, რომელსაც პრინცეპსი თავმჯდომარეობდა. საბჭო განიხილავდა იმპერიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, გარდა ამისა, პრინცეპსთან არსებობდა აგრეთვე ***იმპერატორის გვარდია***, ***იმპერატორის კანცელარია***

და ***იმპერატორის პირადი ხაზინა***. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პრინცეპსი, ამავე დროს, სენატის სხდომებსაც თავმჯდომარეობდა, ცხადი გახდება, რომ პრინცეპსი სენატორთა შორის პირველი კაცი იყო, ნამდვილი დიქტატორი და იმპერატორი. ამიტომ ხშირად პრინციპატის პერიოდს შენიღბული იმპერიის პერიოდს უწოდებენ.

2. ***სენატი***. პრინციპატის პერიოდში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო სენატი. ხელისუფლება იყოფოდა სენატსა და პრინცეპს შორის. პროვინციების ერთი ნაწილი სენატის მართვა-გამგეობას ემორჩილებოდა, სახელმწიფო ხაზინასაც სენატი განაგებდა, სენატი ახდენდა მაგისტრების შერჩევა-დამტკიცებას. მაგრამ ყველა ეს ფუნქცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყველაფერი ეს ხდებოდა პრინცეპსის ნება-სურვილით. თვით სენატორებსაც კი პრინცეპსი ირჩევდა და ანიჭებდა მათ საკანონმდებლო ფუნქციასაც. ამ ნიადაგზე მიმდინარეობდა ბრძოლა პრინცეპსა და სენატს შორის, რაც დამთავრდა სენატის როლის საბოლოო დაცემით და პრინცეპსის საბოლოო გამარჯვებით. პრინცეპსმა ფიზიკურად გაანადგურა სენატორები. ახ.წ. II საუკუნიდან მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო პრინცეპსის ხელში.

3. ***სახალხო კრებები***. რესპუბლიკის პერიოდში რომში სამი სახალხო კრება არსებობდა. მათი ფორმალური ფუნქციონირება არც პრინციპატის პერიოდში შეწყვეტილა, მაგრამ რეალური ძალაუფლება კრებებს უკვე აღარ ჰქონდათ.

4. ***მაგისტრატები***. ასევე ეცემა მაგისტრატების როლი პრინციპატის პერიოდში. მაგისტრატები გადაიქცნენ პრინცეპსის ჩინოვნიკებად, მოხელეებად. მართალია, მათ სენატი ირჩევდა, მაგრამ მხოლოდ პრინცეპსის კარნახითა და მითითებებით. ერთადერთი, რომელმაც ძალაუფლება შეინარჩუნა პრინციპატის პერიოდში პრეტორი იყო. პრეტორი მოსამართლე იყო რესპუბლიკის პერიოდში, რომლის როლი და ფუნქციები პრინციპატის პერიოდში კიდევ უფრო იზრდებოდა.

§ 20. რომის სახელმწიფო წყობილება დომინატის პერიოდში (ახ.წ. IV-V სს.)

რომის სახელმწიფოს ისტორიაში დომინატის პერიოდი წარმოადგენს აბსოლუტური მონარქიის პერიოდს[1].

პრინციპატის მმართველობის უკანასკნელ წელს გამოცხადდა, რომ საჭიროა ძლიერ ერთპიროვნულ, განუსაზღვრელ დიქტატურაზე გადასვლა. სწორედ ასეთ დიქტატურას წარმოადგენდა დომინატის პერიოდის რომის სახელმწიფო, რომელიც დამკვიდრდა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305 წწ.). იგი ტიპიური დესპოტური მონარქია იყო და შექმნა განსაკუთრებული პოლიტიკური სისტემა იმპერიის შენარჩუნებისათვის. დომინატის დროს სენატმა დაკარგა დამოუკიდებელი პოლიტიკური მნიშვნელობა და სენატორებიც იმპერატორ-დომინერის მორჩილ მოხელეებად იქცნენ. დომინუს-მონარქის გარშემო შეიქმნა უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი. დაკანონდა ტახტის მემკვიდრეობის პრინციპი. გატარდა არმიის რეორგანიზაცია. IV ს. დასაწყისში სახელმწიფო რელიგიად მორჩილების მქადაგებელი ქრისტიანობა გამოცხადდა. დომინატმა შეძლო უზარმაზარი იმპერიის მხოლოდ დროებითი სტაბილიზაცია. IV საუკუნის ბოლოს, 395 წელს, იმპერატორ თეოდოსიმ რომის იმპერია ორ ნაწილად გაყო — აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიად. დასავლეთ იმპერიაში შედიოდა იტალია, აფრიკა, გალია (გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ალბანეთი). აღმოსავლეთ იმპერიაში — აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები. აღმოსავლეთ იმპერიას ბიზანტია ეწოდა.

დომინატის პერიოდში რომის ***სახელმწიფო წყობილება*** შემდეგი სახით წარმოდგებოდა:

1. მთელი იმპერია გაყოფილი იყო ორ ნაწილად. ორივე ნაწილს სათავეში ედგა ***იმპერატორი***, რომელსაც ავგუსტუსი ეწოდებოდა. იმპერატორის ძალაუფლება შეუზღუდავი და ღვთაებრივი იყო. იმპერატორს ჰყავდა თანაშემწე, კეისარი.

2. ***იმპერატორის საბჭო*** არსებობდა იმპერატორთან და წარ-

1 დომინოს ნიშნავს ბატონს, მბრძანებელს, მეფეს, ხელმწიფეს, იმპერატორს.

მოადგენდა იმპერატორის სათათბირო ორგანოს, სადაც წინასწარ იხილებოდა იმპერატორის მიერ გადასაწყვეტი საკითხები.

3. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ იმპერია იყოფოდა ორ *პრეფექტურად*, რაც წარმოადგენს იმპერიის მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს. ორივე იმპერიაში სულ 4 პრეფექტურა იყო. თავის მხრივ, პრეფექტურა იყოფოდა უფრო ნაკლებ ტერიტორიულ ერთეულებად — *დიოცეზებად*. სულ აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიაში 13 დიოცეზი იყო. თითოეულ დიოცეზს სათავეში ედგა იმპერატორის მიერ დანიშნული თანამდებობის პირი — *ვიკარიუსი*. თავის მხრივ, დიოცეზები იყოფოდა მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად — *პროვინციებად*. თითოეულ პროვინციას სათავეში ედგა თანამდებობის პირი — *რექტორი*. აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიაში სულ 17 პროვინცია იყო. პროვინციები იყოფოდა კიდევ უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებად – ოლქებად.

475 წელს გერმანელი ბარბაროსი ტომების შემოსევისა და მონების აჯანყების შედეგად, რომის დასავლეთი იმპერია დაიშალა. რაც შეეხება აღმოსავლეთ იმპერიას, — ანუ ბიზანტიას, მან კიდევ X საუკუნემდე იარსება და დაეცა თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ.

§ 21. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობა რომში

რომში ძირითადად საზოგადოება თავისი უფლებრივი მდგომარეობით *პატრიციებად* და *პლებეებად* იყოფოდა. *პატრიციები* წარმოადგენდნენ საგვარეულო არისტოკრატიას, ანუ დიდკაცობას, რომელიც წარმოიშვა გვაროვნული წყობილების დაშლის შედეგად. ეს იყო საზოგადოების ზედაფენა და სარგებლობდა სრული პოლიტიკური და სამოქალაქო ძალაუფლებით. მხოლოდ პატრიციებს შეეძლოთ სახალხო კრებებში მონაწილეობა, მაგისტრატების თანამდებობის დაკავება. მხოლოდ ისინი ითვლებოდ-

ნენ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებად. შედარებით დაბალ ფენას წარმოადგენდა ***პლებეები***, რომლებიც არ სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით, ე.ი. არ შეეძლოთ სახალხო კრებებში მონაწილეობის მიღება და მაღალი თანამდებობების დაკავება. ასეთი უფლებრივი განსხვავება მომდინარეობს იქიდან, რომ პლებეები არ იყვნენ რომის მკვიდრნი. ეს იყო რომში მოსული მოსახლეობა. დაპყრობილი ტერიტორიებიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რომში მოისწრაფოდა, მათ დიდძალი ქონება დააგროვეს და გახდნენ ვაჭრები, ბანკირები, ფინანსისტები, ხელოსნები. ქონებრივად გაბატონდნენ, მაგრამ უფლებრივად შეზღუდულნი იყვნენ.

სერვიუს ტულიუსის რეფორმების გატარების შემდეგ, 200 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა ბრძოლა პლებეებსა და პატრიციებს შორის. ამ ბრძოლის შემდეგ, დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნიდან, პლებეებსა და პატრიციებს შორის უფლებრივი განსხვავება ისპობა. ისინი გაითქვიფნენ ერთმანეთში და მოგვიანებით მოხდა ახალი წოდების, როგორიც იყო ***ნობილიტეტი***, შექმნა. ესენი იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები. სენატორებს უმთავრესად ამ წოდების წარმომადგენლებისაგან ირჩევდნენ. ამიტომ ისინი სენატორთა წოდებადაც იწოდებოდნენ. ძვ.წ. II საუკუნეში წარმოიშვა ე.წ. ***ცხენოსანთა*** წოდება. აქ ირიცხებოდნენ ის პირები, რომელთა ქონება 100 ათასი სერსტეცს უდრიდა. სერსტეცი ვერცხლის მონეტა იყო, რომელიც 1,2 გრამს იწონიდა. ეს ორი წოდება შეადგენდა საზოგადოების ზედაფენას. ძვ.წ. 212 წელს იმპერატორ კარაკალას მიერ გამოცემულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც იმპერიის მთელ მოსახლეობას მიენიჭა რომაელი მოქალაქეობა. ყოველი ადამიანი, — ამბობს რომის სამართალი, — ან თავისუფალია ან მონაა. რომის სამართალი მხოლოდ თავისუფალი ადამიანის უფლებაუნარიანობას აღიარებს. რომაელი მოქალაქის სრულუფლებიანობა გულისხმობს სამ სტატუსს: 1. რომაელი მოქალაქე უნდა იყოს აუცილებალად თავისუფალი – სტატუს ლიბერტატის; 2. სტატუს ცივიტატის, ანუ აუცილებლად რომაელი მოქალაქე უნდა იყოს; 3. სტატუს ფამილია — ოჯახში თავისუფლების უფლებით უნდა სარგებლობდეს, ე.ი. არ უნდა იყოს ვინმეს ხე-

ლქვეითი. ამავე დროს, უფლებაუნარიანობის მიხედვით, თავისუფალი პირები იყოფიან რომაელ მოქალაქეებად, რომელთა უფლებაუნარიანობა შეუზღუდავია და პროვინციის მოსახლეობა, ანუ პერეგრინები, რომელთაც სამოქალაქო წესით მიესაჯათ რომიდან გაძევება. იმდენად დიდი იყო განსხვავება რომაელებსა და პერეგრინებს შორის, რომ რომში შეიქმნა სპეციალური სამართლის სისტემა, რომლის მიხედვითაც წესრიგდებოდა ურთიერთობა მათ შორის. ამ სამართალს ***იუსგენციუმი*** ეწოდებოდა (ხალხთა სამართალი).

საზოგადოებრივ სტრუქტურაში ცალკე უნდა გამოვყოთ ***ლათინები***. ეს ის პირები იყვნენ, რომელთა საცხოვრებელი ტერიტორია ბრძოლის გარეშე მოხვდა რომის შემადგენლობაში და უფლება ეძლეოდათ რომაელზე დაქორწინებულიყვნენ.

საზოგადოების გარკვეულ ფენას შეადგენდნენ ***მონები***. რომაული სამართალი ადგენდა, რომ მონები ნივთები არიან. მათ მეტყველ ინსტრუმენტსაც უწოდებდნენ. მონობის წყარო იყო შთამომავლობითი მონობა, სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირები და სხვა.

რომში არსებობდა აგრეთვე ერთი ფენა საზოგადოებისა ***ლიბერტინები***, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს გააზატებულს, გათარხნებულს. ე.ი. მონობიდან განთავისუფლებულს. მაგრამ ასეთი პირი სრულ თავისუფლებას მაინც არ ღებულობდა. იგი ძველი პატრონის მფლობელობაში რჩებოდა და ერთგვარ დამოკიდებულებაში იყო მასთან, ამიტომ ლიბერტინები ნახევრად თავისუფალი ხალხი იყო. მათ არ შეეძლოთ არჩეული ყოფილიყვნენ მაგისტრატებად, არ ჰქონდათ უფლება სოციალურად თავისუფალი მდგომარეობის ქალზე დაქორწინებულიყვნენ. ლიბერტინები არ სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებით. დაბოლოს, უკანასკნელ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენდნენ ***კოლონები***. მოსახლეობის ეს ჯგუფი წარმოიშვა ჯერ კიდევ იმპერიის პერიოდში. კოლონები პირადად თავისუფალი ადამიანები იყვნენ, მაგრამ იძულებით მიმაგრებული მიწაზე. ისინი შუა საუკუნეების ყმა გლეხების წინამორბედები იყვნენ. რომაულ საისტორიო წყ-

არეებში ნათქვამია, რომ კოლონები „მიწის მონები" არიან. მათაც აკრძალული ჰქონდათ თავისუფალ ადამიანებზე ქორწინება.

§ 22. რომის სამართლის წყაროები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო სამართლის ისტორიაში ძველი რომის სამართალს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რამდენადაც მისგან დავალებულია როგორც ძველი სამყაროს სახელმწიფოებრიობა და სამართალი, ასევე შემდგომი პერიოდის სამართალგანვითარებაც. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები გარკვეულწილად ეყრდნობა რომის სამართალს[1].

რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა არა მარტო მატერიალური და პროცესუალური ნორმებით, არამედ სამართლისა და სამართლებრივი ნორმების კონცეფციითაც ახლოს დგას ავგუსტუსისა და იუსტინიანეს დროს აღიარებულ კონცეფციებთან. რომაულ-გერმანული სამართალი შორს გასცდა რომის ყოფილი იმპერიის საზღვრებს და მთელს ლათინურ ამერიკაში, აფრიკის დიდ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იაპონიასა და ინდონეზიაში გავრცელდა. ეს ექსპანსია ნაწილობრივ კოლონიზაციით აიხსნება, ნაწილობრივ კი იმ შესაძლებლობებით, რომელიც რომაულ-სამართლებრივ სისტემაში კოდიფიკაციის საყოველთაოდ აღიარებულმა ტექნიკამ შექმნა რეცეფციისათვის.

ინგლისური სამართალი, მართალია, დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემად ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი მაინც ახლოსაა რომაულ სამართალთან. მისმა ევოლუციამ ძირითადად აღადგინა რომაული სამართალგანვითარება, თუმცა სრულიად თავისებური სახით. ამას მოწმობს სარჩელების ფორმის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, სამართლებრივი ნორმების კაზუისტური ხასიათი, ზოგადი ფორმულირებისა და სისტემატიზაციის უგულებელყოფა.

ასე რომ, რომის სამოქალაქო სამართალი სამართალმცოდ-

1 დავიდი რენე. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები; წინასიტყვაობა თედო ნინიძის; თბ.; 1993 წ. გვ. 36.

ნეთა დედანია და იგი დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენს. აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით რომის ***სამართლის წყაროებს*** და სამართლის ზოგად დახასიათებას.

1. ***ადათი.*** რომაელები ადათს უწოდებდნენ „მორეს მაიორუმ", რაც ნიშნავდა წინაპართა წეს-ჩვეულებებს. ეს იყო უძველესი წყარო რომის სამართლისა. რესპუბლიკის პერიოდში ადათი წარმოადგენდა რომის სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ჩვენამდე მოღწეული სამართლის ძეგლები მოწმობენ რომის ადათობრივი სამართლის მნიშვნელობას.

2. ***კანონი.*** ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდში კანონებს იღებდნენ ცენტურიის კრებებზე. ჩვეულებრივად კანონს ენიჭებოდა იმ პირის სახელწოდება, რომელმაც წინადადება შეიტანა ახალი კანონის გამოცემის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ არის მოღწეული ძველი რომის საკანონმდებლო კრებულები. ერთ-ერთი ძეგლი, ისიც გვიანდელი რედაქციით, არის თორმეტი ტაბულის კანონი (Lex Duodemcim Tabularum). ეს ძეგლი, როგორც ვარაუდობენ, შედგენილი უნდა იყოს ძვ.წ. 451-449 წწ. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა პატრიციებსა და პლებეებს შორის. პატრიციების თვითნებობის ასალაგმად პლებეები მოითხოვდნენ დაწერილი კანონების შემოღებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მათი უფლებები და მოვალეობები. პლებეებმა მიაღწიეს, რომ შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებდა ასეთ საკანონმდებლო ძეგლს. შედგენილ იქნა 10-კაციანი კომისია და ათენში გაიგზავნა სოლონის კანონმდებლობის გასაცნობად. როდესაც კომისია დაბრუნდა ათენიდან, წარმოადგინეს კანონთა ათი ტაბულა, ანუ დაფა, რომელიც გამოკრულ იქნა მოედანზე ხალხისათვის გასაცნობად. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნორმები ამ ტექსტში გათვალისწინებული არ ყოფილა. საჭირო გახდა კიდევ ორი ტაბულის შედგენა. საბოლოოდ კანონები ჩამოყალიბდა ***თორმეტი ტაბულის*** სახით.

ძირითადად, ეს კანონები წარმოადგენდა ძველი რომის ადათობრივი სამართლის ჩანაწერს და უმთავრესად სამოქალაქო სამართლის საკითხებს აწესრიგებდა. ის ტექსტი, რომლითაც ჩვენ დღეს

ვსარგებლობთ, აღდგენილია გამოჩენილი რომაელი იურისტების ციცერონის, გაიუსის, ულპიანესა და სხვათა შრომების საფუძველზე. კანონის ორიგინალი დაკარგულია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თორმეტი ტაბულის კანონებმა დიდი როლი შეასრულა რომის სამართლის ისტორიაში.

ტექსტი იყოფა შემდეგ ნაწილებად:

I-II-III ტაბულა ეხება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის-სამართლის პროცესის საკითხებს (სამართალწარმოება, ქურდობა, კრედიტები).

IV-V ტაბულები – საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალს.

VI ტაბულა – ქონებრივ და ვალდებულებითი სამართლის საკითხებს.

VII ტაბულა – მიწათსარგებლობას.

VIII და IX ტაბულები – საჯარო სამართლის საკითხებს (თანასწორთა საზოგადოებრივ საქმეებს).

X ტაბული ეხება გარდაცვლილის დაკრძალვის წეს-ჩვეულებებს.

XI-XII ტაბულები – რელიგიურ წესებს და ჩვეულებებს.

რომაელი იურისტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ თორმეტი ტაბულის კანონს. მას მთელი საჯარო და კერძო სამართლის წყაროდ მიიჩნევდნენ[1].

3. ***ედიქტები.*** რესპუბლიკისა და აგრეთვე პრინციპატის პერიოდში ედიქტებს გამოსცემდნენ არჩეული თანამდებობის პირები — მაგისტრები (კონსულები, პრეტორები, ცენზორები, ქვესტორები, ედილები). ედიქტი იყო განკარგულება მაგისტრატისა, რომელიც ინარჩუნებდა ძალას იმ ვადებში, რა ვადითაც იყო არჩეული. რომის სამართლის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პრეტორის ედიქტებმა. პრეტორი იყო მოსამართლე, რომელიც განიხილავდა სხვადასხვა ხასიათის საქმეს. სწორედ ამ დროს შეიქმნა და ჩამოყალიბდა რომის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც პრეტორული სამართალი ეწოდა.

4. ***სენატის დადგენილებანი*** ეწოდებოდა „სენატუს კონსულ-

1 Richard J. Evans. Gaius Marius: A Political Biography, University of South Africa, 1994, p. 132.

ტა“. მართალია, ფორმალურად ეს არ იყო კანონი, რადგან სახალხო კრების მიერ არ იყო მიღებული, მაგრამ ფაქტობრივად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის. სენატის დადგენილებები უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გამოიცემოდა.

5. ***იურისტების მოღვაწეობა***. იურისტები რომში განმარტავდნენ კანონის შინაარსს. რესპუბლიკის პერიოდში ისინი გარკვეულ პასუხებს იძლეოდნენ ამა თუ იმ კაზუსებზე, იძლეოდნენ კონსულტაციას ცალკეული ხასიათის საქმეებზე. იურისტების მოღვაწეობა განსაკუთრებით განვითარდა პრინციპატის პერიოდში, სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი რომაელი იურისტები: გაიუსი, პომპონიუსი, პაპიანუსი, ულპიანუსი და სხვები. მათ ეკუთვნით სპეციალური ტრაქტატები რომის სამართლის საკითხებზე. ასე მაგ., იურისტმა გაიუსმა შეადგინა რომის სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელო. იურისტების ტექსტებში განმარტებული იყო რომის სამართლისა და კანონმდებლობის ცალკეული საკითხები.

6. იმპერიის პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა ***იმპერატორების საკანონმდებლო მოღვაწეობა***. ამ პერიოდში იმპერატორის განკარგულებები გამოიცემოდა სპეციალური სახელწოდებით, რასაც „კონსტიტუციონეს“ ერქვა.

იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაცია. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (ახ.წ. 475 წ.) აღმოსავლეთ იმპერიაში, ანუ ბიზანტიაში გაცხოველებული საკანონმდებლო საქმიანობა მიმდინარეობდა. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა ახ.წ. 527-528 წლებში შექმნა საკოდიფიკაციო კომისია, რომელსაც დაავალა რომის სამართლის შეკრება, მისი კოდიფიკაცია. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა გამოჩენილი იურისტი ტრიბონიანი. 6 წლის მუშაობის შემდეგ კომისიამ იმპერატორს წარუდგინა რომის სამართლის კრებული, რომელსაც ეწოდება „კორპუს იურის ცივილის“. ეს არის უზარმაზარი საკანონმდებლო კრებული, რომელიც 4 ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

1. ***ინსტიტუციები*** — ასე ეწოდება რომის სამართლის ელ-

ემენტარულ სახელმძღვანელოს, რომლითაც ხდებოდა რომის სამართლის სწავლება იურიდიულ სასწავლებლებში. კოდიფიკაციის პირველი ნაწილი ემყარება ახ.წ. II საუკუნის ცნობილი რომაელი მოღვაწის გაიუსის იმავე სახელწოდების ტრაქტატს. იუსტინიანე კოდიფიკაციის შესავალში ამბობს, რომ „ჩვენი ინსტიტუციები დაფუძნებულია გაიუსის ტრაქტატზე“[1].

2. კოდიფიკაციის მეორე ნაწილს შეადგენს ***დიგესტები***, ანუ ***პანდექტები***. დიგესტა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „შეკრებილს“, ხოლო „პანდექტა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ყველაფრის შემცველს. კოდიფიკაციის ეს ნაწილი წარმოადგენს ამონაწერებს 39 გამოჩენილი რომაელი იურისტის თხზულებიდან. უმთავრესად ულპიანუსისა და პაულიუსის თხზულებიდან. კოდიფიკაციის ეს ნაწილი 50 წიგნს შეიცავს. მაშინდელი წიგნი პატარა ბროშურებს ეწოდებოდა. წიგნები დაყოფილი იყო ტიტულებად, ანუ თავებად.

3. ***იუსტინიანეს კოდექსი***. კოდიფიკაციის მესამე ნაწილს წარმოადგენენ იმპერატორის განკარგულებანი, რომელიც შედგება 12 წიგნისაგან, ხოლო წიგნები დაყოფილია ტიტულებად. აღსანიშნავია, რომ იუსტინიანემ გამოიყენა იმპერატორ თეოდოს II-ის ახ.წ. 438 წლის კოდექსი, მაგრამ მთავარი ნაწილი მაინც იუსტინიანეს განკარგულებები იყო.

4. ***ნოველები*** ეწოდებოდა კოდიფიკაციის მეოთხე ნაწილს და შეიცავდა იმ ედიქტებსა და განკარგულებებს, რომლებიც გამოცემულ იქნა კოდექსის შედგენის შემდეგ.

ასეთი იყო იუსტინიანეს კოდიფიკაციის ძირითადი ნაწილები. „კორპუს იურის ცივილის“ მოქმედება არ შეუწყვეტია რომის იმპერიის გაყოფის შემდეგაც, იგი საფუძვლად დაედო შემდგომი პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებს. ევროპაში დაიწყო მისი რეცეფცია. მაგ., ცნობილია ლეონ ისავრიელის ***ეკლოგას*** სახელწოდების წიგნი, რომელიც ახ.წ. 726 წელს იქნა მიღებული. შემდგომი პერიოდისაა ***კონსტანტინე არმენოპულოს*** ექვსტომეული, რომელიც ახ.წ. 1345 წლით თარიღდება.

---

1 Elli Kohen. History of the Byzantine Jews: a microcosmos in the thousand year empire. — Univercity Press of America. — 2007. — C. 43-50

§ 23. რომის სამართლის ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო სამართალი. რომის სამართალი იცნობს ფიზიკური პირის ცნებას, რაც შეეხება იურიდიულ პირებს, სრულად არ იყო დამუშავებული, თუმცა რომაელ იურისტებს ყურადღებიდან არ გამორჩენიათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქონება ეკუთვნის მხოლოდ ადამიანთა გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს. ფიზიკურ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს, ეწოდებოდა პერსონა, სამართალუნარიანობას – კაპუტა.

რომის სახელმწიფოში უძველესი დროიდანვე განვითარდა ***სანივთო სამართალი*** და ***საკუთრების სამართალი***. უძველეს პერიოდში საკუთრების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ***კვირიტული საკუთრება***. მის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობანი წესრიგდებოდა ცივილური (კვირიტული) სამართლით. ნივთის გასხვისება დასაშვები იყო გარიგების გზით. ასევე ცნობილი იყო უფლება სხვის ნივთზე, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენდა ***სერვიტუტები***. ეს ნიშნავდა, რომ განსაზღვრულ პირს უფლება ჰქონდა ესარგებლა სხვა პირის ნივთებით. რომის სამართლის კლასიკურ პერიოდში გაჩნდა სხვისი ნივთით სარგებლობის სხვა სახეებიც. კერძოდ, ***ემპითევზისი, სუპერფიციები*** და ***გირაო***.

სერვიტუტი განსაზღვრავდა პირის უფლებას, ესარგებლა ნივთით, რომელიც სხვას ეკუთვნოდა. სუპერფიციები, გირაო და ემპითევზისი (სხვისი მიწით სარგებლობა საქალაქო მშენებლობის მიზნით) დიდ როლს ასრულებდა რომის სამოქალაქო სამართლის განვითარებაში. სხვისი ნივთით სარგებლობის ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევის დროს დაცული იყო ამ ნივთის მესაკუთრის უფლებები. XII ტაბულის კანონებში ნათქვამი იყო, რომ, თუ სხვისი მიწის ნაკვეთზე გამოყვანილი წყალსადენი ან ნაკადული ზარალს მიაყენებდა მის მესაკუთრეს, ამ უკანასკნელს შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის სარჩელით ზარალის ასანაზღაურებლად.

რაც შეეხება ***საქორწინო-საოჯახო*** ურთიერთობებს, ქორწინებისათვის დაშვებული იყო ორივე მხარის თანხმობა, აგრეთვე

იმათი თანხმობაც, ვისი ხელისუფლების ქვეშაც ისინი იმყოფებოდნენ.

საქორწინო ასაკად რომში დაშვებული იყო ქალებისათვის 12 წელი, ვაჟებისათვის 14 წელი. მხარეები არ უნდა ყოფილიყვნენ ნათესავები და ყველა თავისუფლად დაბადებულს, გარდა სენატორებისა და მათი შვილებისა, შეეძლო ცოლად შეერთო გააზატებული ქალი.

ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი იყო რომელიმე მხარის გარდაცვალება, ე.წ. „კაპუტა დემინუციო მაქსიმა", ანუ თავისუფლებისა და მოქალაქეობის სტატუსის დაკარგვა.

რომის სამართალიში ცნობილი იყო ***შვილად აყვანის*** ორი სახე:

1) ადორციო, ანუ მამის ხელისუფლებაში მყოფი პირის შვილად აყვანა;

2) აროგაციო, ანუ შვილად ასაყვანი ბავშვი არ იმყოფებოდა მამის ხელისუფლებაში.

თუ პირველ შემთხვევაში საჭირო იყო სასამართლოში განცხადება შეეტანა ღვიძლ მამასა და შვილად ამყვანს, მეორე შემთხვევაში საჭირო იყო იმპერატორის, პრეტორის და ა.შ. განკარგულება, შვილად ამყვანისა და შვილად ასაყვანის თანხმობა (ან მეურვის).

ასევე ცნობილი იყო ***მემკვიდრეობის*** ორი ფორმა:

1) ანდერძის მიერ;

2) კანონის მიერ, რომელიც ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ადგენდა კანონიერ მემკვიდრეს სამკვიდროს მისაღებად.

ცნობილი იყო ***ვალდებულების*** წარმოშობის საფუძვლები: ხელშეკრულება და დელიქტები.

ხელშეკრულებები არსებობდა:

ა) რეალური, რომელიც დადებულად ითვლებოდა ნივთის გადაცემის მომენტიდან;

ბ) კონსენსუალური, რომლის მიხედვითაც ვალდებულება წარმოიშობოდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

რაც შეეხება ***დელიქტებს***, ანუ სამართალდარღვევებს, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, კლასიკურ პე-

რიოდში ისინიც ორ ნაწილად იყოფოდა: 1) დელიქტუმ პრივატუმ – კერძო პირის წინააღმდეგ მიმართული დარღვევა; 2) დელიქტუმ პუბლიკუმ – საჯარო ხასიათის დარღვევა. კერძო დელიქტის ცნება თავისთავად სამ პირობას მოიცავდა: 1) ობიექტური ზარალი, რომელსაც ერთი პირი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენებდა მეორე პირს; 2) პირის ბრალი; 3) მართლწინააღმდეგობა, ანუ ობიექტური სამართლის მიერ მოცემული მოქმედების კერძოსამართლებრივ დელიქტად აღიარება.

სისხლის სამართალი. სისხლის სამართლიდან უნდა აღვნიშნოთ განზრახვასთან ერთად გაუფრთხილებლობის წარმოშობაც. გარდა ამისა, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგინდა ობიექტური შერაცხვის შემთხვევაშიც. რაც შეეხება სასჯელთა სისტემას და ცნებას, დომინატის პერიოდში გავრცელებული აზრის თანახმად, სასჯელი დამნაშავისათვის სამაგიეროს მიზღვასა და დაშინებას ითვალისწინებდა.

სასამართლო და პროცესი. რომის სამართლის ადრინდელ ეტაპზე არსებობდა ლეგისაქციური პროცესი, მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა სამოქალაქო სამართალის პროცესის ორი ახალი სახე: ***ფორმალური*** და ***ექსტრაორდინალური.*** ფორმალურმა პროცესმა გაადვილა მხარეებისათვის საქმეთა განხილვა. ახლა აღარ იყო საჭირო მაგისტრატისა და მხარეთა მიერ კანონით გათვალისწინებული საზეიმო აქტების შესრულება და ფორმულების წარმოთქმა, რომელთა შეუსრულებლობა იწვევდა არასასურველ შედეგებს. გარდა ამისა ცალკეული კატეგორიის საქმეებზე აუცილებელი იყო მოწმეთა გარკვეული რაოდენობა. მაგ., XII ტაბულის მიხედვით ნივის გასხვისება უნდა მომხდარიყო ხუთი მოწმისა და მესასწორის თანდასწრებით. ყოველივე ეს აფერხებდა პროცესის სწრაფად ჩატარებას. ამიტომ შეიქმნა ფორმალური პროცესი, სადაც პირველივე სტადიიდან აქტიურად იყო ჩაბმული მაგისტრატი. იგი ადგენდა წერილობით ფორმულებს, რომლითაც კანონის ენით გადმოიცემოდა საქმის შინაარსი. ამ იურიდიული ფორმულების მიხედვით ხდებოდა საქმის განხილვა სასამართლოში.

ექსტრაორდინალური პროცესის დროს სასამართლო პრო-

ცესს მთლიანად ხელმძღვანელობდა იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელე. მხარეთა ინიციატივა მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მოსამართლე ერთპიროვნულად განაგებდა პროცესს. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა დაევალა კოლეგიებს, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავდა იმპერატორი წარჩინებულთა წრიდან. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ფართოდ გამოიყენებოდა ინკვიზიციური წესები.

ასეთია ის ძირითადი დებულებები, რომელიც რომის სამართლის განვითარებას ახლდა ახ.წ. V საუკუნემდე.

კარი III ევროპული სახელმწიფოები და სამართალი

ევროპულ სახელმწიფოთაგან განვიხილოთ ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის სახელმწიფოების ისტორია და სამართალი. თუმცა მათი სრულყოფილი შესწავლა გაძნელდება, თუ არ დავახასიათეთ ამ ტერიტორიაზე წარმოიქმნილი პირველი პოლიტიკური ერთეულები.

ახ. წ. 476 წელს გერმანელი ბარბაროსი ტომების შემოსევების შედეგად დაეცა რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილი და ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ე.წ. ბარბაროსული სახელმწიფოები: ესპანეთის ტერიტორიაზე — ვესტგუთების სახელმწიფო, საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე — ფრანკების, ბურგუნდიელების, ტიურინგების, ბავარიელების სამეფოები, იტალიის ტერიტორიაზე — ლანგობარდების, ოსტგუთების, ოდოაკრის სახელმწიფოები, ინგლისის ტერიტორიაზე — ანგლოსაქსების სამეფოები. ყველა ისინი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან და სახელმწიფო მმართველობისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის მიხედვით განსხვავდებიან კლასიკური ფეოდალური ტიპის სახელმწიფოებისაგან. კერძოდ, გლეხები ჯერ კიდევ არ არიან დაყმევებულნი, ანუ მთლიანად დამოკიდებულნი მებატონეზე. ვხვდებით, როგორც პირველყოფილი გვაროვნული წყობილების, ასევე მონათმფლობელური წყობილების ნიშნებსაც.

ამ პოლიტიკური გაერთიანებებიდან განვიხილოთ ფრანკების სახელმწიფო, როგორც საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოთა პრელუდია, და ანგლოსაქსების სახელმწიფო, როგორც ინგლისის სახელმწიფოს პრელუდია.

თავი I. ფრანკთა სახელმწიფო და სამართალი (ახ.წ. VI–IX სს.)

§ 24. მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო წყობილება

V საუკუნეში, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, მდინარე ელბასა და რაინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ფრანკთა პოლიტიკური გაერთიანებები. ფრანკები ორ ნაწილად იყოფოდნენ: სალიკური (ზღვის) და რიპუარების (ნაპირის). ფრანკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაიწყო ხლოდვიგ I (მეროვინგების დინასტიიდან) მეთაურობით, სალიკური ფრანკების მიერ გალიაში რომაელთა უკანასკნელი სამფლობელოების დაპყრობით. როგორც ლიტერატურაშია ცნობილი, იგი ბელადობიდან მეფედ ეკურთხა და სახელმწიფოს გაძლიერებისათვის დაეყრდნო საზოგადოების იმ ახალ კატეგორიას, რომელიც ნაწყალობევი მიწებით გამდიდრდა და, ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა ფეოდალური წესით მიწათსარგებლობას[1].

436 წელს ფრანკებს შეუერთდა ალემანთა სამფლობელოების დიდი ნაწილი, 527 წელს — ვესტგუთების მიწები. 534 წელს ხლოდვიგ I-ის შვილმა შემოიერთა ბურგუნდიელებისა და ოსტგუთების მიწების ნაწილი. ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ ქვეყანა მისმა 4 შვილმა გაიყო, შემდეგ კი — შვილიშვილებმა. VII საუკუნიდან გაძლიერდა წარჩინებულთა გავლენა და მეფის ხელისუფლება თითქმის მთლიანად დაეცა. ამ პერიოდში უმაღლეს თანამდებობის პირებად ***მაიორდომები*** გამოდიან. 751 წლიდან კარლოს მარტელის შვილმა პიპინ მოკლემ თავი კვლავ მეფედ გამოაცხადა. ასე აღდგა მეფის ხელისუფლება ფრანკთა სახელმწიფოში კაროლინგების დინასტიის სახით.

ფრანკთა სახელმწიფოს ორი ძირითადი თავისებურება ახასიათებდა:

1. საწყის ეტაპზე მეფეებს ირჩევდნენ, ე.ი. სახელმწიფო ჩამოყალიბდა ოლიგარქიული მმართველობით, ხოლო შემდეგ, მეფის

1 Jacques Le Goff. Medieval Civilization, 400-1500, translated by Julia Barrow. (Oxford: Blackwell, 1988, p. 203.

ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, მეფობა მემკვიდრეობით გადადიოდა;

2. შეზღუდული იყო მეფისათვის ერთ ადგილზე ცხოვრება.

ფრანკთა სახელმწიფოს მოწყობის საკითხი ორი დინასტიის მიხედვით უნდა განვიხილოთ: მეროვინგებისა (VI-VIII სს. შუა წლები) და კაროლინგების (VIII-IX სს.).

მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოს ფუძემდებლად ითვლება მეფე ხლოდვიგ I (481-511 წწ.), ხოლო ძირითადი წყარო, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვსწავლობთ მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, არის სალიკური სამართლის წიგნი. იგი შედგენილია მეფე ხლოდვიგის მიერ V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში. მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო სუსტი პოლიტიკური გაერთიანება იყო, სადაც არ არსებობდა ეკონომიკური, პოლიტიკური, სასამართლო-ადმინისტრაციული ერთიანობა.

გავეცნოთ სახელმწიფოს მექანიზმს ფრანკებში ცალკეული დინასტიების მიხედვით:

1. ***მეფის ხელისუფლება***. ფორმალურად მეფე ითვლებოდა სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლად, რომელსაც ეკუთვნოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და სამხედრო ხელისუფლება. მაგრამ ამ პერიოდში მეფის ხელისუფლება სუსტი იყო, რადგან გერმანელმა ბარბაროსმა ტომებმა დაამსხვრიეს რა რომის იმპერია, თავისი ბატონობის პირველ პერიოდში ვერ შექმნეს განვითარებული სახელმწიფო აპარატი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეფეს არ ჰქონდა მუდმივი რეზიდენცია, ანუ ადგილსამყოფელი, ხოლო მეფის სასახლე ითვლებოდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრად. მეფეს თან ახლდა პირადი მცველები — ანტრუსტიონები, რომელთა მკვლელობისათვის დაწესებული იყო სამმაგი ვერგილდი.

2. ***სამეფო საბჭო*** შედგებოდა მეფის უახლოესი პირებისა და ნათესავებისაგან. იგი ითვლებოდა სათათბირო ორგანოდ, რომელზეც მეფე იხილავდა მნიშვნელოვან საკითხებს.

3. ***„მარტის მინდორი“*** — ასე ეწოდებოდა ძველი სახალხო კრების ერთ-ერთ სახეს, რომელიც გადმონაშთის სახით შენარ-

ჩუნებული იყო მეროვინგების სახელმწიფოში. ყოველწლიურად მარტის თვეში ღია ცის ქვეშ მეფე შეკრებდა ლაშქარს, რომელსაც აუწყებდა ამა თუ იმ ლაშქრობის შესახებ. ამავე დროს, „მარტის მინდორი“ ლაშქრის საბრძოლო დათვალიერებას წარმოადგენდა. ერთი ჩვეულების თანახმად, მოლაშქრენი მეფეს აიყვანდნენ ფარზე და ჩაატარებდნენ ლაშქრის წინ, რაც ნიშნავდა მეფის, როგორც მხედართმთავრის, აღიარებას. მეცნიერთა აზრით, ფრანკებში„მარტის მინდორი“ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. მაგრამ არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც: მეფე ხლოდვიგმა „მარტის მინდორზე“ დათვალიერების დროს შენიშნა, რომ ერთ-ერთ მოლაშქრეს წესრიგში არ ჰქონდა თავისი საომარი საჭურველი, მივიდა მასთან, ჩამოაგლიჯა მახვილი და იქვე დაუგდო. როცა მოლაშქრე იარაღის ასაღებად დაიხარა, ხმლით თავი მოსწყვიტა. ამ ფაქტიდან მეცნიერები ვარაუდობენ, „მარტის მინდორი“ ხალხის უზენაესი კრება რომ ყოფილიყო, მაშინ მეფე ლაშქრის წინაშე ასეთ რამეს ვერ ჩაიდენდაო.

4. ***მაიორდომები***. „მაირდომი“ ნიშნავს სასახლის უფროსს. მეროვინგების ეპოქაში მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო სწორედ მაიორდომების ხელში. ისინი სათავეში ედგნენ სასახლის ადმინისტრაციას, ითვლებოდნენ სამეფო მამულის მმართველებად, მთავარ მოსამართლედ, მთავარ ხაზინადარად, მთავარ ადმინისტრატორად. მათვე ეხებოდა პროვინციების, ოლქების მმართველობა და თანამდებობის პირების დანიშვნა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაიორდომებს მეფე ნიშნავდა, საქმე კი იქამდე მივიდა, რომ მეფის ბედს მაიორდომები წყვეტდნენ: VIII საუკუნის შუა წლებში ერთ-ერთმა მაიორდომმა მეფე ტახტიდან ჩამოაგდო და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა.

5. სამეფო ადმინისტრაციაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ ცალკეული თანამდებობის პირები: ***სენეშალი*** – მეფის პირადი საქმის გამგებელი და სამეფო მოსამსახურეების ხელმძღვანელი, ***მარშალი*** — სამხედრო საქმეების გამგებელი, ***კამერერი*** და ***ტეზაურარი*** — მეფის მოძრავი ქონების მცველები. მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო ***სასახლის გრაფი*** და ***რეფერენდარი***. გრაფი სასამართლო ფუნ-

ქციებს ახორციელებდა, ესწრებოდა სამეფო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას, ხელმძღვანელობდა სასამართლო ორთაბრძოლებს. რეფერენდარი აფორმებდა და რედაქტირებას უკეთებდა მეფის მიერ გამოცემულ აქტებს (ედიქტებს, დიპლომებს), ინახავდა არქივებს. მას ექვემდებარებოდნენ გადამწერები და კანცელარიის მუშაკები. გრაფი და რეფერენდარი სამხედრო და საფინანსო საკითხების გადაწყვეტაშიც იღებდნენ მონაწილეობას.

6. რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას***, მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო დაყოფილი იყო საჰერცოგოებად, საგრაფოებად და ასეულებად. ***საჰერცოგო*** წარმოადგენდა ქვეყნის განაპირა ოლქების ტერიტორიულ ერთეულს. ქვეყნის შიდა ტერიტორია დაყოფილი იყო ***საგრაფოებად***, სათავეში იდგა გრაფი, რომელიც ინიშნებოდა მეფის მიერ და ეკუთვნოდა ადმინისტრაციული და სასამართლო მმართველობა. იგი ნიშნავდა მოადგილეს — ვიკარიუსს. საგრაფოები იყოფოდა ***ასეულებად***, ანუ ცენტურიებად. ასეთი დაყოფა რომაულიდან მომდინარეობს, სადაც ცენტურია სამხედრო დაყოფის ერთეული იყო, რომელსაც სათავეში ცენტენარიუსი, ანუ ასისთავი ედგა. დაბოლოს, ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს ***სასოფლო თემი*** წარმოადგენდა.

7. ***სასამართლო ორგანიზაციის*** მიხედვით ყველაზე ქვედა რგოლს ასეულის სასამართლო — ***მალუსი*** — წარმოადგენდა, რომელიც პერიოდულად მოიწვევოდა და შედგებოდა 7 არჩეული ***რახინბურგისაგან***. ეს უკანასკნელნი საქმეს გადაწყვეტდნენ ***ტუნგინის*** ხელმძღვანელობით (ეს თანამდებობა არჩევითი იყო და გვაროვნული წყობილებიდან გვარის ბელადის გადმონაშთს წარმოადგენდა). რახინბურგებად ადგილებზე ყველაზე ცნობილ და გამოჩენილ ადამიანებს ირჩევდნენ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სასამართლოზე სავალდებულო იყო ასეულის ყველა თავისუფალი ადამიანის დასწრება. მეფის ხელისუფლების ზრდასთან ერთად, ასეულის სასამართლო ფუნქციები გრაფებსა და ჰერცოგებს გადაეცათ, ბოლოს კი მეფეს, რომლის სახელითაც მაიორდომს შეეძლო განეხილათ საქმე რამდენიმე პირთან ერთად. სამეფო სასამართლო საქმეს იხილავდა არჩევითი პირების დასწრების გარეშე.

§ 25. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობა მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოში

სალიკურ სამართალში, რომლის მიხედვითაც ხდება მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოს მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, შეფასებულია თითოეული წოდების წარმომადგენლის მკვლელობისათვის სისხლი, ანუ კომპოზიცია. იგი გამოხატულია ფულად ერთეულში, რომელსაც სოლიდი ჰქვია. სოლიდი ოქროს მონეტაა და შეიცავს ვერცხლის ორმოც დინარს. სალიკური სამართლის მიხედვით, საზოგადოებრივი სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. ***საგვარეულო მსახურეული დიდკაცობა.*** აქ შედიოდნენ სამეფო კარის უმაღლესი თანამდებობის პირები. აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის სათავეში მდგომი გრაფები. ეს იყო საზოგადოების გაბატონებული ფენა, რომელიც წარმოიშვა, ერთი მხრივ, გვაროვნული წყობილების დაშლის შედეგად და, მეორე მხრივ, კარის მომსახურე აპარატისაგან. გრაფის სისხლი, ანუ ვერგილდი სალიკური სამართლით შეადგენდა 600 სოლიდს, რაც სამჯერ აღემატებოდა თავისუფალი ფრანკის სისხლს.

2. ***თავისუფალი ფრანკი გლეხკაცობა.*** მეროვინგების ეპოქაში გლეხობა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დაყმევებული. თავისუფალი ფრანკის მკვლელობისათვის ვერგილდი დაწესებული იყო 200 სოლიდი, ე.ი. სამჯერ ნაკლები გრაფის სისხლზე.

3. ***ლიტები*** — ეწოდებოდა ნახევრად თავისუფალ პირებს, რომლებიც სრული თავისუფლებით არ სარგებლობდნენ და იმყოფებოდნენ მათი ყოფილი ბატონის მფარველობაში. ამავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ მონობიდან განთავისუფლებული პირები, ე.ი. გააზატებულნი. ლიტისა და გააზატებულის ვერგილდი უდრიდა 100 სოლიდს, ე.ი. იმის ნახევარს, რაც თავისუფალი ფრანკი გლეხისათვის იყო დაწესებული.

4. ***მონები*** გარკვეულწილად ფრანკებშიც არსებობდნენ. მო-

ნის ვერგილდი პირუტყვის ვერგილდს უდრიდა. მონის მკვლელობისათვის დაწესებული იყო 35 სოლიდი. მაგრამ, თუ მონას რაიმე სპეციალობა ჰქონდა, მისი სოლიდი 80-ით განისაზღვრებოდა. მონობის წყაროს წარმოადგენდა სამხედრო ტყვეობა, მემკვიდრეობითი მონობა, სასამართლო წესით მონობის დამღის დასმა, ვალაუვალი მევალე და სხვა.

§ 26. კაროლინგების ფრანკთა სახელმწიფო წყობილება

714 წელს ფრანკების სამეფო ტახტზე კარლოს მარტელი ავიდა. „მარტელი" – უროს ნიშნავს. ასეთი სახელი მას აგრარული რეფორმის გამო შეარქვეს, რომელიც საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ გატარდა. საეკლესიო ფეოდალებმა აჯანყება მოაწყვეს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და სწორედ ამ აჯანყების ჩასაქრობად და ურჩ ფეოდალთა დასათრგუნად გატარდა აღნიშნული რეფორმა. ამბოხებულ ფეოდალებს ჩამოერთვათ მიწები და გადაეცათ მეფის ვასალებს. ე.ი. მოხდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია. „სეკულარიზაცია" ნიშნავს საეკლესიო მიწების საერო მიწებად გამოცხადებას. კონფისკაციაქმნილი მიწები ბენეფიციუმის სახით გადაეცათ კარლოს მარტელის ვასალებს. ის, ვინც ამ მიწებს ღებულობდა, ვალდებული იყო სამეფო სამსახურში შესულიყო, პირველ რიგში — სალაშქრო სამსახურში.

751 წელს სამეფო ტახტზე ავიდა მეფე პიპინი, რომელიც ითვლება კაროლინგების იმპერიის ფუძემდებლად. ამ დინასტიის ბატონობა X საუკუნის ბოლომდე გრძელდება. პიპინის დროს დაპყრობილ იქნა იტალია, ხოლო მისი მემკვიდრეების დროს ლანგობარდებისა და საქსონიის სამეფოები. კაროლინგების ისტორიაში ქვეყნის დამფუძნებლად მიჩნეულია მეფე კარლოს დიდი (768-814 წწ.). მისი გარდაცვალების შემდეგ, 843 წელს კაროლინგების იმპერია სამ ნაწილად გაიყო. X საუკუნის ბოლოს კი ამ ნაწილებიდან წარმოიშვა თანამედროვე ევროპის სამი დიდი სახელმწიფო: საფრანგეთი, გერმანია, იტალია.

დავახასიათოთ კაროლინგების ფრანკთა სახელმწიფო წყობილება:

1. სახელმწიფოს სათავეში ***მეფე*** იდგა, რომელიც განასახიერებდა უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო და სამხედრო ხელისუფლებას. ფაქტობრივად იმპერია მტკიცე არ იყო, რადგან გაუთავებელი ბრძოლა წარმოებდა დაპყრობილ სახელმწიფოებსა და თვით იმპერიას შორის. ასეთი უზარმაზარი მანქანის შენარჩუნება მხოლოდ კარლოს დიდმა შეძლო.

2. ***„მაისის მინდორი“*** — ასე ეწოდებოდა მსხვილ ფეოდალურ საკრებულოს, რომელიც ყოველწლიურად მაისის თვეში იწვეოდა. თუ მეროვინგების „მარტის მინდორი“ წარმოადგენდა ძველი სახალხო კრების გადმონაშთს, რომელსაც თითქმის არავითარი უფლებები არ ჰქონდა, მისგან განსხვავებით, „მაისის მინდორი“ მსხვილ ფეოდალთა საკრებულო იყო, რომელშიც შედიოდნენ მეფის უშუალო ვასალები, მაიორდომები, ჰერცოგები, ეპისკოპოსები, სასახლის გრაფი და პროვინციის ყველა გრაფი. კრების მოწვევა მეფის ინიციატივით ხდებოდა. კრება იხილავდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც იყო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, ვის უნდა გადასცემოდა სამეფო ტახტი, მეფის ქვეშევრდომთა მიერ ერთგულების ფიცის მიღება, იმპერიის ან სამეფოს გაყოფის საკითხი, ეპისკოპოსების დანიშვნა, სამეფო ედიქტებზე ან განკარგულებებზე ხელის მოწერა, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა განხილვა, როგორიც იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება, ამბოხება და სხვა. „მაისის მინდორს“ მეფე თავმჯდომარეობდა, გვერდით ედგა ერთ-ერთი მაიორდომი და აცნობებდა საკრებულოს მეფის განკარგულებას მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ. ამის შემდეგ მეფე ან მაიორდომი კრებას დახურულად აცხადებდა. აღსანიშნავია, რომ ამ საკრებულოს არ ჰქონდა ერთი განსაზღვრული ადგილი და როგორც წესი ,არარეგულარულად იკრიბებოდა.

3. ***სასახლის გრაფის*** მნიშვნელობა კაროლინგების სახელმწიფოში კიდევ უფრო გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო მაიორდომების თანამდებობების გაუქმებით. ამასთან ერთად, სახელმწი-

ფოს მმართველობაში სასულიერო პირთა როლის გაზრდას მოჰყვა ახალი თანამდებობის — ***არქიკაპელანის*** დაწესება. იგი სამეფო კაპელას განაგებდა და სათავეში ედგა მთელ სასულიერო პირებს. დროთა განმავლობაში მის გამგებლობას დაუქვემდებარდა სამეფო კანცელარიის მმართველობა (ბრძანებულებათა შედგენა, არქივის შენახვა და სხვა). არქიკაპელანს ჰყავდა თანაშემწე — ***კანცლერი***, რომელმაც რეფერენდარი შეცვალა. კანცლერს ექვემდებარებოდნენ ***ნოტარიუსები***.

4. მთელი იმპერია იყოფოდა ***საგრაფოებად***. საგრაფო წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის ძირითად ორგანოს. საგრაფოს სათავეში იდგა მეფის მიერ დანიშნული გრაფი, რომელიც საგრაფოს, ანუ ოლქების უმაღლეს ადმინისტრატორად ითვლებოდა. იგი, ამავე დროს, თავმჯდომარეობდა საგრაფო სასამართლოს. 877 წელს გამოიცა კაპიტულარი — კანონი, რომლის თანახმად გრაფის თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა მის მემკვიდრეებზე.

გრაფები ნიშნავდნენ თავიანთ მოადგილეებს, ანუ ***ვიკარიუსებს***. კაროლინგების დროს თითოეულ ვიკარიუსს თავისი სამმართველო ტერიტორიული ოლქი ჰქონდა. თანდათან ისინი ასეულის მეთაურებს დაემსგავსნენ და უფლებრივი მდგომარეობითაც აღარ განირჩეოდნენ მათგან.

5. ***ასეულები***. საგრაფოები დაყოფილი იყო ასეულებად, რომელიც სამხედრო და საგადასახადო ერთეულს წარმოადგენდა. ასეულს სათავეში იდგა ასისთავი, ანუ ცენტენარიუსი. დაბოლოს, ასეულები იყოფოდა ***სოფლებად***, რომლებიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითად ერთეულად ითვლებოდა.

6. კარლოს დიდს ეკუთვნის სასამართლო რეფორმა, რომლის საფუძველზე შეიცვალა მეროვინგების პერიოდის სასამართლო სისტემა. კერძოდ, გააუქმა თავისუფალ მოქალაქეთა სავალდებულო დასწრება სასამართლო განხილვაზე და არჩევითი რახინბურგები შეიცვალა დანიშვნითი თანამდებობის პირებით — ***სკაბინებით***.

§ 27. სამართლის ძირითადი ნიშნები ფრანკთა სახელმწიფოში

ფრანკთა სახელმწიფოში სამართლის მნიშვნელოვან წყაროს ე.წ. ბარბაროსული სამართალი წარმოადგენდა. ეს სახელი ეწოდა ბარბაროსი ტომების ჩვეულებათა ჩანაწერებს, რომლებიც V-VI საუკუნეებში რომის ყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნა. სამართლის ასეთი ჩანაწერებია: ვესტგუთების სამართალი (ანუ მეფე ევრიკის სამართალი), ბურგუნდების სამართალი, სალიკური სამართალი, რიპუარული სამართალი, ბავარიელთა სამართალი, საქსონური სამართალი. ამ პერიოდში ჭარბობდა სამართლის მოქმედების „ნაციონალური" და არა ტერიტორიული პრინციპი. ასე რომ, ფრანკთა სახელმწიფოში მოქმედებდა არა მარტო სალიკური, არამედ ბარბაროსული სამართლის სხვა ძეგლებიც. ჩვენ ძირითადად სამართლის დარგებს ფრანკთა სახელმწიფოში სალიკური სამართლის მიხედვით განვიხილავთ. ***სალიკური სამართალი*** (Lex Salica) VI საუკუნის დასაწყისშია შედგენილი მეფე ხლოდვიგის დროს და იგი 45 ტიტულისაგან შედგება. თავდაპირველ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ყველაზე ძველი ხელნაწერები მეფეების – პიპინ მოკლესა და კარლოს დიდის (VIII ს.) დროიდან მოგვეპოვება[1]. სამართლის წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე მეფეთა მიერ მიღებული აქტები — ***ედიქტები, დეკრეტები, კაპიტულარები.*** კაპიტულარების მოქმედებით ივსებოდა სალიკური სამართლით დაშვებული ხარვეზები.

სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო სამართლიდან შევეხოთ ***საკუთრების უფლებას.*** სალიკური სამართლის მიხედვით მიწაზე საკუთრება ორი ფორმით იყო წარმოდგენილი: 1. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვრები, ტყეები, რომლებიც იმყოფებოდა ***თემის საერთო მფლობელობაში.*** პერიოდულად ხდებოდა სახნავ-სათესი მიწების გადანაწილება თემის ცალკეულ წევრებს შორის. საერთო თემურ საკუთრებაში არსებულ მიწები თემის თანასწორ

1 Lex salica - the ten texts with the glosses, and the lex emendata. Synoptically edited by J. H. Hessels. With notes on the Frankish words in the Lex salica. By H. Kern, London, 1880.

და საერთო მფლობელობაში იყო. თემის რომელიმე წევრს ასეთი მიწების ცალკეულ ნაწილებად მითვისება არ შეეძლო. 2. ***ალოდი*** — მიწაზე კერძო საკუთრებაა, რომელიც ჩუქებითა და ყიდვით, აუთვისებელი მიწების მითვისებით გაჩნდა. ალოდის სახელწოდება მიწებმა მოგვიანებით მიიღო. სალიკურ სამართალში აღნიშნულია, რომ ალოდი წარმოადგენს საკარმიდამო ნაკვეთს, რომლის მემკვიდრეობით მიღების უფლება მხოლოდ ვაჟიშვილებს ჰქონდათ. მამის გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილებს არ შეეძლოთ დაემკვიდრებინათ ალოდი. ეს უფლება ქალებმა VI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიპოვეს. ალოდი წარმოადგენს საკუთრების გარდამავალ ფორმას, რომელმაც ადგილი დაუთმო საადგილმამულო საკუთრების ახალ ფორმას — ***ბენეფიციუმს***. სიტყვასიტყვით ბენეფიციუმი „წყალობას“ ნიშნავს. ბენეფიციუმი პირობითი და ვადიანი მფლობელობაა, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებული სამსახურის შესრულებასთან. მეფე ან მსხვილი სენიორი თავის ვასალს უბოძებდა მიწის ნაკვეთს სამსახურის შესრულების პირობით. ეს სამსახური შეიძლება ყოფილიყო ლაშქარში გაწვევა, ან სხვა. ბენეფიციუმს ვასალი ფლობდა მანამ, ვიდრე იგი სალაშქრო სამსახურს ან სხვა მასზე დაკისრებულ საქმეს ასრულებდა. როგორც კი ეს სამსახური შეწყდებოდა, ვასალი მაშინვე დაკარგავდა ბენეფიციუმის უფლებას. ბენეფიცუმი შეიძლება არც ჩავთვალოთ საკუთრებად. იგი მფლობელობაა, რომელიც დაკავშირებულია სამსახურის შესრულებასთან. მეორე ნიშანი ბენეფიციური მფლობელობისა ის არის, რომ იგი ეძლევა ვასალს მთელი სიცოცხლის ვადით. ვასალის გარდაცვალების შემდეგ ბენეფიციუმი ავტომატურად არ გადადიოდა მის მემკვიდრეებზე, ე.ი. ბენეფიციუმი სამუდამო მფლობელობაა. ბენეფიციუმი დროთა განმავლობაში შეცვალა ***ფეოდმა***, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს მამულს. ფეოდი ფრანგული ფეოდალური ეპოქის ტერმინია. გერმანიაში მას ლენი ერქვა, რუსეთში — ვოტჩინა, ქართულში — მამული.

საკუთრების უფლების მისაღებად არსებობდა ***ხანდაზმულობის ვადა***, რომელიც ფრანკებში ძალიან მცირე — ერთი წელი იყო. სალიკური სამართალი ითვალისწინებდა მოტაცებული ან დაკარ-

გული *ნივთის ვინდიკაციას*. თუ მფლობელთან მესაკუთრე თავის ნივთს აღმოაჩენდა და მფლობელი აღიარებდა ქურდობის ფაქტს, გამტაცებელს გადახდებოდა ჯარიმა. თუ უარყოფდა ქურდობის ფაქტს და დაამტკიცებდა, რომ იყიდა მის მფლობელობაში არსებული სადავო ნივთი, იგი დროებით მესამე პირს გადაეცემოდა და დაიწყებოდა სასამარლო გამოძიება.

ვალდებულებითი სამართალი. ცნობილია, რომ ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან და ზიანის მიყენებიდან. სალიკურ სამართალში ხელშეკრულების ძირითადი სახეობებიდან ვხვდებით: ყიდვა-გაყიდვას, სესხს, ქირავნობას, ნასყიდობას, ნივთის შესანახად მიბარებას. თითოეული ხელშეკრულება ითვალისწინებს განსაზღვრულ ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარე ვალდებულია მატერიალური პასუხისმგებლობა გასწიოს ე.ი. აანაზღაუროს ზიანი.

ქორწინება და ოჯახი. სალიკური სამართლის მიხედვით ოჯახი წარმოადგენს მონოგამიურ კავშირს. მრავალცოლიანობის არავითარი ნიშანი ამ პერიოდში არ ჩანს. ხოლო თვით ქორწინება ხელშეკრულება იყო, რომელიც წერილობითი ფორმით იდებოდა სასიძოსა და საპატარძოლოს მშობლებს შორის. ამავე დროს, სასიძოს უნდა გადაეხადა საპატარძლოს გამოსასყიდი ფასი. მემკვიდრეებად, ჩვეულებრივ, ვაჟები ითვლებოდნენ, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში, უძრავი ქონების დამკვიდრება ქალებსაც შეეძლოთ.

რაც შეეხება განქორწინებას, იგი ქალისათვის არ დაიშვებოდა. მამაკაცს განქორწინება შეეძლო ღალატისა და ცოლისაგან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ქვრივი ქალი დაღუპული ქმრის ქონებას საკუთრებაში ღებულობდა, მაგრამ მეორედ გათხოვების შემთხვევაში, პირველი ქმრის ნათესავებისათვის უნდა გადაეხადა სამი სოლიდი და ერთი დინარი, ხოლო ხლოდვიგის კაპიტულარით ეს გადასახადი მთელი დატოვებული ქონების 1/10-მდე გაიზარდა.

ფრანკებში, ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, გვერდს ვერ ავუვლით მამის ხელისუფლებას, რომელიც შვილე-

ბზე ვრცელდებოდა, მაგრამ რომაული სამართლისაგან განსხვავებით, იგი შეუზღუდავი არ იყო. მამის ხელისუფლება ვაჟებზე სრულწლოვანებამდე გრძელდებოდა (ფრანკებში იგი 12 წელი იყო, რიპუარების სამართლით 15 წელი), ხოლო ქალებზე — გათხოვებამდე.

დანაშაული და სასჯელი. სალიკური სამართლის წიგნი დანაშაულთა შემდეგ ჯგუფებს იცნობს: 1. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ადამიანის მოტაცება, სქესობრივი ძალადობა და სხვა; 2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — ქურდობა, ძარცვა, ცეცხლის წაკიდება და სხვა; 3. რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — ღვთის გმობა, ჯადოქრობა, წმინდა ადგილების, სასაფლაოებისა და ტაძრების შეურაცხყოფა; 4. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები — სალიკურ სამართალში თითქმის არ მოიხსენიება, მაგრამ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამგვარ დანაშაულებს ადგილი ექნებოდა ფრანკებში. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ ასეთი მძიმე დანაშაულისათვის თავისთავად სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა ყოფილიყო გამოყენებული.

სასჯელის ძირითად სახეს სალიკურ სამართალში ***კომპოზიცია*** წარმოადგენს. სისხლის აღების ჩვეულება შენარჩუნებულია. არ გვხვდება ტალიონის პრინციპი, მაგრამ ადგილი აქვს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. თემის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ დამნაშავეს ვერ აღმოაჩენდნენ, პასუხი მოეთხოვებოდა თემს.

კომპოზიცია, ანუ სისხლის დაურვება, როგორც სასჯელის სახე, გულისხმობს ფულად ან ქონებრივ საზღაურს, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის ქონებრივი, წოდებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით. კომპოზიციების გადახდა ოქროს სოლიდებითა და ვერცხლის დინარებით ხდებოდა. ყველაზე მაღალი კომპოზიცია დაწესებული იყო მეფის პირადი მსახურისა და პირადი მცველის, ანუ ანტრუსტიონის მოკვლისათ-

ვის. ამ შემთხვევაში დამნაშავეს 1800 სოლიდი უნდა გადაეხადა; გრაფის მოკვლისათვის 600 სოლიდი; გრაფის თანაშემწის (ვიცე გრაფი ან საცებარონი) — 300 სოლიდი; თავისუფალი ფრანკი გლეხის მოკვლისათვის — 200 სოლიდი; ლიტის ან გააზატებულის მოკვლისათვის — 100 სოლიდი; მონის მოკვლისათვის — 35 სოლიდი. ასეთი იყო კომპოზიციების ძირითადი სისტემა სალიკური სამართლით.

კომპოზიციების გარდა მეტად მძიმე სასჯელი იყო ***ნათესაობაზე ხელის აღება***. პირი, რომელიც მკვლელობას ჩაიდენდა, უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოში და ეთქვა, რომ მას არც მიწაზე და არც მიწის ქვეშ არ გააჩნია იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გადაიხადა და ამიტომ სთხოვს თავის უახლოეს ნათესავებს დაეხმარონ კომპოზიციის გადახდაში. ნათესავებიდან თუ არავინ მოისურვებდა დახმარებოდა კომპოზიციის გადახდაში, დამნაშავეს პასუხი თავისი სიცოცხლით უნდა ეზღო. ასეთი მძიმე სასჯელის გამო ხშირი იყო შემთხვევები, როცა თემის რიგითი წევრები ხელს იღებდნენ ნათესაობაზე, საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ თუ რომელიმე მისი ნათესავთაგანი მკვლელობას ჩაიდენდა, იგი არ მიიღებდა არავითარ მონაწილეობას კომპოზიციის გადახდაში. შეგახსენებთ, რომ კომპოზიციების სისტემა შემუშავდა გვაროვნული წყობილების დროს. მაშინ მთელ გვარს ადვილად შეეძლო გამოესყიდა გვარის მიერ ჩადენილი დანაშაული. ფრანკთა სახელმწიფოში ერთ პირს არ შეეძლო გადაეხადა ასეთი დიდი თანხა.

სხვა სასჯელთაგან აღსანიშნავია ***სიკვდილით დასჯა*** (შედარებით იშვიათად ხდებოდა), ***გამათრახება***, თემიდან და ქვეყნიდან ***გაძევება***, დამნაშავის ***კანონგარეშე გამოცხადება***, ***ქონების კონფისკაცია*** (დამატებითი სასჯელი იყო), დაბოლოს ***დასაჭურისება***, რაც გამოიყენებოდა უმთავრესად მონების მიმართ. სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა თავის მოკვეთითა და ჩამოხრჩობით.

სასამართლო და პროცესი. ფრანკებში შემდეგი სასამართლო დაწესებულებები არსებობდა: ***მეფის სასამართლო***, რომელიც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო იყო, ***საგრაფო სასამართლო*** – საგრაფოში ჩადენილ დანაშაულისათვის, ***ასეულის სასამართლო***

– სათავეში ედგა ასისთავი, ანუ ცენტენარიუსი. გრაფის თანაშემწედ სასამართლოს საქმეებში ითვლებოდა საცებარონი, აგრეთვე საგრაფოს სასამართლოს წევრები, რომელთაც რახინბურგები ერქვათ.

XI საუკუნეში ჯერ კიდევ გვხვდება თემის არჩეული მოსამართლე — ***ტუნგინი***. როგორც წესი, თემისა და ასეულის, ანუ ტუნგინისა და ცენტენარიუსის სასამართლოები შედარებით უმნიშვნელო საქმეებს არჩევდნენ. პროცესი მეროვინგების სახელმწიფოში ***საბრალდებო*** ხასიათს ატარებდა. ეს იყო კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული პროცესი, როცა საქმის მთელი წარმოება დამოკიდებული იყო დაზარალებულის ინიციატივაზე. მას უნდა შეეგროვებინა დამამტკიცებელი საბუთები, სასამართლოში მოეწვია მოპასუხე და მოწმეები და ამ გზით უზრუნველეყო პროცესის წარმართვა. ***დამამტკიცებელ საბუთებად*** გამოდგებოდა: მოწმეთა ჩვენებები, ფიცი, მდუღრით გამოცდა, წერილობითი საბუთები. მდუღრით გამოცდა ეს იყო ორდალი, ანუ ღვთის მსჯავრი, რომელიც შემდეგი წესით ხდებოდა: აადუღებდნენ წყლით სავსე ქვაბს და როცა წყალი გადმობრუნდებოდა, ლითონის ნაჭერს ჩააგდებდნენ შიგ. ბრალდებულს უნდა ამოეღო ეს ნაჭერი და მყისვე ხელს შეუხვევდნენ. თუ აღმოჩნდებოდა, რომ სამი დღის შემდეგ ხელი დამწვარი ჰქონდა, იგი დამნაშავედ ცხადდებოდა, თუ არა — უდანაშაულოდ. სალიკურ სამართალში მხოლოდ ეს ერთი ორდალია მოხსენიებული. მაგრამ ამავე პერიოდის ბარბაროსული სამართლის სხვა წიგნებში ორდალთა სხვა სახეებსაც ვხვდებით, მაგ., წყლით გამოცდა, შანთით გამოცდა და სხვა.

თავი II. გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (ახ.წ. IX–XX სს.)

§ 28. სახელმწიფო წყობილების ევოლუცია გერმანიაში

გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული განვითარება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც სახელმწიფოს წყობილების, ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სახელმწიფოს ფორმათა ცვლილებებში გამოიხატება. ამიტომ ამ ქვეყნის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებული სტრუქტურით განვიხილოთ.

IX საუკუნეში ფრანკთა სახელმწიფოს დაშლის შედეგად, მდინარე რაინის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მიწებზე, წარმოიქმნა გერმანიის სახელმწიფო. თავდაპირველად მას აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფოსაც უწოდებდნენ (Ostfrenkisches Reich). სახელმწიფოს სახელწოდება სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოითქმის. XI საუკუნიდან აქ მაცხოვრებლები თავიანთ თავს ტევტონებს (Teutoni) ეძახდნენ და ეს სახელწოდება შემორჩა ბოლო დრომდე (Deutschland — ტევტონთა ქვეყანა). ფრანგები, VI-IX საუკუნეების ტომობრივი გაერთიანების სახელწოდებიდან გამომდინარე, მათ ალემანებად (Allemagne) მოიხსენიებენ. სლავური წარმოშობის ქვეყნებში კი ნემცებად იწოდებიან (ეტიმოლოგიური მნიშვნელობით „немой", — ე.ი. არ შეეძლოთ სლავურ ენაზე საუბარი).

თავდაპირველად გერმანიაში არ იყო არც პოლიტიკური, არც ეროვნული ერთიანობა. ფაქტობრივად იგი დამოუკიდებელი სამფლობელოებისგან შედგებოდა: შვაბია, ბავარია, ფრანკონია, საქსონია, ტიურინგია და სხვა (Schwaben, Bayern, Franken, Sachsen, Thwringen u.a.). ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპის სხვა კლასიკური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, აქ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გარკვეული თავისებურებებით განვითარდა. ამ თავისებურებათა შორის აღსანიშნავია:

1. გერმანიის ეკონომიკური განვითარება არათანაბრად მიმ-

დინარეობდა. მსხვილი ფეოდალური სამთავროები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ერთმანეთისაგან. მათ მეტად სუსტი ეკონომიკური ურთიერთკავშირი ჰქონდათ.

2. საიმპერატორო ხელისუფლება სუსტი იყო, რაც გამოწვეული იყო გერმანიის იმპერატორების მუდმივი ომებით იტალიის დასაპყრობად. მართალია, X საუკუნეში იტალია გერმანელებმა დაიპყრეს, მაგრამ ამ ბრძოლებში თვით იმპერატორის ხელისუფლება მნიშვნელოვნად დასუსტდა. გარდა ამისა, თითქმის 150 წლის განმავლობაში, XI საუკუნიდან XIII საუკუნემდე, გერმანიის იმპერატორებსა და რომის პაპებს შორის სასტიკი ბრძოლა წარმოებდა ხელისუფლებაში პირველობისათვის.

3. გერმანელმა იმპერატორებმა ვერ შეძლეს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ქალაქებთან. საფრანგეთსა და ინგლისში ქალაქები მეფის ხელისუფლების მოკავშირეებად გამოდიოდნენ მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ. გერმანიაში კი, პირიქით, ქალაქები დაპირისპირებული აღმოჩნდნენ საიმპერატორო ხელისუფლებასთან.

როდესაც გერმანიაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დროისა და სივრცის მიხედვით იგი ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად იქნეს განხილული. ამიტომ გვერდს ვერ ავუვლით სახელმწიფოს მექანიზმის ცალკეული ელემენტების განვითარებას პერიოდების მიხედვით. ზემოთ დასახელებული თავისებურებებისა და ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოვყოთ:

1. „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის"(„Heiliges RRmisches Reich Deutscher Nation") შექმნა და ადათობრივი სამართლის დაძლევა (X-XIV სს.).

ამ ეტაპზე გერმანიაში ინგლისისა და საფრანგეთისაგან განსხვავებული პროცესები მიმდინარეობდა. თუ ამ სახელმწიფოებში XIV საუკუნისათვის ფეოდალური დაქუცმაცებულობის პროცესი დაძლეულ იქნა ცენტრალიზებული სახელმწიფოს სასარგებლოდ, გერმანიაში, პირიქით, სახელმწიფოს დაქუცმაცებულობა განსაკუთრებით იკიდებდა ფეხს. მართალია, სასაქონლო-ფულადი

მეურნეობა ისე ვითარდებოდა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ განვითარების დაბალმა ტემპმა უკუზეგავლენა მოახდინა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პროცესზე.

სამართალგანვითარების თვალსაზრისით, ეს პერიოდი ჩვეულებითი სამართლის უპირატესობით ხასიათდება. როგორც ცნობილია, ბარბაროსების შემოსევის დროიდან როგორც ბარბაროსები, ისე რომის იმპერიის დანგრეული ნაწილი ერთხანს თავიანთი კანონებით განაგრძობდნენ ცხოვრებას. ბარბაროსების ქრისტიანებად მოქცევის შემდეგ კი მოსახლეობამ თანდათანობით იწყო დაახლოება, მოხდა მათი ნაწილობრივი შერწყმა და ბარბაროსული კანონების პრიმიტიული პრინციპების სანაცვლოდ ტერიტორიული ჩვეულებები დამკვიდრდა.

2. კურფიუსრტების ოლიგარქია და რომის სამართლის რეცეფცია (XIV-XVII სს.). ამ პერიოდში გერმანიას რამდენიმე დიდებული მართავდა და ქვეყანა დეცენტრალიზაციის ტენდენციას ადგა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალი სამართლებრივი სისტემის დამკვიდრებაში. თუ ინგლისში საერთო სამართლის განვითარება სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას მოჰყვა და ძლიერი ცენტრალიზებული სამეფო სასამართლოების არსებობასთან იყო დაკავშირებული, გერმანიაში მსგავსი რამ არ შეიმჩნეოდა. რომაული სამართლის რეცეფცია (Die Rezeption des rRmischen Rechts) და დამკვიდრება ხდება მაშინ, როცა გერმანია არ წარმოადგენს ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმს, არამედ თვით ერთიანი რომის იმპერიის აღდგენა (რომელსაც გერმანელი იმპერატორები ქადაგებდნენ) განუხორციელებლად მოჩანს. ასე რომ, რომაული სამართლის დამკვიდრება გერმანიაში არა მარტო კულტურის ერთიანობით იყო გამოწვეული, არამედ რომის იმპერიის ერთიანობის აღდგენის პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მართალია, საღვთო რომის იმპერიის ყოველი მცდელობა პოლიტიკური თვალსაზრისით ამაო იყო, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით გარკვეული ძვრები მოხდა. ქრისტიანული საზოგადოების იდეალი უკუგდებულ იქნა. ზურგი აქციეს დედამიწაზე ღვთიური ქალაქის შექმნის იდეას. იგი უკვე მკვეთრად მიჯნავდა მორწმუნეთა რელიგიურ

ერთობას და საერო საზოგადოებას, სინდისის სამართალსა და მართლმსაჯულებას და ამ ეპოქაში შემუშავდა კანონიკური კერძო სამართალი (Kanonisches Privatrecht).

XIII-XIV საუკუნიდან ერთმანეთში აღარ ურევდნენ სამოქალაქო წესრიგსა და სამართალს. იდეა, რომ საზოგადოება სამართლის საშუალებით უნდა იმართებოდეს, ამ ეტაპზე ახალი არ იყო. იგი აღიარეს რომაელებმა კერძო პირებს შორის ურთიერთობაში, მაგრამ ამ იდეისაკენ მიბრუნება რევოლუციური ნაბიჯი იყო და იგი მკვეთრად გამოიხატა რომაული სამართლებრივი ნორმების გერმანულ საკანონმდებლო აქტებში დამკვიდრებით.

3. პროვინციული აბსოლუტიზმი და ეროვნული სამართალი (XVII-XVIII სს.). ეს ის პერიოდია, როცა გერმანიის წვრილ სამეფო-სამთავროებს შორის ორი დიდი სახელმწიფო დაწინაურდა — ავსტრია და პრუსია. მონარქის აბსოლუტური ხელისუფლება ამ ორ სახელმწიფოში თავისებური რეჟიმით დამყარდა, თუმცა მათი კრახი დააჩქარა ევროპის მონარქიულ სახელმწიფოებთან ომებმა ჯერ რევოლუციური, შემდეგ კი ნაპოლეონის წინააღმდეგ.

ამ ეტაპზე სამართალში ხდება ახალი პრინციპების დამკვიდრება, რაც ბუნებითი სამართლის (Naturrecht) ევროპაში გამარჯვებით იყო განპირობებული. ბუნებითი სამართლის სკოლამ სამართლის კონცეფცია მთლიანად განაახლა უფლებების ცნების შემოტანით. ბუნებითი სამართლის სკოლა ბოლომდე იცავდა უნივერსალური, ურყევი, ყველა დროისა და ქვეყნისათვის ზოგადი სამართლის იდეას. ამ კონცეფციამ გააძლიერა რეგიონალური სამართლის ერთიანობის ტენდენცია და ეროვნული სამართლის დამკვიდრება გერმანიაში. შეიქმნა დამოუკიდებელი გერმანული სამართლის სისტემა, რომელიც რომაულ სამართალს დაუპირისპირდა. გერმანული კერძო სამართალი (Deutsches Privatrecht), რომლის სისტემატიზაციას XVIII საუკუნიდან ცდილობდნენ, დამკვიდრდა იმპერიის იმ ნაწილში, სადაც „საქსონიის სარკე" მოქმედებდა.

4. გერმანული კავშირები და სამართლის კოდიფიკაციის დასაწყისი (XIX ს. I ნახ.). ეს პერიოდი ცნობილია ნაპოლეონის პრო-

ტექტორობით 1806 წ. რაინის კავშირისა და 1866 წ. ჩრდილო-გერმანული კავშირის შექმნით. ეს იყო კონფედერაციული კავშირები, რომელიც ფედერაციულ სახელმწიფოდ იქცა.

სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე ბუნებითი სამართლის იდეის დამკვიდრებას სამართლის კოდიფიკაცია მოჰყვა. კოდიფიკაცია ის ტექნიკა იყო, რომელიც იძლეოდა ბუნებითი სამართლის სკოლის განზრახვათა ხორცშესხმის შესაძლებლობას. კოდიფიკაცია მარტო თეორიული და პრაქტიკული სამართლის შერწყმას როდი უწყობდა ხელს, იგი, ამავე დროს, ბოლოს უღებდა სამართალში უსაშველოდ ფესვგადგმულ არქაიზმს. კოდიფიკაციის საშუალებით აღიკვეთა სამართლის დაქუცმაცებულობა და ჩვეულებების სიმრავლე.

5. იმპერიის აღდგენის, საკანონმდებლო პოზიტივიზმისა და იურიდიული ნაციონალიზმის პერიოდი (XIX ს. II ნახ. – XX ს. დასაწყისი). ეს პერიოდი ცნობილია მნიშვნელოვანი ძვრებით როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე სოციალურ სფეროში. ფრანკფურტის ზავით (Frankfurter Friedensvertrag) ქვეყნის გაერთიანებამ (1871წ.), საფრანგეთისაგან კონტრიბუციის მიღებამ, ელზას-ლოთარინგიის შემოერთებამ (რკინიგზის მადნის საბადოები), ხელი შეუწყო გერმანიის ინდუსტრიალიზაციას. ამ პერიოდში ცნობილია მუშათა მოძრაობებისა და კავშირების შექმნა, რაც მნიშვნელოვან ძვრებს იწვევდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საზოგადოების ახალი ფენა პოლიტიკური უფლებების დამკვიდრებისათვის იბრძოდა, იმპერიის კანცლერი ბისმარკი კი „მათრახისა და თაფლის კვერის" („Politik von Zuckerbrot und Peitsche") პოლიტიკას ატარებდა (უმნიშვნელო დათმობებს უხამებდა მკაცრ რეპრესიებს). ეს ეპოქა ცნობილია კოლონიური დაპყრობების პოლიტიკითაც, რომელიც 90-იან წლებში აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე პროტექტორატის დაწესებით დაიწყო.

ამ ეტაპზე სამართლის კოდიფიკაციამ სხვაგვარი ხასიათი შეიძინა. ნაცვლად იმისა, რომ კოდექსში საერთო სამართლის ახლებური გამოხატვა დაენახათ, როგორც ამას კოდიფიკაციის ინიციატორები აპირებდნენ, კოდექსებს უყურებდნენ, როგორც

სამართლისათვის „ეროვნული სულის“ (Volksgeist) მინიჭების საშუალებას. ამის გამო გერმანული კოდიფიკაცია მეტად მძიმე გასაგები შეიქნა და როგორც ამას სამართლის ფილოსოფოსები ხსნიან, ყველაფერი გამოწვეული იყო გერმანიაში ფრანგული გაგების კოდიფიკაციაზე უარის თქმის გამო. კოდიფიკაციამ და საკანონმდებლო განვითარებამ საკანონმდებლო პოზიტივიზმი და იურიდიული ნაციონალიზმი მოიტანა, რამაც განაპირობა გერმანული სამართლის განსხვავება სხვა კონტინენტური ქვეყნების სამართალთან.

6. რესპუბლიკური მმართველობა გერმანიაში და ახალი ტენდენციები სამართალში (XX ს. I ნახ.). XX საუკუნის დასაწყისში გერმანიამ სამრეწველო წარმოების დონით „მსოფლიოს სახელოსნოს“ — ინგლისს გაუსწრო და მსოფლიო გადანაწილებისათვის დაიწყო ბრძოლა. გარდა ტერიტორიული ბრძოლებისა, ეს პერიოდი ცნობილია ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი სოციალური ძვრებით, რევოლუციური მოძრაობებით, რასაც მოჰყვა კონსტიტუციის (Weimarer Verfassung) მიღება 1919 წ. 31 ივლისს და რესპუბლიკური ფორმის სახელმწიფო წყობილების დამკვიდრება. შეიარაღებული აჯანყებების მასიურ ზრდას მთელი გერმანიის ტერიტორიაზე დაუპირისპირდა „პასიური წინააღმდეგობა“ ოპონენტთა მხრიდან. ამ პოლიტიკით მთელი ეკონომიკური სიმძიმე მუშათა ორგანიზაციებს დააწვა. პროლეტარიატი დამარცხდა, რამაც გამოიწვია უკიდურესი რეაქციის დამკვიდრება სახელმწიფოში. სამართალგანვითარების ახალი ტენდენციები დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის უმთავრესი როლის დამკვიდრებაში გამოიხატა. პოზიტივიზმმა ახალი გაგება შეიძინა. გერმანიის არც ერთ იურისტს არ მიაჩნდა, რომ სამართლის ცოდნისათვის მხოლოდ საკანონმდებლო ტექსტებია მნიშვნელოვანი. სისხლის სამართალშიც კი, სადაც მოქმედებს პრინციპი „nullum crimen, sine lege“ (დანაშაული არ არსებობს, თუ იგი გათვალისწინებული არ არის კანონით), სასამართლოსა და ადმინისტრაციას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელთა ზომის განსაზღვრასა და მისი შეფარდების მოწესრიგებაში. ამის გამო სამართალი ფაქტო-

ბრივად დამოკიდებულია მათზე, ვისაც მისი განხორციელება ევალება. იურიდიულმა ნაციონალიზმმა თანდათან უკან დაიხია და ადგილი დაუთმო ბუნებითი სამართლის აღორძინებას.

7. რეჟიმული სახელმწიფო და სამართალი გერმანიაში (XX ს-ის 30-50-იანი წლები). განვითარების ამ ეტაპზე გერმანიაში დიდი რაოდენობით შეიჭრა უცხოური კაპიტალი, რამაც დააჩქარა გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენა-გაძლიერება, იზრდებოდა მონოპოლიების გავლენა მთავრობის პოლიტიკაზე. მათი დაფინანსებით ხელისუფლებაში მოვიდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანელ მუშათა პარტია (Nationalsozialistische Deutsche Arbeiterpartei. NSDAP), რომელმაც ფაშისტური რეჟიმის სახელმწიფო და სამართალი დაამკვიდრა გერმანიაში.

8. განსაკუთრებული სისტემების სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდი (XX ს. II ნახ.) ფაშისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ გერმანია ორ სახელმწიფოდ განაგრძობდა არსებობას: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რაც იურიდიულად გაფორმდა იალტის კონფერენციაზე 1945 წლის თებერვალში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობით.

ეკონომიკური და პოლიტიკური რეჟიმების განსხვავებამ დაამუხრუჭა ერთიანი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. წარმოიშვა სოციალისტური სამართლის ტენდენციების დამკვიდრება, რამაც განხეთქილება გამოიწვია გერმანულ სამართალში, რადგან გდრ-ში დამყარებული რეჟიმი, არსებული სამართლებრივი ინსტიტუტებით არ დაკმაყოფილდა და თვით სამართლის იმ კონცეფციის უარყოფამდეც მივიდა, რასაც საერთოდ ემყარება სამართლებრივი მეცნიერება. ასეთი შედეგები გამოიწვია გერმანიის ნაწილში ნაციონალ-სოციალისტური სამართლის (Nationalsozialistisches Recht) დამკვიდრებამ. ამ სამართლის გაბატონებული თეორია მიეკუთვნება პოზიტიური კონცეფციების რიცხვს, რომლის სრული დაკნინება შეიმჩნეოდა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის თავისებური განვი-

თარებიდან გამომდინარე სახელმწიფო მოწყობისა და სამართლის საკითხები ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულ სისტემით განვიხილოთ. პირველ რიგში, შევეხოთ მეფის (იმპერატორის) ხელისუფლების ევოლუციას.

მეფის (იმპერატორის) ხელისუფლება [Die Macht des KRnigs (des Kaisers)]. X საუკუნიდან მოყოლებული გერმანული სახელმწიფოებრივი ერთეულები ფეოდალური ტიპის მონარქიებს წარმოადგენდნენ. თითოეულ სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე-იმპერატორი, რომელიც ფორმალურად უზენაესი ხელისუფლებით სარგებლობდა, ფაქტობრივად კი ეს ხელისუფლება ნომინალური იყო. თავდაპირველად, გვაროვნული ჩვეულებებიდან გამომდინარე, მეფეს ირჩევდნენ მეთაურად. მეფე ოტტო I-ის (936-973 წწ.) დროიდან არჩევნები მხოლოდ სამეფო საგვარეულოდან ხდებოდა. ამ ეტაპიდან იწყება მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლა, რაც, პირველ რიგში სამეფო და სასულიერო რეფორმებში გამოიხატა. ეს რეფორმები შეეხო სასულიერო პირებს, სამეფო ხელისუფლებისადმი მათი დამორჩილების მიზნით. რეფორმების განხორციელებისათვის ოტტო I-ს დასჭირდა კათოლიკური ეკლესიების ცენტრის — რომის დამორჩილება. პაპის დახმარების საბაბით, 961-962 წლებში, მან იტალიასა და რომში ილაშქრა და იმავე წელს რომის პაპმა იმპერატორად აკურთხა. აქედან მოყოლებული გერმანიის მეფეები თავს რომის ცეზართა უფლებამონაცვლედ მიიჩნევდნენ და საფუძველი ჩაუყარეს გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიას (ლათ.: Sacrum Imperium Romanum Nationis Germanicae). ეს სახელწოდება შერჩა 1806 წ-მდე.

გერმანელი იმპერატორები პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიო ბატონობაზე. ფრიდრიხ I „ბარბაროსა" თვლიდა, რომ სხვა სახელმწიფოთა მეფეები მხოლოდ იმპერიის ნაწილის მმართველები იყვნენ (reges grorin ciarum). ამ ისტორიულ ტრადიციებს ეყრდნობოდნენ გერმანელი ფაშისტებიც, როცა მსოფლიო ბატონობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. XI საუკუნიდან დაიწყო ბრძოლა იმპერატორებსა და რომის პაპებს შორის პოლიტიკური ბატონობისათვის, რაც ინვესტიტურების დაწესებაში გამოიხატა. ***ინვესტიტურა***

(Investitur) სენიორის მიერ ვასალებისათვის ფეოდის გადაცემის, თანამდებობაზე დანიშვნის, წოდების მინიჭების იურიდიული აქტია, რომელიც თან სდევდა ვასალის ერთგულების ფიცს – ომაჟს („Eidschwur"-Hommage). ვინაიდან იმპერატორები *პრელატებს* (Prelat) – ეპისკოპოსებსა და აბატებს — თავიანთ ვასალებად მიიჩნევდნენ, მათ ადებინებდნენ ერთგულების ფიცს და უბოძებდნენ ინვესტიტურას. XI საუკუნიდან არსებითად დაკანონდა საერო ხელისუფალთა მიერ პრელატების დანიშვნა, რამაც შეცვალა სამღვდელოებისა და ხალხის მიერ მათი არჩევნები.

ვესტფალის ზავს (Westfelischer Frieden), რომელმაც გერმანიის დაქუცმაცებულობა აღიარა, მოჰყვა გარკვეული ცვლილებები სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამ პერიოდს (XVII-XVIII სს.) სახელმწიფოთმცოდნეები გერმანულ *აბსოლუტიზმს* უწოდებენ. თავისი შინაარსით იგი განსხვავდება ინგლისისა და საფრანაგეთის სახელმწიფო აბსოლუტიზმისაგან. პირველ რიგში, ეს განსხვავება ჩანს სახელწოდებაში, რადგან გერმანიის აბსოლუტიზმი ცნობილია როგორც პროვინციული აბსოლუტიზმი, ე.ი. აბსოლუტიზმი ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში. რაც შეეხება ერთიან გერმანულ იმპერიას(Reich) — იმპერატორის ტიტული მხოლოდ ღირსების წოდებად იქცა. დიდგვაროვანი აზნაურები გათავისუფლდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან და არავითარ გადასახადს არ უხდიდნენ იმპერატორს. ამ პერიოდში ერთიანი გერმანიის (ანუ საღვთო რომის იმპერიის) იმპერატორის ტიტულს ხან ავსტრიის, ხან პრუსიის მეფეები ატარებდნენ. ისინი ცდილობდნენ განახლებული აბსოლუტიზმის დამკვიდრებას. ეს იდეა ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიიდან მომდინარეობს. მათი ბრწყინვალე წარმომადგენელი ვოლტერი თვლიდა, რომ ფილოსოფოსებსა და მეფეებს შორის კავშირი მშვიდობიანი გზით, რევოლუციის გარეშე შეიძლება დამყარდესო. კერძოდ, რიგი სოციალური რეფორმების გზით, რომელიც შეეხებოდა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის ზრდას, რჯულთშემწყნარებლობას და ა.შ.

მეფე ფრიდრიხ II-ს ფილოსოფოსად მიიჩნევენ. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ვოლტერთან, მაგრამ არ თვლიდა საჭიროდ ფი-

ლოსოფოსისაგან რეკომენდებული რეფორმები გაეტარებინა. მისი განათლებული აბსოლუტიზმი ტაქტიკური და დიპლომატიური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი.

აბსოლუტიზმის ეპოქაში რაიხსტაგს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასევე დაკარგა ძალაუფლება საიმპერიო სასამართლომაც. ლანდტაგები ან საერთოდ არ იწვეოდა, ან მხოლოდ საჩვენებლად (მაგ., მეკლენბურგში, ვიურტემბერგში). ისიც აღსანიშნავია, რომ აბსოლუტიზმი ყველა გერმანულ პოლიტიკურ ერთეულში ერთნაირი სახით არ დამკვიდრებულა. განსხვავდება პრუსიული და ავსტრიული აბსოლუტიზმი. პრუსიული აბსოლუტიზმი 1701 წლიდან წარმოიშვა, როცა ბრანდენბურგის სამარკგრაფო (Brandenburger Markgrafschaft) პრუსიის სამეფოდ (KRnigreich Preußen) გადაიქცა. ამ სახელმწიფოს შექმნას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საზღვაო არტერიამ, რადგან ბრანდენბურგი მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზა იყო ვაჭრობისათვის.

პრუსიის აბსოლუტიზმი (PreuBer Absolutismus) კლასიკური აბსოლუტიზმი იყო და იგი XVII-XVIII საუკუნის მრავალ ევროპულ აბსოლუტურ მონარქიას წააგავდა სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით. ზოგჯერ ლიტერატურაში პრუსიულ აბსოლუტიზმს პოლიტიკურ სახელმწიფოსაც უწოდებენ, რადგან მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების პოლიციური უფლებები და მათი გარანტიები თითქმის ნულამდე იქნა დაყვანილი და პოლიცია განსაკუთრებული უფლებებით აღიჭურვა.

რაც შეეხება ***ავსტრიის აბსოლუტიზმს*** (Osterreichier Absolutismus), იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, 1) ავსტრია არ იყო ისეთი ცენტრალიზებული, როგორც პრუსია. ფეოდალური დაქუცმაცებულობა აქ საკმაოდ დიდხანს შემორჩა; 2) ავსტრია სხვადასხვა ერის კონგლომერატს წარმოადგენდა, სადაც გაბატონებული მდგომარეობა გერმანელებს ეჭირათ; 3) ავსტრიაში კათოლიკური რელიგია იყო უპირატესი მაშინ, როცა პრუსია პროტესტანტულ ქვეყანას წარმოადგენდა.

ავსტრიაშიც უმაღლესი თანამდებობის პირი ***მეფე*** (Konig) იყო. მასთან არსებობდა ***საიდუმლო საბჭო*** (Geheimrat), მაგრამ

აქ იგი ითვლებოდა საკანონმდებლო და კონტროლის საკითხებზე სათათბირო ორგანოდ, რომელიც მოგვიანებით კონფერენციად გადაიქცა. კონფერენციის შემადგენლობა განსაზღვრული არ ყოფილა, რადგან მუდმივმოქმედი ორგანო არ იყო და წევრებს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ცალ-ცალკე იწვევდნენ. XVIII საუკუნიდან კონფერენცია მუდმივმოქმედ ორგანოდ გადაიქცა.

ავსტრიაში განათლებული აბსოლუტიზმის იდეას იოსეფ II (1780-1790 წწ.) ახორციელებდა, რომელმაც მისი დედის, მარია ტერეზას მიერ დაწყებული რეფორმები გააგრძელა. ამ რეფორმებიდან მნიშვნელოვანი იყო რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური აპარატის ფუნქციები, მოისპო უფლებრივი განსხვავება მართლმადიდებლობასა და პროტესტანტებს შორის. მიმდინარეობდა სასულიერო პირების საერო ჩინოვნიკებად გადაქცევა, ლიკვიდირებული იქნა მრავალი მონასტერი და მათი კონფისკებული ქონება სახელმწიფოს გადაეცა. ამ რეფორმებს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა როგორც საერო, ისე სასულიერო წოდებათა შორის და შედეგად მოჰყვა ის, რომ იოსიფ II-ის მემკვიდრეებმა უარყვეს რეფორმები.

უნგრეთში (Ungarn) კიდევ უფრო განსხვავებული იყო ***მეფის*** ხელისუფლება და მმართველობის აპარატი. აქ მოქმედებდა ***სეიმი*** (Sejm), რომლის შემადგენლობაში საერო და სასულიერო დიდებულები შედიოდნენ. XV საუკუნიდან მათ ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლებიც დაემატნენ.

XVII ს-მდე სეიმი ირჩევდა მეფეს. სეიმის თანხმობის გარეშე მეფეს არ შეეძლო გადასახადების შემოღება. 1848 წ. 15 მარტს ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ბატონყმობის გაუქმებისა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღების შესახებ. ამ კანონით მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. იმპერატორ ფერდინანდ V-მ დაამტკიცა ეს კანონები, მაგრამ ავსტრიამ, რუსეთის ჯართან შეთანხმებით, ბრძოლა დაიწყო უნგრეთში მიმდინარე რევოლუციის ჩასაქრობად, რასაც 1849 წელს კიდევაც მოჰყვა უნგრეთის ეროვნული არმიის კაპიტულაცია. 1867 წელს შეიქმნა

ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქია (Kaiserliche und konigliche – k.u.k. – Osterreichisch-Ungarische Monarchie). ავსტრიისა და უნგრეთის საერთო საკითხებს განაგებდა სამი საერთო სამინისტრო: სამხედრო, საზღვაო და ფინანსების. ავსტრია-უნგრეთის დუალისტურმა მონარქიამ 1918 წლამდე იარსება.

XIX საუკუნის 30-იან წლებში გერმანულ სახელმწიფოებში იმძლავრა რევოლუციურმა გამოსვლებმა, რაც აიძულებდა მათ მთავრობებს ეზრუნათ მონარქიის შემზღუდავი და დემოკრატიული თავისუფლებების მქონე კონსტიტუციის შემუშავებაზე. რევოლუციური გამოსვლების ზრდის გამო 1847 წელს პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV იძულებული იყო მოეწვია წარმომადგენლობითი ორგანო — შემაერთებელი ლანდტაგი. ამ ორგანოს მიერ მეფეს წარედგინა კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიღების სასტიკი წინააღმდეგი იყო და აცხადებდა: ვერც ერთი მიწიერი ძალა მას ვერ შეაძლებინებდა მიეცა ხალხისათვის კონსტიტუცია. ამას მოჰყვა მასიური რევოლუციური გამოსვლები, რამაც აიძულა მეფე „ეჩუქებინა" ხალხისათვის რიგი დემოკრატიული უფლებები და მოეწვია მის მიერვე დათხოვნილი ლანდტაგი. ამ მიღწევებით ბურჟუაზიამ თავისი მოძრაობა შეწყვიტა, თუმცა ბრძოლას აგრძელებდნენ მუშები და წვრილი მეწარმენი. ამ ბრძოლიდან თავის დახსნის მიზნით, კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მოეწვიათ მაინის ფრანკფურტში სეიმი, სადაც წევრი სახელმწიფოების ლანდტაგების წარმომადგენლები მიიღებდნენ მონაწილეობას. ფრანკფურტის პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა გერმანიის ნაციონალური კრებისა და კონსტიტუციის მიღების საკითხი.

1849 წლის მარტში შედგენილი კონსტიტუციის პროექტი ინარჩუნებდა კონსტიტუციურ მონარქიას გერმანიაში, რომლის სათავეში შთამომავლობითი იმპერატორი იდგა. ამ კონსტიტუციას რეალური მოქმედების ძალა არ მიუღია, რამდენადაც კავშირის წევრი სახელმწიფოების იმპერატორები უარყოფდნენ მას. მაშინ ფრანკფურტის პარლამენტმა ხალხს მიმართა კონსტიტუციისათვის მოქმედი მნიშვნელობა მიენიჭებინა, რის გამოც მოძრაობა

მიწყნარდა, მაშინვე გააუქმა ლანდტაგის მიერ წარდგენილი კონსტიტუცია და განამტკიცა ე.წ. ყრუ კონსტიტუციონალიზმი, ანუ პარლამენტთან ფორმალურად შეთანხმებული ახალი კონსტიტუცია, რომელიც არსებითად რეაქციული იყო გაუქმებულთან შედარებით.

ამ კონსტიტუციით ***სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს*** წარმოადგენდა ორპალატიანი პარლამენტი, რომელსაც ***ლანდტაგი*** (Landtag) ეწოდებოდა. საკანონმდებლო ხელისუფლება ერთდროულად ეკუთვნოდა მეფესა და ლანდტაგს. ამასთან მეფეს, ანუ იმპერატორს ჰქონდა აბსოლუტური ვეტოს უფლება, ე.ი. შეეძლო აეკრძალა ყოველგვარი საკანონმდებლო აქტი.

1871 წლის 1 იანვარს კონსტიტუციით გაფორმდა ***მეორე იმპერია*** გერმანიაში, ხოლო 18 იანვარს პრუსიის მეფე ვილჰელმმა ვერსალში მიიღო გერმანელი იმპერატორის — კაიზერის ტიტული. მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა 22 სახელმწიფოზე, 11 საჰერცოგოსა და 3 თავისუფალ ქალაქზე. ამ კონსტიტუციის მიხედვით იმპერიის სათავეში პრუსიის ***იმპერატორი*** იდგა ***კაიზერის*** ტიტულით. მას ეკუთვნოდა მთავრობის თავმჯდომარის, ანუ კანცლერის დანიშვნის უფლება. იმპერატორი ნიშნავდა აგრეთვე მინისტრებსა და მთავრობის წევრებს. ითვლებოდა შეიარაღებული ძალების მეთაურად, აცხადებდა ომს, დებდა ზავს, იწვევდა და ითხოვდა პარლამენტს, ახორციელებდა კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე.

ამრიგად, გერმანია X-XIX საუკუნეებში მონარქიული ფორმის სახელმწიფო იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მონარქის (მეფე-იმპერატორი) ხელისუფლება ერთნაირი არ ყოფილა. მასზე გავლენას ახდენდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები, შიდაპოლიტიკური აჯანყებები, ქვეყნის დაქუცმაცებულობა, რელიგიური მომენტები და სხვა. ფრანკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როცა წარმოიშვა პირველი გერმანული სახელმწიფო, მეფის ძალაუფლება უზენაეს ხელისუფლებად იყო აღიარებული, მაგრამ ფაქტობრივად ეს ხელისუფლება სუსტი იყო. XI-XIV საუკუნეებში არისტოკრატიულ, ანუ ***ოლიგარქიულ მონარქიასთან*** გვაქვს საქმე,

რადგან მეფის არჩევა დიდებულთა წრიდან ხდებოდა. მეფის ხელისუფლება ჯერ შეიზღუდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს — რაიხსტაგის მიერ, მოგვიანებით კი, აბსოლუტიზმის ხანაში (XVII-XVIII სს.), გაძლიერდა. როგორც იტყოდა პრუსიის იმპერატორი ვილჰელმ I „ჩვენ ვართ მეფე-ბატონი და შეგვიძლია გავაკეთოთ რაც გვსურს“[1]. თუ საფრანგეთში ლუი XIV-ის გამოთქმა „სახელმწიფო — ეს მე ვარ“, გამოდგება ფრანგული აბსოლუტიზმის დასახასიათებლად, ვილჰელმ I-ის ზემოაღნიშნული გამოთქმა გერმანულ აბსოლუტიზმს ვერ დაახასიათებს, რადგან ამ პერიოდში პრუსიის იმპერატორის ხელისუფლება არ ყოფილა ისე განუსაზღვრელი, როგორც საფრანგეთის მეფეებისა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გარკვეულ ეტაპზე აბსოლუტიზმი თავისებური სახით მაინც დამკვიდრდა. თავისებურება გამოიხატა იმპერატორთან საიდუმლო საბჭოსა და რაიხსტაგის არსებობაში.

მართალია, XIX საუკუნეში „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ დაცემას მოჰყვა ახალი გერმანული კავშირების შექმნა რაინის კავშირისა და ჩრდილო გერმანული კავშირის სახით, მაგრამ ეს იყო კონფედერაციული კავშირები, რომელიც მოგვიანებით ფედერაციად გადაიქცა, დაბოლოს, აღდგა მეფის ხელისუფლება. 1849 წლის კონსტიტუციის პროექტით და 1850 წლის პრუსიის კონსტიტუციით განისაზღვრა იმპერატორის ფუნქციები და სამართლებრივი რეჟიმი. იმპერატორის ხელისუფლება შეიზღუდა ორპალატიანი პარლამენტის მიერ. ერთიანი იმპერია აღდგა 1871 წელს, როცა გაერთიანებული გერმანიის იმპერატორმა — კაიზერმა — პარლამენტისაგან შეუზღუდავი ძალაუფლება დაიმკვიდრა.

კურფიურსტების კოლეგია (Kurfurstenkollegium). დიდებულთა როლის ზრდას გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოჰყვა სახელმწიფოს დაქუცმაცებულობა. ჰოჰენშტაუფენების დინასტიის მმართველობის შეწყვეტასთან ერთად შემცირდა საიმპერატორო ხელისუფლება. გერმანია სულ უფრო და უფრო ქუცმაცდება სათავადოებად (Furstentum), საგრაფოებად (Grafschaft), საჰერცოგოე-

1 Fulbrook, Mary. A Concise History of Germany, 2nd edition, 2004, Cambridge University Press, p. 128.

ბად (Herzogtum). ფაქტობრივად გერმანიას XIII ს-დან 7-კაციანი კურფიურსტი მართავდა: ბრანდერბურგის მარკგრაფი, საქსონიის ჰერცოგი, რაინის პფალცგრაფი, ჩეხეთის მეფე და სამი არქიეპისკოპოსი. გერმანიის უკანასკნელი იმპერატორის ფრანც II-ის (1793 წ.) მმართველობის ბოლოს გერმანია 324 სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტერიტორიულ ერთეულად და 1475 თავისუფალ მხედრულ სამთავროდ იყო დაყოფილი.

XIII ს-ში, როგორც ამას „საქსონიის სარკე" და „შვაბიის სარკე" ადასტურებს, 7 დიდებულმა მიიღო კურფიურსტის სახელწოდება.

1356 წელს კარლოს IV მიერ მიღებულმა *„ოქროს ბულამ"* დააკანონა გერმანული მრავალხელისუფლებიანობა. ამ აქტმა დაადგინა კურფიურსტების რაოდენობა და შემადგენლობა. საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად ყოველწლიურად იწვევდნენ კურფიურსტების კოლეგიას. კურფიურსტების მხრიდან წერილობითი თანხმობის შემთხვევაში კი იმპერატორს შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა.

კურფიურსტებმა შეძლეს ზოგიერთი მათგან მიტაცებული რეგალიების დაკანონება. მაგ., სამთო წიაღისეულზე საკუთრებისა და მისი ექსპლუატაციის უფლება, გადასახადების აკრეფის, მონეტის მოჭრის, აგრეთვე ებრაელებისათვის თავშესაფრის მიცემის უფლება. მათ მიიღეს ფართო უფლებები იურისდიქციის სფეროში. ამ ეტაპზე არ იყო აკრძალული კერძოფეოდალური ომები. დაწესდა მხოლოდ ზოგიერთი შეზღუდვა. ასე რომ „ოქროს ბულამ" განამტკიცა მსხვილ ფეოდალთა ოლიგარქია, რომელიც ამ აქტამდე დიდი ხნით ადრე ფაქტობრივად დამკვიდრდა გერმანიაში.

კურფიურსტებმა მიაღწიეს იმას, რომ თითოეული იმპერატორი, პირველ რიგში, არჩევამდე აღიარებდა მათ მიერ წარმოდგენილ პირობებს. XVI ს-დან ამ პირობებმა საარჩევნო კაპიტულაციის სახელწოდება მიიღეს. თავდაპირველი საარჩევნო კაპიტულაციები კურფიურსტთა გადაწყვეტილებით მიიღებოდა და ითვლებოდა, რომ ეს უკანასკნელი სხვა წოდებების წარმომადგენელთა სახელით მოქმედებდნენ. XVII საუკუნიდან წოდებებმა, საჩვენო კაპიტულაციათა შედგენის დროს, კურფიურსტების გარეშე წამოაყენეს თა-

ვიანთი მოთხოვნები, რაც 1648 წ. ვესტფალის ზავის პირობებით განმტკიცდა. ეს ზავი 30-წლიანი ომის შემდეგ (1618-1648 წწ.) დაიდო და აღიარა გერმანიის სრული დაქუცმაცებულობა. ამ ზავის შინაარსი შემდეგ ძირითად პირობებს გულისხმობდა: იმპერატორი უზრუნველყოფდა სახელმწიფოსა და წოდებათა უფლებების დაცვას რაიხსტაგში; ვალდებული იყო არ დაეტოვებინა წოდებები მიწათმფლობელობის გარეშე და არ ჩარეულიყო მათ საშინაო საქმეებში; დაეცვა და გაეზარადა სახელმწიფოს საზღვრები; არ დაედგინა საიმპერატორო ხელისუფლების შთამომავლობითობა; დაეცვა „ოქროს ბულას" მოთხოვნები და იმპერიის სხვა კანონები; მოეწვია კურფიუსრტთა ყრილობები მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად და ხელშეუხებელი დაეტოვებინა მათი მმართველობის აპარატი; სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად გამოეკითხა წოდებათა აზრი და მათ გარეშე არ გამოეცხადებინა ომი; იმპერიის საწინააღმდეგოდ არ შეექმნა არავითარი კავშირი.

XIV ს-დან კურფიურსტების კოლეგია რაიხსტაგის პირველ კოლეგიას წარმოადგენდა. იგი გაუქმდა 1806 წ. იმპერიის გაუქმებასთან ერთად.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები. გერმანიის სახელმწიფოს ისტორიაში წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს სხვადასხვა სახელწოდება და ფუნქციები ჰქონდათ. პირველი ასეთი ორგანო იყო ***რაიხსტაგი*** (Reichstag), რომელიც XII საუკუნიდან არსებობდა. იგი მუდმივმოქმედ ორგანოდ XIV საუკუნიდან გადაიქცა. ზოგჯერ მას საიმპერიო სეიმსაც უწოდებდნენ. რაიხსტაგი სამი კოლეგიისაგან შედგებოდა: ა) კურფიურსტების კოლეგია; ბ) თავადთა, გრაფებისა და თავისუფალთა კოლეგია; გ) ქალაქის წარმომადგენელთა კოლეგია. მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად კოლეგიები ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ და მიღებულად ითვლებოდა საკითხი იმ შემთხვევაში, თუ სამივე კოლეგია დადებით ხმას მისცემდა. არასახელმწიფოებრივ საკითხებზე, საზეიმო შეხვედრების დროს, მოიწვეოდა სამივე კოლეგიის გაერთიანებული სხდომა. XVII საუკუნიდან ამ კოლეგიებმა

საიმპერიო წოდებათა, ანუ ჩინების სახელწოდება მიიღო.

რაიხსტაგი, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ორგანო, არსებობდა აბსოლუტიზმის ეპოქაშიც, მაგრამ მისი როლი მნიშვნელოვნად შემცირდა. გერმანიის იმპერატორი ფრანც II ამბობდა: რაიხსტაგი მომაგონებს ძაღლების ყეფას, მთვარეს რომ შეჰყეფენ (მთვარეში იგი თავის თავს გულისხმობდა). რაიხსტაგმა, როგორც ერთიანმა წოდებრივ-წარმომადგენლობითმა ორგანომ, არსებობა შეწყვიტა 1806 წ.

პარლამენტი (Parlament) ასევე წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო იყო. იგი გერმანიაში არსებობდა ჩრდილო-გერმანული კავშირის (1867-1871 წწ.), მეორე იმპერიის (1871 წ.), ვაიმარის რესპუბლიკის (1918 წ.), ფაშისტური დიქტატურის (1933 წ.), ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების დროს. პარლამენტის უფლებამოსილება ამ პერიოდების მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით.

ჩრდილო-გერმანული კავშირის საკანონმდებლო ორგანოს ორპალატიანი პარლამენტი წარმოადგენდა: 1) რაიხსტაგი — პირველი პალატა; 2) ბუნდესრატი — მეორე პალატა (აქ შედიოდნენ ფედერაციის ყველა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები). რაიხსტაგის მიერ მიღებული კანონები უნდა დამტკიცებულიყო ბუნდესრატის მიერ.

ამ პერიოდში რაიხსტაგი ფართო საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდა. კერძოდ, 1870 წ. მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი.

მეორე იმპერიის პერიოდში პარლამენტის თავისებურ სახეს ვხვდებით. თუ 1871 წ. კონსტიტუციის მე-5 მუხლით ვიმსჯელებთ, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ორ ორგანოს — ბუნდესრატსა და რაიხსტაგს. ისინი ლიტერატურაში პარლამენტის ორ პალატად განიხილებიან. ბუნდესრატში შედიოდნენ ფედერაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები (თავიდან 58, გვიან — 61), სადაც მსხვილ სახელმწიფოებს წარმომადგენელთა მეტი რაოდენობა ჰყავდა (მაგ., პრუსია — 17, ბავარია — 6,

საქსონია — 4), სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. რაიხსტაგი 397 დეპუტატისაგან შედგებოდა, რომლებიც აირჩეოდნენ 3 წლით (1888 წ. – 5 წლით) მამაკაცთა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების საფუძველზე.

ორივე პალატა — რაიხსტაგი და ბუნდესრატი — თანაბარი საკანონმდებლო უფლებებით იყო აღჭურვილი. თითოეულს ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, კანონის მიღებისათვის აუცილებელი იყო ორივე პალატის თანხმობა. სხვა შემთხვევებში ბუნდესრატი უპირატესი უფლებებით სარგებლობდა. მართალია, იურიდიულად რაიხსტაგი საკანონმდებლო ორგანოდ ითვლებოდა, მაგრამ ამ უფლებით მას იშვიათად უხდებოდა სარგებლობა. უმეტეს შემთხვევაში იგი სამთავრობო კანონქვემდებარე აქტების პროექტების განხილვით და დამტკიცებით იყო დაკავებული. კონსტიტუცია უფლებას აძლევდა რაიხსტაგს სადეპუტატო გამოკითხვით გაეკრიტიკებინა მთავრობა. თუმცა ამგვარ კრიტიკას არავითარი შედეგი არ ჰქონდა, რადგან მთავრობა არ იყო ვალდებული პარლამენტის წინაშე და თუ რაიხსტაგი მის პოლიტიკას არ დაეთანხმებოდა, დაითხოვდნენ.

რაც შეეხება კავშირის საბჭოს, ანუ ბუნდესრატს, იგი შეიძლება პარლამენტის ზედა პალატად იქნეს განხილული. ბუნდესრატი გამოსცემდა დადგენილებებს ადმინისტრაციის საქმიანობასა და კანონებზე დამატებების შესახებ. მას უფლება ჰქონდა ზოგიერთი თანამდებობის პირის დანიშვნისა, იძლეოდა თანხმობას რაიხსტაგის დათხოვნის თაობაზე და ა.შ.

ბუნდესრატს ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად სასამართლო ფუნქციებიც გააჩნდა. მას შეეძლო განეხილა ყველა დავა, რომელიც იმპერიის წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოიშობოდა. გარდა ამისა, იგი სააპელაციო სასამართლოსაც წარმოადგენდა. შეეძლო განეხილა ყველა საქმე, რომელსაც იმპერიის სასამართლოები განიხილავდნენ და განაჩენს ან გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მხარე არ დაეთანხმებოდა.

1918 წ., როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციური ძვრების შედეგად მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფო წყობილების

სფეროში. 9 ნოემბერს, შეიარაღებული აჯანყების შემდეგ, ბერლინში გამოცხადდა რესპუბლიკა. კაიზერი ვილჰელმ II განუდგა ტახტს და გერმანული მხარეების ყველა დინასტიის წარმომადგენელი ასევე დარჩა სამეფო ხელისუფლების გარეშე. 1918 წლის ნოემბრის თვეში თითქმის მთელი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, სადაც ხელმძღვანელი როლი სოციალურ-დემოკრატიულ ფრთას დაეკისრა. სახელმწიფო წყობილების ფორმა განამტკიცა 1919 წლის კონსტიტუციამ, რომლითაც საკანონმდებლო ხელისუფლება ორპალატიან პარლამენტს მიეკუთვნა — რაიხსტაგსა და რაიხსრატს (Reichsrat). ეს პალატები თანაბარი უფლებებით არ სარგებლობდნენ. კანონებს ამტკიცებდა მხოლოდ რაიხსტაგი, რაიხსრატი კი ვეტოს უფლებით სარგებლობდა. ისეთ შემთხვევაში, თუ რაიხსტაგი კვალიფიციური უმრავლესობით ხელმეორედ მიიღებდა კანონს, მაშინ ეს უკანასკნელი ძალაში შედიოდა. თუ უმრავლესობა არ იყო, პრეზიდენტს ორი გზა ჰქონდა — უარი ეთქვა კანონზე, ან მიემართა რეფერენდუმისათვის.

ვაიმარის რესპუბლიკის პარლამენტური მმართველობა კრიზისს განიცდიდა. დამკვიდრდა პრეზიდენტის პირადი მმართველობის პრაქტიკა. 1930 წლიდან რაიხსტაგის არჩევნებში გაიმარჯვეს ნაციონალ-სოციალისტებმა. ეს პარტია გერმანიაში 1919 წ. შეიქმნა მსხვილი მონოპოლიების ჯგუფისა და უკიდურესად რეაქციული ძალებისაგან. 1921 წ. პარტიის ფიურერი (ბელადი) გახდა ა. ჰიტლერი. იგი 1933 წ. რაიხსკანცლერად დანიშნა პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა. უფლებამოსილების ხელში აღებისთანავე ჰიტლერმა შექმნა მმართველობის ისეთი სისტემა, რომლითაც იურიდიულად აღიარებული რესპუბლიკური მმართველობა რეჟიმულ სახელმწიფოდ იქცა. მართალია, შენარჩუნებული იყო პარლამენტი, მაგრამ მისი ფუნქციები თითქმის ნულამდე დავიდა.

1945 წლიდან გერმანიის ორ ნაწილად გაყოფასთან ერთად კვლავ შეიცვალა პარლამენტის როლი და ფუნქციები. მთავარი საკითხი, რომლითაც შეიძლება სახელმწიფოთმცოდნეები დაინ-

ტერესდნენ, არის პარლამენტის როლი გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1933-1945 წწ.-ის პარლამენტი გერმანიაში პოლიტიკურ ატმოსფეროს არ ქმნიდა და თორმეტწლიანი ფაშისტური რეჟიმის არსებობით მისი როლი საერთოდ დაკნინდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით სახელმწიფო კვლავ დაუბრუნდა პარლამენტური მართვის პრინციპებს და უფრო აქტიურად, ვიდრე ეს სხვა ეპოქებში ხდებოდა. ოფიციალური დოქტრინების მიხედვით, *გფრ*-ის მთავარი წარმომადგენლობითი ორგანო ***პარლამენტი*** — ორი პალატისაგან შედგებოდა: ***ბუნდესტაგი*** და ***ბუნდესრატი***. ეს უკანასკნელი ითვლება გერმანიის ადმინისტრაციული დაყოფის (მხარეების) უმაღლეს თანამდებობის პირთა ორგანოდ და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოსახლეობის წარმომადგენელთა ორგანო. სწორედ ამ თვისების გამო ლიტერატურაში მას დამხმარე ან მეორეხარისხოვან ხელისუფლებას უწოდებენ[1]. ბუნდესტაგის შესახებ კი ასეთ შეფასებას შეიძლება შევხვდეთ: გერმანიის ბუნდესტაგი წარმოადგენს გფრ-ის ეროვნულ პარლამენტს. თავისი უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაციის ძალით იგი წარმოადგენს ხალხს, საიდანაც მომდინარეობს მთელი ხელისუფლება. სახალხო წარმომადგენლობის ძალით იგი დამოუკიდებელ, ავტონომიურ უმაღლეს ორგანოდ გვევლინება, რომელიც არ ექვემდებარება არავითარ ზედამხედველობას და თვითონ წყვეტს თავის საქმეებს. იგი გვევლინება გფრ-ის პოლიტიკური ცხოვრების ინსტიტუციონალურ ცენტრად. ბუნდესტაგის ფორმირება არჩევნების საფუძველზე ხდება. მნიშვნელოვან პრობლემას კი წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო სისტემაში პროპორციული თუ მაჟორიტარული პრინციპია გამოყენებული. ეს პრინციპები ცვალებადია იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოდის სახელმწიფოს სათავეში.

აღმასრულებელი ხელისუფლება. თავდაპირველად, ისევე როგორც სხვა კლასიკურ სახელმწიფოებში, გერმანიაში აღმასრულებელი ხელისუფლება ცალკე არ არსებობდა. იგი ეკუთვნოდა მეფე-

---

1 Клайн Г. Цее В. Бундестаг. // Государственное право Германии. Т. 1. М.: ИГПАН, 1994. С. 152.

სა და კურფიურსტებს, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს ან თანამდებობის პირებს. მოგვიანებით, აბსოლუტიზმის ხანაში პრუსიის სახელმწიფოს მექანიზმში ვხვდებით ***საიდუმლო საბჭოს***, რომელიც მეფე-იმპერატორთან იყო შექმნილი. სახელმწიფოთმცოდნეები მას მმართველობის უმაღლეს ორგანოდ მიიჩნევენ, რომელიც საგარეო საქმეთა, საშინაო საქმეთა და იუსტიციის დეპარტამენტებად იყოფოდა. გარდა ამისა, საიდუმლო საბჭოს ექვემდებარებოდა სამი დირექტორია: ფინანსების, სამხედრო საქმისა და სამეფო დომენების. 1655 წ. კურფიურსტ ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის მიერ მუდმივი არმიის შექმნასთან ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა სამხედრო საქმეთა დირექტორიამ, რომელიც პალატებად იყოფოდა.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა მკვეთრ გაყოფაზე ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ ლაპარაკობენ. გერმანიაში 1871 წ. იმპერიის აღდგენით თავისებური სახელმწიფო მექანიზმი ჩამოყალიბდა. ეს თავისებურება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებაში გამოიხატა. 1871 წლის კონსტიტუციით, აღმასრულებელი ფუნქციები დაეკისრა კაიზერსა და კანცლერს.

კაიზერი (Kaiser) წარმოადგენდა სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, სათავეში ედგა შეიარაღებულ ძალებს, ათავისუფლებდა და ნიშნავდა რაიხის უმაღლეს თანამდებობის პირებს, იწვევდა საკანონმდებლო პალატათა სხდომებს, აქვეყნებდა კანონებს.

გერმანიის ადმინისტრაციას სათავეში ედგა ***კანცლერი*** (Kanzler), რომელიც მთავრობის თავმჯდომარედ ითვლებოდა. რაიხის კანცელარიაში გამოიყოფოდა ცალკეული სამსახურები, რომელიც შეიძლება სამინისტროებად მივიჩნიოთ. მათ სათავეში სახელმწიფო მდივნები ედგნენ, რომელთაც კანცლერი ნიშნავდა და მხოლოდ ამ უკანასკნელის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. თავდაპირველად 5 სახელმწიფო სამდივნო შეიქმნა: საგარეო საქმეთა, საშინაო საქმეთა, იუსტიციის, ფინანსებისა და საფოსტო. მოგვიანებით,

სამდივნოთა რიცხვი თანდათან გაიზარადა (1907 წ. შეიქმნა სახელმწიფო სამდივნო კოლონიის საკითხებზე). სულ სამდივნოთა რიცხვმა 10-ს მიაღწია. კანცლერი არ იყო პასუხისმგებელი რაიხსტაგის წინაშე. იგი მხოლოდ გერმანიის იმპერტორს, ე.ი. კაიზერს ემორჩილებოდა.

პრეზიდენტისა და კანცლერის ინსტიტუტი შემორჩა ვაიმარის რესპუბლიკაშიც, მათი ფუნქციები განისაზღვრა 1919 წ. კონსტიტუციით. სახელმწიფოს სათავეში იდგა პრეზიდენტი, რომელიც საყოველთაო არჩევნების საფუძველზე 7 წლის ვადით აირჩეოდა. პრეზიდენტი ნიშნავდა კანცლერს და ამ უკანასკნელის წარდგინებით ამტკიცებდა მინისტრებს. თუ რაიხსტაგი უნდობლობის ვოტუმს გამოუცხადებდა მინისტრებს, ყველა მათგანი უნდა გადამდგარიყო. საკონსტიტუციო პრაქტიკით დამკვიდრდა პრინციპი: თუ პრეზიდენტს სურდა მთავრობის შენარჩუნება, უნდობლობის ვოტუმის შემთხვევაში შეეძლო რეფერენდუმის საფუძველზე რაიხსტაგის დათხოვა და ახალი არჩევნების დანიშვნა. ახლად არჩეულ რაიხსტაგს შეეძლო გადაეწყვიტა დავა პრეზიდენტის სასარგებლოდ. ვაიმარის კონსტიტუციის ამ ტრადიციულ დებულებას დაემატა ახალი ელემენტი: რაიხსტაგისა და პრეზიდენტის დავის შემთხვევაში რაიხსტაგს შეეძლო სახალხო რეფერენდუმის გზით აეძულებინა პრეზიდენტი ვადის გასვლამდე დაეტოვებინა თანამდებობა (43-ე მუხლი).

ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებში (1929-1933 წწ.) გამწვავდა სოციალური ურთიერთობები და მონოპოლისტური ბურჟუაზია ტერორისტული დიქტატურის განხორციელების პრინციპს დაადგა. ეს გზა მას გამოსავლად მიაჩნდა სახელმწიფოში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად. ასეთ სიტუაციაში პრეზიდენტის მიერ საგანგებო უფლებამოსილებათა გამოყენებას (კონსტიტუციის 48-ე მუხლი) მოჰყვა პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა სახელმწიფოში. ფაშისტური დიქტატურის მმართველობა კი ცალკე უნდა იქნეს განხილული, როგორც სპეცორგანოების სტრუქტურა რეჟიმული ხელისუფლების განხორციელებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ძირითად რგოლად დარჩა კანცლერის ინსტიტუტი. როგორც გფრ-ის კონსტიტუციის 65-ე მუხლით იყო განმტკიცებული, „ფედერალური კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად დებულებებს". დასავლეთგერმანულ ლიტერატურაში ამ მუხლმა დავა გამოიწვია, რადგან ბუნდესკანცლერის ამგვარი უფლებები პარლამენტის უფლებებში გადადის. ამ დავის თავისებური შეჯამებაა სახელმწიფოთმცოდნის კ.კრიუგერის დასკვნა, ეს საკითხი უფრო თეორიული მნიშვნელობისაა, ვიდრე პრაქტიკული. ყველა პრინციპული კანონი და პარლამენტის გადაწყვეტილება ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე აქამდე გამოიცემოდა ფედერალური კანცლერის ხელმძღვანელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ეს წესი, როგორც ჩანს, კვლავ ძალაში რჩება.

ბუნდესკანცლერის უფლებრივი მდგომარეობა სადავოა იმითაც, რომ იგი აირჩევა ბუნდესტაგის მიერ. კაბინეტის ყველა სხვა წევრი კი ინიშნება და თავისუფლდება პრეზიდენტის მიერ კანცლერის წარდგინებით. თუმცა სამთავრობო რეგლამენტი ითვალისწინებს კოლეგიალურობის პრინციპს კაბინეტის მუშაობაში, იგი პრაქტიკულად არ მუშაობს, რადგან მინისტრები დამოკიდებულნი არიან ბუნდესკანცლერზე.

გფრ-ის მთავრობა ***მინისტრთა კაბინეტის*** (Ministerkabinett) სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ სხვა კლასიკური სახელმწიფო აპარატებისაგან განსხვავებით, გერმანული მმართველობის აპარატი შედარებით ახალია, რადგანაც ჰიტლერის დიქტატურის ისტორიამ ერთიანად მოსპო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ევოლუციური განვითარება. ამიტომ გერმანიის მმართველობის აპარატი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ტრადიციული ფორმით არ არის წარმოდგენილი, როგორც, მაგალითად, აშშ-ს ან ბრიტანეთში. გერმანიის მმართველობის სისტემაში უფრო ძლიერია ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის პრინციპი, ეკონომიკური და პოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე, ვიდრე ძველი მექანიზმის რეორგანიზაციისა და

დროის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის პრინციპი.

გერმანიის სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ფედერალური (მხარეები) მმართველობის სახელმწიფო ორგანოების არსებობა მხარეების მთავრობებისა და სამინისტროების სახით.

გფრ-ის კონსტიტუციის 30-ე მუხლით, აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება უპირატესად მხარეების, როგორც ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულების მიერ. სინამდვილეში კი, სახელმწიფოს მმართველობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ცენტრალური (ფედერალური) ორგანოები. ამას ადასტურებს გერმანიაში მიღებული მმართველობის ფორმის კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად ფორმას: ფედერაციის დამოუკიდებელი მმართველობა, მხარეების მმართველობა ფედერაციის დავალებით და მხარეების დამოუკიდებელი მმართველობა.

ფედერალური მმართველობა (Bundesrerwaltung) ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა საგარეო საქმეთა, თავდაცვა, ფედერაციის ფინანსები და სხვა. დროთა განმავლობაში ამ სფეროთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. ცალკეული მინისტრები ემორჩილებიან ფედერალურ კანცლერს და პერსონალური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე არ ეკისრებათ.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები (Ortsverwaltung). ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გერმანიაში თავიდანვე ჩამოყალიბდა ლანდტაგებისა (Landtag) და ქალაქის მმართველობის (Stadtverwaltung) სახით.

გერმანიის ცალკეულ სახელმწიფოში ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელება პრივილეგირებულ წოდებათა (ჩინების) აღმოცენებასთან იყო დაკავშირებული. ამ წოდებათა ორგანიზაცია მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. მაგრამ უმეტეს გერმანულ სახელმწიფოებში წარმოიქმნა სამი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი კურია(ჯურიე): სასულიერო, მხედართა და ქალაქის მოსახლეობის. კურიის კრებებმა მიიღეს ლანდტაგის სახელწოდება, რომელიც დასრულებული სახით ჩამოყალიბდა XIV საუკუნეში. ცალკეული ჩინების უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

უმეტეს შემთხვევაში, მათი ვალდებულება იყო სხვადასხვა შუამდგომლობითა და პეტიციით მიემართათ მიწების მესაკუთრეთათვის. ამ ჩინის მქონე პირები უფლებამოსილნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდნენ. სახელმწიფოს ვალებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად ყველა ჩინის წარმომადგენლის თანხმობა სავალდებულო იყო.

XVII საუკუნიდან, აბსოლუტიზმის განმტკიცებასთან ერთად, ლანდტაგების მნიშვნელობა ეცემა.

რაც შეეხება ქალაქის მმართველობას, განსაკუთრებით გაიშალა XIV-XV სს. პოლიტიკური დამოკიდებულების თვალსაზრისით იგი სამ ჯგუფად იყოფოდა: საიმპერიო (Reichsstadt), სათავადო (Landstadt) და თავისუფალი (Freistadt). ყველა საიმპერიო ქალაქი იმპერატორის უშუალო ვასალად ითვლებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში მათ გარკვეულ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, მიიღეს მონეტის მოჭრის, საკუთარი სასამართლოს, ჯარის ყოლის და სხვა უფლებები. იმპერატორის წინაშე მათი ვალდებულება გულისხმობდა ერთგულების ფიცის მიღებას, გადასახადის ყოველწლიურ გადახდას, ჯარის გაყვანას. საიმპერატორო ქალაქებს წარმოადგენდნენ: ლუბეკი, ბრემენი, ჰამბურგი, ნიურნბერგი, ფრანკფურტი Lwbeck, Bremen, Hamburg, Nwrnberg, Frankfurt) და სხვა. XV საუკუნიდან მათ თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდათ რაიხსტაგში.

თავისუფალი ქალაქები ანალოგიური უფლებებით სარგებლობდნენ, მაგრამ გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისა და ჯარის გაყვანისაგან. ასეთი ქალაქები იყო: მაინცი, ვორმსი (Mainz, Worms) და სხვა.

სათავადო ქალაქები იმართებოდა ქალაქის საბჭოების მიერ, მაგრამ მათი უფლებები იზღუდებოდა იურისდიქციის სფეროში — ისინი მხოლოდ ქვემდგომი სასამართლოს ფუნქციებით სარგებლობდნენ. თავადები ქალაქებიდან ყოველწლიურად იღებდნენ ბეგარას.

აბსოლუტიზმის ეპოქაში ადგილობრივი მმართველობის როლი სუსტდება. თუ განვიხილავთ პრუსიის მაგალითზე, აქ

საგვარეულო თვითმმართველობა იყო გაბატონებული. საგვარეულო დიდებულები თავიანთი წრიდან ირჩევდნენ ***ლანდრატებს*** (Landesrat), რომლებიც მთლიანად ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ფრიდრიხ ვილჰელმ I-მა კი ცვლილება შეიტანა ადგილობრივ ორგანოთა შექმნის ამ წესში. იგი არ თვლიდა დიდებულთა ერთპიროვნულ უფლებად აერჩიათ თანამდებობის პირები და ამიტომ თავის პროვინციებში თვითონ ნიშნავდა თანამდებობის პირს სხვა პროვინციიდან.

ავსტრიაში ადგილობრივი მმართველობა ხორციელდებოდა ***მეფისნაცვლების*** (Statthalter) მიერ. მათ ირჩევდნენ ადგილობრივი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები და ამტკიცებდა მეფე. ადგილობრივი ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულებში (მხარეები) წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო იყო ***სეიმი***, რომელიც 4 წოდებისაგან შედგებოდა: სასულიერო, მხედრები (დიდებულები ტიტულის გარეშე), ქალაქის მოსახლეობა, დიდებულები (გამორჩეული ტიტულებით).

განსხვავებული იყო ***ქალაქის მმართველობა***, რომელიც არჩევითი ორგანოებისა და ბურგომისტრების (Burgermeister) მიერ ხორციელდებოდა. გლეხობა თავიანთ თემებში ირჩევდნენ ***შეფენებსა*** (SchRffen) და ***მამასახლისებს*** (Dorfschulzen). ადგილობრივი მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ფაშისტური რეჟიმის განხორციელების დროს. „იმპერიის გარდაქმნის შესახებ" 1934 წ. 30 იანვრის კანონით დაითხოვეს ლანდტაგები, ხოლო მხარეების მმართველობა უშუალოდ დაექვემდებარა ცენტრალურ მმართველობას. ასე რომ, ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები, მიწები, გადაიქცნენ უნიტარულ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად.

ფედერაციული რესპუბლიკის პერიოდში ადგილობრივი ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულებს ***მხარეები*** (Land) წარმოადგენდნენ. ყოველ მხარეს ჰქონდა თავისი კონსტიტუცია და არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები — ***ლანდტაგები.***

§ 29. საზოგადოების ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობის ევოლუცია გერმანიაში

ფეოდალიზმის განვითარება გერმანიაში შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე სხვა კონტინენტურ ქვეყნებში. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით, სასოფლო თემმა (Gemeinde) საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნა თავი და წინააღმდეგობასაც უწევდა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას. და მაინც, XI-XII საუკუნეებისათვის გერმანიაში ფეოდალიზაციის პროცესი დამთავრდა. ამ პერიოდში მოსახლეობა სხვადასხვა ფენად იყო დაყოფილი: ***ფეოდალ-მიწათმფლობელებად***, ***ყმაგლეხებად***, ***თავისუფალ მეთემეებად*** და ***სასულიერო პირებად***. ფენებს შორის უფლებრივი განსხვავება სამართლებრივი ნორმებით მტკიცდებოდა, რაც ხელს უწყობდა წოდებრივი რეგალიების შექმნას. XIV საუკუნისათვის ეკონომიკურ აღმავლობას მოჰყვა საზოგადოების სტრუქტურაში ისეთი ფენის დამკვიდრება, როგორიც იყო ***თავადები*** (Furstentum), რომლის უფლებრივი მდგომარეობა იმდენად გაიზარდა, რომ თითქმის არ იყო დამოკიდებული იმპერატორზე და სხვა ფენებთან შედარებით მაღლა იდგა. შემცირდა საშუალო დიდგვაროვანთა რაოდენობა, რადგან მისი გამდიდრებული ნაწილი თავადებს შეუერთდა, ხოლო მეორე ნაწილი გაღარიბდა და თავადებსა და იმპერატორზე დამოკიდებული გახდა.

სამხედრო ტექნიკის ზრდასა და სამხედრო საქმის ჩამოყალიბებას მოჰყვა საზოგადოების ახალი ფენის — ***მხედრების*** (Reiter) გაჩენა.

ცვლილებები განიცადა სასულიერო წოდებამაც, რომელიც ორ ჯგუფად გაიყო. პირველ ჯგუფში შედიოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, მეორეში — ქალაქისა და სოფლის სამღვდელოება.

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას მოჰყვა ქალაქის მოსახლეობის ფენებად დაყოფა: ზედაფენა — ***პატრიციატი*** (Patriziat), რომელსაც ქალაქის მაღალი თანამდებობები ეკავა; ***ბიურგერები*** (Burger), ანუ ქალაქის მოსახლეობის შუაფენა (იგივე ხელოს-

ნები), *პლებეები* (Plebeier), ხელოსნებსა და ვაჭრებზე ქონების არმქონე *დამხმარე პირები* (Gehilfe).

აბსოლუტიზმის ეპოქაში საზოგადოების ფენებს შორის ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მათი უფლებრივი მდგომარეობა. არ შეიძლება რეფორმათა შორის გვერდი ავუაროთ ანტიკათოლიკურ მოძრაობას, რომელმაც გერმანიის საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა, 1525 წ. გლეხთა ომს, ქალაქის უღარიბესი ფენების აჯანყებას, დაბოლოს, 30-წლიან ომს 1618-1648 წწ.. ყოველივე ამის გამო გლეხები კვლავ ფეოდალთა ხელისუფლების ქვეშ მოექცნენ. უმეტეს ნაწილს წაერთვა ქონება და ქალაქის პლებეებს შეუერთდა.

საზოგადოების შემდგომი ევოლუცია განვიხილოთ გერმანული კონსტიტუციებით გათვალისწინებული საარჩევნო სისტემათა ფონზე.

პრუსიის 1850 წლის კონსტიტუციით, ამომრჩევლები რამდენიმე ფენად იყოფოდა: პირველი — მდიდრები, რომლებიც მნიშვნელოვანი ოდენობის ბეგარას იხდიდნენ, მეორე — პირები, რომლებიც საშუალო ოდენობის ბეგარას იხდიდნენ და მესამე — ყველა, ვინც მცირე ოდენობის ბეგარას იხდიდა. მართალია, ქონებრივი ცენზის მიხედვით საზოგადოება არჩევნებში სამ თანაბარ ნაწილად იყოფოდა, მაგრამ პროცენტულად სულ სხვა სურათი გვაქვს. I ფენის ამომრჩევლის ერთი ხმა II ფენის ამომრჩევლის 3 ხმას და III ფენის 18 ხმას უდრიდა.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა პრუსიელების თანასწორობას კანონის წინაშე და ადგენდა გარანტიებს პირადი თავისუფლების, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირებისა და სხვა. ფაქტობრივად კონსტიტუციის მუხლები პრუსიელების უფლებათა შესახებ არ ხორციელდებოდა. პოლიცია აწარმოებდა თვითნებურ ჩხრეკებსა და დაპატიმრებებს. თითოეული პრუსიელის ნაბიჯი რეგლამენტირებული იყო. სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო პრუსიას უწოდებდნენ საპოლიციო სახელმწიფოს(Polizeistaat).

XIX საუკუნიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამკვი-

დრებასთან ერთად, იუნკრულ-ბატონყმური მეურნეობა თანდათან იუნკრულ-ბურჟუაზიული გახდა. გლეხობა ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა — ფეოდალურსა და კაპიტალისტურს (სოფლის მეურნეობაში მას კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა ჰქვია).

XIX ს-ის შუა წლებში გერმანიაში ერთიანი საერთო ბაზარი შეიქმნა, რასაც ხელი შეუწყო 1834 წელს პრუსიის მეთაურობით დაარსებულმა საბაჟო კავშირმა. ამ სამრეწველო გადატრიალების პროცესში ჩამოყალიბდა საზოგადოების ახალი ფენა — *მუშები* (Arbeiter), რომელმაც თავიდანვე რევოლუციური გამოსვლებით დაიწყო საკუთარი უფლებების დამკვიდრება. სწორედ XIX ს. 40-იან წლებში გერმანიის მიწა-წყალზე აღმოცენდა პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობა — მარქსიზმი.

1848-49 წწ. გერმანიაში მიმდინარე პროცესები მიჩნეულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციად, რომელიც პროლეტარიატის ინიციატივით დაიწყო (ეროვნული საკითხის გადასაჭრელად — ქვეყნის გასაერთიანებლად). ამ რევოლუციას უნდა გადაეწყვიტა ფეოდალურ-მონარქიული რეჟიმის ლიკვიდაცია და აგრარული საკითხის დემოკრატიული პოლიტიკა, მაგრამ სხვაგვარი ისტორიული განვითარების გამო პროლეტარიატმა სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლა ამ მიმართებით ვერ გამოიყენა. გერმანია „რკინითა და სისხლით" გაერთიანდა დანიის (1864 წ.), ავსტრია-პრუსიის (1866 წ.), საფრანგეთ-პრუსიის (1870-1871 წწ.) ომების შედეგად.

XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კვლავ იზრდება მუშათა მოძრაობა. 1875 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – „აიზენახელები" (Sozialdemokratische Arbeiterpartei Deutschlands – „Eisenacher") (დაარსდა 1869 წ.) ბებელისა და ლიბკნეხტის მეთაურობით და გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი – ლასალიანელები (Allgemeiner Deutscher Arbeiterverein – Lassallianer – დაარსდა 1863) გაერთიანდნენ და შეიქმნა გერმანიის სოციალისტ მუშათა პარტია (Sozialistische Arbeiterpartei Deutschlands), რომელიც 1890 წლიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიად (Sozialdemokratische Partei) იწოდებოდა. მუშები მნიშვნელოვანი

პრეტენზიებით გამოდიოდნენ ეკონომიკური თუ პოლიტიკური უფლებების დამკვიდრებისათვის. ამ ბრძოლაში პარტიებად და მოძრაობებად მათი გაერთიანება ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სერიოზული ნაბიჯი იყო. თავის მხრივ ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა „მათრახისა და თაფლისკვერის პოლიტიკით“ ემართა მუშათა გამოსვლები. 1878 წ. სოციალისტების წინააღმდეგ კანონიც იქნა მიღებული, თუმცა 1890 წელს ეს კანონი გაუქმდა.

1919 წ. იანვარში ბერლინის პროლეტარიატის გამოსვლების დამარცხების შემდეგ, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ არჩევნები ჩაატარა, სადაც დამოუკიდებელ კანდიდატებთან ერთად დაახლოებით ხმების 45% მიიღო. მუშათა პოლიტიკური უფლებების დამკვიდრება გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდა. კერძოდ, საბჭოთა რესპუბლიკამ ბრემენში იარსება 1919 წ. 10 იანვრიდან 3 თებერვლამდე, ბავარიაში 1919 წ. 13 აპრილიდან 1 მაისამდე. ამ რესპუბლიკების დამხობის შემდეგ კვლავ გაგრძელდა ბრძოლა. 1923 წ. ოქტომბერში ჰამბურგში იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელსაც ე.ტელმანი ხელმძღვანელობდა. აჯანყება დამარცხდა, რასაც 8-9 ნოემბერს მოჰყვა ე.ლუდენდორფისა და ა. ჰიტლერის მიუნხენში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა – ე.წ. „ლუდის“ პუტჩი. ბურჟუაზიის პოზიციები განმტკიცდა. 1924 წ. ძალაში შევიდა სარეპარაციო გადასახადების რეგულირების ახალი გეგმა (დაუესის გეგმა), რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთ დათმობას გერმანიის იმპერიული წრეების მიმართ. ამით გზა გაეხსნა უცხოურ კაპიტალს. იზრდებოდა მონოპოლიების გავლენა მთავრობის პოლიტიკაზე. მაგრამ 30-იან წლებში წარმოება 40%-ით დაეცა, რასაც მოჰყვა უმუშევრობის ზრდა. გაუარესდა წვრილი ვაჭრების, ხელოსნების, ინტელიგენციის, წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის მდგომარეობა.

§ 30. გერმანიის კავშირები

რაინის კავშირი (Rheinbund) (1806-1812 წწ.) საფრანგეთთან არაერთგზის დამარცხების შემდეგ ავსტრიის იმპერატორი ფრანც II იძულებული იყო დათანხმებულიყო „საღვთო რომის იმპერიის" ლიკვიდაციას. ამას მოჰყვა ნაპოლეონის პროტექტორობით 1806 წ. გერმანიის დასავლეთ ნაწილში რაინის კავშირის შექმნა, ხოლო რაინის დასავლეთით მდებარე მიწები საფრანგეთს შეუერთეს.

რაინის კავშირის შექმნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა 1806 წლის საკავშირო აქტი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების მნიშვნელობის აქტია. ამ აქტის მიხედვით რაინის კავშირი სახელმწიფოთა გაერთიანების სამართლებრივ სტატუსს ატარებდა, ე.ი. კონფედერაციას წარმოადგენდა. ამავე აქტით გათვალისწინებული იყო კონფედერაციისათვის ერთიანი სამთავრობო ორგანოს — საკავშირო კრების (ბუნდესტაგის) შექმნა. სინამდვილეში საკავშირო კრება არასოდეს მოუწვევიათ, რამდენადაც იგი ნაპოლეონის მიერ შეიქმნა და მისივე პროტექტორატს ახორციელებდა. კავშირში შემავალ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება, თუმცა საშინაო პოლიტიკაში ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ავსტრიისა და პრუსიის ძირითადი ნაწილები რაინის კავშირში არ შესულან და ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ. რაინის კავშირს არსებითი კვალი არ დაუტოვებია გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, თუმცა მისი არსებობის პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. რაც მთავარია, ტერიტორიული „მოზაიკის" ნაცვლად, რომელსაც გერმანულ მიწებზე არსებული 300 მხარე და რამდენიმე იმპერიული „თავისუფალი ქალაქი" შეადგენდა, შეიქმნა მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოები: ბავარია, საქსონია, ბადენი, ვიურტემბერგი, მეკლენბურგი, ჰესსენი.

1812 წელს რუსეთში ნაპოლეონის ჯარის განადგურების შემდეგ გერმანიაში ფართოდ გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაპოლეონის წინააღმდეგ. ამ ომში 1813 წელს პრუსიაც

ჩაება. განმათავისუფლებელი მოძრაობა მიზნად ისახავდა გერმანული მიწების გაერთიანებას და ლიბერალური კონსტიტუციის მიღებას. ამ მიზნით ვენის კონგრესზე (1814-1815 წწ.) შეიქმნა ***გერმანიის კავშირი***, რომელიც აერთიანებდა 39 წევრს. მათ შორის 35 სუვერენული უფლებით სარგებლობდა, 4 კი „თავისუფალ ქალაქს“ წარმოადგენდა. კავშირი მოიცავდა ყოფილი რაიხის მთელ ტერიტორიას და მათ შორის ავსტრიასა და პრუსიასაც. კავშირი კონფედერაციულ ხასიათს ატარებდა და მისი წევრები სუვერენული უფლებებით სარგებლობდნენ. კავშირის სუბიექტებს უფლება ჰქონდათ დაედოთ საერთაშორისო ხელშეკრულებები და დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან. იმპერატორის ხელისუფლება გაერთიანებულ გერმანიაში აღარ აღდგა. კავშირის უმაღლეს ორგანოს ***საკავშირო სეიმი*** წარმოადგენდა. ეს იყო მუდმივმოქმედი ორგანო, სადაც შედიოდნენ კავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. სეიმი 69 დეპუტატისაგან შედგებოდა. ადგილები განაწილებული იყო შემდეგნაირად: სამეფოებზე — 4 წარმომადგენელი, სხვა სამთავროებზე — 3, 2 ან 1. მიმდინარე საკითხები წყდებოდა ***მცირე საბჭოს*** მიერ, რომელიც 17 წარმომადგენლისაგან შედგებოდა. სეიმის თავმჯდომარედ ითვლებოდა ავსტრიის რწმუნებული. ასე რომ, კავშირში ავტრიას გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა.

გერმანიის კავშირის შესაქმნელად კარდინალურ საკითხს ეკონომიკაში საბაჟო ბარიერების მოხსნა წარმოადგენდა. პრუსიამ დაიწყო საბაჟო ხელშეკრულებების დადება კონფედერაციის სუბიექტებს შორის, რის შედეგადაც 1833 წელს შეიქმნა საბაჟო კავშირი. თანდათან ამ კავშირს სხვა წევრი სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. ეს იყო ნებაყოფლობითი კავშირი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 12 წლით იდებოდა. პრაქტიკულად ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ახლდებოდა. 1862 წლიდან მოყოლებული პრუსიის ლანდტაგში მიმდინარეობდა კონფლიქტი იმპერატორსა და ლანდტაგს შორის. ეს წინააღმდეგობა დაიწყო ჯარის შესანახად ახალი ასიგნების დაწესებისათვის. იმპერატორი მოითხოვდა ხარჯების გაზრდას. ლანდტაგმა ეს წინადადება

არ დაამტკიცა. მაშინ იმპერატორმა მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნა ოტტო ფონ ბისმარკი, რომელმაც განაცხადა: გერმანიის გაერთიანება უნდა მოხდეს არა საპარლამენტო სიტყვებითა და ლაყბობით, არამედ რკინითა და სისხლით[1]. ამ დროს დაიწყო ომი პრუსიასა და ავსტრიას შორის, რასაც მოჰყვა გერმანიის კავშირის დაშლა. 1866 წელს ომის დამთავრებამდე პრუსია გამოვიდა კავშირიდან და მოუწოდა სხვა გერმანულ სახელმწიფოებს შეეკრათ ახალი ბლოკი. ავსტრიამ წააგო ეს ომი და იძულებული შეიქნა უარი ეთქვა გერმანულ საქმეებში წამყვან როლზე.

ჩრდილო-გერმანული კავშირი (Norddeutscher Bund) (1866-1871 წწ.). ავსტრია-პრუსიის ომმა ისეთი სიტუაცია შექმნა გერმანიაში, რომ, 1866 წლის 21 აგვისტოს ახალი ხელშეკრულების საფუძველზე, გერმანული სახელმწიფოები გაერთიანდნენ ჩრდილო-გერმანულ კავშირში და ეს კავშირი განამტკიცეს სამართლებრივი აქტით — 1867 წლის კონსტიტუციით.

ჩრდილო-გერმანული კავშირი თავისი იურიდიული ბუნებით არ იყო საერთშორისო ხელშეკრულებაზე დამყარებული ახალი სუბიექტი. იგი იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტზე — კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი სუბიექტი და წარმოადგენდა არა კონფედერაციას, არამედ ფედერაციას. ჩრდილო-გერმანულ კავშირში გაერთიანდა ყოფილი გერმანული კავშირის სახელმწიფოები ავსტრიისა და 4 გერმანული ქალაქ-სახელმწიფოს (ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესსენი) გარდა. ფედერაციის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 22-მდე შემცირდა.

1867 წლის 16 აპრილის კონსტიტუციით სახელმწიფო წყობილება გერმანიაში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. სახელმწიფოს სათავეში იდგა პრუსიის მეფე, რომელსაც ***იმპერატორი*** ეწოდებოდა;

2. ***ბუნდესრატი*** — საკავშირო საბჭო. მასში შედიოდნენ ჩრდილო-გერმანული კავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ბუნდესრატი იყოფოდა კომისიებად;

3. ***რაიხსტაგი*** — პარლამენტი, რომელიც ირჩეოდა საყოველ-

1 Frankel, Richard E , Bismarck's Shadow. The Cult of Leadership and the Transformation of the German Right, 1898–1945, Berg Publishers, 2005, p.79.

თაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. იმისათვის, რომ რაიხსტაგს კანონი მიეღო, საჭირო იყო პრუსიის იმპერატორის, ანუ კავშირის პრეზიდენტის და აგრეთვე ბუნდესრატის დასტური;

4. ***კანცლერი*** — მთავრობის თავმჯდომარე. ამ მოვალეობას ასრულებდა ბისმარკი. მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო კანცლერის ხელში. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტიტუციის მიხედვით იმპერატორს, ანუ პრეზიდენტს მინიჭებული ჰქონდა ფართო უფლებები. მას შეეძლო ეგზეკუცია ჩაეყენებინა და დაელაშქრა კავშირში შემავალი ყოველი სახელმწიფო. იგი ითვლებოდა საკავშირო არმიის მხედართმთავრად.

ბისმარკის პოლიტიკა, რომელიც ჩრდილო-გერმანული სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ იყო მიმართული, მიზნად ისახავდა საფრანგეთთან ომსაც, რომელიც 1870-1871 წლებში განხორციელდა. ამ ომში საფრანგეთი დამარცხდა და გერმანიამ დაკარგული მიწები დაიბრუნა. ამით დამთავრდა ჩრდილო-გერმანული კავშირის შეერთება და დაიწყო მისი იმპერიად გარდაქმნა.

§ 31. საგანგებო რეჟიმი გერმანიაში (1933-1945 წწ.)

საგანგებო რეჟიმი გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის სახით განხორციელდა და იგი დამკვიდრდა ვაიმარის რესპუბლიკაში პრეზიდენტის მიერ საგანგებო უფლებების მითვისებით.

„ფაშიზმი" (Faschismus) იტალიური წარმოშობის სიტყვაა და კონას, შეკვრას, გაერთიანებას ნიშნავს. იგი ყველაზე რეაქციული, აგრესიული ძალების პოლიტიკური მიმართულებაა. პირველად ფაშიზმი შეიქმნა დე გობინოს, დე ლაპეჟის თეორიების, ფ.ნიცშესა და ო.შპენგლერის კონცეფციების, გეოპოლიტიკის, პანგერმანიზმის, ანტისემიტურ და სხვა დოქტრინების ბაზაზე. ფაშიზმის იდეოლოგია შეიცავს სამხედრო ექსპანსიის, რასობრივი უთანასწორობის, ფიურერობის პრინციპის, „კლასობრივი ჰარმონიის" (ხალხთა გაერთიანების და კორპორაციულობის თეორია), „ტოტალიტარული სახელმწიფოს" თეორიებს.

ფაშისტური ორგანიზაციები პირველად იტალიაში შეიქმნა 1919 წელს ნაციონალისტურად განწყობილი ჯარისკაცებისაგან. 1922 წელს კი იტალიის პრემიერ-მინისტრი ბ.მუსოლინი გახდა, რითაც გზა გაეხსნა იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებას.

1919 წელს მსხვილი მონოპოლიების ჯგუფისა და უკიდურესად რეაქციული ძალებისაგან გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური პარტია შეიქმნა. 1921 წელს პარტიის ფიურერი (Fwhrer) გახდა ა. ჰიტლერი. 1933 წელს ნაცისტები სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ. ჰიტლერი რაიხკანცლერად დაინიშნა პრეზიდენტ ჰინდენბურგის მიერ. უფლებამოსილების ხელში აღებისთანავე ჰიტლერმა შექმნა ახალი მმართველობის სისტემა, თუმცა ოფიციალურად ითვლებოდა, რომ ვაიმარის რესპუბლიკა ისევ არსებობდა. ჰიტლერმა თავის ხელში აიღო მთელი ძალაუფლება. ჰინდენბურგის სიკვდილის შემდეგ, 1934 წელს, მან მიიღო პრეზიდენტის უფლებამოსილებაც და „რაიხის ბელადისა და კანცლერის" ტიტული (Der Titel des Reichsfwhrers und- kanzlers). სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს არის ისეთი პერსონალური ხელისუფლება, რომელიც არ ედრება არც ძველი დესპოტიის ქვეყნებს, არც ფეოდალური აბსოლუტიზმის სახელმწიფოებს. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ცნობილია, როგორც „სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობით"[1].

ფაშისტური რეჟიმის (Faschistisches Regime) სპეციფიკა იყო საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ყველა სფეროზე აბსოლუტური კონტროლი. ამ კონტროლის მექანიზმს შეადგენდა: ჰიტლერული პარტიის დამცველი რაზმები — „სს" („SS" – Schutzstaffel), სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია — „გესტაპო" (Gestapo _ Gehcime Staatspolizei),აგრეთვე „სახალხო ტრიბუნალები" („Volkstribunale") და სხვა. მეორე მხრივ, ამ მექანიზმში დიდ როლს თამაშობდა მოსახლეობაზე ორგანიზაციული ზემოქმედების აპარატი: ნაციონალ-სოციალისტური ქალთა კავშირი, ჰიტლერული ახალგაზრდობის ორგანიზაცია — „ძალა სიხარულზე გავლით" და ა.შ. გარდა ამისა, ძლიერი იყო პროპაგანდის სისტე-

1 George Lachmann Mosse - The Nationalization of the Masses: Political Symbolism and Mass Movements in Germany from the Napoleonic Wars through the Third Reich, Cornell University Press, 1991, p.156.

მაც, რომლითაც ხორციელდებოდა საზოგადოებრივი აზრისა და იდეოლოგიის ფორმირება. თითოეული ამ ორგანოს ფუნქციები მკვეთრად იყო გადახლართული ერთმანეთში. სწორედ ასეთი მკაცრი სახელმწიფო აპარატის მეშვეობით შეძლო ფაშიზმმა შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

1934 წლის 30 იანვრის კანონით „რაიხის სტრუქტურის შესახებ" („Gesetz zur Reichsstruktur") ჰიტლერს, როგორც ფიურერს, მიენიჭა უფლებამოსილება შეექმნა ახალი კონსტიტუციური სამართალი. ჰიტლერის ხელში საკანონმდებლო მექანიზმის გადასვლა ნიშნავდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ტრადიციული დაყოფის უარყოფას.

ამასთან ერთად, რადიკალურად შეიცვალა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოს ფაქტიურ მეთაურსა და პარლამენტს შორის. ფორმალურად ახალი საგანგებო უფლებამოსილება მიენიჭა ჰიტლერს რაიხსტაგის ლეგისლატურის (პარლამენტის უფლებამოსილების) ვადით. შემდგომში არჩევნები არ ჩატარებულა. 1934 წლიდან კი რაიხსპრეზიდენტისა და რაიხსკანცლერის თანამდებობები გაერთიანდა და ჰიტლერი იწოდებოდა, როგორც „ფიურერი და რაიხსკანცლერი". ეს არ ნიშნავდა მარტო ორი თანამდებობის კონსტიტუციური უფლებამოსილების შერევას (ფიურერი საკანონმდებლო წესით საერთოდ არ იყო გამოკვეთილი), არამედ ჰიტლერისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობდა, რაც საერთოდ სცილდებოდა გერმანული სახელმწიფო სამართლის ადრინდელ ნორმებს. ასე რომ, გერმანიაში დამყარდა ტოტალიტარული ფაშისტური რეჟიმის სახელმწიფო, ე.წ. „ფიურერის სახელმწიფო".

1935 წლისათვის ნაცისტური სახელმწიფოს შექმნის პროცესი დასრულდა, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო: 1. წამყვანი სახელმწიფოებრივი პოსტები ეკავათ სამხედრო ფაშისტური წრეების წარმომადგენლებს; 2. ლიკვიდირებულ იქნა წარმომადგენლობითი ორგანოები და ფედერაციული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმები; 3. დაითხოვეს ყველა პარტია, გარდა ნაციონალ-სოციალისტებისა; 4. გაუქმდა ყველა კონსტიტუცი-

ური უფლება და თავისუფლება; 5. კანონიერების რეჟიმი შეცვალა სამხედრო-პოლიციურმა რეჟიმმა.

1933 წლის 24 მარტის კანონი „სახელმწიფოსა და ხალხის სიღარიბის თავიდან აცილების შესახებ" მთლიანად უხსნიდა ხელებს ფაშისტურ რეჟიმს. რადგანაც ეს კანონი ჯერ კიდევ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ იყო მიღებული, მას „გერმანიის კონსტიტუციასაც" უწოდებდნენ, როგორც „ხალხის ნების გამომხატველ" აქტს.

მმართველი ფაშისტური პარტიის ლეგალიზაცია განმტკიცდა კანონით „ახალი პარტიების შექმნის წინააღმდეგ", რომელიც 1933 წლის 14 ივლისს იქნა მიღებული. ეს კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებდა რომელიმე სხვა პარტიისადმი მხარის დაჭერის ან შექმნის შემთხვევაში.

ამ ძირითადი მიზნისათვის, როგორც ეს რეჟიმული სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი, გარკვეული ხერხები და მეთოდები გამოიყენებოდა. ერთ-ერთი ასეთი ხერხი იყო ანშლუსი (AnschluB), რომელიც ავსტრიის გერმანიასთან იძულებით შეერთებას გულისხმობდა. ანშლუსის პრაქტიკული განხორციელება გერმანიისა და ავსტრიის ბურჟუაზიამ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების მემარჯვენე ლიდერებმა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სცადეს. მათი მეცადინეობით ავსტრიის დროებითმა ეროვნულმა კრებამ 1918 წ. მიიღო გადაწყვეტილება გერმანიასთან ავსტრიის შეერთების შესახებ. 1919 წ. ვაიმარის კონსტიტუციას დაემატა მუხლი, რომელიც ანშლუსის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერსალისა (Versailler Vertrag) და სენ-ჟერმენის (Saint-Germain-en Laye Friedensvertrag) 1919 წ. საზავო ხელშეკრულებები კრძალავდნენ ანშლუსს, გერმანიის ხელმძღვანელი წრეები მაინც ცდილობდნენ მის განხორციელებას (მაგ., 1931 წ. ავსტრია-გერმანიის საბაჟო კავშირის პროექტი და სხვა). „ანშლუსის" განხორციელების მიზნით 1934 წ. ფაშისტურმა გერმანიამ ავსტრიის ნაცისტების მხარდაჭერით ვენაში მოაწყო შეიარაღებული პუტჩის ინსცენირება. 1936 წ. გერ-

მანიამ თავს მოახვია ავსტრიას შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ავსტრია გამოცხადდა „მცირე გერმანულ სახელმწიფოდ“, ხოლო 1938 წ. 11-12 მარტის გამოქვეყნებული კანონით — „გერმანიის იმპერიის ერთ-ერთ მხარედ“.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ავსტრიაში აღდგა 1955 წლის ხელშეკრულების საფუძველზე 1938 წლის 1 იანვრის საზღვრებში.

§ 32. განსხვავებული სისტემის ორი გერმანული სახელმწიფო

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (BRD-Bundesrepublik Deutschland). 1995 წლის თებერვალში, სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციაზე, იალტაში განიხილებოდა საკითხი გერმანიის მომავალ სახელმწიფო მოწყობაზე. 8 მაისს, ჰიტლერული გერმანიის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის დოკუმენტს და 5 ივნისიდან ქვეყანა ოთხ საოკუპაციო ზონად გაიყო: საბჭოთა, ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონები.

1946 წ. აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტეს რა გერმანია თავიანთ პოლიტიკურ სამხედრო ბლოკში ჩაერთოთ, გააერთიანეს თავიანთი ზონები ე.წ. ბიზონად. 1948 წ. მას შეუერთდა საფრანგეთის ზონა და გადაიქცა ტრიზონად. 1949 წ. სექტემბერში ტრიზონიდან დასრულდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფორმირება.

გერმანიის სახელმწიფოს ფორმირება ხელახლა ხდებოდა განსაკუთრებული, „უმაღლესად ინდივიდუალური“ მოდელის საფუძველზე. ამ სახელმწიფოს მოწყობის საკითხები მკვეთრად აისახა ქვეყნის ძირითად კანონში, კონსტიტუციაში, რომელიც 1949 წ. 23 მაისს შევიდა ძალაში. უპირველეს ყოვლისა, ეს კონსტიტუცია შეიქმნა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის უშუალო კონტროლის საფუძველზე.

კონსტიტუციის ძირითადი დებულებაა თანასწორობა კანონის წინაშე, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და გაერთიანებების თავისუფლება და სხვა. ჯერ კიდევ პრეამბულაში ნათქვამია, რომ გერმანიის ფედერაციული სახელმწიფო „ემსახურება მშვიდობის საქმეს მთელს მსოფლიოში". კონსტიტუციის 26-ე მუხლი ამ დებულების დამატებაა, რადგანაც იგი მიუთითებს, რომ „ქმედება, რომელიც არღვევს ხალხთა თანაცხოვრების წესებს და ამ მიზნით აგრესიული ომისაკენ არის მიმართული — ანტიკონსტიტუციურია და უნდა დაისაჯოს". კონსტიტუციის მე-20 მუხლი ეხება ხელისუფლების წყაროს, რომელიც აღიარებს, რომ „მთელი ხელისუფლება მოდის ხალხისაგან". ე.ი. ხალხი არის უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი, რაც გარანტირებულია 4 წელში ერთხელ არჩევნებში მონაწილეობით.

კონსტიტუციის დამუშავებისას ქვეყნის ფედერაციული მოწყობა განიხილებოდა როგორც ცენტრალური სახელმწიფო აპარატის ხელში ხელისუფლების თავმოყრის წინააღმდეგ არსებულ მნიშვნელოვან გარანტიად. ფედერაციის სუბიექტებს შეადგენენ ადრე არსებული ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულები — მხარეები, რომელთა სამართლებრივი რეჟიმი განხილულია კონსტიტუციის 30-70-ე მუხლებში.

ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლების ორგანოს პარლამენტი წარმოადგენდა, რაც თავისთავად ზღუდავდა მხარეების დამოუკიდებელ მმართველობას. დროთა განმავლობაში ფედერაციის წევრთა მხარეების უფლებამოსილება, ძირითადად საკანონმდებლო სფეროში, გადავიდა ფედერალური ხელისუფლების ხელში. მიწების ხელისუფლების ორგანოები მხოლოდ ფედერალური კანონების შესრულებით იყვნენ დაკავებულნი. მხარეების სასამართლოები მოქმედებდნენ ფედერალური სასამართლოების მითითებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. ზოგიერთი პოლიტოლოგი და სახელმწიფოთმცოდნე მმართველობის ამგვარ ფორმას „კოოპერაციულ ფედერალიზმს" უწოდებს[1].

1 Klatt, H. German Unification and the Federal System – German Politics. 1992. Vol.1, № 3, p.23.; И.М. Бусыгина Германский федерализм: история, современное состояние, потенциал реформирования// Полис – 2000, № 5. – С.110-120.

მხარეებს გააჩნდათ თავიანთი კონსტიტუციები, რომლებიც შემუშავდა 1946-1947 წლებში და განვითარების 2 პერიოდი გაიარეს: ძირითადი კანონის მიღებამდე და მის შემდეგ. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელია სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა, მოქალაქეთა კერძო საკუთრების გარანტიები. რაც შეეხება წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაციას ან სოციალიზაციას, კონსტიტუციაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მეორე ეტაპი 1949 წ. დაიწყო, რასაც მოჰყვა აღმასრულებელი ხელისუფლების როლის ზრდა ადგილებზე.

გფრ-ის კონსტიტუცია ადგენდა სახელმწიფოს რესპუბლიკურ მმართველობას, რაც დაფუძნებული იყო ხელისუფლების დაყოფის პრინციპზე. მართალია, ამის შესახებ პირდაპირ არ არის თქმული, მაგრამ სახელმწიფო ორგანოთა სამწვერა დაყოფა და უფლებათა განაწილება სწორედ კონსტიტუციის აგების ამ პრინციპზე მიგვანიშნებს. კონსტიტუციით ***ბუნდესტაგი*** იყო ბონის პარლამენტის ერთადერთი პალატა, რომელიც შეიქმნა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. საარჩევნო ასაკი 18 წელს უდრიდა და ამომრჩევლები აირჩეოდნენ 4 წლის ვადით. დეპუტატთა რაოდენობა ხელისუფლების ორგანოში 498 კაცით განისაზღვრებოდა. ამ შემადგენლობის ნახევარი აირჩეოდა 248 საარჩევო ოლქში შედარებითი უმრავლესობის პრინციპით. მეორე ნახევარი ე.წ. „მხარეების სიებზე" დაყრდნობით — პროპორციული საარჩევნო სისტემით. ამ სიებს წარმოადგენდა ცალკეული პარტიები მხარეების მიხედვით. კანდიდატთა ოდენობა მხარეების მოსახლეობაზე იყო დამოკიდებული. დადგინდა, რომ თითოეულ ამომრჩეველს ორი ხმა ჰქონდა: პირველს იგი აძლევდა დეპუტატს პირდაპირი არჩევნების დროს, მეორეს – „მხარეების სიებს". არჩეულად პირველ ხმათა შორის ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც შედარებით უმრავლესობას მიიღებდა. მეორე ხმათა ოდენობა, რომელსაც ესა თუ ის პარტია მიიღებდა, ჯამდებოდა მხარეების მასშტაბებით. მიღებული ხმების შესაბამისად მანდატები პარტიებს შორის ნაწილდებოდა პროპორციული სისტემის მიხედვით.

ბუნდესრატის ფორმირება ყველა მხარის მთავრობათა

წევრებისაგან ხდებოდა. ამასთან, მხარეების მთავრობები ბუნდესრატში არა მარტო ნიშნავდნენ თავიანთი შემადგენლობიდან წევრებს, არამედ ინსტრუქციებსაც აძლევდნენ მათ, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში დეპუტატი შეიძლება გაეწვიათ.

გფრ-ის კონსტიტუციით ცალკე უნდა გამოვყოთ ***აღმასრულებელი ხელისუფლება***, რომელიც ***ფედერალურ პრეზიდენტს*** ენიჭება. კონსტიტუციის მიხედვით იგი აირჩევა 5 წლით სპეციალურ ფედერალურ კრებაზე, რომლის ნახევარი ბუნდესტაგის წარმომადგენლები არიან, მეორე ნახევარი — მხარეების ლანდტაგების მიერ არჩეული დეპუტატები. გერმანიის პრეზიდენტად შეიძლება არჩეული ყოფილიყო გერმანიის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა და საარჩევნო უფლებით სარგებლობდა. არჩევნები დაიშვებოდა მხოლოდ ორი ვადით.

პრეზიდენტის ასარჩევად მოქმედებდა ხმების აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპი, თუ ორი ტურის შემდეგ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებდა აბსოლუტურ უმრავლესობას, მესამე ტურზე შედარებითი უმრავლესობის პრინციპიც საკმარის იყო. შეუდგება რა უფლებამოსილების განხორციელებას, პრეზიდენტი უპარტიოდ ითვლება.

ფედერაციულ აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ედგა ***ფედერალური კანცლერი***, რომელიც განსაზღვრავდა მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკას და ცალკეული მინისტრების კომპეტენციას. კონსტიტუციის 63-ე მუხლით ფედერალური კანცლერი აირჩევა განხილვის გარეშე, ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით.

მართლმსაჯულების საკითხებს ეხება კონსტიტუციის IX თავი, რომლის მიხედვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობდა ***სასამართლოთა შემდეგი სისტემა***: უმაღლესი ფედერალური სასამართლო, უმაღლესი საფინანსო სასამართლო, უმაღლესი სასამართლო შრომის საკითხებსა და ფედერალური სასამართლო სოციალურ საკითხებზე. ამ სასამართლოებში მოსამართლეთა დანიშვნა ხდებოდა შესაბამისი ფედერალური მინისტრების მიერ მოსამართლეთა საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით.

გფრ-ს იუსტიციის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საკონსტიტუციო სასამართლოს(Gericht), სადაც 1971 წლის კანონის მიხედვით, კონსტიტუციურ სასამართლოს შემადგენლობის ნახევარი აირჩევა ბუნდესრატის მიერ, ნახევარი — სპეციალური კომისიის მიერ, ბუნდესტაგის 12 წევრიდან. კონსტიტუციური სასამართლო ორი სენატისაგან (Senat) შედგება, თითოეულში 8 მოსამართლეა(Richter). კონსტიტუციური სასამართლოს ყველა მოსამართლე 12 წლით აირჩევა. მეორე ვადით არჩევნები არ დაიშვება. ბუნდესრატში არჩევნები ხორციელდება 2/3 ხმების უმრავლესობით, ბუნდესტაგში — ამომრჩეველთა სპეციალური კოლეგიის მიერ. ორივე პალატა ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას თანაბარი ოდენობით.

1973 წ. გფრ-ის კონსტიტუციურმა სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომლითაც სასამართლოებს მიეცათ უფლება შეცვალონ კანონი. ეს დებულება კონსტიტუციის მე-20 მუხლიდან მომდინარეობდა, რომლის მიხედვით სამართალი განიხილება არა როგორც დაწერილი კანონების უბრალო ჯამი, არამედ იდეები, ნორმატიული აქტების მიღმა არსებული ზოგადი პრინციპები. ეს იდეები და პრინციპები დღესაც წარმოადგენს ყველა სამართლებრივი ნორმის ამოსავალი პოზიციის ფუნდამენტს და აძლევენ სასამართლოს შესაძლებლობას ფაქტობრივად გასცილდეს კანონის ტექსტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (DDR-Deutsche Demokratische Republik). 1945 წლის პოცდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1949 წ. 7 ოქტომბერს, სსრკ-ს საოკუპაციო ნაწილზე შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ). საბჭოთა მთავრობამ სამხედრო ადმინისტრაციის კუთვნილი მმართველობის ფუნქციები გდრ-ის დროებით მთავრობას გადასცა. მისი განვითარება სოციალისტური გზით წარიმართა და სოციალისტურ სახელმწიფოთა ბანაკში შევიდა.

გდრ-ში მოქმედებდა 1968 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა ***სახელმწიფო პალატა*** (Staatskammer), 500 დეპუ-

ტატის შემადგენლობით. პალატა აირჩეოდა 5 წლით. საარჩევნო ასაკი 18 წლით განისაზღვრებოდა. პალატა ირჩევდა ***სახელმწიფო საბჭოს*** (Staatsrat), ***მინისტრთა საბჭოს*** – მთავრობას (Ministerrat-Regierung). სახელმწიფო საბჭო განიხალავდა სახელმწიფო პალატაში წარმოდგენილ კანონპროექტებს, იღებდა ბრძანებულებებს და სარგებლობდა ამნისტიისა და შეწყნარების უფლებით.

სახელმწიფოს, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, წარმოადგენდა ***სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე*** (Vorsitzender des Staatsrates).

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ***მინისტრთა საბჭოს***, ხოლო ადგილობრივი მმართველობა ოლქებში, რაიონებში, ქალაქებსა და თემებში ხორციელდებოდა ***სახალხო წარმომადგენლების მიერ*** (Volksvertreter).

რაც შეეხება ***სასამართლო სისტემას***, იგი საბჭოთა ქვეყნების მსგავსი პრინციპით იყო აგებული: უზენაესი სასამართლო, საოლქო, რაიონული და სახალხო სასამართლოები.

გერმანულმა სახელმწიფოებმა ორი განსხვავებული სისტემით იარსებეს ბერლინის კედლის დანგრევამდე, 1990 წლის 3 ოქტომბრამდე, როცა საბჭოთა კავშირის გარდაქმნის პოლიტიკას მოჰყვა საგარეო პოლიტიკის თავისებური განვითარება. დღესდღეობით გერმანია გაერთიანდა და გფრ-ში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შესაბამისად, იგი ფედერაციულ რესპუბლიკას წარმოადგენს.

§ 33. სამართლის წყაროები და სამართალგანვითარება გერმანიაში

XIII საუკუნიდან გერმანიაში შეიმჩნეოდა რომაული სამართლის რეცეფცია (Die Rezeption des romischen Rechtes). ადგილობრივი იმპერატორები პაპებსა და ფეოდალებზე აბსოლუტური ხელისუფლების განსამტკიცებლად ეყრდნობოდნენ რომაულ სამართალს. XVII საუკუნეში რომაული სამართლის რეცეფცია უკვე არა ცალკეული დებულებების, არამედ მთლიანად (in com-

plexu) ხდებოდა. მოქმედებდა ადგილობრივი სამართალიც, მაგრამ სასამართლოებისათვის სავალდებულო იყო რომაული სამართალი. ძირითადად რეციპირება ხდებოდა იმ სახით, როგორც იგი იკითხებოდა გლოსატორების სკოლის კათედრების წარმომადგენელთა მიერ უნივერსიტეტებში. მეცნიერ-იურისტთა გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოები განსახილველად აგზავნიდნენ საქმეებს იურიდიულ ფაკულტეტებზე. მათი დასკვნები იქცეოდა პრეცედენტად (Aktenversendung).

რომაულ სამართალთან ერთად მოქმედებდა კოდიფიცირებული გერმანული სამართალიც:

1. *„ოქროს ბულა“* („Goldene Bulle“) 1356 წ. იქნა შედგენილი.. იგი 31 თავს მოიცავს. აქედან 6 თავი მიძღვნილია იმპერატორების არჩევნებისადმი, 21 — კურფიუსრტების უფლებამოსილებისა და ფუნქციებისადმი. ამიტომ საკონსტიტუციო მნიშვნელობის აქტად ითვლებოდა.

2. ამ პერიოდშივე შეიქმნა *„საქსონიის სარკე“* („Sachsen spiegel“) (XIII ს-ის 30-იანი წლები), რომელიც 2 ნაწილისაგან შედგებოდა: პირველს ეწოდებოდა ლანდრეხტი(Landrecht. „ლანდ“ — ქვეყანას ნიშნავს, „რეხტ“ — სამართალს), მეორეს — ლენრეხტი (Lehenrecht. „ლენ“ — მამული, „რეხტ“ — სამართალი). ძეგლის პირველ ნაწილში ლაპარაკია წოდებრივი დაყოფის, ნათესაობის, საოჯახო ურთიერთობის, მემკვიდრეობის, დანაშაულისა და სასჯელის, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების, აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების შესახებ. რაც შეეხება მეორე ნაწილს, აქ ლაპარაკია საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებზე, სენიორისა (Senior) და ვასალის (Vasal) უფლება-მოვალეობებზე, საადგილმამულო საკუთრების ფორმებზე, მემამულის სასამართლოზე. „საქსონიის სარკემ“ დიდი გავლენა მოახდინა სხვა გერმანული პროვინციების სამართალზე. XV საუკუნეში მისი მიბაძვით შედგენილ იქნა „შვაბიის სარკე“.

3. კარლოს V-ს სახელს ატარებს 1582 წელს მიღებული სისხლის სამართლისა და პროცესუალური სამართლის კოდექსი *„კაროლინა“* (Constitutio Criminalis Carolina).

თავისი შინაარსით „კაროლინა" სისხლის სამართლის პროცესის ძეგლია, რადგანაც მისი დიდი ნაწილი სამართალწარმოებას ეძღვნება. პირველი ნაწილი, 103 მუხლისაგან შედგება მეორე ნაწილი — 76 მუხლისაგან, ეს მუხლები ყოველგვარი სისტემის გარეშე იძლევა ცალკეული დანაშაულებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ჩამოთვლას. სასჯელთა სისტემის თვალსაზრისით „კაროლინა" საკმაოდ მკაცრ კანონმდებლობას წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები. „კაროლინა" არ იყო სავალდებულო მთელი „საღვთო იმპერიისათვის", არამედ მას მხოლოდ სარეკომენდაციო ძალა ჰქონდა. პროცესუალური ნორმები ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა. მტკიცებულებათა მოპოვება წამებით ხდებოდა. საქმის განხილვა დახურულად და დაწვრილებით მიმდინარეობდა. ფეხი მოიკიდა მტკიცებულებათა ფორმალურმა თეორიამ. მაგ., ერთი მოწმე ნახევარი მტკიცებულება იყო. მხოლოდ ორ მოწმე განიხილებოდა როგორც სრულფასოვანი მტკიცებულება. „კაროლინამ" შემოიღო სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ხერხები: ცოცხლად დამარხვა, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა, ბორბალზე დაკვრა და სხვა.

სამართლის წყაროთა შორის უნდა დავასახელოთ ***საიმპერატორო სამართალი***(Reichsrecht). ეს ის დადგენილებები და განკარგულებებია, რომლებსაც იმპერატორი ღებულობდა კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.

გვერდს ვერ ავუვლით ***ადათობრივ სამართლს***, რომელიც სამართლის წყარო იყო XI-XVI საუკუნეების გერმანიაში. მოგვიანებით ადათობრივი სამართლის ნორმები აბსოლუტური ეპოქის საკანონმდებლო აქტებში შევიდა.

ცალკე უნდა დავასახელოთ ***საქალაქო სამართალი*** (Stadtrecht), რომელიც გერმანულ ქალაქებში საქალაქო სამართლის წიგნების სახით მოქმედებდა. ამ წიგნებით რეგულირდებოდა ქალაქის მართვა-გამგეობა და სასამართლო წარმოება.

გერმანიაში მნიშვნელოვანი სამართლის წყარო იყო ***კანონიკური სამართალი*** (Kanonisches Recht), ე.ი. მსოფლიოს საეკლესიო კრებების დადგენილებანი, რომლითაც წესრიგდებოდა სამართ-

ლებრივი ურთიერთობანი საქრისტიანო ქვეყნებში.

ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოებში მიმდინარეობდა ადგილობრივი სამართლის კოდიფიკაცია, მაგ., ***ძეგლისდება*** (Allgemeines Landrecht fur die Preussischen Staaten). ძეგლისდების წყაროს იუსტინიანეს კოდექსი, საქსონიის კოდექსი, მაგდებურგისა და ლუბეკის სამართალი წარმოადგენდა. ამ კანონით საკუთრება აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი, ხელშეუხებელი ქონებრივი უფლება და განიხილება სამოქალაქო სამართლის საფუძვლად. გარდა ამისა, იგი განამტკიცებს მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმს, საპოლიციო რეჟიმს, დიდებულთა პრივილეგიებს. სამართალმცოდნეების შეფასებით, ამ ძეგლში ბუნებითი სამართლის იდეებიცაა გამოყენებული. „ძეგლისდებაში" ლაპარაკია პიროვნებისა და საკუთრების დაცვაზე. შენარჩუნებულია სასჯელის ბარბაროსული ხერხებიც, — მაგ., გაროზგვა.

ავსტრიაში XVIII საუკუნეში ასევე მიმდინარეობდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესების ნორმების კოდიფიკაცია. 1769 წ. მოქმედება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსმა ***„ტერეზინამ"***. 1781 წ. გამოვიდა ზოგადსამოქალაქო კოდექსი, 1788 წ. — სისხლის სამართალწარმოების ახალი წესდება. ამ ნორმატიულმა აქტმა შეინარჩუნა ინკვიზიციური პროცესი, ოღონდ წამების გარეშე, რომელიც ჯერ კიდევ 1776 წელს გაუქმდა.

სამართლებრივი პარტიკულარიზმი, რომელიც გერმანიაში შუა საუკუნეებიდან მომდინარეობდა რომის სამართლის რეცეფციასთან დაკავშირებით, გერმანული კავშირების ეპოქაშიც შემორჩა. უკვე XIX ს-ში ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოებში მოქმედებდა სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა. საფრანგეთის რევოლუციურმა გადატრიალებამ, გერმანული ეროვნული თვითშეგნების განვითარებამ და სახელმწიფოს გაერთიანებისათვის მოძრაობამ XIX ს-ის გერმანიის წინაშე ორი პრობლემა დააყენა: 1) ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის სამართლის მოდერნიზაცია და კოდიფიკაცია; 2) ერთიანი სამართლის შემოღება მთელი გერმანიის ტერიტორიაზე.

სამოქალაქო სამართლის (Zivilrecht) სფეროში მხოლოდ საქ-

სონია მიდიოდა წინ. 1863 წ. აქ მოქმედება დაიწყო სამოქალაქო კოდექსმა. გერმანიის ტერიტორიაზე 1900 წლამდე მოქმედებდა სხვადასხვა სამართალი. მაგ., პრუსიულ მიწებზე — ლანდრეხტი, რეინის ოლქში — ფრანგული სამოქალაქო სამართალი, დანარჩენ ტერიტორიაზე — რეცეფცირებული რომაული სამართალი, რომელიც „საერთო სამართლის" ნაწილს შეადგენდა.

პარტიკულარიზმი იყო დამკვიდრებული სისხლის სამართალშიც. 1813 წ. ბავარიაში მოქმედება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსმა. ზოგ სახელმწიფოში (პრუსია, საქსონია, ბადენი და სხვა) შემოღებული იქნა ფრანგულ სამართალზე ბაზირებული კოდექსები, რამაც აღმოფხვრა ინკვიზიციური პროცესი, დაამკვიდრა საჯარო პროცესი და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი (Schwurgericht).

გერმანული სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის პრობლემა ჯერ კიდევ 1814 წ. დადგა, როცა დისკუსია მიმდინარეობდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორ სამართალმცოდნეებსა და ფ.სავინის შორის. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ კოდიფიკაცია ავნებს გერმანულ სამართალს, რამდენადაც იურიდიულ ძალას უკარგავს ნორმებს, რომლებიც გერმანიაში ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა. კერძოდ, ეს სამართალი უპირატესია კანონთა კრებულებზე, რამდენადაც „ერის სულითაა" გაჟღენთილი. ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის დიდი გავლენა ჰქონდა სამართალგანვითარებაზე გერმანიაში. იგი იყო „სამართლის ისტორიული სკოლის" ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელიც სამართლებრივ მეცნიერებაში ბატონობდა XIX ს-ის რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. სამართლის ისტორიული სკოლიდან განვითარდა პანდექტიკა (Pandektik), ანუ მეცნიერება, რომელიც სწავლობს რომაულ სამართალს ფორმალურ-დოგმატიკურ საფუძველზე.

ჩრდილო-გერმანული კავშირის, შემდეგ კი II იმპერიის შექმნამ, ხელი შეუწყო სამართლის უნიფიკაციას გერმანიაში. 1871 წ. მიიღეს სისხლის სამართლის კოდექსი, 1877 წ. — სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამავე წელს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, რომელიც ფრანგული პროცესიის პრინციპებს ემყარე-

ბოდა, 1897 წელს კი — სავაჭრო კოდექსი.

1874 წ. საქმიანობას შეუდგა საკოდიფიკაციო კომისია, რომელმაც მოამზადა სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტი. 1890 წ. ეს პროექტი უარყოფილ იქნა. შემდეგი პროექტი დამტკიცდა 1896 წ. საკავშირო საბჭოსა და რაიხსტაგის მიერ და ძალაში შევიდა 1900 წლის 1 იანვარს. ყველაზე მეტად რომაულმა სამართალმა ამ კოდექსზე მოახდინა ზეგავლენა. სიახლე იყო ზოგადი ნაწილის გამოყოფა, რომელიც კოდექსის პირველ წიგნს შეადგენდა. ეს დოკუმენტი მაღალი იურიდიული ტექნიკის დემონსტრირება იყო. ფ. სავინი ამტკიცებდა რა კოდიფიკაციის უსაფუძვლობას, ეყრდნობოდა იმას, რომ გერმანული ენა მძიმეა იურიდიული ტექნიკისა და კოდიფიკაციის აღქმისათვისო. როდესაც სამოქალაქო კოდექსი გამოვიდა, იურისტები შენიშნავდნენ: თუ ამ კოდექსით ვიმსჯელებთ, სავინი მაშინ მართალიაო[1].

კოდექსის ხასიათი განისაზღვრა მის საფუძვლად სამართლებრივი პოზიტივიზმის პრინციპის გამოყენებით, ფორმალურ-დოგმატურ მეთოდებზე ბაზირებით. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებს ესმოდათ, რომ სამართალი და სამართლიანობა კანონის ინტერპრეტაციით არ ამოიწურება, მაშინ, როცა პოზიტივიზმი სამართალსა და კანონს ერთმანეთს უტოლებდა.

ეკონომიკურმა თავისუფლებამ კოდექსში უფრო ფართო გასაქანი მიიღო, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ადრინდელ კანონმდებლობაში.

1900 წლის სამოქალაქო კოდექსი არ არის მიჩნეული წმინდა გერმანულ კრებულად, რადგანაც მასში თავმოყრილია რომანული ელემენტები. გერმანული პრაქტიკული სამართლის ელემენტები, რომელთა ძიებასაც ენთუზიაზმით შეუდგნენ სამართლის ისტორიული სკოლის გერმანისტები, კოდექსში საკმაოდ სუსტადაა გამოვლენილი. ეს კანონზომიერიცაა, რადგან წმინდა გერმანული კანონმდებლობის შექმნა XIX საუკუნისათვის შეუძლებელი იყო.

გერმანული პრაქტიკული სამართლის ბევრი ელემენტი გამ-

1 Савиньи, Фридрих Карл фон. Система современного римского права [Электронный ресурс] : [сборник] / Фридрих Карл фон Савиньи; пер. с нем. Г. Жигулина ; под ред. О. Кутателадзе и В. Зубаря; Москва, Статут, 2011, с. 132-138.

ოყენებულია შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში. ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს უფრო ნაკლებ რომანულ ელემენტებს, ვიდრე გერმანიის 1900 წ. სამოქალაქო კოდექსი. თვითონ კოდექსი 5 წიგნისაგან შედგება: 1) ზოგადი ნაწილი; 2) ვალდებულებითი სამართალი; 3) სანივთო სამართალი; 4) საოჯახო სამართალი; 5) სამემკვიდრეო სამართალი. კანონმდებელი ეყრდნობა იმავე საწყისებს, რასაც ნაპოლეონის კოდექსი, ე.ი. კანონის წინაშე ფორმალურ თანასწორობას, კერძო საკუთრების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, ხელშეკრულების თავისუფლებას. სიახლედ უნდა ჩაითვალოს კოდექსისათვის ისეთი ცნებების შემოღება, როგორიცაა იურიდიული პირის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტირება და სხვა.

თანამედროვე გერმანული კანონმდებლობა იზიარებს ტრადიციულ თეზისებს „სამართლის ისტორიულობის", „არაკლასობრიობის", „დემოკრატიულობის" შესახებ. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, „სამართლებრივ სახელმწიფოს" პირობებში აღარ არსებობს საზოგადოებისა და სამართლის ურთიერთდაპირისპირების წანამძღვრები.

სახელმწიფო სამართლის (Staatsrecht) განვითარება გერმანიაში ეყრდნობოდა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივი პოზიტივიზმის საფუძველს შეადგენდა. მაგ., სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება პირველად ნაციზმის ეპოქაში დაიწყო, თუმცა აქ კანონის ერთგულების მოთხოვნა შეცვალა ფიურერისადმი დამორჩილების მოთხოვნამ. 1949 წ. გფრ-ის კონსტიტუციამაც ეს იდეა ოფიციალურ პოსტულატად აირჩია და ამ სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი თეორიის ძირითად დებულებად იქცა.

სისხლის სამართლის (Strafrecht) სფეროში, როგორც აღვნიშნეთ, კოდიფიკაცია 1871 წლიდან დაიწყო და ეს კანონი 1975 წლამდე მოქმედებდა. ამ საკანონმდებლო აქტებში შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი სპეციფიკურობა, რაც მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლისათვის არის დამახასიათებელი. მთავარი თავისებურებაა საგანგებო რეგულირების იდეა. აქედან გამომდინარე,

კოდექსში შეიმჩნევა სისხლის-სამართლებრივ ნორმათა სიმრავლე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის რეგლამენტაციის სურვილს. ასევე შეიმჩნევა სისხლის სამართლის პროცესუალურ საშუალებათა მუდმივი გაფართოება პოლიტიკურ დანაშაულთან ბრძოლისათვის.

ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში 1975 წ. 1 იანვრიდან შევიდა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელთა უნიფიკაციას. თავისუფლების აღკვეთა დაწესდა 1 თვიდან 15 წლამდე, ან სამუდამო პატიმრობით.

გფრ-ის სამართალწარმოებაში შეიმჩნევა მოსამართლის შეხედულებისამებრ საქმეთა განხილვის სფეროთა გაზრდა.

თანამედროვე გერმანული ***სისხლის სამართლის პროცესი*** (Straſprozeß) ჰგავს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესს, საიდანაც მრავალი პროცესუალური ინსტიტუტი იქნა აღებული. საპროცესო კოდექსის ახალი რედაქცია 1965 წ. გამოიცა, სადაც ცვლილებები და დამატებები შევიდა 1970-1972 და მომდევნო წლებში. სტრუქტურული თვალსაზრისით გფრ-ს სისხლის სამართლის პროცესი შემდეგ სტადიებს მოიცავს: წინასწარი გამოძიება, სასამართლო განხილვის დაწყების საკითხის გადაწყვეტა, სასამართლო განხილვა და განაჩენის გამოტანა, განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე წარმოების განახლება.

რაც შეეხება ***სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტებს*** (Staatsrechtliche Institutionen), უპირველეს წყაროს წარმოადგენს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც „საკუთრება ვალდებულებასთანაა დაკავშირებული. სარგებლობა საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული“. იძულებითი გასხვისება დაიშვება მხოლოდ „საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის“. ასეთი რამ შესაძლებელია კანონის შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს საკუთრების ამოღების წესებსა და გადახდის ოდენობას. საკუთრების მნიშვნელოვანი ობიექტია მიწა. ამიტომ გერმანიაში თავიდანვე ხორციელდებოდა მიწის გამოყენების დაგეგმარების სამართლებრივი რეგალირების უნიფიკაცია და კოორდინაცია.

თავდაპირველად მოქმედებდა წესი მთელი მიწების გამოყენების შესახებ ცალკეული „მხარეების“ — ფედერაციის სუბიექტების საზღვრებში, ხოლო 50-იანი წლებიდან ფედერაციის მთავრობისა და მიწების მთავრობათა შეთანხმებით ამ საკითხთა გადაწყვეტა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ხდებოდა.

გერმანიაში ახალ ფორმას წარმოადგენდა საპატენტო პარტიები, რომელთა მიზანი იყო ახალ გამოგონებებზე პატენტთა შესყიდვა. მრავალი საპატენტო პარტია საერთაშორისო ხასიათისაა. კანონი მეტად რთული ფორმით არეგულირებს საპატენტო ურთიერთობებს. მაგ., 1981 წ. მიღებული კანონის მიხედვით, „პატენტი არ მოქმედებს, თუ ფედერალური ხელისუფლება თვლის, რომ გამოგონება აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისათვის“, ასევე არ მოქმედებს პატენტი თუ ხელისუფლება გამოგონებას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის იყენებს[1].

ყურადღებას იპყრობს ***საქორწინო-საოჯახო*** (Ehe – und Familienrecht) ურთიერთობები, სადაც ქალი უკანასკნელ დრომდე სრული ქმედუნარიანობით არ სარგებლობს. მიუხედავად 1957 წ. და 1961 წ. კანონებისა ქალისა და მამაკაცის უფლებათა გათანაბრების შესახებ, სამოქალაქო სამართალში შენარჩუნებულია ქმრის უფლება, სასამართლოს მეშვეობით მიაღწიოს დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევას, თუ ქმარი თვლის, რომ ცოლის პროფესიული საქმიანობა ხელს უშლის მას შვილის აღზრდაში. განქორწინება არ დაიშვება, თუ ერთ-ერთი მეუღლე წინააღმდეგია განქორწინებისა. ეს წესი შეიცვალა 1976 წ. კანონით, და განქორწინება შესაძლებელი გახდა, როცა მეუღლეები მიუთითებენ, რომ ერთად ცხოვრება აღარ შეუძლიათ.

გერმანიის ***სამოქალაქო სამართლის პროცესს*** (Zivilprozeß) ორი ამოცანა აქვს — უფლებათა დადგენა და მათი დაცვა. პირველი ამოცანა წყდება სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, მეორე — აღსრულების წარმოების დროს. უკანასკნელი ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში შეეხო სასამართლოს პოზი-

1 О. М. Кузьмина. «Становление патентного права в Германии и России». «Интеллектуальная собственность», 2002, № 4, № 5.

ციის გაძლიერებას, კერძოდ, სასამართლო პროცესში ისეთ მტკიცებულებათა მოზიდვით, რომელეზეც მხარეები არ მიუთითებენ. სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გათვალისწინებულია წარმოების სპეციფიკური ფორმები — საუბნო სასამართლოს პროცესი, რომელიც აღიარებს დამოუკიდებლად (ადვოკატის გარეშე) მხარეთა მონაწილეობას; წერილობით მტკიცებულებებსა და ვექსელებზე დაფუძნებული პროცესი, როცა ეს მტკიცებულებანი საკმარისია მოთხოვნის დასაბუთებისათვის; დავალიანების დაფარვის პროცესი მოპასუხის გარეშე, თუ ეს დავალიანება უტყუარ ხასიათს ატარებს; მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე საოჯახო საქმეთა წარმოება; სამედიატორო წარმოება და სხვა.

თავი III. საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (ახ.წ. IX–XX სს.)

§ 34. საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება ბურჟუაზიულ რევოლუციამდე

საფრანგეთში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობდა, ვიდრე გერმანიასა და ინგლისში. ფრანკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, 843 წ. ვერდენის ხელშეკრულების საფუძველზე, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში წარმოიქმნა ფრანკთა დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც X საუკუნიდან ***საფრანგეთი*** (la France) ეწოდებოდა. ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საფრანგეთი კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენდა, რადგან აქ ფეოდალიზმი დასრულებული სახით არსებობდა.

საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ მათი განვითარება ცალ-ცალკე განვიხილოთ:

1. ფეოდალური დაქუცმაცებულობა (XI-XIV სს.);
2. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია (XIV-XVI სს.);
3. აბსოლუტური მონარქია (XVI-XVII სს.);
4. საფრანგეთი დიდი რევოლუციის პერიოდში (1789-1794 წწ.);
5. დირექტორიის რეჟიმი და სამხედრო დიქტატურა (1795-1799 წწ.);
6. იმპერიის პერიოდი (1799-1812 წწ.);
7. II რესპუბლიკა საფრანგეთში (1848-1852 წწ.);
8. II იმპერია საფრანგეთში (1852-1870 წწ.);
9. პარიზის კომუნა (1871 წ.);
10. მესამე რესპუბლიკა (1875-1940 წწ.);
11. II მსოფლიო ომი და „ვიშის“ პოლიტიკური რეჟიმი (1940-1945 წწ.);
12. მეოთხე რესპუბლიკა (1946-1958 წწ.);

13. მეხუთე რესპუბლიკა (1958 წ-დან).

რაც შეეხება სამართლის პერიოდიზაციას, უპირველეს ყოვლისა, მას განვიხილავთ საფრანგეთის საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციამდე (1800-1810 წწ.) და მას შემდეგ (XIX-XX სს.).

კოდიფიკაციამდე პერიოდი ფრანგული სამართლის ისტორიაში თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები შეიძლება განვიხილოთ არა დროებრივი პრინციპის (ანუ საუკუნეების) მიხედვით, არამედ ტერიტორიული პრინციპით, კერძოდ, საფრანგეთის ტერიტორია, სადაც რომაული სამართლის რეცეფცია მოხდა და საფრანგეთის ტერიტორია, სადაც ***კუტიუმებზე*** (ადათობრივ ნორმებზე) დაყრდნობით, ეროვნულ-სამართლებრივი სისტემა დამკვიდრდა. საერთო შეფასებით ფრანგული სამართალი ***რომაულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას*** ეკუთვნის და ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გერმანული სამართლის დახასიათებისას განვიხილეთ შესაბამის **თავში.**

კოდიფიკაციის შემდგომი პერიოდის საფრანგეთში კონსტიტუციური სამართლის ძირითად პრინციპებს შევეხებით (ეს ნაწილი სახელმწიფო წყობილების საკითხების კოორდინირებისას გამოჩნდება), ხოლო სამართალგანვითარების დარგობრივი პრინციპით იმ თავისებურებებს გამოვყოფთ, რითაც საფრანგეთი განირჩევა სხვა კლასიკური ქვეყნების სამართლიდან.

მეფის ხელისუფლება (l'autoritk Royale). თავდაპირველ სახელმწიფოს ფორმას საფრანგეთში მონარქია წარმოადგენდა. თუმცა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეფის ხელისუფლება ერთნაირი არ ყოფილა. იგი იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენდა მეფე ცალკეულ ფეოდალებსა და მათ ხელისუფლებაზე.

XI ს-დან ქვეყანაში არ არსებობდა ერთიანი სამეფო ხელისუფლება. ფაქტობრივად საფრანგეთის მეფე იყო მხოლოდ თავისი სამფლობელოს ხელისუფალი (Ile de France), მას უფლება არ ჰქონდა თავისი მოხელეები გაეგზავნა სხვა სამთავროში საგადასახადო, სასამართლო და სხვა ფუნქციების შესასრულებლად. სამთავროები სრული იმუნიტეტით, შეუვალობით სარგებლობდნენ.

ასეთ პირობებში მეფე მხოლოდ ტიტული იყო და არა რეალური ძალაუფლება.

საფრანგეთში არსებობდა წესი: „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არ არის" („Vassal dc mon vassal n'est pas mon vassal"). ე.ი. ვასალური დამოკიდებულება მეფესთან აღიარებული იყო მხოლოდ იმ ფეოდალთა მიერ, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენდნენ მეფის ხელქვეითებს. მეფის ხელისუფლებას პირველ ეტაპზე ის თავისებურებაც ჰქონდა, რომ არჩევითი იყო. ე.ი. საფრანგეთის სახელმწიფო არისტოკრატიული მონარქიის ფორმით დამკვიდრდა. კაპუტინგების დინასტიის დროს მეფეები ცდილობდნენ თავის სიცოცხლეშივე უზრუნველეყოთ მემკვიდრეთა არჩევა და გამეფება. გვირგვინთკურთხევა ხდებოდა ფეოდალთა სადღესასწაულო თავყრილობაზე — კურიაზე და უკვე ლუდოვიკო VIII დროიდან (1223-1226 წწ.) სამეფო ხელისუფლება შთამომავლობითი გახდა. მეფე ხელისუფლების გაძლიერების პროცესში ეყრდნობოდა წვრილ და საშუალო ფეოდალებს, აგრეთვე ქალაქის მოსახლეობას. მეფის ხელისუფლების გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანია ***ლუი IX-ს რეფორმები*** (1226-1270 წწ.) ფეოდალთა ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით:

1. ლუი IX-მდე მთელ საფრანგეთში გავრცელებული იყო ***სასამართლო ორთაბრძოლა*** (la lutte tribunale). თავადს, აზნაურს, ზოგჯერ უმნიშვნელო გარემოებათა გამო შეეძლო დუელში გამოეწვია მოპირდაპირე მხარე და ეს ითვლებოდა სასამართლო მტკიცებულობების ერთ-ერთ სახედ. ასეთი ვითარება ქვეყანაში იწვევდა ანარქიას. ამიტომ ლუი IX-მ მთლიანად აკრძალა სასამართლო ორთაბრძოლა სამეფო მამულებში, ხოლო ფეოდალურ სამთავროებში მნიშვნელოვნად შეზღუდა, რადგანაც ამ ჩვეულების გაუქმება მთელ სამეფოში მეტად ძნელი იყო.

2. ფეოდალების უმაღლესი სასამართლო იურისდიქციის შეზღუდვის მიზნით ლუი IX-მ დაადგინა, რომ ფეოდალების მიერ გამოტანილი სასამართლო განაჩენი შეიძლება გასაჩივრებულიყო მეფის სასამართლოში. ლუი IX-მდე ფეოდალური სასამართლოები დამოუკიდებელი იურისდიქციით სარგებლობდნენ.

3. ლუი IX-მ აკრძალა კერძო ფეოდალური ომების წარმოება, რაც მეტად გავრცელებული მოვლენა იყო შუა საუკუნეების ევროპაში. ერთი სამთავრო ეომებოდა მეორეს. ერთი სენიორი — მეორეს, მისი ვასალები — მეორე სენიორის ვასალებს და ასე, ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ შინაომებს ფეოდალურ სამთავროებს შორის. იმ მიზნით, რომ აელაგმა ფეოდალების თვითნებობა და დაემორჩილებინა ისინი მეფის ხელისუფლებისათვის, ლუი IX-მ აკრძალა კერძო შინაომები.

4. მეფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ფეოდალური ლაშქრის ნაცვლად ლუი IX-მ შემოიღო დაქირავებული არმია, რომელსაც ფეოდალებთან ბრძოლაში ეყრდნობოდა მეფის ხელისუფლება.

5. ლუი IX-მდე საფრანგეთში არ არსებობდა ფულის ერთიანი მონეტა მთელი სამეფოსათვის. თითოეულ ფეოდალურ სამთავროს თავისი მონეტა ჰქონდა.

XIV ს-ის ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერებასა და ინგლისთან ასწლიან ომს (1337-1458 წწ.) მოჰყვა სახელმწიფოში აჯანყებები (პარიზის აჯანყება, ჟაკერია და სხვა). საფრანგეთის გამარჯვება ამ ომში გამოიწვია კარლოს VII-ს პოლიტიკამ და ჟანა დ'არკის მეთაურობით ფრანგი ხალხის თავგანწირვამ. კარლოს VII-მ შექმნა მუდმივი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი.

საბოლოოდ ფეოდალური დაქსაქსულობა საფრანგეთში დაიწყო მეფე ლუი XI-მ დროს (1461-1483 წწ.). XV საუკუნის ბოლოს საფრანგეთი გაერთიანდა ერთ მთლიან სახელმწიფოდ და ჩამოყალიბდა ***საფრანგეთის ეროვნული სახელმწიფო*** (l'Etat National de la France le domaine Royal).

მეფის ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება მოხდა ფილიპე IV ლამაზის (1285-1314 წწ.) დროს. ამ პერიოდში საფრანგეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი შევიდა სამეფო დომენის შემადგენლობაში. თუმცა ფილიპე IV-ს სიცოცხლის ბოლოს, სახელმწიფოს მოწყობის სფეროში უკვე ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, ფუძნდება წარმომადგენლობითი ორგანიზაცია — გენერალური შტატები, რითაც საფუძველი ეყრება ***წოდებრივ-წარ-***

მომადგენლობით მონარქიას. მეფის ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად სამეფო საბჭოს გამოეყო სპეციალური საფინანსო ორგანო — *საანგარიშო პალატა* (la chambre de comptabilitk).გარდა ამისა, მეფის ხელისუფლებას აღმასრულებელ სფეროში დაექვემდებარება *იუსტიციარი* (le justicier) — სამეფო კარის ადმინისტრატორი, *კანცლერი* (chancelier) — სასულიერო პირი, რომელიც სახელმწიფო მდივნის მოვალეობას ასრულებდა, *კონსტაბლი* (le constable) — სამეფო კავალერიის უფროსი და მეჯინიბეთუხუცესი.

XV საუკუნიდან მონარქის ხელისუფლება *აბსოლუტური* ხდება, რასაც ხელი შეუწყო ლუი XI-ს (1461-1483 წწ.) მოღვაწეობამ. მან ქალაქებზე დაყრდნობით გაილაშქრა და გაანადგურა მსხვილი ფეოდალების კოალიცია (ე.წ. „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგა"). აქედან იწყება მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაცია და გაძლიერება. აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა საფრანგეთში კარდინალ რიშელიეს დროს (1585- 1642 წწ.). იგი ლუი XIII-ს პირველი მინისტრი იყო და ფაქტობრივად განაგებდა საფრანგეთს. კარდინალი რიშელიე თავის პოლიტიკურ ანდერძში ამბობდა, რომ მის ძირითად მიზანს მეფის ხელისუფლების ძლიერება და სამეფო საზღვრების გაზრდა შეადგენდა. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა ჰუგენოტების დამოუკიდებლობის დაძლევით, როცა სამეფო ჯარებმა 1628 წ. ოქტომბერში აიღეს ლიაროშელის ციხესიმაგრე. რიშელიე უმოწყალოდ გაუსწორდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა მისი გეგმის განხორციელებას. სიკვდილით დასჯის მუქარით აკრძალა დუელები, ახშობდა ხელისუფლების წინააღმდეგ არა მარტო ნამდვილ, არამედ ეჭვის საფუძველზე მოგონილ შეთქმულებებსაც.

აბსოლუტიზმის მწვერვალია ლუი XIV-ს მეფობა (1643-1715 წწ.). სწორედ ამ მეფეს მიაწერენ ცნობილ გამოთქმას: „სახელმწიფო — ეს მე ვარ" (l'ktat c'est moi), ე.ი. მეფის ხელისუფლება და სახელმწიფო გაიგივებულია ერთმანეთთან. ამგვარი აბსოლუტური ხელისუფლების დამკვიდრებას საფრანგეთში თეორიული საფუძველიც ჰქონდა. ჟან ბოდენმა (1530-1596 წწ.) სწორედ ამ პე-

რიოდში დაადგინა სუვერენიტეტის ცნება და ამ თვისების მატარებლად მონარქი მიიჩნია. თუმცა მეფის ხელისუფლება გარკვეული საზღვრებით მაინც შემოიფარგლა, კერძოდ, ბოდენმა აღიარა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა სახელმწიფოსაგან. ლუი XIV-ის მემუარებში ვხვდებით ამ თემაზე დაფუძნებულ უკიდურესი აბსოლუტიზმის მოძღვრებას: საფრანგეთი მონარქიაა, რომელშიც ხელმწიფე წარმოადგენს მთელს ერს. მთელი ძალაუფლება თავმოყრილია ხელმწიფის ხელში და სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სხვა ძალაუფლება, გარდა იმისა, რომელიც მეფემ დაამყარა.

აბსოლუტური მონარქია გულისხმობდა მეფის ხელში უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო, სამხედრო ხელისუფლების თავმოყრას. კანონად ითვლებოდა ყოველივე, რასაც მეფე ბრძანებდა.

ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილებასთან ერთად, სასულიერო პირთა შორის გაჩნდნენ მეფის შეუზღუდავი ხელისუფლების მომხრეებიც. ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ეპისკოპოსი ბოსიუეტი.

უკვე XVI საუკუნიდან მეფე უპირველეს სენიორად კი არ გვევლინება თანასწორთა შორის (ლათ.:primus inter pares), არამედ სახელმწიფოს მეთაურად. ამასთან, მოსახლეობის ვასალური დამოკიდებულება იცვლება სახელმწიფოს ქვეშევრდომული დამოკიდებულებით. სამეფო ტახტი რომ მეფის დომენის საკუთრებას წარმოადგენდა, საკანონმდებლო წესითაც განმტკიცდა. 1629 წლის კოდექსში (ლათ.:code Marillac) პირდაპირაა მითითებული სამეფო გვირგვინის მეფეთა კერძო საკუთრებაზე. ეს წესი საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. წოდებრივ – წარმომადგენლობითი მონარქიის პერიოდში ცალკეული თანამდებობის პირები შეცვალა სხვადასხვა ხასიათის პალატებმა და უწყებებმა: ა)*სააქციო პალატა*, რომელიც ხელმძღვანელობდა შეიარაღებას; ბ) *დეპეშათა პალატა* — განაგებდა ადგილებიდან ცნობების მიღებას; გ)*სამხედრო და საზღვაო სამდივნო*; დ) *გენერალ-გუბერნატორი* — მრეწველობის, მიწათმოქმედების, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის

და ფინანსებზე ზედამხედველი; ე) ***კანცლერი*** — ბეჭდის მცველი და შემნახველი.

XVI საუკუნიდან საკმაოდ იშვიათად იწვეოდა გენერალური შტატები. მაგ., XVII-XVIII სს. იგი თითოჯერ (1614 წ. და 1789 წ.) მოიწვიეს. პარლამენტის წევრები თავიანთი უფლებების აღდგენას ცდილობდნენ. მათ წარმომადგენლები გაგზავნეს მეფესთან ***ბოლონიის კონკორდატის***(Concordat de Bolonic) საპროტესტოდ, რომელიც მეფესა და პაპს შორის დაიდო 1516 წ., მაგრამ მეფემ პარლამენტის წარმომადგენელთა მიმართ საპყრობილის მუქარა გამოიყენა.

1673 წ. მეფემ აკრძალა რემონსტრაციები (პარლამენტის წერილობითი პროტესტი მეფისადმი). ლუი XIV-ის სიკვდილის შემდეგ კი XVIII ს-ის ბოლოს პარლამენტმა შეძლო ზოგიერთი ძველი უფლებამოსილების აღდგენა. მეფის ხელისუფლება გავრცელდა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. ყოფილი სენიორის მამულები გადაიქცა პროვინციებად, სადაც მმართველობა ხორციელდებოდა მეფის მიერ დანიშნული პირებისაგან. ***დე მულენის ორდონანსით*** (l'ordonnance de moulin) 1566 წელს გაუქმდა ქალაქების დამოუკიდებლობა და სახელმწიფო საკუთრების გასხვისება აიკრძალა.

ლუი XV-ის დროიდან იწყება აბსოლუტიზმის რღვევა. ამ მეფეს მიაწერენ ცნობილ გამოთქმას: „ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა". და მართლაც, ეს წარღვნა სულ მალე მოვიდა, ლუი XV-ს გარდაცვალების შემდეგ, ბურჟუაზიული რევოლუციის სახით.

რევოლუციური ქარტეხილის შემდეგ მონარქის ხელისუფლებამ კიდევ გაიელვა სახელმწიფოს სათავეში. ნაპოლეონის დაცემის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა ლუი XVIII, რომელმაც კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტით — ქარტიით (1814 წ.) დააკანონა მეფის ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლება აბსოლუტური არ იყო. მართალია, მეფე უზენაეს მეთაურად ითვლებოდა და განაგებდა შეიარაღებულ ძალებს, წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ნიშნავდა უმაღლეს თანამდებობის პირებს, ხელს აწერდა საკანონმდებლო აქტებს, მაგრამ მეფესთან ერთად საკანონმდებლო ხე-

ლისუფლება დეპუტატთა პალატას (პერების, ანუ თანასწორთა პალატას) ეკუთვნოდა.

აღდგენილმა მონარქიამ საფრანგეთში 1848 წლამდე იარსება, როცა ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე და გამოცხადდა საფრანგეთის რესპუბლიკა.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები. წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირება საფრანგეთში დაკავშირებულია სამეფო კარის, მეფის კურიის, სამეფო საბჭოების არსებობასთან, რომლებიც თავდაპირველად სათათბირო ორგანოები იყო, ხოლო მოგვიანებით, ხელისუფლების ორგანოებად იქცა.

სამეფო კარს (Cour Royale) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის დომენის მმართველობაში. იგი შედგებოდა მინისტერიალებისა და მრჩევლებისაგან.

სადღესასწაულო დღეებში მეფე იწვევდა „გენერალურ კურიას", რომელშიც ბარონები და ეპისკოპოსები შედიოდნენ როგორც საკუთარი დომენიდან, ისე მთელი სამეფოდან. ეს ორგანოები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სათათბირო ორგანოები, რომელთაც მომავალში საფუძველი ჩაუყარეს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებას. მანამ კი, მეფემ ხელისუფლების გაძლიერებისათვის გარკვეული რეფორმები ჩაატარა და ძირფესვიანად შეცვალა თავისი მამულის მმართველობის აპარატი, რომელიც ჯერ კიდევ მმართველობის სასახლურ-ვოტჩინურ პრინციპს ეყრდნობოდა.

მოგვიანებით, იქმნება ***სამეფო საბჭო*** (Conseil Royal), რომელმაც მეფის კურია შეცვალა. სამეფო საბჭოში მეფის სასახლის მსახურები შედიოდნენ. იგი ძირითადად ადგილობრივ მმართველობაზე ახორციელებდა კონტროლს. სამეფო საბჭოში მეფე თვითონ არჩევდა იურიდიული განათლებისა და საფინანსო სასამართლო საქმიანობის სტაჟის მქონე კანდიდატურებს არა მარტო ფეოდალთა წრიდან, არამედ მცირე ხალხის, მხედრებისა და სასულიერო წრიდანაც.

ლუი IX-ს (1226-1270 წწ.) მეფობის პერიოდში მოხდა სამეფო კურიის რეორგანიზაცია და იგი ორ პალატად გაიყო: 1) რიცხო-

ბრივი (cour de comptes) და 2) სასამართლო პალატა, ანუ პარლამენტი (parlement). პირველი პალატის ფუნქციებს ფინანსური საკითხები შეადგენდა, ხოლო მეორისა — სასამართლო.

დროთა განმავლობაში მსხვილი ფეოდალები აღარ მონაწილეობდნენ პარლამენტის მუშაობაში, ისინი მხოლოდ სადღესასწაულო სხდომებს ესწრებოდნენ. მათი ადგილი დაიკავეს მინისტერიალებმა და ლეგისტებმა (სწავლულმა იურისტებმა). ლეგისტები ცდილობდნენ მართლმსაჯულების განხორციელების დროს გამოეყენებინათ რომაული სამართლის ნორმები, რითაც შეუზღუდავი სამეფო ხელისუფლების პროპაგანდას ეწეოდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, მეფე ფილიპე IV-ს დროს წარმოიქმნა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო ***გენერალური შტატები*** (Etats gknkraux). პირველად გენერალური შტატები 1302 წელს მოიწვიეს მეფესა და პაპი ბონიფაცია VIII-ს შორის კონფლიქტის რეგულირებისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტისას გენერალური შტატები მეფის მხარეს დადგა. რომის პაპები ამ დღიდან 70 წლის განმავლობაში (1308-1378 წწ.) იძულებული იყვნენ საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში — ავინიონში — ჩაკეტილიყვნენ (პაპების ავინიონის ტყვეობა), რაც მათ საფრანგეთის მეფეზე დამოკიდებულს ხდიდა. მომავალში კათოლიკურმა სასულიერო წრემ პაპისაგან დამოუკიდებლობას მიაღწია.

გენერალურ შტატებში, შემდეგი წოდებები იქნა წარმოდგენილი: ***სასულიერო, საერო დიდებულები*** და ***ქალაქის არისტოკრატია.*** წოდებები ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ, გადაწყვეტილებასაც დამოუკიდებლად იღებდნენ. თითოეულ პალატას თითო ხმა ჰქონდა.

გენერალური შტატები, უპირველესად იწვეოდა იმ შემთხვევაში, როცა მეფე ფულად დახმარებას და სუბსიდიებისა და გადასახადების დაკისრებაზე თანხმობის მიღებას საჭიროებდა.

გენერალური შტატები შედარებით ხშირად იწვეოდა XIV-XV სს-ში. 1357 წლის მარტის ორდონანსით მათ მიეცათ ფინანსების მმართველობაზე კონტროლის ფუნქცია. ორდონანსით გათვალისწინებული იყო გენერალური შტატების უფლება სუბსიდიების გაცემის თაობაზე. შტატებს უფლება ჰქონდა შეკრებილიყო სამ

თვეში ერთხელ სუბსიდიებით გაცემული თანხების ხარჯვაზე კონსტროლისათვის. საომარ სიტუაციებში მეფე მოქმედებდა შტატებთან შეთანხმებით. გენერალური შტატების მიერ გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიება სამეფო ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ გენერალურმა შტატებმა მაინც ვერ შეძლო სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში ზეგავლენის მოხდენა, ვერ მიაღწიეს იმას, რაც 1215 წ. „თავისუფლებათა დიდი ქარტიით“ პარლამენტმა შეძლო ინგლისში.

გენერალური შტატების ასეთი წარუმატებლობა გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით. ჯერ ერთი, გენერალური შტატები ერთიან წარმომადგენლობით ორგანოს არ წარმოადგენდა, მთელი საფრანგეთისათვის ისინი ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ ჩრდილოეთ საფრანაგეთში (ლანდტაგები) და სამხრეთში. მეორე — არსებობდა ორ წარჩინებულ წოდებათა ინტერესების სრული დაპირისპირება მესამე წოდების ინტერესებთან.

ფრანსუა I-დან იწყება პარლამენტის უფლებების შეზღუდვა რემონსტრაციებზე.

კარდინალმა რიშელიემ აუკრძალა პარლამენტს წერილობითი პროტესტის წარდგენა. ყველაზე დაუმორჩილებლებს კი გარეკვითა და პატიმრობით დაემუქრა. ლუი XIV-ს დროს (1643-1715 წწ.) პარლამენტი ცდილობდა თავისი უფლებამოსილების აღდგენას, მაგრამ ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. 1667 წელს პარლამენტის რამდენიმე წევრი გადაასახლეს. ამავე წელს მეფემ საკუთარი ხელით ამოხია საპარლამენტო რეგისტრიდან ***ფრონდის დადგენილება*** (ფრონდი მოძრაობა იყო, რომელსაც საფრანგეთის უმაღლესი არისტოკრატია უწევდა ორგანიზაციას და მიმართული იყო მეფის აბსოლუტური ხელისუფლების წინააღმდეგ). ამ მოძრაობას მიემხრო პარიზის მოსახლეობა, რომელიც 1647 წლის 25 აგვისტოს აჯანყდა. დიდებულებს შეეშინდათ რა ინგლისის რევოლუციის მაგალითის, კარდინალ მაზარინისთან გარიგება აწარმოეს.

XVIII ს-ში პარლამენტმა შეძლო გარკვეულწილად აღედგინა

თავისი უფლებები. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, 1789 წ. 5 მაისს, გაიხსნა გენერალური შტატების სხდომა, რომელზეც ერთი სასიცოცხლო საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო: ფინანსური კრიზისის შესაძლებელი დაძლევის გზები. თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება მოითხოვდა, რომ სხდომები ცალ-ცალკე ჩატარებულიყო წოდებათა კრებებზე. ამ მოთხოვნის შედეგად დაიწყო ღია პოლიტიკური კონფლიქტი მეფესა და პრივილეგირებულ წოდებას შორის. კონფლიქტი გადაწყდა 1789 წლის 17 ივნისს მესამე წოდების სხდომის ნაციონალურ კრებად გამოცხადებით, იმ საფუძვლით, რომ მესამე წოდება ფრანგი ერის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა. ნაციონალურმა კრებამ მთელი საფრანგეთის წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ გამოაცხადა თავი.

შემდგომ, 1789 წლის 9 ივლისს ნაციონალური კრება დამფუძნებელ კრებად გადაკეთდა და დეკრეტით გააუქმა საფრანგეთის ძველი ადმინისტრაციული მოწყობა.

ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის სახელმწიფო პოლიტიკური ფორმების სწრაფი სახესხვაობით განვითარდა. ერთმანეთს ცვლიდა მონარქია და რესპუბლიკა სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობით. დღესდღეობით მოქმედი 1958 წლის კონსტიტუცია რიგით მეთორმეტეა 1791 წლის პირველი დაწერილი კონსტიტუციის შემდეგ. თავისთავად ცხადია, წარმომადგენლობითი ორგანოების დანიშნულება და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მათი მიმართება უფრო უპრიანია ამ კონსტიტუციების განვითარების ფონზე განვიხილოთ.

§ 35. ბურჟუაზიული რევოლუციის ეტაპები საფრანგეთში (1789-1794 წწ.)

ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფრანგეთში სამი ეტაპი განვლო:

1) 1789 *წლის* 14 *ივლისის აჯანყება* და ბასტილიის აღება, რომელსაც მოჰყვა დამფუძნებელი კრების მიერ შემდეგი დეკრეტების გამოცემა: საფრანგეთის სამეფოს ძველი ადმინისტრაციული მოწყობის ლიკვიდაციის შესახებ; ფეოდალური რეჟიმის საბოლოოდ მოსპობის შესახებ (4 აგვისტოს); გლეხებისაგან ფეოდალური შეწირულობის მძიმე პირობებში გამოსყიდვის შესახებ (მარტი, მაისი); შთამომავლობითი სათავადო ტიტულების ჩამორთმევის შესახებ; ასევე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საპროგრამო დოკუმენტი – „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" (1789 წ.), რომელიც საფრანგეთის პირველ, 1791 წლის კონსტიტუციას დაედო საფუძვლად.

2) *ჟირონდისტების რესპუბლიკის* პერიოდი, რომელიც დამყარდა მონარქიის დაცემის შემდეგ. 1792 წ. 21 სექტემბერს ჟირონდისტები რესპუბლიკის გამოცხადებით რევოლუციას დამთავრებულად მიიჩნევდნენ.

3) *იაკობინელთა დიქტატურის* ეტაპი (1793-1794 წწ.). იაკობინელთა მოსვლა სახელმწიფოს სათავეში ახალი უფლებათა დეკლარაციის და კონსტიტუციის მიღებით აღინიშნა. ხუთ წელიწადში საფრანგეთმა სახელმწიფოებრიობის განვითარების მთელი ეპოქა განვლო. სამჯერ შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი, ორჯერ მიიღეს ახალი კონსტიტუცია განსხვავებული სახელმწიფო ფორმაციების რეგლამენტაციით. საკანონმდებლო წესით დამკვიდრდა სოციალური სტრუქტურების უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებები.

მივყვეთ ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტების საფუძველზე სახელმწიფო ფორმების სტრუქტურულ ცვლილებებს.

1789 წლის მაისში ლუი XVI იძულებული გახდა საფინანსო

-საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით მოეწვია გენერალური შტატების სხდომა. ამ წარმომადგენლობით ორგანოში თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წოდებას 600 დელეგატი ჰყავდა. ამდენივე დელეგატი — მესამე წოდებას (ბურჟუაზია, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, გლეხობა), რომლებიც 22 მილიონს შეადგენდა. აქედან ჩანს ის დიდი რიცხობრივი უპირატესობა, რომელიც მესამე წოდებას ჰქონდა სხვებთან შედარებით. როგორც კი გაიხსნა გენერალური შტატების სხდომა, ცხადი გახდა, რომ წოდებათა ინტერესების შერიგება შეუძლებელი იყო. მაშინ მესამე წოდებამ თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა. შეიარაღებული აჯანყებით 1789 წელს აიღეს ბასტილიის ციხე, მონარქიის სიმბოლო, და ამავე წლის 5 აგვისტოს მიიღეს დადგენილება ფეოდალური რეჟიმის საბოლოო მოსპობის შესახებ, ხოლო 26 აგვისტოს კი — *„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“* („Dkclaration des Droits de l'Homme“ – 1958 წლის 4 ოქტომბერს დამტკიცდა საფრანგეთის კონსტიტუციით). იგი შედგება 17 მუხლისაგან:

პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი იბადებიან.

მეორე მუხლით — ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი მიზნად ისახავს ადამიანის ბუნებივი და ხელშეუვალი უფლებების დაცვას. როგორიცაა: თავისუფლება, უშიშროება, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება.

მესამე — უმთავრესი ხელისუფლების წყარო ხალხშია, არავითარ დაწესებულებას, არავითარ პირს არ შეუძლია განახორციელოს ხელისუფლება, რომელიც ხალხისაგან არ გამოდის.

მეოთხე — თავისუფლება არის შესაძლებლობა.

მეხუთე — კანონმა უნდა აკრძალოს ისეთი ქმედება, რომელიც მავნეა სხვებისათვის, არავინ არ უნდა აიძულონ გააკეთოს ის, რასაც კანონი არ მოითხოვს.

მეექვსე — ყოველ მოქალაქეს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობის განხორციელებაში.

მეშვიდე — არ შეიძლება ბრალდებული დაპატიმრებულ ან

დაკავებულ იქნეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მერვე — არავინ შეიძლება დასჯილ იქნეს, თუ არა კანონის საფუძველზე.

მეცხრე — ყოველი ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე იგი ცნობილი არ იქნება დამნაშავედ სასამართლოს განაჩენით.

მეათე — არავინ უნდა დაისაჯოს თავისი რწმენის გამო.

მეთერთმეტე-მეთორმეტე მუხლები ეხება მოსახლეობის მონაწილეობას გადასახადების შემოღებაში.

მეთხუთმეტე — ყოველი პირი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე.

მეთექვსმეტე — ყოველი სახელმწიფო, სადაც დაცული არ არის უფლებათა გარანტიები და ხელისუფლება არ არის დანაწილებული, მოკლებულია კონსტიტუციას.

მეჩვიდმეტე — საკუთრების უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია.

„ადამიანის და მოქალაქის უფლებებათა დეკლარაცია" წარმოადგენდა პროგრამას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური წოდებრივი, პრივილეგიური წესწყობილების წინააღმდეგ. დეკლარაციაში აღიარებული იყო, რომ სუვერენიტეტი, ანუ უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. მეფე და მონარქი არ არის ერთპიროვნული გამგებელი ხალხის ბედ-იღბალისა. ეს იდეა, ანუ სახალხო სუვერენიტეტის თეორია, მომდინარეობს ჟანჟაკ რუსოს მოძღვრებიდან. გარდა ამისა, დეკლარაციამ აღიარა ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც წამოაყენა გამოჩენილმა ფრანგმა განმანათლებელმა შარლ ლუი დე მონტესკიემ. იგი ამტკიცებდა, რომ უბედურებაა მთელი ძალაუფლების თავმოყრა ერთი ადამიანის ხელში, მაშინ ეს იქნება ტირანია[1]. ასე რომ არ მოხდეს, ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს სამ ნაწილად: საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, აღმასრულებელი ხელისუფლება — მონარქსა და მინისტრებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება — არჩეულ მოსამართლეებს. სამივე

1 შ.ლ. მონტესკიე. კანონთა გონი, მშვიდობის, დემოკრატიის დაგანვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამოცემა; 1994 წ. გვ. 32.

ეს ხელისუფლება დამოუკიდებელი უნდა იყოს და არ უნდა ერეოდეს მეორის საქმიანობაში, არამედ უნდა აწონასწორებდნენ ერთმანეთს. მთელი ეს თეორია ხელისუფლების დანაწილების შესახებ გაიზიარა დეკლარაციამ და მიმართული იყო მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

დეკლარაციის საფუძველზე 1791 წელს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საფრანგეთის ***პირველი კონსტიტუცია***. ეს კონსტიტუცია ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის კომპრომისის დამადასტურებელი აქტია, რომლის მიხედვით **საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება** შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ნაციონალურ კრებას, ანუ ***პარლამენტს***, რომელიც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

2. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ***მეფესა*** და ***მინისტრებს***, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ პარლამენტის წინაშე.

3. უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ხალხის მიერ არჩეულ ***მოსამართლეებს***.

კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი წარმოადგენდა ერთპალატიან დაწესებულებას. შემოღებულ იქნა ორსაფეხურიანი არჩევნები. პროვინციებში, ანუ დეპარტამენტებში ირჩევდნენ ამომრჩევლებს, რომლებიც შემდეგ ირჩევდნენ დეპუტატებს პარლამენტში. დაწესებული იყო ასაკობრივი ცენზი (25 წელი), ბინადრობისა და ქონებრივი ცენზები. განისაზღვრა სუვერენიტეტის ცნება, რაც გულისხმობდა მთლიან, განუყოფელ, განუსხვისებელ და ხელშეუვად უფლებას.

ადგილობრივი მმართველობისათვის ქვეყანა დაიყო ***დეპარტამენტებად*** (83 დეპარტამენტი). თითოეული იყოფოდა უფრო ნაკლებ ტერიტორიულ ერთეულად, ***დისტრიქტებად***. ეს უკანასკნელი იყოფოდა ***კანტონებად***. ადგილობრივი მმართველობა არჩევითი უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფოში გამოცხადდა ***კონსტიტუციური მონარქია***, თუმცა რევოლუცია მაინც გრძელდებოდა. 1792 წლის 10 აგვის-

ტოს მოხდა აჯანყება, ჩამოაგდეს მეფე და დააპატიმრეს. გაუქმდა მონარქია და გამოცხადდა ***რესპუბლიკა***. აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცა საკანონმდებლო კრების მიერ დანიშნულ 6 მინისტრს, რომელიც განაგებდა ქვეყნის მმართველობის საკითხებს. 1793 წლის იანვარში მეფეს თავი მოჰკვეთეს. ამ დროს ნაციონალურ კრებაში ორი ძირითადი ბურჟუაზიული პარტია გამოდიოდა: ჟირონდისტების, რომელიც გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, და იაკობინელების პარტია, რომელიც გამოხატავდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს.

რევოლუციის დამთავრების საკითხის გამო ამ ორ პარტიას შორის ურთიერთობა გამწვავდა. 1793 წლის ივნისამდე პარლამენტში გაბატონებულ პარტიას წარმოადგენდა ჟირონდისტების პარტია, რომელიც აცხადებდა — მონარქია დაემხო, მეფე სიკვდილით დაისაჯა, გამოცხადდა რესპუბლიკა, მაშასადამე, რევოლუცია დამთავრებულიაო. იაკობინელების პარტია კი რევოლუციის ბოლომდე მიყვანას მოითხოვდა. 1793 წლის 2 ივნისს ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ იაკობინელები, რომლებმაც შეიმუშავეს და მიიღეს ახალი კონსტიტუცია, მაგრამ სამოქალაქო ომის მიმდინარეობის გამო იგი სამოქმედოდ ვერ შემოიღეს.

იაკობინელთა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ საფრანგეთის **სახელმწიფო წყობილებამ** შემდეგი სახე მიიღო:

1. ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა ნაციონალური კრება — ***კონვენტი***.

2. მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო 12 კაცისაგან შემდგარ კომიტეტში, რომელსაც ***საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი*** ეწოდებოდა. ამ კომიტეტს ხელმძღვანელობდა რობესპიერი.

3. ***საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი*** შედგებოდა 12 კაცისაგან და წარმოადგენდა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ მიმართულ ორგანოს. იგი აწარმოებდა დამნაშავეთა დაპატიმრებას და პასუხისგებაში მიცემას.

4. ნაციონალური კრების მიერ დეპარტამენტებში წარგზავნილნი იყვნენ წარმომადგენლები — ***კომისრები***. ისინი ზედამხედ-

ველობას ახორციელებდნენ ადგილობრივ ორგანოებზე.

5. დეპარტამენტებში, ანუ პროვინციებში შექმნილი იყო ***რევკომები***. იაკობინელთა მიერ გატარებულმა რევოლუციერმა ღონისძიებებმა შეაშინა მსხვილი ბურჟუაზია. მათ მოაწყვეს შეთქმულება და 1794 წ. 27 ივლისს დაამხვრიეს იაკობინელთა დიქტატურა.

§ 36. საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება დირექტორიის პერიოდში (1795-1799 წწ.)

1794 წ. 27 ივლისს 9 თერმიდორის მიერ საფრანგეთში კონტრრევოლუციური გადატრიალება მოეწყო, რაც მსხვილი ბურჟუაზიის გამარჯვებით დამთავრდა.

1795 წ. ***თერმიდორელმა კონვენტმა*** შეიმუშავა და მიიღო ***ახალი კონსტიტუცია***, რომელსაც საფუძვლად დაედო „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია", მაგრამ ზოგიერთი პრინციპული მოთხოვნის გამოკლებით. ეს მოთხოვნებია — ხალხის უფლება აჯანყებაზე, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, კრებების თავისუფლება და ა.შ. ამ კონსტიტუციით, მართალია, სახელმწიფო მართვა-გამგეობის რესპუბლიკური წყობილება რჩებოდა, მაგრამ მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი სოციალური და პოლიტიკური შინაარსი. ამ პერიოდში **სახელმწიფო წყობილების** საკითხებიდან უნდა გამოვყოთ:

1. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ***საკანონმდებლო კორპუსს***, რომელიც ორი პალატისაგან შედგებოდა: უხუცესთა პალატა და 500-თა საბჭო. უხუცესთა პალატაში 250 დეპუტატი შედიოდა. ხუთასთა პალატაში — 500 დეპუტატი. სულ საკანონმდებლო კორპუსში 750 დეპუტატი იყო. კონსტიტუციით შემოღებულ იქნა ორსაფეხურიანი არჩევნები. პირველ საფეხურზე არჩევნები ხდებოდა დეპარტამენტებში, ხოლო მეორე საფეხურზე — დეპარტამენტების დეპუტატები ირჩევდნენ წარმომადგენლებს.

2. ***დირექტორია***. მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება

თავმოყრილი იყო ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისიის ხელში, რომელსაც დირექტორია ეწოდებოდა. ამ კომისიას ირჩევდა საკანონმდებლო კორპუსი და ანგარიშვალდებული იყო მის წინაშე.

§ 37. იმპერიის პერიოდის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1799-1812 წწ.)

იმპერიის პერიოდი ორ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ: 1) კონსულობა (1799-1804 წწ.), 2) იმპერატორობა (1804-1812 წწ.).

კონსულობის დამყარებას ხელი შეუწყო ბაბეკის შეთქმულებამ დირექტორიის პერიოდში გამეფებული მთავრობის მომხვეჭელობის წინააღმდეგ. ბაბეკი სათავეში ჩაუდგა „თანასწორთა შეთქმულებას“ 1796 წ. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო კერძო საკუთრების მოსპობა და სოციალური თანასწორობის დამყარება. ბაბეკის ლოზუნგი ღარიბთა რევოლუციური დიქტატურა იყო. მართალია, შეთქმულება გაიხსნა და ბაბეკი სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ საფინანსო ბურჟუაზიას თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ძლიერი დიქტატურა სჭირდებოდა. არჩევანი შეჩერდა ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტზე, რომელიც ევროპის სახელმწიფოებთან ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა.

10 ნოემბერს, ღამით, 18 ბრიუმერთან ერთად ნაპოლეონმა გადატრიალება მოაწყო, რაც საფრანგეთის ბანკირების მიერ იქნა დაფინანსებული.

საკანონმდებლო კორპუსმა კი დააკანონა ნაპოლეონის ხელისუფლება. 1799 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც კონსულობის რეჟიმს იურიდიულად აფორმებდა. შინაარსით ეს იყო ნაპოლეონის **სამხედრო დიქტატურა**. ამ კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას სამი ორგანო ახორციელებდა: ა) ***საკანონმდებლო კორპუსი***, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა, ბ) ***ტრიბუნატი***, 100 წევრისაგან შედგებოდა, გ) ***სენატი*** — 80 წევრისაგან შედგებოდა.

საკანონმდებლო ინიციატივა, ე.ი. კანონპროექტის შეტანის უფლება ჰქონდა ნაპოლეონს, რომელიც პირველ კონსულად ითვლებოდა. კანონპროექტი ჯერ ტრიბუნატში შედიოდა, შემდეგ საკანონმდებლო კორპუსში, ხოლო ბოლოს სენატში. ასე იყო შენიღბული პირველი კონსულის, ნაპოლეონის დიქტატორული ძალაუფლება.

2. ***კონსულთა კოლეგია*** ირჩეოდა 10 წლის ვადით. შედგებოდა სამი წევრისაგან: პირველი კონსულის მეთაურობით. ეს კოლეგია ახორციელებდა უმაღლეს სახელმწიფო მართვა-გამგეობას. პირველი კონსული ახორციელებდა საგარეო ურთიერთობის ფუნქციებს, ნიშნავდა მინისტრებს, ხელმძღვანელობდა არმიასა და ფლოტს. შეეძლო ისეთი განკარგულებების გამოცემა, რომელთაც კანონის ძალა ჰქონდათ. ასეთი იყო ცენტრალური მმართველობა.

რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას***, ქვეყანა იყოფოდა ***დეპარტამენტებად*** (სულ 88), ხოლო დეპარტამენტები — ***მხარეებად***. 1802 წელს გამოიცა საკანონმდებლო აქტი — „სენატუს კონსულტა" (ლათ.:senatus consulta). ამ კანონის საფუძველზე ნაპოლეონი გამოცხადდა მუდმივ კონსულად. 1804 წელს კი ახალი „სენატუს კონსულტას" ძალით ნაპოლეონი გამოცხადდა საფრანგეთის იმპერატორად და თავის ხელში გააერთიანა უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. საშინაო პოლიტიკას არმიაზე, კერძოდ, პირად გვარდიაზე დაყრდნობით ატარებდა. განსაკუთრებული როლი მიენიჭა ***საპოლიციო აპარატს*** – საიდუმლო პოლიციას(police confidentielle), რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები მიეცა. ამ ეტაპიდან იწყება ***იმპერიის*** პერიოდი საფრანგეთში, რომელმაც 1814 წლამდე გაძლო.

აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონს არ გაუუქმებია 1799 წლის კონსულობის პერიოდის კონსტიტუცია, პირიქით, გამოიყენა იგი თავისი დიქტატურის განსახორციელებლად. ნაპოლეონ პირველი ითვლებოდა სახელმწიფოს იმპერატორად, რომელიც ახორციელებდა უმაღლეს ადმინისტრაციულ მმართველობას. იმპერატორთან არსებობდა ***სახელმწიფო საბჭო***, რომლის წევრებსაც პირადად იმპერატორი ნიშნავდა. საბჭო იმპერატორთან ერთად

წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს. რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, იგი ***იმპერატორთან*** ერთად ეკუთვნოდა ***სენატს***, ხოლო ტრიბუნატისა და საკანონმდებლო კორპუსის როლი ჯერ დაეცა, ხოლო 1807 წელს საერთოდ გაუქმდა.

1814 წელს ნაპოლეონის იმპერიის დაცემა გამოიწვია მისმა დამარცხებამ რუსეთთან პირველ სამამულო ომში. 1815 წ. შეძლო 100 დღით დაებრუნებინა ხელისუფლება, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა და ელენეს კუნძულებზე გადაასახლეს.

საფრანგეთში აღდგა ***ბურბონთა დინასტია***, რაც იურიდიულად გააფორმა 1814 წ. ქარტიამ. მართალია, ახალი პოლიტიკური რეჟიმი დამკვიდრდა, მაგრამ ბევრი რამ შემორჩა ნაპოლეონის მმართველობიდან; მაგალითად, ხელუხლებელი დარჩა მთელი სასამართლო და საპოლიციო აპარატი.

1824 წელს საფრანგეთის ტახტზე ავიდა კარლოს X, ლუდოვიკო XVIII-ის ძმა. მან მიიღო კანონი რევოლუციის პერიოდში ემიგრირებულ დიდებულთა ქონების კომპენსაციის შესახებ, რასაც სახელმწიფოში მოჰყვა მძიმე საგადასახადო პოლიტიკის დამკვიდრება. ამ პოლიტიკამ არა მარტო დაბალი ფენების, არამედ საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია. კარლოს X ცდილობდა კონსტიტუციური მონარქიის აბსოლუტიზმით შეცვლას, რაც ეკლესიის გავლენის გაძლიერებით დაიწყო. ამ პოლიტიკას 1830 წ. 27 ივლისს მოჰყვა პარიზის მოსახლეობის აჯანყება. კარლოს X გაიქცა. საფინანსო ბურჟუაზიამ ტახტზე მოიწვია ლუი ფილიპ ორლეანელი.

მართალია, ახალი პოლიტიკური რეჟიმი კვლავ ***კონსტიტუციური მონარქია*** იყო, მაგრამ 1814 წლის იმავე რეჟიმისაგან სოციალური კომპრომისით განირჩეოდა. თუ 1814 წლის კონსტიტუციური მონარქია თავადთა და ბურჟუაზიის კომპრომისულ მოთხოვნებს გამორიცხავდა, ახალი, ივლისის მონარქია, მსხვილი ბურჟუაზიის — ბანკირების ინტერესებს იცავდა. როგორც ლიტერატურაშია ცნობილი, 1814 წლის ნახევრად ბურჟუაზიული მონარქია ბურჟუაზიულმა მონარქიამ შეცვალა. 1830-1848 წწ. პერიოდს ივლი-

სის მონარქიასაც უწოდებენ, რომელიც საკანონმდებლო აქტით — 1830 წლის ქარტიით განმტკიცდა. იგი ძალიან ჰგავდა 1814 წლის ქარტიას, მაგრამ გაზრდილი იყო პარლამენტის უფლებები, შემცირდა ქონებრივი და ასაკობრივი ცენზები არჩევნებში.

§ 38. მეორე რესპუბლიკა საფრანგეთში (1848-1852 წწ.)

1848 წ. თებერვალში საფრანგეთში კვლავ იფეთქა რევოლუციამ, რომელიც რესპუბლიკის გამოცხადებით დამთავრდა. ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე — ლუი ფილიპე. 4 ნოემბერს მიიღეს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის **სახელმწიფო წყობილება** შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ***ნაციონალურ კრებას***, არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ მამაკაცები.

2. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ***პრეზიდენტს***, რომელსაც ირჩევდნენ 4 წლის ვადით. პრეზიდენტი აღჭურვილი იყო ფართო უფლებებით.

3. ***სახელმწიფო საბჭოს*** ირჩევდა ნაციონალური კრება 6 წლის ვადით.

რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას,*** ქვეყანა დაყოფილი იყო ***დეპარტამენტებად***, ხოლო დეპარტამენტები ***მხარეებად***.

რესპუბლიკამ სამი წლის განმავლობაში იარსება. 1851 წ. ლუი ნაპოლეონმა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო, დაარღვია რა 1848 წლის კონსტიტუციის მოთხოვნები, დაითხოვა საკანონმდებლო კრება და ქვეყანაში ღია ტერორი გამეფდა.

1852 წ. მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც მთელი ხელისუფლება თავმოყრილ იქნა პრეზიდენტის ხელში. მას მიეკუთვნა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. თუმცა ფორმალურად კვლავ დარჩა სახელმწიფო საბჭო, საკანონმდებლო კორპუსი და სენატი. 1852 წ. ნოემბერში სპეციალური კანონით ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი „საფრანგეთის

იმპერატორად“ გამოცხადდა ნაპოლეონ III სახელწოდებით. მთელი იმპერიის პერიოდში (1852-1870 წწ.) დამკვიდრდა ბონაპარტისტული რეჟიმი, ანუ ჯარის ყველაზე ცუდ ელემენტებზე დაყრდნობით მსხვილი ბურჟუაზიის დიქტატურის განსაკუთრებული ფორმა.

§ 39. პარიზის კომუნა

1871 წელს მიმდინარეობდა ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის, სადაც დამარცხდა საფრანგეთი. პრუსიის ჯარებმა დაიპყრეს საფრანგეთის ტერიტორია და განიზრახეს ქ.პარიზის აღება. პარიზის მთავრობა ვერსალში გაიქცა. როცა მუშათა კლასმა დაინახა, რომ ქალაქი საფრთხეში, გამოაცხადა ეროვნული გვარდიის შექმნა და დააარსა ***პარიზის კომუნა*** (Commune de Paris). თავის ხანმოკლე არსებობის მანძილზე კომუნამ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევისაკენ:

კომუნამ ასევე გააუქმა მუდმივი დაქირავებული არმია და ერთადერთ შეიარაღებულ ძალად ნაციონალური გვარდია გამოაცხადა; გააუქმა ბინის ქირა და ლომბარდები; გამოაცხადა ყველა თანამდებობის არჩევითობა და მათი უკან გაწვევის შესაძლებლობა; ყოველ მოსამსახურეს დაუწესა მუშის ხელფასის თანაბარი ჯამაგირი; ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილად გამოაცხადა და მოახდინა საეკლესიო ქონების კონფისკაცია.

ამ რევოლუციურმა ღონისძიებებმა შეაშფოთა ვერსალის მთავრობა, რომელიც პირდაპირ იერიშზე გადავიდა კომუნარების წინააღმდეგ. 1871 წ. 28 მაისს პარიზის კომუნა დაეცა. კომუნარები გაჟლიტეს.

§ 40. მესამე რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1875-1940 წწ.)

ნაციონალურმა კრებამ, პარიზის კომუნის დაცემისა და გერმანიასთან მძიმე ზავის შემდეგ, დაიწყო ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა. პირველი რიგის გადასაწყვეტ საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფოს ფორმის საკითხი: საფრანგეთი მონარქია იქნებოდა თუ რესპუბლიკა. დავა 4 წელიწადს გაგრძელდა და 1875 წლის დასაწყისში მიიღეს რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც ერთიან საკანონმდებლო აქტს არ წარმოადგენდა. სხვა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, იგი 3 კანონისაგან შედგებოდა:

1) „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ", 2) „სენატის ორგანიზაციის შესახებ", 3) „სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთობის შესახებ".

თავიდანვე, მესამე რესპუბლიკის პერიოდში, ცხარე დებატები მიმდინარეობდა კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. სინამდვილეში კი, 1940 წლამდე ქვეყნის ძირითად აქტში არსებითი კორექტივები არ შესულა, გარდა დედაქალაქის ვერსალიდან პარიზში გადატანისა (1879წ.). ყურადღებას იქცევს მხოლოდ სენატის რეფორმა და 1884 წლის დამატებები.

მესამე რესპუბლიკის კონსტიტუციამ რესპუბლიკურ მოწყობაში ინგლისური კონსტიტუციური მონარქიის პრინციპები შეიტანა. კონსტიტუციით:

1) საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ***სენატსა*** და ***დეპუტატთა პალატას***. პალატების გაერთიანებული სხდომები ნაციონალურ კრებად იწოდებოდა. ნაციონალური კრება მოიწვეოდა პრეზიდენტის არჩევნების და კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შემთხვევაში. სენატში 300 წევრი იყო, რომელთაგან 75 სამუდამოდ ინიშნებოდა, 225 – აირჩეოდა. არჩევნებს საარჩევნო კოლეგიები იწვევდნენ. კოლეგიები შედგებოდა არა კენჭისყრის საერთო წესით არჩეული დეპუტატებისაგან, არამედ დეპარტამენტების, მხარეებისა და თემის წარმომადგენლებისაგან. სენატორთა ასაკობრივი ცენზი 40 წელს შეადგენდა და აირჩეოდნენ

9 წლის ვადით, სამ წელიწადში ერთხელ სენატორთა 1/3 ნაწილის განახლების პირობით.

მართალია, სენატი დეპუტატთა პალატასთან ერთად საკანონმდებლო ორგანო იყო, მაგრამ, ამასთან, განსაკუთრებული სასამართლოს იურისდიქციითაც სარგებლობდა, როცა დეპუტატთა პალატის ბრალდებით პრეზიდენტის ან მინისტრთა დანაშაულებრივი ქმედების განხილვა იყო საჭირო.

დაბოლოს, სენატის ნებართვა იყო საჭირო თუ პრეზიდენტი დეპუტატთა პალატას დაითხოვდა ვადაზე ადრე. დეპუტატთა პალატა 600 წევრისაგან შედგებოდა და 4 წლით აირჩეოდა. ***საარჩევნო სისტემა*** ძირითად პრინციპებს ეყრდნობოდა: ***არასაყოველთაო არჩევნები*** (საარჩევნო ცენზი განისაზღვრებოდა 21 წლით), ხმის უფლება არ ჰქონდათ სამხედროებს, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ და ქალებს. ***ფარული*** არჩევნები, ***ფორმალურად თანასწორი*** და ***პირდაპირი***. შემდგომში საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო არჩევნების მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს.

კონსტიტუციის მიხედვით ***აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტსა*** და ***მინისტრებს*** ეკისრებოდათ. პრეზიდენტს ნაციონალური კრება ირჩევდა 7 წლით ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. იგი ანგარიშვალდებული არ იყო რომელიმე ორგანოს წინაშე, მაგრამ კონსტიტუციური პასუხისმგებლობა მაინც ეკისრებოდა, კერძოდ, ღალატში ბრალდების შემთხვევაში გასამართლდებოდა სენატის მიერ.

პრეზიდენტი ნიშნავდა მინისტრებს და თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს. კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული პრემიერის — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. მინისტრები ხელს აწერდნენ მათ მიერ გამოცემულ ყველა აქტზე (კონტრასიგნაცია). მათ ეკისრებოდათ კონსტიტუციური პასუხისმგებლობა და შეიძლება გასამართლებულიყვნენ სენატის მიერ. გათვალისწინებული იყო კოლეგიალური პასუხისმგებლობა (სოლიდარული) — მთავრობის პოლიტიკის გამო, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კი — მათ მიერ გამოცემული აქტისათვის.

მესამე რესპუბლიკის პერიოდი საფრანსგეთის სახელმწიფოს ისტორიაში ცნობილია კოლონიალიზმის პოლიტიკის ზრდით. XVIII საუკუნეში საფრანგეთის კოლონიებს წარმოადგენდა კანადა, ლუიზიანა, შემდგომში ცენტრალური აფრიკა, ინდოჩინეთი. კოლონიების სამართლებრივი რეჟიმი ერთნაირი არ იყო. მაგ., ძველ კოლონიებს (ანტალიის კუნძულები) ფრანგი გუბერნატორი მართავდა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოსთან ერთად, „ახალ კოლონიებს" (XIX ს-ში დაპყრობილი ქვეყნები) — ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, მესამე რანგის კოლონიები, ანუ პროტექტორატები (მაროკო, ტუნისი) საფრანგეთის პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ რჩებოდა. მეოთხე — ალჟირი, განიხილებოდა მეტროპოლიის შემადგენელ ნაწილად. საფრანგეთი, ინგლისისგან განსხვავებით, არ დაადგა კონფედერაციის ან ფედერალური განვითარების გზას და მესამე რესპუბლიკის ბოლომდე ასიმილატორულ პოლიტიკას ეწეოდა.

მესამე რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო წინა რეჟიმების საკმაოდ განვითარებული მმართველობის აპარატი, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა და დაიხვეწა. ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც ნაპოლეონ I-მა შექმნა, თითქმის ხელუხლებელი შემორჩა XX ს-მდე. ზოგიერთი შემდგომი რეფორმა მიმართული იყო მხოლოდ პირველი იმპერიის მკაცრი მმართველობის შესუსტებისაკენ. მხარეებში შემოღებული ე.წ. ***სამხარეო საბჭოები*** იმდენად მცირე უფლებამოსილებით სარგებლობდნენ, რომ მათ არ შეიძლება თვითმმართველობის ორგანოები ეწოდოს. იგივე ითქმის საბჭოების მიერ არჩეულ ***კანტონებზეც***.

საფრანგეთის სახელმწიფო ორგანოთა შორის განსაკურთებული მნიშვნელობა ჰქონდა ნაპოლეონის პერიოდიდან შექმნილ ***სახელმწიფო საბჭოს***. ეს ორგანო დღესდღეობითაც საკმაოდ სპეციფიკურია საფრანგეთისათვის და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გენეტიკურად იგი აბსოლუტური მონარქიის სამეფო საბჭოდან მომდინარეობს. კონსულობის პერიოდში (1799 წ.) ამ ორგანოს რესტავრირება მოხდა. იგი სათათბირო ორგანო იყო პირველ კონსულთან და ამავე დროს, უმაღლეს ადმინ-

ისტრაციულ სასამართლოს წარმოადგენდა. ამავე პერიოდში დაფუძნდა დეპარტამენტის საბჭოები — *პრეფექტურები*, რომელთაც პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლოს ფუნქციები მიიღეს. სახელმწიფო საბჭომ XIX ს-ში გარკვეული რეფორმები განიცადა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო საბჭო სამი კატეგორიის ფუნქციებს ახორციელებდა: 1) რედაქტირებას უკეთებდა კანონპროექტებს; 2) განაზოგადებდა საფრანგეთის ადმინისტრაციული მმართველობის პრაქტიკას და განსაზღვრავდა კანონთა შინაარსს; 3) წარმოადგენდა უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს. რეორგანიზაციის შემდეგ II ინსტანციის სასამართლოდ გამოდიოდა, სადაც განიხილებოდა პრეფექტურების (დეპარტამენტების) საბჭოების გადაწყვეტილებათა აპელაციები და მინისტრთა ბრძანებები. გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო საბჭო პირველი და უკანასკნელი ინსტანციის სასამართლო იყო.

§ 41. მეორე მსოფლიო ომი და ახალი პოლიტიკური რეჟიმი საფრანგეთში

მეორე მსოფლიო ომმა და ჰიტლერულ გერმანიასთან დამარცხებამ გამოიწვია მესამე რესპუბლიკის დაცემა. 1940 წ. 16 ივნისს, მთავრობის სათავეში მოვიდა მარშალი ფ. პეტენი — მესამე რესპუბლიკის უკანასკნელი პრემიერი. 22 ივნისს მან ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს და საომარი მოქმედებების შეწყვეტას. 10 ივლისს ნაციონალურმა კრებამ მთელი ძალაუფლება ფ.პეტენს გადასცა. როგორც ჟაკ დიუკლო იტყოდა: ხალხის წინაშე შიში ყოველთვის სამშობლოს ღალატის საწინდარია. მართლაც, სახალხო მოძრაობის შიშმა აიძულა საფრანგეთის მმართველი წრეები უარი ეთქვათ რესპუბლიკაზე და კაპიტულაცია გამოეცხადებინათ ჰიტლერის წინაშე.

გენერალი შარლ დე გოლი საფრანგეთის კაპიტულაციის წინააღმდეგი გამოვიდა და პეტენის კაპიტულაციის შემდეგ ლონდონში გადავიდა, სადაც დაარსა *„თავისუფალი საფრანგეთის“*

კომიტეტი (le comitk de"la France libre"). რამდენიმე დღეში ეს კომიტეტი *„მებრძოლ საფრანგეთად"* („la France combattant") გადაკეთდა.

მიიღო რა ფ.პეტენმა პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებანი, 4 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქვეყნის პოლიტიკას. თუმცა 1942 წ. ჰიტლერელების დაწოლით ფ.პეტენი იძულებული იყო დაეარსებინა პრემიერის თანამდებობა პ.ლავალიასთვის და გადაეცა მისთვის რიგი უფლებამოსილებანი. *„ვიშის" რეჟიმმა* (le rkgime de „Vichy") – ასე ერქვა საფრანგეთში ფ.პეტენისა და პ.ლავალიას მიერ გატარებულ პოლიტიკას, რადგანაც დროებით მთავრობა საკურორტო ქალაქ ვიშში გადავიდა – უარყო ფრანგების მიერ მოპოვებული სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, დაითხოვა პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ლავალია სიკვდილით დასაჯეს. პეტენსაც მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ დე გოლმა სამუდამო პატიმრობით შეუცვალა, რადგან პეტენი მაშინ 90 წლის იყო.

1940 წ. 28 ივნისს გენერალი დე გოლი ბრიტანეთის ხელისუფლებამ „თავისუფალ ფრანგთა" მეთაურად აღიარა. 1941 წ. საფრანგეთის ზოგიერთმა კოლონიამ, რომელიც „ვიშის" ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა, შექმნა ტერიტორიული ბაზა შარლ დე გოლის მთავრობისათვის. დაარსდა *„საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტი"*, რომელიც 1943 წ. *„ნაციონალური გამარჯვების საფრანგეთის კომიტეტად"* გადაიქცა, ხოლო 1944 წ. ივნისში – საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად.

1944 წ. აგვისტოში, როცა პარიზი განთავისუფლდა, დროებითი მთავრობა ერთადერთი იყო, რომელსაც საფრანგეთის თითქმის ყველა სოციალური ფენა ცნობდა და აღიარებდა.

დროებითმა მთავრობამ ხელში აიღო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა მისი თავმჯდომარე — შარლ დე გოლი. იგი ნიშნავდა მინისტრებს, რომელიც ამ უკანასკნელის წინაშე იყვნენ პასუხ-

ისმგებელნი. მინისტრები ერთად თათბირობდნენ სახელმწიფოს მეთაურთან და კოლექტიურად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. სათათბირო კრების სახით არსებობდა პარლამენტის მსგავსი 300-კაციანი ორგანო.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ დროებითმა მთავრობამ რიგი რეფორმები გაატარა. მნიშვნელოვანი ამოცანა იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღო. 1945 წ. 2 ნოემბერს დროებითმა მთავრობამ ფუნქციონირება შეწყვიტა და ხელისუფლება გადასცა *დამფუძნებელ კრებას* (constituante). დამფუძნებელმა კრებამ ახალი მთავრობა შექმნა შარლ დე გოლის მეთაურობით.

1946 წ. იანვარში წარმოიშვა კონფლიქტი „კონსტიტუანტესა" და შარლ დე გოლს შორის მომავალი კონსტიტუციის ხასიათისა და შინაარსის გამო.

§ 42. მეოთხე რესპუბლიკა საფრანგეთში (1946-1958 წწ.)

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დამფუძნებელ კრებაში 150 დეპუტატი (მთელი შემადგენლობის 1/4) გაიყვანა. კომუნისტებმა და სოციალისტემა ერთად, ხმათა უმრავლესობით, მიიღეს მათ მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი. ეს პროექტი 1946 წ. 5 მაისს რეფერენდუმზე არ იქნა დამტკიცებული. ეს იყო საფუძველი ახალი „კონსტიტუანტეს" არჩევნებისა, რომლის მიერ შემუშავებული პროექტი 1946 წლის ოქტომბერში რეფერენდუმით დამტკიცდა. ასე დაიბადა საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკა.

კონსტიტუცია კომპრომისულ ხასიათს ატარებდა. ძირეული რეფორმების ნაცვლად მან შემოიღო ისეთი სისტემა, რომელიც III რესპუბლიკის კონსტიტუციას უახლოვდებოდა. განსხვავება იყო ზოგიერთ სოციალურ უფლებათა დეკლარირებასა და პარლამენტის II პალატის — რესპუბლიკის საბჭოს უფლებათა შემცირებაში. რესპუბლიკის საბჭომ შეცვალა ადრინდელი სენატი. დეპუტატთა

პალატამაც შეიცვალა თავისი სახელწოდება და ნაციონალურ კრებად დამკვიდრდა. მთლიანობაში მესამე რესპუბლიკის პოლიტიკური სტრუქტურა უცვლელი შემორჩა.

მეოთხე რესპუბლიკამ 12 წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე 20 სამთავრობო კაბინეტი შეიცვალა. მრავალპარტიულობის გამო პარლამენტში მოხდა პოლიტიკური განხეთქილება, რაც მას საკანონმდებლო საქმიანობაში არაქმედუნარიანს ხდიდა. კონსტიტუციაში იყო მცდელობა *„საფრანგეთის კოლონიალური იმპერიის“* მოწყობის *რეფორმისა*. ამიტომ იგი ორ ნაწილად გაიყო: *რესპუბლიკის კონსტიტუციად* და საფრანგეთის *კავშირის კონსტიტუციად*. საფრანგეთის კავშირში შედიოდა მეტროპოლია, ძველი პროტექტორატები, ის კოლონიები (საზღვაო დეპარტამენტები), რომლებიც საფრანგეთის რესპუბლიკას აღარ ეკუთვნოდა და სპეციალური ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებულნი მასთან. კავშირს *პრეზიდენტი* წარმოადგენდა, რომელთანაც არსებობდა *კავშირის უმაღლესი საბჭო* და *კავშირის კრება*, სადაც შედიოდნენ როგორც მეტროპოლიის, აგრეთვე კავშირში შემავალი წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. კავშირის სტრუქტურაში შეიმჩნეოდა ასიმილაციის არა ტრადიციული ტენდენციები, არამედ ფედერალიზმის ახალი ნიშნები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას მოჰყვა კავშირის წევრების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირება: 1953 წ. ლაოსი, 1954 წ. კამბოჯა, 1956 წ. მაროკო და ტუნისი, 1958 წ. გვინეა. ისინი ცალ-ცალკე გამოვიდნენ მეტროპოლიის მფარველობიდან.

განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ალჟირმა, რომელსაც 1958 წ. მაისში მეოთხე რესპუბლიკის კრახი მოჰყვა. ნაციონალურმა კრებამ მთელი ძალაუფლება შარლ დე გოლს გადასცა და დაავალა მას ახალი კონსტიტუციის შემუშავება ოთხი პრინციპის დაცვით: 1) ფორმალურ-საყოველთაო არჩევნები; 2) ხელისუფლებათა დანაწილება; 3) მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკური პასუხისმგებლობა; 4) სასამართლოს დამოუკიდებლობა.

1958 წ. გამოქვეყნდა სპეციალური სამთავრობო ორდონანსი, რომელიც არჩევნების მაჟორიტარულ სისტემას აკანონებდა

თითოეული ოლქიდან თითო დეპუტატის არჩევით. ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით კენჭისყრა ერთ ან ორ ტურად მიმდინარეობდა. ამასთან, თითოეულ საარჩევნო ოლქში პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ ერთი კანდიდატის წამოყენების უფლება ჰქონდათ. პირველ ტურში გამარჯვებისათვის საჭირო იყო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მეორეში — შედარებითი უმრავლესობა.

ამ წესით არჩევნები ჩატარდა 1958 წ. 23-30 ნოემბერს. აბსოლუტური უმრავლესობა 41 კანდიდატმა მოიპოვა. მეორე ტურის შემდეგ ნაციონალურ კრებაში ყოველი 100 დეპუტატიდან 2 კომუნისტი იყო, მაშინ, როცა მათ ხმას აძლევდა ყოველი მეხუთე ამომრჩეველი.

§ 43. მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება საფრანგეთში (1958 წ-ის კონსტიტუცია)

1946 წლის კონსტიტუცია მთლიანად ვერ გამოხატავდა საფრანგეთის პოლიტიკური ძალების ინტერესებს და ამიტომ დე გოლის პრეზიდენტად მოსვლიდან დღის წესრიგში დადგა მისი შეცვლის საკითხი. კონსტიტუციის შეცვლის მთავარი საფუძველი იყო აჯანყება ალჟირში (ამ პერიოდში იგი საფრანგეთის კოლონია იყო), აგრეთვე სამოქალაქო ომის საფრთხე თვით მეტროპოლიაში.

ახალი კონსტიტუცია 1958 წ. 28 სექტემბერს რეფერენდუმით მიიღეს. კონსტიტუციის მიხედვით უმაღლესი თანამდებობის პირია ***სახელმწიფოს მეთაური*** (Chef d'Etat). 1962 წ. რეფორმებით საფრანგეთის პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. არჩევნები ორ ტურად მიმდინარეობდა ორი კვირის შუალედით.

1965 წ. არჩევნებში გავიდა დე გოლი, რომელმაც ხმათა 54,51% მიიღო, 1969 წ. — ჟ.პომპიდუ (57,59%), 1974 წ. — ჟისკარ დ'ესტენი (86,71%), 1981 წ. — ფ.მიტერანი (52,22%).

კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით ***პრეზიდენტი*** ეროვნუ-

ლი დამოუკიდებლობის, ერთიანი ტერიტორიის, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვის გარანტია. იგი მეთვალყურეობს კონსტიტუციის შესრულებას და უზრუნველყოფს სახალხო ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას სახელმწიფოში. მთავრობის საპრობლემო საკითხთა გადაწყვეტაში პრეზიდენტი უმაღლესი არბიტრის როლს ასრულებს. ფაქტობრივად მასვე ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლება, რადგან პარლამენტში მისი გაგზავნილი აქტი წაიკითხება პალატების მიერ, მაგრამ არ ექვემდებარება შესწორებას. პარლამენტის მიერ მიღებული ყველა აქტი 15 დღის ვადაში გამოქვეყნდება პრეზიდენტის ხელმოწერით. ამ ვადაში პრეზიდენტს შეუძლია მოსთხოვოს პალატებს მთელი კანონის ან მისი ნაწილის ხელახლა განხილვა. შესაძლებელია პრეზიდენტის საკანონმდებლო საქმიანობა პარლამენტის გვერდისავლითაც. მაგ., მე-11 მუხლით პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმზე გაიტანოს სახელმწიფო ორგანოთა შესახებ კანონპროექტი ან საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი რეფერენდუმი იყო 1969 წ. 27 აპრილს, როცა საყოველთაო სახალხო განხილვაზე გაიტანეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები და სენატის რეფორმა. ხმათა უმრავლესობით სამთავრობო წინადადებები არ იქნა მიღებული, რაც საფუძველი გახდა გენერალ დე გოლის გადადგომისა.

კონსტიტუციის მიხედვით ***ნაციონალური კრება*** და ***სენატი*** საფრანგეთის პარლამენტის ორი პალატაა. აღსანიშნავია, რომ ფრანგული პარლამენტარიზმი სპეციფიკური ხასიათისაა და მას ლიტერატურაში „რაციონალიზირებულ პარლამენტარიზმს“ უწოდებენ. ეს სპეციფიკურობა გულისხმობს ორივე პალატის მეორეხარისხოვან როლს. კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის კომპეტენცია შეზღუდულია, ხოლო სამთავრობო ხელისუფლებას ფართო შესაძლებლობა ეძლევა პარლამენტზე ზემოქმედებისათვის.

ფრანგული პარლამენტარიზმის თავისებურება საარჩევნო სისტემაშიც მჟღავნდება. კერძოდ, ფრანგული კანონმდებლობა არჩევნების შესახებ მკვეთრად განასხვავებს აქტიურ და პა-

სიურ საარჩევნო უფლებას. პირველი თავისუფალია ყოველგვარი ცენზისაგან, მეორე არჩევნებში მონაწილეობისათვის გარკვეულ პირობებს მოითხოვს. შემთხვევითი არაა, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი მეცნიერება მკვეთრად გამოყოფს ე.წ. ***„არარჩევის ინსტიტუტს"***(„l'institut de pas-klections"). ესაა იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც უფლებას ართმევს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს არჩეულ იყვნენ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოში. ასეთი არჩევნები პირველად 1815 წ. ჩატარდა, როცა ნაპოლეონის დაცემის შემდეგ ბურბონთა დინასტიის ლეგიტიმისტებმა მოიპოვეს უმრავლესობა; მეორედ 1968 წ. მაისის ამბების შემდეგ, როცა დე გოლის პარტიამ მოიპოვა უმრავლესობა, მესამედ – 1981 წ.

კანონმდებლობის მიხედვით ***ნაციონალური კრება*** იქმნება პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 5 წლით 491 დეპუტატის შემადგენლობით. ხმის უფლება ეძლევათ საფრანგეთის მოქალაქეებს, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი და ერთ ადგილზე ცხოვრობენ არანაკლებ 6 თვისა. არჩეული შეიძლება იყოს 23 წლის პირი, რომელიც ვალდებულია შეიტანოს საარჩევნო თანხა 1 ათასი ფრანკის ოდენობით. ეს თანხა სახელმწიფოს შემოსავალში გადადის იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მოცემულ ოლქში 5% ვერ მოაგროვებს.

სენატი მოწოდებულია უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთეულების (კომუნები, დეპარტამენტები და ზღვისიქითა ტერიტორიებით) წარმომადგენელთა უფლებები. სენატში 283 წევრია 9 წლით არჩეული, რომელიც 1/3 ოდენობით განახლდება ყოველ 3 წელიწადში. არჩევნები 2 ეტაპად ტარდება. თითოეულ დეპარტამენტში ამომრჩეველთა სპეციალური კოლეგიაა. ეს უკანასკნელი შედგება მოცემული დეპარტამენტის ნაციონალური კრების წარმომადგენლის, დეპარტამენტის გენერალური საბჭოს წევრების და მუნიციპალური საბჭოების მიერ სპეციალურად არჩეული დელეგატებისაგან.

ფრანგული პარლამენტარიზმის თავისებურება ***ადგილობრივი მმართველობისა*** და ***თვითმმართველობის*** ძირითად ელემენტებშიც

გამოიხატება. საფრანგეთი თავიდანვე ითვლებოდა მტკიცე ცენტრალისტური ტენდენციის ქვეყნად. დღესდღეობით საფრანგეთი იყოფა 95 დეპარტამენტად. თითოეული იყოფა კომუნებად. განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა კორსიკას 1983 წ., სადაც რეგიონალური საკითხები იხილება სათათბირო ორგანოს — ასამბლეის მიერ.

1982 წ. ნაციონალურმა კრებამ მიიღო საბოლოო „დეცენტრალიზაციის" კანონი, რომლითაც გათვალისწინებულია ***პრეფექტის ინსტიტუტი***. ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულად შემოვიდა ***კომუნა***, ***მხარე***, ***დეპარტამენტი***, ***ოლქი***. ასე რომ, თანდათან დამკვიდრდა თვითმმართველობა ფართო უფლებებით.

დედაქალაქი პარიზი დიდი ხნის მანძილზე არ სარგებლობდა დამოუკიდებელი მმართველობის უფლებით. 1871 წელს პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ გადაწყდა, რომ პარიზის მმართველობისათვის დაინიშნებოდა სპეციალური პირი. დროთა განმავლობაში იგი იწოდებოდა პარიზის პრეფექტად. 1975 წლიდან პარიზი დამოუკიდებელი დეპარტამენტია. ***პარიზის*** 109-***მრჩევლიანი საბჭო*** ასრულებს მუნიციპალური და გენერალური საბჭოების ფუნქციებს და აირჩევა მოსახლეობის მიერ 6 წლით. თვით პარიზის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ამავე ვადით აირჩევს ***მერს*** 18 ძირითადი და არა უმეტეს 9 დამატებითი მოადგილით. საფრანგეთში მოქმედებს მუნიციპალური კოდექსი 1970 წლის რედაქციით.

§ 44. ადგილობრივი მმართველობის თავდაპირველი ფორმები საფრანგეთში

თავდაპირველად ადგილობრივი მმართველობა ხორციელდებოდა სამეფო მამულების მმართველობის აპარატით. მეფის სამფლობელოები იყოფოდა ოლქებად, რომელთა სათავეში იდგა ***პრევო*** (prkvot). პრევოს მიენიჭა საპოლიციო და სასამართლო უფლებები, მოწოდებული იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ადგილებზე და ინიშნებოდა მეფის მიერ თავადაზნაურობის

წარმომადგენლებისაგან. მოგვიანებით ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. შეიძლებოდა ამ თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა.

სამეფო დომენების ზრდას მოჰყვა ცალკეული ოლქების გაერთიანება უფრო დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებად — ***ბალიაჟებად***. ბალიაჟის სათავეში მეფე ნიშნავდა ***ბალის*** (bailli). ბალი ზედამხედველობას უწევდა მეფის ვასალების და სამეფო ქალაქების მიერ გადასახადების გაღებასა და შევსებას.

სამეფო ხელისუფლების ზრდას მოჰყვა ფეოდალურ იერარქიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, მსხვილი ფეოდალების ვასალები ერთგულების ფიცს უდებდნენ მეფეს. მკვიდრდებოდა ე.წ. იმედიატიზაცია, რითაც დარტყმა მიადგა პრინციპს „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“.

ფილიპე II-ს მეფობის ბოლოს ნაკლებად თუ არსებობდა ფეოდალთა მიწები, რომლებიც მეფეზე არ იყო დამოკიდებული. აბსოლუტიზმის ხანაში ადგილობრივი მმართველობა ცენტრალიზაციის პრინციპზე იყო აგებული. ადგილობრივი მოხელეები ინიშნებოდნენ მეფის მიერ. მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო ***გუბერნიებად***, რომელთაც სათავეში გუბერნატორები ედგნენ. გუბერნიები იყოფოდა ***ოლქებად***, რომელთაც მეფის მიერ დანიშნული პირი განაგებდა.

გენერალურ შტატებსაც ჰქონდათ ადგილებზე თავიანთი განყოფილებები — ***პროვინციული შტატები***. მასში შედიოდნენ პროვინციის სამი წოდების წარმომადგენლები. ამ ორგანოს ძირითადი ფუნქცია საფინანსო საკითხების გადაწყვეტა იყო.

რევოლუციის შემდგომი ეტაპის ცვლილებები ადგილობრივ მმართველობაში სახელმწიფოთა რეჟიმის ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ეს საკითხი შესაბამისი პარაგრაფების მიხედვით განვიხილეთ.

§ 45. საზოგადოებრივი წყობილების ევოლუცია საფრანგეთში (ახ.წ. IX-XX სს.)

საფრანგეთის მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე განმტკიცდა იურიდიული ნორმებით. ეკონომიკური მდგომარეობისა და უფლებრივი სიძლიერის მიხედვით საფრანგეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ ეტაპზე ფეოდალები სხვადასხვა კატეგორიად იყოფოდნენ: 1) დიდი სენიორული მამულების მეპატრონენი და უმაღლესი სასულიერო პირები — ***ეპისკოპოსები, აბატები,*** აგრეთვე მსხვილი საერო ფეოდალები — ***ჰერცოგები*** და ***გრაფები***. ისინი თავს მეფის თანატოლად მიიჩნევდნენ, იწოდებოდნენ ***პერებად*** (pairs — თანასწორნი); 2) დიდ ფეოდალებთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი პირები, ანუ ***ბარონები, ვიცეგრაფები*** (les vicomtes); 3) ***მხედრები*** (les cavaliers).

სენიორებსა და ვასალებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ფორმდებოდა ხელშეკრულებით, რომელსაც თან ახლდა სიმბოლური აქტები და ჩვეულები.

ვასალი ერთგულების ფიცს აძლევდა სენიორს სადღესასწაულო წეს-ჩვეულების საფუძველზე. სენიორის წინაშე მუხლებზე დგებოდა და ბიბლიაზე იფიცებდა. ამ წესს საფრანგეთში ***ომაჟი*** (hommage) ერქვა. სენიორი ვასალს გადასცემდა ფეოდს, რომელსაც ახლდა სიმბოლური აქტი, ანუ ***ინვესტიტურა*** (investiture), ანუ ჯოხის ან ხელთათმანის გადაცემა (საეკლესიო პირებისათვის კვერცხის ან რგოლის გადაცემა). თუ ვასალი ადრე ალოდს ფლობდა, ამ რიტუალის შემდეგ იგი ფეოდად იქცეოდა. სენიორსა და ვასალს შორის დამოკიდებულებაში პირველ ადგილზე იყო ერთგულება (foi), რომელიც მოითხოვდა სენიორისადმი პატივისცემასა და დახმარებას. ვასალს არ შეეძლო კავშირი დაემყარებინა თავისი ბატონის მტერთან, გამოცხადებულიყო სენიორის კარზე, მიეცა მისთვის რჩევები შეთავაზებულ საქმეზე, მხარი დაეჭირა ფულადი სახსრებით, გამოესყიდა ტყვეობიდან, შეეტანა გარკვეული თანხა სენიორის უფროსი ვაჟის მხედართკურთხევის ან ქალიშვილის

პირველად გათხოვების შემთხვევაში. სხვა ვალდებულებათა შორის შეიძლება დავასახელოთ სავალდებულო სამსახური (service), რომელიც სხვადასხვაგვარი იყო. კერძოდ, ვასალი ვალდებულებას კისრულობდა მონაწილეობა მიეღო სენიორის სამხედრო სვლებში არანაკლებ 40 დღისა და გარკვეული ოლქების საზღვრებში; სასამართლოში მონაწილეობა (justice), რაც გამოიხატებოდა სასამართლო სხდომებზე ვასალთა სავალდებულო დასწრებაში, როცა განსასჯელს მისი მსგავსი ლენი გააჩნდა (part curial).

თავის მხრივ, სენიორი ვალდებულებას კისრულობდა მხარი დაეჭირა თავისი ვასალისათვის (Le seigneur est tenu a son homme, comme l'homme a son segneur), ე.ი. დაეცვა იგი თავდასხმისაგან ან დახმარებოდა თავისი კურიის სასამართლოში.

თუ სენიორი ვალდებულებებს დაარღვევდა, ვასალი ერთგულების ფიცისაგან თავისუფლდებოდა და ინარჩუნებდა ფეოდს. ვასალური ურთიერთობების დარღვევა ასევე სიმბოლური აქტით ინვესტიტურის შემობრუნებული აქტით გამოიხატებოდა: ვასალი უკან ესროდა ხელთათმანს სენიორს. არ იყო იშვიათი ვასალების თავიანთი მიწებით სხვა სენიორთან გადასვლის შემთხვევებიც.

საზოგადოების ქვედა, ფენის გლეხობის უფლებრივი მდგომარეობა კუტიუმებით რეგულირდებოდა. თუმცა არც ***გლეხობა*** სარგებლობდა ერთნაირი სამართლებრივი უფლებებით. ერთ ნაწილს შეადგენდნენ ***ვილანები*** (vilain, villa). შეიძლება დავასახელოთ დამოუკიდებელი გლეხების სხვა ჯგუფებიც: ***სერვები*** (serts), ე.ი. გლეხები, რომლებიც მონებიდან წარმოიშვნენ, ან ყოფილი თავისუფალნი, რომელნიც იძულებით მოექცნენ სერვაჟში. ისინი მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი და შეიძლება გაყიდულიყვნენ მიწის ნაკვეთთან ერთად ან მის გარეშე, მაგრამ აუცილებლად ოჯახთან ერთად. სერვს უფლება არ ჰქონდა ბატონის გარეშე დაქორწინებულიყო. ასეთი ნებართვის მიღებისათვის მას უნდა გადაეხადა ბატონისათვის „საქორწინო საზღაური" ან ***ფორმარიაჟი*** (formariage). გარდაცვლილი სერვის ქონება სენიორს გადაეცემოდა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც მის (სერვის) მემკვიდრეებზე გადადიოდა დადგენილი შესატანის გადახდის შემდეგ. ეს

წესი იწოდებოდა „მკვდარი ხელის“ უფლებად (ლათ.: droit de main morte, maritagium).

მართალია, სერვები განიხილებოდნენ, როგორც სამართლის ობიექტი, მაგრამ მათი სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით მონებისგან განირჩეოდნენ უმნიშვნელო ქონებრივი უფლებებით. ისინი მოკლებულნი იყვნენ ქმედუნარიანობას: არ შეეძლოთ სამოქალაქო გარიგებების დადება, სარჩელის წარდგენა და სასამართლოში მოწმედ გამოცხადება.

რამდენადმე უკეთესი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ თავისუფალი ვილანები. ისინი უხდიდნენ სენიორს ჩინს (ლათ. census), რაც სხვა არაფერია, თუ არა საარენდო გადასახადი, რენტას და ე.წ. შამპარსს (champart), ანუ მოსავლის ნაწილს. მათზე არ ვრცელდებოდა „მკვდარი ხელის“ უფლება და ფორმარიაჟი.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ფეოდალთა ***სასახლის მსახურები***, რომელთაც ფეოდალები თავიანთი მიწების დასამუშავებლად იყენებდნენ. რუსულ სამართალში მათი უფლებრივი მდგომარეობა ხოლოპებსა და ჩელიადებს უთანასწორდება.

ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ბაზარზე გაყიდულები. ისინი ***მონათა*** (les escalves) კატეგორიას წარმოადგენდნენ, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით და ამიტომ საკუთრების ობიექტად განიხილებოდნენ.

ყველა მძიმე გადასახადს, რომელსაც გლეხობა იხდიდა, დაემატა ***ბანალიტეტი*** (banalitete), რაც საფრანგეთის რევოლუციამდე შემორჩა. სენიორები ითხოვდნენ, რომ გლეხებს პური მათ წისქვილებზე დაეფქვათ, ყურძენი მათ საწურში გამოეწურათ, პური მათ ღუმელებში გამოეცხოთ და ა.შ. ამ ბანალიტეტისათვის გადასახადის დაკისრება გლეხებზე სენიორის შეხედულებით ხდებოდა.

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ „პირველი ღამის უფლება“ (ლათ. jus primae noctis), რომლის გამოსყიდვა გლეხს შეეძლო.

ყველა კატეგორიის გლეხები სენიორის ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მიუხედავად

იმისა, რომ საგლეხო თემებში თავიანთი სასამართლოები ჰქონდათ (ეშევენების სასამართლო), სენიორს შეეძლო ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ჩაესვა ციხეში, ეწამებინა ან სიკვდილით დაესაჯა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირი.

დროთა განმავლობაში გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა იცვლებოდა. XV ს-თვის პირადი განთავისუფლების პროცესი დასრულდა, თუმცა ზოგიერთი უფლებრივი შეზღუდვა დარჩა, რაც იწვევდა აჯანყებებს. ცნობილია XVI-XVII სს-ის გლეხთა აჯანყება, ქალაქებში აღინიშნებოდა არაერთგზის გამოსვლები.

ამ პერიოდის დიდებულები საფრანგეთში განსხვავდებოდნენ ინგლისის დიდებულთაგან, სადაც ჩამოყალიბდა ახალი ფენა ჯენტრი.

XVII-XVIII სს-ში ქალაქში ყალიბდება *ბურჟუაზია* როგორც სავაჭრო, ასე სამრეწველო სფეროში. მისი როლი იმდენად იზრდება, რომ სოლიდურ ადგილს იკავებს სახელმწიფოს მართვაში.

მრეწველობის ზრდას ასევე მოჰყვა *მუშათა* ფენის ჩამოყალიბება. სწორედ ეს ორი ფენა ქმნის პოლიტიკურ ამინდს საფრანგეთში, რადგანაც საკუთარი უფლებამოსილების დამკვიდრება პოლიტიკურ ძვრებში ვლინდება. ეს ძვრები საკმაოდ ნათელი გახდა XIX-XX სს-ში. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიისა და მუშების, მათთან ერთად საზოგადოების სხვა (არაძირითადი) ფენების უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდის სოციალური კანონმდებლობის განხილვის დროს დავაკონკრეტოთ.

ბურჟუაზია ზოგადი სახელწოდებაა ბანკირებისა, პრივილეგირებული სავაჭრო კომპანიებისა. ამ ფენისათვის ხელმისაწვდომი იყო ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა სახელმწიფოში. ამიტომ არ უნდოდა რევოლუცია და კმაყოფილდებოდა ზოგიერთი ცვლილებებით სამთავრობო წარმოებაში.

მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ მსოფლიო მწარმოებლები, საბითუმო და საცალო ვაჭრები. მათ უფრო რადიკალური მოთხოვნები ჰქონდათ: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, კონკურენციისა და საწარმოო ინიციატივის თავისუფლება.

ცალკე უნდა გამოვყოთ წვრილი ბურჟუაზია საფრანგე-

თის რევოლუციაში აქტიური როლის გამო. მის შემადგენლობას ავსებდნენ ხელოსნები და წვრილი ვაჭრები.

§ 46. საფრანგეთის სამართლის წყაროები

სამართლის წყაროები საფრანგეთში ისტორიულად ისეთივე მრავალფეროვნებითა და არაერთიანობით გამოირჩევა, როგორც ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილება. მთელი საფრანგეთი სამართლის წყაროების გამოყენების მიხედვით იწოდებოდა ჩვეულებით სამართლის ქვეყნად შეიძლება გაიყოს: სამხრეთი (ლანგეტოკი, პროვანსი, დოფინე, ლიონი, ელზასი), რომელმაც დასძლია რომაული სამართალი და იწოდებოდა ***დაწერილი სამართლის*** ქვეყნად (pays du droit kcrit) და ჩრდილოეთი (ბრეტანი, ნორმანდია და სხვა), სადაც ჩვეულებითი სამართალი ბატონობდა. საფრანგეთის ეს ნაწილი იწოდებოდა ჩვეულებითი სამართლის ქვეყნად (pays du droit coutumier).

მეფის ხელისუფლების განმტკიცებას მოჰყვა კანონიკური და ადათობრივი სამართლის გვერდით მეფის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების ზრდა, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით გამოიცემოდა: 1) ***ორდონანსები*** (ordonnances — მეფისა და გენერალური შტატების ერთობლივი დადგენილება); 2) ***ედიქტები*** (kdits — ადრინდელი კანონების განმარტებანი).

ამრიგად, შინაარსობრივი თვალსაზრისით საფრანგეთის სამართლის წყაროები მის კოდიფიკაციამდე შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ***კუტიუმები*** (Coutumes) — ასე ეწოდებოდა ადათობრივი სამართლის ნორმებს საფრანგეთში. იგი, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად ქვეყნის სამხრეთ ნაწილში იყო გავრცელებული. ჩვენამდე მოღწეულია კუტიუმების ორი კრებული. პირველი შედგენილია გამოჩენილი მოსამართლისა და იურისტის ბომანუერის მიერ XIII საუკუნის 80-იან წლებში. ამ კუტიუმებში გადმოცემულია სენიორისა და ვასალის უფლება-მოვალეობები, აღწერილია გლეხთა კატეგორიები, მოცემულია სასამართლო წარმოების წე-

სები. მეორე კრებულს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, იერუსალიმის არზები ეწოდებოდა. იგი შედგენილია კვიპროსის სენიორის და იურისტის ჟან იბელინის მიერ XII საუკუნის ბოლოს. ამ კრებულს უშუალოდ ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს მისი მსგავსი ადათების კრებული, რომელსაც ანტიოქიის არზები ეწოდება. ამ კრებულში ასახულია ჩრდილოეთ საფრანგეთის ადათ-ჩვეულებები.

2. ***სამეფო ორდონანსები*** (Ordonnances Royales) — ეწოდებოდა მეფის მიერ გამოცემულ ბრძანებულებებს, რომელიც მოქმედებდა მეფის სამფლობელოში და აწესრიგებდა სამეურნეო, საფინანსო, ადმინისტრაციულ, საპოლიციო, სასამართლო საკითხებს. ამავე ხასიათის იყო სენიორების მიერ გამოცემული არზები, რომელიც სენიორის მამულში მოქმედებდა.

3. ***რომის სამართალი*** (Droit de Rome) უმთავრესად მოქმედება სამხრეთ საფრანგეთში, სადაც განვითარებული იყო სავაჭრო ურთიერთობა, აღებმიცემობა და საქალაქო ცხოვრება.

4. ***კანონიკური სამართალი*** (Droit canonique) ეწოდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომლებიც მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქრისტიანო სამყაროში. მას თან ერთვოდა ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები. ორივე ერთად შეადგენდა საეკლესიო სამართალს.

5. ***ფეოდალური სამართლის კრებულები*** ეწოდებოდა იმ აქტების ერთობლიობას, რომლებიც შედგენილი იყო XII საუკუნის II ნახევარში და აწესრიგებდა საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებს. აქ ლაპარაკი იყო ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმებზე, კერძოდ, რა უფლებები აქვს სენიორს ვასალის მიმართ, რა შემთხვევაში შეიძლება სენიორმა ვასალს ჩამოართვას ფეოდი და სხვა.

სამართლის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია კოდიფიკაცია, რომელიც დაიწყო ნაპოლეონის მმართველობის ეპოქაში შექმნილი კოდექსებით. განვიხილოთ ნაპოლეონის კოდექსები.

1804 წ. ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსი. ისტორიამ იცის, რომ ბონაპარტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ იურიდიულ დოკუმენტს. როცა მისი სიცოცხლე დაისისაკენ მიდიოდა, თქვა:

ჩემი ისტორია და სახელი ის ორმოცამდე ბრძოლა არ არის, რომელიც მოვიგე. ყველა ისინი ვატერლოომ წაშალა. მაგრამ არ შეიძლება და არც მოხდება ჩემი სამოქალაქო კოდექსის დავიწყება[1].

ამ კოდექსში კლასიკური გამოხატულება პოვა კერძო საკუთრების უფლებამ. რომაული ცივილური სამართლის გავლენით ინსტიტუციური სისტემით დაყოფის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი სამ ნაწილად იყოფა: 1) პირები; 2) ნივთები; 3) ვალდებულებანი. კოდექსის წყაროს წარმოადგენდა რევოლუციის პერიოდის კანონმდებლობა. კოდექსის სანივთო სამართლის ნაწილის მიხედვით აღიარებული იყო მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. ვალდებულების ნაწილი ასევე ითვალისწინებდა კერძო და წარმოების ინიციატივას. დეტალურადაა რეგლამენტირებული სამუშაო ძალის ქირავნობის ხელშეკრულებათა საკითხი.

ნაპოლეონის შესახებ ამბობდნენ, რომ კალმით ის ყოველთვის აკლებდა თავის თავს იმას, რასაც მახვილით იპყრობდა. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონის თანამედროვე სტენდალი აღნიშნავდა: „ნაპოლეონმა დააჩქარა სამართალწარმოება და იგი უფრო სამართლიანი გახადა. ასე რომ, იგი ერთადერთი მაგალითია ისტორიაში! — ყველაზე დიდ მხედართმთავარს საფრანგეთი უნდა უმადლოდეს კანონთა სისტემატიზაციას, რომელმაც შეცვალა დაპირისპირებულობა და ქაოსი კანონმდებლობაში, რითაც ეს ქვეყანა იმართებოდა“[2].

1808 წელს მიღებული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამ კოდექსით დაფუძნდა შეჯიბრებითობის პროცესის პრინციპები, რომელმაც შეცვალა ინკვიზიციური სამართალწარმოება. ამ პრინციპებს შორის აღსანიშნავია: უდანაშაულობის პრეზუმფცია, ნაფიც მსაჯულთა არსებობა, პროცესის ზეპირობა და საჯაროობა, მტკიცებულობათა თავისუფალი შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე და სხვა.

1810 წ. მიიღეს სისხლის სამართლის კოდექსი. მასში და-

1 John Abbott. The Life Of Napoleon Bonaparte; Biography & Autobiography ; 2005; p.:625

2 Esdaile C. Napoleon's Wars: An International History, 1803-1815. — London, New York, etc.: Penguin, 2009, p.452.

მუშავებულია დანაშაულთა და სასჯელთა სისტემა. ამავე წელს იქნა მიღებული სავაჭრო კოდექსიც. დიდხანს იარსება საფრანგეთში. მხოლოდ XX ს-ის დასაწყისში შევიდა მათში ზოგიერთი ცვლილება. მაგ., 1925 წ. კანონით ოფიციალურად დამკვიდრდა მონოპოლიის ახალი ფორმა — ამხანაგობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა, სააქციონერო საზოგადოება.

§ 47. სამართლის ცალკეული დარგების ევოლუცია საფრანგეთში

სამოქალაქო სამართალი. უპირველეს ყოვლისა, გამოვყოთ საკუთრების ინსტიტუტის თავისებურება, რაც მის იერარქიულ სტრუქტურაში გამოიხატა. იგი ეხებოდა მიწათმფლობელობას. არაფრისაგან შეზღუდული საკუთრების უფლება (ლათ. dominium directum) აღიარებული იყო მხოლოდ მეფისა და პირველი რანგის მსხვილი ფეოდალებისათვის. ყველა სხვა ფეოდალი მიწების მფლობელებად ითვლებოდა და არა მესაკუთრედ.

საკუთრების ამგვარი დაყოფა რომაულ სამართალზე დაყრდნობით, თეორიულად სცადეს XIII ს-ში გლოსატორთა სკოლის წარმომადგენლებმა. გარკვეული სამსახურის პირობით სარგებლობაში არსებული მიწები, ძალიან მალე შესაძლებელი გახდა მემკვიდრეობით გადასულიყო და მიიღო სახელწოდება ***ფეოდი***, განსხვავებით ***ბენეფიციუმისაგან***, რომელიც სამუდამო მფლობელობას გულისხმობდა.

საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც საერთოდ არ იყო ***ალოდი***, დამკვიდრდა წესი: არ არის მიწა სენიორის გარეშე (nulle terre sans seigneur). ჩრდილოეთში, პირიქით, სადაც ალოდს ჯერ კიდევ გარკვეული წონა ჰქონდა, საწინააღმდეგო წესი არსებობდა: არ არის სენიორი ტიტულის გარეშე (nul seigneur sans titre), ე.ი. სენიორს თავისი უფლება მიწის საკუთრებაზე უნდა დაემტკიცებინა სენიორობის ხარისხით.

გლეხები მიწაზე საკუთრების უფლებით არ სარგებლობდნენ.

ისინი შეიძლება მიწასთან ერთად ურთიერთობის ობიექტი ყოფილიყვნენ. სენიორს შეეძლო სერვის გაყიდვა მიწით და უმიწოდ, მაგრამ არა ოჯახთან გაყრით.

ფულადსასაქონლო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად განვითარდა კერძო საკუთრება. მეფეები ცდილობდნენ განემტკიცებინათ პირდაპირი და უშუალო უპირატესი საკუთრება მიწაზე (seigneurie directe et universelle de la couronne). ამიტომ ყოველგვარი გარიგების დროს, მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, მეფეები მოითხოვდნენ წილს მათ სასარგებლოდ.

საკუთრების უფლების განხილვა საფრანგეთის სახელმწიფოს პირველ ეტაპზე არ იქნება სრულყოფილი, თუ არ შევეხეთ უფლებაუნარიანობის საკითხს. სხვადასხვა წოდების არსებობა და საერო და სასულიერო დიდებულთა პრივილეგიები სამოქალაქო უფლებაუნარიანობის განსხვავებულ პრინციპებს გულისხმობდა. შეზღუდული იყო უცხოელების, პროტესტანტებისა და ებრაელების უფლებაუნარიანობა. თავადაზნაურობას ეკრძალებოდა ფიზიკური შრომა და ხელობა (გარდა მიწის დამუშავებისა), ვაჭრობა (გარდა საზღვაო), თავადობის ჩამორთმევის ან „შეჩერების" მუქარით. მათ ეკრძალებოდათ აგრეთვე სასამართლოსა და ადმინისტრაციაში დაბალი თანამდებობების დაკავება. რჯულის მსახურებს არ შეეძლოთ მიეღოთ ქონება არც მემკვიდრეობით, არც ანდერძით, არ შეეძლოთ ექორწინათ და ა.შ.

ვალდებულებითი ურთიერთობების სფეროში ძირითადად რომაული სამართლის ნორმები იყო დამკვიდრებული. 1673 წ. გამოცემული სავაჭრო კოდექსი ინარჩუნებდა წოდებრივ ხასიათს. სავაჭრო სამართალი ამ კოდექსის მიხედვით განხილული იყო როგორც ვაჭართა წოდებების უფლება. იგი არეგულირებდა სავაჭრო ამხანაგობებს, ვექსილებს, ბანკროტობას და სხვა ურთიერთობებს, რომელიც სავაჭრო ბრუნვაში წარმოიშობოდა. მნიშვნელოვანი აქტია 1681 წ. ორდონანსი საზღვაო ვაჭრობის შესახებ.

შეიცვალა და გაღრმავდა სამოქალაქო სამართლის სფერო რევოლუციის შემდეგ. შეიცვალა მესაკუთრეთა სუბიექტები. სახელმწიფო გახდა მიწის სრული მესაკუთრე. სარგებლობაში არსე-

ბულ მიწებზე სხვადასხვა ხასიათის შეზუდვა დაეწესდა.

სამოქალაქო სამართლის განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია უარის თქმა დადებული ხელშეკრულებების უტყუარი ძალის პრინციპზე. გაუთვალისწინებელ გარემოებებზე დაყრდნობით, ერთ-ერთ მხარეს სასამართლო გზით შეეძლო მიეღწია კონტრაქტის პირობების შეცვლის ან საერთოდ უარყოფისათვის. 1928 წ. მიიღეს კანონი, რომელიც ნებას რთავდა ხელშეკრულების მხარეებს შეეწყვიტათ შრომითი ხელშეკრულება. ქალების ქმედუნარიანობა სრული მოცულობით აღიარეს 1938 წ. ომის შემდგომ წლებში კი კანონმდებლობით დამტკიცდა სახელმწიფოს უფლება — მონაწილეობა მიეღო კერძო ფირმათა საქმიანობაში. ზოგიერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო კი ნაციონალიზებულ იქნა.

სისხლის სამართალი. სისხლის სამართლის სფეროში თავდაპირველად ბარბაროსული სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშნები დამკვიდრდა. შემდგომში შეიცვალა შეხედულებები დანაშაულის იურიდიულ შედეგებზე. დაზარალებულისაგან სამაგიეროს მიზღვის პრინციპი შეიცვალა ფულადი გადასახადით (Vérguilde).

აღიარებული იყო პასუხისმგებლობის საფუძვლად ბრალი, თუმცა მის გვერდით არ გამორიცხავდნენ ობიექტური შერაცხვის პრინციპს, მაგ., დამნაშავე პირის ნათესავებზე პასუხისმგებლობის დაკისრება; არ არის დაზუსტებული შერაცხადობის ცნება; პროცესები იმართებოდა ცხოველთა წინააღმდეგაც.

სამართალწარმოებაში გამოიყენება კერძო ბრალდების პრინციპი, და დანაშაულის ძიება იწყება დაზარალებული პირის საჩივრით. ***მტკიცებულობათა*** შორის გამოიყენებოდა — ფიცი, ორდალი და სასამართლო ორთაბრძოლა.

მთელი ფეოდალიზმის ხანაში საფრანგეთის დასჯითი სისტემა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აგებული იყო შურისძიებისა და დაშინების პრინციპზე. სასჯელები განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა. იდევნებოდა სახელმწიფო და რელიგიური დანაშაული, ათეიზმი და რევოლუციური იდეები.

წოდებრიობის პრინციპი, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იყო სასჯელთა დაწესებისას.

სისხლის სამართლის ნორმების კოდიფიკაციამდე, ***დანაშაულთა და სასჯელთა სისტემა*** დგინდებოდა სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით. დანაშაულები სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: 1) რელიგიის წინააღმდეგ მიმართული (ღვთის გმობა, ათეიზმი, მისნობა); 2) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული (მეფეზე ან მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმა და სხვა); 3) კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

1670 წლის ორდონანსი უშვებდა არა მარტო პერსონალურ, არამედ თემებისა და კორპორაციების კოლექტიურ პასუხისმგებლობას. გამოიყენებოდა ობიექტური შერაცხვა. სასჯელი შეიძლება დაჰკისრებოდათ ბავშვებსაც, ჭკუასასუსტებსაც. ეწყობოდა სასამართლო პროცესები მიცვალებულთა, ცხოველთა და უსულო საგნების წინააღმდეგ (სახიფათო წიგნების დაწვა).

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმისწარმოება ***ინკვიზიციურ*** ხასიათს ატარებდა. მისი წესი განისაზღვრა 1670 წლის ორდონანსით. წინასწარი გამოძიება ორ სტადიად იყოფოდა: საერთო გამოძიება (ლათ.: inquisitio generalis) და სპეციალური გამოძიება (ლათ. inquisitio specialis). პირველ სტადიაზე მიმდინარეობდა მტკიცებულებათა შეგროვება და ბრალეული პირის პიროვნების დადგენა, მეორე სტადიაზე — მტკიცეულებათა შემოწმება და დაკითხვა. ძიება მიმდინარეობდა ფარულად, წერილობით მტკიცებულებათა და წამების ფორმალური თეორიის გამოყენებით, რომელიც შეიძლება ორჯერ ჩატარებულიყო: ერთხელ ბრალეულისაგან აღიარების მიღწევისათვის, მეორედ — სიკვდილით დასჯის წინ გაუხსნელი თანამონაწილის დადგენისათვის. სასამართლო სხდომა ფარული იყო საბრალდებო დასკვნის, მოწმეების გამოძახების გარეშე (წინასწარი გამოძიების დროს დაკითხულნი). განაჩენი შეიძლებოდა სამი სახის ყოფილიყო: გამამტყუნებელი, გამამართლებელი და ეჭვის ქვეშ დამაყენებელი.

ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომი პერიოდი ნათელი მაგალითია იმისა, რომ მკვეთრი სოციალური დაპირისპირების პირობებშიც შეიძლება ასი წლის წინანდელი კოდექსებით სარგებლობა. საფრანგეთში ასეთი ელასტიკური დისპოზიციების მქონე

კანონია 1810 წლის კოდექსი, რომელიც დამსახურებულად *„კლასიკური კოდექსის“* სახელწოდებას ატარებს.

1958 წ. მიღებულ იქნა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელიც ეყრდნობოდა სასამართლოს ღიად განსჯადობის პრინციპს პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში.

მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში დანაშაულმა უმაღლეს დონეს მიაღწია. მიუხედავად მკაცრი სასჯელებისა და მათ შორის სიკვდილით დასჯის უამრავი შემთხვევებისა, დანაშაულის რიცხვი მაინც იზრდებოდა. ფართოდ გავრცელდა კრიმინოლოგიური დოქტრინა — ***სისხლის სამართლის დამნაშავის „რესოციალიზაცია“***, რაც იქიდან გამომდინარეობდა, რომ სასჯელის მიზანს წარმოადგენდა არა დაშინება, არამედ დამნაშავის გამოსწორება.

1958-1959 წწ. და 1960-1963 წწ. გადაისინჯა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსები.1981 წ. 9 ოქტომბრის კანონით კი საფრანგეთში აიკრძალა სიკვდილით დასჯა. იგი შეიცვალა სამუდამო პატიმრობით.

ადმინისტრაციული სამართალი. ადმინისტრაციული სამართალი საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, თავდაპირველად განვითარდა საჯარო სამსახურის მარეგულირებელი სამართალი. ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო და სხვა სფეროების ზრდას მოჰყვა პრობლემების თავმოყრა, რომელთაც ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებდა.

ფრანგულ ადმინისტრაციულ სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საჯარო სამსახურის ცნებას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას მოსახლეობის, მოქალაქეთა გაერთიანებების, სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საერთო ინტერესების სფეროში. მთავარი მაჩვენებელი საჯარო სამსახურისა ისაა, რომ თუ „საერთო ინტერესების“ დაკმაყოფილებას სახელმწიფო შეუძლებლად თვლის, მაშინ ასეთი სფერო კერძო პირის ან გაერთიანების ხელში რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საჯარო სამსახურის მიკუთვნებულ საკითხებს კერძო პირები და ჯგუფები შეასრულებენ, მართლსაწინააღმდეგოდ იქნება მიჩნეული. საფრანგეთში ***საჯარო***

სამსახურს (Service public) ეკუთვნის: პოლიციის საქმიანობა, სამხედრო მმართველობა, ადმინისტრაციული იუსტიცია, განათლების სისტემა, მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფა, სოციალური უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერა და ა.შ.

სამართალწარმოება. სასამართლო წარმოება საფრანგეთში განსხვავებული სახით ჩამოყალიბდა. შეიქმნა სამეფო, სენიორული, საეკლესიო და ადგილობრივი იურისდიქცია.

მეფის იურისდიქციის განხორციელება მხოლოდ სამეფო დომენში პრევო და ბალის მეშვეობით ხდებოდა, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც პირდაპირ მეფეს ექვემდებარებოდა. XIII საუკუნიდან დომენში უმაღლეს სასამართალო ორგანოს პარლამენტი წარმოადგენდა.

სენიორული იურისდიქცია ფეოდალების მიერ ხორციელდებოდა იმუნიტეტის საფუძველზე.

თავდაპირველად ფეოდალურ სასამართლოთა შემდეგი იერარქია არსებობდა — ქვედა და ზედა (ლათ. alta et bassa justitia). XIII საუკუნიდან წარმოიშვა იუსტიციის შუა რგოლი (ლათ. media justitia).

ფეოდალურ სასამართლოებში დამკვიდრებული იყო პრინციპი — ყველა უნდა გასამართლდეს თანასწორის მიერ. თუმცა ეს პრინციპი მხოლოდ თავისუფალთა კატეგორიას ეხებოდა. გლეხები და მონები მათი მეპატრონეების მიერ სამართლდებოდნენ.

საერო ფეოდალურ სასამართლოებთან ერთად არსებობდა აგრეთვე *სასულიერო ფეოდალთა სასამართლოები*, რომელთაც ეხებოდათ არა მარტო სასულიერო პირთა საქმეების განხილვა, არამედ, იმ საერო პირებისაც, ვისაც რაიმე შემხებლობა ჰქონდა ეკლესიასთან. პირველ ინსტანციას ამ სისტემაში ეპისკოპოსის სასამართლო წარმოადგენდა, მეორეს — არქიეპისკოპოსის, მესამეს — პაპის სასამართლო.

ქალაქებში იურისდიქცია ხორციელდებოდა ან თვითმმართველობის ორგანოების, ან მეფის მიერ პრევო და ბალის მეშვეობით, ან სენიორების მიერ მათი უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის პერიოდში ცვლილებები ხდება სამართალწარმოებაშიც. იზრდება მეფის იურისდიქცია (პრევო და ბალის მეშვეობით) ფეოდალთა იურისდიქციის შეზღუდვის ხარჯზე. 1358 წლის მარტის ორდონანსით აიკრძალა ამ თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა და დამტკიცდა, რომ გადასცემოადათ იმ პირებს, რომელთა კანდიდატურა შეთანხმებული იქნებოდა პროვინციულ შტატებთან. თუმცა ორდონანსის ეს მოთხოვნა არ განხორციელებულა.

პარიზის პარლამენტი, წარმოადგენდა რა მეფის დომენში უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს, იყოფოდა სამ პალატად: პირველი ორი (grande chambre და chambre des enquêtes) იხილავდა სამოქალაქო, საფინანსო და ზოგიერთი სახით სისხლის სამართლის საკითხს, მესამე (chambre de La tournelle) — მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს. მოგვიანებით წარმოიშვა მეოთხე პალატაც — საჩივრების პალატა (chambre de requêtes), სადაც განიხილებოდა საჩივრები სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განაჩენებზე.

ფეოდალური მამულების სამეფო დომენზე მიერთების შემდეგ, მეფემ აქაც დააარსა პარლამენტები, რომლებიც იქცნენ პარიზის პარლამენტის ქვედანაყოფებად. დადგინდა წესი პარლამენტის მიერ მეფის ნორმატიული აქტების რეგისტრაციისა. პარლამენტს შეეძლო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, თუ ჩათვლიდა, რომ მეფის მიერ მიღებული აქტი არასამართლიანი იყო (რემონსტრაციის უფლება — droit de remontrances). მეფეებს შეეძლოთ რეგისტრაციისათვის მიეღწიათ, თუ პირადად გამოცხადდებოდნენ პარლამენტში სამეფო კართან ერთად, რადგან მისი დასწრების შემთხვევაში პარლამენტს აღარ შეეძლო უარი ეთქვა მეფის მოთხოვნაზე.

თანდათან დაიწყო საეკლესიო სასამართლოების იურისდიქციის შეზღუდვა. ამასთან ერთად დაწესდა სამეფო პროკურორის თანამდებობა (ლათ. procurator regis, advocatus regis), როგორც მეფის ინტერესების გამომხატველი. ისინი ბრალმდებლებად გამოდიოდნენ სასამართლო პროცესზე.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ეტაპზე სამარ-

თალწარმოებას შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა: 1) სამეფო იურისდიქციის გაზრდა (cas royaux); 2) ფეოდალთა სასამართლო გადაწყვეტილებაზე აპელაციის წარმოება; 3) სასამართლო ქვემდებარეობის განსაზღვრა არა სამართალდარღვევის საცხოვრებელი ადგილის (ლათ. forum domicilii), არამედ დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით (ლათ. forum delicti comissi).

აბსოლუტიზმის პერიოდში საფრანგეთის მეფეები თვლიდნენ რა თავს ხელისუფლების წყაროდ, ამტკიცებდნენ, რომ ყოველგვარი სამართლიანობა მეფისგან მომდინარეობს (toute justice kmane de roi). ამიტომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა სენიორებისა და ეკლესიის იურისდიქცია. საფრანგეთის სამართალწარმოება საკმაოდ რთული და დახლართული იყო, რამდენადაც არსებობდა დიდი რაოდენობით სასამართლო ინსტანციები განუსაზღვრელი სამართალქვემდებარეობით. ფართოდ დაინერგა ევოკაციის პრაქტიკა, ანუ გამოჩენილ ადამიანთა საქმის ამოღება საერთო ქვემდებარეობიდან და მათი გადატანა სამეფო საბჭოში. სასამართლოებთან აღმოცენდა პროკურატურა და ადვოკატურები.

საფრანგეთის რევოლუციების შემდეგ სახელმწიფო მოწყობის სწრაფი ცვლა სასამართლო სისტემასაც შეეხო, თუმცა ეს ცვლილებები სასამართლო ორგანიზაციის გამარტივებისაკენ იყო მიმართული. იგი საბოლოოდ დაიხვეწა კონსულობის პერიოდში. მნიშვნელოვანი კანონი იყო 1800 წ. 18 მარტის კანონი სამართალწარმოების შესახებ. დაბალ ადმინისტრაციულ ერთეულში — კომუნაში შეიქმნა ***სამომრიგებლო სასამართლოები***, რომლებიც მცირე სამოქალაქო, სისხლის სამართლის დარღვევებს იხილავდნენ. ასეთ შემთხვევაში გამოდიოდნენ როგორც „უბრალო საპოლიციო სასამართლოები". სამოქალაქო საქმეებზე მეორე ინსტანციას წარმოადგენდა ***გამასწორებელი პოლიციის ტრიბუნალი***, რომლის შემადგენლობა სამი მოსამართლით განისაზღვრებოდა. საშუალო სიმძიმის საქმეებზე იგი პირველი ინსტანციის სასამართლოდ გამოდიოდა.

სასამართლო სისტემის შემდეგი რგოლი ***სააპელაციო***

სასამართლოდ იწოდებოდა. მასთან 1810 წ. ჩამოყალიბდა ***ასიზების სასამართლო*** 3 მრჩევლითა და 12 ნაფიცი მსაჯულით, სადაც რთული ხასიათის სისხლის სამართალდარღვევები განიხილებოდა. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას სამოქალაქო და სისხლის საქმეებზე წარმოადგენდა მთელი საფრანგეთისათვის ერთიანი ***საკასაციო სასამართლო.***

სამომრიგებლო სასამართლოს წევრები აირჩეოდნენ, ხოლო დანარჩენი სასამართლოების შემადგენლობა ინიშნებოდა სამუდამოდ. 1807 წ. დადგინდა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე მუდმივად ინიშნებოდა პირი, რომელმაც ამ სფეროში 5 წელი იმსახურა 1810 წ. აღდგა ***ადვოკატურა***, რომელიც რევოლუციის დაწყისში დაითხოვეს.

1801 წ. თებერვალში მთავრობამ თითოეულ დეპარტამენტში, სადაც თვლიდა საჭიროდ, დააფუძნა ***საგანგებო ტრიბუნალები***, სამოქალაქო და სამხედრო პირებისაგან შერეული შემადგენლობით. მათ ფუნქციას შეადგენდა პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ წაქეზების საქმეთა განხილვა. ამ სასამართლოთა განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

პარიზის კომუნამ ყველა სასამართლოს მოსამსახურე კომუნის მსახურად გამოაცხადა. გამოიცა დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა კატეგორიის სასამართლოს განცხადებით უნდა მიემართა იუსტიციის კომისიაში უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე, თუკი გამოიყენებდნენ კომუნის კანონით დადგენილ პრინციპებს. ასეთი განცხადების არწარდგენის შემთხვევაში მოსამართლე თავისუფლდებოდა დაკავებული თანამდებობიდან.

კომუნის პერიოდში ფუნქციონირებდა შემდეგი სახის სასამართლო ორგანოები: ***სამომრიგებლო სასამართლოები***, ***სამოქალაქო საქმეთა პალატა*** (სამოქალაქო ტრიბუნალი) და ***ბრალმდებელი ჟიური*** ვერსალელების საქმეზე. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით ***ნაფიც მსაჯულთა სასამართლო*** იყო, სადაც საარჩევნო უფლებით ნაციონალური გვარდიელები სარგებლობდნენ. ბრალდებული განიხილებოდა პროცესში, როგორც თანაბარუფლებიანი მხარე. იგი მონაწილეობას ღებულობდა მტკიცებულებათა განხ-

ილვაში და შეეძლო გაესაჩივრებინა ბრალდება და თვითონ აერჩია ადვოკატი.

მნიშვნელოვანი ადგილი კომუნის იუსტიციის სისტემაში ***პროკურატურას*** ეკავა. მისი პირველადი ამოცანა იყო ბრალდების მხარის დაჭერა ***საბრალდებო ჟიურის*** მიერ საქმის განხილვის დროს, მართლწესრიგის დაცვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისიასთან ერთად.

მთელ სასამართლო სისტემას ხელმძღვანელობდა ***პარიზის კომუნის საბჭო***. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოც იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებზე.

სასამართლო ორგანიზაციაში განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ XX საუკუნის ღონისძიებები, რომელთაც შეცვალეს სასამართლო სისტემა, მათი კომპეტენცია და საქმეთა ქვემდებარეობის საკითხი: მნიშვნელოვნად შემცირდა სასამართლოთა რიცხვი და მათი ტერიტორიული განსჯადობა. მომრიგებელი სასამართლოების ნაცვლად დაფუძნდა ***პროცესის ტრიბუნალი*** და ***დიდი პროცესის ტრიბუნალი***, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოების წარმოადგენდნენ. თუ პროცესის ტრიბუნალი ყოველ ოლქში არსებობდა, დიდი პროცესის ტრიბუნალი ფუნქციონირებდა დეპარტამენტებში სათითაოდ ან რამდენიმე ერთად.

სააპელაციო სასამართლო მეორე ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენდა სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე, რომელიც სამ ან ოთხ დეპარტამენტს ემსახურებოდა.

პირველ ინსტანციაში, საქმეთა განხილვა ხდებოდა 3 მოსამართლისა და 9 მსაჯულის მონაწილეობით.

სასამართლო სისტემას ამ რეფორმებით სათავეში ჩაუდგა ***საკასაციო სასამართლო***. იგი ორპალატიანი იყო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის მიხედვით. ამ სასამართლოს თავმჯდომარე საფრანგეთის უმაღლესი მოსამართლე და მისი საქმიანობა განისაზღვრა 1967 წ. 3 ივლისის კანონით „საკასაციო სასამართლოს შესახებ“.

საფრანგეთისათვის ტრადიციულ დაწესებულებას წარმოადგენს ***ადმინისტრაციული იუსტიცია***, რომელსაც საფუძველი ბურ-

ჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა. რევოლუციამ მიზნად დაისახა აბსოლუტიზმის ეპოქის სამეფო ადმინისტრაციის განუსაზღვრელი უფლებების ლიკვიდაცია და მისი კანონისადმი დამორჩილება. ადმინისტრაციული სამართლის შექმნა და განვითარება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საბჭოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ადმინისტრაციული იუსტიცია იხილავს თანამდებობის პირთა მოქმედებებზე საჩივრებს. ყველა მოსამართლე ამ სფეროში ინიშნება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიერ. ამ სასამართლოთა სისტემას სათავეში უდგას სახელმწიფო საბჭო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ცალკეულ ადმინისტრაციული აქტების კანონიერება, აგრეთვე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, მისცეს რეკომენდაცია სამართლებრივ საკითხებზე, განიხილოს ადმინისტრაციული სასამართლოების ყველა რგოლის გადაწყვეტილებათა აპელაცია და კასაცია. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე არის იუსტიციის მინისტრი.

პრეზიდენტის თავმჯდომარეობით ქვეყანაში აგრეთვე ფუნქციონირებს ***მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო***. იუსტიციის მინისტრი ამ საბჭოში ვიცე-თავმჯდომარის უფლებით შედის. საბჭოს 9 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ ქვემდგომ მოსამართლეებს და იხილავენ მათი დისციპლინური გადაცდომის საკითხებს. ეს ორგანო იძლევა დასკვნებს შეწყალების შესახებ.

პროკურატურის ორგანოები ექვემდებარება იუსტიციის მინისტრს და მთლიანად კონტროლირებადია მთავრობის მიერ. ყველა პროკურორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ. პროკურატურა აღძრავს სისხლისსამართლებრივ დევნას, კონტროლს უწევს წინასწარ გამოძიებას და ბრალდებით გამოდის სასამართლოში. საკასაციო სასამართლოში არის ***გენერალური პროკურორის***, ხოლო სააპელაციო სასამართლოებში ***გენერალური პროკურორების*** თანამდებობები. დიდი პროცესის თითოეულ ტრიბუნალში არის ***რესპუბლიკის პროკურორი***, პროცესის ტრიბუნალში — ***დიდი პროცესის ტრიბუნალის პროკურორი***.

§ 48. საპოლიციო სამსახური საფრანგეთში

სახელმწიფო აპარატში ჯერ კიდევ არმან ჟან რიშელიეს დროს, განსაკუთრებულ როლს იკავებდა პოლიცია. ეს იყო ორგანო, რომლის ფუნქციას შეადგენდა არსებული წესწყობილების შენარჩუნების მიზნით ყოველგვარი გამოსვლების გამოვლინება, ჩაქრობა და თვალყურის დევნება საზოგადოებრივი წესრიგის არსებული ნორმების დაცვაზე.

საპოლიციო სამსახურის დანიშნულება განსაკუთრებით მძაფრდება ლუი XIV-ს დროს. პოლიციას ისეთი ფართო უფლებები მიენიჭა, რომ მისი საქმიანობა რაიმე კანონით არ იყო შეზღუდული. ამიტომ დამკვიდრდა „კონვერტებში დაბეჭდილი ბრაძენებების" სისტემა (Systeme „Lettres de cachet"). მეფის ხელმოწერით დაინტერესებულ პირებზე გაიცემოდა თავისუფალი ბლანკი, სადაც შეიძლებოდა ყველაფერი ჩაწერილიყო. ასეთი დოკუმენტები საჭირო იყო სახელმწიფო წყობილების მოწინააღმდეგე პირების დაპატიმრებისას .სასამართლოსა და გამოძიების გარეშე განუსაზღვრელი ვადით. ასეთი წერილის მიხედვით ვოლტერი ორჯერ იჯდა ბასტილიაში. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაწესდა ადმინისტრაციული მეთვალყურეობა. სპეციალურ დაწესებულ „შავ კაბინეტში" („Cabinet noir") ხსნიდნენ კერძო ბარათებს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა სამეფო საბჭოსა და პარლამენტს, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა წიგნების ცენზურა. აჯანყების იდეოლოგიით გამსჭვალულ არა მარტო წიგნების ავტორებს დევნიდნენ, არამედ გამომცემლებსაც და გამყიდველებსაც კი. ასეთი ბედი ეწიათ ვოლტერის „ფილოსოფიურ წერილებს", ჰოლბახის „ბუნების სისტემას", ჰელვეციუსის „გონის შესახებ".

საპოლიციო აპარატზე, როგორც ცალკე არსებულ სპეციალიზებულ ორგანოზე, შეიძლება ვილაპარაკოთ ნაპოლეონის ეპოქიდან, როცა იგი საკმაოდ განმტკიცდა. ისტორიულად ცნობილია პოლიციის სამინისტროს ყოვლისშემძლე უფროსი ჟ.ფუშე. მან დაასრულა სამინისტროს ყველა რგოლის ფორმირება: „შპიკები",

„შავი კაბინეტი", ბარათების წარმოება, თვითნებური დაპატიმრებები და ა.შ. პარიზში დაფუძნდა საგანგებო რეჟიმი. კერძოდ, ქალაქის პოლიციის პრეფექტს დაეკისრა განსაკუთრებული უფლებამოსილებანი: ნაპოლეონი უშუალოდ ისმენდა მის მოხსენებებს.

ნაპოლეონის მიერ საპოლიციო აპარატის ორგანიზაციას ფრანგები ხშირად მიმართავდნენ სახელმწიფოში არსებული რეჟიმის შეცვლის მიუხედავად.

საფრანგეთის პოლიციის თანამედროვე სტრუქტურა დადგინდა 1966 წლის 9 ივლისის კანონით „ნაციონალური პოლიციის ორგანიზაციის შესახებ", რომელშიც არაერთი ცვლილება და დამატება შევიდა. ყველა საპოლიციო სამსახური ერთიან საერთო-ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მკაცრად აერთიანებდა სახელმწიფო კომპლექსში სამ მსხვილ ფორმირებას: 1) ეროვნული უშიშროების ორგანოები; 2) პარიზის პოლიცია; 3) ეროვნული ჟანდარმერია.

ეროვნული უშიშროების პოლიცია შედგება საქალაქო პოლიციის ორგანოებისა და უშიშროების რესპუბლიკური ბრიგადებისაგან. 10 ათასი კაცისაგან დასახლებულ ქალაქებში არსებობს პოლიციის კომისარიატები კომისრის მეთაურობით. ეს უკნასკნელი ექვემდებარება ქალაქის მერს.

თავისებური სტრუქტურა და რამდენადმე სპეციფიკური უფლებები გააჩნია საფრანგეთში ***სისხლის სამართლის პოლიციას***. ქვეყანა დაყოფილია რაიონებად, რომელიც 4-6 დეპარტამენტს აერთიანებს. სისხლის სამართლის პოლიციის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური ინსტანციები წარმოადგენენ ზოგად სისხლის -სამართლებრივ და ფინანსურ-ეკონომიკურ სექციებს, აგრეთვე ზოგიერთ ზოგად სამსახურებს — ინფორმაციის განყოფილება, იდენტიფიკაციის განყოფილება, საბარათო სისტემა, არქივი.

საპოლიციო პრეფექტურას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ჰყავს რამდენიმე ადმინისტრაციული და ოპერატიული სამმართველო.

ეროვნული ჟანდარმერია ორგანიზებულია, როგორც სამხედრო ფორმირება. მისი კომპეტენცია ვრცელდება სახელმწიფოს

ადმინისტრაციულ, სასამართლო და სამხედრო საქმიანობაზე. ყველაზე ქვედა რგოლია კანტონის ტერიტორიის მომსახურე 15-20 კაციანი ჯგუფი. ასეთი ჯგუფების ორგანიზაციული სტრუქტურა ეყრდნობა სამხედრო მოწყობის პრინციპს. ეროვნული ჟანდარმერიის ნაწილს შეადგენს მობილური ჟანდარმერიის ლეგიონი და სარეზერვო ჟანდარმული ჯგუფები.

თავი IV. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოსა და სამართალის ისტორია (ახ.წ.V–XX სს.)

§ 49. ინგლისის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა

ბრიტანეთის კუნძულზე მცხოვრებ ტომებს, ბრიტებს (Britons/ Brits), რომელთა სახელწოდებიდანაც წარმოდგა შემდგომში კუნძულისა და თვით სახელმწიფოს სახელი, კონტინენტიდან მოსული კელტები (Celts) შეერწყნენ. ჩვენამდე არსებული ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ კელტურ სამყაროს იცნობდნენ ფინიკიელები, ძველი ბერძნები და რომაელები.

ძვ.წ. I საუკუნიდან, 55-54 წწ., იულიუს კეისარიდან მოყოლებული, ბრიტანეთი რომაელების ხშირი შემოსევის ობიექტი იყო. ახალი წელთაღრიცხვის 60-იანი წლების დამლევს კი, იმპერატორ დომიციანის დროს, რომის სახელმწიფოს ერთ-ერთ პროვინციად იქცა. კოლონიური მმართველობისათვის რომის იმპერატორების მიერ აქ ინიშნებოდა პროპრეტორი და იგი წარმოადგენდა როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამხედრო მმართველობის განმახორციელებელ პირს. რომაელების ბატონობა ბრიტანეთზე დაახლოებით 500 წელს გაგრძელდა. IV-V საუკუნეებში ხელისუფლების წინააღმდეგ სოციალური აჯანყებისა და გერმანელი ტომების შემოსევების გამო რომში სახელმწიფოებრივი კრიზისი დაიწყო. უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების კონცენტრაციით და ლოკალური ბრძოლებით ხელისუფლება ცდილობდა კრიზისიდან თავის დაღწევას. ამ პერიოდს ემთხვევა რომის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ ბრიტანეთის კუნძულების დატოვება, რის შემდეგაც აქ მაცხოვრებელმა კელტებმა შეინარჩუნეს პრიმიტიული პოლიტიკური მმართველობის ფორმები. თუმცა გერმანული ტომების (ანგლები, საქსები, იუტები) შემოსევების შედეგად ბრიტანეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესი შეჩერდა. VI-VII საუკუ-

ნეებში გერმანელებმა ხელთ იგდეს თითქმის მთელი ბრიტანეთი (შოტლანდიისა და უელსის გარდა), მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი ლეტებად აქციეს, ნაწილი გააძევეს ბრიტანეთიდან, რომლებიც უელსში, შოტლანდიასა და ბრეტანაში (საფრანგეთი) გადაიხვეწნენ. დაპყრობილ ტერიტორიაზე წარმოიშვა 7 პოლიტიკური ერთეული და ისინი სახელმწიფოთა ისტორიაში სამეფო-ჰეპტარქიებად არიან ცნობილი: ნორთუმბრია, მერსია, ბოსტიანი, ანგლია, ესექსი, უესექსი, კენტი. VII-VIII საუკუნეებში იწყება ბრძოლები ჰეპტარქიათა შორის ჰეგემონიის მოსაპოვებლად. პირველად ნორთუმბრიისა და მერსიის მეფეებმა, ხელისუფლების განმტკიცებისა და გლეხთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, ქვეყნის გაერთიანება დაიწყეს. ამას თან დაერთო სკანდინავიიდან დანიელების შემოსევის დასაძლევად ბრიტანული სამეფოების ერთიანი სამხედრო ხელისუფლების შექმნის აუცილებლობაც. IX ს-ში უესექსის მეფე ეგბერტმა შეძლო საბოლოოდ გაეერთიანებინა ბრიტანული სამეფოები „ინგლისის" სახელწოდებით. მეფე ალფრედ დიდის დროს კი (დაახლოებით 871-900 წწ.) ინგლისი პოლიტიკურად კიდევ უფრო გაძლიერდა. თუმცა 897 წ. ალფრედ დიდმა დანიელებთან შეტაკების დროს თავისი სახელმწიფოს მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. 1017-1035 წწ. ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი დანიის მეფეს კანუდ I-ს ემორჩილებოდა. ბრიტანეთის შემდგომი კოლონიზაციის პროცესი XI ს-ში გააგრძელა ვილჰელმ ჰერცოგ ნორმანდიელმა (ინგლისის მეფე ედუარდს სიკვდილის შემდეგ, შვილი არ დარჩენია), რომელმაც ტახტის მემკვიდრეობის პრეტენზიით, ინგლისს ომი გამოუცხადა და 1066 წ. 14 ოქტომბერს, ჰასტინგზის ბრძოლის შემდეგ დაიპყრო კიდეც ლონდონი. ასე დაიწყო ნორმანელების დინასტიის დამკვიდრება ინგლისში. ვილჰელმმა (უილიამი) დაპყრობილი მიწები თავის მოლაშქრეებს დაურიგა. სახელმწიფო მმართველობის უმეტესი ნაწილიც მათ ჩააბარა.

1066 წელს ნორმანდიელთა გაბატონებას ინგლისში არსებული ვითარება არ შეუცვლია. ვილჰელმ დამპყრობელს ინგლისში ბატონობის პრეტენზია სამემკვიდრეო ტიტულების საფუძველზე

ჰქონდა და არა დამპყრობელის უფლებით. თუმცა მის ბატონობას ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბება მოჰყვა, ნორმანდიის საჰერცოგოში ნაწრთობი ადმინისტრაციული მართვის მდიდარი გამოცდილებით. ნორმანდიელი სენიორები, რომლებიც ვილჰელმს გამოჰყვნენ, ცდილობდნენ ერთმანეთის ირგვლივ გაერთიანებულიყვნენ, რათა მოპოვებული ნადავლი და ქონება დაეცვათ. სასახლის ენად ფრანგული დარჩა, ლათინური კი ეკლესიის ენად ითვლებოდა ტიუდორების დინასტიის გამეფებამდე XV ს-ში. ასე რომ, ადგილობრივი მოსახლეობა და ადმინისტრაციული მმართველობა ყოველმხრივ გამიჯნული აღმოჩნდა ურთიერთისაგან. ასეთ შემთხვევაში ვილჰელმ დამპყრობელი ცდილობდა ძლიერი ვასალები არ ჰყოლოდა, რათა დამატებითი საფრთხე არ შეექმნა თავისი მმართველობისათვის. როცა ქვეშევრდომებს მიწებს ურიგებდა, ვილჰელმს არ შეუქმნია არც ერთი მსხვილი ფეოდი, ამიტომაც ვერც ერთმა ბარონმა ვერ გაბედა მისი მეტოქეობა. ასე რომ, ზოგადი პრინციპების მიუხედავად, რაც თან ახლავს კაცობრიობის განვითარებას, ინგლისმა ეს ეტაპი გარკვეული ***თავისებურებებით*** გაიარა:

1. 1066 წელს ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობამ გამოიწვია მეფის ძლიერი ხელისუფლების წარმოშობა ინგლისში. ამ ფაქტორმა ერთგვარად განსაზღვრა კიდეც შუა საუკუნეების ინგლისის პოლიტიკური ისტორია. მეფე ვილჰელმმა გამოსცა სასტიკი კანონები, რათა მორჩილებაში ჰყოლოდა მთელი მოსახლეობა. ასე რომ, XI-XII საუკუნეების ინგლისის მონარქია მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოადგენდა, რომლის მსგავსი უცნობი იყო კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის.

2. ინგლისში უმაღლესი იურისდიქცია მხოლოდ მეფეს ეკუთვნოდა. საგრაფო სასამართლოს არ შეეძლო გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი. ეს ფუნქცია მხოლოდ მეფის კომპეტენციას შეადგენდა. გარდა ამისა, ყველა იმ განაჩენზე, რომელიც საგრაფო სასამართლოს გამოჰქონდა, შეიძლებოდა საჩივარი შეეტანათ მეფის სასამართლოში. ეს ზღუდავდა ადგილობრივ იურისდიქციას. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მეფის ხელისუფლების სიძლიერეზე.

3. ინგლისში აიკრძალა კერძო ომები. მაშინ, როცა კონტინენტურ ქვეყნებში XI-XIII სს.-ში ასეთი ომები დაკანონებული იყო. ერთი სენიორი ეომებოდა მეორეს, მისი ვასალი — მეორე სენიორის ვასალს და ეს ომი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ამას კი ანარქია შეჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინგლისში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან მეფის ძლიერმა ხელისუფლებამ ასეთი ომები საკანონმდებლო წესით აკრძალა.

4. მამულს, რომელსაც ინგლისში მანორი (manor) ეწოდებოდა, არასოდეს მიუღწევია ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, ამ პერიოდის საფრანგეთში მთელი ქვეყანა დაქსაქსული იყო რამდენიმე ათეულ მსხვილ ფეოდალურ სამთავროდ და ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. არსებითად მსხვილი ფეოდალური მამული საფრანგეთში პატარა სახელმწიფოს წარმოადგენდა. საფრანგეთის ფეოდალები დამოუკიდებელი იურისდიქციით სარგებლობდნენ. მათ მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოოდ ითვლებოდა.

5. ინგლისის სახელმწიფოს თავისებურებაა ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში აქ შენარჩუნებული იყო გლეხთა თავისუფალი კატეგორიები. მთლიანად გლეხობა არასოდეს ყოფილა დაყმევებული. ასევე შენარჩუნებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობაც. საგრაფოები, ასეულები და სოფლები თვითმმართველობის უფლებით სარგებლობდნენ (თვითმმართველობა ნიშნავს, როცა გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მიერ არჩეული ორგანო ან თანამდებობის პირი მართავს).

ვილჰელმმა დაიპყრო რა ინგლისი, გასცა ბრძანება მოსახლეობის აღწერის ჩატარების შესახებ. ეს აღწერა 20 წელს გაგრძელდა და 1086 წლისათვის შედგენილ იქნა საადგილმამულო აღწერის დიდი დავთარი, რომელსაც „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ (Domesday Book) ეწოდა. ასეთი სახელწოდება იქიდან მომდინარეობდა, რომ, როცა აღწერა დაიწყო, ხალხში ხმა გავრცელდა, აღწერის დამთავრების შემდეგ განკითხვისა და საშინელების დრო

დადგება, როგორც ეს ბიბლიაშია ნახსენებიო. ოცი წლის განმავლობაში ხალხი ამ შიშით იყო შეპყრობილი. ბოლოს კი გაირკვა, რომ აღწერას სრულიად პრაქტიკული აზრი და მიზანი ჰქონდა. ვილჰელმს სურდა დაედგინა ადგილმამულის ოდენობა ამა თუ იმ საგრაფოში. დაედგინა მათი სახეობა — თუ რას წარმოადგენდა — სახნავ-სათესს, ტყეს, მდელოს, მინდორს, სათიბს, საძოვარს, თუ სხვას. რა შემოსავალს იძლეოდა ესა თუ ის მამული დაპყრობამდე და რას იძლეოდა დაპყრობის შემდეგ, რომელი მამულები ეკუთვნოდა მეფეს და რომელი ბარონებს. საშინელი სამსჯავროს წიგნში ჩამოთვლილი და იმჟამად ინგლისში არსებული 15.000 სამფლობელო და 20.000 კომლი, ევროპის კონტინენტისაგან განსხვავებით, ამ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ორგანიზებულობითა და დისციპლინის სულისკვეთებით ხასიათდებოდა. მეფემ ამ აღწერის შედეგად გაარკვია შემოსავლის წყაროები საგრაფოში და ამის მიხედვით შემოიღო მოსახლეობის დაბეგვრა. მიწათსარგებლობაში განმტკიცდა პრინციპი — „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არაა“ (Homo homines, mei homo monest). ე.ი. ვილჰელმ დამპყრობელი მიწის უმაღლეს მესაკუთრედ გამოცხადდა და მოსთხოვა ყველა მიწათმფლობელს ერთგულების ფიცი.

საშინელი სამსჯავროს წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა XI საუკუნის ინგლისის სოციალური წყობისა და უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, რასაც შესაბამის ქვეთავში განვიხილავთ.

ჯონ უმიწაწყლოს (Jon „Lackland“) დროს (1199-1216 წწ.) მეფის დესპოტურმა პოლიტიკამ ქვეყნის შიგნით ფეოდალები აამხედრა, საგარეო ურთიერთობაში კი მარცხიანმა ბრძოლებმა ინგლისი ეკონომიკურად და პოლიტიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ყოველივე ამას მოჰყვა ბარონების შეტევა მეფის ხელისუფლებაზე, რაც ისტორიულად სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში ცვლილებებით დამთავრდა. 1215 წელს ბარონებმა მეფეს წაარუდგინეს მოთხოვნები და იგი თავისი ხელისუფლების ნაწილობრივ გადარჩენის მიზნით იძულებული იყო გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. ეს მოთხოვნები ისტორიაში შევიდა „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“(„Magna Carta _ The Great Charter“) სახელწოდებით,

რომელიც მსხვილი ბარონებისა და მეფის ურთიერთდამოკიდებულების იურიდიული დოკუმენტია და მოწმობს ბარონების გამარჯვებას მეფის ხელისუფლებაზე.

ქარტია 63 მუხლისაგან შედგება, იგი იწყება შესავლით, სადაც აღნიშნულია, რომ მეფე იოანე უმიწაწყლომ „მიუბოძა“ თავისუფლება თავის ქვეშევრდომებს. აქ ნაჩვენებია, რომ თითქოს მეფემ ამ ნაბიჯით თავისი კეთილი ნება გამოხატა. ქარტიის I მუხლით დაკანონდა ინგლისის ეკლესიის თავისუფლება და ხელშეუხებლობა. ამით ხაზგასმული იყო ჰენრიხ მეორის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა უკანონობა. იოანე უმიწაწყლომდე არსებობდა წესი, რომ, თუ მეფის ვასალი ბარონი გარდაიცვლებოდა, მისი მამული მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე. შემდგომ ამ წესს ინგლისის მეფეები ხშირად არღვევდნენ, ამიტომ ქარტიამ II-V მუხლებით დაადგინა, რომ გარდაცვლილი ვასალის მამულს მემკვიდრეობით იღებდნენ მისი შვილები. XII მუხლში აღნიშნული იყო, რომ მეფეს მხოლოდ სამ შემთხვევაში შეეძლო დახმარება ეთხოვა თავისი ქვეშევრდომებისაგან. საქმე ის იყო, რომ ინგლისის მეფეები თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში თვითნებურად, ქვეშევრდომების დაუკითხავად აწესებდნენ გადასახადებს მოსახლეობაზე. ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ფული ამოეღოთ მათგან. ბარონების დაჟინებით თავისუფლებათა დიდ ქარტიაში შევიდა მუხლი, სადაც განისაზღვრა, თუ რა შემთხვევაში შეეძლო მეფეს შეწევნა ეთხოვა: ა) როდესაც მეფის პირველი ვაჟიშვილი რაინდად ეკურთხებოდა. ეს დიდ ზეიმთან იყო დაკავშირებული, რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა და დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ ქვეშევრდომებს ევალებოდათ დახმარება აღმოეჩინათ მეფისათვის; ბ) თუ მეფე ტყვედ ჩავარდებოდა, ქვეშევრდომები ვალდებულნი იყვნენ გამოესყიდათ იგი; გ) როცა მეფის პირველი ქალიშვილი პირველად გათხოვდებოდა. არც ერთ სხვა შემთხვევაში მეფეს არ ჰქონდა უფლება დახმარება ეთხოვა ქვეშევრდომთათვის. XIV მუხლით დადგინდა, რომ სამეფოს საერთო გადასახადებისათვის შექმნილიყო სპეციალური საბჭო, რომელიც განსაზღვრებოდა, თუ რა მიზნით და რა შემთხვევაში შეიძლებოდა

ახალი გადასახადების შემოღება. XV მუხლით აღიარებული იყო ქ. ლონდონის თავისუფლება. იგი ცხადდებოდა დამოუკიდებელ ქალაქად, რომლის მიმართ მეფის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა. ქარტიის მიღებამდე ინგლისის სამეფოში არ არსებობდა ზომაწონის ერთეული, რაც თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას უწყობდა ხელს. ამის აღკვეთის მიზნით, გამოცხადდა ღვინის, ლუდის, პურის, ხორბლის ერთიანი წონის ერთეულები მთელს სამეფოში.

ბარონების იურისდიქციაში ჩაურევლობის მიზნით, ქარტიის 34-ე მუხლით დადგინდა, რომ მეფეს არ შეეძლო ჩარეულიყო ფეოდალთა სასამართლო კომპეტენციაში. 41-ე მუხლის შესაბამისად, გამოცხადდა ვაჭართა თავისუფალი, უშიშარი და უბაჟო მიმოსვლა წყალსა და ხმელეთზე. ქარტიის ზოგიერთ მუხლში ჩაწერილ იქნა მეფის ვასალების, ბარონების ქონების ხელშეუხებლობა. მეფეს არ შეეძლო თვითნებურად ჩამოერთვა თავისი ვასალისათვის მამული და ციხე-დარბაზები. თუ ვასალი რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, მაშინ 25 ბარონისაგან შემდგარი პერების (თანასწორთა) სასამართლო დაადგენდა, თუ რა სასჯელი უნდა დაჰკისრებოდა ასეთ ვასალს. იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა მოგვარებულიყო კონფლიქტი მეფესა და ბარონებს შორის. დაბოლოს, განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს ქარტიის 39-ე, 40-ემუხლები, რომლებიც პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის საკითხებს ეხებოდა. 39-ე მუხლში ნათქვამია, „არც ერთი თავისუფალი კაცი არ იქნებოდა დაპატიმრებული, ან სამფლობელო წართმეული, ან კანონგარეშედ გამოცხადებული, ან გაძევებული, ან რაიმე გზით გაუბედურებული და ჩვენ არ წავალთ და არც სხვას გავგზავნით მის წინააღმდეგ სხვანაირად, თუ არა მის თანასწორთა კანონიერი განაჩენით და ქვეყნის კანონით". 40-ე მუხლით აღიარებულ იქნა, რომ „არავის არ მივყიდით უფლებასა და სამართლიანობას, არავის ვეტყვით მასზე უარს და არ დავაყოვნებთ მათ"[1].

აღსანიშნავია, რომ თავისუფლებათა დიდი ქარტია ინგლისის სახელმწიფოს ისტორიაში წარმოდგენილია, როგორც დე-

1 Turner, Ralph V. Magna Carta: Through the Ages, Pearson/Longman, 2003, p. 56-59

მოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი.

ამ სამართლებრივი აქტით დაიწყო კარდინალური ცვლილებები ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების შეზღუდვას მოჰყვა საზოგადოების ფენათა უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებები და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების რეორგანიზაცია.

1216 წელს ინგლისის ტახტზე ავიდა მეფე ჰენრი III, რომელიც 1272 წლამდე მეფობდა. ეს პერიოდი აღინიშნება სასტიკი ბრძოლებით მეფესა და ბარონებს შორის. მართალია, თავისუფლებათა დიდი ქარტიით ბარონებმა გარკვეული უფლებები მოიპოვეს, მაგრამ ჰენრი III არავითარ ანგარიშს არ უწევდა ამ დოკუმენტით დადგენილ წესებს და სრულიად უგულებელყოფდა თავის ქვეშევრდომთა უფლებებს. ამის გამო მოხდა შეტაკება მეფის ხელისუფლებასა და მსხვილ ბარონებს შორის. 1258 წ. ქ. ოქსფორდში მეფემ მოიწვია ბარონებისა და სასულიერო პირებისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც ისტორიაში შევიდა ***„ცოფიანი პარლამენტის“*** სახელწოდებით. ბარონები მოითხოვდნენ ***„ოქსფორდის პროვიზიის“*** მიღებას, რაც თავისი აგებულებით, იურიდიული ანალიზით, კონსტიტუციის ნაირსახეობად ჩაითვალოს.

„ოქსფორდის პროვიზია“ ფართო უფლებებს ანიჭებდა ბარონთა საბჭოსა და მათ კომიტეტებს. მათი თანხმობა აუცილებელი იყო საკანონმდებლო, საფინანსო და მმართველობით სფეროში საკითხების გადაწყვეტისას. მეფე ხელისუფლებას უნაწილებდა „კომიტეტ 15-ს“ და „კომიტეტ 24-ს“. ეს კომიტეტები აღჭურვილნი იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირთა საქმიანობაზე კონტროლის უფლებით. პროვიზია ადგენდა, რომ ბარონთა საბჭო(ჩრეატ Council) უნდა შეკრებილიყო წელიწადში 3-ჯერ.

ხელისუფლების გაყოფისათვის ბრძოლის გართულების გამო, მეფე შეეცადა მიემხრო საშუალო ფეოდალები და მათი უფლებების დაცვის მიზნით 1253 წ. მიიღო ***„ვესტმისტერის პროვიზია“***. ამ დოკუმენტით მსხვილ ფეოდალებს ეკრძალებოდათ ვასალებისათვის მოეთხოვათ იმაზე მეტი სამსახური ან ფულადი გადასახადი, ვიდრე

ეს ადრე იყო დადგენილი. თუმცა მეფეს ვერც ამ პოლიტიკურმა ნაბიჯმა უშველა. მეფესა და მსხვილ ბარონებს შორის შეიარაღებული ბრძოლის დროს, საშუალო და წვრილმა ფეოდალებმა სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით ბარონთა მხარე დაიკავეს. ეს ბრძოლა ფეოდალთა გამარჯვებით დამთავრდა 1264 წ. მეფესთან 19 წევრისაგან შემდგარი საბჭოს — ***პარლამენტის*** დაფუძნებით.

XIV-XV საუკუნეებში ინგლისის დამარცხებამ 100-წლიან ომში საფრანგეთთან, შავი ჭირის საშინელმა ეპიდემიამ, გაზრდილმა გადასახადებმა და ამ ნიადაგზე უოტ ტაილერის მეთაურობით აჯანყების დამარცხების შემდეგ შექმნილმა რთულმა ვითარებამ ბატონყმობის შერყევა გამოიწვია. თითქმის სულ მოისპო ფეოდალებზე გლეხების დამოკიდებულება (ყმობა). ამას თან დაერთო ინგლისში 1455-1485 წლებში ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის შინაომი, რომელმაც პლანტაგენეტების სამეფო დინასტიის ორ შტოს — ლანკასტერებსა და იორკებს შორის ინგლისის ტახტისათვის ბრძოლის სახე მიიღო, ეს ომი ორივე საგვარეულოს გაულეტით დამთავრდა. ამან ტახტისაკენ გზა გაუკვლია ტიუდორების დინასტიას და 1485 წ. მეფედ ეკურთხა ჰენრი ტიუდორი. ამ ეტაპიდან იწყება ინგლისის სახელმწიფოს ისტორიაში ***აბსოლუტიზმის ხანა***. ამ დროს ინგლისის სოციალურ ცხოვრებაში დიდი ძვრები მოხდა. დაწინაურდა და მომძლავრდა ინგლისის ბურჟუაზია, თავადაზნაურობის საგრძნობი ნაწილი ვაჭრობასა და მეწარმოებას ეზიარა. მათგან ჩამოყალიბდა საზოგადოების ახალი ფენა „ჯენტრი"(Gentry). ჯენტრი და ბურჟუაზია ერთად წარმოადგენდნენ მეფის ძლიერი ხელისუფლების მომხრეებს. ისინი სახელმწიფოს სიძლიერეში ხედავდნენ ქვეყნის შიგნით სიმშვიდის უზრუნველყოფის საშუალებას და ბაზრების გაზრდის გარანტს.

XVI-XVII საუკუნეებში, ინგლისში სწრაფი განვითარება დაიწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, რომელიც ჯერ სოფლად დამკვიდრდა, შემდეგ ქალაქად.

ჰენრი VIII ტიუდორის დროს (1509-1547 წწ.) ინგლისში განხორციელდა რეფორმა. ინგლისის ეკლესია რომის ეკლესიას გამოეყო. ანგლიკანური ეკლესიის სახით, რომელიც უშუალოდ დაე-

ქვემდებარა მეფეს და სულ მალე ტიუდორთა, შემდეგ სტიუარტთა აბსოლუტიზმის იარაღად იქცა. რეფორმაციის შედეგად სეკულარიზებული სამონასტრო მიწები ხელთ იგდო ჯენტრიმ და ქალაქის ბურჟუაზიამ. ელისაბედ I ტიუდორის მეფობის ხანაში (1558-1603 წწ.) ინგლისმა ფართო კოლონიურ პოლიტიკას მიჰყო ხელი. შეიქმნა უამრავი სავაჭრო კომპანია, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვაჭრობა, წარმოება. ხელისუფლება წარმატებით ებრძოდა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო კონკურენტებს, პირველ რიგში, ესპანეთს. სტიუარტების დინასტიის დროს (1603-1649 წწ.) იწყება ფეოდალური აბსოლუტიზმის კრიზისი და ახალი თავადაზნაურობის კონფლიქტი „ძველ რეჟიმთან" – აბსოლუტიზმთან.

სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტიზმი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. ბრიტანული აბსოლუტიზმიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. კერძოდ, მას არ მიუღწევია ისეთი მწვერვალებისათვის, როგორც საფრანგეთში ლუი XIV დროს. ლუი XIV-ს ცნობილი ფრაზა – „სახელმწიფო ეს მე ვარ" – არ შეიძლება თქმულიყო ინგლისში, რადგანაც მეფის ხელში არ იყო თავმოყრილი მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, ე.ი. ინგლისის აბსოლუტიზმი ***დაუსრულებელი აბსოლუტიზმია***, რადგანაც მეფესთან ერთად არსებობს პარლამენტიც. არ შექმნილა მსხვილი მუდმივმოქმედი არმია.

ერთ-ერთი თავისებურება იყო თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის კომპრომისი. ინგლისის ბურჟუაზია არასოდეს ყოფილა ისეთი თანმიმდევრული და რევოლუციური, როგორიც იყო საფრანგეთის ბურჟუაზია. პარლამენტის არსებობა ინგლისში, აძლიერებდა დაპირისპირებას მეფესა და დიდებულებს (Nobility) შორის.

XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა ტიუდორების დინასტიის ბატონობა და 1603 წელს ტახტი გადავიდა სტიუარტების ხელში, რომლის პირველი წარმომადგენელი მეფე ჯეიმს I იყო. დაწყებულმა სოციალურმა კრიზისმა თავი იჩინა პარლამენტსა და მეფის ხელისუფლებას შორის პოლიტიკური კონფლიქტის სახით. ანგლიკანურ ეკლესიას დაუპირისპირდა პურიტანული ეკლესია.

კონფლიქტი თანდათან გაღრმავდა და ჩარლზ I-ს მეფობის დროს (1625-1649 წწ.) რევოლუციაში გადაიზარდა.

გამწვავებულ ვითარებას მეფესა და პარლამენტს შორის დაემატა ის, რომ მეფემ დაიწყო პარლამენტისა და ქვეშევრდომების დაუკითხავად ახალი გადასახადების შეწერა მოსახლეობაზე.1628 წ. პარლამენტმა მეფეს წარუდგინა „პეტიცია უფლებათა შესახებ"(Petition of Right). როგორც ყოველთვის, მეფე წინააღმდეგი იყო, თუმცა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით იძულებული იქნა მიეღო პეტიცია. ეს დოკუმენტი ძირითადად ეხებოდა „თავისუფლებათა დიდი ქარტიის" დარღვეული მუხლების აღდგენას:

1. არავითარი გადასახადები არ შეიძლება შემოღებულ იქნეს პარლამენტის თანხმობის გარეშე, როგორც ეს დადგენილია თავისუფლებათა დიდი ქარტიით;

2. კანონის თანახმად, აიკრძალა უანონოდ დაპატიმრება, გაძევება, ქონების ჩამორთმევა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დროს სისტემატურად ირღვევა ეს დადგენილებანი, — აღნიშნული იყო პეტიციაში;

3. ვარსკვლავთა პალატის, როგორც სასამართლო დაწესებულების, არსებობა ეწინააღმდეგება თავისუფლებათა დიდი ქარტიის დადგენილებებს, მაგრამ იგი უნდა გაუქმდეს;

4. მეფემ იძულებით არ უნდა ჩაუყენოს ჯარი მოსახლეობას და არ უნდა აიძულოს ამის გამო ხარკი იხადოს მოსახლეობამ;

5. არ უნდა ხდებოდეს საომარი მოქმედების შემოღება და გამოცხადება უკანონოდ;

6. ადათისა და კანონის წინააღმდეგ გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი, რაც აშკარა უსამართლობაა;

ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მეფემ დაითხოვა ოპოზიციური პარლამენტი. ინგლისის ისტორიაში დაიწყო ე.წ. *უპარლამენტო მმართველობის* პერიოდი, რომელიც 1640 წლამდე გაგრძელდა. რევოლუციისაგან თავი რომ გადაერჩინა, მეფემ კვლავ მოიწვია პარლამენტი, თუმცა ისიც ოპოზიციაში ჩაუდგა. ახალმა პარლამენტმა 1653 წლამდე იარსება. ამ პერიოდში გატარდა

ზოგიერთი ისეთი რეფორმა, რომელიც ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას. კერძოდ, პარლამენტმა აკრძალა ახალი გადასახადების შემოღება მისივე თანხმობის გარეშე. დადგინდა, რომ მეფეს არ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება. გარდა ამისა, პარლამენტმა მოახდინა საერო და სასულიერო ფეოდალების მიწების კონფისკაცია და ეს მიწები განსაზღვრული სასყიდლით გადასცა ვაჭრებს. პერიოდს 1640 წლიდან 1653 წლამდე ***ხანგრძლივი პარლამენტის,*** სპერიოდი ეწოდება. წინააღმდეგობა მეფესა და პარლამენტს შორის უფრო და უფრო დაიძაბა და 1642 წელს მეფემ ომი გამოუცხადა პარლამენტს. ასე დაიწყო რევოლუცია ინგლისში. რევოლუციაში დაპირისპირებულ ძალებს წარმოადგენდნენ:

1. ***ლეველერები*** (Levellers-გამთანაბრებლები) – წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტია, რომელსაც სათავეში ედგა ჯონ ლილბერნი, რიჩარდ ოვერტონი და სხვა. ისინი მოითხოვდნენ ლორდთა პალატის წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, რესპუბლიკის შექმნას, კანონის წინაშე თანასწორობას, რჯულთშემწყნარებლობას. ისინი არ იზიარებდნენ სოციალური გათანაბრების იდეას, მომხრე იყვნენ კერძო საკუთრებისა და ამიტომ მათ დაუპირისპირდა ჯგუფი ***დიგერებისა*** (diggers — მთხრელები). უკიდურესი მემარცხენე ფრთა, რომელიც სოფლისა და ქალაქის უღარიბესი ფენების, უმიწო და მცირემიწიანი გლეხების ინტერესებს იცავდა. ეს მოძრაობა 1650 წ. გაუქმდა.

2. ***პრესვიტერიანები*** (presbyterian – უხუცესი) — ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. 1660 წლიდან მათ ხელი შეუწყვეს სტიუარტების დინასტიის რესტავრაციას. მისი მემარჯვენე ფრთას ***როიალისტები*** (Royalists) შეადგენდნენ.

3. ***ინდეპენდენტები*** (independents – დამოუკიდებელნი) — პროტესტანტიზმის ერთ-ერთი რელიგიურ-საეკლესიო მიმდინარეობის მომხრენი. რევოლუციის დროს პარტიად ჩამოყალიბდა და გამოხატავდა ბურჟუაზიის რადიკალური ფრთისა და ჯენტრის ინტერესებს. ისინი პრესვიტერიანებისაგან განსხვავებით, გადაჭრით უარყოფდნენ ყოველგვარ ეკლესიას, რომელიც დასაბამს

სახელმწიფოსაგან იღებს. სწორედ ამ პარტიას გაეთიშა ნაწილი, რომელსაც ოლივერ კრომველი მეთაურობდა.

რევოლუციამ ინგლისში ორი ეტაპი გაიარა: პირველი 1642-1646 წლებში, სამოქალაქო ომი, რომელიც პირდაპირ მეფისა და მისი მომხრე ლეველერების წინააღმდეგ იყო მიმართული და მეორე ეტაპი, როცა რევოლუციური ძალები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ომის დამთავრების საკითხთან დაკავშირებით. პრესვიტერიანები რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ და მოითხოვდნენ არმიის დაშლას. ინდეპენდენტები ოლივერ კრომველის მეთაურობით, მეფეზე გამარჯვების შემდეგ, მასების ბრძოლის შეზღუდვას ცდილობდნენ. კრომველმა შეძლო 1645 წ. პარლამენტის ჯარების რეორგანიზაცია (ე.წ. ახალი მოდელის არმია შექმნა) და დაუპირისპირდა ლეველერებს. თუმცა 1648 წ. II სამოქალაქო ომის დაწყებამ აიძულა კრომველი მათ ისევ დაკავშირებოდა ჯარისკაცთა მეოხებით, თემთა პალატიდან ინდეპენდენტთა მოწინააღმდეგენი (აშკარა როიალისტები და პრესვიტერიანები) განდევნა (ე.წ. ***პრაიდის წმენდა***). 1643 წელს კი მეფე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო უმაღლესი ხელისუფლების ერთადერთ გამომხატველად თემთა პალატა დარჩა. 1649 წ. 16 მარტს ოფიციალურად გამოცხადდა ***ინდეპენდენტთა რესპუბლიკა***. ეს პერიოდი ითვლება რევოლუციის კულმინაციად, რასაც მოჰყვა შიდა ძალების დაპირისპირება რესპუბლიკისადმი. კრომველმა ხელი მიჰყო ლეველერებისა და დიგერების რეპრესიებს. ამას თან დაერთო ირლანდიელთა აჯანყება, რომელიც სისხლში ჩაახშვეს და შოტლანდიის ლაშქრობა. ხანგრძლივმა სამოქალაქო ომმა გაამწვავა გლეხთა და ხელოსანთა მდგომარეობა და კვლავ მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია ინგლისში. აქედან გამოსავალი იყო მხოლოდ დიქტატურაზე გადასვლა და 1653 წ. ო.კრომველმა დაითხოვა ხანგრძლივი პარლამენტი, რომელიც უკვე გავლენას ვეღარ ახდენდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თუმცა ამის შემდეგ შექმნილმა მცირე პარლამენტმაც მხოლოდ ნახევარი წელი იარსება, და მთელი ხელისუფლება გენერალ კრომველის ხელში გადავიდა.

ახალი სახელმწიფოებრივი რეჟიმი განმტკიცდა 1653 წლის

კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტით, რომელიც იწოდებოდა, როგორც *„მმართველობის იარაღი"*. 1658 წელს კრომველი გარდაიცვალა. 1660 წელს პარლამენტის გადაწყვეტილებით ქვეყანაში აღდგა ***კონსტიტუციური მონარქია*** და ტახტზე ავიდა ჩარლზ II სტიუარტი. მან აღადგინა ლორდთა პალატა, მაგრამ მერკანტელისტურ გზას დაადგა და ცდილობდა გასული პერიოდის აბსოლუტიზმის აღდგენას. ბურჟუაზია და ჯენტერი დაუპირისპირდა მეფის ღონისძიებებს, რაც საპარლამენტო ბრძოლაში — ვიგებსა და ტორებს შორის წინააღმდეგობაში გადაიზარდა. ვიგები (Whigs) — მმართველი დინასტიის მოწინააღმდეგედ, ბურჟუაზიისა და ჯენტერის ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ, ტორები (Tories) — მიწათმფლობელი და საფინანსო არისტოკრატიის წარმომადგენლად.

1685 წელს სამეფო ტახტზე ავიდა ჯეიმს II, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მიებაძა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-თვის და ინგლისში დაემყარებინა ფრანგული ტიპის აბსოლუტიზმი. ამან გამოიწვია დიდი ფეოდალების მობრუნება ოპოზიციისაკენ და 1688 წელს ქვეყანაში მოხდა ***სახელმწიფო გადატრიალება***, რომელიც განხორციელდა ვიგების მიერ ტორების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილთან ერთად. ისტორიულ-იურიდიულ ლიტერატურაში ეს გადატრიალება ცნობილია „უსისხლო, ანუ სახელოვანი რევოლუციის" სახელწოდებით (Glorious Revolution)[1]. ამ რევოლუციის შედეგად სამეფო ხელისუფლება გადაეცა ჩარლზ II-ს სიძეს — ჰოლანდიის შტატ ჰალტერს უილიამ III ორანელს, რომელიც მართავდა თავის მეუღლესთან, ჯეიმს II-ს ქალიშვილ მარიამ სტიუარტთან ერთად. ამ გადატრიალებამ ბოლო მოუღო აბსოლუტიზმს ინგლისში, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმას და დაამკვიდრა ***კონსტიტუციური (პარლამენტური) მონარქია.***

XVIII ს-ში ინგლისმა ხელთ იგდო ახალი სამფლობელოები. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი კოლონიური სისტემა. ფაქტობრივად შეიქმნა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო კოლონიური იმპერია.

1 Vallance, Edward. The Glorious Revolution: 1688 – Britain's Fight for Liberty. Brown Little., 2006, p.98

XVIII საუკუნის დამლევსა და XIX ს-ის დასაწყისში დიდი ბრიტანეთი იყო ანტიფრანგული კოალიციის სულისჩამდგმელი. იგი ფაქტობრივად წარმართავდა ომს რევოლუციური და ნაპოლეონის-დროინდელი საფრანგეთის წინააღმდეგ (1792-1815 წწ.). დიდი ბრიტანეთი ცდილობდა არ დაეშვა ფრანგული (ანუ რევოლუციური) სენის გავრცელება თავის ტერიტორიაზე და სხვისი ხელით ცდილობდა გაენადგურებინა მთავარი მეტოქე — საფრანგეთი. ვენის კონგრესმა (1814-1815 წწ.) კიდევ უფრო განამტკიცა დიდი ბრიტანეთის სავაჭრო, სამრეწველო და კოლონიური მონოპოლიის ჰეგემონია. საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მოიწვიეს ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებმა, მონაწილეობდა ევროპის ყველა სახელმწიფო, გარდა ოსმალეთისა. ამ კონგრესის მთავარი მიზანი იყო: საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შედეგად ლიკვიდირებული ფეოდალური წყობილების და მთელი რიგი ლეგიტიმური დინასტიების აღდგენა, ევროპის ხელახალი გადანაწილება გამარჯვებული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად.

1816-1829 წწ. იფეთქა პირველმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და დაიწყო ფართო დემოკრატიული მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა. ისინი მოითხოვდნენ საპარლამენტო სისტემის რეფორმებს. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რადიკალური პუბლიცისტი უ.კობეტი და სოციალისტ-უტოპისტი რ.ოუენი. ამ ბრძოლებში ხელისუფლება მიმართავდა რეპრესიებს. ერთ-ერთი ასეთი რეპრესია პიტერლოს (Peterloo) სახელწოდებით, რომელიც 1819 წ. 16 აგვისტოს მოხდა, მანჩესტერში პიტერზფილდზე, კარგად არის ცნობილი ინგლისის ისტორიისათვის.

პარლამენტმა მიიღო კანონები პიროვნების, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლების წინააღმდეგ. რეფორმებისათვის მებრძოლი, რადიკალურად განწყობილი ლიდერები სამართალში მისცეს. იდეოლოგიაში დაწინაურდა მალთუსისეული თეორია[1] კოლონიური

1 ინგლისელი ეკონომისტის თომას მალთუსის (1766-1834) მიერ გამოთქმული ჰიპოთეზა: გლობალური შიმშილის საფრთხის შესახებ, როლემაც საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობისა და არსებობის ზრდის თანაფარდობის კანონს.

პოლიტიკის გამართლების თაობაზე. XVIII ს-ის პირველი ნახევრიდან ინგლისი აწარმოებდა ფართო კოლონიურ ომებს, რის შედეგადაც მან ხელში ჩაიგდო ინდოეთი, კანადა, ფლორიდა, გიბრალტარი და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ამავე პერიოდში ხდება ინგლისი აგრარული სამრეწველო გადატრიალების ქვეყანა. ამ ცვლილებებთან ერთად განვითარდა პარლამენტის, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ორგანოს, როლი. 1832 წელს გატარდა პარლამენტის რეფორმა, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. „ჩარტისტულ" მოძრაობასთან ინგლისში (ლონდონის მუშათა ასოციაციამ 1837 წ. შეიმუშავა პეტიცია, რომელიც კანონპროექტის სახით „People's Charter" სახელწოდებით გამოქვეყნდა. მისი მოთხოვნები იყო საარჩევნო უფლება მამაკაცებისათვის 21 წელი, ყოველწლიური არჩევნები, პარლამენტის წევრებისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმება და სხვა. მისი პირველი ორგანო იყო 60-იან წლებში შექმნილი „ლონდონის მუშათა ასოციაცია"). მუშათა კლასი გამოვიდა თავისი საარჩევნო მოთხოვნებით. მთავრობა იძულებული იყო ერთგვარ ლიბერალურ დათმობებზე წასულიყო. ამის შემდეგ სამი საარჩევნო რეფორმა გატარდა და XIX ს-ის ბოლოს პარლამენტმა გარკვეული ზეწოლა მიიღო ამომრჩეველთა გაფართოებული წრისაგან. წარმოიშვა სიტუაცია, რომლის მიხედვითაც პროლეტარიატს (იგი მოსახლეობის 80 %-ს შეადგენდა) შეეძლო საარჩევნო უფლებები თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა.

ამ პერიოდში მთელი მოძრაობების იდეოლოგიურ ბირთვს წარმოადგენდნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავისთავად ამომრჩევლებზე ზემოქმედების გარკვეული იარაღი იყო. მოკლედ შევეხოთ თვით ამ პარტიათა ისტორიას:

ლიბერალური პარტია XIX საუკუნისათვის წამყვან პარტიას წარმოადგენდა. ეს იყო პერიოდი, როცა მისი ლიდერი უილიამ გლადსტონი არაერთხელ მართავდა მთავრობას. პრაქტიკულად ამ პარტიის როლი მნიშვნელოვნად მცირდებოდა, რადგანაც მისი ძირითადი დასაყრდენი „თავისუფალი ვაჭრობის" პოლიტიკის მატარებელი ფენა, ამასთან, ნაციონალური და შოვინისტური ინტერესები, ბურჟუაზიისათვის მიუღებელს ხდიდა მათ პროგრამასა

და პოლიტიკურ პრაქტიკას. კოლონიური ექსპანსიის სულისჩამდგმელნი ხელოვნურად ქმნიდნენ წინააღმდეგობებს ირლანდიისათვის მრავალგზის დაპირებული თვითმმართველობის მინიჭებისათვის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1885 წ. ლიბერალების ნაწილი, დ. ჩემბერლენის მეთაურობით, გადავიდა კონსერვატორების მხარეს ირლანდიის თვითმმართველობის საწინააღმდეგო მოთხოვნებით.

პოლიტიკურ ძალთა განლაგებისას ისიც აღსანიშნავია, რომ ინგლისში, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში, შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ფენა არსებობდა მუშათა არისტოკრატიისა. 1893 წლიდან შეიქმნა დამოუკიდებელი მუშათა პარტია – ***ტრედ-უნიონთა პარტია***, რომელიც უფრო ფართო ფენებს აერთიანებდა მოსახალეობისა, ვიდრე კონსერვატორები და ლიბერალები. ამ პარტიის შექმნის დღიდან დადგა საკითხი პარლამენტში მათი წარმომადგენლობის შესახებ.

1900 წელს ლონდონის კონფერენციაზე, ტრედ-უინონთა გადაწყვეტილებით შეიქმნა მუშათა დეპუტატების სპეციალური კომიტეტი. 1906 წ. ამ კომიტეტიდან აღმოცენდა ქვეყნის ყველაზე უფრო მასიური პარტია — ***ლეიბორისტთა პარტია***. იგი რევოლუციური მოძრაობის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა ქვეყანაში.

ამავე პერიოდში გაძლიერდა ***კონსერვატორთა პარტიის*** პოლიტიკური იდეის პროპაგანდა, პარტიის მთავარი იდეოლოგი ბენჟამენ დიზრაელი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ თავიანთი გავლენა ტორებმა უნდა შეინარჩუნონ და გაავრცელონ შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველზე.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ინგლისის ხელისუფლებაში მოვიდა ლოიდ ჯორჯის კოალიციური მთავრობა, რომელიც შედგებოდა ლიბერალების, კონსერვატორებისა და ლეიბორისტების წარმომადგენლებისაგან. ასეთი მთავრობის წარმოქმნის ფაქტი გულისხმობდა, რომ მდგომარეობა საგანგებო იყო.

XX საუკუნეს ბრიტანეთი შეხვდა როგორც ყველაზე დიდი კოლონიური სახელმწიფო, თუმცა არცთუ სასიკეთოდ შეიცვალა მისი ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანამ მთლიანად დაკარგა სამრეწველო მონოპოლია უდიდეს საწარმოებზე.

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მოხდა ინგლისის პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი გადაჯგუფება. უპირველეს ყოვლისა, შემცირდა ლიბერალური პარტიის მომხრეთა რიცხვი. სამაგიეროდ, ლეიბორისტთა სახით ახალი ძალა დამკვიდრდა, რომელსაც ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ხალხთა მასებზე. 1924 წ. დასაწყისისათვის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა რ.მაკდონალდმა ჩამოაყალიბა პირველი ლეიბორისტული მთავრობა ინგლისის ისტორიაში, რომელშიც შედიოდნენ უკიდურესად რეაქციული ძალები ამ პარტიისა — ტრედიუნიონები.

მოვიდა რა ხელისუფლებაში ჯეიმს რამსი მაკდონალდი, მეფეს უმტკიცებდა, რომ „მართალია, მათ არავითარი გამოცდილება არ აქვთ ქვეყნის მართვისა, მაგრამ პატიოსანი და წესიერი აღმასრულებელნი იქნებიან მეფის სამსახურისა"[1]. მათი პირველი ნაბიჯები მეტყველებდა, რომ კაპიტალიზმის განმტკიცების პოზიციას ადგენენ.

ს. ბოდუენის ***კონსერვატორული მთავრობა*** ხელისუფლებაში 1924 წლის ბოლოსათვის მოვიდა და თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე აღწევდა ინგლისური კაპიტალიზმის სტაბილიზაციას. მიუხედავად ამისა, 1924-1929 წლებში მთავრობის ყველა ღონისძიება ჩაიშალა.

1931 წ. ლეიბორისტულმა პარტიამ არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა. მისი დეპუტატების რიცხვი თემთა პალატაში 289-დან 46-მდე შემცირდა. ხელისუფლებაში კონსერვატორთა დაბრუნებით 1931 წლიდან გადამწყვეტი ნაბიჯების განხორციელება დაიწყო ეკონომიკაში. ამავე წელს მიღებულ იქნა კანონი „არაკეთილსინდისიერი იმპორტის" წინააღმდეგ. 1932 წ. ეს კანონი შეიცვალა „იმპორტზე გადასახადების შესახებ" აქტით, რომელიც 100 % გადასახადს აკისრებდა ყველა შემოტანილ საქონელზე.

1931 წ. შეიქმნა ბრიტანეთის ფაშისტური კავშირი, რომლის პროგრამა ორ მიზანს ისახავდა: 1) დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის შიგნით მუშათა მოძრაობის ჩახშობა. 2) ინგლი-

1 Kevin Morgan. Ramsay MacDonald. 20 British prime ministers of the 20th century; Haus Publishing, 2006;p.:122

სური იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარება და სსრკ-ს წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია. ინგლისის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ არ დაიწყებდა ფაშისტური კავშირის დევნას სახელმწიფოში.

30-იანი წლებიდან ქვეყანაში მომწიფდა მწვავე პოლიტიკური კრიზისი. 1935 წ. არჩევნებში ლეიბორისტებმა 154 ხმა მიიღეს, კონსერვატორებმა — 387. თუმცა ისინი ხელისუფლებაში დიდხანს არ დარჩენილან. ა. ჩემბერლენის მთავრობა უიღბლო აღმოჩნდა.

1940 წ. 10 მაისიდან უ. ჩერჩილის მიერ შედგენილი მთავრობაც კოალიციური აღმოჩნდა, კონსერვატორების გარდა მასში შედიოდნენ ლეიბორისტები და ლიბერალები. ისიც უნდა ითქვას, რომ ლეიბორისტებმა შეინარჩუნეს კონსერვატორი ჟ.ჩერჩილი პრემიერ-მინისტრად.

1945 წ. საყოველთაო არჩევნების დროს კონსერვატორულმა პარტიამ, რომელმაც რეაქციული პოზიცია დაიკავა და პრაქტიკულად განუდგა მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებულ პოლიტიკურ კურსს, მარცხი განიცადა. სათავეში მოვიდა ლეიბორისტული პარტია კ. ეტტლის მეთაურობით, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების პროგრამით. მან მოახდინა ინგლისური ბანკის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, რკინიგზის, საზღვაო და საგზაო ტრანსპორტის ნაციონალიზაცია.

ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მემარჯვენე ლეიბორისტთა ლიდერებმა გამოიყენეს სოციალისტური ლოზუნგები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მრეწველობის ნაწილის, ქვეყანას მიიყვანდა „დემოკრატიულ სოციალიზმამდე". მალე მემარჯვენე ლეიბორისტთა პოლიტიკამ ხალხის წინააღმდეგობა გამოიწვია. 1951 წლის ოქტომბერში რიგგარეშე არჩევნების დროს ლეიბორისტებმა მარცხი განიცადეს. კ. ეტტლის მთავრობა გადადგა.

ჯერ კიდევ უ. ჩერჩილის დროიდან მომდინარეობს გამოთქმა, რომ „რუსები ყველაზე მეტად აღიქმებიან, როგორც ძალა"[1] ამიტომ ურთიერთთანამშრომლობის გზით უნდა მოხდეს მათი

1 Rasor, Eugene L. Winston- S. Churchill, 1874–1965: A Comprehensive Historiography and Annotated Bibliography. Greenwood Press, 2000. p.132.

დამორჩილება ანგლო-ამერიკულ იმპერიალიზმთან. ეს იყო ის პრინციპები, რომლებმაც მალე მიიღო სახელწოდება „ძალის პოზიციებიდან“. 1949 წ. 4 აპრილს ხელი მოაწერა ***ჩრდილო-ატლანტიკურ პაქტს***, რაც ძირითადად ჩერჩილის სიტყვების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა — შექმნილიყო დასალეთის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი.

1951 წ. ჩერჩილის მთავრობის დაბრუნება ნიშნავდა კონტროლის გაძლიერებას საფინანსო ოლიგარქიაზე. 1955 წ. ჩერჩილი გადადგა, პრემიერ-მინისტრის პოსტი ა.იდენმა დაიკავა, რომელიც 1957 წ. გ.მაკმილანმა შეცვალა.

ძირითადად მთელი XX საუკუნე ბრიტანეთის პოლიტიკის წარმართვაში ლეიბორისტთა და კონსერვატორთა პარტიების მონაცვლეობით მიმდინარეობდა. თუმცა ბრიტანეთში სხვა პარტიებიც ფუნქციონირებდა, რომლებიც გარკვეულ პრეტენზიას აცხადებენ ქვეყნის პოლიტიკაში. ***კონსერვატორთა პარტია*** მონოპოლისტური ბურჟუაზიისა და მსხვილ მიწათმოქმედთა არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. მათ შეძლეს მიემხროთ საზოგადოების სხვა ფენებიც. რიგგარეშე არჩევნების დროს 1979 წ. მაისში, სათავეში მოვიდა მთავრობა მ. ტეტჩერის — პირველი ქალი-პრემიერის მეთაურობით ევროპაში. პარტია გამოდის ლოზუნგებით: „კონკურენციის თავისუფლება“, „საკუთრების დემოკრატია“, „კანონი და მართლწესრიგი“, ხოლო ძირითად ლოზუნგის წინააღმედეგ: „იყოკონსერვატორი – ნიშნავს მიაბიჯებდე პროგრესის სათავეში“, ერთ-ერთი პირველი აქცია, რომლიც ტეტჩერის მთავრობამ ჩაატარა წარმოების სხვადასხვა დარგების დენაციონალიზაცია იყო.

ლეიბორისტთა პარტია 1906 წ. შეიქმნა. იგი ძირითადად შედგება მუშათა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან. ისინი თითქმის 8-ჯერ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში — 1981 წლიდან ლეიბორისტები გაიხლიჩნენ და ლეიბორისტთა საპარლამენტო ფრაქციას გამოეყო სოციალ-დემოკრატთა პარტია.

ლიბერალთა პარტია — გაფორმდა 1877 წ. ვიგების პარტიის ბაზაზე. დღესდღეობით იგი ეყრდნობა საშუალო და წვრილ

ბურჟუაზიას, მათვე ემხრობა კონსერვატორთა და ლეიბორისტთა პოლიტიკით განბილებული არისტოკრატიის ნაწილი. პარტიის პროგრამის იდეალურ პლატფორმას წარმოადგენს პიროვნების თავისუფლება და ქვეყანაში „ლიბერალური" საზოგადოების ჩამოყალიბება. ეკონომიკურ საკითხებში ახლოს დგას კონსერვატორებთან. პოლიტიკური თვალსაზრისით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების მომხრეა. ეს პარტია პარლამენტის პრესტიჟის აღდგენას მოითხოვს და მომხრეა ქვეყანაში პროპორციული არჩევნების დამკვიდრებისა.

კომუნისტური პარტია 1920 წ. შეიქმნა. 1951 წ. მათ მიიღეს ახალი პროგრამა „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ". პროგრამა განიხილავს ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხსაც. ეს პარტია ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

ამრიგად, ბრიტანეთის სახელმწიფოს განვითარება შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს:

1) სახელმწიფოს წარმოშობა, რაც დაკავშირებულია გერმანელი ბარბაროსი ტომების შემოსევასა და ჰეპტარქიათა ჩამოყალიბებასთან (V-VII სს.).

2) ანგლოსაქსური სახელმწიფოს პერიოდი, ინგლისის სახელწოდებით ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს შექმნა (VIII-X სს.).

3) XI-XII საუკუნეების ინგლისი. ეს პერიოდი ხასიათდება მტკიცე მონარქიული ხელისუფლებით, რომელიც ნორმანდიელებმა დაამკვიდრეს.

4) წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია ინგლისში (XIII-XVსს.), ანუ პარლამენტის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ეტაპი. .

5) აბსოლუტიზმი ინგლისში (XVI-XVII სს).

6) უსისხლო რევოლუცია და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრება (XVII-XX სს.).

შემდგომი პარაგრაფი ინგლისის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნასა და განვითარებას სწორედ ამ პერიოდების მიხედვით შეეხება.

§ 50. სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა და განვითარება ინგლისში

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სტრუქტურების პოლიტიკური მართვა მას შემდეგ დაიწყო, როცა ინგლისი რომის დიდი იმპერიის ერთ-ერთ გარე პროვინციად იქცა და ქვესტორის მეშვეობით იმართებოდა. თუმცა ეს იყო კოლონიური მმართველობის პირველი, პრიმიტიული ფორმა. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნას ინგლისელი სახელმწიფოთმცოდნეები უკავშირებენ გერმანელი ტომების შემოსევებს, რასაც მოჰყვა ბრიტანეთის ტერიტორიაზე 7 სამეფო-ჰეპტარქიის გაჩენა. ჰეპტარქიათა პერიოდში წარმოშობილი სახელმწიფო მმართველობა ხასიათდება მეფის ხელისუფლების უზენაესობითა და პრიმიტიული სახალხო აპარატის არსებობით. გარეგნულად ასეთი მმართველობა ძველი აღმოსავლური ქვეყნების პირველ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს წააგავს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც არის.

პირველმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა ინგლისში დაახლოებით XI საუკუნემდე იარსება და ეს ეპოქა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში **ანგლოსაქსური სახელმწიფო წყობილების** სახელწოდებითაა ცნობილი. სქემატურად განვიხილოთ, როგორი იყო მონარქიული მართვა-გამგეობის ფორმის სახელმწიფოს მექანიზმი პირველ ბრიტანულ სახელმწიფოებში:

1. *მეფე*. ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებამდე ცალკეულ ჰეპტარქიათა მეფეების ხელისუფლება შედარებით სუსტი იყო. მათი უმრავლესობა ირჩეოდა სახალხო კრებებზე. უფლებრივადაც არ განსხვავდებოდნენ სხვა დიდებულებისაგან. ამ პერიოდის დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ მეფის ქონების ქურდობისათვის დამნაშავე იხდიდა ჯარიმას იმავე ოდენობით, როგორც არქიეპისკოპოსის ქონების ქურდობისათვის. ჰეპტარქიათა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ, მეფე უმაღლესი იმპერიუმით აღიჭურვა. მის ხელში მოექცა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, სამხედრო ხელისუფლება, განმტკიცდა

მისი უფლებრივი მდგომარეობაც, მეფეზე ყოველგვარი ძალადობა უკვე უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და სიკვდილით დასჯას იწვევდა.

2. ***ბრძენთა საბჭო***, ანუ „უიტენა გემოტა" (Witena gamot) — წარმოადგენდა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, რომლის შემადგენლობა სხვადასხვა პერიოდში 30-დან 100-კაცამდე მერყეობდა. ბრძენთა საბჭოში შედიოდნენ მეფე (ზოგჯერ მეუღლეც), მეფის სრულწლოვანი შვილები (მხოლოდ ვაჟები), ეპისკოპოსი, მსხვილი ფეოდალები და ზოგჯერ სამეფო ფენების წარმომადგენლები. ყოფილი სახალხო კრებების ფუნქციათა ნაწილი ბრძენთა საბჭოს განმგებლობაში გადავიდა, ნაწილი კი უშუალოდ მეფის ხელისუფლებას დაექვემდებარა.

ბრძენთა საბჭოს ფუნქციები იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი სიძლიერისა იყო მეფის ხელისუფლება. თუ მეფის ხელისუფლება ძლიერი იყო, სუსტდებოდა „უიტენა გემოტას" როლი და, პირიქით, სუსტი მეფის ხელისუფლების დროს „უიტენა გემოტას" მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში იზრდებოდა.

ბრძენთა საბჭო იხილავდა კანონპროექტებს, აწესებდა ახალ გადასახადებს, წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ირჩევდა ეპისკოპოსებს, იხილავდა ზოგიერთი კატეგორიის სასამართლო საქმეს.

3. მეფესთან ცენტრალური მმართველობისათვის არსებობდა ***სამოხელეო აპარატი***. მეფე თავისი ხელისუფლების განხორციელებისას ეყრდნობოდა ცალკეულ თანამდებობის პირებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ***კამერჰერებს*** — მეფის ქონებასა და ფინანსებზე პასუხისმგებელ პირებს, ***მარშალს*** — სამხედრო სამსახურის მეთაურს, ***კაპელანს*** — სამეფო კანცელარიის გამგებელს.

4. ***არმია***. სახელმწიფო სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი ეკავა შეიარაღებულ ძალებს, ანგლოსაქსების სამეფო არმია ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ა) სამეფო გვარდია. ბ) სახალხო ლაშქარი (fyrd), ალფრედ დიდის სამხედრო რეფორმის შედეგად

გაიზარდა მძიმე შეიარაღებული ძალები. თითოეული მიწათმფლობელი, რომელიც 5 ჰექტარ მიწას ფლობდა, ვალდებული იყო ემსახურა მეფის არმიაში. ინის კანონების 51-ე მუხლით, მეფის სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, იწვევდა ჯარიმას 120 შილინგის ოდენობით და მიწის ჩამორთმევას.

5. ***ადგილობრივი მმართველობა*** — მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო ***საგრაფოებად*** (Shire), რომელიც ადმინისტრაციული მმართველობის ადგილობრივ ერთეულს შეადგენდა. საგრაფოს სათავეში ელდორმენი (Ealdorman) ედგა. მას მეფე ნიშნავდა „უიტენა გემოტასა" და ადგილობრივ ფეოდალებთან შეთანხმებით. ისინი მეფის ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური წარმომადგენლები იყვნენ ადგილებზე და ფაქტობრივად ადგილობრივი ფეოდალების ინტერესებს გამოხატავდნენ. ამ ფაქტმა გამოიწვია ახალი თანამდებობის პირის, ***შერიფის*** გამოჩენა საგრაფოში. თავდაპირველად შერიფი მხოლოდ მეფის ხაზინის სასარგებლოდ თანხის აკრეფით იყო დაკავებული, მოგვიანებით მას საგრაფოში მეფის პრივილეგიების დაცვაზე ზედამხედველობაც დაევალა. შერიფი სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელი იყო საფინანსო საკითხებში, მასვე ეკუთვნოდა საპოლიციო მმართველობაც.

საგრაფოს კრება (folcmoot) – იყო ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც შერიფი იწვევდა წელიწადში ორჯერ. უპირველეს ყოვლისა, მის ფუნქციას შეადგენდა ადგილობრივი მნიშვნელობის სასამართლო საქმეების განხილვა. აქვე იხილებოდა გადასახადების აკრეფის, საგრაფოდან დრუჟინის შედგენისა და სხვა საკითხები. საგრაფოები იყოფოდა ***ასეულებად*** (Hundred), რომელთაც სათავეში ***ასეულის მეთაური*** ედგა. იგი აირჩეოდა ასეულის კრებაზე. ***ასეულის კრება*** ორ თვეში ერთხელ იწვეოდა და მისი ძირითადი ფუნქცია სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა იურისდიქციით იფარგლებოდა.

თავის მხრივ, ასეულები იყოფოდა ***სოფლებად*** (gelimot), სადაც ხელისუფლებისა და მმართველობის ფუნქციებს ახორციელებდა ***სათემო კრება***, რომელიც წყვეტდა მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო დავებს, ირჩევდა სოფლის ***მამასახლისს***.

საპოლიციო მიზნებისათვის სოფელი იყოფოდა *ათეულ ეზოდ*. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ათეულის წევრები ვალდებულნი იყვნენ გადაეცათ დამნაშავე ხელისუფლების წარმომადგენლისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ.

ანგლოსაქსების სახელმწიფოებრიობის პერიოდს ეკუთვნის ქალაქების წარმოშობა, რომელთა უმეტესობა სამეფო მიწებზე არსებობდა.

ქალაქის მმართველობა ხორციელდებოდა საგრაფოს შერიფის ან მეფის მიერ სპეციალურად დანიშნული მოხელის მიერ.

ამ პერიოდის სახელმწიფოს მოწყობის საკითხში, ადგილობრივი მმართველობის განხორციელებისას, შეიმჩნევა გვაროვნული, საზოგადოებრივი მმართველობის დროინდელი ნიშნები, თუმცა ისინიც სახელმწიფო ხელისუფლებისადმი არიან დამორჩილებული და ცენტრალურ მმართველობასთან ერთად ქმნიან ერთიანი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემას.

შემდგომი პერიოდი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის განვითარებაში ისტორიულად უკავშირდება ნორმანელების მიერ 1066 წელს ინგლისის დაპყრობას და ვილჰელმ ორანელის შექმნილ ახალ სახელმწიფოს.

მეფის ხელისუფლების განმტკიცების პროცესი საგრძნობი იყო XII ს.-ის II ნახევარში ჰენრი II-ის მეფობის დროს (1154-1189 წწ.). ეს რეფორმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად ჩამოვაყალიბოთ:

1. XII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში გაძლიერდა მსხვილი ფეოდალების, ბარონების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ბარონების წინააღმდეგობის გატეხვის მიზნით, ჰენრი მეორე პირდაპირ გადავიდა შეტევაზე, დაანგრია მათი ციხესიმაგრეები და აიძულა ისინი მეფის ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ.

2. ჰენრი II-მ გააძლიერა და გაზარდა მეფის სასამართლოს კომპეტენცია ბარონების სასამართლო იურისდიქციის ხარჯზე. ამ მიზნით, მან შემოიღო ახალი სასამართლო დაწესებულება — ***ნაფიც მსაჯულთა სასამართლო*** (Jury). ჰენრი II-ის ასიზით, არზთა

თხოვნის პალატა საადგილმამულო დავების განხილვისას იწვევდა 12 მხედარს ან თავისუფალ სრულუფლებიან მოქალაქეს. საქმის განხილვის ამგვარი წესი უზრუნველყოფდა საქმის უფრო სამართლიან გადაწყვეტას და ამიტომ წვრილი და საშუალო ფეოდალები ამჯობინებდნენ მიემართათ სამეფო სასამართლოსათვის, ვიდრე ფეოდალთა სასამართლოებისათვის.

3. ბარონები მეფის დაუკითხავად ქვეშევრდომებს ხშირად აკისრებდნენ ისეთ გადასახადებს, რომლებიც არც კანონით და არც ადათით გათვალისწინებული არ იყო. ამ მიზნით, ჰენრი მეორემ მკაცრი კონტროლი დააწესა გადასახადების შემოღებაზე.

4. ჰენრი II-მდე ინგლისში არსებობდა წესი, რომლის თანახმად, სამხედრო ვალდებულს შეეძლო თავისი სამსახური ნატურალური გადასახადით გადაეხადა. ჰენრი II-მ შეცვალა ეს წესი და ნაცვლად ნატურალური გადასახადისა, შემოიღო განსაკუთრებული ფულადი გადასახადი, რომელსაც „სალარიფული“ ეწოდა.

5. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ. შეიზღუდა მათი ფუნქციები. სისხლის სამართლის საქმეებზე სასულიერო პირები მეფის სასამართლოს დაექვემდებარა. დაიწყო კონტროლი საეკლესიო თანამდებობათა (ეპისკოპოსი) დაკავებაზე. მაგრამ ეკლესია ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ აიძულა მეფე ხელი აეღო ამ ღონისძიებებზე.

ჰენრი II-ის რეფორმების შემდეგ **ერთიანი ცენტრალიზებული მონარქია** ინგლისში შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1. წინა ეპოქასთან შედარებით ***მეფის ხელისუფლება*** კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა. მას ეკუთვნოდა უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები, ასევე ხელი მიუწვდებოდა სასულიერო ხელისუფლებაზე.

2. მეფესთან, ბრძენთა საბჭოს ნაცვლად, შეიქმნა ***სახელმწიფო საბჭო*** (King's Council) და იგი უმაღლეს სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა. სახელმწიფო საბჭოს წევრებად მეფის მიერ მოიწვეოდნენ მსხვილი საერო და სასულიერო პირები. რეგლამენტის მიხედვით, იგი წელიწადში სამჯერ იკრიბებოდა და იხილავდა მეფის მიერ დაყენებულ საკითხებს. თუმცა გადამწყვეტი ხმის

უფლება არ ჰქონდა, ასეთი პრეროგატივით ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს მეფე სარგებლობდა.

3. ***მეფის კურია*** (Curia Regis) — ეს იყო მცირე სამეფო საბჭო და წარმოადგენდა უმაღლეს აღმასრულებელ და სასამართლო-საფინანსო ორგანოს. მასში შედიოდნენ მეფის კარზე დაწინაურებული პირები. იგი იწვეოდა წელიწადში სამჯერ და იხილავდა დავებს, რომელიც წარმოიშობოდა მეფის ვასალებს, ე.ი. ბარონებს შორის. როგორც სასამართლო ორგანო, მეფის კურია განიხილავდა სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს. ხოლო როგორც ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი ორგანო, მეთვალყურეობდა პროვინციალურ მმართველობას. ასეთი დიფერენცირებული ორგანოს შექმნა მმართველობის ორგანოთა სტრუქტურულ განვითარებაზე მიუთითებს, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა მეფის კურიას გამოეყო საფინანსო დაწესებულება ***საჭადრაკო დაფის პალატა*** (The Exchequer). იგი წარმოადგენდა უმაღლეს საანგარიშსწორებო სასამართლო ორგანოს, იხილავდა საფინანსო ჩინოვნიკების მიერ ჩადენილ დანაშაულს. აქვე იხილებოდა ქონებრივი დავები, როცა ერთერთ მხარეს სამეფო სასახლის ინტერესები იდგა. სახელწოდება „საჭადრაკო დაფის პალატა“ მომდინარეობს იქიდან, რომ მაგიდაზე, რომელზეც საფინანსო ხასიათის დავები იხილებოდა, გადაფარებული იყო ჭადრაკის დაფის ფორმის გადასაფარებელი.

ცენტრალურ მმართველობაში დიდ როლს ასრულებდნენ ისეთი თანამდებობის პირები, როგორიც იყვნენ: ***მეფის იუსტიციარი*** — მეფის მოადგილედ ითვლებოდა და მის ხელში მოექცა ადმინისტრაციული და სასამართლო საქმეების გამგებლობა; ***კანცლერი*** — სამეფო ბეჭდის მცველი და შემნახველი, რომელიც, ამავე დროს რედაქციას უკეთებდა სამეფო ბრძანებებს, ახორციელებდა მართლმსაჯულებას, ***მეფის ხაზინადარი*** — სახელმწიფო ფინანსებს განაგებდა; სამხედრო საქმეთა წარმოებისათვის სპეციალური მოხელეები ინიშნებოდნენ ***კონსტებლი*** და ***მარშალი***; მიწათსარგებლობის საკითხებს მეთვალყურეობდა ***კამერჰერი***.

რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას***, აქ შემორჩა წინა

პერიოდის მმართველობის ფორმები საგრაფოების, ასეულებისა და თემების სახით. თუმცა უფლებამოსილებათა საკითხში განხორციელდა ზოგიერთი ცვლილებაც, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა მეფის ხელისუფლებას ადგილებზე. საგრაფოს სათავეში ელდორმენი იდგა, მაგრამ იგი მოკლებული იყო რეალურ ძალაუფლებას, რომელიც მთლიანად შერიფის ხელში გადავიდა. შერიფი, რომლიც თითქოს დამოკიდებული იყო ელდორმენზე, მეფის მიერ ინიშნებოდა და რეალური ძალაუფლების გამტარებელი იყო. XII ს. II ნახევრიდან ამ თანამდებობაზე რაინდები ინიშნებოდნენ, რადგან ისინი უფრო გულისხმიერნი იყვნენ მეფის დავალებების მიმართ, ვიდრე ფეოდალები.

შერიფი ფართო უფლებებით სარგებლობდა. იგი ადგილზე ახორციელებადა საფინანსო, სასამართლო, სამხედრო და საპოლიციო ფუნქციებს. საფინანსო სფეროში შერიფი ყურადღებას აქცევდა მეფის სალაროში შემოსულ გადასახადებს. ასევე ხელმძღვანელობდა სასამართლო განხილვისათვის მოწვეულ კრებებს. შერიფებს სისრულეში მოჰყავდათ მომრიგებელი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ისინი ადგილებზე ხელმძღვანელობდნენ სახალხო ლაშქრის მოწვევას და ახორციელებდნენ სამხედრო სამსახურზე კონტროლს, ამასთანავე, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე აქვეყნებდნენ კანონებს და მეფის განკარგულებებს და უზრუნველყოფდნენ მათ შესრულებას.

კვლავინდებურად იწვეოდა საგრაფოს კრებები, რომელსაც ძირითადად სასამართლო ფუნქცია შემორჩა და იხილავდა მძიმე ხასიათის დანაშაულს. კრებები იწვეოდა ასეულებშიც და აქაც მათი ძირითადი ფუნქცია სასამართლო საქმეთა განხილვა იყო. ამ კრებებს თავმჯდომარეობდა შერიფის მიერ დანიშნული პირი. თემის ადმინისტრაციული მმართველობა კვლავ ხალხის მიერ არჩეული თემის ბელადის მიერ ხორციელდებოდა, თუმცა უკვე მეფის ხელისუფლება მასთან ერთად ნიშნავდა ოთხ პატივსაცემ წევრს, რომელთა გარეშეც თემის ბელადს რაიმე საკითხის გადაწყვეტა არ შეეძლო. ამ ადმინისტრაციული ერთეულის დანიშნულებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა წარმოადგენდა, რისთვისაც

კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი კვლავ ძალაში დარჩა.

ადგილობრივი მმართველობის სფეროში შემოვიდა ახალი ფორმა ***ქალაქის მმართველობის*** სახით. „საშინელი სამსჯავროს წიგნის" მიხედვით, ინგლისში 80-მდე ქალაქი აღირიცხებოდა. ხელოსნების მნიშვნელოვანმა ზრდამ კიდევ უფრო გაზარადა ქალაქების რიცხვი. მათი უმრავლესობა მეფის დომენს ეკუთვნოდა.

ამ ქალაქების სათავეში მეფის მიერ დანიშნული მოხელეები იდგნენ, რომლებიც მეთვალყურეობდნენ გადასახადების აკრეფას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ადგილებზე.

XII საუკუნიდან მრავალმა ქალაქმა მიიღო თავისუფლების ქარტია, რომელიც მათ თვითმმართველობის უფლებას ანიჭებდა, ათავისუფლებდა სამეფო ან საადგილმამულო გადასახადებისაგან და უფლებას ანიჭებდა გამოეცა დადგენილებანი, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებს შეეხებოდა.

მტკიცდებოდა რა მეფის ხელისუფლება, ვითარდებოდა სახელმწიფო აპარატიც, თუმცა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ვერ ურიგდებოდნენ ფეოდალები, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი უფლებებისა და ქონების დასაცავად მეფესთან კონფლიქტში შევიდნენ. ისტორიულად ეს ეტაპი ინგლისში ცნობილია **წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის** სახელწოდებით.

სახელმწიფო მმართველობის სისტემაში იგი ხასიათდება ახალი ორგანოს — ***პარლამენტის*** შექმნით. როგორც ისტორიულ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო მეფესთან 1265 წელს შეიქმნა და მან შეზღუდა მეფის ფუნქციები საკანონმდებლო სფეროში. მეფეს, ჰქონდა უფლება გამოეცა მხოლოდ ორდინანსების (Ordinance), რომელიც იურიდიული თვალსაზრისით, კანონმქვემდებარე აქტად უნდა ჩაითვალოს. მეფეს დარჩა უმაღლესი სამხედრო ძალაუფლება, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების, უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნის უფლება ცენტრსა და ადგილებზე.

მეფის ამ უფლებას გაემიჯნა პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია. პირველად შექმნილი პარლამენტი ინგლისში სამი წოდების — თავადაზნაურობის, ბურჟუაზიისა და სამღვდელობის

წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. XIV საუკუნის II ნახევრიდან ინგლისის პარლამენტი ორპალატიანი გახდა: ზედა (ლორდთა) და ქვედა (თემთა) პალატა.

ამ პერიოდში ინგლისის ***პარლამენტის თავისებურება*** ის იყო, რომ ორ პალატად დაყოფისას რაინდები და ქალაქის წარმომადგენლები ერთ პალატაში — თემთა პალატაში — გაერთიანდნენ და ამით გაემიჯნენ საერო და სასულიერო მაგნატებს, რომლებიც ზედა, ლორდთა პალატაში მოექცნენ. სამღვდელობა პარლამენტში, პალატების შექმნის შემდეგ, ცალკე არ ყოფილა წარმოდგენილი, არამედ მეფის უშუალო ვასალებად გვევლინებოდა. პარლამენტის თავისებურებათა შორის ისიც აღსანიშნავია, რომ ლორდთა პალატაში ჰერცოგები და გრაფები შთამომავლობით იკავებდნენ ადგილებს.

1352 წლიდან პალატები ცალ-ცალკე იწვევდნენ სხდომებს. პარლამენტის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ისეთი საკითხები, როგორიც იყო: კანონების მიღება, უმაღლეს თანამდებობის პირთა საქმიანობაზე კონტროლი და სასამართლო ფუნქციის განხორციელება.

პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია განსაკუთრებით განმტკიცდა 1414 წლიდან, როცა დადგინდა, რომ მეფის ორდინანსი კანონის ძალას მიიღებდა პარლამენტისაგან მისი მოწონების შემდეგ. პარლამენტის უფლებები დროთა განმავლობაში მის სასარგებლოდ იცვლებოდა. პარლამენტი ფლობდა მეფისათვის სუბსიდიების დანიშვნისა და მასზე უარის თქმის უფლებას. უმაღლეს თანამდებობის პირებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, ლორდთა პალატამ მოიპოვა უფლება უმაღლესი თანამდებობის პირების ბრალდებით გამოსულიყო (impeachment) ან განეხილა ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომელნიც სიკვდილით დასჯას ან შთამომავლობაზე უფლების მოსპობას (Bill of attainder) ითვალისწინებდა. ასეთი წესით გასამართლებულ პირთა ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა.

პარლამენტის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად არჩევნები პრივილეგირებული ხდებოდა. გამოიცემოდა კანონები როგორც

აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლების შესახებ.

ინგლისის ისტორია ისე წარიმართა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით ქვეყნის მართვა შეუძლებელი ხდებოდა. საერო და სასულიერო დიდებულებსა და მეფეს შორის ურთიერთობის გამწვავებას გარკვეული რეფორმები მოჰყვა. ჰენრი VIII-ის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართული იყო აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრებისაკენ. ასე რომ, XV საუკუნიდან ინგლისის სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში კვლავ ძირეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ, შეიზღუდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციები და გაძლიერდა მეფის ხელისუფლება. ზოგადსამართლებრივი პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს არის **აბსოლუტიზმის ეპოქა**. თუმცა, როგორც ისტორიულ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ინგლისის აბსოლუტიზმი განსხვავდება სხვა ქვეყნების აბსოლუტური მმართველობისაგან, პირველ რიგში იმით, რომ პარლამენტი ამ ეტაპზეც კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას.

აბსოლუტიზმის ეპოქის სახელმწიფო მმართველობა ინგლისში ხასიათდება ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა განსაკუთრებული სიმრავლით. მათ შორის, თითქმის გაუმიჯნავი ფუნქციების არსებობით, ადმინისტრაციული და სასამართლო მმართველობის სპეციფიკურობით.

მიუხედავად ხელისუფლების ორგანოთა სიმრავლისა, ინგლისში ***მეფე*** ითვლებოდა ისეთ პირად, რომელიც აერთიანებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. მეფესთან შეიქმნა ***საიდუმლო საბჭო*** (Privy Council). ეს იყო უმაღლესი სათათბირო ორგანო, რომელთან ერთადაც მეფე გამოსცემდა სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო აქტებს — ორდინანსებს. საიდუმლო საბჭო განაგებდა კოლონიების მართვა-გამგეობის საკითხს, ეწეოდა საგარეო ვაჭრობას, იხილავდა ზოგიერთი კატეგორიის სასამართლო საქმეებს და წარმოადგენდა როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის სასამართლოს, საიდუმლო საბჭო და მეფის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებდნენ პარლამენტის წინააღმდეგ. კანონის გამოცემის უფლება XIV საუკუნიდან პარლამენტის კომპეტენციას შეადგენდა, თუმცა მეფე

საიდუმლო საბჭოსთან ერთად ხშირად გამოსცემდა საკანონმდებლო აქტებს. საბჭოს შემადგენლობა ერთნაირი არ იყო. მაგ., ჰენრი VI-ის დროს 1426 წელს რეგლამენტით საბჭოში შედიოდა 14 სახელმწიფო თანამდებობის პირი, 4 პერი, 2 ეპისკოპოსი. საბჭოსთან არსებობდა ***კომისიები*** და ***კომიტეტები. ვარსკვლავთა პალატა*** (Star chamber) — წარმოიშვა მეფის ერთიანი ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ვარსკვლავთა პალატამ ფუნქციონირება 1487 წ. დაიწყო და განიხილავდა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს, თუმცა მას არ ჰქონდა სიკვდილით დასჯის უფლება. მძიმე კატეგორიის საქმეები ნაფიც მსაჯულებთან ერთად იხილებოდა. ვარსკვლავთა პალატას შეეძლო კონტროლი ნაფიც მსაჯულებზე.

აბსოლუტიზმის ეპოქაში, როგორც აღვნიშნეთ, არსებობას განაგრძობდა პარლამენტი, თუმცა მისი ფუნქციები მეტად შეიზღუდა. მეფე ცდილობდა არ მიეცა პარლამენტისათვის ფართო საკანონმდებლო მოღვაწეობის საშუალება, ამავე დროს, ინგლისის მეფეები XVI-XVII საუკუნეებში სისტემატურად არღვევდნენ „თავისუფლებათა დიდი ქარტიით" დადგენილ წესს იმის შესახებ, რომ მეფეს არ უნდა შემოეღო ახალი გადასახადები პარლამენტის თანხმობის გარეშე.

მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო დავების განსახილველად არსებობდა ***არზთა თხოვნის პალატა***, რომელსაც ეხებოდა უმთავრესად გლეხების საჩივრები საადგილმამულო დავების თაობაზე. საეკლესიო რეფორმების შედეგად სეკულარიზაციაქმნილი მიწების საქმეებს, ე.ი. მამულებზე დავის საქმეებს, რომლებიც ჩამოერთვათ ურჩ მეამბოხე საეკლესიო ფეოდალებს და გამოცხადდა საერო მიწებად, განიხილავდა ***ფეოდალურ გადასახადთა პალატა***.

რაც შეეხება ***ადგილობრივ მმართველობას***, აბსოლუტიზმის ხანაში იგი კიდევ უფრო დამორჩილდა ცენტრალურ მმართველობას. ყველა თანამდებობის პირი ადგილზე ინიშნებოდა მეფის მიერ ან მისი სახელით. მათ თანამდებობა ეკავათ მანამ, სანამ ეს მეფეს სურდა.

აბსოლუტური მმართველობის ფორმამ ინგლისში 1649 წლამდე

გასტანა, როცა რევოლუციის შემდეგ, 16 მარტს **ინდეპენდენტთა რესპუბლიკა** გამოცხადდა. ამ ეტაპზე დათხოვნილ იქნა ლორდთა პალატა და ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ თემთა პალატა დარჩა. ასეთი ტიპის მმართველობა 1653 წლამდე გაგრძელდა. შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გამო, ამ წელს თემთა პალატის მიერ მიღებულმა კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტმა ***„მმართველობის იარაღი“*** ახალი პოლიტიკური რეჟიმი განამტკიცა. „მმართველობის იარაღის“ მიხედვით, ინგლისის სახელმწიფო წყობილება წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა რესპუბლიკის ***ლორდ-პროტექტორი,*** რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მართავდა სახელმწიფოს პარლამენტთან ერთად. ***პარლამენტი*** ერთპალატიანი იყო და მისი წევრებისათვის დაარსდა ქონებრივი ცენზი. პარლამენტში 133 ადგილი ქალაქებს ეძლეოდათ, ხოლო 265 სოფლებს. რეალურად პარლამენტს ამ ეპოქაში არ შეუსრულებია ის როლი, რომელიც მას კონსტიტუციური აქტით მიენიჭა. ლორდ-პროტექტორი კი, რომელიც გამოცხადდა უმაღლეს მხედართმთავრად და ქვეყნის უმაღლეს გამგებლად, პირადად ნიშნავდა უმაღლესი თანამდებობის პირებს, ანიჭებდა წოდებებს.

ისტორიულად ცნობილია, რომ კრომველის პროტექტორატს 1660 წლისათვის სახელმწიფოში მონარქიის აღდგენა მოჰყვა, ოღონდ პარლამენტის გადაწყვეტილებით. ეს იყო კონსტიტუციური მონარქია. თუმცა სახელმწიფო სათავეში მოსული მეფეები ცდილობდნენ თავიანთი ხელისუფლება იქით წარემართათ, რომ აღდგენილიყო ძველი დროინდელი მეფის ხელისუფლება აბსოლუტიზმის ნიშნებით. ისტორიულმა ჟამთასვლამ ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ჩარხი უკან არ შეაბრუნა და 1688 წელს „უსისხლო გადატრიალების“ შედეგად მეფის ხელისუფლება კვლავ შეიზღუდა კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტებით, რომელთა ზოგად დახასიათებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის სახელმწიფო წყობილების შემდგომი განვითარების ანალიზისათვის.

ვიგებმა 1679 წელს შეძლეს მიეღოთ ***აქტი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ.*** კონსტიტუციური მნიშვნელობისაა ეს

აქტიც, რომელიც ზღუდავდა თვითნებურ დაპატიმრებებს და ადგენდა პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიებს: დაპატიმრებულ პირს ან მის ნათესავს უფლება ენიჭებოდა მოეთხოვა სასამართლოსაგან დაპატიმრების საფუძვლის წარდგენა 24 საათის განმავლობაში. სასამართლო განიხილავდა და გამოიტანადა გადაწყვეტილებას რომელიც შეიძლება ყოფილიყო: 1. პატიმრის გათავისუფლების შესახებ; 2. თავდებში გაშვების შესახებ; 3. პატიმრობის შემდგომი გაგრძელების შესახებ. ამავე აქტში ნათქვამი იყო, რომ არ შეიძლება ხელმეორედ დაპატიმრება პირისა იმავე საქმის გამო, რომლისთვისაც ამ კანონის საფუძველზე სასამართლომ ერთხელ უკვე გაათავისუფლა. უკეთუ ვინმე ამ წესს დაარღვევდა, სასჯელი ეკისრებოდა 500 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ამავე დროს კანონმა დაადგინა, რომ თუ მოსამართლე დაუსაბუთებლად ეტყოდა უარს პატიმარს ან მის ნათესავებს habeas corpus act-ის მიხედვით ბრძანების გაცემაზე, მაშინ იგი დაჯარიმდებოდა 500 გირვანქა სტერლინგით. ამ აქტით დაცული იყო ბრიტანელი მოქალაქეების პიროვნების ხელშეუხებლობის იურიდიული გარანტიები.

1689 წ. 13 თებერვალს მიღებულ იქნა ცნობილი „***ბილი უფლებათა შესახებ***" („Bill of Rights")[1], რომელმაც არსებითად შეზღუდა მეფის ხელისუფლება:

1) პარლამენტმა დაადგინა, რომ მეფეს არ აქვს უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე გაანთავისუფლოს ვინმე კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან ან რაიმე გამონაკლისი დაუშვას კანონმდებლობიდან;

2) არ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული სასამართლოები საეკლესიო და სხვა საქმეთა გამო, რომლითაც მეფე თვითნებობას სჩადის;

3) მეფეს არ აქვს უფლება არავითარი გადასახადის დაწესებისა, პარლამენტის თანხმობის გარეშე;

4) კანონის მიხედვით, მეფის ქვეშევრდომებს უფლება აქვთ

1 English Bill of Rights 1689, An Act Declaring the Rights and Liberties of the Subject and Settling the Succession of the Crown http://avalon.law.yale.edu/17th_century/england.asp (2013 წლის მონაცემებით)

პეტეციით მიმართონ მეფეს და ამის გამო არავინ შეიძლება დევნილ ან შევიწროებულ იქნეს;

5) მეფეს არ აქვს ჯარის შეკრებისა და შენახვის უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე. ეს ღონისძიებაც მეფის აბსოლუტიზმის შეზღუდვისაკენ იყო მიმართული;

6) გამოცხადდა პროტესტანტული რელიგიის სრული თავისუფლება და აიკრძალა ამ რელიგიის მიმდევართა დევნა და შევიწროება;

7) დაწესდა პარლამენტის თავისუფალი არჩევნები. მეფეს არ უნდა შეეზღუდა არჩევნები. პარლამენტის სხდომები უნდა მოწვეულიყო ხშირად, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა სიტყვის თავისუფლება, პარლამენტს შეეძლო გამოეცა ყოველგვარი აქტი, რომელზე კონტროლს ვერავინ დააწესებდა;

8) დეკლარაციის მიხედვით აიკრძალა ისეთი სასჯელების გამოყენება, რომელიც კანონის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული.

ასეთი იყო დეკლარაციის შინაარსი. იგი მოასწავებდა ინგლისის პარლამენტის გამარჯვებას მეფის ხელისუფლებაზე და განამტკიცებდა 1215 წელს თავისუფლებათა დიდი ქარტიის მოთხოვნებს.

კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპების შემდგომი დამუშავება მოხდა 1701 წლის აქტში, ***„ტახტის მემკვიდრეობის შესახებ"***[1], რომელმაც ნაწილობრივ დაადგინა სამეფო მინისტრების პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. ეს აქტი შეიცავდა შემდეგ მოთხოვნებს:

1. განისაზღვროს ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის თანახმად, ტახტის მემკვიდრეობის აქტს ხელს აწერდა პრემიერ-მინისტრიც, ე.ი. მეფეს არ შეეძლო ერთპიროვნულად გადაეწყვიტა ტახტის მემკვიდრის საკითხი.

2. უშვილო მეფის ვილჰელმ ორანელის გარდაცვალების შემდეგ ტახტი უნდა გადასულიყო პატარა გერმანული სახელმწიფოს — ჰანოვერის — მთავრების ხელში, რომლებიც სტიუარტების დინასტიის შთამომავლად ითვლებოდნენ.

---

1 The Act of Settlement- http://www.parliament.uk (2013 წლის მონაცემებით)

3. მოსამართლენი უნდა დანიშნულიყვნენ მეფის მიერ მთელი სიცოცხლის ვადით, თუ რაიმე დარღვევას არ ჩაიდენდნენ. მოსამართლის გადაყენება შეიძლებოდა პარლამენტის განსაკუთრებული დადგენილებით, ან სასამართლოს დადგენილებით ფიზიკური და გონებრივი უუნარობის ან რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო.

ეს აქტი კიდევ უფრო ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას.

1707 წელს ინგლის-შოტლანდიის უნიით, შოტლანდია საბოლოოდ შეუერთდა ინგლისს. გაერთიანებულ სამეფოს ოფიციალურად ეწოდა ***დიდი ბრიტანეთი***. ჰანოვერის დინასტიის პირველი ორი მეფის მეფობის პერიოდში (1714-1760 წწ.) ბრიტანეთში საბოლოოდ დამკვიდრდა ორპარტიული სისტემა. პრემიერ-მინისტრად, როგორც წესი, ინიშნებოდა იმ პარტიის ლიდერი, რომელიც არჩევნებში უმრავლესობას მოიპოვებდა. მაღალმა საარჩევნო ცენზმა უზრუნველყო ფინანსური და მიწათმფლობელური არისტოკრატიის ბატონობა. ე.წ. „დამპალი დაბების“ სისტემა საშუალებას აძლევდა გაბატონებულ ფენას თავიანთი სასურველი პირები არჩევის ნაცვლად დაენიშნათ.

საარჩევნო სისტემის შემდგომი სრულყოფა მოხდა 1832 წ. **საარჩევნო რეფორმის** საფუძველზე:

1. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სადეპუტატო ადგილები შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქალაქებს ჰქონდათ. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში, მრეწველობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა და განვითარდა ახალი სამრეწველო ქალაქები, რომელთაც არ ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი პარლამენტში. 1832 წ. რეფორმამ, პირველ რიგში, ამ შეუსაბამობის დაძლევისათვის „ჯუჯა“ ქალაქების წინააღმდეგ გაილაშქრა. რეფორმის საფუძველზე 56 პატარა ქალაქს სრულებით ჩამოართვეს დეპუტატთა წარმომადგენლობა პარლამენტში.

2. 32 ქალაქს ორი დეპუტატის ნაცვლად, თითო დეპუტატი დაუტოვეს, ასე რომ, თითქმის 100-მდე გამოთავისუფლებული ადგილი გადანაწილდა მსხვილ სამრეწველო ქალაქებს შორის.

3. რეფორმის საფუძველზე გაფართოვდა საარჩევნო უფლე-

ბა, რომელიც მიენიჭა წვრილ მიწათმფლობელებსა და ქალაქის მცხოვრებლებს, რომელთა წლიური შემოსავალი 10 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

1832 წლის რეფორმამ გააფართოვა საარჩევნო უფლებები, რაც ნიშნავდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის განვითარებას.

საარჩევნო უფლებათა დაზუსტება ამით არ დამთავრებულა და 1867 **წლის საარჩევნო კანონის** თანახმად, გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ამომრჩეველთათვის განისაზღვრა უძრავი ქონების წლიური შემოსავალი არანაკლებ 5 გირვანქა სტერლინგისა.

2. საარჩევნო უფლება მიენიჭა საცხოვრებელი ბინების დამქირავებლებსა და მფლობელებს, რომლებიც იღებდნენ 12 გირვანქა სტერლინგს.

3. ხმის უფლება მიიღეს საცხოვრებელი სახლის მფლობელებმა, რომლებიც დაბეგრილნი იყვნენ გადასახადებით ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ.

4. საარჩევნო უფლება მიენიჭათ იმ პირებს, რომლებიც საცხოვრებელი ბინების დაქირავებისათვის წელიწადში იხდიდნენ საბინაო ქირას არანაკლებ 10 გირვანქა სტერლინგისა.

5. ამავე დროს, ამ კანონის მიხედვით, ხმის უფლება მიიღეს არა მარტო სახლის მფლობელებმა, არამედ მცხოვრებლებმაც. ყველა ამ ღონისძიების შემდეგ, 1867 წლის საარჩევნო კანონის საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საარჩევნო უფლება, ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 1 მილიონზე მეტად გაიზარდა.

6. 53 სადეპუტატო ადგილი ჩამოერთვა მცირე საარჩევნო რაიონებს და გადაეცა მსხვილ საგრაფოებსა და ქალაქებს.

XIX საუკუნის 40-60-იან წლებში დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო ახალი ტერიტორიები ინდოეთში, ჩინეთში, სამხრეთ აფრიკაში. ხელთ იგდო სუეცის არხი და სხვა ტერიტორიები. 70-80-იანი წლები აღინიშნა მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობით. ძველი ოპორტუნისტულ-რეფორმისტული ტრედუნიონების ნაცვლად, შეიქმნა მასობრივი პროფკავშირები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისმა ინდუსტრიული ლიდერის როლი და ადგილი

დაუთმო აშშ-სა და გერმანიას.

ამ პერიოდში დიდი ბრიტანეთის ლიბერალურმა მთავრობამ განახორციელა საუკუნის რიგით მესამე **1884 წლის რეფორმა,** რომლის მიხედვითაც, უარყოფილ იქნა ქალაქის მოსახლეობისათვის ქონებრივი ცენზი. სოფლის ადგილებიდან ხმის უფლება მიენიჭათ წვრილ არენდატორებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ფლობდნენ უძრავ ქონებას შემოსავლით არანაკლებ 10 ფუნტი სტერლინგისა, ვინც მუდმივად ცხოვრობდა საარჩევნო ოლქში 6 თვის მანძილზე და რეგულარულად იხდიდა გადასახადს; პირებს, ვინც საარჩევნო ოლქში დაამთავრა უნივერსიტეტი.

ამ რეფორმის თავისებურება იყო „ხმათა მრავალრიცხოვნება", რომლის მიხედვით, ერთი პირისათვის კენჭისყრა დაიშვებოდა 1) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; 2) ყველა იმ ადგილებზე, სადაც იყო ქონება, რომელიც მას საარჩევნო ცენზს ანიჭებდა; 3) უნივერსიტეტის დამთავრების ადგილის მიხედვით. ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება კვლავაც ვერ მოპოვეს. 1885 წლიდან, საარჩევნო ოლქების გადანაწილების შემდეგ, დაწესდა არჩევნების მაჟორიტარული სისტემა, რომლის დროს ხმის მიცემა ხდებოდა ამომრჩეველთა უბრალო უმრავლესობით. მაჟორიტარულმა სისტემამ განამტკიცა დიდი ბრიტანეთის ორი მსხვილი პოლიტიკური პარტიის პოზიციები.

1888 წელს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა რეფორმა. ახლად აღმოცენებულმა „ადმინისტრაციულმა საგრაფოებმა" შეცვალეს ინგლისისა და უელსის ისტორიული დაყოფა. ქალაქებში შენარჩუნებულ იქნა მუნიციპალური საბჭოები.

აბსოლუტური მონარქიისაკენ ქვეყნის დაბრუნებით იმედგაცრუებულ მონარქთა უფლებები სახელმწიფო მმართველობის სფეროში თანდათან უფერულდებოდა. წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით ქვეყნის მართვის ტენდენცია უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა. მონარქი თანდათან ქვეყნის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა, რაც მისი სიძლიერისა და ერთიანობის გარანტად რჩებოდა.

ამ ეტაპიდან მოყოლებული ინგლისი სახელმწიფოებრივი

ფორმის კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებით გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს მიმართავს ხელისუფლების ორგანოთა განვითარებაში. ინგლისის სახელმწიფო წყობილების შემდგომი პოლიტიკური ისტორია საარჩევნო სისტემის სრულყოფისა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარტიათა მონაცვლეობით წარიმართა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული „უსისხლო რევოლუციის" შემდეგ, მმართველობის ფორმის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი **საპარლამენტო მონარქიას** წარმოადგენს. სახელმწიფოს მეთაური ***მეფე*** **(*დედოფალი*)**, რომელსაც ფორმალურად ეკუთვნის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება, იმავდროულად არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. აღმასრულებელი ხელისუფლება ფაქტობრივად ხორციელდება ***მთავრობის მიერ***, რომელიც ***მინისტრთა კაბინეტის*** სახით ჩამოყალიბდა. მინისტრთა კაბინეტს დიდი უფლებები აქვს ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმიანობაში, იგი შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო უწყებებს განაგებენ.

უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება მეფესთან ერთად ეკუთვნის ***ორპალატიან პარლამენტს*** ფორმით სტაბილურმა, კონსტიტუციური მონარქიის ინგლისმა VIII საუკუნიდან სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. როდესაც ინგლისურ კონსტიტუციურ სამართალზე ვლაპარაკობთ, აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, ტერმინ „კონსტიტუციის" გამოყენების დროს იგულისხმება, რომ ეს ცნება მოიცავს სამართლებრივ ნორმებს, ჩვეულებებსა და კონვენციებს, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებს, მათსა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის.

სახელმწიფოების უმრავლესობას გააჩნია დაწერილი კონსტიტუცია — ძირითადი კანონი. მაგრამ დიდ ბრიტანეთს ასეთი ძირითადი კანონი არ აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს საერთო კონსტიტუციის უქონლობას. გაერთიანებული სამეფოსათვის კონსტიტუციას წარმოადგენს ის დიდი ოდენობის ადათები (Customs) და კონვენციები (Conventions), რომლებიც ზოგრთ კანონებთან ერ-

თად უზრუნველყოფენ დიდი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის საქმიანობას. საერთოდ, ყველა დაწერილი კონსტიტუცია სამოქმედოდ შემოდიოდა ისტორიული გარდატეხის მომენტში. მაგრამ დიდ ბრიტანეთს, 1688 წლიდან მოყოლებული დღემდე, ასეთი მომენტი არ ჰქონია. იმ პერიოდის ისტორიული ვითარება ისე წარიმართა, რომ სახელმწიფოებრივი გადატრიალება „უსისხლო რევოლუციის" გზით მოხდა, რის საფუძველზეც შეიქმნა კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი „ბილი უფლებათა შესახებ". ეს კანონი დღესაც ძალაშია. ეს იყო მსოფლოში პირველი კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი, რომელსაც ჯერ კიდევ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში ანალოგი არ მოეძებნებოდა. შემდეგ მას მოჰყვა სხვა კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტებიც, რომლებმაც, სოციალური რეალობის გათვალისწინებით, მრავალი ცვლილება და დამატება განიცადა.

ცნება „კონსტიტუცია" ხშირად გამოიყენება, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად (მაგ., მინისტრების დანიშვნა, პრემიერ-მინისტრის უფლებების შეცვლა და ა.შ.), ასევე მცირეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტისას (მაგ., მინისტრის ვალდებულება, გადადგეს მთავრობის კურსთან უთანხმოების შემთხვევაში ისე, რომ არ გახსნას მინისტრთა კაბინეტზე განხილული საკითხები, რომელთაც იგი არ ეთანხმება).

ინგლისური კონსტიტუციის ორიგინალურობა ისაა, რომ სახელმწიფოებრივი ორგანოების კომპეტენცია განისაზღვრება არა მარტო სტატუტებით, არამედ კონსტიტუციური შეთანხმებებითაც. მათში არ არის გადმოცემული სახელმწიფო კონცეფცია, მაგრამ არის სამეფო ტახტის არსებობის უფრო კონკრეტული ფაქტები, რაც პრაქტიკულად იგივეა.

ასე რომ, 1688 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო წყობილების საკითხების განხილვისას ხშირად შევხვდებით კონსტიტუციურ ტერმინებს, რაც, როგორც აღვნიშნეთ, განსხვავდება სხვა ქვეყნების დაწერილი კონსტიტუციის ტერმინებისაგან.

განვიხილოთ ხელისუფლების ცალკეული ორგანოების ევოლუცია დღევანდელ ეტაპამდე.

აღმასრულებელი ხელისუფლება პრაქტიკულად უკვე XVIII საუკუნიდან ***მინისტრთა კაბინეტის*** ხელში გადავიდა. მართალია, უმაღლეს თანამდებობის პირად კვლავ მონარქი ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად იგი ცერემონიულ ფუნქციას ასრულებდა. ტერმინი მინისტრთა კაბინეტი მოგვიანებით შემოდის. იგი „საიდუმლო საბჭოს" უფლებამონაცვლეა, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ტიუდორების დინასტიის დროს ჩაეყარა საფუძველი. „საიდუმლო საბჭოს" წევრები აირჩეოდნენ სანდო და კომპეტენტური პირებისაგან. ამ საბჭომ დროთა განმავლობაში ინსტიტუციონალური ხასიათი მიიღო, რომლის დაკანონებაზეც პარლამენტი იძლეოდა სანქციას. ტერმინი „კაბინეტი" შემოვიდა ინგლისის პოლიტიკურ ლექსიკონში უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების თათბირის აღსანიშნავად. საიდუმლო საბჭოს მხოლოდ ფორმალური უფლება ჰქონდა, დაემტკიცებინა კაბინეტის გადაწყვეტილებანი. მისი ფუნქციები თანდათან შემცირდა და 1740 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრდა კაბინეტი, როგორც მმართველობის ეფექტური ორგანო. ხანგრძლივი დროის მანძილზე, სანამ ჯერ კიდევ არ იყო განსხვავება კაბინეტსა და მთავრობას შორის, კაბინეტი ცდილობდა შემადგენლობის გაზრდას. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მინისტრთა კაბინეტი 5 წევრს ითვლიდა, XIX საუკუნეში – 12-დან 15-მდე, 1900-იანი წლების შემდეგ — 20-ს. ყველაზე მეტი 23-წევრიანი შემადგენლობა იყო. თუმცა დღესდღეობით მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის რაოდენობრიობამ მნიშვნელობა დაკარგა.

1988 წლიდან მეფის ხელისუფლების პრეროგატივად შემორჩა მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრის დანიშვნის წესი. მინისტრები სარგებლობდნენ პარლამენტის ნდობით მანამ, სანამ მათ მხარს უჭერდა მეფე. 1708 წლიდან თემთა პალატამ მიიღო ერთსულოვანი გადაწვეტილება შესუსტებულიყო მეფის გავლენა მინისტრებზე. ასე რომ, მან უფლება მიიღო უნდობლობა გამოეცხადებინა მინისტრისათვის. ერთ-ერთი ასეთი პირველი შემთხვევა იყო სამხედრო მინისტრის, ლორდ ჰორტის გადადგომა 1782 წელს ამერიკის ჯარებთან ინგლისის არმიის დამარცხების გამო. ასევე ითვლება უოლპოლდის გადადგომა 1741 წლის არჩევნების შემდეგ, როცა

მან თემთა პალატის ნდობა დაკარგა. ეს ეტაპი კონსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად არის მიჩნეული როგორც საპარლამენტო იმპიჩმენტის პრინციპი. იმპიჩმენტის პროცედურა კანონით არასოდეს ყოფილა აკრძალული, მაგრამ 1806 წლიდან აღარ გამოიყენება და მოძველებულად ითვლება.

პრემიერ-მინისტრის, როგორც მინისტრთა კაბინეტის მრავალმხრივი საქმიანობის წარმმართველის უფლებამოსილებანი, კონსტიტუციური სამართლით არ არის რეგულირებული, რამდენადაც იგი ყოვლისშემძლე ლიდერად ითვლება და ეყრდნობა საპარლამენტო უმრავლესობას (majority). იგი წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში. ასე რომ, თანდათან დაიწყო საპარლამენტო კრიზისი, რადგანაც პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი აღმოჩნდა მთავარი რგოლი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი მექანიზმის სისტემაში. კაბინეტმა მოიპოვა უფლება გამოეცა სამართლებრივი აქტები პარლამენტთან ერთად. ასეთმა სამთავრობო ნორმატიულმა სამართალშემოქმედებამ მიიღო ***„დელეგირებული კანონმდებლობის“*** (Delegated Legislation) სახელწოდება. დელეგირებული კანონმდებლობის ფორმები სხვადასხვა იყო. საიდუმლო საბჭოს პროკლამაციები, მინისტრების სხვადასხვა ხასიათის აქტი და ადგილობრივი ორგანოების დელეგირებული აქტები.

პარლამენტი. არჩევითი წარმომადგენლობითი დაწესებულებები „საკანონმდებლო კრებებად“ იწოდებიან, რამდენადაც მათ დანიშნულებას კანონების მიღება წარმოადგენს. მონტესკიესეული ფორმულირება — საკანონმდებლო კრების აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად არსებობა, მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე შესაძლებელი გახდა, მაგრამ ინგლისის სახელმწიფო სისტემების დასახასიათებლად იგი არ გამოდგება. XVIII საუკუნიდან მოყოლებული ბრიტანული პარლამენტის დასახასიათებლად უფრო მიზანშეწონილია არისტოტელეს ტერმინი „სათათბირო“ და იგი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, დღემდე მისაღებია.

დღევანდელი ორპალატიანი პარლამენტი პირდაპირი მემკვი-

დრეა ადრინდელი სახალხო კრებებისა, რომლებიც მეფის კარზე იწვეოდა სახელმწიფოებრივი საკითხების განსახილველად. როგორც ვნახეთ, პარლამენტის ისტორია ინგლისში XIII საუკუნიდან დაიწყო და მთელი თავისი არსებობის მანძილზე ხდებოდა მეფისა და პარლამენტის უფლებათა დაპირისპირება. ამ ურთიერთობათა რეგულირება ხან მეფის, ხან პარლამენტის უფლებათა ხარჯზე მიმდინარეობდა.

1688 წლიდან პარლამენტის საქმიანობაში ორი პრინციპი გამოიკვეთა: არჩევნების რეგულარული ჩატარება და მონარქის გადაწყვეტილებაზე პარლამენტის თანხმობის აუცილებლობა.

პარლამენტში ჩამოყალიბდა მიმართულება საკითხებისა, რომელიც პალატებს ცალ-ცალკე უნდა განეხილათ. საგადასახადო პოლიტიკისა და თანხების ხარჯვის საკითხები თემთა პალატის კომპეტენციას შეადგენს. 1671 წელს თემთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ლორდთა პალატას უფლება არ ჰქონდა ცვლილებები შეეტანა თემთა პალატის საფინანსო დადგენილებაში. ხოლო 1678 წ. მიღებული რეზოლუციით ლორდები ვერ შეცვლიდნენ ასიგნებებზე თემთა პალატის გადაწყვეტილებებს. ლორდებს თანხმობა არ გამოუხატავთ ამ დოკუმენტის შესახებ თუმცა ისინი არც წინააღმდეგნი გამოსულან. პალატებს შორის დაპირისპირებას საკანონმდებლო სისტემაში შეიძლება კრიზისი მოჰყოლოდა და ასეც იყო. ერთ-ერთი ბოლო კანონპროექტი, რომელიც ლორდებმა უარჰყვეს 1909 წელს, იყო თემთა პალატის მიერ მიღებული საფინანსო კანონპროექტი. ხელისუფლება იძულებული გახდა საკანონმდებლო რეგულირების ახალი სისტემა შეემუშავებინა. 1911 *წელს დამტკიცდა საპარლამენტო აქტი*, რომლის მიხედვით:

1) დადგინდა, რომ კანონპროექტი, რომელიც თემთა პალატამ მორიგ სამ სესიაზე ზედიზედ სამჯერ მოიწონა და მიიღო, მაგრამ ლორდთა პალატამ უარყო, იგი მიღებულად ითვლება. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ პირველი სესიის მეორე წაკითხვისა და მესამე სესიის მესამე წაკითხვას შორის ორი წელი იყოს. ჯამში, ეს ნიშნავს ლორდთათვის არასასურველი პროექტის

2 წლით გადავადებას.

2) რაც შეეხება საფინანსო კანონმდებლობას ისინი სრულიადაც არ საჭიროებენ ლორდთა პალატისაგან დამტკიცებას. თემთა პალატის მიერ მიღებული საფინანსო კანონპროექტი პირდაპირ ეგზავნება დასამტკიცებლად მეფეს.

3) ამავე კანონის თანახმად დადგინდა, რომ ერთი მოწვევის პარლამენტის რწმუნებათა ვადა 5 წლით განისაზღვრა.

ასე რომ, 1911 წლის საპარლამენტო აქტის საფუძველზე ქვეда, ანუ თემთა პალატამ, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მინისტრთა კაბინეტი, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

ამ აქტმა ცვლილებები განიცადა 1949 წელს, რომლის მიხედვითაც, ყველა კანონპროექტი (ფინანსურის გარდა) შეიძლება შეიტანოს ერთ-ერთმა პალატამ და განიხილოს ორივე პალატამ. თითოეულს უფლება აქვს უარყოს ან ცვლილებები შეიტანოს კანონპროექტში. თუ ლორდთა პალატა უკუაგდებს თემთა პალატის მიერ მიღებულ კანონს, ან მოითხოვს ცვლილებების შეტანას მასში, პროექტი დედოფალს გადაეცემა ხელმოსაწერად შემდეგი სესიისათვის.

რაც შეეხება ***ლორდთა პალატას***, მისი ისტორია ბარონებისა და უმაღლესი სასულიერო პირების შუასაუკუნებრივი საკრებულოებიდან მომდინარეობს. თავის დროს, შეიძლება ითქვას, რომ მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა, როგორც საზოგადოების წარმომადგენლობითმა ორგანომ. ეს როლი არ შემცირებულა მაშინაც, როცა არისტოკრატიის გვერდით პარლამენტში ადგილების დასაკავებლად არა მათი შთამომავლები, არამედ რაინდობა მოიწვიეს.

ჯერ კიდევ 110 წლის წინათ, ლორდთა პალატა ითვლებოდა თემთა პალატის დანამატად. 1886 წლიდან მისი კანონიერება სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა. XX საუკუნის შუა წლებში სოციალურად გამართლებულიც არ იყო არარჩევითი პალატის არსებობა. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატა, თავისი შთამომავლობითი ელემენტებით, უკანასკნელ პერიოდამდე მაინც არსებობს, რამდენედაც იგი ჯერ კიდევ ასრულებს სასარგებლო ფუნქციებს და მწვავე აუცილებლობა არ გამოკვეთიალა მისი რეორგანიზაციისათვის.

§ 51. ბრიტანული კოლონიალიზმი

ინგლისის სახელმწიფოებრიობის შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით იმ პოლიტიკური რეჟიმის განხილვას, რომელსაც ბრიტანეთი ატარებდა დაპყრობილი თუ განაწილებული ქვეყნების მიმართ.

კოლონიური რეჟიმის ფორმები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და სხვადასხვა სახეს იღებდა. გასული საუკუნის ბოლომდე კოლონიების დატაცების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენადა ე.წ. „არავისი მიწების პირველი ოკუპაცია". „უდიდეს აღმოჩენათა წლებში" კი, საკმარისი იყო ოკეანის რომელიმე მიწის რუკაზე გადატანა, რომ იგი მისი „აღმომჩენი" სახელმწიფოს მფლობელობაში ითვლებოდა. XIX საუკუნიდან დაიწყო „თავისუფალი კონკურენციის" მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც მოჰყვა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის აგრარულ სანედლეულო დანამატად ქცეული აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამორჩილება.

1876-1914 წლებში, როცა გაიზარდა კოლონიურ სახელმწიფოთა რიცხვი, დაიწყო ამა თუ იმ წესით დაპყრობილი მიწების ხელახლა გადანაწილების პროცესი. 1884-1885 წწ. ბერლინის კონფერენციაზე 14 სახელმწიფო ცდილობდა დაეკანონებინა აფრიკის გაყოფა. ამ გაყოფის საერთაშორისო რეგულირების ერთერთი მეთოდი იყო კოლონიზატორ სახელმწიფოთა შორის გავლენის სფეროების განაწილება. მაგ., 1890 წ. 5 აგვისტოს ნოტების გაცვლით საფრანგეთმა ცნო ბრიტანეთის პროტექტორატი ზანზიბარზე, რომლის სანაცვლოდ ინგლისმა ცნო საფრანგეთის პროტექტორატი მადაგასკარზე. ასევე 1904 წ. 8 აპრილს საფრანგეთ-ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულებით, ინგლისმა ცნო საფრანგეთის უფლება მაროკოზე, ხოლო საფრანგეთმა — ინგლისის უფლება ეგვიპტეზე, პროტექტორატის ფორმით. პროტექტორატი (დამცველი, მფარველი) ორ სახელმწიფოს შორის სპეციალური შეთანხმებთით გაფორმებული ურთიერთობაა, როცა პროტექტორი განაგებს პროტეჟეს საგარეო პოლიტიკას და მისი სახელით გამოდის საერთშორისო ურთიერთობებში, უზრუნვე-

ლყოფს მის ტერიტორიულ მთლიანობასა და უშიშროებას.

ინგლისის კოლონიური მმართველობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. მან შეძლო კოლონიური რეჟიმის ისეთი ფორმების განხორციელება, როგორიცაა ***კოლონიები, ნახევრად კოლონიები***. აქ შედიოდნენ, ერთი მხრივ, ***ვასალიტეტები*** და ***პროტექტორატები***, მეორე მხრივ, კაპიტულაციის რეჟიმი და ტერიტორიის საერთშორისო იჯარა — ***დომინიონი***.

ინგლისურმა მმართველობამ საკუთარი კაპიტალის შექმნით დომინიონ ქვეყნებში ხელი შეუწყო მათ დამოუკიდებელ ეკონომიკურ განვითარებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დომინიონი ქვეყნების და ბრიტანეთის ეკონომიკის ურთიერთზეგავლენის გამო, ინგლისი გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დათმობაზე წავიდა. ამის მაგალითია 1917 წ. იმპერიის სამხედრო კონფერენციის გადაწყვეტილება, რომელიც საფუძველი გახდა დომინიონ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა სრულუფლებიან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპით წარმართულიყო.

1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დომინიონ სახელმწიფლთა მიერ ხელმოწერილ იქნა „ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება“, რის საფუძველზეც პოლიტიკური თვალსაზრისით, ინგლისთან დამოკიდებული ქვეყნების ოთხი ჯგუფი წარმოიქმნა: I ჯგუფში შედიოდა ოთხი ბრიტანული დომინიონი — კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკის კავშირი. ამ ჯგუფის ქვეყნების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებს წარმოადგენდნენ და მხოლოდ ფორმალურად იყვნენ გაერთიანებული ინგლისთან. II ჯგუფის თანამეგობრობის ქვეყნებზე (ცეილონი, იამაიკა, ტობაგო, მალტა) ინგლისის დედოფალი ავრცელებდა უმაღლეს ხელისუფლებას, ამ ქვეყნებში გენერალ-გუბერნატორების დანიშვნით. III ჯგუფს ეკუთვნოდა მალაზიის ფედერაცია. იურიდიულად, მას ჰყავდა სახელმწიფოს მეთაური — არჩევითი მონარქი. IV ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ რესპუბლიკები (ინდოეთი, პაკისტანი, ნიგერია). ფორმალურად ამ რესპუბლიკებმა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი მიიღეს,

მაგრამ ინგლისთან დაკავშირებულნი იყვნენ საერთშორისო მნიშვნელობის ვალდებულებებით.

თითოეულმა დამოკიდებულმა სახელმწიფომ ბრიტანეთთან ურთიერთობის თავისი გზა განვლო.

1920 წ. მაისში, როცა ერთა ლიგის მანდატები განაწილდა, ინგლისმა დომინიონებთან ერთად გერმანული კოლონიების ლომის წილი მიიღო. ინგლისს გადაეცა მანდატები ერაყის, პალესტინის, ტრანსიორდანიისა და კამერუნის ნაწილზე. დომინიონებმა მიიღეს მანდატი სამხრეთ დასავლეთ აფრიკასა და ახალი გვინეის გერმანულ ნაწილზე.

1926 წ. იმპერიის კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომლის საფუძველზე დომინიონებმა იურიდიულად მოითხოვეს თანასწორობა მეტროპოლიასთან მიმართებაში. ამ დეკლარაციის შემდეგ ერთა თანამეგობრობის ქვეყნების მმართველობა განმტკიცდა 1931 წ. ვესტმინსტერის სტატუტით, რომელსაც ბრიტანული იმპერიის, „კონსტიტუციასაც“ უწოდებენ ხოლმე. ამ აქტის მიხედვით, ინგლისის მონარქი ერთა თანამეგობრობის მეთაურად ითვლებოდა, ხოლო თითოეული წევრი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ცენტრალური ხელისუფლება არ ერეოდა. აღიარებულ იქნა ისიც, რომ დიდი ბრიტანეთი და დომინიონები შინაარსობრივად თანასწორუფლებიან სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ და არ იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებულნი საშინაო ამოცანების გადაწყვეტაში. იმ კატეგორიის დომინიონებში, სადაც ბრიტანეთის მონარქის ხელისუფლება ვრცელდებოდა, დომინიონის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით დედოფალი ნიშნავდა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც უკვე მეტროპოლიის ემისარი კი აღარ იყო, არამედ მონარქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. დომინიონებში იგზავნებოდნენ დიდი ბრიტანეთის ელჩები — უმაღლესი კომისრები. თავის მხრივ, დომინიონებმაც მიიღეს უფლება წარმომადგენლები გაეგზავნათ მეტროპოლიაში სრულუფლებიანი ელჩის სტატუსით. ვესტმინსტერის სტატუსმა არსებითად გაზარდა დომინიონთა სახელმწიფოებრივი დამოკიდებულობა. ამ აქტის მიღების შემდეგ ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერ-

ენცია მოიწვეოდა სისტემატურად წელიწადში ერთხელ.

30-იანი წლებიდან დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოჰყვა ბრძოლები დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. განსაკუთრებით იმძლავრა გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ინდოეთში 1930-1934 წწ. 1935 წ. მიიღეს კანონი ინდოეთის მმართველობის შესახებ, რომელიც 1935 წ. კონსტიტუციის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ აქტის საფუძველზე, ინდოეთი ფედერალური მმართველობის უფლებით შედიოდა ინგლისის შემადგენლობაში.

მეორე მსოფლიო ომის წინ გამწვავდა პოლიტიკური კავშირები ირლანდიასა და ინგლისს შორის. 1937 წ. ირლანდიის პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც აცხადებდა ირლანდიას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ. მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანიამ და იაპონიამ შეძლეს დაეკავებინათ ბრიტანული კოლონიების ტერიტორია. ომმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მოუტანა ინგლისს, რითაც ისარგებლეს ამერიკის შესაბამისმა წრეებმა და ბრიტანულ კოლონიებში თავიანთი კაპიტალი დააბანდეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კიდევ უფრო გაიმიჯნა დომინიონისა და მეტროპოლიის კავშირი. გაძლიერდა საკუთარი მრეწველობა და მათ დაიწყეს დამოუკიდებელი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან. 1947 წ. 17 ივნისს ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი „ინდოეთის დამოუკიდებლობის" შესახებ. ეს კანონი ითვალისწინებდა რელიგიური ნიშნის მიხედვით ინდოეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფას — ინდოეთად და პაკისტანად. დომინიონის სტატუსი მათ მიენიჭათ იმ პირობით, რომ უცხო კაპიტალის დაბანდებას სრულ თავისუფლებას მისცემდნენ. იმავე წელს დომინიონის სტატუსი მიიღო ცეილონმა, ბირმამ. დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა მალაია. თუმცა ბრიტანეთი აქ დათმობაზე აღარ წავიდა და 1948 წ. ძალით ჩაახშეს ეს მოძრაობა. შედარებით რთულად განვითარდა ირლანდიასთან ურთიერთობა. ინგლისსა და ირლანდიას შორის დაპირისპირება საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში ხან ჩაცხრე-

ბოდა, ხან ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე. 1921 წ. ინგლისის დამსჯელმა არმიამ ფაქტიური დამარცხება განიცადა ირლანდიასთან. ამას მოჰყვა ინგლისის პოლიტიკური მანევრი. 26 საგრაფომ, რომლისგანაც ირლანდიის რესპუბლიკა შედგებოდა, მიიღო დამოუკიდებლობა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის კუნძული — ჩრდილოეთ ირლანდიის სახელწოდებით ძალით იქნა შეყვანილი შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში. 1948 წ. ირლანდიამ, რომელიც 1921 წლამდე დომინიონი იყო, მიიღო კანონი რესპუბლიკად მისი გამოცხადების შესახებ. ეს ნიშნავდა ბრიტანული იმპერიის შემადგენლობიდან ირლანდიის ოფიციალურ გამოსვლას.

1973 წლის 8 მარტს რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა კათოლიკურმა უმცირესობამ და ხელისუფლებამ ირლანდიის ლიდერებთან გააფორმა შეთანხმება, რომლის მიხედვით შეიქმნა ირლანდიის საბჭო. მოგვიანებით ამ აქტის რატიფიკაციაც ჩავარდა.

უკვე რამდენიმე ათეული წელია მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები ირლანდიის ტრაგიკულ ცნობებს იუწყებიან, თუმცა ბრიტანეთის მხრივ რაიმე დათმობას ადგილი არ აქვს. ამ დაუმთავრებელ დაპირისპირებას მოჰყვა ტერორი, ძალადობის აქტები რელიგიურ-სექტანტურ მოტივებზე, მასიური უმუშევრობა, მძიმე სოციალური პირობები.

კონსერვატორთა და ლეიბორისტთა მთავრობები ურთიერთმონაცვლეობით თავიანთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრამაში არ ითვალისწინებენ კონფლიქტის ლიკვიდაციის რეალურ გზებს. დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა ჩრდილოეთ ირლანდიას განიხილავს, ნახევრად კოლონიური ანკლავის სტატუსში.

. ბრიტანეთის იმპერია დაიშალა და მოისპო კოლონიური რეჟიმიც. თუ რა ურთიერთზეგავლენა მოახდინეს მეტროპოლიამ და დომინიონებმა ერთმანეთის ეკონომიკის, კულტურისა და სოციალურ განვითარებაზე, ეს ცალკე კვლევის სფეროა. ერთი კი ცხადია, ბრიტანული იმპერიის დაშლა დამოკიდებული ქვეყნებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა.

§ 52. ინგლისის საზოგადოებრივი წყობილება და მისი ევოლუცია

ინგლისის პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან ერთად საზოგადოების ცალკეული კატეგორიებიც განვიხილოთ. მათი უფლებრივი მდგომარეობის განვითარება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ჯერ ნორმანელების მიერ ინგლისის დაპყრობასთან, შემდეგ კი, ქვეყანაში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებთან.

განვიხილოთ ინგლისის საზოგადოების ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობა და მისი ევოლუცია სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ანგლოსაქსების სახელმწიფოში, როგორც ამას ისტორიული წყაროები მოწმობენ, მკვეთრად განირჩეოდა საზოგადოების ფენები: თავისუფალი, ნახევრად თავისუფალი და მონები. თავისუფალთა წრეს ეკუთვნოდნენ: ერლები და ტენები; ნახევრადთავისუფალთ — ლეტები და კერლები, ხოლო ყველაზე დაკაბალებულ ნაწილს მონები შეადგენდნენ.

1. ***ერლები*** (Earls) — როცა ანგლოსაქსებში გვაროვნული წყობილება დაიშალა, გვარს გამოეყო ზედაფენა, გვარის დიდკაცობა, ე.წ. საგვარელო არისტოკრატია, რომელმაც, მოგვიანებით, შეადგინა საზოგადოების ყველაზე მაღალი ფენა. ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით, ერლის სისხლი, ანუ მკვლელობის საზღაური, სხვა ფენებთან შედარებით მეტი იყო. ერლებს მიწების უდიდესი ნაწილი ეკავათ და დროთა მანძილზე მსხვილ ფეოდალებად იქცნენ.

2. ***ტენები*** (Thanes) — საგვარელო არისტოკრატიასთან ერთად ანგლოსაქსების ეპოქაში ჩამოყალიბადა მსახურეული არისტოკრატიის ფენა. ეს იყო წარჩინებულ მსახურთა დიდკაცობა, რომელიც სამეფო კარის მოხელეებისა და პროვინციის გრაფებისაგან შეიქმნა.

3. ***კერლები*** (Coerls) — ანგლოსაქსური გლეხკაცობაა, რომელიც ფეოდალური ლაშქრის ძირითადი ბირთვი იყო. გლეხი ამ

პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო დაყმევებული, ჰქონდა თავისი საკარმიდამო ნაკვეთი, საწარმოო საშუალებანი და საკუთარი მეურნეობა — ანგლოსაქსური სამართლის წიგნების მიხედვით, კერლის სისხლი სამჯერ ნაკლები იყო ერლის სისხლზე. აღსანიშნავია, რომ კერლები, თუმცა გლეხები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური უფლებით სარგებლობდნენ. მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებებში, შეიძლება არჩეული ყოფილიყვნენ დაბალ თანამდებობაზე. IX საუკუნის ბოლოს კერძლების ძირითადი მასა ბატონყმურ დამოკიდებულებაში ჩავარდა და მათგან წარმოიქმნა ყმა-გლეხების ფენა ***ვილანები***.

4. ***ლეტები*** (Leti) — ასე ეწოდებოდა ნახევრადთავისუფალ პირებს და მათ ეკუთვნოდნენ მონობიდან თავდახსნილი პირები (გააზატებულნი). მოსახლეობის ეს კატეგორია მოკლებული იყო მიწის მფლობელობას. ფეოდალიზაციის პროცესთან ერთად საზოგადოების ეს ნაწილი ყმაგლეხების კატეგორიას შეუერთდა.

5. ***მონები*** (Slaves) — ანგლოსაქსების ეპოქაში მონობა წარმოადგენდა წარსულიდან შემორჩენილ საზოგადოების ნაწილს, მაგრამ მათი ხვედრითი წილი საზოგადოებაში ჯერ კიდევ დიდი იყო. რაც უფრო ვითარდებოდა ბატონყმური ურთიერთობა, მით უფრო ქრებოდა მონათა ფენა. იგი თანდათან ყმა-გლეხთა კატეგორიად იქცა. მონა არ იყო სამართლის სუბიექტი, მას არ ჰქონდა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. მისი სისხლი პირუტყვის სისხლის ტოლფასი იყო. მონის მკვლელობის შემთხვევაში სისხლი, ანუ საზღაური ეძლეოდა არა მონის ოჯახს, არამედ ბატონს. მონობის წყარო აქაც ის იყო, რაც სხვა ქვეყნებში: სამხედრო ტყვეობა, შთამომავლობითი მონობა, ვალაუვალი მოვალე.

ინგლისის ფეოდალიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საზოგადოების განვითარებაშიც. ვილჰელმ ორანელის მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ 1086 წ. შედგენილ „დომსდეის წიგნში“ მნიშვნელოვანი ცნობებია გადმოცემული საზოგადოების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით. როგორც „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ჩანს, ფეოდალები, ანუ საზოგადოების ზედაფენა, ორ ჯგუფად იყოფოდა: I — პრივილეგირებული. აქ

შედიოდნენ სამეფოს ვასალები, ანუ დიდებული ბარონები (Barones majores) და მცირე ბარონები (Barones minores). ეს საერო და სასულიერო ზედაფენა ძირითადად ვილჰელმს გამოყოლილი ნორმანდიელები იყვნენ და მიწები მიიღეს ერთგულების ფიცისათვის. II — ქვევასალები — ანგლოსაქსელი ფეოდალები, რომელთაც მიწები შეინარჩუნეს. აქვე შედიოდნენ ვილჰელმის ჯარში მომსახურე რაინდები. ქვევასალები დაქვემდებარებაში იყვნენ როგორც ბარონებთან, ასევე მეფესთან. სხვა კონტინენტური ქვეყნების შესაბამისი ფენებისაგან განსხვავებით, ინგლისის ქვევასალები ვალდებულნი იყვნენ თანხლებოდნენ მეფეს საბრძოლო მოქმედების წარმოებისას.

მეფის თითოეული ვასალი ვალდებული იყო ყოველწლიურად 40 დღე მეფისათვის სამხედრო სამსახური გაეწია, მიეცა მისთვის ფულადი დახმარება და მონაწილეობა მიეღო მეფის არმიის შევსებაში.

რაც შეეხება ***გლეხთა*** (Serf) კატეგორიას, ისინი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ფეოდალებთან. „საშინელ სამჯავროს წიგნის შედგენისათვის" თავისუფალ გლეხთა რიცხვი უმნიშვნელო იყო მთელი მოსახლეობისა, სულ 12%, მაგრამ ისინიც ფეოდალებისათვის ზოგიერთი გადასახადის ვალდებულებით იყვნენ დაბეგრილნი.

გლეხთა ძირითად მასას შეადგენდნენ ***ბორდარები*** და ***კოტერები***. ესენი იყვნენ მცირემიწიანი გლეხები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრების გამო სხვადასხვაგვარად იწოდებოდნენ. უფლებრივად ბორდარები და კოტერები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. ისინი მოსახლეობის 70%-ს შეადგენდნენ. დამოუკიდებელი ფენა იყო ***ვილანები***, რომლებიც სასოფლო თემის წევრები იყვნენ. მოგვიანებით ბორდარები და კოტერები ვილანების კატეგორიას შეუერთდნენ.

ინგლისის მეფეების მიერ გამოცემული ორდინანსები ავალდებულებდა თითოეულ გლეხს რომელიმე ბარონის მფარველობაში შესულიყო და მკაცრი სასჯელით აშინებდა მათ, ვინც გაქცეულ გლეხს შეიფარებდა.

განსაკუთრებულ ფენას წარმოადგენდა ***ქალაქის მოსახლეობა***, რომელიც „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მიხედვით საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო.

დაახლოებით XIII საუკუნიდან მონობა ქრება. და ამ ფენის წარმომადგენლები ვილანების კატეგორიას უერთდებიან.

XIII-XV ს. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის დროს ინგლისის საზოგადოების ზედაფენა, წინა პერიოდის მსგავსად, ორ ჯგუფად იყოფოდა: დიდებული ბარონები და რაინდები. დიდებულ ბარონთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ მიწათმოქმედი არისტოკრატები. ამ პერიოდში მაიორატის სისტემად განმტკიცებულმა საკუთრებამ მიწაზე ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ აღემატებოდა მეფის სიმდიდრეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვერ ახორციელებდნენ მეფის ხელისუფლებიდან თავის დახსნას, რამდენადაც თავიანთ სამფლობელოებში არ სარგებლობდნენ უმაღლესი პოლიტიკური უფლებებით. ფეოდალური არისტოკრატია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის მართვაში. მათი წარმომადგენლები მოიწვეოდნენ მეფის საბჭოში და იკავებდნენ მნიშვნელოვან თანამდებობებს სახელმწიფოში. მაგრამ საზოგადოების ეს ფენა არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი. მისი განახლება შეიძლებოდა ომების დროს თვითგამოთხოვისა და მეფისაგან წყალობის მიღების გზით.

საზოგადოების შედარებით დაბალ ფენას ***საშუალო*** და ***წვრილი რაინდობა*** წარმოადგენდა (ნაიტები და სკვაირები). მათ XIII-XV სს. დიდი უფლებები მიენიჭათ, რამდენადაც ადგილებზე მმართველობა მათ ხელში გადავიდა. ამ წრიდან ინიშნებოდა შერიფები და სხვა თანამდებობის პირები ადგილებზე. ამ ფენის შემადგენლობა მუდმივად იზრდებოდა თავისუფალი მოსახლეობის ხარჯზე. მაგ., 1278 წ. ედუარდ I-მა უბრძანა შერიფებს რაინდის წოდება მიენიჭებინათ იმ მიწათმოქმედთათვის, რომელთა შემოსავალი 20 ფუნტ სტერლინგს აღემატებოდა.

ფეოდალიზაციის განვითარებას ინგლისში მოჰყვა სუბინფეოდაციის სისტემის დამკვიდრება. უფლებათა გადაცემამ მე-2, მე-3 და ა.შ. ვასალებზე გამოიწვია როგორც მეფის, ასევე მსხვილ

ფეოდალთა ინტერესების შელახვა. შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით, ჰენრი III-მ ერთ-ერთი ქარტიით დაადგინა, რომ არავის არ აქვს უფლება გასცეს სხვა პირზე თავისი მიწის ნაწილი, თუ ამის შედეგად შეიზღუდება მთავარი სენიორის უფლებები. 1290 წელს ედუარდ პირველის მიერ მიღებულმა სტატუტმა კი ბოლო მოუღო სუბ-ინფეოდაციის პროცესს, რითაც შეაჩერა დიდი ფეოდალების უფლებათა დაქუცმაცება.

საზოგადოების ცალკე ფენას შეადგენდნენ ***სასულიერო პირები*** (Clergy). თავისუფლებათა დიდი ქარტიის მიღების შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ ინგლისში უმაღლეს უფლებებს მიაღწია და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციად იქცა. ამ წოდებას თავისი პარლამენტი, კანონმდებლობა, საგადასახადო სისტემა, სასამართლო და მმართველობის ორგანოები ჰქონდა. სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სახელმწიფოში ეკავათ უმაღლესი თანამდებობები — ლორდ-კანცლერი, მეფის ბეჭდის მცველი და ა.შ.

ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცალკე უნდა აღინიშნოს ***ქალაქის მოსახლეობის*** უფლებრივი მდგომარეობის საკითხი. კონტინენტის სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, ინგლისის ქალაქებს არ მიუღიათ სრული დამოუკიდებლობა პოლიტიკურ და სამეურნეო სფეროში. ინგლისურ ქალაქებში სრულუფლებიანობით სარგებლობდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც ქალაქის უფლების გამოსყიდვაში იღებდნენ მონაწილეობას. ქალაქის მოსახლეობის კატეგორიიდან ამოღებულ იქნა არათავისუფალი, უცხოელი და სხვა კატეგორიის წარმომადგენლები.

ვაჭართა გილდიების (Merchant Gild's) კვალდაკვალ ინგლისის ქალაქებში შეიქმნა ***ხელოსანთა*** (Artisans) სამქროები. მაგრამ ისინი, ვინც ვაჭართა გილდიის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, დაშლას ექვემდებარებოდნენ. ისტორიას შემორჩა 1338, 1368, 1494 წლების მეწარმეთა გაფიცვები და ბრძოლის სხვა ფორმები ქალაქის პატრიციატის წინააღმდეგ.

ქალაქის მმართველობისათვის პატრიციატი ირჩევდა ქალაქის მერს, შერიფს და სხვა თანამდებობის პირებს და წარმომადგენ-

ლებს პარლამენტში. სხვა მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ელდორმენისა და საქალაქო საბჭოს წევრთა არჩევაში.

ქალაქის არისტოკრატიის ძალდატანებით ჰენრი IV-მ (1422-1461 წწ.) გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც შვილებისათვის ვაჭრობისა და სხვა ხელობის შესწავლის უფლება ეძლეოდათ პირებს, ვისი ქონებაც შეადგენდა არანაკლებ 20 შილინგს. ქალაქში ცხოვრობდნენ მცირე მეწარმენიც, რომლებიც თავისუფალნი კი იყვნენ, მაგრამ მოქალაქის უფლებებით არ სარგებლობდნენ.

ინგლისის საზოგადოების ყველაზე ქვედაფენას *გლეხები* წარმოადგენდნენ. ამ პერიოდის ინგლისში ისინი *ვილანების* სახელწოდებით მოიხსენიებიან. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის პერიოდში ვილანების უფლებრივი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. ერთი მხრივ, ისინი გარკვეულ თავისუფლებებს აღწევდნენ. ინგლისის არმიის დამარცხებები და პლანტაგენტების დინასტიის მიერ მიტაცებული მიწების დაკარგვა 100-წლიან ომში (1337-1453 წწ.) და სხვა მძიმე პოლიტიკური სიტუაციები აიძულებდა მეფეს სახელმწიფო ხაზინა ახალი გადასახადებით შეევსო. 1380 წელს დამატებითი გადასახადები დაწესდა იმ ვილანებისათვის, რომლებიც გლეხური დამოკიდებულებისაგან თავისუფლდებოდნენ. ყოველივე ამან გაამწვავა მდგომარეობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის და 1381 წელს მოხდა დიდი აჯანყება უოტ ტაილერის ხელმძღვანელობით. აჯანყებულთა შორის დიდი გავრცელება პოვა ე.წ. პრიმიტიული კომუნიზმის იდეამ. ამ იდეის ერთ-ერთი გამოჩენილი მოძღვარი იყო ჯონ ბოლი. ხალხთა თანასწორობას იგი ასაბუთებდა ადამის წარმომავლობიდან და ამტკიცებდა, რომ ინგლისის დიდება დადგება მაშინ, როცა ყველაფერი საერთო იქნებაო. ეს აჯანყება სისხლში ჩაახშვეს და 1381 წლიდან ინგლისში გლეხთა უფლებები საკმაოდ შეიზღუდა (ეს იდეა ეკუთვნოდა ღარიბ მღვდელს ვალტერ ლოლლარდსა და იგი 1322 წელს ინკვიზიციის მიერ სიკვდილით დაისაჯა კელნში).

ინგლისში პოლიტიკური ცხოვრების შემდგომმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ სტრუქტურებშიც გარკვეული ცვლილე-

ბები გამოიწვია. აბსოლუტიზმის დამკვიდრებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისას, თავადაზნაურთა ფენას გამოეყო მეწარმეთა ნაწილი — ***ჯენტრი*** (Gentry), მკვეთრად დაეცა სასულიერო წოდების როლი. ეკონომიკური ურთიერთობების გართულებასთან ერთად იწყება ქალაქის მოსახლეობის ფენებად დაყოფა. გამოიკვეთა უმაღლესი ფენა, რომელიც ვაჭრებისა და მსხვილი ხელოსნებისაგან შედგებოდა. მათ ემორჩილებოდა წვრილი ხელოსნები და სოფლის მეწარმეები. ასევე ცვლილებები განიცადა გლეხთა კატეგორიამაც, რომელიც ორ ნაწილად დაიყო: კოპიჰოლდერები, ფრიჰოლდერები. კოპიჰოლდერების უფლება მიწაზე დაფუძნებული იყო სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე. ფრიჰოლდერები — თავისუფალი მესაკუთრე გლეხები იყვნენ. ხშირად გლეხთა მდგომარეობა მძიმდებოდა, რადგანაც ფეოდალები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ სასამართლო გადაწყვეტილებებს მიწების შესამცირებლად. ამას მოჰყვა 1549 წ. გლეხთა აჯანყება რობერტ კეტის მეთაურობით. აჯანყების მიზეზები გამოიწვია მსხვილი ფერმერების, ვაჭრების, ჯენტრის მხედრების მიერ გლეხთა სახლების დატაცებამ, მათი მიწების შესყიდვამ და საიჯარო თანხების გაზრდამ.

ფრიჰოლდერებისა და კოპიჰოლდერების საკუთრების უფლების ანალიზისათვის მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა საგრაფოების მიწების აღწერები. მაგ., პემბროვის (1631-1632 წწ.) აღწერის მიხედვით ფერმერები — 90. როჯერ ერსი, ჯენტლმენი, ჯეიმზ I მეფობის მე-8 წლის 25 ივნისის (1610 წ.) ხელშეკრულებით ჰემბროვის გრაფის უილიამსის ბრძანებით, 1100 გირვანქა ფაინის გადახდის პირობით ფლობს მთავარ კარმიდამოს და ფერმას დიგტონში, ყველაფერი, რაც მას მიეკუთვნება, როგორც ამას ქარტია არკვევს, 24 გირვანქა წლიური რენტის გადახდის ფასად. აქ შედის: შესანიშნავი საცხოვრებელი სახლი მრავალი ოთახით, საცეცხვი სახლი, თავლა და სხვა ნაგებობები. კიდევ 10 1/2 აკრი, შემოღობილ მდელოებისა 2 ბოსტანი, 3 აკრი უშენი მიწის ფართობი. 36 აკრი შემოღობილი სახნავი მიწა, 6 აკრი საძოვარი, 120 აკრი შემოღობილი სახნავი 1 ფერდობი ცხვრის სამწყემსოდ 300

სულისათვის და 4 მცირე ნაკვეთი. კოპიოთი მფლობელები. 93. კოპიჰოლდერი მერი ბაუნდი 42 წლის უოლტერ ბაუნდის ქვრივი, ამჟამად რიჩარდ ბეზლის მეუღლე, ჯეიმს I მეფობის მე-15 (1617 წ.) წლის 21 ოქტომბრის კანონით, ჰემბრიკის გრაფის უილიამის ბრძანებით, 30 გირვანქა ფაინის (ჯარიმა) გადახდის პირობით ფლობს ეზოს და სახლთან მდებარე მცირე ნაკვეთს, ნახევარ ნაკვეთს ეზოში 28 შილინგის რენტის საფასურად, საცხოვრებელ სახლს 4 ოთახით და სხვენით, საცეცხლე სახლს 5 სათავსით, თავლას, სათავეს, ბოსტანს, ბაღს, 2 აკრ შემოღობილ ნაკვეთს 11 აკრ ნახევარ სახნავს, 48 აკრი საერთო მინდორში, 10 სულ რქოსანს, 96 ცხვარს (აკრი — 1/3 ჰექტრია[1].

მწვავე დაპირისპირებასა და ბრძოლას საზოგადოების ფენებს შორის მოჰყვა დრაკონული კანონების გამოცემა „მაწანწალობისა" და „უღატაკესთა" წინააღმდეგ. მაგ., 1495 წ., 1530 წ., 1597 წ. კანონი მაწანწალების მიმართ ითვალისწინებდა გამათრახებას მანამ, სანამ სისხლი მთელს სხეულს არ დაფარავდა. განმეორებით დაკავების შემთხვევაში კი, სიკვდილით სჯიდნენ.

XIII ს. მეორე ნახევარში ინგლისში დაიწყო სამრეწველო რევოლუცია. დიდი ბრიტანეთის საქარხნო-საფაბრიკო და მანქანური წარმოების განვითარებას მოჰყვა მსოფლიო ისტორიაში ყველაზე პირველად სამრეწველო ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შექმნა.

სოფლის მეურნეობაში მოხდა გლეხური მეურნეობის საბოლოო ლიკვიდაცია და გაიმარჯვა მსხვილი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობამ.

ასეთ სწრაფ ცვლილებებს საზოგადოებრივ სტრუქტურებში მოჰყვა ეკონომიკური კრიზისი, რადგან დაიწყო მუშა ხელის გამოყენება ბავშვებისა და ქალების შრომის ხარჯზე. 1816-1820 წწ. ანტისამთავრებო გამოსვლებში პირველად მიიღეს მონაწილეობა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა, ანუ ***სამრეწველო პროლეტარიატმა.*** ისინი მოითხოვდნენ საპარლამენტო რეფორმას. ამ გამოსვლებს

1 Bartholomew Shower- The Compleat English Copyholder: Or, a Guide to Lords of Manors, Justices of the Peace, Tenants, Stewards, BiblioBazaar, 2010, p.45-56.

ხელისუფლებამ რეპრესიები დაუპირისპირა. 1819 წ. 16 აგვისტოს მანჩესტერში, პეტერზფილდზე, მოხდა სისხლიანი შეტაკება გაფიცულებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. მანჩესტერისა და ლანკაშირის მოსაზღვრე ქალაქების ფეიქრებს თავს დაესხნენ რეგულარული არმიის ნაწილები — ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე ჰუსარები. სწორედ ამიტომ ეს სისხლიანი ანგარიშსწორება მომიტინგეთა მიმართ, რომელთა ნაწილი სახელმწიფო ღალატისათვის იქნა დაპატიმრებული, ინგლისის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში პიტერლოოს სახელწოდებით შევიდა.

სოფლად მიმდინარეობდა დაქირავებული მუშების ბრძოლა მსხვილი მემამულეებისა და ფერმერების წინააღმდეგ.

არანაირმა რეფორმამ, რომელიც XIX საუკუნის დასასრულს ინგლისის სახელმწიფო წყობილებაში გატარდა, არ შეაჩერა საზოგადოების გარკვეულ ფენებს შორის დაპირისპირებულობა. XIX ს. 30-40 წლებში ფართოდ გაიშალა მუშათა რევოლუციური მოძრაობა — ***ჩარტიზმის*** (Chartism) სახით. ჩარტისტები „სახალხო ქარტიის" განხორციელების ბრძოლის ლოზუნგით გამოდიოდნენ. მათ პირველი ორგანოც შექმნეს „ლონდონის მუშათა ასოციაციის" სახით. მისმა ლიდერმა უ.ლოფეტმა შეიმუშავა 1837 წ. პეტიცია, რომელიც სახალხო ქარტიის (people's Charter) სახელწოდებით გამოქვეყნდა. აქედან მომდინარეობს მოძრაობის სახელწოდებაც. ქარტია აწესებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას მამაკაცებისათვის 21 წლის ასაკიდან, აგრეთვე ყოველწლიური არჩევნების ჩატარებას და კანდიდატების მიმართ ქონებრივი ცენზის გაუქმებას. ჩარტისტებს შორის სერიოზული უთანხმოებანი წარმოიშვა. ერთი ნაწილი მოითხოვდა მშვიდობიანი აგიტაციის წარმოებას „მორალურ პრინციპზე" დაყრდნობით. მეორე ნაწილი — ფიზიკური ძალის მომხრე იყო და ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს მოითხოვდა. ამ ნაწილს სათავეში ჩაუდგა ო. კონორი, ო.ბრაიენი.

1839 წ. პარლამენტმა უარყო პეტიცია, რის საპასუხოდაც მოხდა ნიუპორტის აჯანყება.

ჩარტისტებმა მოახერხეს ქარტიისათვის ბრძოლაში ტრე-

დუნიონების ჩაბმაც. 1842 წელს წარადგინეს ახალი პეტიცია, რომელშიც მოითხოვდნენ ღარიბთა შესახებ კანონის გაუქმებას, გადასახადებისა და სამუშაო დღის შემიცრებას, ხელფასის მომატებას. პარლამენტის მიერ ეს ქარტიაც უარყოფილ იქნა. 1848 წ. ჩარტისტული მოძრაობა შენელდა, რადგან ისინი უმცირესობაში მოექცნენ და თანდათან მტრულ რეფორმისტულ სექტებად იქცნენ.

საზოგადოების ფენებს შორის მკვეთრი დაპირისპირება, სახელმწიფო ფორმისა და სტრუქტურის ცვლილების მიუხედავად, არ ნელდებოდა, იგი მხოლოდ სახეს იცვლიდა და გარკვეული პაუზების შემდეგ ახალი მიმართულებით აღმოცენდებოდა ხოლმე. ასე შეიცვალა გლეხთა დაპირისპირება ფეოდალების მიმართ მუშათა დაპირისპირებით ბურჟუაზიის მიმართ. მთავრობათა ცვლა ხელისუფლების სათავეში ყოველთვის დამოკიდებულია რადიკალურ რეფორმებთან ეკონომიკისა და საარჩევნო სისტემის სფეროში. ამ კუთხით ხელისუფლება აღწევს საზოგადოების დიდი ნაწილის მიმხრობას და დაპირისპირების თავიდან აცილებას. ინგლისის სახელმწიფოს ისტორია საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საზოგადოების გარკვეული კატეგორიების ოფიციალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირების კიდევ ერთი მაგალითია.

§ 53. ეკლესია და სახელმწიფო

რელიგიას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ძლიერების საქმეში. ამიტომ საერო ხელისუფალნი ცდილობდნენ თავიანთ ხელში მოექციათ სასულიერო ხელისუფლება და ამით საკუთარი არსებობის იდეოლოგიური საფუძველი გაემყარებინათ.

ქრისტიანობა (Christianity) დიდ ბრიტანეთში, როგორც ძირითადი რელიგია, ჯერ კიდევ ანგლოსაქსების ეპოქაში დამკვიდრდა 596 წ. ავგუსტინე კენტერბერიელის მისიით. ამ ეპოქიდან

მოყოლებული სასულიერო პირნი მნიშვნელოვნად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეთა მართვაში. გარდა იმისა, რომ ეკლესიები მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ, მათ სხვა მრავალი პრივილეგიაც გააჩნდათ. მართალია, საეკლესიო მმართველობაში წამყვან როლს მეფე ინარჩუნებდა, რადგან იგი ნიშნავდა უმაღლეს სასულიერო პირებს, მაგრამ მათ შეეძლოთ დამოუკიდებლად განეხორციელებინათ სასამართლო ფუნქციები.

მას შემდეგ, რაც 1054 წელს ქრისტიანობა ორ ნაწილად გაიყო, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე კათოლიკობა დამკვიდრდა. ვილჰელმ დამპყრობელს ჩამოყოლილმა სასულიერო პირებმა, საერო ფეოდალებთან ერთად, გარკვეული პრივილეგიები მოიპოვეს. მხოლოდ ისინი იკავებდნენ ეპისკოპოსებისა და აბატების თანამდებობებს.

ჰენრი I-ის მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგლისის სასულიერო პირთა უფლებები და პაპებს შეეძლოთ სახელმწიფო მმართველობაში ჩარეულიყვნენ, ხოლო საეკლესიო კრებები მეფის თანხმობის გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

კათოლიკურ რელიგიას შემდეგი თავისებურება ჰქონდა — ერთი საერთო რელიგიური ცენტრის არსებობა სხვადასხვა ქვეყნისათვის, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ძლიერებას. ამიტომ მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ რელიგიის მსახურნი. ცდილობდა რა აღედგინა მეფის ხელისუფლების უზენაესობა სასულიერო პირებზე, ჰენრი II-მ 1164 წელს გამოსცა „კლარენდონის კონსტიტუციები". ამ აქტის მიხედვით, ყველა სასულიერო პირი მიიღებდა რა მიწას მეფისაგან, ვალდებული იყო მეფისა და მისი მოხელეების წინაშე შეესრულებინა ყოველგვარი დავალება. მეფე ითვლებოდა უმაღლეს სააპელაციო მოსამართლედ საქმეებზე, რომელთაც სასულიერო სასამართლოები იხილავდნენ. ასევე მეფის კაპელაში უმაღლესი სასულიერო თანამდებობის დაკავება შეიძლებოდა არჩევნების შედეგად, მაგრამ მეფის თანხმობით.

„კლარენდონის კონსტიტუციები" მეფის ხელისუფლებას

განამტკიცებდა. მაგრამ სასულიერო პირთა ძლიერი გავლენის შედეგად, რომელიც თომა ბეკეტის მკვლელობის შემდეგ ძალზედ გაიზარდა, ჰენრი II-მ უკან დაიხია და უარი თქვა კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლზე (თომა ბეკეტი — არქიეპისკოპოსი იყო, რომელმაც გაილაშქრა კონსტიტუციების წინააღმდეგ და მოკლეს 1170 წ.).

კათოლიკური ეკლესიის თავისებურება ისიც იყო, რომ მას ერთიანი მმართველობის ცენტრი ჰქონდა ვატიკანში — რომის პაპის სახით და ყველა სახელმწიფოში აქედან ხდებოდა რელიგიური მმართველობა. კონტინენტურ ქვეყნებში სახელმწიფო წყობილების ცენტრალიზაციასა და მეფის ხელისუფლების გაზრდას სასულიერო წოდების მიმართ გარკვეული პრეტენზიები მოჰყვა, რათა ისინი დამორჩილებოდნენ მათ სახელმწიფოში არსებულ ხელისუფლებას.

XIII ს-დან ინგლისში შეუპოვარი ბრძოლა დაიწყო მეფის ხელისუფლებას, რომელსაც საერო ფეოდალები უჭერდნენ მხარს, და სასულიერო წოდებას შორის. 1296 წ. ედუარდ პირველს მათ უარი განუცხადეს გადასახადების გადახდაზე, რაც საფუძველი შეიქმნა იმისა, რომ მეფეს ხელი აეღო სასულიერო წოდების დაცვაზე. ამას მოჰყვა მხედრებისაგან მდიდარი ტაძრების ძარცვა და დარბევა.

ედუარდ პირველსა და ედუარდ II-ს ეპიზოდური ბრძოლები ეკლესიის წინააღმდეგ ედუარდ III-ს დროს (1327-1377 წწ.) შეიცვალა მკაცრი შეტევით სასულიერო პირთა განსაკუთრებულ უფლებებზე.

ინგლისის სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულება პაპის სასულიერო ხელისუფლების მიმართ კარგად გამოჩნდა 1399 წ. კანონში, რომელიც აცხადებდა ინგლისის სამეფოს თავისუფლებას რომის პაპის ხელისუფლებისაგან. იქნებ საერო ხელისუფალთ ვერაფერი გამოსვლოდათ ასე აღზევებული ერთიანი ცენტრალიზებული სასულიერო უმაღლესობის მიმართ, აქაც რომ დიდი განხეთქილება არ დაწყებულიყო. 1378 წ., 1417 წ. ტახტისათვის რამდენიმე პაპი ებრძოდა ერთმანეთს. საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების ესპანეთის, ნეაპოლისა და შოტლანდიის მხარდაჭერ-

ით ავინიონში პაპად არჩეულ იქნა კლემენტ VII, ხოლო ინგლისის, გერმანიისა და იტალიის მხარდაჭერით ურბან VI. ასე შეიქმნა ორი პაპის კურია. პაპებმა ერთმანეთი შეაჩვენეს. პარიზის საეკლესიო კრებამ 1409 წ. გადააყენა როგორც ავინიონის, ისე რომის პაპი და პაპად აირჩია ალექსანდრე V. გადაყენებულმა პაპებმა არ ცნეს კრების გადაწყვეტილება და დაიწყო სამპაპობა სასულიერო ხელისუფლებაში. ასეთ კრიზისს მოჰყვა დიდი ძვრები სახელმწიფო ფორმათა სტრუქტურებში. კათოლიციზმი, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა მყარი დასაყრდენი იყო, ამ ფაქტთა გამო თავის ძირითად იდეოლოგიურ დანიშნულებას ვეღარ ახორციელებდა. მართალია, კონსტანციის საეკლესიო კრებამ 1414-1418 წწ. სამივე პაპი გადააყენა და აირჩია ბენედიქტე XII, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის შერყეულ ავტორიტეტს ამან ვეღარ უშველა.

ამ პერიოდში გავრცელდა ე.წ. მწვალებლური მოძრაობები. ინგლისში საფუძველი ჩაეყარა მასონურ მიმართულებას „მასონთა ლოჟის" ფრანკ-მასონების სახელწოდებით, ამ მიმართულების წარმომადგენლები ცალკე საძმოებს აყალიბებდნენ არტელების სახით და თავიანთი წესდებებით განამტკიცებდნენ მათ არსებობას. ცნობილია 1352 წ., 1370 წ., 1409 წ. წმინდა პეტრეს ტაძარში მიღებული წესდებები, რომლებიც საეკლესიო კაპიტალს ეყრდნობოდა (მასონი — ნიშნავდა ქვის მთლელს, ფრანკო მასონი — მშენებელ მუშებს).

სასულიერო ხელისუფლების კრიზისს დაერთო რეფორმაციის პერიოდი, რომელიც მარტინ ლუთერმა დაიწყო გერმანიაში. ინგლისში სამეფო ლუთერანული რეფორმა ჰენრი VIII-ისა და ედუარდ VI-ის მეფობის პერიოდში განხორციელდა 1534 წ. „სუპრემაციის" აქტით მეფე გამოცხადდა ეკლესიის მეთაურად და ჩატარდა სამონასტრო მიწებისა და ქონების სეკულარიზაცია, ჩამოყალიბდა ნახევრად ფორმაციული ანგლიკანური ეკლესია. ამ რეფორმამ განამტკიცა სამეფო აბსოლუტიზმი.

XVI საუკუნის 20-30-იან წლებში რეფორმაციამ სხვაგვარი სახე მიიღო შვეიცარიაში. ე.წ. კალვინისტური რეფორმაციის სახელწოდებით, რომელიც შემდგომში გავრცელდა ნიდერლანდებში და

აქედან ინგლისში. ინგლისში იგი პურიტანიზმის სახით შემოვიდა. პურიტანისტები მიზნად ისახავდნენ ნახევრად პროტესტანტული ანგლიკანური ეკლესიის გაწმენდას რომის კათოლიციზმის ნარჩენებისაგან. პურიტანიზმი ძირითადად გავრცელდა საზოგადოების ახალ ფენებში ჯენტრსა და ბურჟუაზიაში. ხელისუფლებამ დაიწყო მათი რეპრესიები, მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს სწორედ ამ მიმართულებამ განსაზღვრა რელიგიური პოლიტიკური პარტიების შედგენა (პრესვიტერიანები, ინდეპენდენტები, ლეველერები). 1643 წლიდან ანგლიკანური ეკლესია გაუქმდა, რომლის შემდეგ ოფიციალურ რელიგიად იქცა პრესვიტერიანობა და შემდეგ ინდეპენდენტობა. რესტავრაციის ხანაში პარლამენტის „ერთგვაროვნების აქტით" 1662 წ. აღდგა ანგლიკანური ეკლესია. 1791 წ. კათოლიკებისათვის დაწესდა რწმენის თავისუფლება.

ანგლიკანური ეკლესიის პერიოდში სახელმწიფოსთან მისი მიმართება შეიძლება ასე გამოიხატოს: ანგლიკანური ეკლესიის მეთაური იყო მეფე, საეკლესიო იერარქიას სათავეში ედგა არქიეპისკოპოსი. მას მოსდევდა იორკისა და სხვა 40 ეპისკოპოსი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ლორდთა პალატის წევრი იყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საეკლესიო გადაწყვეტილებას ამტკიცებდა პარლამენტი.

§ 54. სამართლის წყაროები ინგლისში

ინგლისური სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სისტემა, ინგლისსა და უელსს მოიცავს, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, ლამანშის კუნძულები და მენის კუნძული „ინგლისურ სამართალს" არ ემორჩილება. იგი არც შეერთებული სამეფოს სამართალია, არც დიდი ბრიტანეთის. ამიტომ ტერმინზე „ბრიტანული სამართალი", როგორც ამას ინგლისელი სამართალმცოდნეები აღნიშნავენ, უარი უნდა ითქვას[1].

1 რენე დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ., 1993 წ., გვ. 212

ინგლისის სამართალგანვითარება გულისხმობს გარკვეულ პერიოდიზაციას, რომელიც თავისთავად არ ემთხვევა ინგლისის სახელმწიფოს პერიოდიზაციას:

1. ანგლოსაქსური სამართლის პერიოდი – V ს-დან XI ს-მდე;

2. დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების პერიოდი. ეს უკანასკნელი საერთო სამართლის წარმოშობის ეტაპია და გრძელდება 1066 წლიდან 1485 წლამდე;

3. სამართლიანობის სამართლის დამკვიდრება და კომპრომისი საერთო სამართლიდან. იგი გრძელდება XIX ს-ის პირველ ნახევრამდე;

4. ინგლისური სამართლის კომპრომისი კონტინენტურ სამართალთან, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე გრძელდება.

ტერმინი „ანგლოსაქსური" ან „ინგლისურ-საქსონური" სამართალი სადავოა და მას ევროპის კონტინენტს გარეთ აბსურდად მიიჩნევენ, რადგან ინგლისის სახელმწიფოებრიობის დასაწყისად ისინი 1066 წელს თვლიან და სამართლის წარმოშობასაც ამ თარიღს უკავშირებენ. ამის საპირისპიროდ, ინგლისური სამართლის ისტორიკოსები, ინგლისის სამართლის ისტორიას იმ ეპოქიდან იწყებენ, როცა რომის იმპერიის კოლონიური რეჟიმი მოისპო და ბრიტანეთის ტერიტორიაზე გერმანული ტომების შემოსევების შედეგად პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები წარმოიქმნა. ჩვენ მივყვეთ ინგლისელი ისტორიკოსების მოსაზრებას და 1066 წლამდე პერიოდი მივიჩნიოთ ანგლოსაქსური სამართლის ეტაპად. ეს ეტაპი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და განვიხილოთ ინგლისის საერთო-სამართლებრივი სისტემის განვითარებასთან ერთად.

ინგლისური სამართლის თავისებურება **სამართლის წყაროებში** მჟღავნდება, როგორც ყველა სახელმწიფოში ინგლისში სამართლის ერთ-ერთ წყაროს ***ჩვეულება*** (custom) წარმოადგენდა.

ჩვეულება, როგორც სამართლის წყარო, მხოლოდ ანგლოსაქსური სამართლის დახასიათებისას გამოდგება, რადგანაც ჩვეულებითი სამართალი (Customary Law) ინგლისში საერთო სამართლის (Common Law) წარმოშობამდე არსებობდა. შემგომ პერიოდში კი,

საერთო სამართალმა შეძლო იმ დროისათვის მოქმედი ადგილობრივი ჩვეულებების ზოგიერთი ნორმა შეეთვისებინა. დროთა განმავლობაში ჩვეულების მნიშვნელობა მეტად შეიზღუდა, რადგანაც 1265 წლის კანონის თანახმად (რომელიც დღესაც მოქმედებს), ჩვეულება მაშინ ჩაითვლება ძველად და სავალდებულოდ, თუ იგი არსებობდა 1189 წლამდე. გარდა ამისა, მრავალი ჩვეულება სასამართლო პრაქტიკამ აითვისა ან სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ იქნა ისე, რომ დღესდღეობით, საკმაოდ ვიწრო სფერო დარჩა, სადაც ჩვეულება გამოიყენება. მაგ., თეორიულად საქმის განხილვაში მსაჯულების ჩაბმის საკითხი მოსამართლის შეხედულებით წყდება. ჩვეულება კი ამა თუ იმ საქმეში მსაჯულების მონაწილეობას მკაცრად მოითხოვს.

ინგლისურ სამართალში დიდი როლი ენიჭება ***სასამართლო პრაქტიკას*** (Precedent), როგორც სამართლის წყაროს. ინგლისი სასამართლო პრაქტიკის, პრეცედენტის, სამშობლოდ ითვლება. არც ერთ სხვა ქვეყანაში თუ სამართლებრივ სისტემაში პრეცედენტს ისეთი როლი არ ენიჭება, როგორც ინგლისში, ინგლისურმა სამართალმა სამართლის წყაროების მიმართ საკუთარი სტრუქტურა და თავისი თავდაპირველი თვისებები შეინარჩუნა. ეს კარგად ჩანს ვესტმისტერისა (საერთო სამართალი) და კანცლერის სასამართლოების (სამართლიანობის სამართალი) მიერ შექმნილ სამართალში, რაც თავისთავად პრაქტიკას გულისხმობს. ისიც აღსანიშნავია, რომ არა მარტო ამ სასამართლოთა გადაწყვეტილებები ქმნიან პრეცედენტს. არამედ სამართლის ზოგადი გადასინჯვაც კი არასოდეს განხორციელებულა ინგლისში კოდიფიკაციის ფორმით. ინგლისის კანონების დებულებები სასამართლო პრაქტიკის გადაწყვეტილებათა ნაკადში იძირება. ინგლისურ სამართალში ისტორიულად სასამართლო პრეცედენტი საერთო სამართალში გამოიყენებოდა. მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ პერიოდში, როცა მეტად უმნიშვნელო განსხვავებაა საერთო და სამართლიანობის სამართალს შორის, პრეცედენტის წესი ერთნაირად მოქმედებს ინგლისის სასამართლოებში.

კონტინენტურ ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკა ჩვეუ-

ლებრივ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, რადგან იურიდიული ძალა აქვთ კანონებს და არა კონკრეტულ კაზუსებს (non exemplis sed legibus judicandumest), — აცხადებს იუსტინიანეს კოდექსი, მაგრამ ინგლისში არასოდეს არ ცნობდნენ რომაული სამართლის ავტორიტეტს.

ახალი სამართლებრივი სისტემა კი, რომელიც ინგლისში ჩამოყალიბდა, მეფის ვესტმისტერის სასამართლოების მიერ შექმნილი პრაქტიკის ნაყოფია. ასეთ ვითარებაში სასამართლო არა მარტო იყენებს, არამედ ქმნის კიდეც სამართლის ნორმებს, რაც სასამართლო პრეცედენტს სხვანაირ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე კონტინენტურ ქვეყნებში. პრეცედენტის წესი (rule of precedent), რომელიც ინგლისელ მოსამართლეებს ავალდებულებს მისდიონ მათი წინამორბედის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო განმტკიცდა XIX ს-ის I ნახევრიდან.

პრეცედენტის წესის თანახმად, 1) ლორდთა პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სავალდებულო წესია ყველა სასამართლოსა და თვით ლორდთა პალატისათვის; 2) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი; ლორდთა პალატის გარდა, ყველა სასამართლოსათვის სავალდებულოა, 3) ზედა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვემდგომი სასამართლოებისათვის. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ სავალდებულო პრეცედენტები მარტო ზედა სასამართლოსა და ლორდთა პალატის მიერ იქმნება. სხვა სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები სავალდებულო პრეცედენტს არ ქმნიან.

XIX საუკუნიდან დამკვიდრდა წესი, რომ გამოქვეყნდეს ლორდთა პალატის გადაწყვეტილებათა 75 % და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა 10 %. ასე იცხრილება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც პრეცედენტად არ უნდა ჩაითვალოს. ესეც ერთგვარი პირობაა გადაწყვეტილებათა დიდი ნაკადის შემცირებისათვის, რომელსაც ინგლისელი იურისტების წალეკვა და პრეცედენტის ავტორიტეტის დაკნინება შეუძლია.

სასამართლო პრაქტიკის თავმოყრა ხდება ***სასამართლო***

პრაქტიკის სხვადასხვა *კრებულში*: Law of England, რომელიც სხვადასხვა სერიით გამოდის (ლორდთა პალატის გადაწყვეტილებებზე მიუთითებს – K, B, Ch, P; დიდი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე – All England Law Reports და Weekly law Reports).

ინგლისური სამართლის წყაროდ ითვლება *კანონები* (Statute, Act of Parliament) და *კანონქვემდებარე აქტები*, რომელთაც დელეგირებულ, ანუ დამხმარე კანონმდებლობასაც უწოდებენ.

კლასიკური ინგლისური თეორიის მიხედვით, კანონი სამართლის მეორეხარისხოვანი წყაროა. ამ თეორიის თანახმად, კანონს სასამართლო პრაქტიკის მიერ შექმნილ სამართალში ზოგიერთი შესწორება და დამატება შეაქვს.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ანგლოსაქსური ეპოქიდან მოყოლებული, ინგლისში მრავალი სამართლის კრებული იქნა შედგენილი, მაგ., საქსონურ ენაზე 600 წ. შედგენილ იქნა ეთელბერტის კანონები, რომელიც სულ 90 მოკლე ფრაზას შეიცავს; VII საუკუნის ბოლოს მეფე ინის კანონები, რომლებიც IX საუკუნის ბოლოსათვის მეფე ალფრედის კანონებში შევიდა; 1017-1035 წწ. შეიქმნა დანიის მეფის კანუდის კანონები, რომელიც სხვა კრებულებთან შედარებით დამუშავებულია და სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო გამართულია. ეს წიგნები თავისი შინაარსით ფრანკების სალიკურ სამართალს წააგავს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავდაპირველ ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სავალდებულო ძალა ჰქონდა აგრეთვე მეფის მიერ გამოცემულ ორდანანსებსა და სტატუტებს.

ისტორიულად სამართლის წყაროს წარმოადგენდა *საეკლესიო კრებების დადგენილებებიც*. რაც შეეხება *რომის სამართალს*, მისი გავლენა საკმაოდ სუსტი იყო. ამან განაპირობა დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის დამკვიდრება, რითაც ინგლისური სამართალი განსხვავდება კონტინენტური ქვეყნების სამართლისაგან.

ნორმანდიელების ინგლისის დაპყრობის შემდეგ ჩამოყალიბდა და განვითარდა სამართლის დამოუკიდებელი სისტემა – საერთო სამართალი. იგი იყო ადგილობრივ ჩვეულებებზე, მეფის ორდინან-

სებსა და სტატუტებზე დაფუძნებული სამართლებრივი სისტემა, რომელმაც სამართლის წყაროთა კლასიფიკაციაში გარკვეული რეზონანსი შეიტანა.

საერთო სამართალი, ანუ მთელი ინგლისისათვის საყოველთაო სამართალი, წარმოიშვა სამეფო სასამართლოებიდან, რომლებიც ვესტმისტერის სასამართლოებად იწოდებოდა იმ ადგილის მიხედვით, სადაც სასამართლო იკრიბებოდა ხოლმე. სამეფო სასამართლოების შექმნამ ხელი შეუწყო ახალი იურისდიქციის ჩამყალიბებას და რომელიც ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების განვითარების მემკვიდრეა.

ამ სასამართლოების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტად საჭირო გახდა ახალი სამართალი, რადგან ადგილობრივი ჩვეულებები და კანონთა ძველი კრებულები ვესტმისტერის სასამართლოში წარმოდგენილ კაზუსებს ვერ წყვეტდა. ეს სასამართლოები ვერ იყენებდა რომაულ სამართალსაც, რადგან რომაული სამართალი, უპირველეს ყოვლისა, კერძო სამართალია, ინგლისის სასამართლოების მიერ განხილული დავა კი — საჯარო-სამართლებრივი. ვითარებამ, რომელშიც ვესმისტერის სასამართლოები აღმოჩნდა, ახალი სამართლის შემუშავება მოითხოვა, რაც შემდეგ საერთო გახდა მთელი ინგლისისათვის.

§ 55. საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი

საერთო სამართალი (Common Law) — ადგილობრივ ჩვეულებებზე, მეფის გადაწყვეტილებებსა და სტატუტებზე აღმოცენებული სამართალია, რომელსაც მნიშვნელოვნად დაემატა სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული ახალი მიმართულებები. შეიქმნა კრებულები, რომლებიც ისტორიაში საერთო სამართლის წიგნებად არის შესული. მაგ., ცნობილია, რომ ***გ.ბრექტონმა*** XIII ს. საერთო სამართლის წიგნებში საკმაოდ გამოიყენა პოსტგლოსატორი აზოს შრომები. ყველა ამგვარი გადმოღება მორგებული იყო ახალი სა-

სამართლო პროცედურის ჩარჩოებს. მოსამართლეები არასოდეს აღიარებდნენ ამას და საერთო სამართალი, რომელიც სასამართლო პრაქტიკით იქმნებოდა, მათ მიერ წარმოდგენილია, როგორც გონის ნაყოფი.

საერთო სამართლის ყველაზე სრულ კრებულებად ითვლება 1290 წელს უცნობი ავტორის მიერ შედგენილი წიგნი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: 1) პუბლიცისტური სამართალი; 2) სისხლის სამართალი; 3) სანივთო სამართალი. მის გეერდით XIII ს-ში შედგენილი იქნა ***ტორიტონის კრებული.*** საერთო სამართლის პრინციპებზე შედგენილ დოკუმენტად მიიჩნევენ პირველ იურიდიულ ტრაქტატსაც „ინგლისის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ", რომელიც მიეწერება ჰენრი II-ის დროინდელ უმაღლეს მოსამართლეს რანულფუ კლენვილს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ტრაქტატი კანონიკურია და რომის სამართლის ზოგიერთ ნორმასაც შეიცავს.

მოგვიანებით უფრო დიდი ყურადღება ექცევა სასამართლო გადაწყვეტილებათა სისტემატიზაციას. საერთო სამართლის ყველაზე უფრო ყურადსაღებ ნაშრომებს შუა საუკუნეებში მიეკუთვნება: ***ლიტლტონის შრომა*** მფლობელობის შესახებ, რომელიც XVI-ის ბოლოს დაიწერა, XVII ს-ში გამოქვეყნებულ ვესტმისტერის მოსამართლის ***ე.კოკის შრომა*** „ინგლისის სამართლის ინსტიტუტები", მეტად საინტერესოა ***ჯ.ფორტესკიუს ნაშრომი*** „ინგლისის კანონების სადიდებლად"[1] და ***სენ-ჟერმენის*** მიერ გამოცემული დიალოგები რომაული სამართლის მიმდევარსა და საერთო სამართლის მიმდევარს შორის სათაურით „პროფესორი და სტუდენტი". გარდა ამისა, საერთო სამართლის შესასწავლად მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულები, რომელთაც შეცვალეს სასამართლო პრაქტიკის წელიწდეულები და რომელთა გამოცემა 1535 წ. შეწყდა. ამ კრებულებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და გამოიცემა სოლიდური სერიით „English Reports".

XIII საუკუნე, როგორც აღვნიშნეთ, საერთო სამართლის

1 Coke, Edward. Coke's Institutes of the Laws of England. 7 vols. London: E. & R. Brooke, 1794. John Fortescue - On the Laws and Governance of England, Shelley Lockwood,1997

ბრწყინვალე აღმავლობის პერიოდი იყო. თუმცა ამ ეპოქის შემდეგ საერთო სამართალმა თავი ვერ აარიდა ახალი სამართლებრივი სისტემის აღმოცენებას, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ შეიძლებოდა შეეცვალა საერთო სამართალი, ისევე, როგორც კლასიკურ ეპოქაში რომის ანტიკური სამოქალაქო სამართალი დადგა მისი პრეტორული სამართლით შეცვლის წინაშე. საერთო სამართლის ასეთი მეტოქე იყო ***სამართლიანობის სამართალი*** (Equity Law). სამართლის ამ სისტემის წარმოშობა განაპირობა იმან, რომ ინგლისში, ვესტმისტერის სასამართლოების გარდა, რომლებიც საერთო სამართლით ხელმძღვანელობდნენ, არსებობდა სხვა სასამართლოებიც. მათ შესწევდათ უნარი, საქმეები მაშინ გადაეწყვიტათ, როცა ეს საერთო სამართლით შეუძლებელი იყო.

იმ შემთხვევაში, როცა ვესტმისტერის სასამართლოების შეზღუდული კომპეტენცია შეუძლებელს ხდიდა დავის განხილვას ან გადაწყვეტას, გულგატეხილი მხარე დავის კიდევ ერთ საშუალებას ეძებდა — ეს იყო მიმართვა უშუალოდ მეფისადმი, როგორც ყველა სამართლიანობისა და წყალობის სათავისადმი. ამგვარ საქმეებს, ზოგადი წესის მიხედვით, სამეფო სასამართლოები არ განიხილავდა. მაგრამ მეფეს შეეძლო მისი სასამართლოების ნაკლის შევსება. მეფისადმი მიმართვა შუა საუკუნეების აზროვნებაში ჩვეულებრივი საქმეა და სამეფო სასამართლოებიც თავდაპირველად წინააღმდეგი არ იყვნენ, როცა მხარეები ამ ხერხს მიმართავდნენ. ასე რომ, XIV ს-დან, როცა პირებს სამეფო სასამართლოებში არ ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღწევის შესაძლებლობა, ანუ უკმაყოფილო იყვნენ განაჩენისა, ისინი მიმართავდნენ მეფეს თხოვნით, სამადლოდ ჩარეულიყო და მოწყალება გამოეჩინა „სინდისიერად და არსებითად“. ასეთი მიმართვა ჩვეულებრივ გაივლიდა ხოლმე ლორდ-კანცლერის ხელში, რომელიც მეფის აღმასრულებლად ითვლებოდა და ამიტომ ვალდებულიც იყო მეფის „სინდისისათვის“ ეპატრონა.

ასეთ შემთხვევაში „სამართლიანობის გათვალისწინებით“ გამოტანილი გადაწყვეტილებანი სისტემატურ ხასიათს ღებულობდა და გამოდიოდა „სამართლიანობის დოქტრინის“ საფუძველზე,

რომელიც სამეფო სასამართლოების მიერ გამოყენებული „სამართლებრივი" პრინციპების დამატებებსა და კორექტივებს წარმოადგენდა.

XVI საუკუნიდან სამართლიანობის სისტემა, რომელსაც ლორდ-კანცლერი ახორციელებდა, საკმაოდ გავრცელდა სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირების სფეროში. ლორდ-კანცლერი იყენებდა რომაული და კანონიკური სამართლის პრინციპებს, რითაც იგი ძირეულად განსხვავდებოდა საერთო სამართლისაგან. ასეთი სამართლებრივი სისტემის განმტკიცებამ ინგლისური სამართალი ჩიხში მოაქცია და იგი ევროპის კონტინენტის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს დაუახლოვა. წარმოიშვა საფრთხე საერთო სამართლის გაქრობისა. მაგრამ XVII საუკუნიდან საერთო სამართლის სასამართლოებმა მოკავშირე იპოვეს პარლამენტის სახით, რომელიც მათთან გაერთიანდა მეფის აბსოლუტიზმთან ბრძოლაში. მათ გამოიყენეს აგრეთვე ლორდ-კანცლერის სასამართლოს ცუდი ორგანიზაცია. ამ დაპირისპირებით საერთო სამართალი „გადარჩა" და იგი არსებობას განაგრძობდა ლორდ-კანცლერის სასამართლოსთან ერთად. Status quo-ს ბაზაზე მოხდა შეთანხმება: ლორდ-კანცლერის იურისდიქცია არსებობას განაგრძობდა, მაგრამ არ უნდა განვითარებულიყო საერთო სამართლის ბაზაზე; კანცლერი სასამართლო იურისდიქციას განახორციელებდა სამართლიანობის სამართლის პრეცედენტის მიხედვით, მაგრამ ეკრძალებოდა თვითნებობა. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ მეფეს თავისი სასამართლო ხელისუფლება არ უნდა გამოეყენებინა ახალი საერთო სასამართლოებისაგან დამოუკიდებელი სასამართლოების შესაქმნელად. ამასთანს ერთად, იცვლებოდა სამართლიანობის სამართლის ბუნებაც. ლორდ-კანცლერი 1673 წლიდან უკვე აღარ ითვლებოდა მეფის მოძღვრად და არც საეკლესიო პირად. როგორც პოლიტიკურ პირსა თუ მოსამართლეს, მას აღარ შეეძლო ვისიმე განკითხვა მორალის კანონებით.

1621 წლიდან კანცლერის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ლორდთა პალატის კონტროლი დაწესდა. საერთო სამართლის სასამართლოები ახალ პირობებში კანცლერის ჩარევას მაშინ უჭ-

ერდნენ მხარს, თუ იგი პრეცედენტს ემყარებოდა.

დაზუსტებისათვის აღვნიშნავ, რომ ინგლისურმა სამართალმა უკანასკნელ პერიოდამდე გაორებული სტრუქტურა შეინარჩუნა. საერთო სამართლის ნორმებთან ერთად მოქმედებდა სამართლიანობის სამართლის ნორმებიც, რომელსაც დამატებები და შესწორებები შეჰქონდა საერთო სამართალში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 1875 წ-მდე სამართლიანობის ნორმები გამოიყენებოდა მხოლოდ სპეციალური სასამართლოს — კანცლერის სასამართლოს მიერ, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ნორმები ისევე დაიხვეწა, როგორც საერთო სამართლის ნორმები და მათ შორის განსხვავება წაიშალა.

XIX-XX საუკუნეები ინგლისური სამართლის ისტორიაში არსებითი ტრანსფორმაციის პერიოდია, ისევე, როგორც XIII-XVI საუკუნეებში, 1832-1933, 1852 წლებში მოხდა სამართლის რადიკალური რეფორმა და მოდერნიზაცია. ინგლისური სამართლის შესწავლის ძირითად წყაროდ იქცა ამჟამად Law Reports-ის ახალი სერია (შეიქმნა 1865 წ.), რომელიც ინგლისური სამართლის სისტემატიზაციის სფეროში Law of England გამოიცა ლორდ ჰელსბორის რედაქციით. XIX საუკუნეში დაწყებული ინგლისური სამართლის მოდერნიზაცია მიმდინარეობს ევროპის კონტინენტურ სამართალთან დაახლოების მიმართულებით. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ინგლისური სამართლის დაყოფა დღესაც კი საერთო სამართლად და სამართლიანობის სამართლად ხდება. ნაშრომები ხელშეკრულების, სამართალდარღვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების (torts), უძრავ მონებზე საკუთრების უფლების, მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების (personal property) რწმუნებითი საკუთრების (trust) მტკიცებულების, კომპანიების, საქონლის გაყიდვის და სხვათა შესახებ, ინგლისელ იურისტთათვის წამყვანი ნაშრომებია.

კრიზისის შემდეგ, XVIII საუკუნის დასაწყისში, საერთო სამართალს დაუპირისპირდა სამართლიანობის სამართალი.

ზოგჯერ საჭირო იყო ერთსა და იმავე საქმეზე ორი სარჩელის შეტანა (საერთო სამართლის სასამართლოში და კანცლერ-

ის სასამართლოში). ასე მაგ., თუ ერთ-ერთ მხარეს მხოლოდ სამართლიანობის სამართლის საფუძველზე შესაძლებელი ვალდებულების ნატურით შესრულების მიღწევა უნდოდა, და იმავდროულად ვადის გაგრძელებისათვის ზარალის ანაზღაურებაც, ამ უკანასკნელისათვის მას საერთო სასამართლოსათვის უნდა მიემართა, რადგანაც ანალოგიური საკითხები მისი კომპეტენცია იყო.

1873-1875 წლებში ვითარება შეიცვალა. ყველა ინგლისურ სასამრთლოს შეეძლო ესარგებლა სამართლიანობის სამართლით გათვალისწინებული საშუალებებით და საერთო სამართლის ნორმებიც გამოყენებინა. ასე რომ, სასამართლო პროცედურის გამოყენება მოისპო. სწორედ ამ გაგებით ლაპარაკობენ სასამართლო წყობილების აქტებით 1873-1875 წწ. გატარებულ „საერთო სამართლისა და სამართლიანობის სამართლის შერწყმაზე"[1].

მართალია, დღეს ინგლისში სამართლის ორივე სისტემა არსებობს, მაგრამ მათ საქმეთა გადაწყვეტის ორი მეთოდი წარმოშვეს, რაც შეეხება სამართლის მატერიალურ შინაარსს, მან თავისი ადრინდელი ხასიათი დაკარგა. ამჟამად კითხვა ისე კი არ დაისმის, თუ რომელი სანქციის მიღწევა სურს მოსარჩლეს, არამედ სამართლის რომელ დარგს განეკუთვნება საქმე. ***საერთო სამართალი, გარდა სისხლის სამართლისა, მოიცავს სახელშეკრულებო სამართლისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხებს.***

სამართლიანობის სამართალი, თავის მხრივ, მოიცავს უძრავ ქონების, ტრასტული (რწმუნებითი) საკუთრების, სავაჭრო ამხანაგობის შესახებ, ვალაუვლობასთან, ანდერძის განმარტებასთან და მემკვიდრეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სადავო საქმეებს.

ასე რომ, საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი საქმის წარმოების ორი მეთოდია, ორი სისტემაა, რომელიც ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს ინგლისში. საერთო სამართალი, ეყრდნობა ადათ-ჩვეულებებს, სამეფო ორდინანსებსა და სტატუტებს, ხოლო სამართლიანობის სამართალს ***ბუნებითი***

---

1 McKelvey, John Jay. Principles of Common-Law Pleading. New York: Baker, Voorhis & Company, 1917.

სამართლის (Low of Nature) პოზიციებიდან გამომდინარე, შესწორებები და დამატებები შეაქვს საერთო სამართალში. იგი ძირითადად მორალური ზნეობრივი კოდექსის პრინციპებით ხელმძღვანელობს და სასამართლოთა მიერ საქმეთა განხილვისას ქმნის თავისებურ პრაქტიკას (პრეცედენტს). სასამართლო პრაქტიკის საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული წესი (საერთო სამართლით იქნება ეს მიღწეული თუ სამართლიანობის სამართლით) დღესაც მნიშვნელოვანი ღერძია ინგლისის სისხლის, სამოქალაქო და სხვა დარგთა სამართლის ხასიათის განსაზღვრისათვის.

§ 56. სამართლის ცალკეული დარგები ანგლოსაქსურ სამართალში

საკუთრების სამართალი. საკუთრების სამართლის წარმოშობა მიწაზე საკუთრების წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ ანგლოსაქსების ეპოქაში მიწაზე არსებობდა საადგილმამულო საკუთრების ორი ფორმა: 1) ***ფოლკლანდი*** (folkland), ანუ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც ეფუძნებოდა ადგილობრივ ადათებს. ეს იყო საოჯახო თემის საკუთრება, ამიტომ მისი გასხვისება არ შეიძლებოდა ოჯახის ყველა წევრის თანხმობის გარეშე; 2) ***ბუკლანდი*** (Bookland), ანუ ნაწყალობევი მიწის ის ნაკვეთი, რომლის მფლობელობა სამეფო სიგელზე იყო დაფუძნებული. თვით სახელწოდება ინგლისური ტერმინიდან წარმოდგება. Book წერილობით სიგელს ნიშნავს. ფოლკლანდისაგან განსხვავებით, ბუკლანდი შეიძლება გასხვისებულიყო. ანგლოსაქსებში კერძო საკუთრება აღიარებული იყო მხოლოდ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე, რომელიც მათი მეპატრონის სრულ საკუთრებაში იმყოფებოდა. ფოლკლანდისა და ბუკლანდის მემკვიდრეობა სხვადასხვაგვარი იყო. ფოლკლანდი გადაიცემოდა მხოლოდ კანონისმიერ მემკვიდრეებზე (ჯერ ვაჟებზე შემდეგ ქალზე), ბუკლანდი დროთა განმავლობაში შეიძლებოდა ანდერძით გადასულიყო ჯერ ცოლზე, შემდეგ ახლო ნათესავებზე. ალფრედის კანონთა წიგნის 41-ე მუხ-

ლით, ბუკლანდი, რომელიც მემკვიდრეობით იყო მიღებული, არ შეიძლება გასხვისებულიყო, გარდა ახლო ნათესავებისა. ამ პერიოდის სამართლის წიგნები თითქმის თანაბრად აღიარებენ სამემკვიდრო წილს. აღსანიშნავია, რომ სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს უფროსი ძმისათვის გამოიყოფოდა განსაკუთრებული წილი მემკვიდრეობაში — ***საუფროსო*** (მაიორატი). ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო უმცროსი ძმის წილიც – ***საუმცროსო*** (მინორატი).

ვალდებულებითი სამართალი. ანლოსაქსური სამართლის წიგნები დიდ ყურადღებას უთმობს ***ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებას***. რაც შეეხება ***სახელშეკრულებო*** ვალდებულებას ადრეულ პერიოდში, თითქმის არ იხსენიება. მაგრამ ვაჭრობის განვითარებასთან ერთად განმტკიცდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი, რამაც თავისებური ვალდებულება წარმოშვა. მაგ., ინის კანონების 25-ე მუხლის მიხედვით, ვაჭარი ქვეყნის შიგნით ღია ვაჭრობას მოწმეების თანდასწრებით უნდა აწარმოებდეს, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან ერთად განვითარდა გაცვლისა და გირავნობის ხელშეკრულებანი, რომელმაც შესაბამისი ვალდებულებები წარმოშვა და საკანონმდებლო რეგულირების სფეროში მოექცა. გირაოს ობიექტს უძრავი ქონება წარმოადგენდა, თუ ასეთი არ იყო, ანგლოსაქსური სამართლის უპირველესი წყაროების მიხედვით შეიძლებოდა ვალაუვალი მოვალის მონად გადაქცევა.

რაც შეეხება ანგლოსაქსების **საოჯახო სამართალს**, ***ქორწინება*** წარმოადგენდა ხელშეკრულებას საპატარძლოსა და სასიძოს მშობლებს შორის. ქორწინების თავდაპირელი ფორმა მოტაცება იყო. მოგვიანებით გაჩნდა ქორწინება მღვდლის თანდასწრებით. ქალი ოჯახში ინარჩუნებდა გარკვეულ ქონებრივ დამოუკიდებლობას. მის სრულ საკუთრებაში მოექცა მზითევი და საქორწინო საჩუქარი.

სისხლის სამართალი. ანგლოსაქსური სამართლისათვის დამახასიათებელია ადათების ძლიერი გავლენა, რაც კარგად ჩანს ამ პერიოდის დანაშაულთა და სასჯელთა სისტემაში.

ეთილბერტისა და ინის სამართალი საერთოდ არ იხსენიებს ***სახელმწიფო დანაშაულს***. ალფრედის, ეთილსტანის, კანუდის კანონებში კი ვხვდებით ზოგიერთ მათგანს; კერძოდ, მეფეზე თავდასხმა, რომელიც სიკვდილით ისჯებოდა, ყალბი მონეტის მოჭრა, რომელიც ასევე მკაცრად ისჯებოდა, რაც შეეხება ***პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს*** — ყოველგვარი მკვლელობა (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) იწვევდა „ვერგილდის" (Wergild) გადახდას (საზღაურის), რომლის ოდენობა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებრივ ფენას ეკუთვნოდა დაზარალებული. ეთელბერტის კანონები თავისუფალის მოკვლისათვის 100 შილინგს (21-ე მუხლი), ლეტის მოკვლისათვის 40-დან 80-მდე (26-ე მუხლი), მონის მკვლელობისათვის 6 შილინგს (25-ე მუხლი) აწესებდა.

ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ ***სისხლის აღების ჩვეულება*** შემორჩენილია ანგლოსაქსურ სამართალში. თუმცა ალფრედის კანონმდებლობით, სისხლის აღება დასჯად ქმედებად იყო მიჩნეული. მკვლელს მოკლულის ოჯახის წევრებისათვის ვერგილდი უნდა გადაეხადა, ხოლო მეფისათვის — ჯარიმა.

სხეულის დაზიანებისათვის სხვადასხვა ოდენობის ჯარიმა იყო დაწესებული. მაგ., სმენის ორგანოს დაზიანებისათვის ბრალდებულს 60 შილინგი გადახდებოდა (46-ე მუხლი), თვალის ამოგდებისათვის ან ცხვირის მოჭრისათვის — 60 შილინგი, მუშტის დარტყმისათვის სახის არეში — 3 შილინგი. რა თქმა უნდა, სოციალური იერარქია აქაც გათვალისწინებული იყო. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მაგალითები ეხება მხოლოდ თავისუფალი ადამიანის სხეულებრივ დაზიანებას. ალფრედის კანონები ითვალისწინებდა აგრეთვე პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის. 32-ე მუხლით, ასეთი სახის დანაშაულისათვის ბრალდებულს ენას გლეჯდნენ.

ანგლოსაქსური სამართლის თითქმის ყველა კრებულში ვხვდებით ***საკუთრების წინააღმდეგ*** მიმართული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას. ქურდი ხშირ შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა ან მონად იყიდებოდა. ქურდის ოჯახის ყველა წევრი მონად იქცეოდა, თუ მათ ქურდობის შესახებ იცოდნენ (ინის კანონების

მე-7 მუხ.). თუ თავისუფალი ქალი ჩაიდენდა ქურდობას, მას მთიდან გადააგდებდნენ ან წყალში დაახრჩობდნენ (მე-6-4 მუხ.). ქურდ მონას სხვა მონები ქვით ჩაქოლავდნენ. მონა ქალს ქურდობისათვის ცეცხლში წვავდნენ.

ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა როგორც ქმრის, ასევე ცოლის ღალატი. მაგრამ მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ თუ კაცს შეეძლო გამოესყიდა ამგვარი დანაშაული, ქალი ქონებას კარგავდა, ამასთან, ცხვირს ან ყურებს მოსჭრიდნენ (კანუდის კანონების 53-ე მუხლი).

როგორც დავინახეთ, სასჯელთა სისტემა კომპოზიციურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ვხვდებით ***დამასახიჩრებელ სასჯელებსაც***. გავრცელებული იყო ***სიკვდილით დასჯის*** სხვადასხვა ხერხი. საზოგადოების დაბალი ფენების მიმართ გამოიყენებოდა ***გამაწბილებელი სასჯელებიც***; კერძოდ, წვერის გაპარსვა, ნახევრად შიშველი სოფელ-სოფელ ტარება და სხვა. საერთოდ გამაწბილებელი სასჯელები ბრალდებულის პიროვნული ღირსების დამცირებას ისახავდა მიზნად.

რაც შეეხება ამ პერიოდის **სასამართლო პროცესს** უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა მეფის სასამართლო, რომელიც უმძიმეს დანაშაულებს იხილავდა — მეფის ღალატი, მიწის საკითხებზე დავები ვასალებს შორის და სხვ. იყო აგრეთვე საგრაფო სასამართლო, რომელსაც ელდორმენი განაგებდა და ასეულის სასამართლო — რომელსაც ცენტენარიუხი ედგა სათავეში. ისინი მეფისაგან საიმუნიტეტო სიგელის საფუძველზე აღიჭურვნენ სასამართლო ფუნქციით მათდამი დაქვემდებარებული გლეხების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები გამიჯნული არ იყო და ის, ვისაც ადმინისტრაციული მმართველობა ეკისრებოდა, სასამართლო განხილვის ფუნქციითაც სარგებლობდა.

სასამართლო პროცესი კერძო ინიციატივაზე იყო დაფუძნებული, რაც ნიშნავდა, რომ პროცესი იწყებოდა დაზარალებული მხარის საჩივრით. მასვე ევალებოდა მტკიცებულებების შეგროვება, მოპასუხისა და მოწმეების სასამართლოში მიყვანა. ***დამამტკიცე-***

ბელ საბუთებად გამოდგებოდა: ფიცი, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი დოკუმენტი. სასამართლო ორდალებიდან ცნობილი იყო მდუღრითა და შანთით გამოცდა.

§ 57. სამართლის დარგების ევოლუცია საერთო სამართლის და სამართლიანობის სამართლის მიხედვით

საკუთრების სამართალი. რომაულ სამართლებრივი სისტემით დამკვიდრებული საკუთრების უფლების ელემენტებია მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. ამგვარი დაყოფა, რამდენად ტრადიციულიც არ უნდა იყოს იგი, ინგლისური სამართლისათვის მაინც მიახლოებითია. ერთობ თავისებურია, მაგალითად, ტერმინ usus-ში ნივთით სარგებლობისა (მაგ., საცხოვრებელ სახლში ცხოვრება) და მართვის (სახლის შეკეთების თუ გაქირავების უფლების) გაერთიანება. არანაკლებ თავისებურია abusus-ით ურთიერთგანსხვავებული უფლებამოსილების გაერთიანება, როგორიცაა საკუთარი ქონების განადგურება, ქონების განკარგვა და მისი გასხვისება. ასევე განსხვავდება ინგლისური სამართალი რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემისაგან საკუთრების დანაწილების ისეთი ფორმით, როგორიცაა რწმუნებითი საკუთრება (trust). ტრასტული (ანუ რწმუნებითი) საკუთრება ინგლისური სამართლის ძირითადი ცნებაა და იგი სამართლიანობის განვითარებასთან ერთად დამკვიდრდა. ტრასტული საკუთრება სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: რწმუნებითი საკუთრების დამაარსებელი პირი (settlor of the trust) წინასწარ დათქვამს, რომ რაღაც ქონება უნდა მართოს ერთმა ან რამდენიმე პირმა (trustees) სხვა პირების სასარგებლოდ. ეს ინსტიტუტები მეტად პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება: არაქმედუნარიანი პირებისა და დაქორწინებული ქალების ქონების დაცვას.

ტრასტული საკუთრების მმართველი გარკვეული უფლებებით სარგებლობს. თუ ამ ინსტიტუტს ისტორიულ რაკურსში

შევხედავთ, დავინახავთ, რომ, მართალია, იგი სამართლიანობის სამართლის საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ ფესვები საერთო სამართალში აქვს. საერთო სამართლის მიხედვით, ტრასტული საკუთრების მმართველი სარწმუნებო საკუთრების შემქმნელი ქონების მესაკუთრეა, შესაბამისად, იგი ქონებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს. მისი საკუთრების უფლება იურიდიული ჩარჩოებით კი არ იზღუდება, არამედ მორალის პრინციპებით. მან ქონება სინდისის მიხედვით უნდა მართოს და არა სამართლის საფუძველზე. ასე რომ, ბენეფიციარებს სარჩელის უფლება მმართველის წინააღმდეგ არ ჰქონდათ. სამართლიანობის სამართალმა კორექტივები შეიტანა და კანცლერის სასამართლოს იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, როცა მმართველი არ გაამართლებდა დამფუძნებლის ნდობას, ქონებას არ მართავდა სინდისიერად ბენეფიციანტების სასარგებლოდ და მიღებულ შემოსავალს მათ არ მისცემდა. კანცლერი მმართველს უბრძანებდა ამა თუ იმ სახით ემოქმედა და თან დაუმატებდა პირადი ხასიათის სანქციას: თუ კანცლერის ბრძანება არ შესრულდებოდა, მმართველს დააპატიმრებდნენ.

მმართველის ფუნქციებს, ტრასტული საკუთრების მიხედვით, წარმოადგენდა ტრასტული ქონების გაყიდვისა და გაჩუქების უფლებაც. ასეთი გასხვისების დროს სამართალი ითვალისწინებდა ორგვარი ჩარევის შესაძლებლობას: თუ მმართველმა ტრასტული ქონება სასყიდლით გაასხვისა, მაშინ ის, რაც მიიღო, გაყიდულ ქონებას ცვლის, ხოლო თუ შემძენმა ქონება უსასყიდლოდ მიიღო ან არაკეთილსინდისიერად შეიძინა, იგი იმავდროულად მმართველი ხდება და უნდა იმოქმედოს შესაბამისი ბენეფიციარის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ბენეფიციარის უფლებებს, აღსანიშნავია, რომ მას თითქმის არავითარი უფლება არ გააჩნია. ქონებისაგან ტრასტულ საკუთრებას რომ ქმნის, იგი მხოლოდ განსაზღვრულ გამორჩენას იღებს, რაც რამდენადმე გარანტირებულია სამართლიანობის სამართლის ნორმებით. შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრასტული საკუთრება საკუთრების უფლების ერთგვარი დანაწ-

ევრებაა, რომლის ელემენტების ნაწილი მმართველს ეკუთვნის, ნაწილი — ბენეფიციანტს.

საკუთრების ეს ფორმა თანასაკუთრებასა და საერთო საკუთრებაში რომ არ აგვერიოს, განვიხილოთ მათი ინგლისურ-სამართლებრივი ევოლუციაც.

ტრასტული საკუთრების ბენეფიციარები ჩვეულებრივ ითვლებიან თანამესაკუთრეებად (tenants in common), მმართველები კი, პირიქით, გამოდიან, როგორც საერთო მესაკუთრეები (joint tenants), თუ ამგვარი ხელშეკრულების დროს რამდენიმე მმართველია, ქონების მართვის ყოველი აქტი უნდა განხორციელდეს ყველა მმართველის მიერ. თუ ერთ-ერთი მმართველი გამოაკლდება, ქონების მართვა მემკვიდრეობით არ გადადის. ეს მიიღწევა joint tenancy-ის (თანასაკუთრება) ფორმის მეშვეობით. ტრასტული საკუთრება ერთ-ერთი მმართველის გასვლის გამო, იმართება დანარჩენების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ტრასტული საკუთრების შესახებ ხელშეკრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეირჩეს ახალი მმართველი.

რა მისცა ინგლისურ სამართალს სამართლიანობის სამართლით დამკვიდრებულმა პრინციპებმა?

ძირითადად გამომუშავდა სასამართლოებისადმი პატივისცემა და ამის გამო ყველა გადაწყვეტილების შესრულების აუცილებლობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საქციელი სასამართლოსადმი უპატივცემლობად ჩაივლება და შესაბამისი პირი დაუსჯელი არ დარჩება. აქ იგულისხმება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მომენტი. მაგ., როცა მოქალაქე უარზეა კრედიტორს აცნობოს, თუ სად იმყოფება მისი ქონება, ან საიდან აიღებს სახსრებს, ასეთ შემთხვევაში ეს საქციელი აღიქმება მართლმსაჯულებისადმი უპიტივცემულო დამოკიდებულებად და პირი თავს ამყოფს ციხეში, სადაც ეძლევა დაფიქრების საშუალება, ღირს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილების აბუჩად აგდება. სასამართლოსადმი უპატივცემლობის ინსტიტუტი კიდევ ერთი მხარეა, რომელიც სამართლის ინგლისურ კონცეფციას გამოხატავს და განასხვავებს მას სხვა ქვეყანების სამართლისაგან.

კონსტიტუციური სამართლის ზოგიერთი თავისებურებანი. სახელმწიფო წყობილების განხილვის დროს ჩვენ შევჩერდით ინგლისის კონსტიტუციონალიზმის თავისებურებებზე და აღვნიშნეთ, რომ პირველი კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტები იყო 1628 წ. მიღებული პეტიცია „უფლებათა შესახებ“, 1679 წ. „ჰაბეას კორპუს აქტი“, 1689 წ. „ბილი უფლებათა შესახებ“. მოგვიანებით 1701 წლის აქტი „ტახტის მემკვიდრის შესახებ“, 1867 წლის აქტი „საარჩევნო რეფორმის შესახებ“; 1911 წ. აქტი „პარლამენტის შესახებ“ და სხვა.

ამ აქტების საფუძველზე ძირეული ცვლილება მოხდა ინგლისის სახელმწიფო მმართველობის ფორმაში და სახელმწიფო სტრუქტურებში. ამიტომ ისინი ინგლისის კონსტიტუციური სამართლის ისტორიულ დოკუმენტებად ითვლება. მათ საფუძველი ჩაუყარეს ინგლისის საარჩევნო სისტემის ძირეულ რეფორმებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1832 წლიდან დაიწყო და 1867 წლიდან 1884 წლამდე გაგრძელდა და შემდგომში 1918 წლის აქტით კიდევ უფრო დაიხვეწა. 1918 წ. აქტით განისაზღვრა საყოველთაო არჩევნების პრინციპი: მამაკაცებისათვის — 21 წელი, ქალებისათვის — 30 წ. ამ კანონით არჩევნებში პირველად იღებდნენ მონაწილეობას ქალები, რომელთა ქონება 5 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა წელიწადში ან თუ ჰყავდათ მეუღლე, რომელიც ასეთი შემოსავლით სარგებლობდა. 1958 წ. გაუქმდა „რამდენიმე ხმის უფლება“, ხოლო 1955 წ. საამომრჩევლო ოლქების რიცხვი გაიზარდა 625-დან და 630-მდე. არჩევნების მაჟორიტარულმა სისტემამ მნიშვნელოვნად შეამცირა მცირე პარტიების წარმომადგენლობა პარლამენტში.

ინგლისის თანამედროვე საკანონმდებლო სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობით სარგებლობდა საგანგებო კანონები. თანამედროვე ინგლისის სახელმწიფო სამართლის ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს 1914-1915 წწ., 1920 წ., 1939 წ.,1940 წ., 1964 წ. კანონებს. მათ მიმართავდნენ მაშინ, როცა ქვეყანაში შიდაპოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამწვავდებოდა ხოლმე.

1920 წ. კანონი მონარქს აძლევდა უფლებას შემოეღო ქვეყა-

ნაში საგანგებო მდგომარეობა მსხვილი ანტისამთავრობო გამოსვლების მზადების ან დაწყების შემთხვევაში. ასეთი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ მონარქს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები, რომელთაც კანონის ძალა აქვს და შეუძლია გაატაროს ყველა ღონისძიება, რომელსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ ამა თუ იმ გამოსვლის დასაძლევად. ისტორიულად ასეთი კანონები გამოიყენებოდა მხოლოდ ნაპოლეონის ომისა და პირველი მსოფლიო ომის დროს. 1940 წლის 22 მაისის კანონი, რომელიც სამთავრობო ინიციატივით გავიდა, ასევე საგანგებო მდგომარეობას ეხება. ამ კანონის ძალით, მთავრობამ მიიღო უფლება კონტროლი დაეწესებინა ყველა ქონებაზე, მმართველობაში აეღო საწარმო-დაწესებულებები და ეხელმძღვანელა მათი მუშაობისათვის. ეს კანონი ეკონომიკაზე კონტროლს აწესებდა საგანგებო ვითარების დროს. ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ეძლეოდა ციხეში ჩაეგდო პირი სასამართლოსაგან განაჩენისა და ბრალის წარდგენის გარეშე, დაეხურა ყველა გაზეთი აპელაციაზე უფლების გარეშე.

70-იანი წლები ინგლისის ისტორიაში არის პერიოდი მწვავე სოციალური პრობლემებისა და ჩრდილოეთ ირლანდიაში კრიზისის დაწყებისა, რაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა პოლიტიკურ რეჟიმს ქვეყნის ამ რეგიონში. საგანგებო კანონთა სერია ინგლისში 1973-1979 წლებში თავისი ფორმალურ-იურიდიული ნიშნების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. პირველი გულისხმობს ჩრდილოეთ ირლანდიასთან სამართლებრივი ურთიერთობის მოგვარებას, სადაც 1971 წ. შემოღებულ იქნა ინტერნირება. ეს დაკავშირებული იყო კათოლიკური რელიგიის მიმდევართა უკანონო დაპატიმრებებთან.

საგანგებო კანონების მეორე ჯგუფი ეხებოდა ინგლისის შიდაპოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციას და მიმართული იყო სისხლის სამართლის წარმოების განსაკუთრებული რეჟიმის დასადგენად. 1974 წ. 29 ნოემბრის კანონები პოლიციას უფლებას აძლევდა დაეკავებინა პირი არა მარტო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, არამედ „ინფორმაციის მიღებისათვის“.

ინგლისური საგანგებო კანონმდებლობა თანდათან აფარ-

თოებდა აკრძალულ ქმედებათა რიცხვს, რომელიც ადრე კანონიერად ითვლებოდა. ტერორისტულ აქტში მონაწილეობისათვის ეჭვმიტანილი პირი, პროცესუალური თვალსაზრისით, თითქმის უუფლებო იყო. მასზე არ ვრცელდებოდა ზოგადი წესი დამცველის დაკავების მომენტიდან დანიშვნის შესახებ. სასამართლომდე არ აცნობდნენ, კონკრეტულად რაში ედებოდა ბრალი. ბრალეულს უფლება არ ჰქონდა შეკითხვა მიეცა სასამართლოში, გაესაჩივრებინა სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სისხლის სამართლის შესახებ უნდა ითქვას, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს ზოგადი ნაწილის ჩვენთვის ცნობილ თითქმის ყველა დებულებას ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით. რაც შეეხება განსაკუთრებულ ნაწილს, ინგლისში არსებობს ისეთი დანაშაულის შემადგენლობები, რომლებიც განისაზღვრება სტატუტარული და საერთო სამართლით. ზოგადად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების სრულყოფის მიზნით და შეეცადა ამ დარგის მთლიან სისტემატიზებას. თითქმის ოცწლიანი საპარლამენტო დებატების შემდეგ, 1965 წლის ნოემბერში, მიღებულ იქნა კანონი „მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ" (ჩრდილოეთ ირლანდიაში ეს საკითხი არ განიხილეს). იგი შეიცვალა სამუდამო პატიმრობით. დღესდღეობით დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლებსის აღკვეთა 1, 2, 3, 5, 7, 10, 14, 20 წლით და სამუდამო პატიმრობა. აღსანიშნავია, რომ, როცა პარლამენტის მიერ მიიღება გადაწყვეტილება ქმედობის კრიმინალიზაციის შესახებ, არ ხდება სასჯელის მაქსიმუმის განსაზღვრა. მაქსიმუმი დგინდება მსგავს ქმედებებთან ანალოგიის საფუძველზე. პატიმრობის კანონით დადგენილი მაქსიმუმი ვადა იშვიათად თუ შეიცვლება. ასეთი ცვლილება შეიძლება მოხდეს, თუ რომელიმე დანაშაულის რიცხვი შესამჩნევად მოიმატებს, ანუ თუ შეიცვლება ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა, მაგ.,

1977 წ. აქტით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიცვალა სამუდამო პატიმრობით (სისხლის სამართლის სანქციების მიმოხილვა მოცემულია Sentences of imprisonment. Review of maximum penalties. London. 1980).

თანამედროვე პერიოდის მოსამართლეებს ინგლისში ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული სასჯელის არჩევის საკითხში: „დამსჯელი"-დან „რეფორმატორულ"-ამდე, ანუ გამასწორებელ სასჯელამდე. მოსამართლე ხშირად დგება არჩევანის წინაშე ან შეიძლება საერთოდ ინდივიდუალური განაჩენი გამოიტანოს პიროვნების თავისებურების გათვალისწინებით. სწორედ ეს ავითარებს ინგლისის საკანონმდებლო პრაქტიკას, ანუ პრეცედენტს, როგორც სამართლის მნიშვნელოვან წყაროს.

სამოქალაქო სამართლის სფეროში იქმნება ახალი ნორმების მთელი სისტემა, რაც დაკავშირებულია სახელშეკრულებო ურთიერთობებზე წარმოშობილ მონოპოლისტურ გაერთიანებათა ზრდასთან, ნედლეულის წყაროს წარმოებასთან, გასაღების ბაზრის ზრდასთან. უკანასკნელ პერიოდში ინგლისის ხელშეკრულებითი სამართალი, მართალია, განსხვავდება კონტინენტური ქვეყნების ანალოგიური სამართლისაგან, მაგრამ იკვეთება მათთან დაახლოების გზები. სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ დღესდღეობით სტატუტარული სამართალი გვევლინება.

§ 58. სასამართლო სისტემა დიდ ბრიტანეთში

ისტორიული თვალსაზრისით ინგლისს არ გააჩნია ერთიანი სასამართლო სისტემა. ადმინისტრაციული და სასამართლო მმართველობა გამიჯნული არ ყოფილა. სასამართლო მოწყობის თავისებურმა ორგანიზაციამ განსაზღვრა დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემების — საერთო სამართლის შექმნაც. 1278 და 1290 წლების ორდინანსებით ცალკეულ ფეოდალთა სასამართლო ფუნქციები საკმაოდ შემცირდა. ასევე შემცირდა საგრაფოს კრებების სასამართლო ფუნქციებიც. ადგილობრივი სასამართლოე-

ბის როლის დაცემასთან ერთად გაიზარდა სამეფო სასამართლოს დანიშნულება. იგი უმაღლეს სასამართლოდ იქცა სისხლის სამართლის საქმეებზე. ***სამეფო სასამართლო*** (Bancum) რამდენიმე იუსტიციარისაგან შედგებოდა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობდა, იხილავდა სისხლის სამართლის უმძიმეს საქმეებს და ისეთ დანაშაულს, რომელიც ზავისა და მშვიდობის დარღვევასთან იყო დაკავშირებული. იგი სააპელაციო სასამართლოსაც წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეები, რომლებიც სამეფო ინტერესებს არ შეეხებოდა, ***სახაზინო სასამართლოს*** კომპეტენციას შეადგენდა. მასვე ეხებოდა ყველა სარჩელი საფინანსო დავების შესახებ, რომელიც 40 შილინგს აღემატებოდა.

ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება, ახალ ვალდებულებათა წარმოშობა უცნობი იყო „საერთო სამართლისათვის", ამიტომ ზოგიერთი სარჩელი საერთო სასამართლოში ვერ განიხილებოდა. ასეთი უფლებების დაცვას აღწევდნენ ***კანცლერის სასამართლოში***. კანცლერი არ ხელმძღვანელობდა საერთო სამართლის ნორმებით და საქმეს წყვეტდა სამართლიანობის პრინციპით. ამიტომ ამ სასამართლოს მიერ ინერგებოდა პროცესისა და მატერიალური სამართლის ახალი ფორმები. საადგილმამულო დავების გადასაწყვეტად არსებობდა ***აზრთათხოვნის სასამართლო***. ამ სასამართლოს წევრები წელიწადში 3-4-ჯერ საგრაფოში მიემგზავრებოდნენ და ადგილებზე იხილავდნენ საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

ნაფიც მსაჯულთა სისტემა (Jury) XIII-XIV სს. წარმოიშვა და ხასიათდებოდა საქმის განხილვაში ხალხთა მასების მონაწილეობით. მართლმსაჯულებას ახორციელებდა დიდი და მცირე ჟიური (Grand and Petty Jury).

დიდი, ანუ ბრალმდებელი ჟიური ჩამოყალიბდა ქურდების, მძარცველებისა და დამნაშავეთა დამფარველების ძებნასთან დაკავშირებით. ამ კატეგორიის საქმეთა ძიების დროს ხდებოდა 12-დან 23-მდე თავისუფალი ადამიანის მოწვევა. ასეთ შემთხვევაში 12 წევრის ერთიანი აზრი საკმარისი იყო ბრალის დასადასტურებლად.

მცირე ჟიური ინგლისის სასამართლოს მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. იგი მონაწილეობდა საქმის არსებითად განხილვის დროს და იღებდა ვერდიქტს, რომელიც ერთხმად უნდა დაემტკიცებინა 12 დამსწრე მსაჯულს. 1293 წ. ედუარდ პირველის მიერ გამოცემული კანონით, ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებული იყო ქონებრივი ცენზი 40 შილინგი.

1361 წელს დაარსდა ***მომრიგებელი სასამართლო***. იგი აერთიანებდა 3-4 წევრს, რომლებიც საგრაფოს მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ამისა, მათთვის დაწესებული იყო გარკვეული ქონებრივი ცენზი: მიწის ნაკვეთი საკუთრებაში და არანაკლებ 90 ფუნტი სტერლინგი შემოსავალი წელიწადში.

ინგლისის უმაღლეს სასამართლოს წარმოადგენდა პარლამენტის ზედა პალატა — ***ლორდთა პალატა***. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენდა მაშინ, როცა საკუთარი წევრების საქმეებს განიხილავდა ღალატის ან სხვა მძიმე სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით. აგრეთვე იხილავდა საქმეებს, რომელთაც თემთა პალატა აღძრავდა. გარდა ამისა, იგი ასრულებდა სააპელაციო სასამართლოს ფუნქციასაც.

ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები, ინგლისში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის დროს ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად გამიჯნული, თუმცა წინა პერიოდთან შედარებით ძირითადი ცვლილებები მოხდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციათა განაწილებაში. ძველი საგრაფო კრებების როლი დაეცა და მკვეთრად გაიზარდა ცალკეულ თანამდებობის პირთა კომპეტენციები, რომელმაც ისტორიაში ტანჯვისა და წამების შინაარსი შეიძინა. XIII ს-ის II ნახევრიდან შერიფმა თანდათან დაკარაგა სასამართლო ფუნქციები, რომელიც მომრიგებელი მოსამართლის ხელში გადავიდა. 1340 წლიდან ამ თანამდებობაზე მეფის მიერ ინიშნებოდა პირი ერთი წლით. მასთან ერთად 1361 წლიდან ინიშნებოდა 3-4 კანონის მცოდნე დამხმარე პირი. 1383 წლიდან თითოეულ საგრაფოში ინიშნებოდა 6 მომრიგებელი მოსამართლე და ორი წლის მანძილეზე ეს რიცხვი 8-მდე გაიზარდა. გარდა სასამართლო ფუნქციებისა, მომრიგებელ მოსამართლეებს

საპოლიციო უფლებების განხორციელებაც ევალებოდათ.

საეკლესიო სასამართლო. საეკლესიო სასამართლოებს ძირითადად საოჯახო და სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტა შეეძლოთ. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ეპოქაში ინგლისში განვითარდა ინკვიზიცია. პირველად იგი ლოლარდებთან ბრძოლის მიზნით 1401 წ. შემოიღეს და გაუქმდა 1558 წელს. საერთოდ, ინკვიზიცია ლათინური სიტყვაა და ძებნას, გამოძიებას გულისხმობს. XIII ს-დან იგი საგანგებო საეკლესიო სასამართლო იყო, რომელსაც რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ჩაუყარა საფუძველი და ეკისრებოდა მწვალებელთა პოვნა და დასჯა. საინკვიზიციო ტრიბუნალის წევრები სარგებლობდნენ პირადი ხელშეუხებლობითა და ექვემდებარებოდნენ არა ადგილობრივ საერო და საეკლესიო ხელისუფალთ, არამედ უშუალოდ პაპს. ინკვიზიციის სასამართლო მოქმედებდა ფარულად. ეჭვმიტანილს უმალავდნენ დამბეზღებლის და მოწმეთა სახელებს. ბრალდებულთა გამოსატეხად შემოღებულ იქნა წამება. ინკვიზიციის მსხვერპლთ სჯიდნენ ეკლესიიდან განკვეთით, მკაცრი გვემით, დროებითი ან სამუდამო პატიმრობითა და სიკვდილით — აუტოაფე (ესპანურად რწმენის აქტი — ინკვიზიციის სასამართლო განაჩენის გამოცხადება და მისი შესრულება. უმეტესწილად მსჯავრდებულის კოცონზე დაწვით ხორციელდება). სიკვდილმისჯილს ართმევდნენ მონებს და საჯაროდ ყიდდნენ. არსებობდა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ფორმები: ცეცხლზე დაწვა და სხეულებრივი განკვეთა.

ინკვიზიცია დროთა განმავლობაში ყველგან მოისპო და გაანაგრძობდა არსებობას მხოლოდ იტალიაში, სადაც 1965 წლიდან „რწმენის კონგრეგაციის" სახელწოდებით არის ცნობილი. სხვათა შორის მას კომუნიზმთან ბრძოლის ფუნქციაც ჰქონდა დავალებული.

მეტად რთული ფორმით ჩამოყალიბებული სასამართლო სისტემა ინგლისში XIX ს-დან მოდერნიზაციას განიცდის, რასაც ხელი შეუწყო 1873-1875 წლების რეფორმებმა. ამ რეფორმების საფუძველზე ***ვესტმინსტერის სასამართლოები*** (სამეფო სასამართლო, სახაზინო სასამართლო) და ***კანცლერის სასამართლო*** გაერ-

თიანდნენ. მას შემდეგ ინგლისში შეიქმნა ერთიანი უმაღლესი იურისდიქცია — უზენაესი სასამართლოს სახით, რომელზედაც კონტროლს მხოლოდ ლორდთა პალატა ახორციელებდა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ინგლისის უზენაესი სასამართლო ორი ინსტანციისაგან შედგება: ***სამართლიანობის დიდი სასამართლო*** და ***სააპელაციო სასამართლო***. ჩვეულებრივ, საქმეებს იხილავს დიდი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებები შეიძლება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდეს. დიდი სასამართლო სამგანყოფილებიანია: სამეფო, საკანცელარიო და ანდერძების, განქორწინებების და საადმირალო საქმეთა განყოფილება. დღესდღეობით უზენაეს სასამართლოში 62 მოსამართლეა — 53 დიდ სასამართლოში, 9 – სააპელაციოში. ისინი ადვოკატთა წრიდან ინიშნებიან. პირველ ინსტანციაში საქმეს განიხილავს მხოლოდ ერთი მოსამართლე და ზოგიერთ შემთხვევაში 12-კაციანი ჟიური. მეორე ინსტანციაში საქმის მოსმენა ხდება 2 ან 3 მოსამართლის მიერ და თითოეული დამოუკიდებლად გამოთქვამს აზრს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივრდეს ლორდთა პალატაში, რომელსაც წელიწადში დაახლოებით 30-40 გადაწყვეტილება გამოაქვს. საქმეები განიხილება სულ ცოტა 3 ლორდის მიერ. ერთპიროვნულად საქმის განხილვა შეუძლია ლორდ-კანცლერს, რომელიც თავმჯდომარეობს პალატაში საამისოდ სპეციალურად არჩეულ 9 ლორდს (Lords of Appeal in Ordinary). საქმის ირგვლივ თითოეული გამოთქვამს მოსაზრებას (speech). საჩივარს უარს ეტყვიან, თუკი მის დაკმაყოფილებას უმრავლესობა არ დაუჭერს მხარს. საქმის ხელახალი განხილვის პრაქტიკას ინგლისის სამართალი არ იცნობს.

გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე ***ქვემდგომი სასამართლოები***. უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საქმეების განმხილველი ***საგრაფო სასამართლოები***, რომლებიც 1846 წლის კანონითაა შექმნილი. არსებობს აგრეთვე ***მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი***. ისინი შეიძლება არ იყვნენ იურისტები და თავიანთ ფუნქციებს უფასოდ ახორციელებდნენ მდივანი იურისტის დახ-

მარებით. დიდ ქალაქში არსებობს *მომრიგებელი მოსამართლის* თანამდებობა, ხელფასის დანიშვნით (stipendiary magistrates). ისინი ერთპიროვნულად იხილავენ საქმეს და მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს *მეოთხეული სესიის განყოფილებაში* ან *სამეფო განყოფილებაში*. მეოთხეული სესიის სასამართლო რამდენიმე მომრიგებელი მოსამართლისაგან შედგება და საქმეებს ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განიხილავენ. 50 ათასზე მეტი მაცხოვრებლიდან ქალაქებში მეოთხეულ სასამართლოს ცვლის ე.წ. recorder — ადვოკატურის წევრი.

ლონდონში მეოთხეულ სასამართლოს ცვლის *ცენტრალური სისხლის სასამართლო*.

ადმინისტრაციულ საქმეთა განსახილველად ცალკეული მმართველობის ორგანოები და ტრიბუნალები აღიჭურვებიან *კვაზისასამართლოს* კომპეტენციით. შესაბამისი კატეგორიის საქმეები არ შეიძლება ამ სასამართლოს განხილვის გარეშე გადაეცეს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლოები ინგლისში ნამდვილი ძალაა. სწორედ მათი წყალობით შეიქმნა საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი. ამჟამად მოქმედი ინგლისური სამართალიც სწორედ მათ ჩამოაყალიბეს, რადგან ამ მიმართულებით XX ს-მდე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მცირეხარისხოვან როლს ასრულებდა. არ მომხდარა რაიმე კოდიფიკაცია, რომელიც სამართალშემოქმედებით ფუნქციას სასამართლო ხელისუფლებიდან საკანონმდებლოს გადასცემდა. სასამართლოები არა მარტო დამოუკიდებელნი არიან კანონმდებლობის შემუშავებაში, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებაშიც: მოსამართლეებისა და პრაქტიკოსი იურისტების თუ კანცლერის მიერ შედგენილი სპეციალური რეგლამენტების გამოცემით ისინი აყალიბებენ სასამართლო პრეცედენტს.

პროკურატურის მსგავსი ორგანო ინგლისში არ არსებობდა 1879 წლამდე, როცა ჩამოყალიბდა „სამოქალაქო გამოძიებათა დეპარტამენტი". ამ ორგანოს უმაღლეს ხელმძღვანელობას ახორციელებდა გენერალ-ატორნეი. თავდაპირველად განსახილველ

საქმეთა კატეგორია, რომლის გარშემო გენერალ-ატორნეის (General-Attorney) უფლება ეძლეოდა საქმის აღძვრისა. 1908 წლიდან კანონით გენერალ-ატორნეის უფლება მიენიჭა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე, როცა ის საჭიროდ ჩათვლიდა. მისი ფუნქცია იყო, აგრეთვე ტახტის ინტერესების დასაცავად სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე გამოსვლა.

ინგლისში არც იუსტიციის სამინისტრო არსებობდა. თუმცა ასეთი ორგანოს შექმნას ბევრი წინასწარმეტყველებდა. 2003 წ. ლორდ-კანცლერის დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა იუსტიციის სამინისტრი, როცა ზოგიერთ საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საკონსტიტუციო საკითხთა დეპარტამენტის ფუნქციები გაერთიანდა.

კარი IV. აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები და სამართალი

აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების წარმოშობასა და განვითარებაში შეიძლება მოიძებნოს საერთო, კანონზომიერი მოვლენები, რითაც ისინი განსხვავდებიან ევროპის ქვეყნებისაგან. ეს კანონზომიერება, ანუ ტრადიციულობა გულისხმობს:

1. წარმოშობის თვალსაზრისით გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოებრივი მმართველობის თანდათან გადაზრდას სახელმწიფოს მექანიზმში;

2. აბსოლუტური მონარქიის ფორმით სახელმწიფოს არსებობას;

3. ეკონომიკურ დაჩიხულობასა და სახელმწიფო საკუთრების უპირატესობას საკუთრების სხვა ფორმებთან შედარებით;

4. საზოგადოების სტაგნაციურობას, ე.ი. იმას, რომ აღმოსავლური საზოგადოება საუკუნეების, ზოგჯერ ათასწლეულების განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელია. მართალია, ისევე როგორც ევროპის სახელმწიფოებში, აზიაშიც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებს; კერძოდ, – უცხოურ დაპყრობებს, გლეხთა აჯანყებებს, სახელმწიფო გადატრიალებებსა და სხვა, მაგრამ ისინი მხოლოდ მმართველი დინასტიის შეცვლასთან იყო დაკავშირებული.

თავი I. ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§59. ინდოეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა

ინდოეთის სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს წა-

რმოშობის შესწავლა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია უახლეს პერიოდის არქეოლოგიურ აღმოჩენებთან. კერძოდ, XX ს-ის 20-იან წლებში მოხენჯო-დაროსა და ჰარაპაში გათხრების შედეგად, მეცნიერებმა ეჭვქვეშ დააყენეს დებულება, რომ სახელმწიფოს შექმნის პროცესი ამ ტერიტორიაზე არიელი ტომების შემოჭრით დაიწყო. თუმცა, III-II ათასწლეულის მიჯნაზე არსებული პირველი სახელმწიფოები ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო დაინგრა და მოსახლეობამ ერთბაშად დატოვა ქვეყანა, მაგრამ მათი არსებობა უტყუარია.

არიელები, ანუ, დაახლოებით II ათასწლეულის შუა წლებიდან მოდიან ჩრდილოეთ ინდოეთში. ისინი ავღანეთისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები იყვნენ, რომელთაც მიაწერენ წმინდა წიგნის „ვედის" შექმნას. გავრცელებული თეორიის მიხედვით[1], მათზეა დაფუძნებული მსოფლიო ცივილიზაცია. ახ.წ. XIX საუკუნიდან ამ თეორიას სხვა მნიშვნელობაც მიენიჭა. მას იყენებდნენ ინდოევროპულ ოჯახში შემავალ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა კრებსით სახელად, ამ ხალხთა რასობრივი და კულტურული ერთიანობის დასამტკიცებლად. შემდგომში ფაშისტურმა ლიტერატურამ ეს ტერმინი რასობრივი დისკრიმინაციის იარაღად გამოიყენა.

არიელების შემოჭრის შემდეგ, მდინარეების ინდისა და განგის აუზებში, კვლავ წარმოიშვა სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომლებიც ზოგადი დახასიათებით აღმოსავლური ტიპის დესპოტურ მონარქიებს წარმოადგენდნენ. ამ პერიოდში ინდოეთის ტერიტორიაზე 16-მდე სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა შესწავლილი. მათ შორის ყველაზე გავლენიანს ***მაგადჰა*** წარმოადგენდა. სახელმწიფოებს შორის განუწყვეტელი ბრძოლისა და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად ინდოეთში ***მაურიების ცენტრალიზებული სახელმწიფო*** შეიქმნა. მაურიების დინასტიის ბატონობა დაახლოებით ძვ.წ. IV-III სს. მოიცავს. ამ პერიოდში მაკედონელთა ჯარები განიდევნა და ავღანეთისა და დასავლეთ ინდოეთის გაერ-

1 არიული თეორია XVIII ს-ში წარმოიშვა მისი პირველი მიმდევარი ფრიდრიხ შლეგელია (1772-1829 წწ.), რომელიც ცდილობდა სანსკრიტსა (ინდური ენა) ევროპელ ენებს შორის კავშირი აეხსნა.

თიანებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა იმპერია, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ინდოეთის პოლიტიკურ ისტორიაში.

ვ.წ. II საუკუნიდან, შიდა სახელმწიფოებრივი ბროლების შედეგად, თანდათან ირღვევა მაურიების იმპერია. ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დამპყრობთა სათარეშო ადგილად იქცა. ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები გაწყდა ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის.

ახ.წ. V-VI სს. ინდოეთის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში სოციალური და ეკონომიკური ძვრების შედეგად შეიცვალა საზოგადოების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა. სახელმწიფოში საკუთრების ახალი ელემენტები გაჩნდა, რაც ზოგადად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფეოდალიზმის დასაწყისი. ახ.წ. XII საუკუნეში ინდოეთი დაიპყრო ღურიდების სახელმწიფოს მმართველმა მუჰამედ ღურიმ. მისი სიკვდილის შემდეგ, მისმა ნაცვლებმა არ ცნეს ღურიდების ხელისუფლება და მათ მიერ დაპრყობილ ტერიტორიაზე თავიანთი მმაართველობა დააწერეს. ღურიდების მიერ დაპყრობილი ქვეყნის ცენტრი იყო *დელის სასულთნო*. მართალია, ამ პერიოდში ცენტრალიზაციის ტენდენცია არ შეიმჩნეოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ისლამის გავრცელება. ახ.წ. 1398 წელს თემურლენგთან დამარცხებისა და ფეოდალური შინაომების შედეგად დელის სასულთნო დაეცა.

სახელმწიფოებრივი გაერთიანების ეტაპი დაიწყო დიდი მოგოლების დინასტიის მოსვლით. ფადიშაჰ აქბასის დროს, ახ.წ. 1556-1605 წწ. გაერთიანდა ჩრდილოეთ ინდოეთი, შემდეგ გაიზარდა ქვეყნის საზღვრები და შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობა. XVIIIს. პირველ ნახევარში ინდოეთის ერთიანი სახელმწიფოს მმართველობა იშლება, რაც დაკავშირებულია კოლონიზატორების გამოჩენასთან.

XVIII ს. ინდოეთში მოვიდნენ ჰოლანდიელი, ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორები და მათ ბოლო მოუღეს პორტუგალიელთა მონოპოლიას. საშინაო ვაჭრობის ზრდას მოჰყვა მეთემეთა და „მიუკარებელთა“ კასტის, ხელოსანთა და მარათების აჯანყებები.

მარათხებმა შექმნეს საკუთარი სახელმწიფო *შივაჯის* (1630-1680 წწ.) მეთაურობით, რომელმაც 1674 წ. რაჯის ტიტული მიიღო. მისი სიკვდილის შემდეგ, დიდმონღოლთა ფადიშაჰმა აურანგზებმა შეძლო მარათხების დამარცხება და თითქმის მთელი ინდოეთის დამორჩილება.

1739 წ. ინდოეთი ნადირ-შაჰმა დაიპყრო, 1747 წ. კი ავღანელ ტომთა თავდასხმების ობიექტი გახდა. პანიპატის ბრძოლაში სასტიკმა დამარცხებამ 1761 წ. საბოლოოდ დაშალა და დასცა დიდ მოგოლთა სახელმწიფო. იგი დამოუკიდებელ სამთავროთა *გვალიორის, ბაროდას. ნაგპურის, ინდორის, მაჰარაშტრას*, კონფედერაციად გადაიქცა.

XVII ს. იწყება ინდოეთის ექსპანსია ევროპელთა მიერ ინგლისის ოსტინდის კომპანიამ პირველად ბენგალი დაიპყრო, შემდეგ კი სამხრეთ ინდოეთის დიდი ნაწილი. ბრიტანეთმა თავისი ბატონობა გაავრცელა ჯამნა-განგის, შუამდინარეთსა და დელზე, შემდეგ კი პენჯაბზე. ამით, ფაქტობრივად, დამთავრდა ინდოეთის დაპყრობა და იგი ბრიტანეთის კოლონია გახდა.

1857 წ. ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო „ინდოეთის უკეთესი მართვის აქტი", რითაც რამდენადმე იზრდებოდა პროვინციების საკანონმდებლო კრებებისა და შესაბამისი მთავრობების ფუნქციები. მაგრამ ამ აქტს მკაცრი პროტესტით შეხვდა ინდოეთის მოსახლეობა და ეროვნულმა კონგრესმა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის ამოცანა წამოაყენა. XX ს. იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1920 წ. მაჰატმა განდის ხელმძღვანელობით ეროვნულმა კონგრესმა წამოიწყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მასობრივი კომპანია. ქვეყნის პირველი პრემიერი ჯავაჰარლანა ნერუ გახდა. 1950 წ. 26 იანვარს ნერუს ხელისუფლებამ მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვით ინდოეთი საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადდა და ამავე დროს დარჩა ბრიტანელ ერთა თანამედროვეობაში დომინიონისა და პროტექტორატის სტატუსი.

დაიწყო მასობრივი გამოსვლები კოლონიზატორთა წინააღმდეგ. იფეთქა ბომბეის მეზღვაურთა აჯანყებამ. 1929 წ. ინგლისმა

ინდოეთს დომინიონის სტატუსი აღუთქვა. 1947 წ. 15 აგვისტოს აქტით ერთიანი ინდოეთი ორ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ინდოეთის კავშირისა და პაკისტანის დომინიონად გაიყო.

1951-1952 წწ. ჩატარდა პარლამენტისა და შტატების საკანონმდებლო კრებათა პირველი არჩევნები, რომელიც ეროვნული კონგრესის სრული გამარჯვებით დამთავრდა. 1955 წ. ეროვნული კონგრესის სესიამ მემარცხენე ფრთის ზემოქმედებით მიიღო „სოციალისტური ტიპის საზოგადოების აგების პროგრამა", თუმცა იგი არ ითვალისწინებდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციას.

1957 წ. მოეწყო მეორე საყოველთაო არჩევნები, რომლის შედეგად ეროვნულმა კონგრესმა შეინარჩუნა თავისი პრიორიტეტი პარლამენტშიც და შტატების საკანონმდებლო კრებებშიც.

60-იანი წლები ინდოეთის ისტორიაში ცნობილია კოლონიების დაბრუნებით. პონდიშური, კარიკალი, იანაონი და სხვა ტერიტორიული ერთეულები საფრანგეთმა ოფიციალურად დაუბრუნა ინდოეთს. ამავე პერიოდში დაიწყო ეროვნული კონგრესისა და მის ფარგლებს გარეთ მემარცხენე და მემარჯვენე ძალთა პოლარიზება და დაარსდა ახალი პარტია „სვატანტრა" (დამოუკიდებლობის პარტია), რომელმაც მოითხოვა კერძო კაპიტალის საქმიანობის სრული თავისუფლება. 1966 წ. მემარჯვენე ძალების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე აირჩიეს ინდირა განდი, რომელმაც ქვეყნის შიგნით გააგრძელა სახელმწიფო სექტორის გაძლიერების, ხოლო ქვეყნის გარეთ ნეიტრალიტეტის კურსი. ფრაქციათა ბრძოლამ შეასუსტა ეროვნული კონგრესის პოზიციები და მან დაკარგა მმართველი პარტიის მდგომარეობა. მემარჯვენეებმა ინდირა განდის პოლიტიკას კონგრესიდან გასვლით უპასუხეს. თუმცა, ამას სრულიადაც არ შეუშლია ხელი ი. განდის სოციალ-ეკონომიკური ღონისძიებებისათვის მისი ძალისხმევით გაძლიერდა მონოპოლიათა საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი; შეიზღუდა კერძო ეროვნული კაპიტალის სფერო და გაიზარდა სახელმწიფო საწარმოების დაფინანსება; გაიზარდა საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს ხელმძღვანელი როლი. ამ ღონისძიებებს მოჰყვა ეროვნული კონგრესის გამარჯვება 1981 წ. არ-

ჩევნებში. ამავე წლიდან დაიწყო სსრ კავშირთან ურთიერთობის ახალი ეტაპი, რაც გაფორმდა აგვისტოს „მშვიდობის, მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულებით“. ნეოკოლონიალიზმის ახალი ფორმა, რომელსაც სსრ კავშირი აწარმოებდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, ევროპული სახელმწიფოების კოლონიზატორული პოლიტიკის კრიტიკასა და კოლონიზებულ სახელმწიფოებში საკუთარი ეკონომიკისა და პოლიტიკის დამკვიდრებაში გამოიხატა. 1981 წ. დაიწყო ინდოეთ-პაკისტანის ომი და ორ კვირაში პაკისტანის ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. ინდოეთმა საომარი მოქმედებანი შეწყვიტა პაკისტანმა მიიღო ინდოეთის წინადადება დაზავების შესახებ და ცნო ბანგლადეშის რესპუბლიკა. ინდოეთში განდის პოლიტიკის გამო გაძლიერდა ტერორიზმი, შანტაჟი, არეულობა. განდის მთავრობამ 1975 წ. 26 ივნისს შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. აკრძალა 26 მემარჯვენე რელიგიურ-თემური ორგანიზაცია და დააპატიმრა მათი ლიდერები. 1975 წ. დეკემბრიდან 1976 წ. 1 იანვრამდე ჩატარდა ეროვნული კონგრესის 75-ე ყრილობა, რომელმაც დაადასტურა საგანგებო რეჟიმის შემოღების აუცილებლობა და პარტიის საქმიანობის მთავარ ამოცანად განისაზღვრა „20 პუნქტის“ პროგრამა.

1976 წ.მეორე ნახევარში ინდოეთის კონსტიტუციაში შევიდა შესწორება, რომლის მიხედვით ინდოეთი განისაზღვრა როგორც „სუვერენული, სოციალისტური, საერო, დემოკრატიული რესპუბლიკა“.

1980 წ. ოპოზიციურმა ძალებმა დააარსეს ერთიანი პარტია „ჯანატა პარატი“, თუმცა ამ პარტიის მთავრობამ ხელისუფლებაში რამდენიმე წელი გაძლო. 1991 წლიდან დაწყებულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა გახადა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი ქვეყანა.

დღეს ინდოეთი რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოა, მაგრამ მის ტრადიციულ ფორმას მონარქია წარმოადგენს. ინდოეთის მეტად რთულ და საინტერესო ისტორიიდან ჩვენ განვიხილავთ ძველი ინდოეთის სახელმწიფო წყობილებასა და სამართალს, როგორც აღმოსავლეთის კლასიკურ სახელმწიფოს ნიმუშს და მისი განვითარების ძირითად მიმართულებას.

§ 60. სახელმწიფოს მმართველობის ფორმები ძველ ინდოეთში

პირველ ათასწლეულში ინდოეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოთა წარმოქმნა დაკავშირებული იყო სათემო-გვაროვნული მმართველობის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ მმართველობაში გადაზრდასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სახელმწიფოები ხასიათდება, როგორც აღმოსავლური ტიპის დესპოტური მონარქიები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მმართველობის წესითა და შინაარსით ისინი ამ ტრადიციულ შეფასებას სრული დატვირთვით მაინც არ ემორჩილებიან. პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ წარმოიქმნა როგორც მონარქიები, ასევე ქშატრიათა ოლიგარქიული რესპუბლიკებიც. რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურს ირჩევდნენ კრებებზე, განსაკუთრებულ შემთხვევაში მათი გადაყენებაც შეიძლებოდა. სახალხო კრებებს თავისუფალი მოსახლეობა ესწრებოდა. ზოგიერთ რესპუბლიკაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ***არისტოკრატთა საბჭო*** იყო. რესპუბლიკა ინდოეთისათვის მაინც არ არის ტრადიციული ფორმა და მას სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის განვითარებაში დიდი როლი არ შეუსრულებია, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში ჩამოთვლილ 16 „დიდ ქვეყანას“ შორის მითითებულია რესპუბლიკებიც: ვაჯი, მალა, კამბოჯა.

ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მონარქიული ფორმის სახელმწიფოებიც, მაგრამ მათთვის საერთო იყო ***მონარქის*** – რაჯის – ხელისუფლების არსებობა. ზოგიერთ სახელმწიფოში რაჯი არჩევითი თანამდებობის პირი იყო, თუმცა, დროთა განმავლობაში მაინც შეიძინა მონარქიისათვის დამახასიათებელი შთამომავლობითობის პრინციპი და სამეფო ტიტული. პირველ ეტაპზე მონარქს სათემო საბჭოზე ირჩევდნენ, მაგრამ მტკიცე ადმინისტრაციული ორგანოების ფორმირებისა და რაჯის ხელისუფლების გაძლიერებით ამ ორგანომ თავისი ძალა და ავტორიტეტი დაკარგა და მონარქის სათათბიროდ, ***სამეფო საბჭოდ*** იქცა.

თვით ყველაზე ძლიერი მაურიების იმპერიის დროსაც ინდოეთი დესპოტურ მონარქიას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,

არ წარმოადგენდა. თუ რატომ, ამაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ინდოეთის ცენტრალური ადმინისტრაციული სამხედრო აპარატი ძველი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ძლიერი სათემო თვითმმართველობის არსებობის გამო სუსტი იყო. რაჯი დესპოტური მონარქის ტიტულს ინარჩუნებდა არა მარტო თემიდან იზოლაციის საფუძველზე, არამედ იმითაც, რომ უპირველეს კასტას ეკუთვნოდა და მისი ხელისუფლება გაღმერთებული იყო ტრადიციული რელიგიურ-ეთიკური ნორმებით.

თუ უმაღლესი მმართველობის ფუნქციის განხორციელების დროს რაჯის სათემო თვითმმართველობა უპირისპირდებოდა, უმაღლესი მართლმსაჯულების განხორციელება მას დამოუკიდებლად არ შეეძლო. ამ ფუნქციას რაჯი გამოცდილი ბრახმანების მეშვეობით ასრულებდა. მისი უპირატესობა ის იყო, რომ არასრულწლოვანთა, ღარიბთა და ავადმყოფთა მეურვედ ითვლებოდა და წელიწადში ერთხელ ამნისტიის უფლება ჰქონდა.

ინდოეთის მეფეებს თავდაპირველად არც უმაღლეს კანონმდებელთა რანგში მოვიხსენიებთ, რადგან აღიარებული იყო „ვედებში“ გადმოცემული სამართლის ნორმათა უცვლელობა. ეს ტრადიცია პირველად აშოკ მეფის დროს დაირღვა, როცა ხელისუფლების ბრძანება სამართლის წყაროდ იქცა.

მეფის გაღმერთების იდეასაც თავისებური შეფასება ეძლევა ინდოეთში. საინტერესოა, რამდენად თეოკრატიულია ის სახელმწიფო, სადაც გაღმერთებულია მეფის ხელისუფლება და არა მეფე, როგორც კაცი, რომელიც შეიძლება იყოს „ძუნწი, გაუნათლებელი, გულუბრყვილო“ („მანუს კანონები“ – *შემდგომში* მ.კ.VII,30).

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო აპარატში არცთუ ისე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კეთილშობილებისაგან შემდგარი ***საბჰა*** (პარიშადი). სახელმწიფო საქმეებზე მეფე თათბირობდა მასთან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ერთპიროვნულად ღებულობდა.

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ***ცენტრალური აპარატი,*** რომლის მეთაურადაც მეფე ითვლებოდა. მმართველობის სისტემაში გამოიყოფოდა

ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა.

ცენტრალური მმართველობა ხორციელდებოდა მეფის უმაღლესი მოხელეების მეშვეობით (მანტრები, მახამატრები), რომლებიც ერთიანდებოდნენ კოლეგიალურ ორგანოში – *„მანტრიპარიშადი“*. კოლეგიის შემადგენლობა მტკიცედ განსაზღვრული არ ყოფილა. აქ უმაღლეს მოხელეებთან ერთად შეიძლება მოეწვიათ ქალაქის წარმომადგენლებიც. ამ ორგანოს არსებობა თავისთავად საგვარეულო დემოკრატიის თავისებურ გადმონაშთს წარმოადგენდა და მან გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში.

სახელმწიფოს ერთიანობა მტკიცე მმართველობის აპარატს მოითხოვდა. ამიტომ მაურიებმა ცენტრალიზაციის პერიოდში მმართველობის ყველა რგოლი თავიანთ ხელში მოაქციეს. *„ართხაშასტრა* „ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკური რეგულირებისათვის *სამეფო მეურნეობის მმართველის* – „ადჰიაკშა“ თანამდებობას, რომელსაც ექვემდებარებოდნენ გადასახადების ამკრეფნი. მანუს კანონების მიხედვით, ამ თანამდებობაზე მეფეს უნდა დაენიშნა „ღირსების, ჭკუისა და სიმტკიცის“ (მ.კ.: VII,60) მქონე პირი.

არმიის ხელმძღვანელობისათვის ცალკე არსებობდა უწყება, რომელსაც სათავეში *მთავარსარდალი* „სენეპატი“ ედგა.

სამოხელეო აპარატში შეიძლება დავასახელოთ *მთავარი მოსამართლე, მეფის იურიდიული მრჩეველი* – დჰარმადიაქშა, *მეფის ვაჟის აღმზრდელი, უმაღლესი ქურუმი* – პუროხიტა.

მოხელეთა დანიშვნის დროს არსებობდა ამ თანამდებობათა შთამომავლობით გადაცემის პრაქტიკა, რასაც ხელს უწყობდა საზოგადოების ვარნებად – კასტებად- დაყოფა. საინტერესოა, მაურიების დროს შექმნილი *საკონტროლო* და *საზედამხედველო თანამდებობები* – ჯაშუშები, ე.წ. მეფის აგენტები, რომელთაც მეფე „დღითაც იღებდა და ღამითაც ენდობოდა“ („ართჰაშასტრა“-*შემდგომში* ***ართ.***:I,10).

ცალკე შეიძლება გამოვყოთ ინდოეთის სახელმწიფოს საქმიანობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომელიც ემყარებოდა „სახელმწიფოთა წრის“ პრინციპს, ე.ი. მეზობელი მე-

ზობლის მტერია, მეზობლის მეზობელი – მეგობარი, მეგობრის მეზობელი – მტერი და ა.შ. რაც შეეხება მეზობლის სახელმწიფოს, რომელიც მტერიცაა და მეგობარიც, უშუალოდ სახელმწიფოდ ითვლება, ხოლო არც მეგობრის და არც მტრის მეზობელი – ნეიტრალურ სახელმწიფოდ[1].

ცენტრალურ მმართველობასთან ერთად თავისებურებებით ხასიათდებოდა ***ადგილობრივი მმართველობა***, რაც დაკავშირებული იყო მაურიების იმპერიის დროს შემოღებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასა და მმართველობის სისტემასთან.

მეფის უშუალო გამგებლობაში შედიოდა იმპერიის მხოლოდ ნაწილი. მეფის დომენის შემდეგ ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს შეადგენდა ***პროვინცია***. პროვინციათა ორი სახე არსებობდა: 1. მსხვილი პროვინციები, რომელთაც უფლისწულები განაგებდნენ და 2. სასაზღვრო პროვინციები, რომელთაც მეფის ოჯახის სხვა წევრები განაგებდნენ. პროვინციის გამგებლის ფუნქცია იყო მისი ტერიტორიის დაცვა, გადასახადების აკრეფა, სამშენებლო სამუშაოთა უზრუნველყოფა და სხვა.

ნაკლებად მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს მართავდა მოხელე (მ.კ.: VII,110). ძირითადად ეს ქალაქის მმართველობას ეხებოდა. რაც შეეხება სასოფლო მმართველობას, იგი რიცხობრივი სისტემის პრინციპზე იყო აგებული.

ყველაზე დაბალ ადმინისტრაციულ ერთეულს ***სოფელი*** – გრამა-წარმოადგენდა, რომლის სათავეში მამასახლისი იდგა. იგი არ იყო სამეფო მოხელე და სასოფლო თემიდან აირჩეოდა. „ართჰაშასტრას“ მიხედვით (ართ.: II,10) ოთხი სახის სასოფლო გაერთიანება არსებობდა: 800, 400, 200, 10 სოფლის დასახლებით. თითოეულის მმართველი ემორჩილებოდა ზემდგომ მმართველს და ყველა – მეფის ხელისუფლებას. კონტროლის მიზნით ადგილებზე მეფე ნიშნავდა ზედამხედველებს.

რაც შეეხება ***სასამართლო ორგანიზაციას***, ინდოეთში შეიძლება სასამართლოთა ორი სისტემა გამოვყოთ: სამეფო და სათემო სასამართლოები. უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა ***სამეფო***

1 Carmen Dragonetti: Essays on Indian philosophy in comparative perspective. Hildesheim [u.a.], Olms, 2009, p.67

სასამართლო, სადაც მეფე ბრაჰმანებთან და გამოცდილ მრჩევლებთან ერთად იღებდა გადაწყვეტილებას. არსებობდა აგრეთვე მეფის მიერ დანიშნული ***ბრაჰმანთა სასამართლო კოლეგია*** – საბხა.

სათემო სასამართლოებს ეკუთვნოდა სასოფლო გაერთიანებებში მეფის მიერ დანიშნული სამკაციანი კოლეგია. სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად და „ქურდებზე ზედამხედველობისათვის" მეფის მიერ ინიშნებოდა ***სპეციალური მოსამართლე***.

საქმეთა უმრავლესობა განიხილებოდა სათემო კასტების სასამართლოთა მიერ. არაოფიციალური კასტური სასამართლოები ინდოეთში უკანასკნელ პერიოდამდე შემორჩა.

§ 61. ძველი ინდოეთის საზოგადოებრივი წყობილება

ინდოეთი საზოგადოების ცალკეულ კატეგორიებად დაყოფის თვალსაზრისით თავისებურ ისტორიულ სახელმწიფოს წარმოადგენს. როგორც ძველ, ისე ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ აქ საზოგადოების ფენებად, ანუ ***ვარნებად*** (კასტა) დაყოფა შრომის დანაწილებასა და პროფესიულ-რელიგიური წესჩვეულებების შესრულებას უკავშირდება. ძირითადად 4 ვარნას გამოჰყოფენ: ბრაჰმანები (ღვთის მსახურები და ქურუმები), ქშატრიები (მხედრები და მმართველები), ვაიშიები (მიწათმოქმედები და ხელოსნები), შუდრები (მოსამსახურეები). პირველი ცნობები მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ვედების ადრეულ ლიტერატურაში (რიგვედე) მოგვეპოვება. მოგვიანებით, „დჰარმაშასტრებსა" და „მანუს კანონებში" უკვე იხსენიება ბრაჰმანებისა და ქშატრიების რელიგიურ-პროფესიული საქმიანობის მემკვიდრეობითობის შესახებ.

ბრაჰმანები ყველაზე პრივილეგირებული კასტა იყო, რომელთა შესახებ მანუს კანონები ამბობს: „ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე უკეთესად ითვლებიან სულიერნი, სულიერთა შორის გონიერნი, გონიერთა შორის ადამიანი, ადამიანთა შორის – ბრაჰ-

მანები" (მ.კ.: VIII,32). ბრაჰმანების უფლებამოსილებას შეადგენდა საღვთო წიგნების სწავლა და ღვთაებრივი მოძღვრების სხვებისათვის სწავლება. მათ ეკრძალებოდათ ვაჭრობა, ხელოსნობა, მევახშეობა, სხვასთან სამსახური.

ქშატრიების უფლებამოსილება იყო ქვეშევრდომთა დაცვა, წყალობის გაცემა, მსხვერპლის შეწირვა, „ვედების" შესწავლა და ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა. სახელმწიფოში მათ მმართველობის ფუნქცია ეკისრებოდათ.

ვაიშიები ყველაზე მრავალრიცხოვანი კასტა იყო. ისინი ძირითადად მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით, ვაჭრებით და მევახშეებით იყვნენ დაკავებულნი. სახელწოდებაც „ვაიში" სიტყვა „ვიშ"-დან მომდინარეობს, რაც ხალხს, თემს, დასახლებას ნიშნავს.

შუდრები საზოგადოების დაბალი კასტა იყო, რომელთა შესახებ „მანუს კანონები" ადგენდა: „შუდრას მხოლოდ ერთი საქმე დააკისრა უფაალმა – დანარჩენი კასტებისათვის მოთმინებით სამსახური (მ.კ.: X,35). ისინი თავისუფალი მოსახლეობის კატეგორიაა, თუმცა პოლიტიკური უფლებით არ სარგებლობდნენ.

რელიგიური სიტუაციების შესრულების წესების მიხედვით დადგენილი იყო კასტებს შორის უფლებამოსილებათა საზღვრები, რაც განაპირობებდა მათ გაერთიანებას „ორჯერდაბადებულებად" და „ერთხელდაბადებულებად". ბრაჰმანები, ქშატრიები და ვაიშიები „ორჯერდაბადებულთა" კატეგორიას ეკუთვნიან, რადგან მათ მიმართ „ინიციაციის" (ზიარების) განსაკუთრებული რიტუალი სრულდებოდა. ამ თვალსაზრისით ისინი პრივილეგირებულთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ.

ძველი ინდოეთის საზოგადოებივ სტრუქტურაში ცალკე უნდა გამოვყოთ ***მონები***, რადგან ისინი თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით განსხვავდებიან ბაბილონის მონებისაგან. „მანუს კანონები", მათი წარმოშობის წყაროს მიხედვით, იცნობს მონათა 7 კატეგორიას: ტყვედ ჩავარდნილი, მონადქცეული რჩენისა და შენახვისათვის, მონად დაბადებული, ნასყიდი, ნაჩუქარი, მემკვიდრეობით ბოძებული, დაკარგული (მ.კ.: VIII,415).

§ 62. შუა საუკუნეების ინდოეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი

შუა საუკუნეების ინდოეთისათვის ნიშანდობლივია საზოგადოების არათანაბარი და შენელებული განვითარება, რაც გულისხმობს ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი – მსხვილი მიწათსარგებლობისა და ექსპლუატაციის კასტური ხასიათის გვერდით მონათმფლობელობის არსებობასაც.

შუა საუკუნეების ინდოეთის თავისებურებას წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურის კარდინალური ცვლა მაურიების მსხვილი იმპერიიდან დაქუცმაცებულობამდე, რასაც თან ახლდა გაუთავებელი ბრძოლები და დროებითი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნა, მაგალითად, როგორიც იყო ***გუპთების იმპერია*** (მხოლოდ 40 წელი იარსება) IV-V სს. და VII საუკუნეში – ***ხარშის იმპერია***.

V-VI სს. ჩრდილოეთ ინდოეთში თეთრი ჰუნების და გუჯართა ტომების შემოსევებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი შერწყმის შედეგად წარმოიქმნა სამხედრო მიწათმოსარგებლეთა ახალი კასტა – ***რაჯპუტები***, რომელთაც მიაწერენ ***გუჯარეთის სამთავროს*** შექმნას.

სამხრეთ ინდოეთი, განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჩრდილოეთს, მაგრამ აქაც შეიმჩნეოდა დამოუკიდებელი სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი. მაგალითად, VI საუკუნეში შეიქმნა ***პალავების*** სახელმწიფო; VII საუკუნეში – ***ჩაუჰანის*** სამთავრო და სხვა. მუსლიმი დამპყრობლების ძირითად დასაყრდენს კი XII-XIII სს. წარმოადგენდა რაჯპუტების სამთავროს გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ***დელის სასულთნო*** (1206-1526 წწ.), რომელიც ***დიდი მოგოლების იმპერიამ*** შეცვალა (1526-1857 წწ.).

პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფებების მიუხედავად, ინდო-ბუდისტური ცივილიზაცია და ინდოელების რელიგიურ-კულტურული თვითშეგნება საუკუნეების განმავლობაში ინდოეთის პოლიტიკური გაერთიანების მნიშ-

ვნელოვანი ფაქტორი იყო.

V-VII სს. დასახელებული პოლიტიკური ერთეულები პრიმიტიულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ერთგვარ კონგლომერატს წარმოადგენდა ურთიერთშორის მოძრავი საზღვრების არსებობით. ასეთი სახელმწიფოების სათავეში იდგა ***მთავარი*** (მაჰარაჯი). მთავარის ტიტული შთამომავლობით ვაჟიშვილზე გადადიოდა. იყო შემთხვევებიც, როცა მთავარი აირჩეოდა. მაჰარაჯებს ეხმარებოდნენ მრჩევლები, რომელთაგან იქმნებოდა ***სათათბირო ორგანო*** (მანტრიპარიშადი). სახელმწიფო მექანიზმში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ***მხედრებსა*** და ***ბეგარის ამკრეფებს***.

არც ერთ რელიგიას მსოფლიოში ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ერთიანობაზე ისეთი დიდი გავლენა არ მოუხდენია, როგორც ეს ინდუიზმმა გააკეთა მიუხედავად ინდოეთის პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა. ეს პროცესი თითქოს მუსლიმთა შემოსევების შედეგად შეჩერდა, როცა დელის სასულთნო არაბთა სახალიფოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული. XVI საუკუნეში თურქ-ავღანელი დამპყრობლები მოგოლებმა შეცვალეს და დიდი მოგოლების იმპერიამ განვითარების უმაღლეს წერტილს XVI-XVII სს. მიაღწია. მაგრამ ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ მუსლიმთა მმართველებმა, ისლამის მძლავრი პოლიტიკური პოტენციალის მიუხედავად, ინდოეთში ვერ შექმნეს ვერც ძლიერი სახელმწიფო აპარატი და ვერც ეფექტური ცენტრალური მმართველობა.

დელის სასულთნოსა და მოგოლთა ინდოეთის მმართველობაში ბევრი რამ იყო საერთო, რაც ისლამური დოქტრინის საფუძველზე ქვეყნის მოწყობისათვის იყო დამახასიათებელი. დელის სასულთნოს მმართველი – მუჰამედ ტუტლაკი (1325-1351 წწ.) – მონეტებზე აღნიშნავდა: „სულთანი – ღმერთის აჩრდილი“, ხოლო მოგოლების იმპერიის ფუძემდებელი – ბაბური (1483 -1530 წწ.) – ფადიშაჰის ტიტულსაც ატარებდა, რაც სახელმწიფოს მმართველის უფლებამოსილებათა გაღმერთებას ნიშნავდა. მართალია, სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება შთამომავლობითი იყო,

რომლის გადაცემის წესს თვითონ ყურანი ითვალისწინებდა, მაგრამ ეს მოთხოვნები დაპყრობილ ინდოეთში ყოველთვის როდი სრულდებოდა, რადგან აქაურ ხელისუფალთ ხშირად უხდებოდათ რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკის გატარება და გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

მუსლიმურ ინდოეთში მეორე პირს წარმოადგენდა ***ვეზირი***, რომელიც სამხედრო და საფინანსო უწყებებს განაგებდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო სულთანის განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება. ცენტრალური მმართველობა, როგორც დელის სასულთნოში, ასევე მოგოლთა ინდოეთში – ***დივანთა*** მეშვეობით, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური მონაცემების შეკრება და განსაკუთრებული წიგნების წარმოება ევალათ.

სამხედრო და საფინანსო უწყებებთან ერთად არსებობდა განსაკუთრებული უწყება, რომელიც აგროვებდა ცნობებს დასანიშნი მოხელეების შესახებ. XVI საუკუნიდან ამ უწყებას სათავეში ედგა ***მირსამანი***. იგი განაგებდა აგრეთვე ფადიშაჰის საცავსა და სახელოსნოებს.

სადრ-უს-სადური-ს უწყება თავისებური სასულიერო და საერო სამართლო ორგანო იყო, რომელსაც თვით სახელმწიფოს მეთაური ან მისგან უფლებამოსილი პირი განაგებდა. მას ძირითადად მოსამართლეთა დანიშვნა ევალებოდა. არც დელის სასულთნოსა და არც მოგოლთა ინდოეთში სამეფო კარის და სახელმწიფო მოხელეთა ფუნქციებს შორის განსხვავება არ ყოფილა. დელის სასულთნოს სამეფო კარი იმპერიის მმართველობის პოლიტიკური ცენტრი იყო. მოგოლთა ინდოეთის კარის მოხელენი კი სამხედრო ჩინების მატარებელნი იყვნენ და ხშირად კონტროლს ახორციელებდნენ სახელმწიფო მოხელეებზე.

მოგოლ მმართველთაგან ინდოეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა აქბარმა (XVI ს.), რომელსაც ეკუთვნის მუსლიმური პოლიტიკური რეჟიმის გარკვეული „ლიბერალიზაცია“, რაც გამოიხატა ბეგარების შემცირებასა, სასულიერო გადასახადის (ჯაზის) გაუქმებასა და რჯულთშემწყნარებლობაში.

ამ პერიოდში მიწების უმეტესი ნაწილი გადავიდა არა მარტო მუსლიმ სასულიერო პირთა საკუთრებაში, არამედ ინდუსთა ვაჭრების საკუთრებაშიც. შეიცვალა პოლიტიკა ქალაქებთან მიმართებაში. მაგალითად, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას მოჰყვა ადმინისტრაციულ აპარატში „დაბალი წარმოშობის“ პირთა წრიდან მოხელეთა დანიშვნა. მოგოლი მმართველები იყვნენ ჰანიფიტური სკოლის მიმდევრები, რომელთა ძირითად განმასხვავებელ ნიშანს მმართველობასა და სამართალწარმოებაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინება წარმოადგენდა.

მუსლიმმა მმართველებმა შემოიღეს ახალი ***ადმინისტრაციულ-ტერიტორიული*** მოწყობა. დელის სასულთნო დაიყო 23 ***პროვინციად***. პროვინციები – ***მხარეებად*** (შიქები) და ***რაიონებად*** (პარღანები). ეს უკანასკნელი მოიცავდა ***სოფლებს*** და ***სოფელთა გაერთიანებებს*** (პატა). მოგოლთა იმპერია იყოფოდა 15 ***მხარედ***, რომელთა სათავეში იდგა ***ნაცვალი*** (ჰაქამი). თითოეულ მხარეში ინიშნებოდა ***სამხედრო მოხელე*** (ფაუდჯარი), ***გადასახადის ამკრეფი*** (ჰომაშტი) და ***ქალაქის უფროსი*** (ქოტვალი).

როგორც დელის სასულთნოში, ასევე მოგოლთა ინდოეთში სათემო თვითმმართველობის ნახევრად ავტონომიური მექანიზმის არსებობა ამ სახელმწიფო ერთეულების გარკვეულ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, რადგან მუსლიმმა მმართველებმა ინდური სათემო მმართველობის დასუსტება და თავიანთი ხელისუფლებისადმი სრული დამორჩილება ვერ შეჭლეს. ინდური თემის სათავეში იდგა ***ბელადიმ*** (უქადამი), იგი უმაღლესი კასტის წარმომადგენელი იყო და ***სოფლის თავი*** (ჰუტა). ისინი ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირები კი არ იყვნენ, არამედ თემის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. არსებობას განაგრძობდა ***სათემო საბჭოებიც***, რომლებიც მხარეებსა და სოფლებში აირჩეოდა უმაღლესი კასტების წრიდან.

სამართალწარმოება ამ პერიოდში ხდებოდა ყურანზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც სასამართლო მმართველობა გამოყოფილი იყო ადმინისტრაციული მმართველობისაგან და ყადების

მეშვეობით ხორციელდებოდა. არ არსებობდა სასამართლო იერარქია, ისევე როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებათა შორის განსხვავება. მოსამართლეები საქმეს ერთპიროვნულად წყვეტდნენ. თემებში არსებობდა სპეციალური მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც თემში კასტებს შორის სათემო მიწების დავებს იხილავდა და მეთვალყურეობდა კასტური და საოჯახო წესების დაცვას.

§ 63. ძველინდური სამართლის ზოგადი დახასიათება

სამართლის წყაროები. ქვეყნის კულტურული, სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარების თავისებურებანი უპირველესად ინდოეთის სამართლის წყაროებში აისახა[1]. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დჰარმასუტებს, რომელიც რელიგიურ-ზნეობრივი და სამართლებრივი წესების – „დჰარმი" – კრებულებს წარმოადგენდა ართჰაშასტრას.

დჰარმას გვერდით ძველინდურ სამართალში მოიხსენიება ცნება „ნიაია", რომელიც ჰგავს ევროპულ „კანონს". იგი უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე „დჰარმა"და აღნიშნავს ქცევის ზოგად ნორმას, რომლის დარღვევა იწვევდა სახელმწიფოსაგან სასჯელის გამოყენებას.

დჰარმასუტების შემდეგ შეიქმნა დჰარმაშასტრა, რომელიც ბრაჰმანების მიერ თავიანთი მოწაფეებისათვის იქმნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში არა მარტო სამართლის ავტორიტეტულ წყაროდ იქნა აღიარებული, არამედ კიდევაც შეავიწროვა „ართჰაშასტრას" როლი. ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დანაკარგია, რომ არ არის მოპოვებული „დჰარმაშასტრების" სრული ვარიანტი, რომელიც ასეული წლების განმავლობაში იქმნებოდა ინდოეთში. არც მათი შედგენის ზუსტი დროა ცნობილი. პრაქტიკულად არცერთი „დჰარმაშასტრა" არ არის დათარიღებული.

---

1 ზოგჯერ ვედების რელიგიურ წმინდა წიგნებსაც სამართლის წყაროდ მოიხსენიებენ (ძვ.წ. II ათასწლეული).

უძველეს დჰარმაშასტრებს წარმოადგენენ – ***ჰაუტამა, ბაუდხაიანი, აპასტამბა, ვასიშტხა***. ისინი შექმნილი უნდა იყვნენ ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. მათ საფუძველზეა წარმოშობილი მანუსმრიტის დჰარმაშასტრა, ანუ ***მანუს კანონები*** (ძვ.წ. II ს. – ახ.წ. II ს.*)* და ***ნარადასმრიტი*** (ახ.წ. III-IV სს.), რომელიც ეტიმოლოგიური მნიშვნელობით „დამახსოვრებულს" ნიშნავს და ტრადიციის ძალით ზეპირად გადაეცემა.

მანუს კანონების გამოჩენა ძველი ინდოეთის სამართლებრივი აზროვნების განვითარების ახალი ეტაპია. თუ ადრინდელ დჰარმაშასტრებში ძირითადად განიხილებოდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დელიქტები: მკვლელობა, ღვთის გმობა, შეურაცხყოფა, ქურდობა და ისინი ერთიანდებოდნენ ერთი ცნებით „ხიმსა" (ზარალის დაკისრება), გვიანდელ დჰარმაშასტრაში დიდი ყურადღება დაეთმო ქონებრივ და სახელშეკრულებო ურთიერთობებს და მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საბეებს (ვალის გადაუხდელობის შესახებ, მიწის საზღვრების შესახებ, მემკვიდრეობის განაწილების შესახებ და ა.შ.)[1].

მოხდა სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით. მაგალითად: მანუს კანონები სასამართლო განსჯადობის 19-ჯგუფიან საფუძველს იცნობს. პირველი ჯგუფი ეხება სახელშეკრულებო ურთიერთობებს 2 ვალის გადაუხდელობას, უცხოს გაყიდვას, მიბარებულის არდაბრუნებას (მ.კ.: VIII,4); შემდეგ მოდის ხელშეკრულებათა დარღვევის, ყიდვა-გაყიდვის გაუქმების, ბატონსა და მენახირეს შორის ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები (მ.კ.: VIII,5); შემდეგი ჯგუფი ეხება კონკრეტულ დელიქტებს – დანაშაულებებს: დავები მიწის ნაკვეთების საზღვრების შესახებ, ცილისწამება, ქურდობა, მკვლელობა (მ.კ.: VIII,6).

ნორმათა შემდეგი ჯგუფი ეხება საქორწინო საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებს (მ.კ.: VIII,8ძ, აგრეთვე აზარტულ თამაშებს, რაც დანაშაულებრივ ქმედობასთანაა გაიგივებული. ასე რომ, დჰარმაშასტრებში გადმოცემული ნორმათა

1 Olivelle Patrick Manu's Code of Law: A Critical Edition and Translation of the Mānava-Dharmaśāstra. — Oxford: Oxford University Press, 2005; p.: 37

დაჯგუფება მნიშვნელოვნად განსხვავდება დღეს აღიარებული დარგობრივი პრინციპით ნორმათა დაჯგუფებისაგან.

სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომებს ფილოსოფიის, სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო საქმიანობის პრობლემების შესახებ, რომელიც *„ართჰაშასტრას“* სახელწოდებით არის ცნობილი. ესაა ლიტერატურული ნაწარმოები – სამეცნიერო ტრაქტატი პოლიტიკასა და სახელმწიფოს მმართველობაზე. იგი შედგენილია ძვ.წ. IV საუკუნეში მაურიების დინასტიის მეფის ჩანდრაჰუპტას მრჩევლის კაუტილიას მიერ. აქ ძირითადად გადმოცემულია ცნობები ინდოეთის ადმინისტრაციული და საფინანსო მმართველობის, სამართალწარმოების და სასამართლო ორგანიზაციის, დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ.

„დჰარმაშასტრები“ ცნობენ არაორთოდოქსალურ „ართჰაშასტრას“, როგორც სამართლის წყაროს. ამასთან, ხაზგასმულია, რომ „დჰარმაშასტრას“ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „ართჰაშასტრას“. ამ ვითარებამ განაპირობა ძვ.წ. I ათასწლეულიდან „ართჰაშასტრას“ ლიტერატურული ჟანრის განვითარების შეჩერება.

სამართლებრივ ლიტერატურაში ერთდროულად ორი ტრადიციული ჟანრის გამოჩენა გაპირობებული იყო ძველი ინდოეთის სახელმწიფოს თავისებურებით, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტითა და თემების ავტონომიურობით, ბრაჰმანთა სოციალურ სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრებით. ამ ორი მიმართულების არსებობა ძველი ინდოეთის სამართლის სხვადასხვა დონის – სახელმწიფო „ართჰაშასტრა“ და სათემო „დჰარმაშასტრა“ სამართლის განვითარების მაჩვენებელია.

რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს დაწერილი სამართლის როლი ინდოეთში, ვერ გამოვრიცხავთ ***ადათებს*** „აჩარა“, „ადაჩარა“, როგორც სამართლის წყაროს. „დჰარმაშასტრები“ შეიცავს მითითებებს ადათებზე, როგორც ზოგად დეკლარაციული, ასევე კონკრეტული სამართლის ნორმის ფორმით.

ძველი ინდოეთის სამართლებრივი სისტემის განვითარების

ცალკეულ ეტაპებზე ***მეფის ბრძანებულებების წყალობების*** როგორც სამართლის წყაროების, შესახებ ადრეული პერიოდის დჰარმაშაშასტრები (ჰაუტამა, ვასიშჰტაძ არაფერს ამბობენ. ამ პერიოდის მეფეებს მხოლოდ დამნაშავეთა „წმინდა კანონების" მიხედვით დასჯის უფლება ჰქონდათ. ართჰაშასტრას მიხედვით მეფის ბრძანებებს უფრო დიდი ძალა მიეცათ, თუმცა მათ არ უნდა დაერღვიათ დჰარმაშასტრების ფუნდამენტური პრინციპები და წესები.

სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო სამართლის საკითხებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ ***საკუთრების უფლებას***. „შასტრები", ერთი მხრივ, აღიარებენ ძველი ინდოეთის საზოგადოებაში ქონებრივ დიფერენციაციას, ხოლო, მეორის მხრივ, ცდილობენ სათემო პატრიარქალური კავშირების შენარჩუნებას. საკუთრების ობიექტს მიწა, ნივთები და მონები წარმოადგენდნენ. მიწაზე გვხვდება როგორც სახელმწიფო, ისე სათემო და კერძო საკუთრების ფორმები. სათემო საკუთრებაში შედიოდა: საძოვრები, საირიგაციო საშუალებანი, გზები და ა.შ. თემს, სოფელს, მის საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვის, იჯარით გადაცემის, გაჩუქების ან სხვა გზით გასხვისების შეუზღუდავი უფლება ჰქონდა. დასაშვები იყო კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გასხვისებაც. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის შასტრების ის დებულებები, სადაც თემებსა და მეფეთა შორის ნაკვეთთა საზღვრებზეა ლაპარაკი. ასეთ საზღვრებს მანუს კანონების მიხედვით (მ.კ.:VIII,249-266) წარმოადგენდნენ პალმის ან ბამბუკის ხეები და დამატებით საიდუმლო სასაზღვრო ნიშნები (ქვა, აგური და ა.შ.). საკუთრება საზოგადოების კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ მეთემის მესაკუთრული უფლებამოსილებანი შეიძლება შეზღუდულიყო სათემო კავშირების ინტერესთა სასარგებლოდ. მაგალითად: მემკვიდრეს არ შეეძლო თავისუფლად გაეყიდა მიწა, რადგან მისი შესყიდვის უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ ნათესავები და მეზობლები. მეფის უმაღლესი მესაკუთრული უფლებამოსილება მიწის ნაკვეთების საზღვრებთან დაკავშირებით იყო ის, რომ მხოლოდ მას შეეძლო მართებული საზღვრების დადგენისათვის გადაწყვეტილების მიღება.

მანუს კანონები იცნობს საკუთრების ***ხანდაზმულობით*** შეძენის ინსტიტუტს: ნივთი მფლობელის საკუთრებად ითვლებოდა, თუ იგი 10 წლის განმავლობაში ფლობდა ამ ნივთს. „ართჰაშასტრა"კიდევ უფრო შორს მიდის – ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ქონებაზე შესაბამისად 10 და 20-წლიანი მფლობელობის ვადას. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა ბავშვების, ჭკუასუსტების, ავადმყოფების, მეფისა და ბრაჰმანების ქონებასა და გირაოზე.

მანუს კანონებით საკუთრების შეძენის სხვა ფორმებია: მემკვიდრეობა, პოვნა, სყიდვა, დაპყრობა, პროცენტები სესხზე, სამუშაოს შესრულება და საჩუქრის მიღება (მ.კ.: X,116). ყველა ვარნას საკუთრების შეძენის ერთნაირი უფლება როდი ჰქონდა. თუ პირველი სამი ფორმით საკუთრების შეძენა ყველა ვარნისათვის იყო დასაშვები, მეოთხე, მეხუთე – მხოლოდ ქშატრიებისათვის, მეექვსე – ვაიშიებისათვის, მეშვიდე – ბრაჰმანებისათვის დაიშვებოდა.

საკუთრების ობიექტი იყო მონაც. იგი შინაურ ცხოველებთან თანაბრდებოდა: „ასეთია დჰარმა, რომელიც ეხება შთამომავლობას ჭროხის, ფაშატის, მონის, აქლემის, თხის, ცხვრის, ფრინველისა და ფურ-კამეჩისა" (მ.კ.: IX,55).

ცალკე უნდა გამოვყოთ ***ვალდებულებითი სამართლის საკითხები.*** ძველი ინდური სამართალი იცნობს ვალდებულების წარმოშობის ორ ფორმას: ხელშეკრულებას და ზიანის მიყენებას, თუმცა უფრო მეტადაა განვითარებული სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

მანუს კანონებში ვხვდებით ***ხელშეკრულებათა შემდეგ სახეებს:*** გირავნობა, ქირავნობა, ყიდვა-გაყიდვა, შენახვა, სესხი, ჩუქება. ამასთან, გათვალისწინებულია ხელშეკრულების შესრულების გარანტიები – გირაო და წარმომადგენლობა. ართჰაშასტრას სპეციალური თავი (ართ.: III,1) ეძღვნება ხელშეკრულებებს, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების ფორმალურ მომენტს. ხელშეკრულება იდებოდა როგორც ზეპირად, ისე წერილობით, დროის და ხელშეკრულების დადების

ადგილის, მხარეთა საცხოვრებელი ადგილის, წარმომავლობისა და კასტის კუთვნილების ზუსტი მითითებით. მაგრამ მთვრალის, ჭკუასუსტის, ავადმყოფის, ბავშვის ან მონის მიერ დადებული ხელშეკრულებანი ბათილად ითვლებოდა. ასევე ბათილი იყო სათანადო წრეებში მიღებული წესების (მოწმის გარეშე, იძულებით ან მოტყუებით) დარღვევით დადებული ხელშეკრულება. ამ ზოგადი წესიდან არსებობდა ერთი გამონაკლისი იმ შემთხვევისათვის, თუ მონა ხელშეკრულებას ბატონის სასარგებლოდ დადებდა (ართ.: VIII, 168).

შეზღუდული ქმედუნარიანობით სარგებლობდნენ ქალები, მამაზე დამოკიდებული ვაჟები, უცოლო ძმები და ა.შ. აქ კარგად ჩანს პატრიარქალური ოჯახის მნიშვნელობა და როლი. ასეთ პირებთან დადებული ხელშეკრულება არა მარტო ბათილი იყო, არამედ ჯარიმაც წესდებოდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების მკაცრი ფორმალური მომენტების დაცვა სავალდებულო არ იყო იმ შემთხვევაში, თუ გარიგება ეხებოდა სამეფო დავალებას, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას და ა.შ.

ართჰაშასტრა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქმრის ვალების გადახდას ცოლის მიერ და, პირიქით. ვალდებულების ეს ნაწილი უფრო ფართოა, ვიდრე დჰარმაშასტრას ნორმებითაა გათვალისწინებული, დჰარმაშასტრას მიხედვით ქალს ქმრის ვალების გადახდა არ ეკისრებოდა, თუ ამ ვალდებულებას თვითონ არ აიღებდა საკუთარ თავზე. ქმარი კი ცოლის ვალების გადახდაზე მაშინ იყო ვალდებული, თუ ისე წავიდოდა მისგან, რომ საარსებო საშუალებით არ უზრუნველყოფდა.

ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საინტერესოა „შასტრების“ ის მუხლები, რომელიც დაქირავებული შრომის ანაზღაურებას ეხება. მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით ინდოეთში დადგენილი იყო გაქირავებული შრომის ანაზღაურება მოსავლის 1/10 ნაწილით, მაგრამ, როგორც წესი, ეს ნორმა არ სრულდებოდა და დაქირავებული პირი „რჩენისათვის“ მონად იქცეოდა. „მანუს კანონების“ მიხედვით შრომის გაქირავება „ძაღლურ ცხოვრებასთან“ იყო გაიგივებული და ბრაჰმანს არ უნდა მიემართა მისთვის.

თუ დაქირავებული პირი სამუშაოს ვერ შეასრულებდა, ჯარიმა ეკისრებოდა (მ.კ.: VIII,215). შეღავათები არ იყო გათვალისწინებული იმ შემთხვევისათვის, თუ სამუშაო დაქირავებულის ავადმყოფობის გამო ვერ დამთავრდებოდა.

შასტრები დაწვრილებით იხილავენ შენახვის ხელშეკრულებას. მათში გათვალისწინებულია შემნახველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, თუ ნივთი დაიკარგა სტიქიური უბედურების, „მეფის, ღმერთის ან ქურდის ჩარევით".

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების ვარნებად დაყოფასთან დაკავშირებული შეზღუდვები (მ.კ.: X,85). ნათესავის მონად გაყიდვა იწვევდა ვარნიდან გაძევებას (მ.კ.: XI,60-62), ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტა შეიძლებოდა მისი დადების დღესვე, ხოლო მეორე დღეს – საურავის გადახდით. განსაკუთრებული ვადები იყო დაწესებული იმ ხელშეკრულებათა შეწყვეტისათვის, რომლებიც ეხებოდა ცხოველების (1,5 თვე) და ადამიანების (1 წელი) გაყიდვას.

„მანუს კანონებში" გვხდება ***ზიანის მიყენებიდან*** წარმოშობილი ვალდებულებანიც. ასეთი ვალდებულებებიდან ყველაზე ვრცლად დახასიათებულია: *ა)* მწყემსის მიერ ბატონის ჯოგისათვის და *ბ)* სატრანსპორტო საშუალებების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მწყემსის დაუდევრობის შედეგად დაღუპული ან დაკარგული პირუტყვი უნდა აანაზღაუროს მწყემსმა, მაგრამ ეს ვალდებულება არ წარმოიშობა თუ პირუტყვი ქურდმა მოიპარა და მწყემსი ბატონს აცნობებს პირუტყვის დაკარგვის დროსა და ადგილის შესახებ. რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, მანუს კანონებში ჩამოთვლილია შემთხვევები, როცა ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას თან ახლავს ჯარიმის გადახდაც. მხოლოდ ათ შემთხვევაში არ ხდება ჯარიმის გამოყენება. მაგალითად, როცა მეეტლეს აღვირი გაუწყდება, ან ოთხთვალა გადატრიალდა და ა.შ.

საქორწინო-საოჯახო სამართალი. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებისა და მემკვიდრეობის საკითხებს ეხება „მანუს კანონების" III და IX თავები და ართჰაშასტრას III წიგნის III-VII თავები.

ადათებისა და ჩვეულებების გავლენა ყველაზე მეტად ურთიერთობათა ამ სფეროს ატყვია, რადგან ქალი, თავისი უფლებრივი მდგომარეობით, ჯერ მამის, შემდეგ ქმრის ხელქვეითად განიხილებოდა. პატრიარქალური ოჯახისათვის დამახასიათებელი ძველი მსოფლიოს ამგვარმა ტრადიციამ თავისებური ინტერპრეტაცია პოვა ინდურ სამართალშიც. ამაზე მეტყველებს ქორწინების 8 ფორმის არსებობა, რომლებიც შასტრებითაა რეგულირებული. პირველი ოთხი სახის ქორწინება ბრაჰმანებისათვის იყო გათვალისწინებული და გულისხმობდა მამისაგან ქალიშვილის გათხოვებას გარკვეული მემკვიდრეობის (ქონების) გადაცემით. ასეთ ქორწინებას ეწოდება „*ბრაჰმა*“ (მ.კ.: III,27) ეწოდებოდა, რომელიც მისი მსგავსი „*დაივა*“, „*არშა*“, „*პრაჯაპატია*“ქორწინების ფორმებთან ერთად უპირისპირდებოდა ე.წ. „*ასურა*“ ქორწინებას, რაც პატარძლის ყიდვას გულისხმობდა. არსებობდა აგრეთვე სიყვარულით ქორწინება მშობლების თანხმობის გარეშე (*პანდხარვა*), საპატარძლოს მოტაცებით (*რაკშასა*) და გაუპატიურება ქალთან ქორწინების მიზნით (*პაიშაჩა*).

ქალი ძირითადად დამყოლი და მეუღლის პატივისმცემელი უნდა ყოფილიყო. „თუ ცოლი შვილს ვერ გააჩენდა, ქმარს შეეძლო მეორე ცოლი შეერთო ქორწინებიდან მერვე წელს; თუ მკვდარ ბავშვს გააჩენდა – მეათე წელს, თუ მხოლოდ გოგოებს – მეთერთმეტე წელს, მაგრამ თუ ქმრის მიმართ უხეში იყო – მაშინვე“ (მ.კ.: IX,81).

„მანუს კანონები“ არ კრძალავდა არასრულწლოვანთა ქორწინებას. ართჰაშასტრას მიხედვით კი საქორწინო ასაკად განსაზღვრული იყო 12 წელი – ქალისათვის, 16 წელი – ვაჟისათვის. არ იყო მიღებული სხვადასხვა ვარნების წარმომადგენელთა ქორწინება, მაგრამ, გამონაკლისის სახით, დაიშვებოდა, თუ კაცი უფრო მაღალ კასტას ეკუთვნოდა, ვიდრე ქალი (ანულომა), ხოლო მაღალი კასტის წარმომადგენელ ქალთან ქორწინება მკაცრად იკრძალებოდა (პრატილომა).

ინდუიზმის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე განქორწინება აკრძალული იყო, თუმცა გამონაკლისის სახით დაიშვებოდა,

თუ მეუღლეები ერთმანეთს ვერ იტანდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ. ართჰაშასტრა მეორედ ქორწინებასაც უშვებდა. შასტრების მიხედვით, ქალი ისევე იყო მემკვიდრეთა წრიდან ამოღებული, როგორც ავადმყოფები, ჭკუასუსტები და მონები. განსხვავებული იყო აგრეთვე ვარნის წარმომადგენელთან გაჩენილი შვილის ქონებრივი მემკვიდრეობაც. „ორჯერ დაბადებულთა“ მამის და შუდრი დედის ვაჟი მემკვიდრეობით იმაზე მეტს ვერ მოითხოვდა, რასაც მას მამა დაუტოვებდა (მ.კ.: IX,155). ქალის განსაკუთრებული საკუთრება (სტრიდჰანა) მისი სიკვდილის შემდეგ შვილებზე თანაბრად ნაწილდებოდა, მათ შორის ქალებზეც.

დანაშაული და სასჯელი. რელიგიურ და მორალურ ნორმებთან სამართლის მჭიდრო კავშირმა განსაზღვრა ძველინდური სამართლის თავისებურება და ხასიათი, რაც დასტურდება დანაშაულსა და ცოდვას შორის მკვეთრი საზღვრების არარსებობით. ძირითადი განსხვავება მათ შორის, მანუს კანონების მიხედვით სამართალდარღვევის ხასიათით კი არ განისაზღვრება, არამედ სასჯელის სახით. ერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა, სხეულებრივი სასჯელები, მეორე შემთხვევაში 2 გამოსყიდვა. დიდ ცოდვებს მიეკუთვნება ისეთი ქმედებები, როგორიცაა: ბრაჰმანის მოკვლა, ლოთობა, ქურდობა ან ასეთ ცოდვილთან თანამონაწილეობა (მ.კ.: XI,55). სხვა თავში ეს ქმედებები, ცოდვილთან თანამონაწილეობის გარდა, დელიქტურ დანაშაულებშია განხილული, ხოლო სასჯელად მთელი ქონების კონფისკაცია და ქვეყნიდან განდევნაა დაწესებული.

საერთოდ, ძველი მსოფლიოს ხალხთა სამართლის ისტორიაში დანაშაულის ცნება პირობითია, რამდენადაც კერძოსამართლებრივი დარღვევები და დანაშაულები ერთმანეთისაგან არ გაიმიჯნება. საინტერესოა ისიც, რომ ძველი ინდოეთის სამართალი კვალიფიციურ დანაშაულთა სახეებსაც იცნობს და სამართლის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ბრალის ფორმა (განზრახვა, გაუფრთხილებლობა), აუცილებელი მოგერიება, რეციდივი, თანამონაწილეობა, სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. მაგალითად, პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, თუ მკვლელობა

ჩაიდინა ქალის ან ბრაჰმანის დაცვის დროს (მ.კ.: VIII,949).

დჰარმაშასტრებში გადმოცემული დანაშაულებრივი ქმედებანი შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფოთ: სახელმწიფოს, პიროვნების, ღირსებისა და პატივის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და სხვა.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო საწყობებისა და ხაზინის გატეხვა, საირიგაციო მოწყობილობების მოშლა, ქალაქის კედლების ჩამონგრევა, თანამდებობის პირთა მიერ ფულის გამოძალვა და სხვა. რაც შეეხება აჯანყებას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, შასტრებში ამის თაობაზე მითითება არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი რჩევა-დარიგებაა სამეფო ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს მართვის თაობაზე. სახელმწიფო დანაშაულებისათვის სასჯელად გამოიყენებოდა გაძევება, ჯარიმები, სიკვდილით დასჯა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად ითვლებოდა მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ა.შ. აქაც, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად ისჯებოდა სხვადასხვა კასტის წარმომადგენლის მკვლელობა თუ სხეულის დაზიანება. მაგალითად, ბრაჰმანის მოკვლა და ამ დანაშაულში თანამონაწილეობა უფრო დიდ ცოდვად არის მიჩნეული, ვიდრე ქშატრიის, ვაიშის, შუდრის მოკვლა და ეს დანაშაული გათანაბრებული იყო მარცვლეულის, ძვირფასი ლითონის, საქონლის ქურდობასთან. ამ კატეგორიის დანაშაულებს ეკუთვნოდა უმაღლესი კასტის წარმომადგენელზე ხელის აღმართვა, ცემა, დასახიჩრება და სხვა. სასჯელად გათვალისწინებული იყო ხელის მოკვეთა, ძვლის გადატეხვა და სხვა.

პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიდან დიდი ადგილი ეთმობა შეურაცხყოფასა და ცილისწამებას. მანუს კანონები შეურაცხყოფის – სახეს იცნობს: სიტყვიერი და მოქმედებითი, რომელთათვის გათვალისწინებულია ჯარიმა, ენის მოკვეთა, გახურებული რკინის ნაჭრის პირში ჩაჩრა და ადუღებული ზეთის ჩასხმა. მოქმედებით ჩადენილი შეურაცხყოფისათვის (შეფურთხება, წვერზე ხელის ჩავლება) სხვა სახის სასჯელებია გათვალისწინებული: ხელ-ფეხის მოკვეთა, სამარცხვინო დაღის

დასმა, ტუჩების მოჭრა, გაძევება, ჯარიმა. რა სასჯელიც შეურაცხყოფისათვის იყო დაწესებული, ისეთივე იყო ცილისწამებისათვისაც. „ვინც ბოროტი განზრახვით ქალიშვილზე იტყვის – არ არის ქალიშვილი და ამას ვერ დაამტკიცებს, უნდა გადაიხადოს ჯარიმა“ (მ.კ.: VII,311). ჯარიმის ოდენობა კასტების კუთვნილების მიხედვით განისაზღვრებოდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან აღსანიშნავია ქურდობა, ძარცვა და ა.შ. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ქურდობასა და ძარცვას: „ქმედება, რომელიც ჩადენილია მესაკუთრის თანდასწრებით და მას თან სდევდა ძალადობა – ძარცვაა, მაგრამ თუ ჩადენილია მესაკუთრის არყოფნის დროს – ქურდობა (მ.კ.:VIII,332). ერთმანეთისაგან გამიჯნულია ქურდობის კვალიფიციური სახეები და განსხვავებული სასჯელია დაწესებული: სიკვდილით დასჯა, ხელ-ფეხის მოკვეთა, ჯარიმა.

შასტრები მკაცრად იცავდნენ ოჯახის ღირსებას და ამიტომ მრუშობა, ღალატი, ლოთობა, გათხოვილ ქალთან საუბარი და კავშირი, მაღალი კასტის წარმომადგენლის დაბალი კასტის წარმომადგენელთან კავშირი – ***ოჯახის წინააღმდეგ*** მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და მათთვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯა, სხეულებრივი სასჯელები, ვარნიდან გაძევება, ჯარიმა.

სასჯელთა გამოყენების დროს იგრძნობა ოდიოზური სისასტიკე, მაგრამ მტკიცედ იყო დაცული დამნაშავის კასტური კუთვნილების პრინციპი. სიკვდილით დასჯა, რომელიც თავის მოკვეთით ხორციელდებოდა და მის კვალიფიციურ სახეებს სარზე გასმა და დახრჩობა წარმოადგენდა, თუ დანაშაული ბრაჰმანის მიერ იყო ჩადენილი შეიძლებოდა შეცვლილიყო უმაღლესი ჯარიმით – 1000 პანის ოდენობით. საშუალო – 500 პანი, მცირე – 250. სიკვდილით დასჯას უთანაბრდებოდა ბრაჰმანისათვის „სამოქალაქო სიკვდილი“ – კასტიდან განდევნა. სასჯელის ეს სახე სხვა კასტების წარმომადგენელთა მიმართაც გამოიყენებოდა, ოღონდ სხეულებრივ სასჯელებთან და ჯარიმებთან ერთად.

სასამართლო პროცესი. როგორც სისხლის, ისე სამოქა-

ლაქო საქმეებზე სასამართლო პროცესი საბრალდებო ხასიათს ატარებდა. პროცესი დაზარალებულის განცხადებით იწყებოდა. საქმის სირთულის მიხედვით, ორივე მხარე სასამართლოში მიიყვანდა წარმომადგენელს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას იძლეოდა (განსაკუთრებული ვალდებულებით). საქმე წყდებოდა, თუ მოპასუხე მხარე ბრალს აღიარებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეძლეოდა პასუხის გადავადების საშუალება: პირველად 3-დან 7 დღემდე, მეორედ – თვენახევარი (ახალი მტკიცებულებების მოძებნის მიზნით.)

შასტრებში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი სათანადო მოწმის ჩვენებას (მ.კ.: VIII,68.69.72). მოქმედებდა საერთო პრინციპი: მოწმე იმ ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ვის მხარესაც იგი გამოდიოდა. მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ეს პრინციპი არ მოქმედებდა (ქურდობა, ძალადობა და სხვა). დაშვებული იყო ბავშვის, მოხუცის, მოსწავლის (მასწავლებელთან), ნათესავის, მონის და ქალების მოწმეობა (მ.კ.: VIII,70.71).

მტკიცებულებებად გამოიყენებოდა აგრეთვე ღვთის მსჯავრი, ანუ ორდალი. ინდური სამართალი ორდალის შემდეგ სახეებს იცნობს: წყლით, მდუღარით, ცეცხლით, საწამლავით გამოცდა. ორდალს მიმართავდნენ მაშინ, თუ ორივე მხარე თანახმა იყო ან თუ კვალიფიციური მტკიცებულებანი არ მოიპოვებოდა. მტკიცებულებად გამოიყენებოდა ფიცი.

§ 64. ინდოეთის სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები

ინდოეთის სამართალი ტრადიციული სამართლის ერთ-ერთი სისტემაა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს და ამ სახელმწიფოს განვითარების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით უნდა იქნეს შესწავლილი: ინდუსური სამართალი, მუსლიმური სამართალი, ინდოეთის ეროვნული სახელმწიფოს სამართალი და ბრიტანული სამართლის გავლენა.

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ ინდუსური სამართლის ძირითადი ნიშნები, რომლის შემდგომი განვითარება მუსლიმური სამართლის ზეგავლენით მიმდინარეობდა. მუსლიმთა ბატონობას ინდოეთში მოჰყვა ადგილობრივი სამართლის გამოყენების სფეროს შეზღუდვა. სისხლის სამართლის საქმეები განიხილებოდა მუსლიმ მოსამართლეთა მიერ მუსლიმური სამართლის საფუძველზე. სამართალწარმოების ასეთი წესი 1832 წლის კანონით შეიცვალა, რომელმაც აკრძალა არამუსლიმთა მიმართ მუსლიმური სამართლის გამოყენება. რაც შეეხება რელიგიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, საქორწინო-საოჯახო, მემკვიდრეობით ურთიერთობებს და რელიგიურ დაწესებულებათა საქმიანობას, რეგულირდებოდა შესაბამისი სამართლებრივი სისტემის მიხედვით; თუ საკითხი მუსლიმს ეხებოდა – მუსლიმური სამართლით, ხოლო თუ ინდუსს – ინდუსური სამართლით.

შუა საუკუნეებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ინდოეთის სამართლის ხელახალი გააზრების, დჰარმაშასტრის ახალ პირობებთან შეგუების პროცესი. ამის შედეგი იყო მრავალრიცხოვანი სამართლებრივი ტრაქტატების, კომენტარებისა და კრებულების (ნიბანდჰაზი) შექმნა. დროთა განმავლობაში კომენტარები და კრებულები ინდუსური სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ყველაზე უფრო ადრეულ კომენტარებს წარმოადგენს ***ასახაია***, რომელიც დაახლოებით ახ.წ. VII საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი ***ნარადაბჰაზიას*** მიერ. ხშირი იყო მანუს კანონების გადაწერა და კომენტირება. მაგალითად, ცნობილია VIII საუკუნეში ***მხარუჩის***, IX საუკუნეში ***მედჰატიტჰის***, XII-XIII სს. ***გავინდარაჯისა*** და სხვა კომენტარები. ინდუსური სამართლის სხვადასხვაგვარმა კომენტარმა წარმოშვა ორი სკოლა: ***მითაქშარი***, რომელიც ახ. წ. XI საუკუნეში შეიქმნა – ინდუსური სამართლის მნიშვნელოვანი სკოლა იყო და ***დაიბჰაგის***, რომელიც XII საუკუნეში შეიქმნა და გავრცელდა ბენეგალიასა და ასამეში. ძირითადად სამართლის ამ კომენტარის მიხედვით წყდებოდა მემკვიდრეობითი სამართლის ზოგიერთი საკითხი ინდუსთა განუყოფელ დიდ ოჯახში.

შუა საუკუნეების ინდოეთში შედგენილი კომენტარები სახელ-

მწიფოებისაგან სანქციონირებით არ იყო შეზღუდული. ინდუსური სამართლის ამ თავისებურებას შეიძლება ის ახსნა ჰქონდეს, რომ კანონთა განმმარტებლები უფრო მეტად მაღალი რანგის ოფიციალური პირები იყვნენ.

XIII საუკუნეში, როცა ინდოეთში მუსლიმები გამოჩნდნენ, სახელმწიფოებრივი ერთიანობა არ ყოფილა, რაც სამართლის პარტიკულარიზმს უწყობდა ხელს. ნიბანდჰაზი ერთგვარი მცდელობა იყო დჰარმაშასტრას სხვადასხვა ავტორთა ერთიანი სამართლებრივი რეგულირების ინსტიტუტების შექმნისათვის. ინდუსური სამართლის კიდევ ერთი წყაროა „შეგნება და სამართლიანობა". როცა მოცემულ საკითხზე განსაზღვრული სამართლებრივი ნორმა არ არსებობს, სმირთები რჩევას იძლევიან – ინდივიდები ისე მოიქცნენ, მოსამართლეებმა კი საქმეები ისე გადაწყვიტონ, როგორც სინდისი და სამართლიანობა უკარნახებთო. მანუს კანონები მოსამართლეებს ურჩევენ საეჭვო შემთხვევაში „შინაგან მოწოდებას" მიმართონ.

სასამართლო პრეცედენტსა და *კანონმდებლობას* არც დჰარმა, არც ინდუიზმის დოქტრინა სამართლის წყაროდ არ მიიჩნევს. „ხელისუფლებას არ ძალუძს თვითონ შეიკრას ხელები სამერმისოდ, – ამბობს ინდუიზმი – საჭიროა იგი დაუსრულებლივ ლავირებდეს თავისი გადაწყვეტილებებით, რათა არ ჩაკეტოს უფრო მოხერხებული და სწორი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა"[1]. ჩვეულებების განსაკუთრებულმა როლმა ინდუსურ სამართალს ის დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ ასწლეულების განმავლობაში იგი ეთნიკურად განსხვავებული და დაქუცმაცებული ინდოეთის ინტეგრირების მთავარი საშუალება გახდა. მუსლიმთა ბატონობამ დაამუხრუჭა ინდუსური სამართლის განვითარება. მოგოლების სასამართლოები მარტოოდენ მუსლიმურ სამართალს იყენებდა. ჩვეულებითი ინდუსური სამართალი იმ დროს მხოლოდ კასტების, პანჩაიათების მიერ გამოიყენებოდა, მაგრამ მას არ შეეძლო განვითარებულიყო და თავისი გავლენა გაეძლიერებინა სახელმწიფოს სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მე-

1 Laderman, Gary Religion and American Cultures: An Encyclopedia of Traditions, Diversity, and Popular Expressions. — Santa Barbara, Calif: ABC-CLIO, 2003., P. 109.

შვეობით. ამიტომ ეს სამართალი რელიგიის, ზნეობისა და ეთიკის წესების სფეროდ რჩებოდა. მართალია, მუსლიმური სამართალიც რელიგიური ნორმების ნაწილია, მაგრამ მათ შორის, გარდა რელიგიური მრწამსისა, ის განსხვავებაც არის, რომ, თუ მუსლიმური სამართლის განმარტებისას სხვადასხვა სკოლა შედარებით სამართლის მეთოდს აქტიურად იყენებდა, ინდუსური სამართლის განმმარტებლები მტკიცედ იცავდნენ საზოგადოების განვითარების ჩვეულებებთან შეგუების პრინციპს. ყოველდღიური პრაქტიკით ტრადიციული კონცეფციის მოდიფიკაცია უზრუნველყოფდა „სამართლიანობის პრინციპთა“ გამოყენებას, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამდა, რომ დჰარმა არასოდეს განიხილებოდა, როგორც კოდექსი. ინდუიზმისათვის, სადაც „კარგი ჩვეულება“, მართებული ქცევების მანერა შეუძლებელია მიწიერი გამგებლის მიერ გამოცემული კანონით დაწესდეს, უცხოა კანონის დასავლური გაგება. კარგი ჩვეულება და ზნეობრიობა გამოიხატებოდა ისეთ მოქმედებაში, რომელიც სუვერენისაგან დამოუკიდებლად შექმნილ ბუნებრივ, ღვთაებრივ წესრიგს შეესაბამება. ინდოეთში მუსლიმთა საუკუნეობრივ მმართველობას არ გამოუწვევია ამ ქვეყნის სრული ისლამიზაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოროასტრულ სპარსეთში, ქრისტიანულ ალბანეთში, ეგვიპტესა თუ თურქეთში. ისლამს ასევე არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ადგილობრივ სამართალზე, ტრადიციასა და ჩვეულებებზე, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი ჰქონდა ინდონეზიაში.

XVII-XVIII საუკუნეებიდან იწყება ინგლისური სამართლის გავლენა ინდუსურ სამართალზე. მუსლიმთა ბატონობისაგან განსხვავებით, ინგლისელებმა აღიარეს ინდუსური სამართლის ავტორიტეტი. მაგრამ მათ ორიენტაციას უკარგავდა დჰარმაშასტრებისა და ნიბანდჰაზების ენობრივი ბარიერი და სირთულე. ამის გამო რამდენჯერმე დაიწყო სამართლის კოდიფიკაცია. კოდიფიკაციამდე ინგლისელი მოსამართლეები იწვევდნენ ექსპერტ-პანდიტებს, რომელთაც მათთვის უნდა ეკარნახათ დავის დჰარმაშასტრებსა და ნიბანდჰაზებზე დამყარებული გადაწყვეტილება. ინდოეთში შემოიღეს ინგლისური მტკიცებითი სამართალი, რამაც შეცვალა ინ-

დუსური სამართლის გამოყენების პირობები.

დადგა ზოგიერთი ინსტიტუტის რეფორმის აუცილებლობაც. მართალია, ინგლისელები კანონმდებლობის მეშვეობით დიდი თავშეკავებით ერეოდნენ რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებაში, მაგრამ მათ მაინც მოუხდათ მნიშვნელოვანი კანონების მიღება იმ ნორმების გასაუქმებლად, რომლებითაც ქალთა არაქმედუნარიანობა იყო დაწესებული. ინდუსური სამართალი, თავისთავად, მოწოდებული იყო მოეწესრიგებინა ადამიანურ ურთიერთობათა ყველა სფერო. ბრაჰმანიზმი ადამიანის თითოეულ მოქმედებას განსაზღვრულ სულიერ ღირებულებას ანიჭებს და ყველა ასაკის პირთა ურთიერთობისათვის ცდილობს დაადგინოს ქცევის ნორმები. ეს ნორმები საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროს არ ეხებოდა და არეგულირებდა შიდასაოჯახო, ვარნულ, მიწათსარგებლობისა და სხვა სახის პრობლემებს. ყველა დანარჩენი პრობლემისათვის ინდუსური სამართალი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. მაგალითად, ვალის გადაუხდელობას დჰარმა განიხილავდა როგორც ცოდვას, რისთვისაც ადამიანს სამაგიერო მიეზღვევა იმქვეყნად. მოვალის უპირობის დროს კანონი ითვალისწინებდა მარტოოდენ რელიგიურ სანქციებს.

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო ინდუსური სამართლის მოდერნიზაცია და უნიფიცირება. სასამართლოების სისტემას სათავეში ჩაუდგა ახალი ორგანო – ***ინდოეთის უზენაესი სასამართლო***, მაშინ, როცა სამთავროების სასამართლოებს (ბაროდა, თრავენქური, კოჩინი, ჰაიდარაბადი) კონტროლს წინათ არავინ უწევდა. უზენაეს სასამართლოს შეეძლო საიდუმლო საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დაემტკიცებინა ინდუსური სამართლის საკითხებზე, ან შესწორება შეეტანა მასში, ამასთან, თავი იჩინა სასამართლო პრაქტიკის ფართო გამოყენებამ.

სპეციალური კომისია შეიქმნა საკანონმდებლო რეფორმების გატარებისათვის. ამ კომისიის მუშაობას თავისი შედეგები ჰქონდა. არ არსებობს ორთოდოქსალური სამართლის რომელიმე პრინციპი, კანონმდებლობით რომ არ გაუქმებულა ან განახლებულა.

ვარნების სისტემა უარყო კონსტიტუციამ. მე-15 მუხლით

აიკრძალა დისკრიმინაცია კასტური კუთვნილების მოტივით; ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები უნიფიცირებულ იქნა 1955 წლის კანონით ქორწინების შესახებ. ტრადიციული ინდუსური სამართლით ქორწინება განიხილება როგორც ცოლის ნათესავების საჩუქარი ქმრის ნათესავებისადმი. ქალის მხრიდან, როგორც ხელშეკრულების ობიექტისაგან, არ მოითხოვებოდა თანხმობა ქორწინებაზე. ქორწინება ურღვევი იყო, მრავალცოლიანობა კი – ნებადართული. ყველა ეს ტრადიციული ფორმა ***მოდერნიზებულმა ინდურმა სამართალმა*** უარყო. აიკრძალა მრავალცოლიანობა; კანონი ითვალისწინებს განქორწინებასა და ალიმენტის დაწესებასაც კი; გარდა ამისა, მოითხოვს ქორწინების ხელშეკრულებაზე მეუღლეების პირად თანხმობას. კანონით დადგენილია ქორწინების მინიმალური ასაკი; შემცირდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ინდუსური სამართლის რეოლუცია გააგრძელა 1953 წლის კანონმა არასრულწლოვანებისა და მეურვეობის შესახებ, 1956 წლის კანონმა შვილად აყვანისა და საალიმენტო ვალდებულებების შესახებ, 1956 წლის კანონმა მემკვიდრეობის შესახებ. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ქალის მემკვიდრეობის საკითხსაც. ინდუსური სამართლის მიხედვით, რელიგიური წესების შესაბამისად, ქალები გამოირიცხებოდნენ მემკვიდრეთა წრიდან. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეობის უფლება ინდუსურ სამართალში არცთუ ძალიან იყო გავრცელებული, რადგან მთელი ქონება, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, საოჯახო საკუთრებას წარმოადგენდა.

არსებითი ცვლილებები შეიტანეს საოჯახო ქონების რეჟიმში; შეიზღუდა ოჯახის წევრთა წრე, რომლებიც განიხილებოდნენ როგორც მესაკუთრენი. უფრო მეტი და მნიშვნელოვანი ქონება იქცა პირადი საკუთრების ობიექტად. ინდოეთის შტატებში 1950 წლიდან მრავალი კანონი მიიღეს აგრარული რეფორმის თაობაზე. ისინი ცდილობდნენ მიწის მსხვილ მესაკუთრეთა პრივილეგიების შეზღუდვას.

ინდოეთის ეროვნული სამართლის განვითარების ტენდენციები. ინდუსური სამართალი ტრადიციულად ბრაჰმანიზმით გაე-

რთიანებული საზოგადოების სამართალია. მაგრამ დასავლური სამართლის გამოყენების ტენდენციამ ეროვნული სამართლის მოდერნიზაციის საჭიროება გამოკვეთა. ისეთი სამართლისა, რომლის გამოყენება არ არის დამოკიდებული მოქალაქეთა რელიგიურ კუთვნილებაზე; ე.ი. გაჩნდა ტენდენცია, რელიგიური სამართალი (ინდუსური, მუსლიმური თუ კანონიკური) შეიცვალოს საერო სამართლის დასავლური კონცეფციით, რაც დაკავშირებული არ იქნება რელიგიასთან.

სამართლის ახალი ტენდენცია რელიგიური და ტომობრივი ჩვეულებების ნაცვლად, ინდური ტრადიციებისაგან უჩვეულო ტერმინს, – ***ტერიტორიული სამართლის*** ცნებას ამკვიდრებს (Lex Loci)[1]. ეს ცნება ინდოეთში არ არსებობდა. თუმცა, შუა საუკუნეებში მუსლიმური სამართალი იყო ერთადერთი სამართალი, რომლითაც სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მისი ტერიტორიულ სამართლად მიჩნევა მაინც არ შეიძლება. იგი ისლამის რელიგიასთან არის დაკავშირებული და ასეთი ბუნების გამო შეუძლებელია არამუსლიმებზე გავრცელდეს. ინგლისელების გამოჩენამდე მუსლიმურ სამართალს ინდუსების მიმართ მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში იყენებდნენ. ინგლისელების გამოჩენით დაიწყო ტერიტორიული სამართლის დამკვიდრება. ასეთი სამართლის შექმნა საუკეთესო საშუალებად ესახებოდათ იმ ადამიანებს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რომლებიც სხვადასხვა რელიგიური მიმდევრები იყვნენ. ინგლისური სამართალი გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, თუკი არ არსებობდა ამა თუ იმ საკითხზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცემული რეგლამენტები და მხოლოდ ისეთ დავებზე ვრცელდებოდა, სადაც ერთი მხარე ინგლისელი იყო ან თუ მოდავე მხარეები ასეთ კომპეტენციას აღიარებდნენ. 1781 წელს, როცა ინგლისური სასამართლოების კომპეტენცია ყველა დავაზე გავრცელდა, წინასწარ ითქვა, რომ მუსლიმთა და ინდუსთა ინტერესების შესახებ დავებზე, სასამართლოებს შესაბამისად მუსლიმური ან ინდუსური სა-

1 Литман А. Д. Современная индийская философия. — М.: Мысль, 1985.с-124-125

მართლით უნდა ესარგებლათ. ასე რომ, ტერიტორიული სამართალი მხოლოდ იმ დავების გადასაწყვეტად არსებობდა, რომლებიც მუსლიმებისა და ინდუსების დავებს არ შეეხებოდა. ტერიტორიული სამართალი იგივე ინგლისური სამართალია, ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით. მაგრამ ასეთი სახით ტერიტორიული სამართლის გამოყენება ინდოეთის მხოლოდ გარკვეულ ოლქებში ხდებოდა (ბომბეი, კალკუტა, მადრასი). სასამართლოები, (Fast Indiel Compang) 1875 წლამდე იქნა შენარჩუნებული, ვიდრე ინდოეთის მმართველობა უშუალოდ მეფეს გადაეცემოდა.

ტერიტორიული სამართლის მეორე ეტაპი 1833 წლიდან იწყება და სამართლის კოდიფიკაციას გულისხმობს.

კოდიფიკაცია დაიწყო 1833 წელს გენერალ-გუბერნატორის საბჭოში იურისტის შეყვანით, რომელიც, ფაქტობრივად იუსტიციის მინისტრის ფუნქციებს ასრულებდა. ამ პოსტზე პირველი დაინიშნა ლორდი მაკოლეი. კოდიფიკაციას ითვალისწინებდა ქარტიის 53-ე ნაწილი. 1833-1840 წწ. პირველმა საკოდიფიკაციო კომისიამ მაკოლეის თავმჯდომარეობით ორი კოდექსის შემუშავების აუცილებლობა დააყენა: 1. კოდექსი, რომელიც მუსლიმური სამართლის ნორმების სისტემატიზაციას მოახდენდა; 2. ტერიტორიული სამართლის კოდექსი, რომელიც გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნებოდა მუსლიმური სამართლისა და ინდუსური სამართლის შეფარდება. 1853 წელს შექმნილმა მეორე კომისიამ ეს პროექტები უარყო და ტერიტორიული სამართლის ახალი პროექტი შეადგინა.

კოდექსებმა და კანონებმა აირეკლეს ინდური სამართლის უმნიშვნელოვანესი ელემენტები. საინტერესოა ისიც, რომ სახელწოდება „კოდექსი" კანონს მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, თუ იგი თავისი შინაარსით შეესაბამებოდა ნაპოლეონისეულ კოდექსს. ამ თვალსაზრისით, ინდოეთში 1859 წელს შეიქმნა სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, რომელიც 1908 წელს შეიცვალა; 1860 წელს – სისხლის სამართლის კოდექსი; 1861 წელს – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სხვა კოდექსები, რომლითაც ინდოეთის სამართლის კოდიფიცირება მოხდა, კოდექსებად არ იწოდებოდა. მა-

გალითად, 1865 წლის კანონი მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც 1925 წლის კანონით შეიცვალა; 1872 წლის კანონი მტკიცებულებათა შესახებ; 1872 წლის კანონი ვალდებულებათა რეალური შესრულების შესახებ; 1881 წლის კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ; 1832 წლის კანონი საკუთრების გადაცემის თაობაზე, რომელიც შეიცვალა 1929 წელს; 1832 წლის კანონი რწმუნებითი საკუთრების შესახებ და სხვა. აღსანიშნავია, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხები (Torts) კოდიფიცირებული არ ყოფილა. ყველა ეს კანონი ინგლისური სამართლის ნიშნებს ატარებდა. 1950 წელს ინდოეთის კონსტიტუციამ ფორმალურად გამოაცხადა მოქმედი სამართლის ძალაში დატოვების შესახებ (382-ე მუხლი), მაგრამ 1955 წელს შეიქმნა ახალი საკანონმდებლო კომისია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი უნდა მოემზადებინა.

მართალია ინდური სამართლის კოდიფიკაცია ინგლისური სამართლის რეცეფციის ხარჯზე მიმდინარეობდა, მაგრამ გათვალისწინებული იქნა ქვეყნის თავისებურებანიც. ამაზე მეტყველებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებათა შემადგენლობები, სამოქალაქო საქმეთა განხილვაში ნაფიც მსაჯულებზე უარის თქმის ფაქტი. ხელშეკრულებათა შესახებ კანონში შეიძლება გამოიყოს ნორმები, რომლებიც შეეხებიან ხელშეკრულების დადებაზე იძულებას, ვაჭრობის თავისუფლების შემზღუდველ დათქმებს; კანონში მემკვიდრეობის შესახებ გაუქმებულია ყოველგვარი განსხვავება უძრავ და მოძრავ ქონებას შორის; გამარტივებულია ანდერძის ინგლისური ფორმები.

მიუხედავად მნიშვნელოვანი გავლენისა, ინგლისურ და ინდურ სამართალს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ინდოეთში არ არის სამართლის დაყოფა საერთო და სამართლიანობის სამართლად. ერთი და იგივე სასამართლოები ყოველთვის ერთნაირად იყენებდნენ ორივე სამართალს; ორიგინალურ ნიშნებს ატარებს კონსტიტუციური სამართალი, რომელიც მმართველობის საკითხში უფრო აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალს უახლოვდება (მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, ფედერალური სტრუქტურა, კონსტიტუციური კონტროლი). განსხვავება შეინიშნება

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. კანონებში შინაარსი ზოგჯერ განმატებულია კონკრეტული მაგალითების მოშველიებით. მაგალითები ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდანაა აღებული. ინდური კოლიზიური სამართლის დებულებებიც ინგლისური სამართალიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ინდოეთის იურისტების ყურადღება კანონთა კოლიზიასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს ეთმობა, რომლებიც პირად სტატუსს განსაზღვრავენ.

თავი II. ჩინეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§ 65. ჩინეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა

ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს. აქ სახელმწიფოს წარმოშობას ნარატიული წყაროების მიხედვით, ძვ.წ. XV საუკუნიდან ვარაუდობენ, როცა ინის გვაროვნულ-ტომობრივი მმართველობა თანდათან ადმინისტრაციულ მმათველობაში გადაიზარდა. სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების პროცესი ჩინეთში მმართველი დინასტიების მიხედვით სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1.*შანის*, ანუ *ინის* (ძვ.წ. XV-XI სს.) ეპოქა; 2.*ჯოუს* (ძვ.წ. XI-III სს.) ეპოქა, სადაც გამოიყოფა *ჩუნ ციუს* (ძვ.წ. VIII-V სს.) და *ჯანგოს* (ძვ.წ. V-III სს.) პერიოდები; 3. ცენტრალიზებული იმპერიის 2 *ცინის* და *ხანის* (ძვ.წ. III ს.2ახ.წ. III ს.) ეპოქა.

ინის პირველი ჩინური სახელმწიფოს წარმოშობას ისტორიული ტრადიციების მიხედვით ჩენ ტენის რეფორმებს უკავშირებენ, რომელმაც მეზობელი ტომების დაპყრობის შემდეგ თავი მეფედ (ვანი) გამოაცხადა და შანის დინასტია დააარსა.

ძვ.წ. XI საუკუნეში ჯოუს ტომებმა დაიპყრეს ინის სახელმწიფო, რითაც მმართველობის ახალი ხანა დაიწყო. ჯოუს სახელმწიფოს მმართველობაში ორი პერიოდის არსებობა მწვავე საშინაო და საგარეო პირობით იყო განპირობებული. ქვეყნის შიგნით გამწვავდა სოციალურ ფენებს შორის ეკონომიკური დაპირისპირება, ხოლო ქვეყნის გარედან, სახელმწიფოს მომთაბარე ტომების შემოსევები დანგრევით ემუქრებოდა. ერთიანი სახელმწიფოს რღვევის შეჩერება შეუძლებელი გახდა და დაიშალა დამოუკიდებელ ოლქებად, რომელთა შორის პირველობისათვის ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ჯანგოს ეპოქაში დაწინაურდა ცინის ოლქი, რომლის მმართველი ელინ შიხუანდი ძვ.წ. III საუკუნეში აერთიანებს ყველა ოლქს და თავს ჩინეთის იმპერატორად აცხადებდა.

მანვე ჩაატარა მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები და დაამთავრა ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა. მაგრამ ამ სახელმწიფოს ბოლო მოუღო ქვეყნის შიგნით აჯანყებებმა, რომელიც ხანის იმპერიამ შეცვალა. ამ ეტაპზე მოხდა მიწის საკუთრების კონცენტრაცია მსხვილი მემამულეების ხელში. ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადდა კონფუციანელობა, რომლის დასაყრდენია ***ჟენი***, ანუ ჰუმანურობის ცნება. ამ იდეოლოგიის მიხედვით ხელმწიფე „ღვთის შვილია" და მის ნებას ასრულებს. ამიტომ მეფეებს ხალხზე უნდა ემოქმედათ არა კანონებითა და დასჯით, არამედ მაღალზნეობრივი სათნოებით. კონფუციანელობა სასტიკი მმართველის ჩამოგდებასაც დასაშვებად მიიჩნევდა, თუ იგი ღარიბს და ობოლს თავდებად არ დაუდგებოდა. კონფუციანელობა ოფიციალურ დოქტრინად ითვლებოდა ახ.წ. XX საუკუნემდე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხელისუფლებისადმი, როგორც ღვთის შვილისადმი, ფანატიკურ ერთგულებას – ჩინეთცენტრიზმს. ხანის იმპერიის დაცემით არსებითად დამთავრდა ძველი ჩინეთის ისტორია და ახ.წ. II-IV საუკუნიდან იწყება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება. ამ ეტაპზე ჩინეთი რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. VI საუკუნიდან კვლავ გაერთიანდა სუის დინასტიის მიერ, რომელიც ტანის დინასტიის მმართველობით შეიცვალა (VII-IX სს.).

XIII საუკუნიდან მონღოლი დამპყრობლები ჩინეთსაც გადაწვდნენ და დინასტიათა მონაცვლეობა სწორედ მათ ჩაიგდეს ხელში (იუანი).

XVI საუკუნიდან ჩინეთში ევროპელი კოლონიზატორები გამოჩნდნენ: ჯერ პორტუგალიელები, რომლებიც ესპანელებმა და ჰოლანდიელებმა შეცვალეს, დაბოლოს ინგლისელები, რომელთაც 1842 წელს ხელშეკრულება დადეს ჩინეთთან 5 სავაჭრო ნავსადგურის გასახსნელად. მალე ინგლისმა ექსტერიტორიულობისა და იურიდიული შეუვალობის უფლება მოიპოვა ჩინეთთან.

1899 წელს აშშ-მ „ღია კარის დოქტრინით" მთელ ჩინეთზე წამოაყენა პრეტენზია. ესაა პერიოდი, როცა ჩინეთში სუნ იატსენის მეთაურობით რევოლუციური ორგანიზაციები არსდება და

მოჰყვება ბურჟუაზიული რეფორმების პერიოდი, მაგრამ რეფორმებით ჩინეთის გადარჩენის ცდა ჩაიშალა და დედოფალ ცისის გადატრიალებით ახალი რეჟიმი დამკვიდრდა. ჩინეთის სახელმწიფოს ისტორიაში საინტერესოა 1899 წელს „იხეტუანთა“ აჯანყება ევროპელი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

კოლონიების გადანაწილების ეტაპზე რუსეთმა თავის გავლენა მოიპოვა ჩინეთზე. 1911 წელს სინ-ხაის სახელმწიფო გადატრიალებით დაემხო ცინების მონარქია და რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. 1928 წლიდან მმართველობის ეს ფორმა გომინდანის დიქტატურამ შეცვალა, რომელის სასწრაფოდ ცნო აშშ-მ, ბრიტანეთმა და სხვა დიდმა სახელმწიფოებმა.

1949 წელს ჩინეთში კვლავ რესპუბლიკური მმართველობა გამოცხადდა, რასაც სოციალიზმის მშენებლობა მოჰყვა, თუმცა 1938 წლიდან „დიდი ნახტომის“ პოლიტიკით სოციალიზმის იდეიდან გადახვევა დაიწყო.

60-იანი წლების II ნახევარში მოეწყო ე.წ. „კულტურული რევოლუცია“ და შეიქმნა ხუნვეიბინების („წითელი დამცველები“) და ძაოფანების რაზმები, რომელთაც არსებითი კვალი დააჩნიეს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჩინეთი სოციალ-ეკონომიკური გარდატებისა და პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, კვლავ დაუბრუნდა მმართველობის ტრადიციულ ფორმას. სახელმწიფო და სამართალმცოდნეებისათვის საინტერესოა ძველი ჩინეთის სახელმწიფოს თავისებურებანი და სამართლის ძირითადი ტენდენციები. ამიტომ შემდეგ პარაგრაფებში დაწვრილებით განვიხილავთ სახელმწიფოს შექმნის, მისი ევოლუციისა და სამართლის განვითარების საკითხებს ჩინეთში.

§ 66. ძველი ჩინეთის სახელმწიფო წყობილება

შანის, ანუ ***ინის*** სახელმწიფო, როგორც პირველი პოლიტიკური ერთეული ჩინეთის ტერიტორიაზე, დესპოტური მონარქიის სახელმწიფო ფორმით დამკვიდრდა. მისი არსებობის პირველ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ტახტის მემკვიდრე-

ობის მკაცრი წესი. მემკვიდრეებად გამოდიოდნენ მეფის ძმები, ვაჟები, ძმისშვილები. ინის სახელმწიფოს ბოლო ეტაპიდან კი ტახტი უფროს ვაჟიშვილზე გადადიოდა. თანამდებობათა დაკავების მემკვიდრეობის პრინციპი ცენტრალური აპარატის მოხელეებზეც გავრცელდა, რაც ჩინეთის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

სახელმწიფოს სათავეში განუსაზღვრელი უფლებების მქონე მონარქი – ***ვანი*** იდგა. ვანის ხელისუფლებამ თეოკრატიული ნიშანი ადრეულ ჯოუს ეპოქაში შეიძინა, როცა მან „ღვთის შვილის“ ტიტული მიიღო და თავისი ქვეშევრდომების „მამად და დედად“ ითვლებოდა, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი.

მონარქთან არსებობდა ***სამეფო კარი***, რომელსაც ***სასახლის მმართველი*** (ცზაი) ედგა სათავეში. სამეფო კარს ეკუთვნოდნენ მეფის ოჯახის წევრები და ნათესავები, რომელთან თათბირის შემდეგაც მეფე ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას.

ქვეყნის მმაართველობას ვანი ახორციელებს რთული სამოხელეო აპარატის მეშვეობით, რომლის შემადგენლობა დინასტიათა ცვლასთან ერთად კიდევ უფრო იზრდებოდა. მმართველობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ***მანფუს***, რომელსაც უნივერსალური ადმინისტრაციული სამხედრო საქმიანობის უზრუნველყოფა ევალებოდა. დამოუკიდებლად არსებობდა ტყეებზე, წყლებზე, საძოვრებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყებები.

ჯოუს სახელმწიფოში მომხდრმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა კიდევ უფრო განამტკიცა მეფის ხელისუფლება, რაც იდეოლოგიურად ლეგისტებმა (მეფის ძლიერი ხელისუფლების და მკაცრი სავალდებულო კანონების მომხრე იდეოლოგები) დაასაბუთეს: – „ხელისუფლება არის ის, რომელიც მხოლოდ უმაღლეს მმართველს აქვს“.

მეფის ხელისუფლების გაძლიერებას მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება; ცალკეული მოხელეების ნაცვლად შეიქმნა ***უწყებათა სისტემა***: სამხედრო უწყებას მეფის მიერ დანიშნული პირი – ***სიმა*** განაგებდა. ტერიტორიულ-საირიგაციო

სისტემების მოწყობასა და მიწათმოქმედების განვითარებას სპეციალური უწყება *სიკუნის* ხელმძღვანელობით, ხოლო საგადასახადო-საფინანსო უწყებას ამ საქმისათვის სპეციალურად შერჩეული პირი – *სიტუ*. მართალია, უმაღლეს სასულიერო პირად სახელმწიფოში მეფე ითვლებოდა, მაგრამ რელიგიური კულტის საქმეების გამგებლად ნიშნავდა *უმაღლეს ქურუმს*. მმართველობის ყველა უწყების უმაღლესი მოხელე ერთიანდებოდა ცენტრალურ აპარატში, რომელსაც *სიანი* ხელმძღვანელობდა.

ცინისა და ხანის ჩინეთში მეფის ხელისუფლება იცვლება *იმპერატორის (დი)* ხელისუფლებით, რომელიც ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ ითვლებოდა. კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნის უმაღლესი მმართველის საკანონმდებლო, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლება. გართულდა მმართველობის ცენტრალური აპარატიც. უწყებათა სისტემას დაემატა: სასამართლო, რიტუალების, სოფლის მეურნეობის, იმპერატორის კარის უწყებები და სასახლის დაცვის უწყება. აღმოსავლური ტიპის სხვა დესპოტური მონარქიებისაგან განსხვავებით, ჩინეთის სახელმწიფო აპარატი გამოირჩეოდა მრავალრიცხოვნებითა და უფლებამოსილებათა ფართო წრით.

საფინანსო და სამხედრო უწყება, რომელიც ძვ.წ. VII-IV სს. ლუს მეფობის დროს ჩამოყალიბდა, ხანის იმპერიაში გაერთიანდა. მის სათავეში *კანცლერი* (ჩენსიან) იდგა და პირველი მინისტრის ფუნქციებზე ზრუნავდა.

საიმპერატორო კარის უწყებას ხელმძღვანელობდა სპეციალური მოხელე – *დუშუია*, რომელიც ქვეყნის მშენებლობასა და განაშენიანებას ხელმძღვანელობდა.

მმართველობის განსაკუთრებულ ორგანოს – რიტუალების უწყებას – *მთავარი ქურუმი* ხელმძღვანელობდა. უნიფიცირებული რიტუალი ხალხის სულიერ აღზრდას და იმპერატორისადმი მათ მორჩილებას ემსახურებოდა. საგანმანათლებლო დანიშნულებით ეს უწყება „განათლების სამინისტროს“ როლსაც ასრულებდა.

სოფლის მეურნეობის უწყების ხელმძღვანელს ევალებოდა გადასახადების აკრეფა და რკინისა და მარილის მრეწველობაზე

სახელმწიფო მონოპოლიის გამო შემოსავლების მიღება. აკონტროლებდა აგრეთვე სამოხელეო აპარატისა და არმიის შენახვისათვის გასავლის ხარჯებსაც.

რაც შეეხება ძველი ჩინეთის ***ადგილობრივ მმართველობას***, აქაც საკმაოდ რთული მექანიზმი არსებობდა. ერთმანეთისგან განსხვავდებოდა დაპყრობილი და საკუთრივ ჩინეთის ტერიტორიათა მართვა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რიცხობრივი პრინციპის საფუძველზე, რომლის უპირველეს ერთეულს 5 ეზოს გაერთიანება – ***სოფელი*** (ლი) წარმოადგენდა. მამასახლისის თავკაცობით, ხუთი ლი ერთიანდებოდა ***მაზრებად*** (ცზუ), ხუთი ცზუ – უფრო მსხვილ ***ტერიტორიულ ოლქად*** (დან). შან-იანის რეფორმების საფუძველზე საგადასადავო და სამხედრო საკითხების რეგულირებისათვის მთელი ტერიტორია დაიყო ***ოლქებად***, ე.ი. ოლქი ყველაზე მსხვილ ტერიტორიულ ერთეულად ითვლებოდა. ძვ.წ. VII საუკუნიდან ჩნდება ***მაზრები***, სადაც იგზავნებოდა მეფის ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელი მოხელე-გუბერნატორი. ამგვარი მმართველობის შემოღებამ ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ადგილებზე. მაზრები იყოფოდა ***თემებად***, თემები – ***სოფლებად***. სოფელი კი, როგორც აღვნიშნეთ, ***ეზოს გაერთიანებას*** წარმოადგენდა.

ადგილობრივი მმართველობა სამხედრო ჩინების ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზე იყო აგებული. მაგალითად, ყველა პროვინციის სათავეში იდგა გუბერნატორი, რომელიც ხელისუფლებას ინაწილებდა სამხედრო უწყების ხელმძღვანელთან. განსხვავებული იყო სასაზღვრო ზოლის მმართველობა, სადაც სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ერთი პირის ხელში იყო მოქცეული.

სასამართლო ორგანიზაცია. ძველ ჩინეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ დესპოტიის სხვა სახელმწიფოებში, ადმინისტრაციული და სასამართლო მმართველობა ერთმანეთისაგან გამიჯნული არ ყოფილა. ცინის იმპერიაში იქმნება სპეციალური სასამართლო დაწესებულება – ტინვზემის მეთაურობით, ხოლო ადგილებზე – ***პროვინციული მოსამართლეები***, რაც გულისხმობს სასამართლო

ხელისუფლების გარკვეულ დამოუკიდებლობას. განსჯადობის მიხედვით სპეციალიზებულ სასამართლოებს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა შეეძლოთ, მათვე ევალებოდათ ოლქებში ციხეებზე მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა.

სასამართლო უწყება („სასჯელთა უწყება") მკაცრად აკონტროლებდა სისხლის სამართლის კანონების გამოყენებას. ყველა საქმე, მათ შორის მძიმე დანაშაულთა შესახებ, ამ ორგანოთა ხელში გადიოდა. მათვე ევალებოდა ცალკეულ მოხელეთა მიერ თანამდებობის გადამეტების საქმეების განხილვაც. ამასთან ერთად, ხანის ჩინეთში ყველა ადმინისტრაციული ორგანო სასამართლო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი.

სასამართლოთა ქვედა რგოლს სამოქალაქო საქმეებზე წარმოადგენდა სამაზრო ადმინისტრაცია. თუ აქ საქმე ვერ გადაწყდებოდა, იგზავნებოდა პროვინციის გუბერნატორთან, რომელსაც შეეძლო საქმის სირთულის გამო მისი გადამისაჩართება ცენტრისათვის, ანუ სასამართლო უწყების ხელმძღვანელისათვის. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს იმპერატორი წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო უშუალოდ განეხილა ყველა საქმე, თუ ამას თვითონ მოისურვებდა.

§ 67. ძველი ჩინეთის საზოგადოებრივი წყობილება

ძველი ჩინეთის საზოგადოების გვაროვნულ-თემობრივი შემადგენლობა ინისა და ადრეულ ჯოუს პერიოდში შეიცვალა წოდებრივი სოციალური ფენებით, რომელიც შეიძლება განვიხილოთ სამ კატეგორიად: 1. პრივილეგირებული ფენა იყო მმართველი არისტოკრატია, სადაც მეფე და მისი ნათესავები, ადგილობრივი მმართველები და მათი ნათესავები, აგრეთვე გვარებისა და კლანების „თავკაცები" შედიოდნენ; 2. თავისუფალი მეთემეები; 3. უუფლებო მონები.

ჯოუს ეპოქაში ცენტრალური მმართველობის სისტემის გაზრდას მოჰყვა მოხელეთა ახალი ფენის გაჩენა, რომლის ძირითად

ფუნქციას გარკვეული სათემო ტერიტორიებიდან რენტა-გადასახადის აკრეფა წარმოადგენდა. ეს ფუნქცია მათ გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა და საზოგადოებაში წარჩინებულ ფენებს შორის უმკვიდრებდა ადგილს.

საზოგადოების წოდებრივმა დაყოფამ გამოხატულება პოვა სამართალში. „კეთილშობილები" კანონითა და ტრადიციების ძალით უპირისპირდებოდნენ როგორც უუფლებო მონებსა და გლეხებს, ასევე „უბრალო ხალხს" – თავისუფალ მეთემეებსა და ხელოსნებს.

მსხვილი მონათმფლობელობის ზრდა, რომელსაც თან ახლდა მეთემე გლეხების მიწების გარეშე დარჩენა, ამცირებდა გადასახადების გადამხდელთა რიცხვს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მიმართავდა გარკვეულ რეფორმებს. მაგალითად, ხანის იმპერატორმა უდიმ გამოსცა ბრძანება მსხვილი მიწათმფლობელების (ვაჭრები) კერძო მიწებისა და მონების კონფისკაციის შესახებ. კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიებები ჩაატარა მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ იმპერატორმა ვან მანმა. ძვ.წ. I საუკუნის ბოლოს იგი შეეცადა მიწის ფონდის გადანაწილებას. მთელი მიწა იმპერატორის საკუთრებად გამოცხადდა და აიკრძალა მისი ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ მსხვილ მიწათმფლობელთა ზეგავლენით სამ წელიწადში ეს შეზღუდვა მოიხსნა. რეფორმები სახელმწიფოს განვითარების მომდევნო ეტაპზეც ხორციელდებოდა, რაც ხელს უწყობდა გარკვეული წონასწორობის შენარჩუნებას სახელმწიფო და კერძო მიწათმფლობელობას შორის.

§ 68. შუა საუკუნეების ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი

შუა საუკუნეების ჩინეთის სახელმწიფო წყობილების შესწავლისას აუცილებელია დინასტიების პერიოდული მონაცვლეობით გამოწვეული რეფორმების გათვალისწინება, რადგან ამ პროცესმა ხელი შეუწყო მსხვილი იმპერიის ჩამოყალიბებას ახ.წ. III საუკუნეში

ხანის იმპერიის დაცემასა და მსხვილი მიწათმფლობელთა ხელში მიწების თავმოყრას მოჰყვა სახალხო აჯანყებები და ცენტრალური ხელისუფლების ასწლიანი ტრადიციის გაუქმება. ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფო კვლავ აღორძინდა ჩრდილოეთ ჩინეთში ***ცზინის დინასტიის*** მიერ ახ.წ. 265-420 წლებში. ამ პროცესს ხელი შეუწყო ***სიმა იანის*** რეფორმება, რომლის მიხედვით მიწათა უმეტესი ნაწილი საიმპერატორო, ანუ სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო გლეხები – სახელმწიფო ნადელების მოსარგებლეებად გამოცხადდნენ. მიწით მოსარგებლე გლეხები რამდენიმე კატეგორიად დაიყო: პირველ კატეგორიას ეკუთვნოდა 16-დან 60 წლამდე პირები, რომლებიც ნადელებს ღებულობდნენ: მამაკაცები – 70 მუს (1 მუ – 1/16 ჰა), ხოლო ქალები – 30 მუს ოდენობით და მოსავლის უდიდეს ნაწილს იჯარის სახით უხდიდნენ სახელმწიფოს; მეორე კატეგორიის გლეხები – 13-დან 15 წლამდე და 61-დან 65 წლამდე ღებულობდნენ პირველი კატეგორიისათვის გათვალისწინებული ნადელების ნახევარს და ეკისრებოდათ შრომითი ბეგარა.

ნადელების ახალი სისტემა („თანაბარი მინდვრების“) ჩრდილოეთ ჩინეთში ჩამოყალიბდა ***ჩრდილო ვეის*** დინასტიის დროს 405 წელს და განვითარდა VI-VII სს. ***სუისა*** და ***ტანის*** დინასტიების ეპოქაში. მიწების განაწილების ეს სისტემა, რომელიც გულისხმობდა 15-დან 70 წლამდე გლეხებისათვის მიზნობივი დანიშნულებით (მაგალითად, მარცვლეულის დასათესად) სახელმწიფოსაგან მიწის ნაკვეთების გაცემას, თითქმის მთელ ჩინეთში გავრცელდა. დათქმული ასაკის მიღწევის ან გარდაცვალების შემთხვევაში ნადელის უმთავრესი ნაწილი ჩამოერთმეოდა, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება მემკვიდრეობით გადასცემოდა მონადელეს შთამომავალს. ამ სისტემამ უზრუნველყო გლეხთა მიმაგრება მიწებზე და სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ კოლექტიური სანადელო პასუხისმგებლობის გაზრდა. ტანის დინასტიის კანონმდებლობა ფორმალურად კრძალავდა ნადელების გაყიდვას. თუმცა, რეალურად არსებობდა დათქმა, რომ ნადელი შეიძლება გაყიდულიყო, თუ ოჯახი სხვაგან საცხოვრებლად გადადიოდა ან საჭირო იყო ოჯახის წევრის დაკრძალვის ხარჯების შეგროვება და სხვა. ამ

ტენდენციამ ხელი შეუწყო გლეხთა ქონებრივი უთანასწორობის განვითარებას და მსხვილი მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებას.

ამ პერიოდში ჩინეთში განვითარდა ე.წ. კლასობრივი სეპარატიზმის ტენდენცია, რომელიც განმტკიცდა ***სამხედრო გუბერნატორების*** (ცზედუშები) თანამდებობის შემოღებით. „სანადელო მიწათსარგებლობის“ სისტემამ სრული კრახი განიცადა, რადგან ცზედუშებმა სამხედრო ხელისუფლების გამოყენებით ხელში ჩაიგდეს მიწების უდიდესი ნაწილი და ყოვლისშემძლე მიწათმფლობელებად იქცნენ. ისინი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. სოციალური აფეთქების თავიდან აცილებისა და დარღვეული თანასწორობის აღდგენის მიზნით, ჩინეთში ახ.წ. 780 წელს „ორჯერადი ბეგარის“ ახალი სისტემა დამკვიდრდა. საზოგადოება ქონებრივი კუთვნილების მიხედვით დაიყო კატეგორიებად, რომელთაც ბეგარა უნდა გადაეხადათ მიწის ნადელის ოდენობის მიხედვით. მხედველობაში არ მიიღებოდა მონადელის არც ასაკი და არც შრომისუნარიანობა. ამასთანავე, მოიხსნა გაყიდვის ან გასხვისების შეზღუდვები, რამაც ხელი შეუწყო მიწების ახალ გადანაწილებას. სახელმწიფოსა და მსხვილ მიწათმფლობელებს შორის გარკვეული წონასწორობა აღდგა IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში სუნის დინასტიის (X-XIII სს.) დროს გლეხთა აჯანყების შედეგად. ამ წონასწორობას ხელი შეუწყო ვან ანშის რეფორმებმა. მიღებულ იქნა ახალი კანონები, რომლებიც აღადგენდა საგლეხო მეურნეობას და აწესრიგებდა ბეგარების სისტემას მიწის კადასტრის შემოღების საფუძველზე. ***ვან ანშის*** რეფორმები, პირველ რიგში, ნაკარნახევი იყო იმპერატორის ხაზინის მზარდი მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის და მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვით.

მონღოლების გამოჩენას ჩინეთში 1270 წელს ***იუანის*** დინასტიის მმართველობა მოჰყვა. მართალია, მონღოლების გამოჩენამ ჩინურ ეკონომიკასა და კულტურაზე საკმაოდ მძიმე გავლენა მოახდინა, მაგრამ ვერ შეცვალა მეურნეობის ტრადიციული სისტემის საფუძვლები. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და გლეხთა აჯანყებებს XIV საუკუნეში მოჰყვა მონღოლების ბატონე-

ბის დამხობა და ჩინეთის ახალი დინასტიის ***მინის*** (1368-1644 წწ.) მმართველობა, რომელიც XVIII საუკუნეში ***მანჯურიის*** დინასტიამ შეცვალა და იარსება 1011-1013 წლების რევოლუციამდე.

სახელმწიფოს ევოლუცია ჩინეთში. ძველ ჩინეთში მკვეთრად გამოვლენილი აღმოსავლური დესპოტიის ნიშნები შუა საუკუნეებსა და შემდგომ პერიოდში მთლიანად იქნა შენარჩუნებული. ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემის ტრადიციული საფუძვლები ძირითადად ვითარდებოდა მმართველობის ცალკეულ ორგანოებს შორის ზოგადადმინისტრაციულ, საკონტროლო-საზედამხედველო, სასამართლო და სამხედრო ფუნქციების განაწილებისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის ხარჯზე. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების ან დეცენტრალიზაციის ტენდენციასთან დაკავშირებით იცვლებოდა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი ჰქონდა ახ.წ. VIII საუკუნეში, როცა სამხედრო მოხელეები ფაქტობრივად უკონტროლო ადგილობრივ მმართველებად იქცნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალიზებულ იმპერიას საფუძველი ჩაეყარა ტანის (ახ.წ. 618-907 წწ.) დინასტიის ეპოქაში, როცა მიწის რეფორმისა და უფასო მუშახელის გამოყენებით, შრომითი შეწირულობების ხარჯზე იმპერიაში დაიწყო გზებისა და არხების, ტაძრებისა და სასახლეების, მთელი ქალაქების მშენებლობა.

ჩინეთის სახელმწიფო მმართველობა ცენტრალიზებული იმპერიის ეპოქაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკმაოდ რთული და მწყობრი მმართველობა, რომლის სათავეში ***იმპერატორი*** იდგა. იმპერატორთან არსებობდა ***სახელმწიფო საბჭო,*** სადაც იმპერატორის ნათესავები შედიოდნენ. მთელი მმართველობა რამდენიმე ***უწყებისაგან*** შედგებოდა: ჩინების, ჩვეულებების, გადასახადების, სამხედრო, სასამართლო და საზოგადოებრივი საქმეების, რომლებიც ერთიანდებოდნენ და კანცლერის გამგებლობაში მარცხენა (უფროსი) და მარჯვენა (უმცროსი) უწყებებად შედიოდნენ. ასე რომ, მმართველობის ყველა რგოლი თავს იყრიდა ***კანცლერთან.***

მმართველების უმაღლესი ორგანოების ამგვარი სტრუქტუ-

რა კლასიკურ კონფუცისეულ-ტანურ მოდელად არის ცნობილი და ჩინეთში ასწლეულების განმავლობაში მოქმედებდა, თუმცა მონღოლების ბატონობის გაუქმების შემდეგ (1368-1644 წწ.) სხვადასხვა მიმართულება შეიძინა. იმპერატორის ხელში გაერთიანდა უმაღლესი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ტახტი გადაეცემოდა იმპერატორის უფროს ვაჟს. სხვა მემკვიდრეებს საკუთრებაში გადაეცემოდათ სამთავროები და მიწის ნადელები. მმართველების სისტემაში განსაკუთრებული როლი მიენიჭა *სამეფო კარს*, სადაც, სახელმწიფო საბჭოსაგან განსხვავებით, იმპერატორის ახლო ნათესავების გარდა, მომსახურე დიდებულებიც შედიოდნენ. თანდათან გართულდა მმართველობის იერარქიაც. 6 უწყება, უმაღლესი საზედამხედველო კონტროლის ფუნქციის მქონე ცენზორატი და 5 კომისარიატი, ანუ უმაღლესი სამხედრო ორგანო ერთიანდებოდა და მმართველობის აპარატის მეთაურის დაქვემდებარებაში შედიოდა.

ექვსი ცენტრალური უწყება წარმოადგენდა დიდ სამდივნოს, რომლის სათავეში ორი მრჩეველი იდგა. ეს ორგანო ჩინეთში 1380 წლამდე არსებობდა, რადგან მთავარი მრჩევლის ხელში ხელისუფლების თავმოყრის საშიშროებამ დააჩქარა იმპერატორისათვის მისი ფუნქციების მითვისება. თითოეულ უწყებას მკაცრად განსაზღვრული კომპეტენცია გააჩნდა: 1. ჩინების უწყება – პასუხისმგებელი იყო მმართველობის აპარატის ყველა მოხელის დანიშვნასა და მათ გადაადგილებაზე. ცალკეული მოხელეების პრესტიჟი ჩინეთში იმდენად დიდი იყო, რომ სწორედ ეს უწყება ითვლებოდა მთავარ უწყებად; 2. შემოსავლების უწყება – აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და მოსახლეობის აღრიცხვას; განსაზღვრავდა გადასახადების ოდენობას და პასუხისმგებელი იყო მათ მოკრებაზე; 3. ჩვეულებათა უწყება დაკავებული იყო საიმპერატორო ხელისუფლების განდიდების ცერემონიალებითა და ჩვეულებებით, აგრეთვე რელიგიური მსხვერპლთშეწირვებით; 4. სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა ყველა სამხედრო მოხელის დანიშვნა, არმიის მომარაგება, საფოსტო სამსახური; 5. სასამართლო უწყება მთელი იმპერიის მასშტაბით კონტროლს უწევდა

მართლმსაჯულების განხორციელებას. მისი საქმიანობა გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ცენზორატისა და სარევიზიო-სამოძიებო სასამართლოსთან; 6. საზოგადოებრივი საქმეების უწყება – ქვეყანაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა.

ძირითადი ადმინისტრაციული მმართველობისაგან ავტონომიური მდგომარეობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ეკავა ***ცენზორატს***, რომელიც 100-მდე ცენზორი შედიოდა და იყოფოდა ჯგუფებად პროვინციების მიხედვით. არცერთი ორგანო ისეთი უფლებამოსილებით არ იყო აღჭურვილი ჩინეთში, როგორც ცენზორატი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ყველა მოხელის საქმიანობას და უფლება ჰქონდა გამოეკლო თანამდებობის ბოროტად გამომყენებლები და მიეღო მათ მიმართ დამსჯელი სანქციები.

რაც შეეხება ჩინეთის ***ადგილობრივ მმართველობას***, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეპოქაში, მთელი იმპერია იყოფოდა 10 ***დაოდ***, რომელშიც შედიოდა უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულები – ***ჩუაო*** და ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მცირე ტერიტორიებად, ანუ ***სიანებად*** იყოფოდა. თითოეული ადმინისტრაციული ერთეული, დაკისრებული გადასახადების მოცულობის მიხედვით, იყოფოდა რამდენიმე კატეგორიად, რაც ამ ერთეულის სტატუსის მაჩვენებელიც იყო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპები ჩინეთში არ შეცვლილა, მაგრამ სამხედრო ბიუროკრატიული აპარატისა და მისი ორგანოების გავლენა ადგილებზე საკმაოდ გართულდა. ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია ჩინეთში გამორიცხავდა სეპარატიზმს და ერთი პირის ხელში ხელისუფლების თავმოყრის შესაძლებლობას. პროვინციებში მმართველობის ორგანოთა ტრიადა არსებობდა: ***ადმინისტრაციული, სამხედრო, საზედამხედველო-საკონტროლო***, რომელთა სათავეში უმაღლესი რანგის მოხელეები იდგნენ. ამ ორგანოთა შორის კოორდინაციისათვის თავდაპირველად იმპერატორი გზავნიდა თავის ***რწმუნებულს***, ანუ როგორც ჩინელები მას უწოდებდნენ, „მშვიდობის მაძიებელი", რომელმაც XV საუკუნიდან მიიღო „დიდი კოორდი-

ნატორის“ სახელწოდება. ისინი წელიწადში ერთხელ მიმდინარე საკითხებზე ანგარიშს აბარებდნენ იმპერატორს. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა (***უმაღლეს მეთაურთა***) ინსტიტუტი, რომელიც კოორდინაციას უწევდა „დიდ კოორდინატორებს“ და პროვინციულ სამხედრო მოხელეებს, თუ სახელმწიფოში აჯანყებისა და გადატრიალების საშიშროება დადგებოდა.

თითოეული პროვინციის ადმინისტრაციული მმართველობა ხორციელდებოდა ორი უფლებამოსილი პირის – ***„მარცხენა“*** და ***„მარჯვენა“ მოხელის*** მეშვეობით, რომლებსაც თავიანთი სამოსახელეო აპარატი გააჩნდათ. მათი ფუნქცია იყო მოსახლეობისა და მიწების აღწერა, გადასახადების აკრეფა, სამშენებლო საქმეების მეთვალყურეობა და სხვ.

იმპერატორისგან ადგილებზე ინიშნებოდა მოხელე, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა. მაგალითად, პროვინციაში ერთი წლით იგზავნებოდა ***ცენზორი***, რომელსაც ევალებოდა ყველა ადგილობრივი ორგანოს საქმიანობაზე, მეომრების გაწვევასა და სამხედრო ოპერაციებზე მეთვალყურეობა და შესაბამისი ანგარიშის გაკეთება იმპერატორისათვის.

ჩინეთის ყველაზე მცირე ტერიტორიულ ერთეულებში, ***თემებში*** დიდხანს იყო შემორჩენილი ადგილობრივი თვითმმართველობა. თვითმმართველობის თავისებური ერთეული იყო სხვა ხალხებით დასახლებული პროვინციები. ამ ერთეულების ადგილობრივი ბელადები ჩინეთის იმპერატორისაგან დამტკიცების შემდეგ ღებულობდნენ პროვინციის მმართველის სტატუსს.

სასამართლო ორგანიზაცია. შუა საუკუნეების ჩინეთის სასამართლო წყობილებისათვის დამახასიათებელი იყო როგორც დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოთა არსებობა, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოთა სასამართლო ფუნქციების განხორციელება. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა შედარებით მწყობრი სასამართლო იერარქია, რომლის უმაღლეს საფეხურს ***იმპერატორი*** წარმოადგენდა, ხოლო ქვედა საფეხურს – სოფლის მიერ არჩეული ***მამასახლისი***. საქმეთა უმეტესობა განიხილებოდა სამხარეო ერთეულებში – ***სიანში***, ამ ადმინისტრაციული ერთეულის მმართველის მიერ.

არასათანადო მტკიცებულებათა არსებობისას საქმის განხილვა ან გადაიდებოდა, ან გადაეცემოდა სისხლის სამართლის საქმეთა სპეციალიზებულ ***საგამოძიებო მოსამართლეს***, რომელიც თავისი რანგით უთანაბრდებოდა სიანის მმართველს. მძიმე კატეგორიის საქმეები – მკვლელობა, დატაცება განიხილებოდა ***ჩჟოუსა და დაოს*** ადმინისტსრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში. აქ მოქმედებდა სასამართლო-სახელისუფლო ორგანოები: ***ადმინისტრაციულ საქმეთა უწყება***, რომელიც აწარმოებდა კონტროლს ადმინისტრაციულ საქმეთა სწორ წარმართვაზე, ***სამხედრო საქმეთა უწყება***, სადაც სამხედრო პირთა საქმეები იხილებოდა და ***სასამართლო საქმეთა უწყება***, რომელიც არაჩინელი მოსახლეობის სასამართლო საქმეებს იხილავდა.

ამ უწყებებში საქმეთა განხილვა დამამთავრებელ სტადიად ითვლებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საქმე საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი პროვინციებსა და ოლქებში (ჩჟოუ, დაო). ***მინის*** მმართველობის ეპოქაში სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა სისტემას დაემატა ***სასჯელთა უწყება*** (სინ ბუ), ***უდიდესი ჭეშმარიტების ტაძარი*** (დალისა), ***ცენტრალური სარევიზიო-საგამოძიებო სისხლის სამართლის სასამართლო***, სადაც განსაკუთრებული სირთულის საქმეები განიხილებოდა. ამ სასამართლოებში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეები განიხილებოდა და განაჩენი იმპერატორის სახელით გამოდიოდა. იმპერატორს მოახსენებდნენ ყველა სასიკვდილო განაჩენის შესახებ. მას ამნისტიისა და სასჯელის შემცირების უფლება ჰქონდა.

§ 69. ძველი ჩინეთის სამართლის ზოგადი დახასიათება

მსოფლიოს არც ერთ სამართლებრივ სისტემას არ განუცდია ურთიერთდაპირისპირებულ ფილოსოფიათა ისეთი მძლავრი ზეგავლენა, როგორც ეს ძველ ჩინეთში მოხდა დაოსიზმის ცასა და დედამიწას შორის გზის ძიების ფილოსოფია, კონფუციანელთა ეთიკურ-პოლიტიკური დოგმები და ლეგისტების პოლიტიკურ-სა-

მართლებრივი კონცეფციები ჩინური სამართლის ძირითადი პრინციპებისა და ინსტიტუტების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, თუმცა განხორციელების გზებს თითოელი მათგანი სხვადასხვაგვარად აყალიბებდა. საუკუნეების განმავლობაში მათ შორის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც ბოლოს კომპრომისით დამთავრდა.

ძველი ჩინეთის სამართლის განვითარებაში შეიძლება სამი ეტაპი გამოვყოთ: 1. შან-იანისა და ადრეული ჯოუს პერიოდის ჩინეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში გადამწყვეტი როლი ეთიკურ ნორმებს ეკისრებოდა (ლი). ეს ნორმები განსაზღვრავდა ჩინეთის საზოგადოების დამოკიდებულებას ქვეყნის უმაღლეს მმართველთან – ვანთან და საოჯახო ურთიერთობებს (პატრიარქალური ოჯახი). ამ პერიოდში სამართლებრივი ნორმები არა იყო გამოყოფილი რელიგიურ-ეთიკური ნორმებისაგან. ამასთან, ხელისუფლების განმტკიცების პროცესში, თანდათან დიდ მნიშვნელობას იძენდა ვანის განკარგულებები და ბრძანებები, რომელთა შესრულება სახელმწიფო იძულებით ხდებოდა. კონფუცის ფილოსოფიის ძირითადი დოგმა საზოგადოების განვითარებაში „ბუნებრივი წესრიგის“ შესახებ მოითხოვდა არა კანონების შექმნას, არამედ ტრადიციებისა და მორალური ნორმების დაცვას, რაც ადამიანს დათმობებისა და კომპრომისებისკენ უბიძგებს;

2. ჩინური სამართლის განვითარების მეორე ეტაპი ძვ.წ. V-III სს. იწყება. ძლიერდება სამართლისა და მისი სტაბილური კომპლექსის – სასჯელის როლი. ამ პერიოდში შეიქმნა დასრულებული ლეგისტური მოძღვრება „ხალხისა და სახელმწიფოს მართვის შესახებ“. ლეგისტები გამოდიოდნენ პრევენციული ზომებისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის სავალდებულოდან; უარყოფდნენ დანაშაულის ჩადენის სიმძიმესა და სასჯელის ზომას შორის რაიმე კავშირს. მათი აზრით, მკაცრად დასჯა ხელისუფლების ბრძანების უბრალო დარღვევისთვისაც აუცილებელი იყო;

3. ძველი ჩინეთი სამართლის ფორმირების ბოლო ეტაპზე (ძვ.წ. III ს.- ახ.წ. III ს.) მოხდა ლეგისტებისა და კონფუცინელთა იდეოლოგიის შერწყმა, რაც ცნობილია ორთოდოქსალური ხანის კონფუცინელობის სახელწოდებით. ამ იდეოლოგიის ძირითადი

იდეა – საზოგადოების წევრებს შორის სოციალური, წოდებრივი, სქესის, ასაკის და ოჯახში ადგილის განსაზღვრის შესახებ კონფუციანელთა მთავარ დებულებას ეყრდნობოდა. ამ განსხვავებათა ურყევობას უნდა ემსახურებოდეს მკაცრი მორალური ნორმებით ოფიციალურად მიღებული რიტუალები.

ორთოდოქსალური კონფუცინელობა არ უარყოფდა კანონს იმ თვალსაზრისით, რომ მორალი იძლეოდა ქცევის სტერეოტიპს, ხოლო სამართალი სასჯელის მეშვეობით კრძალავდა მორალური ნორმიდან გადახვევის შესაძლებლობას. „იქ, სადაც არ არის საკმარისი ლი (სამართლის ნორმა), ან ის, რაც დასჯადია ფას (მორალური ნორმა) მიხედვით, არ უნდა იქნეს მიღებული ლის მიხედვით, ან ის, რაზეც ნებას რთავს ლი, არ შეიძლება დასაჯოს ფამ" – ასეთი იყო ორთოდოქსალურ კონფუცინელთა დებულება – მორალურ და სამართლებრივ ნორმათა თანაარსებობის პრინციპი.

ჩინელთა ისტორიული ტრადიციების თანახმად, პირველი კანონები შემოღებულ იქნა ლეგენდარული კანონმდებლის ***იაოსა და შუნის*** დროს (ძვ.წ. XXIV-XXIII სს.). თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა ამ ცნობას ეჭვქვეშ აყენებს[1]. ასევე მთელი ეტაპი იყო ძვ.წ. X საუკუნეში ***მუ-ვანის კოდექსის*** შექმნა. უშუალოდ არც ამ სამართლის ძეგლს მოუღწევია ჩვენამდე, მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების მიხედვით ეს წიგნი შეიქმნა სამიათას მუხლიანი სისხლის სამართლის კოდექსით. დაწერილი კანონები კი ფაქტობრივად ძვ.წ. VI-V სს. ჩნდება. ასეთი იყო ძვ.წ. VI საუკუნეში მეფე ***ლუს კანონები***, რომელიც თავისუფალი მეთემეობის ლიკვიდაციასა და კერძო მიწათმფლობელობას განამტკიცებდა. ძვ.წ. V-VI სს. შეიქმნა „ვეის სამეფოს კანონთა" კრებული, რომლის ავტორადაც ლუ კუეს თვლიან. ეს კრებული 6 თავისაგან შედგებოდა: კანონები ქურდებზე, მძარცველებზე, სიბნელეში დამწყვდევაზე, დამნაშავეთა დაჭერის, ჩამოხრჩობასა და წამების იარაღებზე.

---

1 მაგ.: Всеобщая история государства и права – под ред.: Батыр К. И. ,Москва, 1999; А.Х. Саидов "Сравнительное правоведение", Москва, Юрист, 2003. История государства и права зарубежных стран. Часть 1. Учебник для вузов./Под ред. проф. Крашенинниковой Н.А. и проф.Жидкова О.А. –М.: 1999 г.; Черниловский З.М. Всеобщая история государства и права. Учебник. – М.: 2002 г.;

კრებულმა საფუძველი დაუდო ძვ.წ. III-II სს. ხანის ჩინეთში „ცინის და სანის კანონთა წიგნის“ შექმნას, რომელსაც მომდევნო ეტაპზე დაემატა სამართლის ნორმები სამხედრო სამსახურისა და სახელმწიფო ფინანსების შესახებ. სულ ხანის კანონების 28 კატეგორიაა ცნობილი.

სისხლის სამართალი. ჩინეთის ტრადიციული სამართალი ვითარდებოდა როგორც სისხლის სამართალი და ამიტომ სამართლის ძირითადი ნიშნების შესწავლა სწორედ ამ დარგის მიმოხილვით დავიწყოთ.

დანაშაულის ცნება ძველ ჩინეთში დაკავშირებული იყო ადამიანის დანაშაულებრივი ნების გამოვლენასთან. სამართალდამრღვევი მიჩნეული იყო როგორც „მდაბალი“ ადამიანი. მისი „სიმდაბლე“ განისაზღვრებოდა დანაშაულებრივი ნებით, რომელსაც შეეძლო დაენგრია ძველი სამყარო, ან იმ სოციალურ ჯგუფთა ჰარმონია, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. მორალური ნორმების პრიმატის გამო, ბრალეულობის ხარისხი და სასჯელის სიმკაცრე შეესაბამებოდა არა გადაცდომის ხასიათს, არამედ დამნაშავის სულიერ მდგომარეობას. ხანის ეპოქის ჩინურ სამართალში გამოირჩეოდა განზრახვით და მის გარეშე ჩადენილი დანაშაული, აგრეთვე შეცდომით ჩადენილი დანაშაული. მაგალითად, სასჯელის სიმძიმე სხეულის დაზიანების დროს დამოუკიდებელი იყო იმაზე, ეს ქმედება ჩადენილი იყო „ავი განზრახვით“ თუ ჩხუბის დროს. განსხვავება იყო დამთავრებულ დანაშაულსა და თავდასხმას შორის, მაგრამ კონფუციანელებმა მიაღწიეს იმას, რომ ხშირად თავდასხმა დამთავრებულ დანაშაულად განიხილებოდა, მაგალითად, მოსისხლე ნათესავზე მოკვლისათვის თავდასხმის შემთხვევა.

„დამნაშავის ნების“ კონცეფციამ განსაზღვრა თანამონაწილეობისა და ჯგუფური დანაშაულის შინაარსიც. დამნაშავეთა ჯგუფში ორგანიზატორად (მეთაურად) ითვლებოდა პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიფიქრა და დაგეგმა დანაშაული.

ამა თუ იმ სამართალდარღვევის დანაშაულად აღიარება და სასჯელის სიმძიმის განსაზღვრა დამოკიდებული იყო იმპერატორის სუბიექტურ ნებასა და იმაზე, თუ რომელი სამართლებრივი

კონცეფცია დომინირებდა (კონფუცის, ლეგისტების თუ სხვა).

ჯოუს პერიოდში, როგორც წყაროები მოწმობენ, ცნობილი იყო 500-მდე დანაშაული, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ***სახელმწიფო დანაშაულებს*** ეკავათ (იმპერატორის ღალატი, აჯანყება და სხვა). ცინის მეფობის პერიოდში ამ დანაშაულთა კატეგორიას ემატებოდა კონფუძიანელთა აკრძალული ლიტერატურის შენახვა.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში დანაშაულთა ისეთი სახეები არსებობდა, როგორიცაა ***მონასტრიდან ქურდობა, კულტის საგნების ქურდობა, ცილისწამება, დეზერტირობა – ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული*** (მამის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა).

ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნეში პასუხისმგებლობა იყო დაწესებული იმ მოხელეზე, რომელმაც იცოდა თავისი კოლეგის ბრალეულობის შესახებ და არ დაასმენდა მას.

სასჯელის ტერმინის აღმნიშვნელად ძველ ჩინეთში გამოიყენებოდა ტერმინი „ბაო", რაც სამაგიეროს მიზღვას ნიშნავდა. „ტალიონის პრინციპით" სამაგიეროს მიზღვის გამოყენებამ ჩინურ სამართალში ხანგრძლივი ვადით დააკანონა სისხლის აღების ჩვეულება, რომლის წინააღმდეგაც ჩინეთის მმართველები უშედეგოდ იბრძოდნენ. სასჯელთა ტრადიციული სისტემა დაკავშირებულია ჩინეთში საკრალური ციფრის „ხუთის" არსებობასთან. ამიტომ სასჯელთა სისტემა მოიცავს: შერისხვას, ცხვირის მოჭრას, ფეხების მოკვეთას, კასტრაციას და სიკვდილით დასჯას, რომელთაც ემატებოდა გაროზგვა, მონობის მისჯა, ჯარიმა. უმძიმეს სასჯელთა გვერდით შან-ინის ჩინეთში ცნობილი იყო ***სიმბოლური სასჯელები*** (სიან), როცა ფეხების მოკვეთა მუხლზე შრამის დასმით იცვლებოდა, ხოლო სიკვდილით დასჯა – ტილოს პერანგის ტარებით. ამით საზოგადოება ცდილობდა ხელახლა აღეზარდა დამნაშავე. სიმბოლური სასჯელები ჯოუს პერიოდშიც გვხვდება, ხოლო ძვ.წ. 167 წელს *სიაო ვენმა* სპეციალური აქტით შეცვალა სხეულებრივი სასჯელები სიმბოლური სასჯელებით. თუმცა სასჯელთა ოდიოზურობის შემცირების ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა,

რადგან იგი ლეგისტების დოგმებს ეწინააღმდეგებოდა. „სიანის“ თავისებურ შეხსენებას წარმოადგენს უკანასკნელი ასწლეულების მანძილზე ტატუირებათა, როგორც სასჯელის სახის არსებობა ჩინეთში.

ჩინური სამართლის ტრადიციულ ინსტიტუტს, რომლის გამოც კონფუციანელები ლეგისტებს ებრძოდნენ, დამნაშავის ნათესავების კოლექტიური პასუხისმგებლობა იყო. ცინის ეპოქაში სახელმწიფო დანაშაულისათვის სჯიდნენ არა მარტო დამნაშავეს, არამედ მის ნათესავთა სამ თაობას – მამის, დედისა და ცოლის სახით.

ამდენად, სასჯელებს ძველ ჩინეთში უკიდურესი დაშინების მიზანი ჰქონდა. სასჯელთა შემსუბუქება იგრძნობოდა კონფუციანელთა ზეგავლენით, რაც გამოიხატა უდანაშაულო ნათესავთა პასუხისმგებლობის აცილებაში (შვილები, შვილიშვილები, მეუღლეები).

ქორწინება და ოჯახი – ოჯახი ძველ ჩინეთში პატრიარქალური ხასიათისა იყო. ოჯახის უფროსად ითვლებოდა მამა, რომელსაც ემორჩილებოდნენ სხვა წევრები: ცოლი, ვაჟი, ვაჟიშვილები, მათი ცოლები და შვილები, მონები და მსახურები. დიდი საოჯახო კავშირების რღვევა დაიწყო მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენით, რასაც მხარს უჭერდნენ ლეგისტები, მაგრამ დიდი ოჯახები ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი იყო და იგი ბოლო საუკუნემდე შემორჩა.

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები ეყრდნობოდა კონფუციელთა წარმოდგენებს ოჯახზე, როგორც პირველად სოციალურ უჯრედზე, რომელიც ფუნქციონირებდა ბუნებითი კანონების დაცვით. ქორწინებისათვის აუცილებელი იყო რამდენიმე პირობის დაცვა. ქორწინება წარმოადგენდა ხელშეკრულებას საქორწინო პირთა მშობლებს შორის. ხელშეკრულების პირობების დარღვევა არა მარტო მატერიალურ ზარალთან იყო დაკავშირებული, არამედ ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონითაც ოჯახის უფროსის მიერ. თუ შანის იმპერიაში დაიშვებოდა ნათესავებს შორის ქორწინება, შემდგომში არა მარტო აიკრძალა იგი, არამედ დამტკიცდა

წესი, რომ ცოლსა და ქმარს ერთი და იგივე გვარი არ უნდა ჰქონოდა.

ლი ცზის კანონთა კრებულში საქორწინო ასაკის თავისებური ზღვრები იყო დაწესებული: მამაკაცებისათვის – 16-დან 30 წლამდე, ქალებისათვის – 14-დან 20 წლამდე. ამ საზღვრების დაცვაზე სახელმწიფო ზრუნავდა (ჯოუ ლის წიგნის XI თავი) და განსაკუთრებული მოხელე საქორწინო ასაკის საზღვარს მიღწეულ ქალთა და მამაკაცთა სიებს ადგენდა და შეახსენებდა მათ, არ დაერღვიათ ბუნებრივი ტრადიციები.

სოციალური წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო „ერთი ქმარი – ერთი ცოლი“, მაგრამ ეს პრინციპი მკაცრად ითხოვდა მხოლოდ ქალის ერთგულებას ქმრისადმი. ქმარს უფლება ჰქონდა ჰყოლოდა „მეორეხარისხოვანი“ ცოლები, რომელთა ოდენობა დამოკიდებული იყო კაცის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იკრძალებოდა წოდებათა შორის ქორწინება, რაც ასევე სისხლის სამართლით ისჯებოდა. თავისუფალი ადამიანი, რომელიც მონას შეირთავდა, ისჯებოდა როგორც ქურდი. აღმოსავლურ დესპოტის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩინეთში განქორწინება დასაშვები იყო. განქორწინება შეიძლება მოეთხოვათ არა მარტო მეუღლეებს, არამედ ოჯახის წევრებსაც. „ლი“ აიძულებდა ქმარს განქორწინებაზე, თუ ცოლი „წინაპართა იმედებს ვერ გაამართლებდა“. XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ისჯებოდა ისეთი ქმარი, რომელიც ასეთ ცოლთან არ განქორწინდებოდა. ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობა ღალატის შემთხვევაში დასჯადი არ იყო.

ქონებრივი ურთიერთობები. კერძო სამართლის საკითხები ჩინეთის ტრადიციულ სამართალში დამოუკიდებლად არ განვითარებულა, თუმცა ზმნა „იუ“, რაც ნიშნავს „საკუთრების ქონას“, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჯოუს ეპოქაში (ძვ.წ. IV – III ს.ს).

მიწაზე სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად არსებობდა სათემო და კერძო მფლობელობაც. დაიშვებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, დანაწილება ნაკვეთებად ან დიდ ნაწილებად კონცენტრირება, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ „აზიის“ სოციალ-ეკონომიკური

სტრუქტურა გამორიცხავდა კერძო საკუთრების აყვავების სამართლებრივ და პოლიტიკურ გარანტიებს. მიწაზე კერძო საკუთრების კრიზისის ზრდა ყოველთვის იწვევდა ისეთ რეფორმებს, რაც აღადგენდა სახელმწიფოს ეკონომიკურ კონტროლს.

ძველ ჩინეთში ხშირად გამოიცემოდა კანონები, რომლებიც იცავდა წვრილ გლეხურ მფლობელობას მიწაზე.

სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკა მკვეთრად გამოვლინდა ძვ.წ. I საუკუნეში ვალებისათვის მონობაში ჩავარდნილ პირებთან დაკავშირებით. იმპერატორ უდიმ გამოსცა რესკრიპტი სახელმწიფო მონების გათავისუფლების შესახებ, „თუ ადრეული კანონებით მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლის სასჯელი არ იყო გათვალისწინებული. რესკრიპტით გათავისუფლდნენ მონები, რომლებიც შიმშილისაგან თავის გადარჩენის მიზნით მიეყიდნენ სახელმწიფოს.

სასამართლო პროცესი. ჩინურ სამართალში შედარებით ადრე დამკვიდრდა ***სამძებრო პროცესის*** ნიშნები. დანაშაულის გამოძიება თავიდანვე ამისათვის უფლებამოსილი მოხელის ფუნქცია იყო. მაზრების მმართველები იძიებდნენ საქმეს და აღასრულებდნენ სასჯელს. მძიმე დანაშაულთა გამოძიება ოლქის მმართველის ფუნქცია იყო.

მტკიცებულებებს წარმოადგენდა მოწმეთა ჩვენება, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფიცი. მტკიცებულებათა მოპოვება წამებით ხდებოდა, „თუ პირი ბრალს არ აღიარებდა, ან შეცვლიდა ჩვენებას“. მოქმედებდა ბრალეულობის პრეზუმფცია. თუ გამომძიებელი წამების უფლებას ბოროტად გამოიყენებდა, მას ემუქრებოდა საკატორღო სამუშაოები ბრალდებულის წამებით სიკვდილისათვის. ფართოდ გამოიყენებოდა გადაწყვეტილების გამოტანის ანალოგიის პრინციპი.

სიკვდილის აღსრულება საჯაროდ ხდებოდა და დამნაშავის თავი ან ტანი გამოიკიდებოდა ტრიალ მინდორზე ან ბაზარში, ხოლო თუ დამნაშავე სახელმწიფო მოხელე იყო – სასახლეში.

§ 70. ჩინეთის სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები

ჩინური ტრადიციული შეხედულება სამართალზე განსხვავდება სამართლის დასავლური გაგებისაგან. ამ თვალსაზრისით, ჩინელების აზროვნების წესი საუკუნეების განმავლობაში სრულიად უცვლელი დარჩა და იგი არ ჰგავს იმას, რასაც ბერძნულ-რომაული ტრადიცია ქადაგებს. სამართალი მეორეხარისხოვანია, რადგან სოციალური წესრიგის საფუძველი, ჩინელების აზრით, არის „წესები, რომლებიც ინდივიდებისაგან ყველა ცხოვრებისეული შემთხვევისათვის გათვალისწინებულ საგანთა ბუნებრივი წესრიგის შესაბამის ქცევას მოითხოვენ“[1].

საინტერესოა ჩინური ფილოსოფია კანონთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც: კანონის მიღება ცუდია, რადგან ზოგიერთები, თუკი კანონი იციან, მიიჩნევენ, რომ უფლებები გააჩნიათ და მათ რეალიზაციას მოითხოვენ. ამით ისინი მორალისა და ქცევის ტრადიციულ ნორმებს შორდებიან, სწორედ იმას, რითიც უნდა ხელმძღვანელობდნენ. სასამართლო პროცესი ხშირდება, თითოეული პროცესი კი სკანდალია, ბუნებრივ წესრიგს რომ არღვევს და, შესაძლოა, მან ბუნებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის საზიანო ახალი გართულებები გამოიწვიოს. ბუნებაში ყველაფერი მოძრაობს და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სასამართლო პროცესს, რომელიც ბუნებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის ხელყოფის ცდაა. დავის გადასაწყვეტად სასამართლოში მისვლა საკუთარი უმწეობის აღიარებაა. ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდე, მორიგების მისაღწევად ყველა საშუალება უნდა გამოიყენო. საშუალება კი არაერთია (სოფელი, კლანი, ოჯახი, გილდია, ასოციაცია). სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში მისი აღსრულება იმთავითვე არ უნდა მოითხოვო. ისე უნდა იმოქმედო, რომ მოწინააღმდეგემ არ დაკარგოს საკუთარი სახე, რათა არსებობდეს სიმშვიდისა და მხარეებს შორის კარგი ურთიერთობის აღდგენის

1 დავიდი რენე. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, სერიით: იურისტის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2010 წ., გვ. 257.

შესაძლებლობა. მკაცრად მოითხოვო რაც გერგება, თანაც გადავადების გარეშე – ანტისაზოგადოებრივი საქციელია და ეწინააღმდეგება კეთილ ზნეს – კონფუძის მოძღვრებაზე აგებული ტრადიციული ჩინური აზროვნების ეს პოსტულატი სამართლის ევროპული გაგებისათვის საკმაოდ უცხოა. ჩინური სამართლის შემდგომი განვითარება ძირითადად სისხლისსამართლებრივი ნორმების დამუშავების გზით წავიდა. შეიქმნა სადინასტიო კანონთა კრებულები.

ხანის დინასტიიდან მოყოლებული, ***კანონთა კრებულები*** აიგებოდა ტრადიციული სამართლებრივი ნორმების – „ლი" – საფუძველზე და შეივსებოდა ახალი ნორმებით – „ლინ". დროთა განმავლობაში ამ ორი კატეგორიის ნორმების გამიჯვნა დარგობრივი პრინციპის მიხედვით მოხდა. „ლი" მოიცავდა სისხლის სამართლის ნორმებს, „ლინ" – ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს.

კანონთა სისტემატიზაციისათვის დიდი მუშაობა წარიმართა ახ.წ. VI-VII საუკუნეებში. ***სუის დინასტიის*** დროს (581- 618 წწ.) და ტანის დინასტიის პირველ ხანებში შეიქმნა კანონთა პირველი კრებული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ***„ტან ლუი შუის" კოდექსის*** სახელწოდებით (VII ს.).

ჩინეთის ცენტრალიზაციას „სუნის დინასტიის ეპოქაში მოჰყვა საკანონმდებლო საქმიანობის ახალი აქტივიზაცია. 960-963 წწ. შეიქმნა „სისხლის სამართლის კანონთა შესწორებული და გადამუშავებული კრებული". XI ს. ჩინეთში გაჩნდა სპეციალური ბიურო, რომელსაც კანონთა გადახედვა და შესწორება ევალებოდა. ამ ბიუროს მიერ მომზადდა „900-მუხლიანი კანონთა კრებული". XIV ს. ბოლოს შეიქმნა „მინის დინასტიის კანონთა კრებული", რომელმაც წინა კრებულების უამრავი ნორმა გაიმეორა. მანჯურიების მიერ პეკინის დაპყრობის შემდეგ 1644 წლიდან, ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, დაიწყო მინის კანონთა კრებულის გადასინჯვა და ეს პროცესი 1647 წელს დაგვირგვინდა კოდექსის მიღებით. ძველი კოდექსების საფუძველზე XVIIს. შედგენილი მანჯურიის კანონთა კრებულები თითქმის უცვლელად არსებობდა ჩინეთში XX საუკუნის დასაწყისამდე. XX საუკუნეში

კი, დასავლეთთან გათანასწორების ლტოლვამ ჩინეთში ბევრი ისეთი რეფორმა მოიტანა, ტრადიციული კონცეფციიდან უკან დახევას რომ გულისხმობდა. 1910 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის სანქციები, რომლებიც წინათ სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა ნორმაში მოიპოვებოდა. 1912 წელს, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკა გამოცხადდა, დაიწყო ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსზე მუშაობა, რომელიც ძალაში შევიდა 1920-1931 წლებში, მიწის კოდექსი შემუშავდა 1930 წელს, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი – 1932 წელს. ჩინურ სამოქალაქო სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო გერმანული სამოქალაქო სჯულდების და გვიან შვეიცარიული, ბრაზილიური, აფრიკულ-იტალიური ვალდებულებითი სამართლის ნიშნები.

XX საუკუნეში ჩინური სამართალი გაევროპელდა და როგორც ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომაულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში შევიდა.

სისხლის სამართალი. ევროპული სამართლის რეცეფციამდე (XX ს.) ჩინეთში შენარჩუნებული იყო მორალური ნორმებისა და მკაცრი სამართლებრივი ნორმების ურთიერთმიმართების სტერეოტიპი. ტრადიციული სამართალშეგნების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ტანის კოდექსით გათვალისწინებული მორალური ნორმების აბსტრაქტული დარღვევისათვის სასჯელად ჯოხებით ცემის სანქცია („იმისათვის, რა არ უნდა გაკეთდეს“).

დანაშაულის სუბიექტი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც თავისუფალი, ისე მონა. თუმცა, სასჯელთა შერჩევის დროს სოციალური კლასიფიკაცია აუცილებლად მხედველობაში მიიღებოდა.

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპებიდან შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩინური კანონმდებლობა იცნობს განზრახ და გაუფრთხილებელი ***ბრალის ფორმებსაც***. მართალია, მთლიანად არ იყო დამუშავებული აუცილებელი მოგერიების ცნება, მაგრამ ცინის კანონთა კრებული იცნობდა ახლო ნათესავების (შვილი, შვილიშვილი და ა.შ.) პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას – მამას, დედას, პაპასა და ბებიაზე თავდასხმის მოგერიების შემთხვევაში

(თუნდაც თავდამსხმელის მკვლელობის დროს). ასევე XX ს. სამართლებრივ რეფორმამდე ჩინურ კანონმდებლობას შემორჩა ახლობლებისა და ნათესავების დასმენის დანაშაულად გამოცხადება, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის ჩამდენი ოჯახის წევრის დაფარვის შემთხვევაში.

ტანის კოდექსის მიხედვით, სასჯელის შემსუბუქების სამი შემთხვევა არსებობდა: მოხუცებულობის, მცირე ასაკისა და ინვალიდების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუმცა დამნაშავე ბავშვებს ხშირ შემთხვევაში მონად გაყიდვა ემუქრებოდათ. დაიშვებოდა ქალების სიკვდილით დასჯა, ოღონდ ფეხმძიმე ქალისათვის ამ სასჯელის აღსრულება შეიძლება 100 დღით გადავადებულიყო.

დანაშაულთა კლასიფიკაცია ჩინურ სამართალში კონფუცისეული მორალის მიხედვით შექმნილ „10 ბოროტებას“ უკავშირდება. პირველი ბოროტება იყო „ხელისუფლის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება ან აჯანყება“. ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მთავარი იყო დანაშაულებრივი ქმედება იმპერატორის – „ცის შვილის“ წინაალმდეგ. შემდეგი ბოროტება იყო: „დიდი დაუმორჩილებლობა“ და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ აჯანყება. ამ კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედებებს ეკუთვნოდა ტაძრებისა და იმპერატორის წინაპართა საფლავების შეურაცხყოფის განზრახვა, დანგრევის მცდელობა ან დანგრევა; მესამე „ბოროტებად“ კვალიფიცირდებოდა „შეთქმულება, ღალატი“. იგულისხმება როგორც იმპერატორის, ისე სახელმწიფოს ღალატი და მტრის მხარეზე გადასვლა.

ამ კატეგორიის დანაშაულთა ჩამდენი ყველა პირი და მისი ოჯახის წევრები ითვლებოდა „წინაპართა ჩვეულებების დამრღვევად“. დამნაშავეები, მათი მამები და ვაჟები, 16 წლის ასაკზე ზევით ისჯებოდნენ სიკვდილით (თავის მოკვეთით), ოჯახის წევრი ქალები (დედა, გაუთხოვარი ქალი, ცოლი, მოსამსახურე) მონად იქცეოდა.

მე-4 ბოროტებად ითვლებოდა „დაუმორჩილებლობა-განდგომა“, რომელიც ახლო ნათესავების მიმართ დანაშაულებრივ ქმე-

დებას გულისხმობდა (მშობლების, ბებიისა და პაპის ცემა, მათი მკვლელობის განზრახვა, უფროსი ძმის ან დის ან ქმრის სისხლითი ნათესავების მკვლელობა (და არა ცოლის).

მე-5 ბოროტება „უსამართლობა და ბინიერება“ – გულისხმობდა ბუნებრივი წესრიგის დამრღვევ ქცევას, ანუ დანაშაულის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით. მაგალითად, ერთ ოჯახში სამი წევრის მოკვლა, ან გვამის დანაწევრება, მაგიური ქმედების ყველა სახე, შხამის მომზადება ან სხვა პირისათვის გადაცემა და ა.შ.

მე-6 ბოროტება „უდიდესი უპატივცემულობის გამოხატვა“ იყო. ამ კატეგორიის ქმედებებს ეკუთვნოდა, მაგალითად, კულტის საგნების მოპარვა, იმპერატორის საგნების მოპარვა, იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ მორალური და ფიზიკური ზიანის მიყენება (იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობა ან მისი გაყალბება). ასეთი ქმედების კვალიფიკაციისათვის საჭირო იყო შეცდომა ან გაუფრთხილებელი განზრახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება პირველ ბოროტებათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

მე-7 ბოროტება „შვილებისაგან უპატივცემულობის გამოვლენა“, მშობლისადმი შვილის დაუმორჩილებლობას გულისხმობდა (მაგალითად, ოჯახიდან გამოყოფა ან ქონების გაყოფა მშობლების თანხმობის გარეშე, ქორწინება ტრაურის შემთხვევაში და ა.შ.).

მე-8 ბოროტება – „უთანხმოება“ სისხლით ნათესავებს შორის. ამ კატეგორიას ეკუთვნოდა ყველა ქმედება, დაწყებული ახლო ნათესავის მოკვლის ან მონად გაყიდვის განზრახვიდან დაწყებული, ცოლის ცემითა და ახლო ნათესავების დასმენით დამთავრებული.

მე-9 ბოროტება – „უსამართლობა“ – ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს მოიცავდა, რომელიც სხვადასხვა სოციალური იერარქიის პირებს შორის დაპირისპირების შედეგად ხდებოდა. მაგალითად, უფროსის მოკვლა ხელქვეითის მიერ ან ისეთი პირის მოკვლა, რომელიც, როგორც ოჯახში, ისე გარეთ, უზრუნველყოფდა სოციალური წესრიგის დაცვას, დანაშაულთა ცალკე კატეგორიას შეადგენდა.

მე-10 ბოროტებას წარმოადგენდა სისხლის აღრევის სქესობრივი კავშირები, რომელიც უთანასწორდებოდა „ფრინველთა და

ცხოველთა“ ქცევებს.

სასჯელთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სასჯელები. ყოველი ადმინისტრაციული დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. მაგალითად, სამსახურში მოხელის გამოუცხადებლობა და სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა თანაბრად ისჯებოდა.

VI ს. სასჯელთა ტრადიციულ სისტემას დაემატა თავის მოკვეთა, საკატორღო სამუშაოები გასახლებით და მის გარეშე. VI ს. შეიცვალა ჯოხით ცემის სასჯელის ფორმა: მსხვილ ჯოხებს წვრილიც, რომლის გამოყენება საკრალურ ციფრ „5“-თან იყო დაკავშირებული. იმპერატორ ტანის კოდექსით წვრილი ჯოხებით ცემა 5 საფეხურად მიმდინარეობდა 10-დან 50-მდე, მსხვილი ჯოხებით 5 საფეხურად – 60 და 100 დარტყმამდე.

ჩინურმა სამართალმა არ იცის სამუდამო კატორღის ინსტიტუტი, თუმცა გარკვეული ვადით კატორღა პირს მონად აქცევდა. ამიტომ მოხელეები ამ სასჯელით არ ისჯებოდნენ.

კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, ქონებრივი ურთიერთობები. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი ჩინეთში ვითარდებოდა სოციალურ ძალთა შორის დაპირისპირების საფუძველზე, რომელთა ინტერესი დაკავშირებული იყო მიწაზე სახელმწიფო ან კერძო საკუთრებასთან. სათემო მიწათსარგებლობა ჯერ კიდევ ძველი ჩინეთის სახელმწიფოში მოისპო. ***კოლექტიური საკუთრება*** დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა განუყოფელი საოჯახო საკუთრების, საერთო სასაფლაოების მიწების, საკულტო ნაგებობების საგვარეულო საკუთრების მიწების სახით. საკუთრების განსაკუთრებული სახე შეიძინა ბუდისტურმა და დაოისტურმა სათემო საკუთრებამ.

ის, ვისაც გირაოდ ჰქონდა მიწა აღებული, აღარ შეეძლო მისი დაგირავება (ეს ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით ფორმდებოდა), თუნდაც მიწა გაყიდვის პირობით ყოფილიყო გირაოდ გაცემული.

გასაყიდი მიწის შესყიდვის უპირატესობით სარგებლობდნენ

ჯერ ნათესავები, შემდეგ მეზობლები. დაგირავება შეიძლებოდა მონისა და ცხოველებისაც.

ჩინური სამართალი ***გირავნობას*** განასხვავებდა ***ქირავნობისაგან***, რომელიც კონკრეტული ნივთის სარგებლობაში გადაცემას გულისხმობდა და დაუბრუნებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევდა. განსხვავებული იყო ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი რეჟიმი ამ ხელშეკრულების ობიექტიდან გამომდინარე. ადამიანების გაყიდვისას აუცილებელი იყო ცნობა, რომ გასაყიდი ადამიანი დაბადებიდან თავისუფალია. ხანის ეპოქიდან ჩინურმა ტრადიციულმა სამართალმა იცის კრედიტით გაყიდვის ინსტიტუტი. ნივთების, საქონლისა და მონების გაყიდვა მოითხოვდა სავაჭრო სიგელის შედგენას, რომლის არარსებობა დაჯარიმებას იწვევდა.

თავისებურებებით ხასიათდება სავაჭრო ურთიერთობანი. ჩინეთის სახელმწიფოში ბაზარზე მეთვალყურეობის მიზნით სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში შეიქმნა მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ სავაჭრო სიგელების შედგენასა და შესრულებას. ადმინისტრაცია ყოველ 10 დღეში ერთხელ ადგენდა საბაზრო ფასებს, ახდენდა მოვაჭრეთა ფარდულების, გასაყიდი უძრავი ქონების, ადამიანებისა და საქონლის რეგისტრაციას, აკონტროლებდა ზომისა და წონის სისტემას. თუ სავაჭრო ხელშეკრულება დაირღვევოდა ძალის გამოყენებით ან ფასების აწევით, ბრალეული მხარე გაჯოხვით ისჯებოდა. ზოგიერთ საქონელზე, როგორიც იყო მარილი, ჩაი თუ სხვა – სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიას აცხადებდა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება ისეთი ფორმალური მომენტების სავალდებულობას მოითხოვდა, როგორიც იყო წარმომადგენლებისა და მოწმეების დასწრება. მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს კეთდებოდა დათქმა, რომ იყიდებოდა წიაღისეული და ყველაფერი ის, რაც მიწის ზევით იყო.

საქორწინო-საოჯახო სამართალი. საქორწინო-საოჯახო სამართლის მჭიდრო კავშირმა რელიგიურ ტრადიციებთან განსაზღვრა ამ ნორმების მტკიცე სამართალმემკვიდრეობა. ოჯახის

პატრიარქალური ხასიათი, ანუ მამის ხელისუფლების გავრცელება ოჯახის წევრებზე, საოჯახო სამართლის ძირითად პოსტულატად დარჩა. იკრძალებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის ქორწინება. ქორწინება განიხილებოდა როგორც ვალი, რომელიც ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შესრულებულიყო. ქორწინებას წინ უსწრებდა ქალისა და ვაჟის მშობლებს შორის წინასწარი შეთანხმება. ამ შემთხვევაში მექორწინეთა თანხმობა სავალდებულო არ იყო. საქორწინო ასაკად ითვლებოდა ვაჟებისათვის 15-16 წელი, ხოლო ქალებისათვის 14-15 წელი. შემორჩენილი იყო ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვების დანიშვნის ჩვეულება. იკრძალებოდა „თავისუფალის" მონასთან, მამაკაცის ხაზით ნათესავთან და გვარის წარმომადგენელთან ქორწინება. ასევე აკრძალული იყო პოლიგამია. მეორე ქორწინება პირველი ცოლის სიცოცხლეში ბათილად ითვლებოდა.

ჩინური სამართალი ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში ***განქორწინებასაც*** უშვებდა. განქორწინების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო უნაყოფობა, ქმრისადმი დაუმორჩილებლობა, ქურდობისაკენ მიდრეკილება, შურიანი და ეჭვიანი ხასიათი და ა.შ. ცოლს უფლება ჰქონდა განქორწინება მოეთხოვა, თუ ქმარი მას სამ თვეზე მეტი ხანით დატოვებდა, მონად გაყიდდა ან ამორალური საქციელისკენ უბიძგებდა.

მემკვიდრეობა საერთო უფლებამონაცვლეობის ხასიათს ატარებდა, რადგან ქონებასთან ერთად მემკვიდრეობით ვალებიც გადადიოდა. გათხოვილი ქალები მამის ოჯახიდან მემკვიდრეობას არ ღებულობდნენ, გასათხოვრებს – ქონების ნახევარი წილის მიღების უფლება ჰქონდათ. დაიშვებოდა ჩინების მემკვიდრეობით გადაცემა, რომელიც მაიორატის პრინციპით ხორციელდებოდა. მამას უფლება არ ჰქონდა ვაჟისათვის მემკვიდრეობა წაერთმია ან გაეზარდა წილი რომელიმე შვილის სასარგებლოდ.

სასამართლო პროცესი. სასამართლო პროცესი ძირითადად ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა. საქმე იწყებოდა დაზარალებულის წერილობითი ან ზეპირი განცხადებით. საჩივრის შედგენა გარკვეული ფორმის დაცვას მოითხოვდა, რაც კარგად იცოდნენ

სასამართლოს წინ მჯდარმა ქუჩის გადამწერებმა.

დამნაშავის დევნა იყო სახელმწიფოს ვალდებულება, რომელსაც სპეციალური მოხელეები ასრულებდნენ. დევნა ხორციელდებოდა კანონით დადგენილ ვადებში. მაგალითად, 1690 წლის კანონით დამნაშავის მოსაძებნად ერთთვიანი ვადა იყო დაწესებული. ამ ვადაში თუ მოხელე დამნაშავეს ვერ მოძებნიდა, მის მიმართ ჯოხით ცემის სასჯელი გამოიყენებოდა (მაგალითად, ორი თვით გადაცილებისათვის – 30 დარტყმა). ასეთი სანქციის არსებობა სახელმწიფო მოხელის მიმართ ხშირად იწვევდა უდანაშაულო პირთა პასუხისმგებლობას.

სასამართლოში მოსამართლისა და დანაშაულის გამომძიებელ მოხელესთან ერთად არსებობდა ვექილის, საქმისმწარმოებლის, შიკრიკის, ეგზეკუტორის თანამდებობები. მოწმის სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ასევე ჯოხით ცემა იყო დაწესებული (40-50 დარტყმა). სასამართლო პროცესი მოიცავდა დაკითხვას, დაპირისპირებას, წამებით აღიარების მიღებას. თუ სამჯერ წამების შემდეგ ბრალდებულისაგან აღიარება არ იქნებოდა მიღებული, მაშინ მას აწამებდნენ. მონებს თავიანთი ბატონის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის უფლება არ ჰქონდათ. იმპერატორ ტანის ჩინეთში ბრალდებულის მიმართ სამი სახის განაჩენი შეიძლება გამოეტანათ – გამამართლებელი, გამამტყუნებელი და ეჭვის ქვეშ დამყენებელი. ისეთი მძიმე სასჯელის დაკისრების შემთხვევაში, როგორიც საკატორღო სამუშაოები იყო, ტანის იმპერიის სასამართლოები ითხოვდნენ ბრალდებული პირის თანხმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ხელახლა გადაისინჯებოდა. თუ მტკიცებულებანი არასაკმარისი იყო და ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებდა, მას გაათავისუფლებდნენ და თავმდებს გადასცემდნენ. პირის საეჭვო ბრალეულობის დროს ბრალდებულს თავის გამოსყიდვის შესაძლებლობა ჰქონდა. სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილებას იმპერატორი ამტკიცებდა. უბრალო ხალხის სასიკვდილო განაჩენის აღსრულება საბაზრო მოედნებზე ხორციელდებოდა, ხოლო მოხელეებისა – სახლებში. მათი მოკვეთილი თავები კი ყველას დასანახად მოედნებზე გამოიკიდებოდა.

თავი III. იაპონიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§ 71. იაპონიის სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა

იაპონია წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, აზიის აღმოსავლეთ სანაპიროს კუნძულებზე მდებარე სახელმწიფოა. აქ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ფეოდალიზაციის პროცესი იმდენად ჰგავს ევროპულ ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს, რომ მათ შორის იმ პერიოდში ურთიერთობათა არარსებობის გამო ეს კავშირი „საოცრებად" ითვლება. იაპონიაში გლეხები, ფაქტობრივად მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი და იხდიდნენ როგორც ღალას, ისე ბეგარას. ქალაქებში არსებობდა საამქროები, გილდიები და გერმანული ქალაქების მსგავსად, ისინი თვითონვე უზრუნველყოფდნენ წარმოების წესებისა და გილდიის წევრების კერძო ცხოვრების რეგლამენტაციას.

ტომობივი კავშირების აღმოცენება იაპონიის ტერიტორიაზე ძვ.წ. II საუკუნეში დაიწყო. მათი გაერთიანების შედეგად ახ.წ. III საუკუნეში შეიქმნა მსხვილი კავშირი იამატი (იაპონელები სწორედ მათ მემკვიდრეებად ითვლებიან). დროთა განმავლობაში ქონებრივი დიფერენციისა და კერძო საკუთრების დაცვის მიზნით, გვაროვნულ-ტომობრივი მმართველობა გარდაიქმნა პოლიტიკურ ადმინისტრაციად და ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ახ.წ. VI საუკუნიდან გავრცელებულმა რელიგიურმა მოძღვრებამ – ბუდიზმმა. ახ.წ. 645 წელს, ე.წ. ტაიკას გადატრიალების შემდეგ, იაპონიაში შეიქმნა ადრეფეოდალური ცენტრალიზებული სახელმწიფო, ხოლო 1192 წლიდან დამყარდა სამხედრო-ფეოდალური ხელისუფლება – *სიოგუნატი.* XIII საუკუნეში იაპონია მონღოლთა დაპყრობის საფრთხის წინაშე დადგა. მონღოლთა ხანმა ხუბილაიმ 1281 წელს ორი ლაშქრობაც მოაწყო იაპონიაში, მაგრამ უშედეგოდ. XIV-XVI სს. მიწათმფლობელობის მემამულური სისტემა შეცვალა სამთავროების სისტემამ,

რამაც გამოიწვია ქვეყნის დაქუცმაცებულობა. მთელი XVI საუკუნე ცნობილია მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ გლეხთა განუწყვეტელი აჯანყებებით. ასიკაგას გვარის სიოგუნების ცენტრალური მთავრობა ფაქტობრივად ვეღარ მართავდა ქვეყანას. ასეთ ვითარებაში შეიქმნა ევროპელთაგან იაპონიის დამორჩილების საფრთხე. ამ პერიოდში იაპონიაში სავაჭრო ურთიერთობის დამყარების მიზნით პორტუგალიელები და ესპანელები გამოჩნდნენ. ფეოდალმა მხედართმთავრებმა რამდენჯერმე ილაშქრეს ქვეყნის გაერთიანების მიზნით. იეიასუმ (1542-1616 წწ.)კიდეც შეძლო სიოგუნების ახალი დინასტიის დაარსება და ცენტრალიზებული ფეოდალური აბსოლუტური მონარქიის შექმნა. სახელმწიფო ჩაიკეტა უცხოელთათვის. აიკრძალა ვაჭრობა. ასეთმა პოლიტიკამ სახელმწიფოში კრიზისი გამოიწვია.

XIX საუკუნიდან იაპონიაში კაპიტალისტურ ურთიერთობებს ჩაეყრება საფუძველი, მაგრამ, ამავე დროს 50-60-იანი წლებიდან აშშ-ის და ევროპულ სახელმწიფოთა ექსპანსიის ობიექტი ხდება. 1967-1968 წწ., ე.წ. „დაუმთავრებელი რევოლუციის“ შედეგად დაემხო ტოკუგავას მთავრობა, რასაც მოჰყვა ჩინეთ-იაპონიის ომი (1804-1805 წწ.) და რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.). იაპონიამ 1905 წელს პროტექტორატი დაამყარა კორეაზე და 1910) წელს კიდევაც დაიპყრო იგი. პირველ მსოფლიო ომში იაპონია ანტანტის მხარეს ჩაება და განამტკიცა ჩინეთში თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები. მას მხარს უმაგრებდა აშშ და დიდი ბრიტანეთი.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონია გერმანიისა და იტალიის მოკავშირე იყო. 1045 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა კავშირთან ომის დროს ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას და დაკარგა მანჯურია, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ სახალინი და კურილიის კუნძულები.

1947 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა იაპონიის კონსტიტუცია, რომელმაც შეზღუდა იმპერატორის უფლებამოსილება. საინტერესო იყო ამ კონსტიტუციის IX მუხლი, რომლის თანახმად იაპონია უარს აცხადებდა ომზე, როგორც საერთაშორისო კონფლიქტის

გადაჭრის საშუალებაზე და ამ მიზნით შეიარაღებული ძალების შექმნაზე.

სან-ფრანცისკოს საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლით აშშ-მა შეინარჩუნა იაპონიაზე ეკონომიკური და სამხედრო კონტროლის უფლება.

50-იანი წლების დასაწყისიდან იაპონიის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მატერიალური წარმოების ეფექტურობა. 60-იანი წლების დასასრულიდან იაპონია საერთო-ეროვნული პროდუქციისა და სამრეწველო წარმოების მოცულობით მეორე ადგილზე გამოვიდა აშშ-ის შემდეგ. წარმოების კონცენტრაციის პროცესმა ქვეყნის მთელი ეკონომიკა რამდენიმე ძლიერი მონოპოლისტური ჯგუფის კონტროლს დაუქვემდებარა. გაიზარდა იაპონიის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. მათ გამოაცხადეს მრავალპოლუსიანი დიპლომატიის „დოქტრინა", რაც გულისხმობდა დასავლეთ ევროპის, სსრ კავშირისა და ჩინეთთან ურთიერთობის განვითარებას.

ასე რომ, იაპონია თავისი ისტორიული განვითარებით საკმაოდ ორიგინალური სახელმწიფოა. შემდგომ პარაგრაფებში განვიხილავთ ფეოდალიზმისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა თავისებური განვითარების ფონზე, იმპერატორის ხელისუფლების ტრადიციულ მმართველობა, სიოგუნატის მმართველობსა და კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის პოლიტიკურ და სახელმწიფო სამართლებრივ პრობლემებს.

§ 72. სახელმწიფო წყობილება ფეოდალური ხანის იაპონიაში

ახ.წ. VII საუკუნეში გვაროვნულ-ტომობრივი კავშირების გაერთიანებას და ტომის ბელადის *სიოტიკუ ტაიკის* რეფორმებს, რომლებიც იაპონიის ისტორიაში პოლიტიკური რევოლუციის სახელწოდებით არის ცნობილი, მოჰყვა ადრეფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობა. ამ სახელმწიფოს ძირითად იდეოლოგიას შეადგენდა

ბუდიზმისა და კონფუციანელთა მოძღვრებები, რომელთა ძირითადი დებულებები ადვილად შეერწყა იაპონელთა ძველ რელიგიას – სინტოს („სულების გზა“) და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების დასაყრდენი გახდა.

ტაიკის რეფორმები საკანონმდებლო წესით განმტკიცდა ახ.წ. 604 წელს მიღებული იამაიტოს მეფეების დეკლარაციით (სიოტიკუს კონსტიტუცია). მისი ძირითადი მუხლები რელიგიურ-ეთიკური ხასიათის მიუხედავად, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის საკითხებს ეხებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ამ რეფორმებისა და მისი საკანონმდებლო ბაზის შედეგი იყო ერთიანი ცენტრალიზებული იაპონური სახელმწიფოს შექმნა, ქვეყნის სათავეში განუსაზღვრელი უფლების მქონე ***იმპერატორის*** ხელისუფლებით. სიოტიკუს კონსტიტუციის მე-3 მუხლით, „თუ უმაღლესი ბრძანებს, უმდაბლესი მას უნდა დაემორჩილოს“. თეოკრატიული მოძღვრება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების გაღმერთებისა, მართალია, ჩინეთიდან მომდინარეობს, მაგრამ მათგან მემკვიდრეობით მიღებული ტერმინი „ტენო“ (ცის შვილი) იაპონელთა ცნობიერებაში სხვაგვარად მოიაზრება. თუ ჩინეთში ვანების დინასტიების ცვლილება „ცის ბრძანებათა შეცვლით“ აიხსნება, იაპონელები ქედს იხრიდნენ არა მარტო ცის, არამედ მზის, მთებისა და მდინარეების წინაშე და ამიტომ იაპონელ იმპერატორებს უმაღლესი ხელისუფლების განხორციელება „სხვადასხვა ღმერთებისაგან ჰქონდათ დავალებული“. სინტოს მიხედვით, იმპერატორი, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი – ქურუმი, მზის შთამომავლად ითვლებოდა. სინდოსა და ბუდიზმის შერწყმით კი იგი არა მარტო პირველი ქურუმია, არამედ უმაღლესი საერო მმართველი, პირველ რიგში, შეიარაღებული ძალების მეთაური, რომლის შეუვალი ავტორიტეტი ამ სფეროში კანონებსა და კოდექსებს ეფუძნებოდა.

იაპონიაში კარგად დამუშავებული ცენტრალური საერო და სასულიერო მმართველობის სისტემა ***მრჩეველთა ინსტიტუტს*** ეყრდნობოდა. ყველა რანგის მრჩეველი ქვეყნის მართვაში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, რომლებიც იმპერატორის სარეზიდენციო

ქალაქ ნაროში კი არა, 804 წელს აშენებულ დედაქალაქში – კიოტოში იყრიდნენ თავს. აქედან დამკვიდრდა ორი დედაქალაქის ტრადიცია იაპონიაში, რასაც ორხელისუფლებიანობა და კიდევ უფრო მეტი, სამხელისუფლებიანობა მოჰყვა, როცა სახელმწიფო მმართველობაში ბუდისტთა იერარქიაც გაჩნდა.

იმპერატორთან არსებობდა ***სახელმწიფო საბჭო*** (დაძე-კან), რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ამუშავებდა, უზრუნველყოფდა იმპერატორის ბრძანებათა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგზავნას. ჩინეთისაგან განსხვავებით, ცალკე არსებობდა ***სასულიერო სახელმწიფო საბჭო*** (ძინგი-კან), ანუ „ცისა და მიწის სულთა საქმეების საბჭო". იგი ხელმძღვანელობდა ეკლესიებსა და სამლოცველოებს და მათთან მიწერილ საეკლესიო ურთიერთობებს. ეს უწყება იზოლირებული იყო სხვა უწყებებისაგან, მაგრამ საკმაოდ მაღალი მდგომარეობა ეკავა სახელმწიფოში.

ჩინეთის მსგავსად, აქაც სახელმწიფო საბჭოს მკაცრად განსაზღვრული შინაგანი სტრუქტურა გააჩნდა, რომლის სათავეში უმაღლესი მინისტრი – ***კანცლერი*** იდგა. იგი იმპერატორის მიერ ინიშნებოდა და ქვეყანაში „მშვიდობის, წესრიგისა და ჰარმონიის" შენარჩუნება ევალებოდა. რამდენადაც ასეთ პირის პოვნა ქვეყანაში ძნელი იყო, ამიტომ ეს თანამდებობა ხშირად ვაკანტური რჩებოდა ხოლმე.

სახელმწიფო საბჭოში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა ***მარცხენა*** (უფროსი) და ***მარჯვენა*** (უმცროსი) ***მინისტრებს***, რომლებიც მმართველობით ფუნქციებს მრჩეველთა აპარატის რეკომენდაციების საფუძველზე ახორციელებდნენ. მათთან ერთად სახელმწიფო საბჭოში შედიოდა რვა მინისტრი, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ ***იმპერატორის კარსა*** და ***ცენზორთა პალატასთან.*** ეს უკანასკნელი ტრადიციებისა და მორალური ნორმების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა. მორალური ნორმების დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შეეძლო გამოძიება დაეწყო და ამის შესახებ ეცნობებინა იმპერატორისათვის. ცენზორატის გადაწყვეტილების შეჩერების უფლება ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს.

სამხედრო სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და იუს-

ტიციის სამინისტროს გვერდით, იაპონიაში არსებობდა განსაკუთრებული სამინისტრო „ზოგად საქმეებზე“, რომელსაც სასახლის მიმდინარე საქმეების აღრიცხვა, რიტუალების წარმოება, იმპერატორის ბრძანებულებათა რედაქტირება, აგრეთვე მოსახლეობის ცენტრალური რეესტრირება ევალებოდა. იგი უმაღლეს კანცელარიას წარმოადგენდა და პირველი ადგილი ეჭირა სახელმწიფო აპარატში.

ასე რომ, იაპონიის თავდაპირველი სახელმწიფო მმართველობა აბსოლუტურად განსხვავდებოდა არა მარტო შუა საუკუნეების ქვეყნებისაგან, არამედ თვით აღმოსავლეთში ბუდისტური სახელმწიფოების მმართველობისაგანაც. ამ განსხვავების ძირითადი საფუძველი ის იყო, რომ XI-XII სს. პოლიტიკური დაქვემდებარების სამი ცენტრი შეიქმნა: იმპერატორის სასახლის, მმართველი ფენის სასახლის (ფუძივარები) და ბუდისტური მონასტრების სახით. XII საუკუნიდან იზრდება პოლიტიკური როლი ***ადგილობრივი გუბერნატორებისა***, რომლებიც თავიანთ სამფლობელოებში კლანების ეკონომიკური დახმარებით შეუზღუდველ მმართველებად იქცნენ. სასახლის კარის, ძლიერ კლანთა და სასულიერო წოდებას შორის დაუსრულებელ ბრძოლას მოჰყვა იაპონიაში მმართველობის ახალი ფორმის – ***სიოგუნატის*** დამკვიდრება, რომელიც ფეოდალური სამხედრო დიქტატურის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. ამ დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება თავმოყრილი იყო ***სიოგუნის*** (უმაღლესი მხედართმთავრის) ხელში. შენარჩუნებული იქნა იმპერატორის, როგორც სახელმწიფოს ნომინალური მეთაურის ხელისუფლება. იმპერატორი მხოლოდ სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენდა. იგი ტრადიციულად ყველა ღირსებას ინარჩუნებდა, მაგრამ არც თვითონ და არც საიმპერატორო კარი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე როლს აღარ ასრულებდა. ამ თვალსაზრისით საიმპერატორო კარი ფეოდალურ ოპოზიციად იქცა.

პირველი სიოგუნის – მინამოტოს (1192-1333 წწ.) მიერ შემოღებული და სამხედრო-ბიუროკრატიულ აპარატზე (ბაკუფუ) დაფუძნებული ახალი მმართველობა იაპონიის სახელმწიფოთმ-

ცოდნეთა მიერ ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების მეორე ეტაპად არის მიჩნეული[1].

XII-XIII სს. მცირეწლოვან სიოგუნზე რეგენტობის დაწესებას მოჰყვა იაპონიის მმართველობაში „მესამე საფეხურის" გაჩენა – ***სიკენატა***. ეს თანამდებობა თანდათან მემკვიდრეობითი გახდა. მართალია, იმპერატორსა და სიოგუნს ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურაში თავიანთი ადგილი ეკავათ, მაგრამ მნიშვნელოვანი ხელისუფლება ***სიკენის*** ხელში გადავიდა. სიკენატს არ შეუცვლია სამხედრო-ფეოდალური მმართველობის სახე, რომელიც იაპონიაში XIX საუკუნემდე – რევოლუციის შედეგად იმპერატორის ხელისუფლების აღდგენამდე არსებობდა.

სიოგუნატის მმართველობის მექანიზმის უცვლელი რგოლი იყო საიმპერატორო კარზე მკაცრი კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ***ბაკუფუ***. 1221 წლიდან იგი იმპერატორის რეზიდენციაში აგზავნიდა უფლებამოსილ სიოგუნს (ტენდაია), რომელსაც შეეძლო თავისი სახელით ბრძანებები გამოეცა. მათი შესრულება კი უზრუნველყოფილი იყო განსაკუთრებული სამხედრო ძალის – ***სამურაის*** მიერ. დროთა განმავლობაში სიოგუნმა მიითვისა ახალი იმპერატორის დამტკიცების, რეგენტებისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნის უფლება საიმპერატორო კარზე.

სიოგუნატი აბსოლუტური მმართველობის ხასიათს იძენს XVII-XVIII სს., როცა მმართველობის სასტიკი მეთოდები დაინერგა და შეიქმნა სპეციალური საპოლიციო აპარატი. ტოკუტავას მესამე სიოგუნატის მმართველმა – იეიასუმ – სამხედრო ძალით გააერთიანა ქვეყანა. მიითვისა საერო ფეოდალთა და ბუდისტურ მონასტერთა მიწები და მსხვილ მიწათმფლობელად იქცა. ამ ეტაპზე იმპერატორის ხელისუფლება აბსოლუტურად დეპოლიტიზებული გახდა. დაწესდა ახალი თანამდებობა – ***სიოსილია*** – სიოგუნის წარმომადგენელი საიმპერატორო დედაქალაქში. 1615 წლის კანონით იმპერატორის რელიგიური ფუნქციებიც კი სიოგუნის კონტროლის ქვეშ მოექცა. სიოგუნის ხელისუფლების განმტკიცების

1 ნახე: Эйдус Х.Г. Япония от первой до второй мировой войны. М., Госполитиздат, 1946.; Медведев А. Японские парадоксы. М., Изд-во «ЭКО», 1998.; Леонтьева Е. Япония: экономическое положение, XXв. М., изд-во «МЭМО». 2001.

ერთ-ერთი საშუალება იყო მძევლობა, რომელიც 1635 წელს კანონით დამკვიდრდა. იმპერატორის შვილები უნდა გაზრდილიყვნენ სიოგუნის ქალაქ ედოში.

სიოგუნატის ხელისუფლების ცენტრალიზაციას მოჰყვა სამხედრო-პოლიციური აპარატის დახვეწაც. სიოგუნის უახლოეს თანაშემწედ ითვლებოდა ***პირველი მრჩეველი (ტაირო)***, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში რეგენტის როლშიც გამოდიოდა. სიოგუნთან არსებობდა ***უფროს მრჩეველთა სათათბირო (რეძიუ)***. ***მრჩეველთა სათათბირო*** წარმოადგენდა ცენტრალური მმართველობის ორგანოს (ბაკუფუ). რამდენიმე უფროსი მრჩეველი შეადგენდა ***სახელმწიფო საბჭოს*** (მინისტრთა კაბინეტის მსგავსად), რომლის წევრებს დარგობრივი კონტროლის ფუნქცია ეკისრებოდათ. სიოგუნის ***უმცროს მრჩევლებს*** სიოგუნის გვარდიის ხელმძღვანელობა, სასახლის დაცვა, ვასალებზე ზედამხედველობა ევალებოდათ.

ადგილობრივი მმართველობა. ახ.წ. 645 წელს სანადელო სისტემის შემოღებას უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა ***პროვინციებად*** (კუნ), ხოლო 646 წლიდან – ***მაზრებად***, რომელთაც ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატიიდან დანიშნული მოხელეები მართავდნენ. მათთან ერთად მაზრებში იგზავნებოდნენ ***მეფის კონტროლიორები***. ყველაზე დაბალ ადმინისტრაციულ ერთეულს ***სოფელი*** წარმოადგენდა. რომლის მმართველი სოფლის მოსახლეთა შემადგენლობიდან ინიშნებოდა. თითოეული სოფელი 50 კომლის გაერთიანება უნდა ყოფილიყო, რადგან ასეთი დიდი სოფლები იაპონიაში იშვიათობა იყო, ხშირად მცირე სოფლები ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ***კომლის გაერთიანებათა*** სისტემას, სათავეში – მამასახლისით, რომლის ფუნქცია იყო გადასახადების აკრეფა და ადგილებზე სასამართლო და საპოლიციო ფუნქციების განხორციელება.

სიოგუნატის მმართველობის განმტკიცებას მოჰყვა ადგილებზე სამხედრო პირების – ***პროტექტორების*** (სიუგო) დანიშვნა. მათ ევალებოდათ იმპერატორის ადგილობრივ ხელისუფლებაზე კონტროლი და საფინანსო-სამხედრო საქმეების წარმოება.

სახელმწიფო აპარატში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ

სპეციალური საპოლიციო ინსპექტორები (მეცკე), რომლებიც საპოლიციო ზედამხედველობას ახორციელებდნენ ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე, უმაღლესი მოხელედან მოყოლებული გლეხამდე. ამ აპარატს ხელმძღვანელობდა ***ომეცკე***. მათი უფლებები განისაზღვრა 1632 წლის კანონით. ***საპოლიციო ინსპექტორი*** ზედამხედველობდა დიდებულებსა და სახელმწიფო მოხელეებს. გადაადგილება ქვეყანაში საშვთა სისტემით დაიშვებოდა.

ქალაქებში ინიშნებოდა ***ქალაქის მმართველი***, რომელიც ფართო ადმინისტრაციული, საპოლიციო და სასამართლო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი. არსებობდა ***მსხვილ ვაჭართა საბჭოები***, მაგრამ ქალაქის მმართველობას იაპონიის პოლიტიკურ სისტემაში რაიმე არსებითი კვალი არ დაუტოვებია.

§ 73. იაპონიის საზოგადოების წოდებრივი დაყოფა და მათი უფლებები

იაპონიის საზოგადოებრივი სტრუქტურა ძირითადად ორი სოციალური ფენის სახით ჩამოყალიბდა ***„კეთილშობილები“*** და ***„სულმდაბლები“***. თითოეული ფენა შედგებოდა რამდენიმე სოციალური ჯგუფისაგან. კეთილშობილებს შორის გამოიყოფოდა იმპერატორთან დაახლოებული პირები, იმპერატორის ოჯახის წევრები, გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები და მსხვილი მოხელეები. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფთა შემადგენლობა მყარი არ იყო და იცვლებოდა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით.

კეთილშობილთა ძირითადი მასა (რიომინი) ადრე ყოვლისშემძლე კლანთა მეთაურების პირად დაქვემდებარებაში იყო და სანადელო სისტემის შემოღებასთან ერთად სახაზინო მიწებზე სახლობდა. ამ ფენის წარმომადგენლები კონკრეტული მიწის მეპატრონეზე მიმაგრებულნი არ ყოფილან, მაგრამ მაზრის უფროსის ან იმ ბატონის ნებართვის გარეშე, რომელსაც ემსახურებოდნენ, მიწის გაყიდვის უფლება მაინც არ ჰქონდათ.

დიდი ოჯახები ან მცირე ოჯახთა ჯგუფები შეადგენდა „ეზოს“,

რომელიც სამეურნეო და საგადასახადო ერთეული იყო. იაპონიაში არ ცნობდნენ ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების მიხედვით განსხვავებულ დამოკიდებულებას. სამოხელეო სამსახური ითვლებოდა კანდიდატის პირად და სამუდამო პრივილეგიად. ცალკეული თანამდებობები სამოხელეო კატეგორიებად ერთიანდებოდა, რომელთაც ესა თუ ის რანგი შეესაბამებოდა. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელი იყო თანამდებობა და არა რანგი, განსხვავებით ჩინეთისაგან, სადაც რანგი განსაზღვრავდა თანამდებობას.

განსაკუთრებით ჭრელი იყო „სულმდაბალთა“ შემადგენლობა, სადაც შედიოდნენ დამარხვის მომსახურე მუშაკები, „სახაზინო სახლის წევრები“, სახაზინო და კერძო მონები და აზატები.

მონები (ნუხი), სამართლის წყაროების მიხედვით, ისევე როგორც ჩინეთში, გარკვეული უფლებებით სარგებლობდნენ. შეიძლებოდა მათზე გაყიდვა და მკმკვიდრეობით გადაცემა, შეეძლოთ დაქორწინება და გარკვეული საკუთრების ქონა. მონობის წყაროს შეადგენდა მონობის მისჯა, მონად მიყიდვა (თვითონ ან მშობლებისაგან), ვალაუვალობა და სამხედრო ტყვეობა.

სახაზინო სახლის მუშაკებისათვის არსებობდა აღრიცხვის სპეციალური წესი, განსაკუთრებით მათ მიერ დამუშავებული ნაკვეთების და იქიდან მიღებული შემოსავლისათვის; კანონი მათთვის გარკვეულ უფლებამოსილებებს ითვალისწინებდა: დეკადაში ერთი დღე დასვენების უფლება ჰქონდათ. ქალებს მშობიარობის შემდეგ შედარებით იოლი საქმე ეძლეოდათ; უზრუნველყოფილნი იყვნენ ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით; ჩინოვნიკებს უფლება არ ჰქონდათ ისინი პირადი ინტერესებისათვის გამოეყებინათ.

აზატების (კედინი) გარკვეული სპეციფიკით გამოირჩეოდნენ. მონებისაგან განსხვავებით, მათი გაყიდვა არ შეიძლებოდა, თუმცა გაქცეული აზატი ბატონს უბრუნდებოდა. სახაზინო მომსახურე 60 წლის ასაკიდან თავისუფლდებოდა ხაზინის სამსახურიდან.

საზოგადოების სტრუქტურის შემდგომი ცვლილება იაპონიაში სიოგუნატის მმართველობას მოჰყვა. ამ დროს ზედაფენას შეადგენდა ფეოდალთა პრივილეგირებული ჯგუფი, სიოგუნთა უშუალო ვასალები (გოკენინი), სხვა ფეოდალური სამთავროების, მონას-

ტრებისა და ტაძრების ვასალები. წოდებათა შორის არ შედიოდა უბრალო ხალხი: გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები.

ახ.წ. XIII-XV სს. სავაჭრო ურთიერთობების გაზრდას მოჰყვა ქალაქთა აყვავება. ქალაქებში გაჩნდა ხელოსანთა და ვაჭართა პირველი გაერთიანებები (ძია), რომელთა ნაწილი დამოუკიდებლობას აღწევს. ცვლილებები შეეხო ფეოდალთა ფენასაც. სამურაი ვალების გამო კარგავდა სამფლობელოს და თავის ბატონის ხელქვეითი ხდება. სახნავი მიწების უდიდესმა ნაწილმა თავი მოიყარა მსხვილ მემამულეთა (დაიმე) ხელში.

მესამე სიოგუნატის პერიოდში იაპონიის ფეოდალური საზოგადოების ოთხ ნაწილად დაყოფის განმსაზღვრელ ფორმულას წარმოადგენდა: „სი-ნო-კო-სიო" – სამურაი (სი), გლეხი (ნო), ხელოსანი (კო), ვაჭარი (სიო).

სიოგუნი ყველაზე დიდი ფეოდალი იყო, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 1=3 და 300-მდე მემამულე თავადი – დაიმე ეკუთვნოდა. დაიმეთა შემადგენლობა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით განსხვავებული იყო: 1. დიდებულები (ფულაი-დაიმე), რომლებიც სიოგუნის უშუალო ვასალები იყვნენ და დიდი თანამდებობები ეკავათ მის კარზე; 2. დიდებულები (ტოძამა-დაიმე), რომლებიც მმართველობის სფეროს ჩამოშორებულნი იყვნენ; 3. განსაკუთრებული ფენა იყო საგვარეულო არისტოკრატია (კუგე). საზოგადოების ეს ფენა იმპერატორის სამოხელეო აპარატს შეადგენდა, მაგრამ ისინი არ ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს და მთლიანად სიოგუნთა ადმინისტრაციაზე იყვნენ დამოკიდებული, რადგან საზრდოობისათვის სიოგუნისაგან „ბრინჯის საკვებს" ღებულობდნენ; 4. ძირითად მასას შეადგენდნენ სამურაები. ისინი სიოგუნისა და დაიმეს სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. მათ შემოსავალს სამხედრო ნადავლი და სიოგუნის საზრდოობის უფლება („ბრინჯის საკვები") შეადგენდა.

1653 წლის კანონით, სამურაების ფენა დაუპირისპირდა ყველა ზედაფენას, რადგან მათ მიიღეს უფლება, დაეკავებინათ სახელმწიფოში სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები.

§ 74. იაპონიის სამართლის ძირითადი ნიშნები

იაპონური სამართლის ძირითად წყაროს ადათები წარმოადგენდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სამართლის ნორმები არ იყო გამოყოფილი რელიგიური და ეთიკური ნორმებისაგან, თუ არ ჩავთვლით სასჯელის შესახებ ცალკეულ დებულებებს.

კანონებიდან აღსანიშნავია ***სიოტოკუ-ტაისის*** ახ.წ. 604 წელს შედგენილი კონსტიტუცია, რომელიც ქვეშევრდომთა მიმართ ხელისუფალთა მორალურ აღთქმებს შეიცავდა.

ახ.წ. VII საუკუნეში სანადელო სისტემისა და ჩინების შემოღებას მოჰყვა ***კოდექსების*** შექმნა, რომლებიც არეგულირებდნენ მიწაზე ურთიერთობებს, საზოგადოების ჯგუფების პრივილეგიებსა და ვალდებულებებს, სისხლისა (რიცუ) და ადმინისტრაციულ (რიო) სამართლებრივ ურთიერთობებს, თუმცა, მათ შორის მკვეთრი საზღვრების დადგენა შეუძლებელია. პირველი ასეთი კოდექსი იყო ***ტაიხო რიო***, შედგენილი 720 წელს. პოლიტიკური არასტაბილურობის გამო იგი ძალაში შევიდა 757 წელს და თავისი მნიშვნელობა XX საუკუნემდე შეინარჩუნა. კოდექსის ორი ვერსია არსებობს: ტაიხო და იერო, რომლებიც სამართლის ისტორიაში ერთიან. კრებულად განიხილება („ტაიხო ერო რიო"). კრებულში არ ვხვდებით საჯარო და კერძო, სანივთო, საქორწინო-საოჯახო, მემკვიდრეობით ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებად დაჯგუფებას. მასში საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობები რეგულირდება სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით.

კოდექსებთან ერთად სამართლის წყაროდ გამოიყენებოდა იმპერატორთა ***ბრძანებულებები*** და ***დადგენილებები***. ბრძანებულებებს ნორმატიული აქტის სახე ჰქონდა. დადგენილებანი კი ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ ნორმათა პრაქტიკულ გააზრებას წარმოადგენდა. ბრძანებულებანი თავს იყრიდა კრებულებში. მაგალითად, 927 წელს შედგენილ იქნა ასეთ ბრძანებულებათა კრებული. მან თანდათან შეავიწროვა კოდექსების მნიშვნელობა.

იაპონიის სამართალში მკვეთრი ცვლილებები ხდება სიოგუნატის მმართველობის შემოღებით და ერთიანი სამართლებრივი სივრცის რღვევით.

ამ პერიოდში იმპერატორთა წერილობითი ბრძანებულებები თანდათან კარგავენ ზოგადსამართლებრივ ნორმატიულ ხასიათს და უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ-სამართლებრივ ნორმებს – ***გირის***, რომელთა იდეოლოგიურ საფუძველს კონფუციანელობა წარმოადგენდა. იყო შემთხვევები, როცა გირის მორალურ-ეთიკური ნორმები საკანონმდებლო წესით მტკიცდებოდა. მაგალითად, 1232 წელს პირველი სიოგუნატის პერიოდში შეიქმნა წესდება, ანუ ***სამურაის „ღირსების კოდექსი“***. წესდებით მძიმე სასჯელი იყო დაწესებული ფეოდალთა აჯანყებისა და შეთქმულებისათვის, მიწების უკანონო მითვისებისათვის. იგი ადგენდა მიწის შთამომავლობით გადაცემის ზოგად წესს.

სიოგუნთა ვასალურ-ლენური ურთიერთობების რეგულირების მიზნით, სიუგუნატი გამოსცემდა ბრძანებებს. მაგალითად, 1267 წელს გამოვიდა სამთავრობო ბრძანება, რომელიც კრძალავდა ვასალთა მიერ მიწების გაყიდვასა და გირაოდ ჩადებას.

XIII საუკუნიდან გამოიცა ***„გულმოწყალების“ სპეციალური ბრძანებები***, რომელიც, აუქმებდა სამურაების მიერ დადებულ ყველა ხელშეკრულებას მიწის ყიდვა-გაყიდვასა და გირაოსთან დაკავშირებით.

XV-XVI სს. ერთიანი სამართლის როლი მთლიანად დაეცა და ყოველი სამთავრო, ყოველი წოდება ხელმძღვანელობდა თავისი საკუთარი დადგენილებებით ადათების საფუძველზე. ზოგჯერ მათი კოდიფიკაციაც ხდებოდა და იქმნებოდა სამართლის კრებულები. მაგალითად, ასეთ კრებულთა რიცხვს ეკუთვნის „კიომუს კოდექსი“ (1334-1338 წწ.).

მესამე სიოგუნატის პერიოდი ცნობილია კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამოცოცხლებით. XVII-XVIII სს. გამოდიოდა კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ იმპერატორთა და მსხვილი ფეოდალების (დაიმე) საქმიანობას, ადგენდნენ წოდებათა სტატუსებს (სამურაი, გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები). ასეთი იყო, მაგა-

ლითად, 1615 წელს სიოგუნ იეიასუს „თვრამეტი მუხლის კანონი“ და 1742 წელს „100 მუხლის კოდექსი“. ამ პოლიტიკის პოზიტიური შედეგები უმნიშვნელო იყო, რადგან კანონთა ცოდნა იაპონიაში მხოლოდ რჩეულთა პრივილეგიას წარმადგენდა. კანონები არ ქვეყნდებოდა. მოქმედებდა პრინციპი „შესრულება აუცილებელია, ცოდნა – არა“, მაგალითად, 1742 წლის კოდექსი ინახებოდა საიდუმლოდ. მისი გაცნობის უფლება მხოლოდ ბანკუფუს სამ წევრს ჰქონდა. ასეთი იყო სამართლის წყაროთა შედგენისა და მათი რეალიზაციის თავისებურებანი იაპონიაში. რაც შეეხება სამართლის დარგებს, მათი განხილვა, როგორც ჩინეთში, სისხლის სამართლით დავიწყოთ.

სისხლის სამართალი. შუა საუკუნეების იაპონურ სამართალში არ იყო განსხვავება დელიქტებსა და დანაშაულებს შორის.

რიო-ს ტრადიციული გაგება გულისხმობდა კანონს, რომლის დარღვევისათვის არ ხდებოდა ხუთიდან არც ერთი მძიმე სასჯელის გამოყენება (სიკვდილით დასჯიდან – გაროზგვამდე).

მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა: იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: აჯანყება, სამშობლოს ღალატი, „სასტიკი მკვლელობა“ (ერთი ოჯახის სამი წევრის მკვლელობა, ახლო ნათესავების მკვლელობა და ა.შ.), „დიდი უპატივცემულობა“ (მონასტრებისა და წმინდა სარიტუალო საგნების დანგრევა), „ავსიტყვაობა და უპატივცემულობა“ მამისა და ახლო ნათესავების მიმართ, „ვალდებულების დარღვევა“(უფროსის, ზედამხედველისა და სხვა თანამდებობის პირის მკვლელობა).

სასჯელთა ხუთწევრიანი სისტემა მოიცავდა: სიკვდილით დასჯას, რომელიც ჩამოხრჩობით ან თავის მოკვეთით ხორციელდებოდა, გადასახლებას საკატორღო სამუშაოების შესრულებით და მის გარეშე, კატორღას, გაროზგვას (60-დან 100 დარტყმამდე), გამათრახებას (10-დან 50 დარტყმამდე).

გვიან პერიოდში „ტაიხო ერო რიოს“ დაემატა სასჯელის ისეთი სახე, როგორიც იყო ქონების კონფისკაცია, ჯარიმა. შეიძლებოდა სასჯელისაგან გამოსყიდვაც (მათ შორის სიკვდილით

დასჯისგანაც), რაც ხელისუფალთა შეხედულებებზე იყო დამოკიდებული. ამ უფლებით მხოლოდ იმპერატორის ნათესავები და არისტოკრატთა ფენის წარმომადგენლები სარგებლობდნენ.

ზოგადი სასჯელებიდან ცალკე გამოიყოფოდა სპეციალური სასჯელი სამხედრო და სამოქალაქო ჩინის მქონე პირებისათვის. ის მოხელე, რომელიც დანაშაულის ჩადენისათვის ისჯებოდა სიკვდილით, ან მიიღებდა შეწყალებას იმპერატორისაგან, ან გამოისყიდდა სასჯელს, თავისუფლდებოდა თავისი სამოხელეო უფლებებისგანაც. მძიმე სასჯელად ითვლებოდა სამოსახელეო სიებიდან ამოღება, რაც შეუძლებელს ხდიდა ასეთ პირს ოდესმე სამსახურში დაბრუნებაზე ეფიქრა.

კოლექტიურ პასუხისმგებლობასთან ერთად, ჩინეთში არსებობდა სასჯელის შემსუბუქება მოხელეთა ოჯახის წევრებისათვის.

იაპონიის სისხლის სამართლის თავისებურება იყო ამ ნორმების გავრცელება ბუდისტურ ეკლესიაზე. კოდექსები საერო სასჯელებთან ერთად რელიგიურ სასჯელებსაც ითვალისწინებდა. ამ უკანასკნელთ შეიძლება შეეცვალათ საერო ხასიათის სასჯელი.

იაპონიის სისხლის სამართალი ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განასხვავებდა ბრალის ფორმებსა (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) და თანამონაწილეობას.

სასჯელის „კანონისმიერი“ გამოყენების საზღვრები თითქმის მოისპო სიოგუნატის დამყარებით, როცა უკანონო ანგარიშსწორებამ ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი. მაგალითად, სამურაის შეურაცხყოფისათვის შეეძლო დაუსჯელად მოეკლა უბრალო წრის კაცი; არ ისჯებოდა მოღალატე ცოლის მკვლელი ქმარი; ფართოდ იყო გავრცელებული შვილის მოკვლის დაუსჯელობის პრაქტიკა გლეხთა ოჯახებში (ზედმეტი ტყუილისგამო ცემის დროს).

იაპონური წყაროები გვამცნობენ, რომ სასჯელთა სახეები სიოგუნატის მესამე ეტაპზე თანდათან მცირდებოდა. დამნაშავეს ყელამდე ჩამარხავდნენ გზის პირას და გვერდით ხერხს დაუდებდნენ. თითოეულ გამვლელს უფლება ეძლეოდა თავი მოეხერხა დამნაშავისათვის. თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული ქურდობისათვის და დანაშაულის რეციდივის შე-

მთხვევაშიც.

ქონებრივი ურთიერთობები. ახ.წ. VII საუკუნიდან მოყოლებული ასწლეულების მანძილზე იაპონიაში ***საკუთრების*** სამი ფორმა არსებობდა: სახაზინო, საზოგადო და დიდი ოჯახის.

სახელმწიფო, ანუ სახაზინო ფონდის მიწები იყოფოდა ნაკვეთებად, რომლებიც მფლობელობაში გადაეცემოდა როგორც თავისუფალ პირებს, ასევე მონებს. სახაზინო მონები და სახაზინო ეზოები (კომლი), სხვა მენადელეებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ გადასახადს არ იხდიდნენ.

ცალკეული კომლისათვის მფლობელობაში გადაცემული სახაზინო ნაკვეთები ოჯახის მესამე თაობამდე გადადიოდა მემკვიდრეობით.

საოჯახო საკუთრებას იცავდა სახელმწიფო. აკრძალული იყო კომლის საკუთრების უმიზეზო გაყოფა, ოჯახიდან თვითნებური გამოყოფა და ა.შ. გამოყოფის მსურველ პირს ნებართვა უნდა მიეღო მამასახლისისაგან. საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენდა ტყეები, მთები, საძოვრები, რომლითაც ყველას შეეძლო ესარგებლა.

სახაზინო მიწები გაიცემოდა თანამდებობისა და ჩინების მიხედვით. არსებობდა მიწების განსაკუთრებული სარეზერვო ფონდი, რომლიდანაც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გამოიყოფოდა „ჯილდო-ნაკვეთები“. ამისათვის გამოიცემოდა იმპერატორთა სპეციალური ბრძანებულებანი. განსაკუთრებით დიდი დამსახურებისათვის გადაცემული „ჯილდო-ნაკვეთები“ მემკვიდრეობის განუსაზღვრელი უფლებით გაიცემოდა, ხოლო სხვა დამსახურებისათვის – ერთი ან ორი თაობის მემკვიდრეების უფლებით. პრაქტიკულად დანერგილი იყო როგორც სახელმწიფო ფონდის, ისე სამოხელეო მიწების იჯარით გაცემა. გამონაკლის შემთხვევებში, იჯარით გაიცემოდა საგლეხო მიწებიც. საბაღე ნაკვეთების საიჯარო ვადა შეუზღუდავი იყო, სახნავი მიწებისა – 1 წლით იყო განსაზღვრული. მკაცრად იკრძალებოდა არა მარტო მინდვრების, არამედ საბაღე ნაკვეთების ბუდისტური ტაძრებისათვის ჩუქება და მიყიდვა. წიაღისეული თავისი

სამართლებრივი მდგომარეობით არ განსხვავდებოდა სახაზინო მიწების სამართლებრივი რეჟიმისაგან.

ნადელური სისტემის ლიკვიდაციას და ლენურ-ვასალურ ურთიერთობათა განვითარებას მოჰყვა ფეოდალური მიწათსარგებლობის ისეთი ფორმების არსებობა, როგორიც იყო მხედარ სამურის სამემკვიდრეო და ბენეფიციური საკუთრების ფორმები.

ფულად-სასაქონლო მეურნეობის სუსტმა განვითარებამ გამოიწვია ვალდებულების, როგორც იურიდიული კატეგორიის არარსებობა. ევროპულ ტერმინს „ვალდებულება" იაპონიაში შეესიტყვისებოდა „გიმუ", რაც ნიშნავდა იმას, თუ რა უნდა გაეკეთებინა თითოეულ ადამიანს და რისი გაკეთება ეკრძალებოდა მისი სტატუსიდან გამომდინარე. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ხელშეკრულება იყო.

იაპონური სამართალი იცნობს *ხელშეკრულებათა* ზოგიერთ სახეს. „ტაიხო ერო რიოს" მხოლოდ 10 მუხლია მიძღვნილი ხელშეკრულებისადმი. ქირავნობა, გირავნობა, შენახვა მკაცრად იყო რეგლამენტირებული სახელმწიფოს მიერ და მათი დარღვევა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა.

კერძო ვაჭრობა იაპონიაში არა მარტო დიდებულთათვის, არამედ გლეხებისთვისაც საკმაოდ არაპრესტიჟულად ითვლებოდა. ვაჭრობა პირდაპირ ეკრძალებოდათ მაღალი რანგის მოხელეებს, სამურაებსა და ბუდისტ მონარქებს.

როგორც ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, კრედიტორს უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა პროცენტის გადახდა. მევალეს შეიძლება ვალი მონური შრომით გამოესყიდა, მაგრამ ვალაუვალი მონობა კატეგორიულად იკრძალებოდა. არ დაიშვებოდა თვითნებური გარიგებები, მათ შორის გირავნობის ხელშეკრულება კომლის რიგით წევრთან, რამდენადაც ოჯახის საკუთრების განკარგვის უფლებით მხოლოდ ოჯახის უფროსები სარგებლობდნენ. საინტერესოა, რომ არსებობდა ქირავნობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ გარანტიებიც. მაგალითად, ქირავნობის ვადა დამქირავებლის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა 50 დღეზე მეტი ყოფილიყო.

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა სფერო იაპონური სამართლისათვის შედარებით ტრადიციულია, რამდენადაც მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიასთან.

ქორწინების აუცილებელ პირობად ითვლებოდა ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების თანხმობა. სავალდებულო იყო წოდებათა თანასწორობის დაცვაც. საქორწინო ასაკად ითვლებოდა ქალისათვის 13, მამაკაცისათვის – 15 წელი. ქორწინებას წინ უსწრებდა ნიშნობა, რომლის უმიზეზო დარღვევა სასჯელით მთავრდებოდა. ნიშნობა ჩაიშლებოდა თუ საქმრო ერთი თვის ვადაში არ გამოჩნდებოდა ნიშნობის დღიდან, ან თუ 3 თვეში ქორწილი არ დაინიშნებოდა. ნიშნობა ჩაიშლებოდა მაშინაც, თუ საცოლე ან საქმრო დანაშაულს ჩაიდენდა. პრინციპში ქორწინება მონოგამიური იყო და ქალი ოჯახში მამაკაცის მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა (მამის, ქმრის ან ვაჟიშვილის). უმიზეზო განქორწინების შემთხვევაში იკრძალებოდა ხელმეორედ ქორწინება.

ისევე, როგორც ჩინეთში, იაპონიაშიც განქორწინება არა მარტო დაიშვებოდა, არამედ, ზოგიერთ გარემოებათა გამო, სავალდებულოც იყო. მაგალითად, ცოლის ან ქმრის ნათესავებისა და ახლობლების ცემის მცდელობის დროს. განქორწინების შემთხვევაშიც ორივე მხარის მშობელთა ნებართვა იყო საჭირო. მშობლებს ხელი უნდა მოეწერათ განქორწინების ქაღალდზე. იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელიც ქმარს განქორწინების უფლებას აძლევდა, შედარებით მეტი იყო, ვიდრე ცოლისა. ქალს განქორწინება შეეძლო მხოლოდ მაშინ, თუ ქმარი 5 წლის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგებოდა ან თუ ცოლის ნათესავებს უხეშ შეურაცხყოფას მიაყენებდა.

იაპონური სამართალი შედარებით შემწყნარებელია უკანონოდ გაჩენილი ბავშვების მიმართ. როგორც წესი, მოქმედებდა ფიქცია, რომ უკანონოდ გაჩენილი ბავშვი გადაეცემოდა აღსაზრდელად უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მშობელს.

დაიშვებოდა შვილად აყვანა, ოღონდ ახლო ნათესავთა წრიდან.

იაპონურ სამართალში საკმაოდ კარგადაა დამუშავებული კანონით მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის ობიექტად ითვლებოდა მონები, მინდვრები, შენობები და სხვა ქონება.

თუ საქმე ეხებოდა დამსახურებისათვის მიღებული ქონების მემკვიდრეობას, მაშინ ვაჟიშვილები და ქალები თანაბარი წილის უფლებით სარგებლობდნენ. სხვა შემთხვევებში პირველი ცოლისა და უფროსი ვაჟის წილი მეტი იყო (მაიორატი), ვიდრე სხვა შვილებისა. ქალიშვილს მხოლოდ უფროსი ძმის 1/4 წილი ერგებოდა მემკვიდრეობიდან. ანდერძით დაიშვებოდა მხოლოდ პირადად შეძენილი ქონების მემკვიდრეობა.

სასამართლო პროცესი. სასამართლო პროცესი იაპონიაში სამძებრო-ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა. პროცესი იწყებოდა როგორც სახელმწიფო დაწესებულების, ისე კერძო პირის მიერ.

გამოძიებას აწარმოებდა სპეციალურად დანიშნული გამომძიებელი. ნიშანდობლივია, რომ შეიძლებოდა მათი შეცვლა დამნაშავესთან ნათესაური კავშირის ან სხვა განსაკუთრებული კავშირის გამო. მძიმე დანაშაულთა გამოძიებისას დაიშვებოდა წინასწარი პატიმრობა.

სასამართლო არ იყო ადმინისტრაციული მმართველობისაგან გამოყოფილი. სასამართლო განსჯადობა განისაზღვრებოდა როგორც დანაშაულის ჩადენის ადგილის, ასევე სიმძიმის ხარისხის მიხედვით. კატორღისა და სასწრაფო გასახლების საქმეები ***პროვინციათა მმართველობის*** მიერ განიხილებოდა. უფრო მძიმე დანაშაულიის შემცველი საქმეები ***იუსტიციის სამინისტროში*** იგზავნებოდა. ამ სამინისტროს სპეციალური ***გამომძიებლები*** და ***მოსამართლეები*** (იაპონიაში, ისევე, როგორც ჩინეთში, არ იყო უზენაესი სასამართლო) არა მარტო იხილავდნენ საქმეებს, არამედ ამოწმებდნენ ქვედა ინსტანციის განაჩენებსაც.

იმ კატეგორიის საქმეების გადაცემა იუსტიციისათვის, რომლისთვისაც კანონი სიკვდილით დასჯას, გასახლებას ან ჩინის ჩამორთმევას ითვალისწინებდა, სავალდებულოდ ითვლებოდა. ზოგიერთი კატეგორიის საქმეები იხილებოდა ***სახელმწიფო საბჭოში,*** სადაც სპეციალური კანონმცოდნეების დახმარებით ინიშნებოდა

ხელახალი გამოძიება საქმის შეწყვეტის გამო. სახელმწიფო საბჭო სასამართლოთა გადაწყვეტილებების სისწორეს ამოწმებდა *სპეციალურ ინსპექტორთა* მეშვეობით. სიკვდილით დასჯის, გასახლებისა და ჩინების ჩამორთმევის სასჯელებზე მოხსენდებოდა *იმპერატორს*, რომელიც უმაღლეს სააპელაციო ინსტანციად ითვლებოდა.

§ 75. იაპონიის სახელმწიფოსა და სამართლის თავისებურებანი რევოლუციის შემდეგ (XIX-XX სს.)

XIX საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციამ, რომელიც „მეიძის რესტავრაციის" („განათლებული ხელისუფლება") სახელწოდებით არის ცნობილი, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა იაპონიის სახელმწიფო წყობილებასა და სამართალში.

XIX საუკუნის დასაწყისში განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობები. საფუძველი ჩაეყარა ფულად-სასაქონლო მეურნეობებს როგორც ქალაქში, ასევე სოფლად. გაჩნდა კაპიტალისტური მანუფაქტურები. ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებები. ამ პერიოდში 250-მდე გლეხური აჯანყება მოეწყო. სიოგუნის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა გლეხთა მოძრაობებს და მათი ლიდერები სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ სამოქალაქო ომს მოჰყვა სიოგუნის და მისი საგვარეულოს განადგურება და იმპერატორმა აღადგინა საუკუნეების განმავლობაში დაკარგული ხელისუფლება. მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა როგორც სახელმწიფო წყობილების, ასევე სამართლის სფეროში.

1871 წლიდან დაშვებულ მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა, რაც ფეოდალური საკუთრების კაპიტალისტური საკუთრების რელსებზე გადაყვანას ნიშნავდა. ამავე წლიდან მთავრობამ გააუქმა მაზრები და შემოიღო *გუბერნიები*, სადაც გუბერნატორი ინიშნებოდა ცენტრიდან.

1872 წელს გამოიცა ბრძანება საერთო-სამხედრო სამსახურის შესახებ და დაირღვა სამურაების სამხედრო სამსახურის მონოპოლიური უფლება.

1868 წელს იმპერატორმა დადო ფიცი, რომ უარყოფდა წარსულის მძიმე ჩვეულებებს და ქვეყანაში დაამყარებდა „სამართლიანობასა და წესრიგს“ იმ ფორმით, როგორც ხალხი მოითხოვდა და, რაც მთავარია, შექმნიდა ***სათათბირო ორგანოს***, რომელიც „ხალხის ნებითა და შეთანხმებით“ გადაწყვეტდა მმართველობის საკითხებს. ამავე წელს დაარსდა ***ორი პალატა***: ზედა – დიდებულ ფეოდალთა წარმომადგენლობის და ქვედა – სამურაებისა და ბურჟუაზიის ელემენტებისათვის.

1880 წელს სერიოზული სიახლეები შეეხო ***სასამართლო უწყებასაც***. უცხოელი კონსულთნტების მეშვეობით შეიქმნა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, რომელიც დასავლეთ ევროპული სამართლის ასლი იყო.

1885 წლიდან იქმნება ***მინისტრთა კაბინეტი***, რაც იაპონიის ტრადიციული მმართველობისათვის საკმაოდ უცხოა. სიახლეა იაპონელი კონსტიტუციონალისტები მინისტრთა კაბინეტის სათავეში – პრეზიდენტ-მინისტრის ძლიერი ხელისუფლების დაწესებით გერმანიის ბისმარკს ბაძავდნენ. თუმცა კოლეგიალური ძლიერი ორგანოს შიშით მათ დამატებით შემოიღეს საიმპერატორო სასახლის სამინისტრო (სამი კაცის შემადგენლობით – სასახლის მინისტრი, ბეჭდის მცველი და მთავარი კამერჰერი). საიმპერატორო სახლის სამინისტრო არ შედიოდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში და არ ექვემდებარებოდა მას.

მომდევნო წელს შეიქმნა ***საიდუმლო საბჭო*** – იმპერატორის სათათბირო ორგანო, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოს გვერდით წონასწორობის დასაბალანსებლად იქნა შემოღებული.

1888 წლიდან ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ქვეყნის ტერიტორიულ-ორგანიზაციული მოწყობის საკითხები და ადგილებზე ***პრეფექტურებთან***, ***ქალაქებთან*** და ***ოლქებთან*** დააარსა ***სათათბირო ორგანო***, რომელიც დაუქვემდებარა ცენტრიდან დანიშნული ***გუბერნატორის*** ხელისუფლებას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა ტიტულოვანი არისტოკრატთათვის. შეიქმნა ***პერების პალატა*** – იაპონური კონსერ-

ვატიზმის ძირითადი დასაყრდენი, სადაც შედიოდნენ მარკიზები, გრაფები, ვიკონტები, ადგილობრივი ძველი არისტოკრატია, სამურაების წარმომადგენლები.

1886 წელს იაპონიაში მიიღეს ***კონსტიტუცია***, რომლის წყაროს ევროპაში ყველაზე რეაქციული პრუსიის კონსტიტუცია წარმოადგენდა.

კონსტიტუცია იმპერატორს ანიჭებდა შეუზღუდავ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. იმპერატორი წმინდანად და ხელშეუხებლად ითვლებოდა.

იმპერატორთან არსებობდა ***მრჩეველთა ინსტიტუტი***. მრჩევლები საიდუმლო საბჭოს წევრებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ არასაკონსტიტუციო სათათბირო ორგანოს – გენროს, საიმპერატორო სასახლის სამინისტროს, მარშალთა და ადმირალთა საბჭოს და ა.შ. ***საიდუმლო საბჭოს*** გადაეცა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეთა განხილვის უფლება. მთავრობა თათბირობდა მასთან პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. მასვე ჰქონდა კონსტიტუციის განმარტების უფლება.

იაპონიის ***მინისტრთა კაბინეტის*** თავისებურება იყო, ერთი მხრივ, მისი საიმპერატორო სასახლის ხელისუფლებისადმი დამორჩილება, ხოლო, მეორის მხრივ, პარლამენტისგან აბსოლუტური დამოუკიდებლობა. მასზე არ ვრცელდებოდა არც უნდობლობის ვოტუმი და არც კაბინეტის გადადგომა, რადგან იაპონიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მინისტრების კოლეგიალურ პასუხისმგებლობას.

თავიდან მინისტრთა კაბინეტი დიდი არ იყო. იგი მხოლოდ 10 წევრისაგან შედგებოდა: პრეზიდენტ-მინისტრი, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, სამხედრო, საზღვაო, იუსტიციის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და კავშირგაბმულობის მინისტრები.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა ***ორპალატიანი პარლამენტის*** – პერებისა და წარმომადგენლობითი პალატის არსებობას. ეს უკანასკნელი არჩევითი ორგანო იყო.

ხმის მიცემის უფლებით სარგებლობდნენ მამაკაცები 25 წლი-

დან (30 წლიდან პასიური ხმის უფლება), თუ ისინი 15 იენს მაინც იხდიდნენ შემოსავლიდან. ქვედა პალატის კომპეტენცია საკმაოდ ვიწრო იყო. მას არ ჰქონდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის უფლება. პალატას შეეძლო მხოლოდ კონსტიტუციის ის შესწორებები განეხილა, რომელიც იმპერატორიდან მოდიოდა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა *პარლამენტს* იმპერატორთან ერთად. იმპერატორს შეეძლო უარი ეთქვა პალატების მიერ მიღებულ კანონპროექტზე რაიმე პირობის გარეშე. სესიებს შორის პერიოდში იმპერატორის ბრძანებულებებს კანონის ძალა ჰქონდა, თუმცა ეს აქტები პარლამენტისაგან დამტკიცებას მაინც ითხოვდა.

ცვლილებები იაპონიის სამართალში, ისევე როგორც სახელმწიფო წყობილებაში, ევროპას უკავშირდება, ოღონდ ამ შემთხვევაში არა გერმაანიას, არამედ საფრანგეთს, საიდანაც ისტორიკოსი და იურისტი პროფესორი – პ.ბ. ბუასსონადი მოიწვიეს, რომელმაც შეადგინა პირველი იაპონური კოდექსები და დაიწყო იაპონური სამართლის ევროპიზაცია.

თავი IV. არაბთა სახალიფო

არაბთა სახალიფო, როგორც შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, შეიქმნა არაბული ტომების გაერთიანების შედეგად არაბეთის ნახევარკუნძულზე. არაბებში სახელმწიფოს წარმოშობის დამახასიათებელი თავისებურება ამ პროცესის რელიგიური ხასიათი იყო. ისლამი, რომელიც VII საუკუნიდან გავრცელებულ რელიგიად იქცა, აცხადებდა გვარის დიდებულთა ხელში ხელისუფლების თავმოყრის უსამართლობას; ცნობდა ახალი რელიგიით შეკავშირებული თავისუფალი ხალხის ფორმალურ თანასწორობას და სოციალური კრიზისიდან გამოსავალს რელიგიური დროშით წარმოებულ დაპყრობით ომებში ხედავდა. მოსახლეობისათვის ეს რელიგია იმითაც იყო მიმზიდველი, რომ მოითხოვდა დაბეგვრას მცირე შესატანით, უძრავი ქონებიდან ერთი მეორმოცედი წილის ოდენობით. მუჰამედი ამტკიცებდა, რომ ისლამური რელიგია არ ეწინააღმდეგება ადრე გავრცელებულ ორ რელიგიას – იუდეველობას და ქრისტიანობას, არამედ მხოლოდ აზუსტებს ამ რელიგიათა ზოგიერთ დებულებებსო. თუმცა მძაფრად გამოვლინდა ამ რელიგიის მკაცრი ხასიათი, ხოლო დროთა გამავლობაში თავი იჩინა – ფანატიზმმა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით კი ხელისუფლებისა და მმართველობის საკითხში. ისლამური დოქტრინის მიხედვით რელიგიური ხელისუფლება განუყოფელია საერო ხელისუფლებისაგან და ქვეშევრდომთაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს.

ისლამის გაბატონებულ რელიგიად გამოცხადებასთან ერთად მუჰამედი იქცა მთელი არაბეთის მეთაურად, ხოლო მისი ნათესავები და უახლოესი მიმდევრები – არაბული საზოგადოების განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ ფენად. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ დიდგვაროვანთა წრიდან ირჩევდნენ ერთპიროვნულ ბელადებს – ხალიფებს (მოციქულის მოადგილე). ახ.წ. VII-VIII სს. იზრდება არაბთა დაპყრობილი ტერიტორიები: ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია, ამიერკავკასია, ჩრდილოეთ აფრიკა, ესპანეთი და ა.შ. არაბთა სახალიფოს ისტორიაში ძირითადად ორ პერიოდს გამოყო-

ფენ: დამასკოს, ანუ ომაელების დინასტიის (661-750 წწ.) და ბაღდადის, ანუ აბასელების დინასტიის (750-1257წწ.) მმართველობის პერიოდი.

ისლამური სახელმწიფო. მუსლიმური საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფო საკუთრების უპირატესი როლი მიწაზე, მონათა შრომის ფართოდ გამოყენება სახელმწიფო მეურნეობაში, გლეხთა სახელმწიფო ექსპლუატაცია (ბეგარისა და ღალის მეშვეობით), საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რელიგიურ-სახელმწიფოებრივი რეგლამენტაცია; მკვეთრად გამოხატული წოდებრივი ჯგუფების არარსებობა და პრივილეგიები მუსლიმთათვის.

უპირველესი განსხვავება საზოგადოების წევრებს შორის რელიგიისადმი დამოკიდებულება იყო. მუსლიმი არამუსლიმთან შედარებით განსხვავებული სამართლებრივი სტატუსით სარგებლობდა. მართალია, თავდაპირველად არამუსლიმთა მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკა არსებობდა თვითმმართველობის, საკუთარი ენისა და სასამართლოების შენარჩუნებით, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ქვეყნის ისლამიზაციისა (ახალი რელიგიის გავრცელება) და არაბიზაციის (არაბთა განსახლება დაპყრობილ ტერიტორიებზე) პოლიტიკამ შეცვალა.

განვითარების პირველ ეტაპზე არაბთა სახალიფო ***ცენტრალიზებულ-თეოკრატიულ მონარქიას*** წარმოადგენდა. ხალიფას ხელში თავმოყრილი იყო სასულიერო (იმამატი) და საერო (იმარატი) მმართველობა, როგორც განუყოფელი და შეუზღუდავი ხელისუფლება. ხალიფას მუსლიმური არისტოკრატიის წრიდან ირჩევდნენ, თუმცა ძალიან მალე ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი გახდა და საანდერძო განკარგულებით ხორციელდებოდა.

მეორე პირს სახელმწიფოში ***ვაზირი*** წარმოადგენდა. მუსლიმური სამართალი ვაზირის ორ სახეს იცნობდა: ფართო ხელისუფლებით და შეზღუდული უფლებამოსილებით, ანუ მხოლოდ ხალიფას ბრძანებების შემსრულებელი. სახელმწიფოს მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცალკეული მოხელეები: ხალიფას პირადი დაცვის უფროსი, სხვა თანამდებობის პირებზე ზე-

დამხედველი მოხელეები.

ცენტრალური მმართველობა სახელმწიფოში დივანთა ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდებოდა. არსებობდა სამხედრო საქმეთა დივანი, შინაგან საქმეთა დივანი, საფოსტო დივანი, სახელმწიფო ბეჭდის დივანი, რომლებიც შესაბამის უწყებებს ხელმძღვანელობდნენ. არაბეთის სახელმწიფოს გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა და რთულდებოდა ცენტრალურ უწყებათა ოდენობა და როლი.

ადგილობრივი მმართველობა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფასთან იყო დაკავშირებული და ორ ნაწილად ხორციელდებოდა: ძირეული არაბეთის მმართველობა და დაპყრობილი ქვეყნების მმართველობა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ არაბები შემოერთებული ქვეყნების მმართველობას ხელს არ ახლებდნენ.

არაბეთის მთელი ტერიტორია იყოფოდა *პროვინციებად*, რომელთაც ხალიფას სამხედრო ნაცვლები – ამირები განაგებდნენ. ამირებს ხალიფა ნიშნავდა თავის საგვარეულო წრიდან, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ამირა ადგილობრივ წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდა. ამირებს ჰყავდათ თანაშემწეები – ნაიბები.

უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულები იყო *ქალაქები* და *სოფლები*, რომელთაც სხვადასხვა ჩინის თანამდებობის პირები მართავდნენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი მმართველობა რელიგიური თემების მეთაურებს – შეიხებს ეკისრებოდათ.

რაც შეეხება *სასამართლო ორგანიზაციას*, იგი გამოყოფილი იყო ადმინისტრაციული მმართველობისაგან. ადგილობრივი მმართველობის განმახორციელებელ თანამდებობის პირებს უფლება არ ჰქონდათ სასამართლოთა საქმეებში ჩარეულიყვნენ.

უმაღლეს მოსამართლედ ითვლებოდა – ხალიფა. მაგრამ არსებობდა უმაღლესი სასამართლო კოლეგიაც, სადაც ავტორიტეტულ ღვთისმეტყველები შედიოდნენ და ისინი, ამავე დროს, სამართალმცოდნეებადაც ითვლებოდნენ. ხალიფას სახელით ნიშნავდნენ დაბალი რანგის მოსამართლეებს – ყადებს. ყადები ფართო უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილნი. ისინი ადგილებზე ყველა

კატეგორიის საქმეებს განიხილავდნენ; მეთვალყურეობდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებას; ახორციელებდნენ საპატიმროთა ზედამხედველობას; ამოწმებდნენ ანდერძს; ანაწილებდნენ მემკვიდრეობას; მეთვალყურეობდნენ მიწათსარგებლობის კანონიერებას; განაგებდნენ სავაკუფო ქონებას (რელიგიურ ორგანიზაციებზე გადაცემული ქონება). გადაწყვეტილების გამოტანა ყურანსა და სუნაზე დაყრდნობით ხდებოდა. თუმცა დაიშვებოდა რელიგიური ნორმების დამოუკიდებელი განმარტებანიც, რაც ასევე სამართლის წყაროდ იქცეოდა. სასამართლოსა და ყადის გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. გამონაკლისი იყო, როცა ხალიფა და მისგაან უფლებამოსილი პირი ცვლიდნენ ყადის გადაწყვეტილებას.

არაბთა სახალიფოს დაშლამ საამიროებად, სასულთნოებად და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად (ესპანეთი, მაროკო, ეგვიპტე, შუა აზია, ამიერკავკასია), გამოიწვია ხალიფას სუნიტთა სასულიერო მეთაურად გადაქცევა. XIII საუკუნეში აღმოსავლეთ სახალიფოს ტერიტორია მონღოლებმა დაიპყრეს და ხალიფების რეზიდენცია კაიროში გადავიდა, ხოლო დასავლეთ სახალიფო XVI საუკუნეში თურქეთის სულთანს დაექვემდებარა.

თავი V. შუა აზიის სახელმწიფოები

§ 76. პირველი სახელმწიფოები შუა აზიის ტერიტორიაზე

ისტორიული ცნობების მიხედვით შუა აზიის ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII-VI სს. დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები არსებობდნენ ხორეზმის, სოღდიანასა და პართიის სახით.

დარიოს მეფის ბრძანებით, ძვ.წ. 523 წელს კლდეზე ამოჭრილ წარწერაში იმ 23 ქვეყანას შორის, რომელთა მეფეთაც სპარსთა მონარქი თვლიდა თავს, დასახელებულია ხორეზმი, ბაქტრია, სოღდია, საკების ქვეყანა. დღევანდელი უზბეკები და ტაჯიკები სწორედ მათი შთამომავლები არიან. ამ რეგიონში ახალმა რელიგიამ – ზოროასტრიზმმა ფართო აღიარება პოვა და ამიტომაც ავესტაში მერვის ქვეყანა დახასიათებული როგორც „ძლევამოსილი და აშას მორწმუნე". ერთმორწმუნეობამ ხელი შეუწყო სპარსელების ლაშქრობის დროს შუა აზიის სახელმწიფოების დამორჩილებას. სპარსელების შემდეგ შუა აზიაში ალექსანდრე მაკედონელმა ილაშქრა, რომელმაც ძვ.წ. 335-327 წლებში სპარსეთის სატრაპების ნაცვლად, ამ ტერიტორიაზე 12 ქალაქი დააარსა.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ შუა აზიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა – პართია და ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფოები. დამოუკიდებელ მონათმფლობელურ სახელმწიფოდ დარჩა ხორეზმი.

ახ.წ. 226 წელს პართია სასანიანთა ირანმა დაიპყრო. ირანის გავლენის ქვეშ მოექცა ხორეზმი და სოღდიაც (XX საუკუნის დასაწყისში თურქმენეთის ტერიტორიაზე სოღდურ ენაზე დაწერლობის ნიმუში იქნა აღმოჩენილი. მეცნიერები თვლიან, რომ სოღდური ენა ინდოევროპული ოჯახის ირანულ შტოს განეკუთვნება. ოსური ენა მის მონათესავე ენადაა მიჩნეული).

ძვ.წ.90 წელს ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფო მომთაბარეთა შემოსევების შედეგად დაეცა.

როგორც ირანელთა, ასევე ალექსანდრე მაკედონელის მმა-

რთველობის დროს შუა აზიის სახელმწიფოები დამოუკიდებელ სატრაპოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ფუნქციონალურად აქ დანიშნული მმართველები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. მაგალითად, თუ ირანის დანიშნულ სატრაპს მონეტების მოჭრის უფლება ჰქონდა, ალექსანდრე მაკედონელმა მათ ეს პრივილეგია წაართვა. ასევე ჩამოერთვა სატრაპს დამოუკიდებელი ჯარის ყოლის უფლება.

ძვ.წ. 250 წელს მომთაბარე ტომები – დახები აჯანყდნენ ძმების არშაკისა და ტირიდატის მეთაურობით. შუა აზიის დასავლეთ რაიონებში აჯანყებულებმა დაამხეს სელევკიდების ძალაუფლება და შექმნეს არშაკიანთა პართიის სახელმწიფო, რომელმაც არცთუ პატარა როლი ითამაშა შუა აზიის ხალხების ისტორიაში. სამეფოს მთავარი ქალაქი იყო ნისა, თანამედროვე აშხაბადის ახლოს.

§ 77. ფეოდალიზმის ხანის სახელმწიფოები და სამართალი შუა აზიის ტერიტორიაზე (ახ.წ. V-XIX სს.)

ახ.წ. IV-V სს. თაჰერიანთა (ბაქტრია, სოღდია) ეფტალიტებმა შუა აზიაში შექმნეს საკმაოდ ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო. მალე ეფტალიტები თურქებმა დაამარცხეს და თავიანთი ბატონობის ქვეშ მოაქციეს. თურქებს ამ დროს გვაროვნულ-ტომობრივი მმართველობა ჰქონდათ და დაპყრობილი სახელმწიფოების მართვა პოლიტიკური მექანიზმის არსებობას საჭიროებდა. ამიტომ თურქების დაარსებულ ახალ სახელმწიფოს – ***ხაზართა კაღანატი*** ეწოდა. თურქი მომთაბარეები შამანიზმის რელიგიას აღიარებდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ხალხებში კი გავრცელებული იყო ბუდიზმი, ზოროასტრიზმი და ქრისტიანობა.

კაღანატის ძირითად ცენტრად ითვლებოდა შუამდინარეთი და აღმოსავლეთ თურქესტანი. აქ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას თან ახლდა მკვეთრი ფეოდალიზაციის პროცესები. თურქული კაღანატი ადრეფეოდალურ მონარქიას წარმოადგენდა, რომლის სათავეში იდგა ხანი (კაღანი). ხელისუფლების

მემკვიდრეობითობისა და შეუზღუდაობის პრინციპი, როგორც აზიის სხვა სახელმწიფოებში, აქაც რელიგიური იდეოლოგიის დიდი გავლენით აიხსნებოდა. საერთოდ, კაღანატში მმართველობის ფორმები და საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობა აზიური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით არსებობდა. ახ.წ. VIII საუკუნიდან შუა აზია არაბთა ხალიფატის ბატონობის ქვეშ მოექცა, ხოლო ამ უკანასკნელთა პოლიტიკური ძლიერების შესუსტებას მოჰყვა თაჰერიანთა სახელმწიფოსა (821 წ.) და სამანიანთა (IX ს. დასასრული) სახელმწიფოების წარმოშობა, თუმცა ისინი სულ მალე, დაახლოებით X საუკუნის ბოლოს, თურქი-ყარახანიდების ხელისუფლებაში ექცევიან; შუა აზია XIV საუკუნეში ვერც ქაშქედარელი მონღოლური წარმოშობის თემურლენგის აგრესიულ ზრახვებს გადაურჩა. თურქებისა და მონღოლების ბატონობას შუა აზიაში საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებური განვითარება მოჰყვა. ეს პერიოდი ცნობილია ევროპაში ბენეფიციუმის მაგვარი „იკტა“ (მიწის ნაკვეთი) საკუთრების დამკვიდრებით, რომლის სამართლებრივი რეჟიმი ამ მიწების მემკვიდრეობით გადაცემას კრძალავდა. იკტას რამდენიმე სახე არსებობდა: საიჯარო იკტა – როცა ვინმეს მიწიდან რენტას უწყალობებდნენ; დაუმუშავებელი მიწების იკტა, რომელიც ნაწყალობევ პირს სამი წლის განმავლობაში უნდა დაემუშავებინა. ასეთი იკტის მემკვიდრეობა დაშვებული იყო ერთი პირობით – სამფლობელო გამოსაღების გადახდის ვალდებულებით.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, იკტა სახელმწიფო მიწად ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად იგი დასავლეთევროპულ „ლენს“ უახლოვდებოდა.

თემურლენგის იმპერიაში დამკვიდრებული აღმოსავლური, მომთაბარული ფეოდალიზმის ელემენტები მისი სიკვდილის შემდეგ ფეოდალური განკერძოებულობისკენ ბრძოლამ შეცვალა. XVI საუკუნის დამლევისათვის შუა აზიაში უზბეკების მიერ შექმნილი ორი დიდი სახელმწიფო – ბუხარა და ხივა (ხორეზმი) განვითარდა.

სახელმწიფო წყობილება. მართალია, შუა აზიის სახელმწიფოები ახ.წ. V-XIX სს. შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ***ფეოდალურ***

მონარქიებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მმართველობის სისტემა და აპარატი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ამ განსხვავებაზე გავლენას ახდენდა სხვადასხვა დამპყრობელის პოლიტიკური რეჟიმიც.

სამანიანთა სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობის პირი ***ამირა*** იყო, მაგრამ მმართველობის სფეროში დიდ როლს ასრულებდა ***მეფის სასახლე*** და ***სამოხელეო აპარატი***. მთელ სამოხელეო აპარატს სათავეში ედგა ***ვაზირი***, რომელსაც ექვემდებარებოდნენ საგარეო საქმეთა, სამხედრო საქმეთა, საფოსტო და სხვა დივნები.

სახელმწიფოთმცოდნეები თვლიან, რომ ახ.წ. XI-XII სს. შუა აზიაში ხელმწიფის კარის საქმეებს უძღვებოდა „ვაქილი". ხორეზმშაჰემთან მას ***ვაქილდარი*** ეწოდებოდა. შაჰთან არსებობდა ***მეჯლისი***, ანუ მაჯლისი, რომლის მეთაურსაც „ამირმაჯლისი" ერქვა.

კარის მოხელეებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ***ყადი***, ***კარის მოსამართლე***, ***ამირ ჰაჯიბი***, ***ქაბირი***, ***ამირ შექარი***. ცენტრალურ დივნებს ექვემდებარებოდა პროვინციებში მოქმედი უწყებები (დივნები). პროვინციებს განაგებდა – ***ვალი***. საინტერესოა კიდევ ერთი თანამდებობის არსებობა – ***შიჰნა***. იგი იყო სახელმწიფოს სამხედრო წარმომადგენელი ამა თუ იმ სახელმწიფოში.

ხივის სახანოს სათავეში იდგა განუსაზღვრელი უფლების მქონე ***ხანი***, რომელიც უშუალოდ ნიშნავდა თავის ხელქვეით მოხელეებს: სახელმწიფო კანცელარიის გამგეობისთვის – ***დივანბეგს***, სამხედრო შენაერთის უფროსად – ***იასაულბაშს***, პოლიციის უფროსად – ***მირბაშს***. ხანი გარკვეულ ანგარიშს უწევდა ***წარჩინებულთა საბჭოს***, რომელიც სათათბირო ორგანო იყო ხანის კარზე. ***ადგილობრივი მმართველობისათვის*** სახანო დაყოფილი იყო 20 საბეგოდ და 2 სანაიოდ. საბეგოს განაგებდა ბექ ჰაგიბი, ხოლო სანაიოს – ნაიბი.

სასამართლო ხელისუფლება ხივასა და ბუხარაში მუსლიმური სამართალს ეყრდნობოდა. ამიტომ ამ ქვეყნების სამართლის ძირითადი ნიშნები და სასამართლო ორგანიზაცია მუსლიმური სამართლისადმი მიძღვნილ ცალკე პარაგრაფში განვიხილოთ.

კარი VI. საქართველოს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ურარტუს სახელმწიფო და სამართალი

მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოებისა და სამართლის შესწავლა ურარტუს სახელმწიფოს განხილვით უნდა დავიწყოთ. მართალია, დღეს ურარტუ აღარ არსებობს, მაგრამ თავის დროზე მან დიდი გავლენა მოახდინა საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებზე და გარკვეული კვალი დატოვა მსოფლიო ცივილიზაციაზე.

ურარტუს სახელმწიფომ სამი საუკუნე იარსება (ძვ.წ. 860-590 წწ.) და ამჟამად მისი ტერიტორია შედის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში. ურარტუ ამ ქვეყნის ასურული სახელწოდებაა, ურარტუელები კი თავიანთ ქვეყანას „ბიაინილს" უწოდებდნენ. თავდაპირველად ამ სახელმწიფოს წინაპრები „ურუატრები" მითანის სამეფოს შემადგენლობაში იყვნენ. მისი დაცემის შემდეგ კი ძვ.წ. XIII-XI საუკუნეში სალმანასარ I-ის მმართველობის წინააღმდეგ თავდამსხმელ დამოუკიდებელ ძალად მოიხსენიებიან. ურარტუ თვითონაც არაერთხელ გამხდარა მეზობელი ასურელების თავდასხმის ობიექტი. სწორედ საგარეო და საშინაო ფაქტორთა ურთიერთზემოქმედების შედეგად, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (ძვ.წ. XIII-IX სს.), ყალიბდება სახელმწიფო ვანის, ურმიისა და სევანის ტბის გარშემო – ურარტუს სამეფოს სახელწოდებით. მისი პირველი მეფე არამე და მისი მემკვიდრე სარდურ I განაგრძობდნენ ასურელებთან ბრძოლას და ამასთან, ქვეყანაში აღმშენებლობით მუშაობას ეწეოდნენ. ისტორია ადასტურებს დედაქალაქ ტუშპაში მეტალურგიისა და საირიგაციო ტექნიკის მაღალი დონის არსებობას, აგრეთვე საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების გამოკვეთის ხელოვნებას, რამაც ურარტუს მკვიდრთ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ძვ.წ. IX საუკუნის დასასრული და VIII საუკუნის I ნახევარი ურარტუს ძლევამოსილების ხანაა. ამ დროს ურარტუში მეფო-

ბდნენ მენუა, არგიშთი I, სარდურ II. ურარტუმ დიდი ტერიტორიები წაართვა ასურეთს ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიაში და დიდად შეავიწროვა იგი. სარდურ II-მ გაილაშქრა კოლხეთის წინააღმდეგ და დაიპყრო „სამეფო ქალაქი" ილდამუსა. თავისი გამარჯვების აღსანიშნავად კი სარდურ მეორემ კოლხ მელითონეებს „რკინის ბეჭედი" გააკეთებინა. ურარტუს დაემორჩილნენ ხუბუშქია (ვანის ტბის სამხრეთი), მუსასირი, მანა (ურმიის ტბის რაიონში), არარატის ველზე ააგეს ციხესიმაგრეები – არგიშთიხინილი და ერებუნი (არინბერდი, ერევნის მახლობლად). დაიწყო დიდი საირიგაციო სამუშაოები და მეურნეობის მშენებლობა. წარმატებული ომების შედეგად ურარტუში თავი მოიყარა დიდძალმა ნადავლმა (ქონებისა და მონების სახით). მძაფრმა ქონებრივმა დიფერენციაციამ და მეზობელ სახელმწიფოებთან წარუმატებელმა ომებმა ურარტუს ძლიერება შეასუსტა. მალე მიდიამ ბაბილონელებთან ერთად გაანადგურა ასურეთი, ხოლო ძვ.წ. 590 წელს დაიპყრო ურარტუს ცენტრალური რაიონები. როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ურარტუს ჩრდილოეთ რაიონებში ერთხანს კიდევ არსებობდა ურარტუელთა მმართველობა, რომელიც ზოგიერთი ვერსიით, ამიერკავკასიის ტომებმა და მათ მოკავშირე სკვითებმა დაამხეს. ურარტუელთა შთამომავლები ალაროდიელთა სახელით იხსენიებიან ძვ.წ. V საუკუნეში ჰეროდოტეს შრომებში. ჰეროდოტეს ცნობით, ისინი მონათესავე ხურიტებთან ერთად (სასპერები და მატიები) შეადგენდნენ აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიას.

სახელმწიფო წყობილება. სახელმწიფოს სტრუქტურისა და ფორმის მიხედვით ურარტუ ატარებს ***აღმოსავლური დესპოტური მონარქიის*** ნიშნებს, სადაც მეფის ხელისუფლების გაღმერთება მის თეოკრატიულ ბუნებასაც უსვამს ხაზს.

მეფე პირველი პირი იყო სახელმწიფოში, რომელიც ფლობდა საერო და სასულიერო ძალაუფლებას და უზარმაზარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელისუფლებას. იგი იყო სახელმწიფოში შემავალი მიწების (თავისუფალ მეთემეთა მიწებისაც), სარწყავი სისტემის, ნაგებობებისა და მონების მესაკუთრე.

იშპუინისა და მენუას მეფობის დროისათვის სახელმწიფო

მმართველობის სისტემა დაიხვეწა და მოწესრიგდა. ამ დროს შემოიღეს ქვეყნის სამეფისნაცვლოებად დაყოფა, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული *მმართველი* განაგებდა. მის ხელში იყო ადგილობრივი ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო ფუნქციები, კერძდ კი, იგი კრეფდა გადასახადებს, სჯიდა და ათავისუფლებდა დამნაშავეს, აგებდა ციხესიმაგრეებს და განაგებდა ჯარს. განსხვავებული იყო დაპყრობილი ქვეყნების მმართველობა. ქვეყნის სრული ინკორპორაციის დროს მეფის მიერ დანიშნული პირი ახორციელებდა ოკუპირებული ქვეყნის მართვას, სხვა შემთხვევაში შენარჩუნებული იყო დაპყრობილი ქვეყნის მმართველობა და მას ზედამხედველობას უწევდა მეფის მიერ დანიშნული მოხელე. ასეთი ქვეყნები იხდიდნენ ხარკს, სამხედრო დახმარებას უწევდნენ ურარტუს, მაგრამ სხვა მხარეები ავტონომიური უფლებით სარგებლობდნენ. როგორც სახელმწიფოთმცოდნეები თვლიან, მმართველობის ასეთი სისტემა ურარტუსაგან ისესხა ასურეთის სახელმწიფომ.

სახელმწიფო მმართველობაში დიდი როლი ეკისრებოდა *ქურუმს*. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, მეფის უფროსი შვილი ინიშნებოდა, ხოლო მომდევნო შვილი ტახტის მემკვიდრე ხდებოდა.

სახელმწიფოს მექანიზმის სიმარტივე ხელს არ უშლიდა არცთუ ისე ჭრელ საზოგადოებრივი სტრუქტურის მართვას. მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გაბატონება არ გამორიცხავდა სასოფლო ტერიტორიული თემის არსებობას, მაგრამ დიდგვაროვანთა შორის უფლებრივი დიფერენციაცია თითქმის არ არსებობდა. ამ ფენას ეკუთვნოდნენ: მეფე და მისი საგვარეულოს წევრები, სამხედრო საგვარეულო პირები, ქურუმები. ქვეყანაში არსებობდა მსხვილი სამეფო (სახელმწიფო) მეურნეობები, სადაც, ძირითადად, მონათა შრომა იყო გამოყენებული. მონობის ძირითადი წყარო ტყვეობა იყო.

მონებისაგან განსხვავებული უფლებრივი სტატუსი გააჩნდათ თავისუფალ მეთემეებს, რომლებიც გვაროვნული წყობილებიდან შემორჩნენ და ჯერ დიდებულთა სრულ კაბილაში არ მოხვდნენ. მეთემეები თემებში იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ მათ ეკონომი-

კურ ცხოვრებაში მეფე მაინც ერეოდა, რადგან მიწების უმაღლეს მესაკუთრედ ითვლებოდა.

სამართლის ძირითადი ნიშნები. სამართლის უპირველეს წყაროს, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, *ადათი* წარმოადგენდა. დაწერილ სამართლებრივ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა ლურსმული წარწერების გაშიფვრის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამართლის სქემატური სურათის აღდგენა. ამ წარწერებში გვხვდება სამიწაწყალო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები, რომელთა მიხედვით დგინდება, რომ არსებობდა წყლით სარგებლობის რიგი სამეფო, სატაძრო, სათემო და კერძო მფლობელობაში არსებული მიწებისათვის. სახელმწიფოს მონოპოლიურ განკარგულებაში იყო საირიგაციო ნაგებობა და წყალი. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთში მიწაზე უფრო ადრე იქცა კერძო საკუთრების ობიექტად. ამ ობიექტებზე სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის უფლებების, ხელყოფა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა. ხელუხლებელი იყო ტაძრების ქონება, მისი უკანონოდ მითვისებაც სიკვდილით ისჯებოდა. სამართალმცოდნეები ვარაუდობენ, რომ არ იყო დანაშაულის სუბიექტური შერაცხვის პრინციპი და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სიკვდილით ისჯებოდა როგორც დამნაშავე, ისე მისი წამქეზებლები; ზოგჯერ მთელი ოჯახი აგებდა პასუხს. ურარტუში სასტიკი სასჯელების გამოყენების ნიმუშად გამოდგება ასურეთის მეფის ასურნასირპალი II-ის (ძვ.წ. 884-86) წწ.) შესახებ ისტორიული ცნობები, რომელთა მიხედვით მეფე დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას ცოცხლად სარზე აცვამდა, კედელში ატანდა, თვალებს თხრიდა, თითებს, ცხვირს, ყურებს აჭრიდა, ცოცხლად წვავდა ცეცხლზე ან ცოცხლად აძრობდა ტყავს და ხალხის დასაშინებლად კედლებზე გადაჰფენდა[1].

---

1 ნახე: გ. მელიქიშვილი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1988.; გიორგაძე გრიგოლ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, გამომცემლობა „მემატიანე“, თბ. 2004; ურარტუს უზენაეს ღვთაებათა კულტის ცენტრები, "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. VII, 1946; ურარტუ (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი), საბლიტგამი, თბილისი, 1951,გვ. 192.

თავი II. სომხეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§ 78. სომხეთის სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება

სომხეთის მთიანეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობენ, რომ პირველი ადამიანი აქ მეოთხეული პერიოდის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. საზოგადოებრივი და ეკონომიკური პროცესების შემდგომ განვითარებას (ნეოლითის ხანა – მიწის დამუშავება, ბრინჯაოს ხანა – მეცხოველეობისა და ლითონის დამუშავების განვითარება) მოჰყვა პირველი ტომობრივი გაერთიანებების შექმნა, რომელთა ნაწილი ურარტუს სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. ძვ.წ. VI საუკუნეში ჩნდება პირველი სომხური სახელმწიფო, მაგრამ VI საუკუნის დასასრულს იგი აქემენიდთა სპარსეთის შემადგენლობაში შევიდა. ძვ.წ. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდთა იმპერიის განადგურებას მოჰყვა სომხეთის სახელმწიფოს აღდგენა და მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. ძვ.წ. III საუკუნეში მას ჩამოსცილდა სამხრეთ-დასავლეთის ოლქები – კომაგანე და საოფენა; ამავე საუკუნის ბოლოს ***დიდი სომხეთის*** სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფო სელევკიდების გამგებლობაში მოექცა. მას მართავდა სელევკიდების მიერ დანიშნული მმართველი არტაშეს I, რომელმაც ისარგებლა სელევკიდების რომაელებთან დამარცხებით და ძვ.წ. 189 წელს დიდი სომხეთი და საოფენა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამ პერიოდს განეკუთვნება ***მცირე სომხეთის*** (ძვ.წ. 330-112 წწ.), როგორც ნახევრად დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს არსებობა, რომელიც ასევე სელევკიდების იმპერიაში შედიოდა. ახ.წ. III საუკუნიდან დიდი სომხეთი სასანიდთა ირანის გავლენის ქვეშ მოექცა.

ახ.წ. III-IV სს. დაიწყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი და სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. ამ პროცესებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს სომხე-

თის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. 387 წელს სომხეთი ირანმა და ბიზანტიამ გაინაწილა. სომხეთის დასავლეთ ნაწილში, რომელიც ბიზანტიას ერგო, მეფობა 391 წელს გაუქმდა, ხოლო ირანის კუთვნილ ნაწილში ქვეყანას განაგებდა – მარზპანი, სპარსი მმართველი.

ახ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარში არაბებმა დაიპყრეს სომხეთი, რომელსაც ქართლისა და კავკასიის ალბანეთთან ერთად „არმინია“ უწოდეს. IX საუკუნის ბოლოს, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, სომხეთმა შეძლო არაბთა უღლისაგან გათავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოს აღდგენა ბაგრატუნების დინასტიის მეთაურობით. ეს პერიოდი სომხეთის ეკონომიკური და კულტურული აყვავების პერიოდია, თუმცა სულ მალე, XI საუკუნეში სომხეთი დაიპყრეს სელჩუკებმა, რომელთაც თათარ-მონღოლები შეენაცვლა. დაიწყო სომხების მიგრაცია სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ-ერთმა ემიგრანტმა, დიდი საგვარეულოს წარმომადგენელმა რუბენმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და 1080 წელს შეიქმნა კილიკიის სომხეთის სამთავრო.

XII-XIII სს. გაძლიერებულმა საქართველომ სომხეთი თურქ-სელჩუკებისაგან გაათავისუფლა და ცალკე საფეოდალოების სახით შემოიერთა (მას მართავდნენ მხარგრძელები).

XIV ს. მეორე ნახევრიდან სომხეთი თემურლენგმა გაანადგურა, შემდგომ კი დაიპყრეს ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს თურქებმა, რასაც მოჰყვა ნგრევა და მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია. XVII-XVIII სს. სომხეთი ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილა, რომელთა შორის XIX საუკუნემდე განუწყვეტლივ ბრძოლა მიმდინარეობდა კავკასიის სახელმწიფოთა გადანაწილებისათვის. XIX საუკუნიდან რუსეთ-ირანის ბრძოლებით ამიერკავკასიის ტერიტორიის პოლიტიკური ერთეულები ნაწილ-ნაწილ შეუერთდა რუსეთს. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური ძვრების შედეგად 1918 წელს კიდევ ერთხელ შეძლო სომხეთმა დამოკიდებულ სახელმწიფოდ გამოყოფილიყო, ახლა უკვე რესპუბლიკის ფორმით, მაგრამ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში და

შემდეგ სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებით იგი კვლავ რუსეთის (ახლა უკვე საბჭოთა რუსეთის) მძლავრი გავლენის ქვეშ მოექცა.

§ 79. სახელმწიფოს ფორმები და მათი ევოლუცია

პირველი სომხური სახელმწიფოები, ვანის სამეფოს, მცირე და დიდი სომხეთის სახით, მონათმფლობელური ტიპის მონარქიებს წარმოადგენდნენ და აღმოსავლური დესპოტიის ნიშნებით ხასიათდებოდნენ. სახელმწიფოს სათავეში იდგა შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ***მეფე***. ის იყო კანონმდებელიც, მართლმსაჯულების მესვეურიც და ქვეყნის უმაღლესი გამგებელიც.

ცალკე არსებობდა ***ცენტრალური მმართველობის აპარატი***, სადაც დიდ როლს ასრულებდა მხედართმთავარი – ***სპარაპეტი*** და ათასეულის მეთაური – ***აზარაპეტი***. მეფის პირველ მრჩევლად ითვლებოდა – ***ქურუმი***, მის ხელში იყო თავმოყრილი საკანცელარიო საქმეთა წარმოებაც. ახალი კანონპროექტების შემუშავება ქურუმს ევალებოდა, იგი განაგებდა ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ტაძრის ქონებას. მას ექვემდებარებოდნენ ცალკეული ტაძრების ქურუმები და ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა.

სანაპირო ოლქების მთავარი იყო ***ბდეხში***, რომელიც ქვეყნის ცენტრალიზაციის პერიოდში მეფის მოხელედ ითვლებოდა და დაქუცმაცებულობის დროს დამოუკიდებელ ხელმწიფობისაკენ ილტვოდა.

ფეოდალიზაციის პროცესს სომხეთში მოჰყვა ფეოდალური მონარქიის დამკვიდრება. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების შედეგი იყო ცენტრალური მმართველობის აპარატის გაძიერება, სადაც ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე მეფე ნიშნავდა მოხელეებს. ეს უკანასკნელნი მეფის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი. საერთოდ სამოხელეო აპარატში მეფე თავისი საგვარეულოდან ნიშნავდა წარმომადგენლებს და ამით ხელისუფლების ცენტრალი-

ზაციას უწყობდა ხელს. ადრე ფეოდალურ სომხეთში დიდ როლს ასრულებდნენ ***ნახარარები***. მეფე გარკვეული დამსახურებისათვის ნახარარის წოდებას უბოძებდა ამა თუ იმ საგვარეულოს წარმომადგენელს, ნახარარების სახლების სათავეში ***ტანუტერები*** (სახლის უფალი) იდგნენ. ტერმინი „ნახარარი" – პირის სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს (ისევე, როგორც აზნაური), ხოლო „ტანუტერი" – თანამდებობაა გვარში, რომელიც სრული მესაკუთრე იყო სახლის და ადგილმამულისა, ხოლო სახლის ქონება სხვა წევრებზე მაიორატული მემკვიდრეობის რიგით გადადიოდა.

ნახარარები სამხედრო ვალდებულებნი იყვნენ მეფის წინაშე და მონაწილეობდნენ მეფესთან არსებულ სათათბიროში უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად (ომის, ზავის და სხვა). ნახარარებთან ერთად სათათბიროდ შინაკანები და მდაბიოებიც მოიწვეოდნენ.

ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში თანდათან დაინერგა ახალი სამოქალაქო უწყებები: ***აზარაპეტუთიუნი***, რომელსაც სომხეთის აზარაპეტი მართავდა და ქვეყნის ეკონომიკის საკითხების უზრუნველყოფა ევალებოდა, ***მარდპეთიუნს*** – სასახლის საკითხების უზრუნველყოფა. მარდპეთიუნი სასახლის მინისტრი იყო და მის მოვალეობას შეადგენდა მეფისა და სასახლის წევრების დაცვის ორგანიზაცია, უფლისწულების აღზრდა, საგანძურისა და სხვა ქონების დაცვა. სასახლესა და მეფეს უშუალოდ სპეციალური უწყება ***მალხაზუთიუნი*** იცავდა. ***კათალიკოსს*** ევალებოდა მართლმსაჯულების განხორციელება.

რაც შეეხება ***კილიკიის სომხეთს*** – იგი ჯერ სამთავროდ, შემდეგ კი სამეფოდ ჩამოყალიბდა (1)8)-1375 წწ.). მის სათავეში ***მეფე*** იდგა. მეფესთან დიდ როლს ასრულებდა ***სავაზირო***, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ***ვაზირები***, ანუ ცალკეულ უწყებათა ხელმძღვანელები.

§ 80. საზოგადოების ცალკეული კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობის ევოლუცია

სახელმწიფოს დამკვიდრება სომხეთში ძლიერი სასოფლო თემის შენარჩუნებით მოხდა. ამიტომ მონებს აქ ისეთი დიდი როლი არ შეუსრულებიათ, როგორც ძველ საბერძნეთსა და რომში. მონობის წყაროს ტყვედ ჩავარდნა, ვალის გადაუხდელობა და მონობის მისჯა წარმოადგენდა. ***მონა*** არ იყო სამართლის სუბიექტი. იგი ნივთთან იყო გათანაბრებული და ამ თვალსაზრისით იგი ანტიკური ხანის მონას წააგავდა.

პირველ სომხურ სახელმწიფოში უშუალო მწარმოებლურ ფენას შეადგენდნენ ***გლეხები*** და ***ხელოსნები***, რომლის გამაერთიანებელი ტერმინი იყო „შინაკარი". მათ მეფის სასარგებლოდ მძიმე ბეგარა ეკისრებოდათ და ომის შემთხვევაში ვალდებული იყვნენ ჯარში ემსახურათ.

პრივილეგირებულთა ფენას შეადგენდნენ – ***მხედრები*** (აზატები). ჩვენამდე მოღწეული სომხური საეკლესიო კრების დადგენილების მიხედვით, აზატი ორჯერ მეტად ფასობდა კანონმდებლის თვალში, ვიდრე გლეხი, აზატი არ შეიძლება სახელმწიფო სასჯელით დასჯილიყო.

ქალაქის მოსახლეობა მეფის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. ქალაქი თავისი სოციალური შემადგენლობითა და შინაარსით ნახევრად პატრიარქალური სახით არსებობდა.

ფეოდალიზაციის პროცესთან ერთად გაღრმავდა საზოგადოების დიფერენციაცია. ჩამოყალიბდა ***ფეოდალთა ფენა***, რომელიც ორ წოდებად იყო წარმოდგენილი – ***საერო ფეოდალები*** და ***სასულიერო ფეოდალები***. თითოეული მათგანი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით კიდევ იყოფოდა ჯგუფებად.

სომხური წყაროები თავისუფალ და პრივილეგირებულ წოდებას ***აზატებად*** მოიხსენიებენ, ხოლო არათავისუფლებს – ***ანაზატებად*** (აზნაურნი და უაზნონი – ქართული ვერსიის მიხედვით).

ფეოდალთა შორის ყველაზე მეტი პატივით მეფე და მისი საგვარეულოს წევრები სარგებლობდნენ, შემდეგ ***ბდეხშები*** (მეფის-

ნაცვლები), ***ნახარარები*** და ***აზატები***.

ძირითადი მწარმოებელი ფენა გლეხობა – შინაკანი იყო. მის საკუთრებას შეადგენდა ზოგიერთი საწარმოო საშუალება. ისინი „მხითარ გოშის" სამართლის წიგნის მიხედვით, მიწის მესაკუთრეებადაც გამოდიოდნენ. შინაკანებს მათ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლება გააჩნდათ. ერთი და იმავე დანაშაულისათვის აზაატი და შინაკანი თანაბრად ისჯებოდნენ.

§ 81. სამართალგანვითარების ძირითადი ტენდენციები

ძველ სომხეთში სამართლის ერთ-ერთ წყაროს ჩვეულება – ***ადათი*** წარმოადგენდა. ერთადერთ კანონმდებლად ითვლებოდა მეფე, რომელიც ადმინისტრაციულ განკარგულებებსა და ბრძანებულებების გამოსცემდა. უძველესი პერიოდის აქტებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ფეოდალიზმის ხანაში საერო სამართლის წიგნები შედარებით გვიან ჩნდება, თუმცა, უფრო ადრეულია ***კანონიკური სამართლის აქტები***, ე.წ. „სომხური კანონების წიგნი", რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ნათარგმნი და ორიგინალური. სომხეთში უხვად ითარგმნებოდა კანონიკური ძეგლები ბერძნული და სირიული ენებიდან (ნიკეის 325 წლის, კონსტანტინეპოლის 381 წლის, ეფესოს 431 წლის და სხვა საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები). ეროვნული საეკლესიო კანონმდებლობიდან დიდი მნიშვნელობა აქვთ სააკ პორტევისა და შაჰაპივანის საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს.

კანონების წიგნში გამოიყოფა დიდი საეკლესიო პოლიტიკური მოღვაწის იოანე ომნეცის მიერ 710-720 წწ. შედგენილი და მას შემდეგ დამატებული ნაწილები.

პირველი საერო სამართლის კოდექსი სომხეთში იყო ***დავით ვარდაპეტის*** სამართლის წიგნი (1130 წ.). იგი 97 მუხლისაგან შედგება და შეიცავს როგორც საოჯახო, სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის მარეგულირებელ ნორმებს.

XII ს. 40-იან წლებში შედგენილია ***მხითარ გოშის*** სომხური სამართლის წიგნი. როგორც პროფესორი გ.ნადარეიშვილი მიუთითებს[1], გოში მოღვაწეობდა ჩრდილოეთ სომხეთში, რომელიც მაშინ საქართველოს შემადგენლობაში იყო და ამიტომ, ამ სამართლის წიგნში აისახა მაშინდელი ქართული სახელმწიფოებრიობის დროშის ქვეშ მდგომი სომხური პროვინციების ყოფა-ცხოვრება და სამართალი. ეს ძეგლი თერთმეტთავიანი შესავლისა და ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან პირველი 124 მუხლი საეკლესიო კანონმდებლობას ეხება, ხოლო მეორე 130 მუხლი – საერო კანონებს.

ამავე პერიოდშია შედგენილი ***დავით ვარდაპეტის***, იგივე ალავიკის ძის კანონები, რომელიც შესულია მხითარ გოშის სამართლის წიგნში. კილიკიის სომხეთში 1265 წელს შედგენილ იქნა ***სმბატ გუნდსტაბლის*** კოდექსი.

სომხური სამართალი, ისევე როგორც ევროპული და რუსული სამართალი, ერთმანეთისაგან განასხვავებდა მიწაზე საკუთრების ფორმებს. ევროპულ „ბენეფიციუმს“ და რუსულ „პომესტიეს“ სომხეთში შეესაბამებოდა „პარგევაკანქს“. ეს მიწები ნახარარებს გადაეცემოდათ და ამ თანამდებობის მემკვიდრეობითობის შეძენასთან ერთად, სარგებლობის უფლებით მიღებული მიწაც მემკვიდრეობითი ხდებოდა, ანუ მამულად იქცეოდა. რაც შეეხება დასავლეთ ევროპულ „ლენს“ და „ფეოდს“, ხოლო რუსულ „ვოტჩინას“ და ქართულ „მამულს“, სომხეთში სამართლებრივი რეჟიმის მიხედვით, შეესაბამებოდა „ჰაირენიკ“. უძრავ ქონებაში მიწის გარდა მოიაზრებდა წისქვილიც. ნასყიდი უძრავი ქონება ადგილობრივი გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა და ცალკე სამართლებრივი რეჟიმი არსებობდა დედისაგან მიღებულ უძრავ ქონებაზე – „მაიჩენიქ“, რომელიც დროთა განმავლობაში მამულად გადაიქცა. ეს ისეთივე ქონება იყო, როგორც დასავლეთევროპული „ალოდი“ (აღმოსავლეთში – მულქი).

გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში, ეკლესიის პრივილეგირე-

---

1 გიორგი ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, გვ.203.

ბული მდგომარეობის გამო არ ხდებოდა მათი ადგილმამულების გადასახადებით დაბეგვრა.

საქორწინო და საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება ეკლესიების პრეროგატივა იყო და ამიტომ საეკლესიო სჯულდებები გამოიყენებოდა. ბიზანტიის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნისას სომხეთში გავრცელდა იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობა. ამას მოჰყვა მართლმადიდებელი სომეხი ქალების სამემკვიდრეო უფლებებში მამაკაცებთან გათანაბრება. სომხეთში, საქართველოს მსგავსად, არსებობდა მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის ინსტიტუტი. ქალის ქონებას შეადგენდა „ვარძანქ-ტუაირი" (წინა საქორწინო საჩუქარი), „ოჟიტი", ანუ მზითევი და სხვა. ახ.წ. V საუკუნიდან სომხეთში მონოგამიური ქორწინება დამკვიდრდა, ხოლო ოჯახი ისევ პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ცოლი ღებულობდა ქმრის გვარს და მის წოდებრივ მდგომარეობას იზიარებდა. ოჯახის უფროსს „ტანუტერს" ეძახდნენ.

რაც შეეხება ***სისხლის სამართლს***, თავდაპირველად იგი, აღმოსავლური სამართლის მსგავსად, ძალიან მკაცრი იყო. ფეოდალიზაციის განვითარებასთან ერთად ხდება სასჯელთა ჰუმანიზაცია. ისევე როგორც საქართველოში, სომხეთშიც იკრძალებოდა ქრისტიანის სიკვდილით დასჯა. ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულს. მაგალითად, განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობისათვის ადამიანი სიკვდილით არ ისჯებოდა.

დანაშაულად მიჩნეული იყო სამშობლოს ღალატი, რომელიც მეფის ღალატთან იგივდებოდა. ასეთი დანაშაულისათვის არსებობდა კოლექტიური დასჯის პრინციპი, როცა არა მარტო დამნაშავე ისჯებოდა სიკვდილით, არამედ მისი ახლო ნათესავებიც. სომხური სამართალი ასევე იცნობდა სარწმუნოების, ოჯახისა და ზნეობის, ქონებრივ, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს.

მტკიცებულებათა წრე იგივე იყო, რაც მეზობელ ქვეყნებში: მოწმის ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებანი, ორდალი (ღვთის მსჯავრი), ფიცი.

თავი III. აზერბაიჯანის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§ 82. სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე

აზერბაიჯანის ტერიტორია ძველ ბერძნულ წყაროებში ატროპატენად იხსენიება, რაც ნიშნავს „ცეცხლის მცველთა ქვეყანას". მეცნიერთა მიერ ამ ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ორგვარად არის გაშიფრული: პირველი, რომ ეს სახელწოდება ნავთობის დიდი მარაგის გამო არსებულ ცეცხლის კერებიდან მომდინარეობს და, მეორე, ამ ტერიტორიაზე ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული.

ძვ.წ. I ათასწლეულში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომები სახლობდნენ: სამხრეთით ბინადრობდნენ მანელები, მიდიელები და ქალდუზიები; აღმოსავლეთით – კასპიები; ჩრდილოეთით – ალბანელები. ამ ტომების გაერთიანების შედეგად გაჩნდა პირველი პოლიტიკური წარმონაქმნები. ძვ.წ. IX საუკუნეში ურმიის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა მანას სახელმწიფო. ძვ.წ. VII საუკუნეში მიდიის სახელმწიფო, რომელმაც ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს დაიმორჩილა მანა, თუმცა ამავე საუკუნის შუა წლებიდან მიდია აქემენიდთა სპარსეთის სატრაპია გახდა.

ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს სამხრეთ აზერბაიჯანში შეიქმნა ***ატროპატენა***, ამ სახელწოდებიდან წარმოდგა სპარსული „ადარბადაგანი" (აქედან – აზერბაიჯანი).

ძვ.წ. I ათასწლეულის მიწურულს ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ალბანეთის სახელმწიფო. ეს სახელწოდება ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე „მთაგორს" ნიშნავდა.

ახ.წ. I საუკუნეში პირველ აზერბაიჯანულ სახელმწიფოებში ინტენსიურად ვითარდებოდა მიწათმოქმედება, მებაღეობა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ხელოსნობამ. ახ.წ. III-IV სს. განვითარდა ფეოდალური ურთიერთობები და ალბანეთში ოფიციალურ

რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა. ახ.წ. IV საუკუნიდან აზერბაიჯანის ერთ ნაწილში სასანიანთა ირანი გაბატონდა. ამასთან, გაძლიერდა დარუბინდის გზით თურქი მოდგმის ტომთა თავდასხმები (ჰუნები და ხაზარები, ქუშანები, საბირები, ბულგარები). ამავე პერიოდში, ისევე როგორც ირანში, დაიწყო მაზდაკელების მოძრაობა, რომელიც ერთგვარად ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ახ.წ. VII საუკუნიდან აზერბაიჯანი არაბთა ხალიფატის აგრესიული ომების ორბიტაში მოექცა და ამასთან ერთად, VIII საუკუნიდან აქ მაჰმადიანური რელიგია გავრცელდა. აზერბაიჯანელები, დამპყრობლებთან რელიგიური ერთიანობის მიუხედავად, დიდხანს იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ცნობილია 20-წლიანი გლეხთა ანტიარაბული მოძრაობა ბაბექის მეთაურობით, მაგრამ დამოუკიდებლობა X საუკუნის პირველ ნახევრამდე მაინც ვერ შეძლეს. ამ ეტაპზე არაბებმა უკან დაიხიეს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული: შირვანი (ცენტრი – შემახა), შედადიანების სამთავრო განჯის ოლქში, სალარიდების სამფლბელო, საჯიდების სამთავრო. ამ ეტაპზე გაიზარდა ქალაქების როლი, რომლებიც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრებად იქცა (ბარდავი, შემახა, განჯა, ბაქო, თავრიზი, არდებილი, მარალა და სხვა).

1106 წლიდან აზერბაიჯანში დაიწყო თურქ-სელჩუკების გამანადგურებელი ლაშქრობები, რასაც მიწათმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის დაქვეითება მოჰყვა. ეს უღელი აზერბაიჯანელებმა ნაწილობრივ ქართველთა ლაშქრების დახმარებით გადაიგდეს.

XIII საუკუნიდან აზერბაიჯანში მონღოლები შევიდნენ და ქვეყანა ჰულაგუიანების სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. მხოლოდ შირვანმა შეინარჩუნა ერთგვარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ვასალობის პირობით. XIV საუკუნიდან ქვეყანას თემურლენგის ურდოები შემოესივნენ, მაგრამ შუა აზიაში დაწყებული აჯანყების გამო, იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. თემურლენგი ოქროს ურდოს სარდალმა თოხთამიშმა შეცვალა, შემდეგ ისევ

დაიწყო თემურლენგის ლაშქრობები, რომელსაც მხოლოდ შირვანი გადაურჩა. XV საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორია მტკვრის სამხრეთ ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნიანთა) და აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიანთა) სახელმწიფოების ფარგლებში მოექცა. XIV საუკუნის მიწურულს მტკვრის ჩრდილოეთით დაწინაურდა შირვანის სახელმწიფო, რომელიც მეაბრეშუმეობის ცენტრი იყო და ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. შირვანშაჰებმა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარეს რუსეთთანაც.

XV ს. მეორე ნახევრიდან არდებილის მფლობელი სეფოიანები გახდნენ, მათ თავრიზი აიღეს და აყ-ყოინლუს სახელმწიფო გაანადგურეს, ხოლო XVI ს. შირვანიც დაიმორჩილეს.

შაჰ-აბას I-ის დროს სეფიანთა სახელმწიფომ ირანიზაციის თავისებური პროცესი გაიარა. დედაქალაქი ყაზვინიდან ისპაჰანში გადაიტანეს. მმართველობის აპარატი სპარსელ ფეოდალთა ხელში გადავიდა. აზერბაიჯანი თანდათან ირანის გარე პროვინციად გადაიქცა.

XVII-XVIII სს. კავკასიაში ძლიერდება რუსეთის გავლენა და 1724 წელს კონსტანტინეპოლის ხელშეკრულებით აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი მისი გავლენის ქვეშ მოექცა. XVIII ს. ნადირშაჰის სიკვდილის შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 15-მდე სახელმწიფო (ყუბის, შაქის, ყარაბაღის, რამდენიმე სასულთნო და სამელიქო).

1801 წლიდან აზერბაიჯანის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. ყარაბახის, შაქისა და შირვანის სახანაოები ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის დროს, რუსეთმა დააკავა განჯა, ყუბის, ბაქოს, თალიშის სახანოები. ეს მდგომარეობა იურიდიულად გაფორმდა რუსეთ-ირანს შორის დადებული გულისტანის საზავო ხელშეკრულებით, ხოლო 1826-1829 წწ. რუსეთის მფლობელობაში შევიდა ნახიჩევანის სახანო, ორდუბადის ოლქი და სხვა ტერიტორიები. სამხრეთ აზერბაიჯანი კი ირანს დარჩა.

რუსეთში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა 1018 წელს რო-

გორც საქართველოსა და სომხეთს, აზერბაიჯანს მისცა საშუალება დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა. მისთვის არატრადიციული – რესპუბლიკური ფორმით. ძალიან მალე აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთის ახალი პოლიტიკის მსხვერპლი გახდა, ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკაში გაერთიანებით, შემდეგ კი 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნით აზერბაიჯანმა ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი დაკარგა.

§ 83. სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ევოლუცია

ისტორიულ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყველაზე ადრე აღმოცენებულ პოლიტიკურ ერთეულად ***მანას*** სამეფო ითვლება. დღესდღეობით იგი ირანის ტერიტორიაზე მდებარეობს და მას ირანის აზერბაიჯანს უწოდებენ. ძვ.წ. VIII საუკუნიდან მანა საკმაოდ ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა. იგი სახელმწიფო ფორმის მიხედვით აღმოსავლური ტიპის დესპოტურ მონარქიებს წააგავდა მეტად მარტივი სახელმწიფო აპარატის არსებობით. მეფის ძალაუფლება აერთიანებდა ადმინისტრაციულ, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლებას, მაგრამ მმართველობის განხორციელებისას ერთგვარად ეყრდნობოდა უხუცესთაა საბჭოს. ქვეყნის მთელი ტერიტორია იყოფოდა ადმინისტრაციულ ოლქებად, რომელთაც მეფის მიერ დანიშნული სამხედრო-პოლიტიკური ძალის მქონე მეფისნაცვლები მართავდნენ. ასეთივე მმართველობა იყო ***მიდიის*** სახელმწიფოშიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფო თეოკრატიზმის ნიშნებსაც ატარებდა და მეფის პიროვნება გაღმერთებული იყო; ქურუმი თეორიულად მეფეზე მაღლა იდგა. რელიგია და სამართალი ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული და მართლმსაჯულებას სასულიერო წოდება ახორციელებდა. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას კი მეფე წარმოადგენდა და ამით ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად სასამართლო ხელისუფლებასაც იქვემდებარებდა. ცნობილ ბეჰისტუნის წარწერაში ისეთი იურიდიული

ფორმულები იკითხება, რაც ძლიერი აღმოსავლური ტიპის შეუზღუდავი მონარქიის არსებობაზე მიუთითებს: მეფის ხელისუფლების სიძლიერე ქვეშევრდომებს უნდა სწამდეთ, როგორც რელიგიური დოგმა. მეფე მართავდა ქვეყანას აჰურამაზდის – ღვთაების წყალობით. ის წარმოადგენდა უზენაეს და ერთადერთ კანონიერ მმართველს დედამიწაზე და ამიტომაც მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ყველაზე მძიმე ცოდვად ითვლებოდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ პოლიტიკურ ერთეულს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – ***ალბანეთს***, აქ, მანასა და მიდიისაგან განსხვავებით, სახელმწიფო გაცილებით გვიან წარმოიშვა და შეუზღუდავი მონარქიის ფორმით დამკვიდრდა, მაგრამ ქვეყანაში დიდი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა მთავარი ქურუმი, რომელიც მეფის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა. ახ.წ. III-V სს. ალბანეთში ჩამოყალიბება ფეოდალური ურთიერთობა და სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. იგი კულტურულ-სახელმწიფოებრივი განვითარების დონით საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა..

V საუკუნის დასაწყისში ალბანეთს ჰქონდა საკუთარი ანბანი (რომელიც 52 ასო-ბგერისგან შედგებოდა). განვითარდა ლიტერატურა და მეცნიერება. ითარგმნა რელიგიური დანიშნულების წიგნები. VII საუკუნეში მოვსეს კალანკატუელის მიერ შედგენილ იქნა „ალბანეთის ისტორია"[1]. იგი კავკასიის ალბანეთის ისტორიის შესწავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. VII საუკუნეში ამიერკავკასიაში არაბი დამპყრობლების გამოჩენას მოჰყვა ალბანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის გამუსლიმება.

IX-X სს. ადგილობრივმა მთავრებმა შეძლეს მოკლე დროით აღედგინათ მეფის ხელისუფლება. შემდეგში ალბანეთის მიწაწყლის დიდი ნაწილი შევიდა შირვანის ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ძველი ალბანეთის სახელმწიფოს სათავეში იდგა ***მეფე***, რომელიც ქვეყანას წარჩინებულთა წოდების მეშვეობით მართავდა. ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტუქტურაში დიდ როლს ასრულებდა

1 მელიქსეთ-ბეგი ლ. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, ტ. 1, თბ., 1949 წ .

ქრისტიანული ეკლესია. სასანიდების დინასტიის სპარსელი შაჰების ბატონობის პერიოდში ალბანეთი ნახევრად დამოკიდებული ქვეყანა იყო. მართალია, მეფის ხელისუფლება შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ მისი ძალაუფლება საკმაოდ სუსტი იყო. ძირითადი მმართველობა სპარსეთის მეფისნაცვლების ხელში მოექცა.

არაბთა ბატონობამ მეფის ხელისუფლება გააუქმა და ქვეყანა სხვადასხვა საამიროს შემადგენლობაში მოექცა, რომელთაც მეფისნაცვლები განაგებდნენ.

თურქ-სელჩუკების შემოსევის შემდეგ სახელმწიფო წესწყობილებაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. შირვანმა საშინაო დამოუკიდებლობა შეინარჩუნა სელჩუკებისა და მონღოლების ბატონობის ეპოქაში. მისი მმართველები შირვანშაჰების ტიტულს ატარებდნენ, მაგრამ XV-XVI საუკუნისათვის ეს პრეტენზია რეალური აღარ იყო, რადგან მთელი აზერბაიჯანი ირანის სეფევიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და საშინაო დამოუკიდებლობაც გარკვეულწილად შეიზღუდა. მართალია, XVIII ს. მეორე ნახევარში კვლავ გაჩნდა პოლიტიკური ერთეულები ყარაბაღის, ყუმის, შირვანის, ბაქოს სახანოების სახით, მაგრამ აქ სახელმწიფო მმართველობა პატრიარქალურ-ფეოდალურ საწყისებზე იყო მოწყობილი.

აზერბაიჯანში ცალკე არსებობდა ფეოდალური ქალაქის წარმონაქმნები, მაგრამ მათ ისეთი თვითმმართველობის უფლება არ მოუპოვებიათ, როგორც ევროპაში. ქალაქებს – „ქალანთარები" მართავდნენ, სასოფლო თემს – „იუზბაშები" ედგნენ სათავეში. ყოველი სახანო იყოფოდა რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად და მათ ნაიბები განაგებდნენ.

მონღოლების ბატონობის პერიოდში აზერბაიჯანის მმართველობა მთლიანად მონღოლი ფეოდალების ხელში გადავიდა. მონღოლებმა აზერბაიჯანის ტერიტორია სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულებად დაყვეს, რომელსაც სათავეში სამხედრო თავკაცი – ***ნოიონი*** ედგა. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეს ტიტული ჩინური წარმოშობისა იყო. თითოეული ნოიონი, ანუ ნოინი მემკვიდრეობით ღებულობდა სამფლობელოს. მონღოლების პერიოდში

ცენტრალური მმართველობის განსახორციელებლად შემოვიდა დივნების ინსტიტუტი, რომელიც ვაზირს დაექვემდებარა.

საზოგადოებრივი წყობილება. პირველ აზერბაიჯანულ სახელმწიფოებში საზოგადოების სოციალურ ფენებად დაჯგუფება და მათი უფლებების სამართლებრივი რეგლამენტირება ეფუძნებოდა თემური წყობილებიდან შემორჩენილ საგვარეულო არისტოკრატიისა და თავისუფალი მეთემეების უფლებების პოლიტიკურ სისტემასთან მისადაგებას.

განსაკუთრებული უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ ***ქურუმები*** (მაგები). მათთვის დიდი პრივილეგიების დაწესება – უზარმაზარი ადგილ-მამულებისა და ზოგჯერ ქალაქების საკუთრებაში გადაცემა, განპირობებული იყო ზოროასტრიზმის იდეოლოგიური დანიშნულებით. ეს მოძღვრება ხელს უწყობდ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებას საზოგადოებაში და მიმართული იყო მომთაბარეთა ყაჩაღური მძარცველური ცხოვრების წესის წინააღმდეგ. დიდი პატივით სარგებლობდნენ ის ქურუმები, რომლებიც წინასწარმეტყველ ზოროასტრის უშუალო შთამომავლებად ითვლებოდნენ.

სათანადო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ***თავისუფალ მეთემეებთან*** ერთად ***მონათა*** კატეგორიაც არსებობდა. თავისუფალი მოსახლეობა მთლიანად არასამხედრო ვალდებული იყო.

ახ.წ. III-XVIII სს. განმავლობაში აზერბაიჯანის საზოგადოებრივ სტრუქტურაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, რადგან დამპყრობლებს თან მოჰქონდათ თავიანთი საზოგადოებრივი ყოფა, სამეურნეო ჩვევები, პრიმიტიული კულტურა, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე აფერხებდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ პროგრესს.

შუა საუკუნეების აზერბაიჯანში გამოიკვეთა აღმოსავლური ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობები, რაც მიწაზე სახელმწიფო საკუთრების აღიარებას გულისხმობს და გამორიცხავს ფეოდალური იერარქიის არსებობას. მართალია, ძირითად ფენას ***ფეოდალები*** შეადგენდნენ, მაგრამ ისინი თავიანთ კერძო საბატონო მეურნეობას არ აწარმოებდნენ. ფეოდალთა ფენა ერთნაირი არ

ყოფილა. საერო ფეოდალების შიგნით გამოიყოფოდა მსხვილი და წვრილი ფეოდალები. სასულიერო წოდებას ატროპატენში – მოგვები შეადგენდნენ, ძველ ალბანეთში ქრისტიანობის მიღებამდე – ქურუმები, ხოლო შემდეგ – სამღვდელოება. არაბების ბატონობის დროს აზერბაიჯანელი დიდკაცობა სახელმწიფო მმართველობას ჩამოაშორეს და მრავალი პრივილეგია წაართვეს. თუმცა არაბიზაციის პროცესი მხოლოდ დიდკაცობას როდი შეეხებოდა. გაუარესდა გლეხების მდგომარეობაც. არაბები თემური შრომის გვერდით არც მონურ შრომაზე ამბობდნენ უარს. მიწისა და წყლით სარგებლობისათვის ისინი, ვინც მუსლიმურ სარწმუნოებას არ აღიარებდნენ, დამატებით სულად გადასახადსა და რელიგიის მსახურთა სასარგებლოდ შემოსავლის ერთ მეათედსაც იხდიდნენ.

თურქ-სელჩუკების ბატონობის პერიოდში მიწის ფეოდალური საკუთრების მნიშვნელოვანი ფორმა გახდა *იქტა*. იქტადარს, ანუ იქტის მფლობელს საშუალება ეძლეოდა მოსავლის რაოდენობის მიხედვით მიეღო მიწის გადასახადი – ხარაჯა.

მონღოლების ბატონობის პერიოდში გაუარესდა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა. ისინი დამპყრობლებისათვის იხდიდნენ ორმოცამდე სხვადასხვა სახის გადასახადსა და გამოსაღებს, ამასთან ერთად, შრომით ბეგარას. ამ სიტუაციამ საგლეხო მეურნეობები დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

ყაზან-ყაენის (1295-1304 წწ.) მიწის რეფორმას მოჰყვა მონღოლური ფეოდალების ეკონომიკური პროგრესი და გლეხების მიწაზე მიმაგრება. გვიანფეოდალურ აზერბაიჯანში გლეხთა ორი კატეგორია გამოიყოფოდა: სახელმწიფო გლეხები და კერძო მფლობელობაში არსებული გლეხები.

აზერბაიჯანში, დასავლეთ ევროპის ფეოდალური მამულებისაგან განსხვავებით, მეურნეობის ისეთი სისტემა დამკვიდრდა, რომელიც სოფლის მეურნეობაში დაგროვების პროცესის საშუალებას არ იძლეოდა და ქვეყანაში მწარმოებლურ განვითარებას აფერხებდა. ფეოდალი წარმოების ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ექსპლუატატორი.

აზერბაიჯანელ ფეოდალებს იურიდიულად გლეხების მიმართ

არ გააჩნდათ სასამართლო-პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ ბეგები, ფაქტობრივად არანაკლებ სასტიკ ხელისუფლებას ახორციელებდნენ გლეხების მიმართ, ვიდრე ქართველი თავადები.

ფეოდალიზმის ეპოქაში საზოგადოების ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრა საკუთრების ისეთმა ფორმებმა, როგორიც იყო დივანი – სახელმწიფო საკუთრება, ხასე – საუფლისწულო მამული, მულქი – ინდივიდუალური მემკვიდრეობითი კერძო საკუთრება (ალოდი), იქტა – პირობითი საკუთრება, ვაკუფი – რელიგიურ დაწესებულებათა საკუთრება. ამასთან, არსებობდა რენტის სამი ფორმა: ღალა, ბეგარა, ფულადი გადასახადი. ვინაიდან ფეოდალის პირადი მეურნეობა განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა, გაბატონებული იყო ნატურალური რენტა.

რაც შეეხება ქალაქებს, ისინი ფეოდალთა ძალაუფლების ქვეშ იყო მოქცეული. ბევრი სავაჭრო და სახელოსნო მათ ეკუთვნოდათ. სხვადასხვა სახანოში სხვადასხვა ფულადი სისტემა მოქმედებდა. ყოველი სამფლობელოს საზღვარზე საბაჟო იყო გამართული, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებდა ვაჭრობის განვითარებას და ამასთან, ქალაქების როლს.

აზერბაიჯანში კაპიტალიზმის განვითარების პროცესმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. წარმოიშვა ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ძირითად ბირთვს ეკონომიკურად ძლიერი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია წარმოადგენდა. XX საუკუნის დასაწყისი ცნობილია სოციალური და ეკონომიკური კრიზისებით, რაც ბაქოს ნავთობის წარმოების შემცირებას მოჰყვა.

§ 84. სამართლის ძირითადი ნიშნები

აზერბაიჯანში სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ ***ადათებს*** მიიჩნევენ. მკვლევარები ასევე ფიქრობენ, რომ, როგორც მიდიასა და ატროპატენში, ასევე ძველ ალბანეთში კანონის ძალა უნდა ჰქონოდა ***ავესტას***. სამართლის შესწავლის უძველეს წყაროდ

გამოდგება აგრეთვე ბეპისტუნის წარწერა. ფეოდალიზმის ხანაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სავალდებულო სამოქმედო ძალა ჰქონდა ***მატიკანს*** – ათასი გადაწყვეტილების კრებულს. იგი ახ.წ. VI საუკუნეში შეიქმნა და სასანიდური სპარსეთის სამართლის წიგნს წარმოადგენდა. არაბების შემოსევამდე კანონის ძალა ჰქონდათ საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს (მაგალითად, V ს. აგუენის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება). მუსლიმური სარწმუნოების გავრცელების შემდეგ მოქმედ სამართლად იქცა ***შარიათი, ყურანი*** და VI საუკუნის დასასრულიდან ***სუნნა***. ფეოდალური აღმოსავლეთის სწრაფი განვითარების პროცესში საჭირო იყო დროის შესაფერისი მოქნილი სამართლებრივი ნორმები და ჩნდება სამართლის კიდევ ორი წყარო – ***იჯმა*** (ავტორიტეტული ღვთისმეტყველების მიერ გამოთქმული მოსაზრებები) და ***ყიიასი*** (მსჯელობა ანალოგიის მეშვეობით), მონღოლების ბატონობის ეპოქაში – მონღოლი ყაენების კანონები – ***ჩინგიზ ხანის დიდი იასა, ყაზან ყაენის კანონმდებლობა*** და სხვა.

სამართლის ცალკეული დარგების განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ სამართალგანვითარების დონე ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა, სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის დაცემასთან ერთად, კნინდებოდა სამართლებრივი კულტურაც.

მიწაზე საკუთრების ფორმები დაწვრილებითაა განხილული მუსლიმური სამართლისადმი მიძღვნილ პარაგრაფში. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გავლენა სეფიანთა ირანის ცენტრალური პოლიტიკის მიზანს შეადგენდა, მაგრამ სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მიწის ფოდი მთლიანად სახელმწიფო მოხელეების უშუალო განკარგულებაში მაინც არ იმყოფებოდა. მეფის ხელისუფლება იძულებული იყო გადაეცა იგი სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობის პირებისათვის სამსახურის შესრულების პირობით. ასე რომ, ოფიციალურად მიწები შაჰის საკუთრებად ითვლებოდა, ფაქტობრივად კი გადადიოდა ემირებისა და სხვა მოხელეების მფლობელობაში. გვიანფეოდალურ აზერბაიჯანში იქტის შესაბამის მიწის მფლბელობის ფორმას „სოიურღალი“ წარმოადგენდა, რომელიც დასავლეთ ევროპული „ლენის“

მსგავსად მემკვიდერობით ხასიათს ატარებდა.

საოჯახო-საქორწინო სამართლის სფეროში დიდი გავლენა ჰქონდა საეკლესიო კანონიკური სამართლის ნორმებს. ქორწინება ეკლესიაში ხდებოდა ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულებით. იკრძალებოდა ახლო ნათესავებს შორის ქორწინება. საოჯახო ურთიერთობათა სფეროში სერიოზული ცვლილებები მოჰყვა ისლამის სარწმუნოების დამკვიდრებას. დაიშვა მრავალცოლიანობა და ქალის უფლებრივი მდგომარეობა საკმაოდ გაუარესდა.

სისხლის სამართალზე დიდი გავლენა იქონია მუსლიმური სამართლის ნორმებმა. მკვლელობა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფად კი არ განიხილებოდა, არამედ მოკლულის ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

დაიშვებოდა შურისძიება. მკაცრად ისჯებოდა რელიგიის, ზნეობისა და სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

სასამართლო ხელისუფლებას მარზპანები ახორციელებდნენ. ყადი რელიგიური მოძღვარიც იყო და მოსამართლეც. სასამართლო პროცესი ძირითადად ბრალდებით ხასიათს ატარებდა, ხოლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში დიდი ადგილი ეკავა ფიცს, ბრალდებულის აღიარებას მოწმეების ჩვენებას, ორდალს და სხვა.

თავი IV. თურქეთისა და ირანის სახელმწიფოები

თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებმა მათი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე. თურქეთსა და ირანში გავრცელებული მუსლიმური სამართალი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება როგორც ისტორიულად, ასევე ევროპული სამართლის რეცეფციის თვალსაზრისით. ამიტომ, გასაგებია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას ითხოვს აზიის ამ რეგიონის სახელმწიფოებისა და სამართლის შესწავლა.

§ 85. თურქეთის სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო საქართველოს სამხრეთიდნენ ესაზღვრება და აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიულ ერთეულს შეადგენს.

თურქების წინაპრად ისტორიკოსები მიიჩნევენ ოღუზებს, რომლებიც ანატოლიაში პირველად ახ.წ. XI საუკუნეში, სელჩუკთა დაპყრობის დროს მოვიდნენ. ამ გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანების ერთ-ერთი მომთაბარე ტომის – „ქაის" ბელადმა რუმის სულთნისაგან მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში სამხედრო სამსახურისათვის უჯის ტერიტორია მიიღო. მისმა შვილმა კი ოსმან I-მა 1299 წელს დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავრო შექმნა – ***ბეილიქის*** სახელწოდებით. აქედან იწყება პირველი თურქული სახელმწიფოს – ***ოსმალეთის*** ჩამოყალიბება და განვითარება. მთელი XIV-XV სს. ოსმალი ფეოდალები მცირე აზიაში დაპყრობით ომებს ეწეოდნენ და სახელმწიფოს საზღვრებს აფართოებდნენ. მათ გადალახეს დარდანელის სრუტე და ბალკანეთის ქვეყნების უმრავლესობა დაიმორჩილეს. 1453წელს კი კონსტანტინეპოლის აღებით ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას. ოსმალეთის აგრესია იმდენად გაძლიერდა, რომ ევროპული სახელმწიფოებისა და რომის ეკლესიის მესვეურებმა ანტიოსმალური კოალიციის შექმნაც კი განიზრახეს. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა საქართველოში 1459

წელს რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. კოალიციის შექმნის პროექტი საკმაოდ საინტერესო იყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. ოსმალეთი დაპყრობით ომებს საკმაო წარმატებით განაგრძობდა. შეძლო შეეერთებინა ტრაპიზონის საკეისრო და ყირიმის ნახევარკუნძული. XV საუკუნისათვის შავი ზღვა ოსმალეთის „დახურულ ტბად" იქცა, რის გამოც საქართველო თითქმის მთლიანად მოსწყდა გარე სამყაროს. ოსმალების დაპყრობას ვერ გადაურჩა სირია, პალესტინა, ეგვიპტე. არაბეთის ნახევარკუნძულმა აღიარა სულთნის უზენაესი ხელისუფლება, ხოლო 1534-1546 წწ. ერაყის დაპყრობით ოსმალეთი გავიდა სპარსეთის ყურეში. XVI საუკუნიდან სეფინთა სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ირანსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ხანგრძლივი ომები ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის.

ამ წარმატებული დაპყრობითი ომების მიუხედავად, სამხედრო დიქტატურაზე მოწყობილი სახელმწიფო შიდა მმართველობის საკითხებს ვეღარ არეგულირებდა. XVI ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებებს. სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისის შედეგად დაქვეითდა ოსმალეთის სამხედრო ძლიერება. დაეცა სამხედრო დისციპლინა იანიჩარებს შორისაც, რასაც მოჰყვა თურქეთის სერიოზული სამხედრო დამარცხებები რუსეთთან და ესპანეთთან. XVII ს. დასასრულიდან ოსმალთა იმპერიის სიძლიერეს საფუძველი ეცლება. ავსტრია-ოსმალეთის, რუსეთ-ოსმალეთის ომებს XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში თან დაერთო იმპერიის უღლის ქვეშ დაბეჩავებულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლები. ოსმალებმა თანდათან დაკარგეს დაპყრობილი ტერიტორიები. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში. ოსმალეთის ბატონობისაგან მთლიანად გათავისუფლდა საბერძნეთი, სერბია, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველოს ტერიტორიები – სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ფოთი. სამხედრო ძლიერების დაკარგვამ გამოიწვია პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შეცვლის აუცილებლობა. ოსმალეთი დამოკიდებული გახდა ევროპულ სახელმწიფოებზე, რომლებმაც თავს მოახვიეს კაპიტულაციის რეჟიმი და წამოაყენეს ევროპული

სამფლობელოების დანაწილების პროგრამა.

დაპყრობითი ომების პოლიტიკის მარცხმა, ტერიტორიების დაკარგვამ და იმპერიის შიგნით განმათავისუფლებელი ომების გაძლიერებამ ოსმალთა ხელისუფლება აიძულა რეფორმების მეშვეობით შეენარჩუნებინა იმპერიის მთლიანობა. სულთნმა სელიმ III-მ, რომელიც ოსმალეთს მართავდა 1789-1807 წწ., შემოიღო ე.წ. „ახალი სისტემა“ (ნიზამი ჯედიდ). ამ რეფორმის მიხედვით უნდა მოწესრიგებულიყო მიწათმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა, სახელმწიფოს მართვის მარტივი მექანიზმი და ფინანსების რეგულირების შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ინსტიტუტები, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

სელიმ III-ის პოლიტიკა XIX ს. დასაწყისში განაგრძო მაჰმუდ II-მ. მან მოსპო იანიჩართა ჯარი და შეეცადა, გაეტარებინა სხვა რეფორმებიც, თუმცა შედეგი უმნიშვნელო იყო, სერიოზული ძვრები დაიწყო 1930 წლიდან. ჩატარდა არმიის, სახელმწიფო აპარატის, ფინანსების რეორგანიზაცია. თანზიმათის ძირითადი დაპირებები – სულთნის ქვეშევრდომთა თანასწორობა (სარწმუნოების მიუხედავად), პიროვნების სიცოცხლისა და ქონების დაცვის გარანტია – დაპირებად დარჩა. თანზიმათის სრულ განხორციელებას ხელი შეუშალეს ოსმალთა რეაქციულმა ძალებმა, ასევე ევროპის სახელმწიფოებმა, რომელთაც XIX საუკუნის შუა ხანებიდან კაბალური სესხითა და სხვა საშუალებებით დაიწყეს ოსმალეთზე ფინანსური და პოლიტიკური კონტროლის დაწესება. 1876 წელს მიიღეს კონსტიტუცია, მაგრამ ორი წლის შემდეგ სულთან აბდულჰამიდ II-მ ფაქტობრივად შეწყვიტა მისი მოქმედება. ქვეყანაში დამყარდა მკაცრი დესპოტური რეჟიმი „ზულემი“, რომელსაც თან მოჰყვა ეროვნული უმცირესობის სისხლიანი დარბევები და პანისლამიზმის პოლიტიკის გატარება. ასეთ ვითარებაში ოსმალეთი დასავლეთის სახელმწიფოების ნახევარადკოლონიურ ქვეყნად იქცა.

XIX ს. დასასრულს ოსმალეთში დაიწყო ახალგაზრდა თურქების მოძრაობა, რომელიც რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციის გავლენით გაძლიერდა.

1908 წელს თურქეთის არმიამ მაკედონიაში მოაწყო აჯანყება,

რომელიც ცნობილია „ახალგაზრდა თურქების რევოლუციის“ სახელწოდებით და აღდგა 1876 წლის კონსტიტუცია. მოწვეულ იქნა პარლამენტი, თუმცა ახალგაზრდა თურქებმა წამოაყენეს ოსმანიზმის ლოზუნგი და ააღორძინეს პანისლამიზმი და პანთურქიზმის დოქტრინა. 1914 წლისათვის ოსმალეთში ფაქტობრივად ხელისუფლება ახალგაზრდა თურქების ხელმძღვანელების – ენვერ ფაშას, თალაათ ფაშას და ჯემალ ფაშას ხელში აღმოჩნდა. ამ „ტრიუმვირატმა“ ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაითრია და სასტიკმა დამარცხებამ ქვეყანა აიძულა 1918 წ. ოქტომბერში ხელი მოეწერა ანტანტის წინაშე კაპიტულაციაზე. ამით ოსმალეთი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის წინაშე დადგა. ანტანტის ქვეყნებმა გაინაწილეს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არაბული ქვეყნები და ემზადებოდნენ საკუთრივ ოსმალეთის სამხედრო ოკუპაციისათვის, რასაც მოჰყვა თურქი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალი (ათა თურქი).

1920 წ. 23 აპრილს ანკარაში შეიკრიბა დიდი ეროვნული კრება – ახალი პარლამენტი, რომელმაც თავი ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად გამოაცხადა ქვეყანაში. 1922 წლის 1 ნოემბერს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სულთანატის გაუქმების შესახებ და 1923 წლის 20 ოქტომბერს თურქეთი ***რესპუბლიკად*** გამოცხადდა. ქვეყნის ტრადიციული აზიური მმართველობის ფორმა შეიცვალა ევროპული ტიპის მმართველობის ფორმით. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ათათურქი. 1924 წლის 3 მარტს გაუქმდა ხალიფატი და მიიღეს თურქეთის ახალი კონსტიტუცია. დაიწყო ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმები. ქემალისტებმა შეიმუშავეს ეტატიზმის[1] პოლიტიკაზე დაფუძნებული პროგრამული ღონისძიებები, რაც გულისხმობდა თურქეთის ეკონომიკის დაცვას უცხო კაპიტალისაგან. 3)-იან წლებში რეფორმების გატარება ჯერ შეფერხდა, შემდეგ კი სრულიად შეწყდა. ამას მოჰყვა სხვადასხვა პარტიებს შორის პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. 1950 წლიდან ხელისუფლების

1 ეტიტიზმი – სრული დიქტატურა ზემოდან, რომელსაც იდეოლოგია არ გააჩნია.

სათავეში მოექცა დემოკრატიული პარტია და პრეზიდენტი გახდა მისი ლიდერი ბაიარი. პანთურქიზმის პოლიტიკა არც ახალ მთავრობას შეუცვლია. 1960 წლის 27 მაისს თურქეთის არმიამ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჯ.გურსელი, რომელიც ეროვნული ერთიანობის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. მთავრობამ ძირითად დევიზად აირჩია დაბრუნებოდა ათათურქის ტრადიციულ პოლიტიკას.

1961 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია. შეიცვალა საგარეო პოლიტიკა. თურქეთმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა ნეიტრალურ ქვეყნებთან, პირველ რიგში, არაბულ ქვეყნებთან ნორმალიზებისა და გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ 1971 წლის მარტში არმიის სარდლობამ გადააყენა ს.დემირელის მთავრობა იმ მოტივით, რომ მან ბოლო ვერ მოუღო ქვეყანაში ანარქიას. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა საბჭოთა კავშირის „მსოფლიოს გამთლიანების“ პოლიტიკას, რომელიც მუშათა მოძრაობების ორგანიზაციის მეშვეობით ხორციელდებოდა. ამის საწინააღმდეგოდ დაიწყო საგანგებო წესების შემოღება ქვეყანაში და მასიური რეპრესიები. 1973 წლისათვის შესაძლებელი გახდა ახალი პარლამენტის არჩევნების ჩატარება. სათავეში მოვიდა სახალხო რესპუბლიკური პარტიის ლიდერის ბ.ეჯევითის მთავრობა. ახალმა ხელისუფლებამ თავის პროგრამაში შეიტანა ისეთი დებულებები, როგორიცაა: მიწის რეფორმები, უცხო კაპიტალის პოზიციების შესუსტება,სახელმწიფო სექტორის გაძლიერება, საგარეო პოლიტიკაში კი კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების გზას დაადგა. 1963 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულებას. თუმცა კვიპროსისა და ქურთების საკითხი თურქეთს ხელს უშლის ევროკავშირში გაერთიანებაზე. კვიპროსი 2004 წ. ევროკავშირის წევრი გახდა. ქურთებთან მიმართებაში კი ევროკავშირი მეტ ავტონომიას ითხოვს.

§ 86. ირანის სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარების ეტაპები

ძვ.წ. III-II ათასწლეულში ირანის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე პირველი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა – ილამის სახელმწიფოს სახით. პირველი ათასწლეულის დამდეგს ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი ასირიისა და ურარტუს სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდა, ნაწილი (ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთი) მანას სამეფოში, რომელიც შემდეგ მიდიამ დაიპყრო.

ძვ.წ. 558 წელს მიდიელთა ბატონობას ბოლო მოუღო ირანელთა აჯანყებამ კიროს (ქურუშ) II აქემენიდის მეთაურობით. ტრადიციულად ირანის სახელმწიფოებრიობის ისტორიას ამ თარიღს უდებენ საფუძვლად. მალე აქემენიდთა ირანული სახელმწიფო გადაიქცა მძლავრ იმპერიად, რომლის შემადგენლობაში შევიდა ეგვიპტე, სირია, ფინიკია, მესოპოტამია, მთელი მცირე აზია, სომხეთი, თრაკია, მაკედონია. აღმოსავლეთში იმპერიის საზღვრები სირდარიისა და ჰინდის აუზებს სწვდებოდა.

ირანის სახელმწიფოს ისტორია აღმოსავლური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციულობით ვითარდებოდა. სახელმწიფოში სოციალურ-პოლიტიკური ძვრები მხოლოდ მმართველი დინასტიის შეცვლასთან იყო დაკავშირებული.

აქემენიდთა დინასტია არშაკიდებმა შეცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი ახ.წ. 224 წელს – სასანიდებმა.

აქემენიდთა მირ შექმნილი სახელმწიფო იყო დესპოტური მონარქია, რომლის სათავეში შეუზღუდავი ხელისუფლებით შაჰინშაჰების ტიტულის მქონე ***მონარქი*** იდგა. მმართველობის სხვადასხვა რგოლს შესაბამისი მოხელე განაგებდა, მაგრამ პირველი მაინც სამხედრო საქმის მმართველო იყო, რომელსაც მოჰყვებოდა ***დიდვეზირი***, ***მეჭურჭლეთუხუცესი***, ***დოსტაქრები*** და სხვა, რომლებიც საზოგადოების ტიტულოვან დიდმოხელეთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ.

ჰეროდოტეს გადმოცემით, აქემენიდთა იმპერია 26 ***სატრაპიად*** (პროვინციად) იყოფოდა. თვითონ აქემენიდთა მონარქი –

დარიოსი როსთემის კლედის წარწერაში 30 პროვინციას ასახელებს. პროვინციების მმართველობა სატრაპების მეშვეობით ხორციელდებოდა (ირანელები ამ მოხელეს „ხუთშარბაზს“ უწოდებდნენ„. მათ ხელში იყო სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება. მათთან ერთად ადგილებზე ინიშნებოდნენ ***გარნიზონის სარდალი*** და ***მწერალ-კონტროლიორი***. სატრაპიის სამივე დიდი მოხელე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა და მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

არშაქიანთა დინასტიის პერიოდში სახელმწიფოს არისტოკრატიის შვიდი ოჯახი განაგებდა, რამაც ქვეყნის დეცენტრალიზაციის ტენდენციას შეუწყო ხელი. მმართველობის კოორდინაცია ევალებოდა ***სახელმწიფო საბჭოს***, რომელშიც იმპერიის შვიდივე ნაწილის მმართველი შედიოდა. ქვეყნის ცალკეულ მხარეებს მართავდნენ ***ფადიშაჰები,*** რომლებსაც ***დიდი ფადიშაჰი*** ნიშნავდა. პროვინციების მმართველების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება ქვეყნის დეცენტრალიზაციის საფუძველი გახდა. თუმცა ეს ტენდენცია ცენტრალური მმართველობის გაძლიერებით მთლიანად შეცვალეს ***სასანიანებმა***. მათი მმართველობის პერიოდი ირანელთა შეკავშირების ეპოქად არის ცნობილი. სასანიანთა შაჰები ხელისუფლების განხორციელებისათვის სასულიერო წრეებს ეყრდნობოდნენ. რელიგიურ მეთაურებს მონარქი ნიშნავდა. მათ განკარგულებაში იყო სამართალწარმოება, სკოლებისა და შეწირული ქონების გამგებლობა, ქორწინება-განქორწინებისა და საოჯახო კონფლიქტების მოწესრიგების საქმე. ცენტრალური მმართველობა კვლავ ხორციელდებოდა სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით, სადაც ცალკეული უწყების გამგებლობისათვის დივნები ინიშნებოდნენ.

ახ.წ. 651 წელს არაბი ნომადების შემოსევის შედეგად სასანიდელთა ირანის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

არაბებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სახელმწიფო მმართველობის გამოცდილება. ამიტომ მათ ამ მხრივ ბევრი რამ ისარგებლეს ირანელებისაგან. არაბი ხალიფები თავიანთ ხელში აერთიანებდნენ სამხედრო, საერო და რელიგიურ ხელისუფლებას. თავდაპირველად მხოლოდ ხარკით კმაყოფილდებოდნენ და არ ერეოდნენ და-

პყრობილი ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ ტერიტორიის ზრდამ და იქიდან ხარკ-ნადავლის დიდი ოდენობით შემოზიდვამ მმართველობის საქმე გაართულა. ამიტომ არაბებმა ირანელებისაგან შემოიღეს ***საალრიცხვო უწყება***, რათა შემოსავალ-გასავლის საქმე მოეწესრიგებინათ.

სახალიფოს გავლენის შესუსტებას კვლავ ირანული სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოშობა მოჰყვა. XI საუკუნიდან ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. XIII საუკუნიდან კი ქვეყანა ***ჰულაგიანთა სახელმწიფო გაერთიანებაში*** შევიდა. ჰულაგიანთა ილხანების სახელმწიფო ირანული განვითარებული ფეოდალიზმის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მონღოლთა მომთაბარული სახელმწიფო უწყებების წინააღმდეგობრივ სითეზს წარმოადგენდა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – სახელმწიფო საბჭო, ანუ ***ყურულტაი*** წარმოადგენდა. მონღოლთა გარნიზონის საქმეებს სამხედრო უწყება (დეჟბანი) განაგებდა. ცალკე არსებობდა სატრანსპორტო საშუალებათა საგანგებო უწყება (Tadaroqe hal-o nayl) და საძოვრების დაცვა-შენახვის დაწესებულება (hafizaT-e maraTe). უწყებათა გარდა, არსებობდა ამირეჯიბის, მეჯინიბეთუხუცესის და სხვა თანამდებობები. თუ სიტყვა „ხანი" მამაკაცის სახელს დაემატებოდა, ეს მისი მფლობელობის საპატიო მდგომარეობაზე მიუთითებდა.

თემურიანების სახელმწიფოში (XIV-XV სს.) დამკვიდრდა არაბების დროს შემოღებული ვაზირე აზამის მაღალი თანამდებობა, ხოლო მონღოლებიდან შემორჩა დივან ბეგის (უმაღლესი მოსამართლის) და მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობები.

XVI საუკუნეში ირანში ***სეფიანთა სახელმწიფო*** შეიქმნა. ხელისუფლების სათავეში შაჰ-აბასის (1587-1629 წწ.) მოსვლის შემდეგ მის მიერ გატარებული ცენტრალიზებული პოლიტიკის შედეგად ყიზილბაშთა ტომების ბელადებმა სახელმწიფოში თანდათან დათმეს წამყვანი პოზიციები და მათი ადგილი მკვიდრი ირანელი მოსახლეობისა და შიიტური ზედაფენის წარმომადგენლებმა დაიკავეს. შაჰი ხელს უწყობდა ერთგული უცხო, უპირატესად ქა-

რთველი და სომეხი ელემენტების დაწინაურებას სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე. ასეთი პოლიტიკის შედეგად მოისპო ფეოდალური დაქუცმაცებულობა და შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობა. შაჰ-აბასის რეფორმებმა ხელი შეუწყო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. ყველაზე ძლიერი სამხედრო რეფორმა იყო. 4 სამხედრო შენაერთი ძირითადად ქართველი და სომეხი ტყვე მეომრებისაგან შედგებოდა. სეფინთა ირანის სახელმწიფო, ფორმის მიხედვით, დესპოტური მონარქია იყო. სახელმწიფო მმართველობის სისტემა მკაცრი სუბორდინაციის პრინციპს ემყარებოდა. დიდ და მომცრო პროვინციებს (ველაიათები და აიალათები) განაგებდნენ ადგილობრივი მმართველები – ***ხაქიმები***, რომელთაც შაჰი ნიშნავდა. მათ ფართო უფლებამოსილება ჰქონდათ. პროვინციების სიდიდისა და მნიშვნელობის შესაბამისად, ადგილობრივ მმართველებად ინიშნებოდნენ ვალიები (ნაცვლები), ბეგლარბეგები (უმაღლესი ადმინისტრაციული ან პოლიციური მოხელენი), ხანები (ტომების ბეგები, ადგილობრივი ფეოდალები) და სულთნები (მცირე მმართველები).

ქვეყნის საზღვრების აღდგენა-გაფართოებას, არმიის რეორგანიზაციასა და სხვა სამეურნეო ღონისძიებებს ხელისუფლებაში. შაჰის შემდეგ უმაღლეს მმართველებად ითვლებოდა ***ვაზირე აზამი***, იგი პასუხისმგებელი იყო შაჰის წინაშე სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლის საქმიანობაზე. ***ვაყეე ნევისს***, რომელიც ერთი საფეხურით დაბლა იდგა, შაჰის ფირმანების (ბრძანებულებები) ტექსტის მომზადება და ვაზირე აზამისათვის წარდგენა ევალებოდა. ***დივან-ბეგი*** უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა. ***მუსთოუფი ოლ-მალექი*** საფინანსო საქმეებს განაგებდა. ***ყორჩიბაში ამირ ოლ-უმარა*** – უმაღლესი სამხედრო პირი იყო და შეიარაღებულ ძალებს ედგა სათავეში. მისი ხელქვეითები იყვნენ ***ყულარ აყასი*** (მონების ჯარის სარდალი) და ***თოფანგჩი აყასი*** (არარეგულარული ჯარის სარდალი). შემდეგ მოდიოდნენ ***იშიქ აყასი*** – სასახლის ცერემონიმეისტერი და ***ნაზირ ბოიუთათი*** – სახელმწიფო მამულების, ნაგებობებისა და სხვა ქონების ზედამხედველი.

ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ ქვეყანა კვლავ მოიცვა ფე-

ოდალურმა შინაომებმა, რაც თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. გამონაკლისი იყო ქემირ-ხან ზენდის დაახლოებით 20-წლიანი მმართველობა, როცა მან შეძლო დროებით გაეერთიანებინა ირანის მიწები.

ყაჯართა დინასტიის დასაწყისში, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ წლებს ემთხვევა, კვლავ დომინირებდა პატრიარქალური ყოფის ძლიერი გადმონაშთები.

ირანის სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის სრულყოფის ახალი ეტაპი დაიწყო XVIII საუკუნის შუა ხანებიდან. ამ დროს ევროპის განვითარებული ქვეყნების ირანში შეღწევის შედეგად გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის საზოგადოებრივ წყობაში, რასაც მოჰყვა სათანადო გარდაქმნები სახელმწიფოს მმართვის ორგანიზაციაშიც.

XIX ს. პირველი ნახევრიდან უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების პირობებში ყაჯართა ირანში იყო ცდები შუასაუკუნეობრივი სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში გარკვეული ცვლილებები შეეტანათ.

„დიდი კარის სათათბიროს ინსტრუქციის“ თანახმად, პირველად ირანის სახელმწიფოს ისტორიაში (ევროპის ქვეყნების ნიმუშის მაგალითზე) შეიქმნა უმაღლესი სათათბირო კოლეგია წევრთა კოლექტიური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამასთან განისაზღვრა სამინისტროების სტრუქტურა და ორგანიზაციული ფორმები. დაწესდა, რომ განსაზღვრულ დროს დიდი კარის სათათბიროს სხდომები გაიმართებოდა სადრაზამის თავმჯდომარეობით. სათათბიროს წევრებად ითვლებოდნენ მინისტრები, უფლისწულები, დიდმოხელენი, სასახლის წარჩინებულნი და გუბერნატორები.

შაჰის სასახლესთან არსებობდა განსაკუთრებული ***კანცელარია***, რომელიც სახელმწიფო მეთაურს აკავშირებდა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან. აქ მაღალი თანამდებობის მისაღებად (მათ შორის მინისტრის, პროვინციის მმართველის, გადასახადების ამკრეფისა და თვით სოფლის მამასახლისის) აუცილებელი იყო ფიშქეშის გაღება.

XIX საუკუნის ბოლოს ირანის ადმინისტრაციულ-ტერიტორი-

ული დაყოფის დაახლოებით იგივე წესი არსებობდა, რაც ერთი საუკუნის წინ, ყაჯარების ხელისუფლებაში მოსვლის დროს იყო. საქვეუწყებო ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებიც თეირანს ემორჩილებოდნენ, პროვინციები და ქვეპროვინციები (ბულუქები) წარმოადგენდნენ.

ირანის 1905-1911 წწ. რევოლუციის წინ ტრადიციის თანახმად ძალით შაჰი ქვეყნის ერთპიროვნულ, აბსოლუტურ მმართველად ითვლებოდა. ხელისუფლების ყველა ორგანო და, მაშასადამე, უკლებლივ ყველა ქვეშევრდომი მისი ნების უბრალო ამსრულებელი იყო.

მონარქის ღვთისსწორობის იდეა კიდევ უფრო განმტკიცდა ***სასანიელების ეპოქაში***. ეს იდეა ირანში უკანასკნელ პერიოდამდე არსებობს და იგი აისახა ჯერ კიდევ ***პირველ კონსტიტუციაში*** 1907 წელს, რომლის 35-ე მუხლში მონარქი წარმოდგენილია, როგორც „ძე ღვთისა და ძე კაცისა". აქვე აღნიშნულია, რომ მონარქი არის ხალხისათვის ღვთისგან „ზეგადმოვლენილი წყალობა". მონარქი გამოსცემდა ფირმანებს რელიგიურ მრჩევლებთან კონსულტაციის შემდეგ. ეს წესი XX საუკუნემდე შემორჩა.

XIX-XX სს. მიჯნა ირანის ისტორიაში მხოლოდ ორი საუკუნის უბრალო შესაყარი არ ყოფილა. ძირეული ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1905-1906 წწ. გაფიცვებმა და გამოსვლებმა მოიცვა ქვეყანა. ამ სიტუაციით შეშინებულმა შაჰმა მოზაფარ ედ-დინმა 1905 წ. 5 აგვისტოს გამოსცა ფირმანი მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევის შესახებ. 9 სექტემბრის საარჩევნო კანონის საფუძველზე აირჩიეს მეჯლისის შემადგენლობა. 30 დეკემბერს შაჰმა დაამტკიცა ქვეყნის ძირითადი კანონი და ამით ირანში სათავე დაედო ***საპარლამენტო მმართველობას***. 1908 წლის 23 ივნისს დაბომბეს მეჯლისი, რასაც რევოლუციური გამოსვლები მოჰყვა.

XX ს. 20-იანი წლებიდან ირანს შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა. გაფორმდა ინგლის-ირანის ხელშეკრულება, მაგრამ ამავე ეტაპზე იწყება საბჭოთა რუსეთის ინტერვენტაციაც.

1921 წლის 26 თებერვალს საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რასაც მოჰყვა საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი თანამდებობის პირების დაწინაურება. ერთ-ერთი იყო რეზა-ხანი, რომელსაც, თითქოს ვერავინ შეეცილებოდა რესპუბლიკური მმართველობის დროს პრეზიდენტის სავარძელს, მაგრამ 1924 წლის მარტში მან ზურგი შეაქცია რესპუბლიკური მმართველობის შემოღების მომხრეებს.

1925 წლის 31 ოქტომბერს მეჯლისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ყაჯართა დინასტია, ხოლო ქვეყნის დროებითი გამგებლობა რეზა-ხანს გადაეცა. იმავე წლის 12 დეკემბერს მოწვეულ იქნა ქვეყნის პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც რეზა ხანი ირანის შაჰად გამოაცხადა. ამ დინასტიას ***ფეჰლევის დინასტია*** ეწოდა.

ახალი შაჰის პოლიტიკა ხელს უწყობდა კერძო საკუთრების განვითარებასა და მიწაზე კერძო საკუთრების სამართლებრივ განმატკიცებას. დიპლომატიური თვალსაზრისით და ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრების მიზნით, რეზა-ხანი ცდილობდა არ გაეღიზიანებინა საბჭოთა კავშირი და თითქოს ასრულებდა კიდევაც 1921 და 1928 წლებში დადებულ ხელშეკრულებებს, მაგრამ, როცა ქვეყანა ფეხზე დადგა, 30-იანი წლებიდან მან ორიენტაცია გერმანიაზე აიღო.

მონარქს შემდგომ ეტაპზე გარკვეული ლავირება სჭირდებოდა ხელისუფლებაში. 1962 წლის მიწის რეფორმასა და ე.წ. „თეთრ რევოლუციას“ საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა მოჰყვა. ეს ახალი სოციალური ძალების ფორმირებას მოასწავებდა, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მმართველობის მონარქიული ფორმის შენარჩუნება. მაგრამ 60-იანი წლებიდან ირანის სახელმწიფოს ისტორიაში იწყება არატრადიციული მმართველობის ფორმის დამკვიდრება.

„ისლამური მმართველობის სისტემის“, ანუ „ისლამური სახელმწიფოს“ სტრუქტურული მოდელის თეორიული დასაბუთებულობა მოცემულია აიათოლა ხომეინის ნაშრომებში, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა „ისლამური რესპუბლიკური მმართველობის“ სახელწოდებით. ისლამურ რესპუბლიკაში ავტორი გულის-

ხმობდა ფორმით თანამედროვე, შინაარსით ისლამურ დოგმებზე დაფუძნებულ სახელმწიფო მმართველობას, როდესაც ხელისუფლების ორგანოების არჩევითობა შეხამებული იქნებოდა თეოკრატიულ მმართველობასთან. ეს ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების მემკვიდრეობის შიიტურ დოგმას. თუმცა, ამას ხომეინი ყურანიდან ამოღებული დებულებების დამოწმებით ახერხებდა.

ქმნიდა რა მომავალი „ისლამური რესპუბლიკის" მოდელს, ხომეინი გამოყოფდა სახელმწიფო ხელისუფლების სამ ორგანოს, რომლებსაც უნდა დაფუძნებოდა ისლამური მმართველობა – შარიათის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღება, სათათბირო და აღმასრულებელი ჯგუფები. გადაწყვეტილებათა მიმღებ ჯგუფს წარმოადგენდა საკანონმდებლო ხელისუფლება, ანუ დაფუძნებელი კრება წარმოადგენდა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებდა ფეტვას სახით. სათათბირო ჯგუფის როლი მეჯლისს ეკისრებოდა, ხოლო აღმასრულებელ ჯგუფში მინისტრთა კაბინეტი იგულისხმებოდა. აიათოლა ხომეინის მოდელში ცალკე არ არის გამოყოფილი სასამართლო ხელისუფლება, ვინაიდან იგულისხმება, რომ მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შარიათის კანონებით, რაც გამორიცხავს საერო სასამართლოების არსებობას.

ირანის რევოლუციის შემდეგ, 1979 წლიდან ჩამოყალიბდა რევოლუციური ხელისუფლების გარკვეული სისტემა რევოლუციური კომიტეტების, „ფასდარების" რაზმების, რევოლუციური ტრიბუნალების, საბჭოების სახით. საბჭოთა სოციალისტურმა იდეოლოგიამ ირანში მიმდინარე მოვლენებზე ინტერვენციული დაწოლა დაიწყო და შეეცადა რევოლუციის შედეგები საბჭოურ სისტემაში მოექცია.

1979 წ. 30-31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი – მონარქია თუ ისლამური რესპუბლიკა. რეფერენდუმი რევკომების მეშვეობით ჩატარდა, 1 აპრილს ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ახალი კონსტიტუცია კი, რომელშიც ირანის ისლამური რესპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლებია ჩამოყალიბებული, 1979 წ. დეკემბრის რეფერენდუმით არის მიღებული და მასში იურიდიულად განმტკიცდა სახელმწიფო წყობილების კლერიკალური ხასია-

თი. კონსტიტუციამ მონარქიის ავტოკრატიული რეჟიმის ნაცვლად ისლამური ლიდერების დიქტატურა დააკანონა.

„ვილაიათე ფაყიჰის", ანუ თეოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი, რომელიც პირველად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაკანონდა, წარმოადგენს „მიმალული იმამის" გამოცხადებამდე შიიტური თემის მართვის „ისლამური მმართველობის წესის" ხომეინისეული კონცეფციის პრაქტიკულად ხორცშესხმას ირანის სინამდვილეში. იგი მიზნად ისახავდა ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ დამკვიდრებული ისლამური ნორმების აღორძინებას და მათ საფუძველზე თანამედროვე სახელმწიფოს მართვას. „ვილაიეთე ფაყიჰის" ინსტიტუტი სახელმწიფოს მართვაში გულისხმობს უმაღლესი თანამდებობის პირის – ***რაჰბარის*** დაწესებას. კონსტიტუციის მიხედვით მას ხალხი აღიარებს წინამძღოლად, რომელიც არ გადაუხვევს „ისლამის კეთილშობილური პრინციპებიდან". იგი სახელმწიფოს მეთაურად და ერთპიროვნულ მმართველად ითვლება. მაგრამ კონსტიტუცია უშვებს სხვა ვარიანტსაც. როცა ვერც ერთი ფაყიჰი ხალხის საერთო აღიარებას პირადად ვერ მოიპოვებს, იქმნება უმაღლესი კოლეგიალური ორგანო – ***შურაიე რაჰბარი***, ანუ 3-5 კაცისაგან შემდგარი ხელმძღვანელი საბჭო.

„რაჰბარი" სახელმწიფო მართვის ფუნქციების შესრულებაში უშუალოდ ეყრდნობა ***სამეთვალყურეო საბჭოს*** (შურაი-ე ნეგაჰბან). კონსტიტუციის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო იქმნება „ისლამური ნორმების და ძირითადი კანონის დაცვის მიზნით", იმისათვის, რომ ისლამურ ტრადიციებს შეესაბამებოდეს პარლამენტისაგან მიღებული ყველა კანონი და გადაწყვეტილება. იგი 12 კაცისაგან შედგება. უფლებამოსილების ვადა 6 წელია. პარლამენტი თავის უფლებამოსილებას სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე ვერ განახორციელებს. პარლამენტის ყველა კანონი და დადგენილება სამეთვალყურეო საბჭოს ეგზავნება საბოლოო განხილვა-დამტკიცებისათვის. ეს უკანასკნელი ვალდებულია 10 დღის ვადაში შეისწავლოს, თუ რამდენად პასუხობს მიღებული დოკუმენტი ისლამურ ტრადიციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას

უფლება აქვს დოკუმენტი ხელმეორედ განსახილველად კვლავ დაუბრუნოს პარლამენტს. თუ შემდეგშიც სამეთვალყურეო საბჭომ მეჯლისის მიერ მიღებული კანონი ტრადიციებისა და კონსტიტუციის შესატყვისად არ მიიჩნია, მას ვეტოს ადებს, ხოლო თუ კანონი ისლამური განაწესების შესაბამისად ცნო, იგი ძალაში შედის ხელმძღვანელისაგან დამტკიცების შემდეგ.

ახალი კონსტიტუციით ერთპალატიანი ***საპარლამენტო მმართველობა*** იქნა შემოღებული. პარლამენტის მუშაობის წესი იგივე იყო, რაც მონარქიული მმართველობის დროს.

კონსტიტუციის თანახმად, ირანის რესპუბლიკის ***პრეზიდენტი*** მეორე საფეხურზე დგას რაჰბარის (ხელმძღვანელი) შემდეგ. იგი კოორდინაციას ამყარებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ხელს აწერს და მთავრობას გადასცემს შესასრულებლად პარლამენტისაგან მიღებულ ყველა დოკუმენტს, წამოაყენებს კანდიდატურას პრემიერ მინისტრის პოსტზე, ხელს აწერს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და შეთანხმებებს იმის შემდეგ, რაც მას პარლამენტი დაამტკიცებს, ამტკიცებს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და ინსტრუქციებს, ან განმეორებით განხილვისათვის უკან აბრუნებს მათ. თავისი შეხედულებისამებრ, იწვევს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, გადასცემს და იღებს დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნების სიგელებს, გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ.

მთავრობას ხელმძღვანელობს ***პრემიერ-მინისტრი***. ისევე როგორც მონარქიული მმართველობის დროს, მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია მეჯლისის წინაშე. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა შეირჩევა პრეზიდენტის მიერ. რაჰბარი საბოლოოდ ამტკიცებს ამ კანდიდატურას, ხოლო შემდეგ ნდობის ვოტომის საკითხს პარლამენტი განიხილავს.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აღდგენილია შარიათის სასამართლო და იგი გამოცხადებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც „ისლამური სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებს“.

სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უმაღლესი სასამართლო საბჭო (Surai-e alic-yazai), რომელსაც 5 წლით ირჩევენ. საბჭო 5 წევრისაგან შედგება – თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი და სამი ისლამური კანონის მცოდნე, რომელთაც ქვეყნის მოსამართლეთა შემადგენლობიდან ირჩევენ.

ისლამური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი სასამართლო ორგანოების საქმიანობას უთანხმებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. იგი სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეებად ნიშნავს სათანადო კომპეტენციის მქონე პირებს, რომელთაც უმაღლესი სასამართლო საბჭო შეარჩევს. მათ საბოლოოდ პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს. მუსლიმური მართლმსაჯულების აღსრულებას კონტროლს უწევს ***უმაღლესი სასამართლო*** „დივან-ე ა ლიექ ქეშვარ“, რომლის თავმჯდომარეს, ისევე როგორც გენერალურ პროკურორს, სახელმწიფოს მეთაური (რაჰბარი) ნიშნავს ხუთი წლის ვადით უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციით. ამ პოსტებზე მხოლოდ უმაღლესი რანგის სასულიერო პირები ინიშნებიან.

სასამართლო პროცესი საჯაროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განიხილება ოჯახის, ზნეობრივი, ინტიმური ან პიროვნებათა სადავო საქმეები. ღია და დახურული პროცესის მოწყობის საკითხი მომჩივანი და მოპასუხე მხარეების მოთხოვნის საფუძველზე წყდება.

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული ისეთი კანონებისა და დადგენილებების შესრულებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ისლამურ კანონებს და ტრადიციებს.

ცალკე არსებობს სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციისა და ჟანდარმერიის თანამშრომლებისა და ისლამური რევოლუციის „მუშაკთა კორპუსის“ პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულს. ტრიბუნალები პოლიტიკურ დანაშაულსაც იხილავენ. პოლიტიკური დანაშაულის ხასიათს სახელმწიფო „ისლამური ტრადიციების საფუძველზე“

განსაზღვრავს (პოლიტიკურ საქმეებს საერო სახელმწიფოებიც განიხილავს). კონსტიტუცია პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევს ყველა ქმედებას, რომელიც ოფიციალურ რელიგიასა და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფო წყობილებას ეწინააღმდეგება. ყველა არაისლამური პოლიტპარტიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა ხშირად კვალიფიცირებულია, როგორც პოლიტიკური დანაშაული, რაც მუსლიმური სამართლით მთელი სისასტიკით ისჯება.

თავი V. მუსლიმური სამართალი

§ 87. მუსლიმური სამართლის წყაროები

შუა საუკუნეების აღმოსავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მუსლიმური სამართალი (შარიათი), რომელიც არაბთა ხალიფატში შეიქმნა და გავრცელდა აზიაში, აფრიკასა და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. ამ სამართალმა აღმოსავლური სამართლებრივი კულტურის ბევრი ნიშანი შეითვისა, მაგრამ, საბოლოო ჯამში განუმეორებელ, თავისებურ და ორიგინალურ სამართლებრივ სისტემად დამკვიდრდა. შარითი არის მტკიცე კონფესიონალური სამართალი, რომელიც ორგანულადაა შერწყმული ისლამის თეოლოგიასთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ისლამის მიხედვით, სამართალი განიხილება ერთიანი ღვთიური წესრიგის ნაწილად. ამიტომ შარიათის სინკრეტიზმი და დაუნაწევრებლობა (მორალურ, სამართლებრივ ნორმებად) ამ სამართლებრივი სისტემის სპეციფიკური მხარეა, რადგან, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მუსლიმსა და ალაჰს შორის ურთიერთობებს, ე.ი. ადგენს დოგმებს და აზუსტებს, თუ რა უნდა იწამოს ადამიანმა, ხოლო, მეორე მხრივ, არეგულირებს საზოგადოებრივ (ადამიანთა) ურთიერთობებს, ე.ი. ადგენს წესებს, თუ რა უნდა აკეთოს ან რა არ უნდა აკეთოს მორწმუნემ.

აქედან გამომდიარე, მუსლიმური სამართალი ძირითადად ადამიანზე დაკისრებული მოვალეობების იდეას ემყარება და არა უფლებებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა სამართლებრივი სისტემებისაგან, მაგრამ გარეგნული რიგორიზმის[1] მიუხედავად, მაინც ეგუება მსოფლიოს თანამედროვე პირობებს.

მორწმუნეთა სამართლად კანონიკური სამართალიც ითვლება, მაგრამ მუსლიმურ სამართალთან მისი მსგავსება მხოლოდ ამ დებულებით თუ ამოიწურება. მუსლიმური სამართალი, წვრილმანი დეტალების ჩათვლითაც კი, ისლამის იდეოლოგიის განუყოფელი

1 რიგორიზმი – პრინციპების, წესების ნვრილმანებში მკაცრად, განუხრელად დაცვა, უპირატესად ზნეობრივ საკითხებში.

ნაწილია. ამიტომ, მსოფლიოში არ არსებობს არავითარი ხელისუფლება, რომელსაც მუსლიმური სამართლის შეცვლა შეეძლოს. ვინც მუსლიმურ სამართალს არ დაემორჩილება, ცოდვილია და იმქვეყნად დაისჯება, ვინც მუსლიმური სამართლის გადაწყვეტილებას სადავოს გახდის – ერეტიკოსია და ისლამური საზოგადოებისაგან განიდევნება. მუსლიმისათვის საზოგადოებრივი ცხოვრება არ ქმნის სხვა ნორმებს, გარდა რელიგიური ნორმებისა, რომელთა განუყოფელი ნაწილია შარითი. ყველა ამ დებულების მიხედვით, მუსლიმური სამართალი არსებითად განსხვავდება ქრისტიანული საზოგადოების კანონიკური სამართლისაგან. „მეუფებაი ჩემი, – თქვა ქრისტემ, – არა ამის სოფლისაგან არს". სამოქალაქო კოდექსების მართებულობამ თავისი დასტური სახარებაში პოვა: „მიეცი კეისრისა კეისარსა". ქრისტიანულ სამართალს საერო სამართლის შეცვლის უფლებამოსილ სამართლებრივ სისტემად არასოდეს გამოუცხადებია თავი. კანონიკური სამართალი ყოველთვის საერო სამართლის დამატება იყო და ცდილობდა იმ საკითხების მოწესრიგებას, რომლებიც საერთო სამართლით არ რეგულირდებოდა.

სხვა ვითარებაა მუსლიმურ ქვეყნებში, სადაც სამართალი, როგორც აღვნიშნეთ, რელიგიის ნაწილს შეადგენს. ამ ქვეყნებში წმინდა სახით საერო სამართლის დადგენა შეუძლებელია. ისლამის ორთოდოქსალურობა გამორიცხავს ყოველგვარი სამართლის შესაძლებლობას, რომელიც მკაცრად შესატყვისი არ იქნება შარითის ნორმებთან. ყურანზე დამყარებული მუსლიმური სამართალი უნდა განვიხილოთ, როგორც სხვა, მსგავსი წყაროს არმქონე სამართლებრივი სისტემისაგან სრულიად დამოუკიდებელი სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ამა თუ იმ ინსტიტუტების არქაული ხასიათი, კაზუისტურობა და სისტემატიზაციის უქონლობა. მუსლიმური სამართლის წყაროების შესახებ სამართალმცოდნეთა შორის ერთიანი აზრი არ არის. ერთნი თვლიან, რომ სამართლის წყაროა მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც ყურანსა და სუნაშია გადმოცემული და ყველა მუსლიმური სკოლისათვისაა მისაღები, მეორენი, სამართლის წყაროდ მიიჩნევენ იმ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც ყურანსა და სუნაში არ არის შეტანილი, მა-

გრამ ამ რელიგიური წიგნების სულით არის გაჟღენთილი (ყიიასი, ფეტვა, იჯმა), მესამენი – ასახელებდნენ მხოლოდ იმ ადათებსა და ტრადიციებს, რომლებიც მუსლიმური სამართლის ძირითად საფუძვლებს არ ეწინააღმდეგებიან. ამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მუსლიმური სამართლის თითოეული წყარო გარკვეულ ყურადღებას მოითხოვს.

ყურანი – მუსლიმთა წმინდა წიგნია, რომელიც რამდენიმე ასეული წლების განმავლობაში იქმნებოდა, როგორც მუჰამედის ქადაგებებისა და ლოცვების კრებული და მოუწოდებდა არაბებს „უარეყოთ მამათა ჩვევები ისლამით დადგენილი წესების სასარგებლოდ“ (2.165-166). იგი 114 თავისა (სურ) და 6219 ლექსისაგან (აიატა) შედგება. ამ ლექსების უმეტესობა მითოლოგიური ხასიათისაა, მხოლოდ 500 ლექსი თუ შეიცავს მუსლიმის ქცევის წესებს, ხოლო ამათგან 80 სპეციალისტთა მიერ განიხილება, როგორც სამართლებრივი (ძირითადად ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებული) ნორმები. დანარჩენი ნორმები ეხება რელიგიური რიტუალების ჩატარების წესებს. ყურანის დებულებათა უმეტესი ნაწილი კაზუისტური ხასიათისაა და მათი შეფარდება კერძო შემთხვევის მიმართ უტყუარია. ასეთი ნორმები მუსლიმ სამართალმცოდნეთა მიერ იწოდება – მუხკამატი, ხოლო ნორმათა უმეტესობა განუსაზღვრელი ხასიათისაა და სხვადასხვაგარად შეიძლება იქნეს გაგებული. ***ფაყიჰი*** სამართალმცოდნეები ასეთ ნორმებს მუტაშაბიხატს უწოდებდნენ და მიაჩნდათ, რომ მათი გამოყენება პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ურთიერთობების რეგულირებისათვის. ყურანის შემდგენლებმა აკრძალეს სხვა ენაზე მისი თარგმნა. თუმცა, დროთა განმავლობაში იგი მაინც ითარგმნა თურქულ, თუ სხვა აღმოსავლურ ენებზე, ხოლო ევროპული ენებიდან პირველად ესპანურ ენაზე ითარგმნა.

ყველა მუსლიმური სკოლისათვის საერთო და მეორე ავტორიტეტულ წყაროს წარმოადგენს – ***სუნა***, რომელიც სხვადასხვა მოთხრობისაგან (ხადისები) შედგება. არაბულ ენაზე იგი ადათსა და ტრადიციას ნიშნავს. ახ.წ. IX საუკუნეში ისლამის ორმა დიდმა

მკვლევარმა ელი ბოქჰარიმ და მოსლემმა დიდძალი სამუშაოები ჩაატარეს, რათა წინასწარმეტყველის ჭეშმარიტი გამონათქვამები დაედგინათ, მაგრამ ეკუთვნის თუ არა ყველა შეკრებილი ადათი მუჰამედს, დღესაც საეჭვოა. ერთი კი ცხადია, ყურანის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები შეივსო ახალი – საქორწინო და სამემკვიდრეო, მტკიცებულებითი და საპროცესო სამართლებრივი ნორმებით. სუნა ავსებდა ყურანით მოწესრიგებულ ურთიერთობებს, მაგრამ, თუ ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეს – მასსეს გამონათქვამს მოვიშველიებთ, – „სუნას შეეძლო ყურანის გარეშე არსებობა, ყურანს კი არ შეეძლო გვერდი აევლო სუნასათვის“.

ყურანისა და სუნას ნორმები არ შეიცავდნენ ყველა ქცევის წესს, რომლითაც საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება შეიძლებოდა. ამიტომ ამ ხარვეზის შესავსებად გაჩნდა კიდევ ერთგვარი ნორმების კრებული, რომელიც ასევე მუსლიმური სამართლის წყაროდ არის მიჩნეული – *იჯმა*, ანუ მუსლიმთა უმცდარობისა და ერთიანობის იდეა. „ჩემი ხალხი მცდარ გადაწყვეტილებას არასოდეს მიიღებს“, – ამბობს მუჰამედი, მაგრამ ესა თუ ის ნორმა იჯმად (სამართლის წყაროდ) რომ იქცეს, აუცილებელი როდია იგი მორწმუნეთა მთელმა მასამ აღიაროს. საჭიროა მხოლოდ ისლამის იურისტების ერთიანობა, რომელთა დანიშნულებასაც სამართლის დადგენა წარმოადგენს. მუსლიმი იურისტები არ არღვევდნენ რა ძირითად და ტრადიციულ საწყისებს, ამუშავებდნენ ახალ ნორმებსა (ფიკხი) და სამართლებრივ დოქტრინებს. იჯმა ვითარდებოდა როგორც ყურანისა და სუნას ტექსტთა ინტერპრეტაციის საფუძველზე, ისე ახალი ნორმების ფორმირების გზით, რომელიც უკვე აღარ მიეწერებოდა მუჰამედს და სავალდებულო ხდებოდა მუსლიმ სამართალმცოდნეთა ერთსულოვანი მხარდაჭერის საფუძველზე. იჯმას, როგორც სამართლის წყაროს, მართლზომიერების საკითხი მუჰამედის გამონათქვამით აიხსნებოდა: „თუ თქვენ არ იცით, შეეკითხეთ სხვას, ვინც ეს იცის“.

იჯმასთან ერთად შარიათის შემავსებელ სამართლის წყაროდ გამოიყენებოდა *ფეტვა* – სამართლებრივ საკითხებზე ცალკეული

მუფტების მიერ გადაწყვეტილებებისა და შეხედულებების ერთიანობა. XI საუკუნიდან მუსლიმური სამართალი ფაქტობრივად ერთიან სისტემას აღარ წარმოადგენდა. ცალკეულ სკოლებს შორის შინაგანმა გათიშვამ არსებითი ხასიათი მიიღო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მუსლიმური საზოგადოების უმცდარობისა და ერთიანობის პრინციპი გამონაკლისსაც იცნობს. ერთ-ერთი ადათის მიხედვით: „აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს ხალხში რომ სუფევს, – ღვთის წყალობის გამოვლენაა", ამიტომ ერთიანობის წესი ისლამში უთანხმოებასაც ითავსებს. ეს უთანხმოებანი მუსლიმ იურისტთა მიერ ანალოგიური მსჯელობით (*ყიასი*) წყდება. რაოდენ მცდარიც არ უნდა ყოფილიყო მუსლიმ სამართალმცოდნეთა მიერ დამუშავებული კაზუისტიკა, ცხადია, მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, რაც კონკრეტულ ცხოვრებაში წამოიჭრებოდა. ანალოგიით მსჯელობა, რომელიც დასკვნის მარტივი ფორმაა, მუსლიმ საზოგადოების მიერ აყვანილია სამართლის წყაროს რანგში. ანალოგიით მსჯელობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამართლის განმარტებისა და გამოყენების ხერხი. ისლამში ორი მიმართულების დამკვიდრებას მოჰყვა ორთოდოქსალური (სუნიზმი) და ერეტიული, (შიიზმი) განმარტების დამკვიდრება. შიიზმს უკანასკნელ პერიოდამდე დომინირებული ადგილი ეკავა ირანში, ლიბანსა და ერაყში. შიიტები, სუნნიტებისაგან განსხვავებით, აღიარებენ სახელმწიფო ხელისუფლების შთამომავლობით გადაცემის სამართლებრივ წესს და *იმამის* ხელში საერო და რელიგიური ავტორიტეტის თავმოყრას. ასე რომ, შიიტები ხალიფატის საკუთარი კონცეფციით გამოირჩევინ, რომელიც დაკავშირებულია ჯერ კიდევ სპარსეთის შექმნამდე არსებულ მონარქიულ ტრადიციებთან.

რაც შეეხება ორთოდოქსალურ განმარტებებს – ***სუნიტებს***, მათ შექმნეს ოთხი დამოუკიდებელი სკოლა, რომლებიც მათი დამაარსებლის გვარებს ატარებენ: 1.ხანიფიტური, რომელიც აბუ ხანიფამ დააარსა (გარდაიცვალა 767 წ.) და გავრცელება პოვა თურქეთში, ავღანეთში, პაკისტანში, ინდოეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიაზე; 2.მალიქიტური – მალიქ იბნ ანასმა დაამკვიდრა (გარდაიცვალა 795 წ.) და გავრცელება პოვა

ჩრდილო და დასავლეთ აფრიკის მოსახლეობაში; 3.შაფიიტური, რომელიც ალ შაფიიმ დააარსა (გარდაიცვალა 82) წ.) და გავრცელება პოვა სირიაში, პაკისტანში, ინდონეზიასა და აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში; 4.ჰანბალიტური – იბნ ჰან ბალიმ დააარსა (გარდაიცვალა 92– წ.) და გავრცელება პოვა არაბეთში.

უკანასკნელი პერიოდის მუსლიმური სამართლის მკვლევარები მიუთითებენ შიიზმის ბაზაზე წარმოშობილ სკოლებზეც: ისმაილისტური, ჯაფარისტული და სხვა.

მუსლიმ იურისტთა სხვადასხვაგვარი განმარტება უკავშირდება მრავალრიცხოვან წვრილმან დეტალებს. რაც შეეხება პრინციპებს, გასაოცარია ის უჩვეულო მსგავსება, რომელიც ურთიერთგანსხვავებულ განმარტებათა შორის არსებობს. მუსლიმური სამართლის სხვადასხვა სკოლის არსებობამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მოვლენების რაციონალურ გააზრებას და მნიშვნელოვანი ზოგადი წესების შემუშავებას.

სამართლის დამატებით წყაროდ არის მიჩნეული ისეთი ***ჩვეულებები***, რომლებიც მუსლიმურ სამართალში თავდაპირველად არ შესულა, მაგრამ არ ეწინააღმდეგებოდა ისლამის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს. ცნობილი იყო ისეთი ჩვეულებებიც (ურფი), რომლებიც მხოლოდ არაბეთის საზოგადოებაში დამკვიდრდა. ამასთან, არაბეთის ტერიტორიის ზრდას მოჰყვა სხვა ხალხთა ადათების დამკვიდრებაც.

აღსანიშნავია, რომ ისლამური სახელმწიფოები და მუსლიმური სამართალი იმ ტერიტორიაზე განვითარდა, სადაც უძველესი კულტურის სახელმწიფოები არსებობდა, კერძოდ კი, ბაბილონი, ასურეთში, ელამში, ფინიკიაში, მიდიასა და სხვა. ზოგიერთ მათგანს კოდიფიცირებული სამართალიც კი გააჩნდა, მაგრამ მათი დაცემის შემდეგ ბევრი სამართლებრივი ნორმა ამ ხალხთა ადათობრივ ნორმებად იქცა და შევიდა როგორც რომის სამართალში, ასევე მოგვიანებით მუსლიმურ სამართალში. რომაული სამართლისა და მუსლიმური სამართლის ზოგიერთი მსგავსება დასავლეთ ევროპის მეცნიერთა მიერ გაგებულია როგორც რომაული სამართლის გამოყენება მუსლიმური სამართლის წყაროდ.

ამ დებულების საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთმცოდნეები თვლიან, რომ მხოლოდ მუჰამედის ქადაგებანი და მის საფუძველზე შექმნილი ნორმები შეიძლება ჩაითვალოს მუსლიმური სამართლის წყაროდ.

მუსლიმური სამართლის წყაროდ არის მიჩნეული აგრეთვე ***ფირმანები*** – ხალიფას მიერ გამოცემული ბრძანებები და განკარგულებები. ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოში საკანონმდებლო საქმიანობის ზრდასთან ერთად სამართლის წყაროს რანგში განიხილება ***კანონები*** (კანუნ), თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფირმანები და კანონები არ ეწინააღმდეგება შარიათს, პირიქით ავსებს მას სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგლამენტირებელი ნორმებით.

§ 88. სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობები

მუსლიმური სამართალი ტრადიციულად არ იცნობს სამართლის დაყოფას დარგებად, მაგრამ საკუთრების უფლებამ, სახელშეკრულებო და დელიქტურმა სამართალმა ყურანსა და სუნაში, შესამჩნევი ადგილი დაიკავა. არაბეთის სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ დაიწყო მისი სისტემატიზაცია.

შარიათში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „პირადი სტატუსის უფლებას" (პირები) და ნივთებს. მუსლიმური სამართლით, პირის იურიდიული მდგომარეობა, პირველ რიგში, განისაზღვრებოდა მისი მრწამსის მიხედვით. ***სრულუფლებიანობის*** სტატუსი ენიჭებოდათ მხოლოდ მუსლიმები. სხვა რელიგიის მიმდევრები დაბალი სტატუსით სარგებლობდნენ და ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფო ბეგარა (ჯაზი) გადაეხადათ. შარიათის ნორმები მათ მიმართ იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, თუ დანაშაულს ჩაიდენდნენ ან ხელშეკრკულებას დადებდნენ მუსლიმთან. თავდაპირველად არც მონები სარგებლობდნენ სრულუფლებიანობის სტატუსით. ისინი სამართლის სუბიექტად არ ითვლებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მიიღეს უფლება, მებატონესთან შეთანხმებით ეწარმოებინათ სავაჭრო ოპერაციები და შეეძინათ ქო-

ნება. მუსლიმ მონათა გათავისუფლება განიხილებოდა როგორც ღვთის ნება. სრულუფლებიანობის სტატუსის თავისებურებას წარმოადგენდა ქალისა და კაცის შარიათით აღიარებული უთანასწორობაც.

რელიგიური მრწამსის მიხედვით, სამართლის ერთადერთ სუბიექტად ალაჰი იყო მიჩნეული, ხოლო მუსლიმი განიხილებოდა როგორც ღვთისგან დადგენილი ვალდებულებების მატარებელი. ამიტომ მუსლიმი სამართალმცოდნეების მიერ უფლებაუნარიანობის ცნებაზე მეტად ***ქმედუნარიანობის*** ცნებაა დამუშავებული, ანუ პირის შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა გარიგებებსა და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში. სამოქალაქო ქმედუნარიანობა აუცილებელი პირობა იყო ქონებრივი უფლებების მოსაპოვებლად. სრული ქმედუნარიანობით სარგებლობდნენ სრულწლოვანი და სულით ჯანმრთელი პირები. სრულწლოვანების დადგენა ხდებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ, რომელიც საკითხს თავისი შეხედულებისამებრ წყვეტდა. შარიათი იცნობდა აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანობის ცნებასაც. ამ სტატუსით სარგებლობდნენ მცირეწლოვანები, ჭკუასუსტები, ნასვამი პირები და სხვები.

ქონებრივ ურთიერთობებში პირებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ***ნივთებს***. თავდაპირველად მუსლიმი სამართალმცოდნეები ნივთებად მიიჩნევდნენ საგნებს, თუ ისინი სამ თვისებას ატარებდნენ: გააჩნდათ ღირებულება, მოხმარებისათვის ვარგისი იყვნენ და თავისი ბუნებით ვინმეს საკუთრებას წარმოადგენდნენ. შემდგომში დაემატა კიდევ ერთი – დაგროვების თვისება, ხოლო მოგვიანებით ადამიანის შრომაც, თუ მისი რეალიზება ფულით შეიძლებოდა, ასევე წარმოადგენდა ნივთს. ამ თვისებას ხანიფიტების სკოლა კატეგორიულად უარყოფდა, რადგან, მათი აზრით, ადამიანთა შრომა არ შეიძლება ნივთი იყოსო.

არაბულ ენაზე ნივთს უწოდებენ ყველა საგანს, მაგრამ ყველა ნივთი არ შეიძლება ყოფილიყო სანივთო სამართლის საგანი. მუსლიმური სამართალი იცნობს ისეთ ნივთებს, რომლებიც არ შეიძლება ყოფილიყო საკუთრების ობიექტი. ასეთი ნივთები შემდეგ

კატეგორიებად შეიძლება დაჯგუფდეს: 1. ჰაერი, ზღვა, უდაბნო; 2. მონა ქალი, რომელსაც ბატონისგან ჰყავს შვილი; 3. მეჩეთი, სკოლა და სხვა საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილები; 4. ურწმუნოთა წიგნები და ა.შ.; 5. აზარტულ თამაშობათა საგნები. ნივთების ბოლო ორი კატეგორია არაბთა დაპყრობითი ომების დროს განადგურებას ექვემდებარებოდა.

ნივთები, რომლებიც მუსლიმთა საკუთრებას შეადგენდა, ორ ნაწილად იყოფოდა: მოძრავი (მანკული) და უძრავი (გაირ ალ მანკული). მოძრავ ნივთებს ეკუთვნოდა ის საგნები, რომელთა გადაადგილებაც შეიძლებოდა, ჰქონდა ზომა, წონა და ა.შ. უძრავი ნივთები იყო საგნები, რომელთა გადაადგილებაც შეუძლებელი იყო, რადგან გადაადგილების შემთხვევაში თავიანთ თვისებას კარგავდნენ.

ნივთების დაყოფა ხდებოდა ასევე შეცვლად და შეუცვლელ ნივთებად. შეცვლადი იყო ის საგნები, რომლებიც დაზიანების შემთხვევაში აღდგენას ექვემდებარებოდა. უცვლადი იყო ის საგნები, რომელთა ზარალი ანაზღაურდებოდა შესაბამისი ღირებულებით ან შესაბამისი ნივთებით.

მუსლიმი სამართალმცოდნეები დიდ ადგილს უთმობენ ***საკუთრების*** (მულყიატი) ***უფლების*** ცნებას. საკუთრება სამუდამო შეუზღუდავი უფლებაა. მესაკუთრე (მულიყი) თავისი ქონების სრულუფლებიანი ბატონია. არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს მესაკუთრეს საკუთრების განკარგვაში, თუ მისი საქმიანობა ზიანს არ აყენებს სხვებს. შიიტური სამართლის მიხედვით, საკუთრებას სამი ნიშანი გააჩნია: 1. მფლობელის ხელში უნდა იყოს; 2. მასზე განკარგვის აბსოლუტური უფლება უნდა ხორციელდებოდეს; 3. სანამ ნივთი არსებობს, მასზე საკუთრების მუდმივობა, უნდა არსებობდეს. მალაჰიტების სკოლის მიხედვით, ეს უკანასკნელი ნიშანი სავალდებულო არ იყო. აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა ხანდაზმულობის ვადა. თუ უძრავი ქონება 10 წლის განმავლობაში, ხოლო მოძრავი ქონება 3წლის განმავლობაში ვინმეს ხელში აღმოჩნდებოდა, ეს უკანასკნელი ქონების მესაკუთრე ხდებოდა. ხანდაზმულობის ვადამ მუსლიმური სამართლის განვითარებაში

საკმაო ადგილი დაიკავა.

შარიათის მიხედვით, დაწვრილებითაა განსაზღვრული ***საკუთრების უფლების წარმოშობის*** ხერხები. არაბთა დაპყრობით ლაშქრობებს მოჰყვა მიტაცებულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლიანობის საკითხის გარკვევა. დაპყრობილი მიწები, საერთო წესის მიხედვით, განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო საკუთრება და გადადიოდა ხალიფებისა და ემირების მფლობელობაში. სხვა ქონების სამართლებრივი რეჟიმი, პირველ რიგში, იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, ძალადობრივი გზით იყო იგი მოპოვებული თუ არაძალადობრივი გზით მიტაცებული ქონება რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილი მიმტაცებელს რჩებოდა, მეორე – გადაეცემოდა სახელმწიფოს, მესამე – მეჩეთებს და ა.შ. შარიათის , ცნობილი იყო საკუთრების უფლების შეძენის ისეთი ხერხები, როგორიცაა ანდერძი, ხელშეკრულება, პოვნა. პოვნის თავისებურება ის იყო, რომ, თუ მიწის მესაკუთრე თავის ნაკვეთში იპოვიდა სხვის ნივთს, ნაპოვნის მესაკუთრე თვითონ ხდებოდა.

კერძო საკუთრების უშუალო ***ობიექტს*** მიწა წარმოადგენდა, მაგრამ მიწაზე საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი იცვლებოდა კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად.

განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით სარგებლობდნენ ქალაქ მექის მიწები, რომელიც ღვთის სასახლედ ითვლებოდა და „ხიჯაზად" იწოდებოდა. ამ მიწებზე შეიძლებოდა მხოლოდ მუსლიმები დასახლებულიყვნენ. იკრძალებოდა ხის მოჭრა და ნადირობა. მოსახლეობა აქ კარგავდა საკუთრების უფლებას და იგი თანდათან სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. მიწათმფლობელები განიხილებოდნენ, როგორც მოიჯარეები და ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ მძიმე ბეგარა – „ხარაჯის" სახით. არსებობდა სხვა წმინდა ადგილებიც, სადაც შეზღუდვები ნაკლები იყო. მაგალითად, ურწმუნოს შეეძლო თვეში 3 დღე გაჩერებულიყო ასეთ მიწებზე, ხოლო მისი სიკვდილის შემთხვევაში ამ ტერიტორიაზე დაკრძალვა არ შეიძლებოდა.

კერძო ფეოდალურმა საკუთრებამ (მულქი), ჯერ კიდევ არა-

ბთა ხალიფატის სახელმწიფოში, სახელმწიფო საკუთრებისა და სათემო მიწათსარგებლობისადმი დაქვემდებარებული ადგილი დაიკავა და ამიტომ ფართო გავრცელება ვერ პოვა. ევროპის ქვეყნების ფეოდალური საკუთრებისაგან განსხვავებით, მუსლიმურ კერძო ფეოდალურ საკუთრებას იერარქიული სტრუქტურა არ ჰქონია და სამსახურის შესრულებასთან არ იყო დაკავშირებული. სახელმწიფო მიწის ფონდის ზრდასა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას მუსლიმურ სახელმწიფოებში მოჰყვა მიწათსარგებლობის პირობითი ფორმების შექმნა. მიტაცებული მიწების ნაწილი მსხვილ ფეოდალებს ურიგდებოდა სამხედრო ან სახელმწიფოებრივი სამსახურისათვის. ასეთი მიწები *იქტად* იწოდებოდა. იქტადარი უფლებას იძენდა თავის სასარგებლოდ მისი ხელქვეითი მოსახლეობისაგან გადასახადები აეკრიფა. იქტა თავდაპირველად დროებით სარგებლობაში გაიცემოდა, შემდგომში დასაშვები გახდა მისი მემკვიდრეობით გადაცემაც. საკუთრებაში ეძლეოდათ მიწები იმ დიდებულებსაც, რომელთაც ნებაყოფლობით მიიღეს ისლამი. აქვე შედიოდა იმ არამუსლიმთა მიწებიც, რომლებიც არაბთა ხალიფატის გამგებლობის ქვეშ იყვნენ. სახელმწიფოს სასარგებლოდ მიწის გადასახადის (ჯაზი) გარდა, ვალდებულნი იყვნენ გაეცათ იარაღი და სურსათი, მონაწილეობა მიეღოთ გზების მშენებლობაში და გაეწიათ დახმარება ჯარისათვის.

შარიათის მიხედვით საკუთრების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა *ვაკუფი*, რომელიც (ძირითადად უძრავი ქონება) მესაკუთრის მიერ რელიგიური ან სხვა ქველმოქმედების მიზნით გაიცემოდა მეჩეთებსა თუ რელიგიურ ორგანიზაციებზე. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე ვაკუფით გაცემულ ქონებაზე კარგავდა საკუთრების უფლებას, თუმცა შეეძლო ამ ქონებიდან შემოსული მოგების რეზერვაცია თავისი და მემკვიდრეების ინტერესების სასარგებლოდ. ამ თვალსაზრისით, ვაკუფის გამცემი მესაკუთრედ კი არ ითვლებოდა, არამედ ვაკუფის მმართველად. ამ კატეგორიის ქონების სამართლებრივი რეჟიმის თავისებურებას ისიც წარმოადგენდა, რომ არ დაიშვებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გირაოდ გაცემა და სხვა. ვაკუფის მიწები მხოლოდ იჯარით გაიცემოდა ან გაიცვ-

ლებოდა სხვა მიწებზე.

ცალკე უნდა გამოვყოთ ***წვრილგლეხური საკუთრება*** მიწაზე. ეს ფორმა სათემო საკუთრების მიწებზე განვითარდა იქტის კერძო საკუთრებად გადაქცევის ან მკვდარი (აუთვისებელი) მიწების მითვისებით. სათემო მიწები ეკუთვნოდა მეთემე გლეხებს. ცალკე განხილვას მოითხოვს ***საერთო საკუთრების მიწები*** (მუშა), რომელიც ორ ან მეტ პირს ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში წილი განსაზღვრული არ ყოფილა და თითოეულის საკუთრების უფლება ვრცელდებოდა მთელ მიწაზე. სამოქალაქო გარიგება დაიშვებოდა მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობის შემთხვევაში. თუ ერთერთი მესაკუთრე თავისი წილის გაყიდვას მოისურვებდა, თანამესაკუთრე შესყიდვის უპირატესი უფლებით სარგებლობდა. სხვა პირისათვის თანასაკუთრების წილის მიყიდვა დაიშვებოდა თანამესაკუთრისაგან წილის შესყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

ყურანის მიხედვით, წყალი არ შეიძლება საკუთრების ობიექტად იყოს განხილული. ღმერთმა იგი ყველასათვის გააჩინა, თუმცა მომავალში მუსლიმური სამართლის სკოლების მიხედვით ეს დებულება სხვადასხვაგვარად იქნა განმარტებული. თავდაპირველად ყველას ჰქონდა უფლება ესარგებლა დიდი ტბებით, ზღვებით, ისევე როგორც ჰაერითა და სინათლით, მაგრამ თანდათან წყლით სარგებლობის უფლება შეიზღუდა. კერძოდ, მცირე მდინარეები და ტბები, თუ ისინი ფეოდალთა მიწაზე იყო, ამ უკანასკნელთა საკუთრებაში გადადიოდა. თითოეულ მუსლიმურ სახელმწიფოში არსებობდა განსაკუთრებული წესები საზოგადო წყლების გამოყენებისათვის. სპეციალურად დანიშნული პირები ანაწილებდნენ საზოგადო წყლებით სარგებლობის უფლებას. ვადის გასვლის შემთხვევაში, პირი კარგავდა წყლით სარგებლობის უფლებას მომდევნო რიგის დადგომამდე. მუსლიმურმა სამართალმა განვითარების გვიან ეტაპზე შეინარჩუნა მცირე მდინარეებსა და ტბებზე კერძო საკუთრების უფლება. განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი დაწესდა სასმელ წყლებზე. ამიტომ, კერძო წყლების მესაკუთრეს უფლება არ ჰქონდა დაბრკოლება შეექმნა სხვა პირებისათვის ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მართალია, მუსლიმურ სამართალში არ არის *ვალდებულების* ისეთი კონცეფცია, როგორიც რომის სამართალსა და ნაპოლეონის კოდექსებში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ვალდებულების სრულ იგნორირებას. ვალდებულებებს ისლამში გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ. ისლამის მიხედვით, ადამიანის ვალდებულება ღმერთის წინაშე ძირითადი ვალდებულებაა. სამოქალაქო ვალდებულება, როგორც აღვნიშნეთ, მეორეხარისხოვანია და ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული: ***შეზღუდული*** და ***შეუზღუდავი***. შეუზღუდავი ვალდებულებები მუსლიმური სამართლით დადგენილი არ არის. იგი მორალური პრინციპებით უნდა შეასრულოს ადამიანმა (ღარიბთა დახმარება, უბედურებისაგან გადარჩენა და ა.შ.), რაც შეეხება შეზღუდულ ვალდებულებებს, ისინი ხელშეკრულებებიდან მომდინარეობენ.

მუსლიმური სამართლის მიხედვით, ***ხელშკრულება*** განმარტებულია, როგორც ორი ან მეტი პირის კავშირი რაიმე მოქმედების შესასრულებლად. ხანიფიტური სკოლის ამ განმარტებას შიიტური სკოლა უმატებს, რომ ეს კავშირი ურთიერთშეთანხმების საფუძველი უნდა იყოს. ხელშეკრულება მხოლოდ მოქმედებით არ ხორციელდება. იგი უმოქმედობისა და მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც შეიძლება გამოიხატოს.

ხელშეკრულების ფორმა შეიძლება ყოფილიყო დოკუმენტი, არაოფიციალური წერილი ან ზეპირი შეთანხმება. „საკუთარი ხელშეკრულების“ ვალდებულების დაცვა ყურანის მიხედვით წმინდა საქმედ იყო აღიარებული. ბათილად ითვლებოდა გარიგება, თუ იგი ზნეობის საწინააღმდეგო მიზნით იდებოდა ბრუნვიდან ამოღებული ან „უწმინდური“ ნივთების გამოყენებით. ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ნების გამოხატვისათვის ფორმის დაცვა სავალდებულო არ ყოფილა.

ხელშეკრულების ***საგანი***, პირველ რიგში, უნდა ხასიათდებოდეს გადაცემის შესაძლებლობით. ჩაძირული გემი, გაქცეული ცხოველი ან მონა არ შეიძლება ხელშეკრულების საგანი იყოს. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და მხარეებს ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ მის შესახებ და რეალურად უნდა არ-

სებობდეს (ხელშეკრულების დადების დროს). დროთა განმავლობაში ხანიფიტებმა დაუშვეს მიწოდების ხელშეკრულებით (სალამ) საგნის გაყიდვა.

ხელშეკრულებები ფორმის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი ყოფილიყო: 1. *ლაემი* – როცა მხარეებს უფლება არა აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევისა; 2. *ჯაიზი* – როცა მხარეებს მიზეზების გარკვევის გარეშე ყოველთვის შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება; 3. *მუნჯაზი* – როცა ხელშეკრულება გარკვეული პირობის შესრულებასთან არის დაკავშირებული (მაგალითად, სახლის გაყიდვის ხელშეკრულება მყიდველის მიერ გამყიდველისათვის ამ სახლის იჯარით გადაცემის პირობით).

მუსლიმური სამართალი ხელშეკრულებათა სახეებიდან გამოყოფს: გირავნობას (იჯარა); სესხს (ყარდი); მინდობილობას (ვაკალა); თავდებობას (კეფალა); სამშვიდობო გარიგებას (სულხი), რომლის მიხედვით მხარეებს ბოლო უნდა მოეღოთ კონფლიქტებისათვის ურთიერთშორის დათმობის საფუძველზე; ამხანაგობის (მუდარაბა); კავშირის (შირკა); ჩუქების (ხიბა) და სხვა.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დაიშვებოდა რეალურად არსებულ ნივთებზე, მაგრამ ხანიფიტურმა სკოლამ დაუშვა ისეთი ნივთების ყიდვა-გაყიდვაც, რომლებიც მომავალში იქნებოდა წარმოებული. დაფარული ნაკლოვანებების (მონის ან ცხოველის ავადმყოფობა და სხვა) აღმოჩენის შემთხვევაში მყიდველს შეეძლო დაერღვია ხელშეკრულება.

შარიათი შეიცავდა ***მევახშეობის*** ფორმალურად აკრძალვის დებულებებს. ყურანში ნათქვამია, რომ ალაჰი ვაჭრობას უშვებს, ხოლო მევახშეობას კრძალავს. თუმცა, პრაქტიკულად ეს აკრძალვა სხვაგვარად იქნა გაგებუ. იკრძალებოდა ვალების გადაუხდელობისათვის მოვალის მონად ქცევა, მაგრამ შეიძლებოდა მოვალის იძულება მუშაობით გადაეხადა კრედიტორის ვალი.

მუსლიმურ სამართალში დიდი ყურადღება ეთმობა ქონების ***ქირავნობას***, პირველ რიგში, მიწის იჯარით გადაცემას. ცნობილია ქირავნობის რამდენიმე სახე. ამასთან ერთად, პირველადი ყურად-

ღება ეთმობოდა საიჯარო გადასახადის ოდენობასა და ამოღების წესს. ფართო გავრცელება პოვა ამხანაგობისა და კავშირის ხელშეკრულებებმა. ეს სამართლებრივი ფორმები გამოიყენებოდა მიწების ერთობლივი მორწყვის, სავაჭრო ქარავნების შესაქმნელად და სხვ.

ადათებისა და ტრადიციების გავლენა მუსლიმურ სამართალზე ყველაზე კარგად ***საოჯახო სამართალში*** ჩანს. მუსლიმურ საზოგადოებაში პატრიარქალურმა ოჯახმა ხანგრძლივი დროის მანძილზე იარსება.

ქორწინება, ისლამის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულებაა ქალსა და მამაკაცს შორის. თუმცა, ეს ფორმალური მომენტია, რამდენადაც ქორწინება დაიშვებოდა 9 წლის ქალთანაც, ანუ არასრულწლოვანთან. რეალურად მის საკითხს მშობლები ან მეურვეები წყვეტდნენ. ქორწინების ხელშეკრულება ახლოს დგას ყიდვა-გაყიდვასთან, სადაც მხარეებად გამოდიან მამაკაცი – მყიდველი და ქალის მშობლები – გამყიდველები.

ეს ხელშეკრულება ზეპირად იდებოდა ხმამაღლა თანხმობის გამოცხადებით. ქორწინების ნამდვილობისათვის გარკვეული პირობების დაცვა იყო სავალდებულო – მხარეები სისხლით ნათესავები არ უნდა ყოფილიყვნენ; ასევე არ დაიშვებოდა ძუძუმტეების ქორწინება. საინტერესოა რწმენის მოტივით ქორწინების აკრძალვა. მუსლიმური სამართალი უშვებს მუსლიმი კაცის ქორწინებას არამუსლიმ ქალთან, ხოლო მუსლიმი ქალის ქორწინება სხვა სარწმუნოების კაცთან იკრძალებოდა; არ დაიშვებოდა ისეთ ქალთან ქორწინება, რომელსაც ქორწინების გარეშე ურთიერთობები ჰქონდა სხვა პირთან.

სუნიტური სამართლის სკოლის მიხედვით, ქორწინების მხოლოდ ერთი სახე არსებობს – ნამდვილი და უვადო. შიიტური სამართლის სკოლა დროებით ქორწინებასაც იცნობს. ქორწინების ვადის გასვლა ასეთ შემთხვევაში არ საჭიროებს განქორწინების სამართლებრივ პროცედურას. დროებითი ქორწინება არც მემკვიდრეობის მიღების უფლებას იძლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები ამის შესახებ პირდაპირ უთითებდნენ ხელშეკრულებაში.

ყურანი მუსლიმს ოთხი ცოლის ერთდროულად ყოლის უფლებას აძლევდა. გარდა ამისა, შეეძლო ხასაც ჰყოლოდა მონათა წრიდან. ქმარი ვალდებული იყო, თითოეული ცოლისათვის მიეცა ქონება, საცხოვრებელი და ტანსაცმელი თავისი მდგომარეობის შესაბამისად.

ქალის უფლებრივი მდგომარეობა კარგად ჩანს ქორწინების ინსტიტუტში. ყურანი ამბობს, რომ ქმარი ცოლზე მაღლა დგას, რადგან პირველს ღმერთმა ეს უპირატესობა დაუწესა მეორის მიმართ. ცოლი არ მონაწილეობდა ოჯახის ხარჯებში, მაგრამ ვალდებული იყო წარემართა საოჯახო მეურნეობა. მისი მონაწილეობა სამოქალაქო გარიგებებში მკაცრად იყო შეზღუდული. მაგალითად, მალიქიტები თვლიდნენ, რომ ცოლს ქმრის თანხმობის გარეშე შეეძლო მხოლოდ ქონების ერთი მესამედი ნაწილის განკარგვა. ყურანის მიხედვით, ქმარს უფლება ჰქონდა ცოლის მიმართ სხვადასხვა სასჯელი გამოეყენებინა, მათ შორის სხეულებრივი.

მართალია, შარაითი დაუქორწინებლობას არასასურველ მდგომარეობად მიიჩნევს, ხოლო ქორწინებას მუსლიმის რელიგიურ მოვალეობად თვლის, მაგრამ, ამასთან, უშვებს ქორწინების დარღვევის, ანუ ***განქორწინების*** შესაძლებლობას. შარითი განქორწინების რამდენიმე სახეს იცნობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, როგორც წესის, ასევე იურიდიული შედეგების მიხედვით. განქორწინების მიზეზებად ითვლებოდა: 1. იმ ნაკლოვანებათა აღმოჩენა, რომელიც მხარეებმა ქორწინებამდე დამალეს; 2. ქმრისაგან ცოლისათვის „ზიხარის" გამოცხადება (დედად, დად, ან ისეთ ნათესავად გამოცხადება, რომელთანაც მუსლიმური სამართალი კრძალავს ქორწინებას); 3. თუ ცოლი ისლამს განუდგებოდა ან ქმარს უღალატებდა; 4. ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და მიზეზების გარეშე (ტალაკი).

მუსლიმური სამართალი განქორწინების სამ სახეს იცნობს: ბაინი, რუჯი, იდდა.

ბაინის მიხედვით, განქორწინების დროს ქმარს არა აქვს ცოლთან დაბრუნების უფლება. განქორწინების ამ სახეს მიმართავენ არასრულწლოვანთან ქორწინების დროს, როდესაც მხარეები ჯერ

კიდევ ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობებში არ ყოფილან, უშვილო ქალთან ქორწინების დროს და სხვა. *რუჯის* მიხედვით, განქორწინება (სიტყვასიტყვით დაბრუნებას ნიშნავს) გარკვეული ფორმულის დაცვას მოითხოვს. კერძოდ, ქმარი სამჯერ, გარკვეული პერიოდის შუალედით, წარმოთქვამს განქორწინების ფორმულას. პირველ და მეორე შემთხვევაში შეუძლია დაბრუნდეს მეუღლესთან, რის შემდეგაც განქორწინება კარგავს იურიდიულ ძალას.თუ ქმარი მესამე შემთხვევაში დაადასტურებს თავის სურვილს განქორწინებაზე, მას დაბრუნების უფლება აღარ აქვს. განქორწინება *იდდა* პრაქტიკულად მაშინ ხორციელდება, როცა ქალი პირველი ქორწინების შემდეგ სამი თვის ვადაში ხელახლა გათხოვდება და შვილი პირველი ქმრისაგან გაუჩნდება. ასეთ შემთხვევაში მეორე ქორწინება კარგავს ძალას და აღსდგება პირველი ქორწინება. ცოლს განქორწინება, მკაცრად განსაზღვრული მიზეზების არსებობისას, მხოლოდ სასამართლოს ძალით შეეძლო მოეთხოვა5 თუ ქმარი სასტიკად ეპყრობოდა ან არ ასრულებდა მეუღლის რჩენის ვალდებულებას.

საკმაოდ რთული და აღრეულია მუსლიმური სამართლის მიხედვით *მემკვიდრეობის ინსტიტუტი*, რომელიც არსებით გასხვავებას იძენდა სხვადასხვა სკოლის დებულებებში. აღიარებული იყო მემკვიდრეობის ორი წესი: ანდერძით და კანონით. თავისებურება ის არის, რომ ანდერძით მემკვიდრეობა ცალკე განიხილება და გარკვეული პირობების დაცვას მოითხოვს.

ისლამი ადამიანთა სრულ ხელისუფლებას ქადაგებს მათ საკუთრებაზე, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, მესაკუთრეს თავისი ქონების ანდერძით დატოვების შემთხვევაში სრულ თავისუფლებას არ ანიჭებს. ანდერძი შეიძლება შეეხოს ქონების მხოლოდ ერთ მესამედ ნაწილს, ხოლო ორი მესამედი კანონიერ მემკვიდრეთა შორის ნაწილდება. ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს ყველა, მათ შორის მონაც და არამუსლიმიც. თუმცა, შიიტური სამართალმცოდნეები თვლიან, რომ ანდერძი შეილება მხოლოდ მუსლიმზე გავრცელდეს. რამდენიმე ანდერძის შემთხვევაში მოქმედებს ბოლოს შედგენილი და კანონისმიერ მემკვიდრეებზე ანდერძი არ

გაიცემა.

მუსლიმური სამართლის მიხედვით *საკუთრება ნაწილდება* შემდეგი სახით: 1. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები; 2. გარდაცვლილის ვალების გადახდა; 3. ანდერძით მემკვიდრეებისათვის 1⅓წილის გადაცემა; 4. დანარჩენი ქონების კანონიერ მემკვიდრეთა შორის განაწილება.

კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში წილის განსაზღვრა მუსლიმური სამართლის ყველაზე რთული საკითხია. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ქალთა წილის განსაზღვრას, რადგან ისინი, შარიათის მიხედვით, კაცებთან შედარებით ორჯერ ნაკლებ ქონებას ღებულობენ.

პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლება გარდაცვლილის შვილები, ძმები, ბიძები, ცოლი და ა.შ. მემკვიდრეობის მიღების უფლება ჩამოერთმეოდათ დანაშაულის ჩამდენ პირებს, განქორწინებულ მეუღლეებს, პირებს, რომელთაც, თუნდაც გაუფრთხილებლობით გამოიწვიეს მოანდერძის სიკვდილი ან რწმენას უღალატეს. მაგრამ მალაქიტური სკოლა უშვებდა იმ მკვლელისათვის მემკვიდრეობის შენარჩუნების უფლებას, რომელიც თავისი ქმედების დროს სამართლიანი მოტივებით ხელმძღვანელობდა.

§ 89. დანაშაული და სასჯელი

სისხლისსამართლებრივი ნორმები შარიათში შედარებით დაუმუშავებელია. თავდაპირველად მუსლიმური სამართლის სისხლისსამართლებრივი ნორმები გამოირჩეოდა არქაულობით, იურიდიული ტექნიკის დაბალი დონით, რაც დანაშაულის ცნების არარსებობასა და ისეთი ინსტიტუტების დაბალ განვითარებას გულისხმობს, როგორიცაა თანამონაწილეობა, დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და სხვ. არაბთა ხალიფატის განვითარების მეორე ეტაპზე (იმპერიის ხანა) სახელმწიფოს ტერიტორიის გაზრდას და ახალი წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას მოჰყვა სისხლისსამართლებრივი ნორმების დახვეწა. მუსლიმმა სამართალმცოდნეებმა შარიათისა და

ფირმანების საფუძველზე შეიმუშავეს ახალი სამართლებრივი ნორმები, სადაც დიდი ადგილი დაეთმო ადათებს: სისხლის აღებას, კოლექტიურ პასუხისმგებლობას, განდევნას და სხვ. გვარის ან ოჯახის მეთაურს შეეძლო სასამართლოს გარეშე თვითონ დაესაჯა დამნაშავე სისხლის აღების ადათობრივი პრინციპის საფუძველზე. მომავალში, ომარ ხალიფის ინიციატივით შეიქმნა, სასამართლო ორგანოები და მნიშვნელოვნად შეიზღუდა თვითგასამართლება.

მუსლიმურ სამართალში ***დანაშაულის*** სხვადასხვა კატეგორიას ვხვდებით: ალაჰისა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. ასეთი კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება: 1. ხელისუფალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი, ქონებრივი დანაშაული, სპირტიანი სასმელების გამოყენება, ღვთის გმობა და სხვა, რომელთათვისაც უმძიმესი სასჯელები იყო დაწესებული. შეწყალება და მორიგება არ გამოიყენებოდა; 2. ცალკეულ პირთა უფლებების ხელმყოფი დანაშაული, რომელთაც ეკუთვნოდა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, უკანონო გამდიდრება, ზიანის მიყენება და სხვ. ამ კატეგორიის დანაშაულისათვის სასჯელები ადათობრივ პრინციპზე იყო აგებული. მაგალითად, განზრახ მკვლელობა იწვევდა სისხლის აღებას მოკლულის ნათესავების მხრიდან, თუმცა შარიათი უკვე ითვალისწინებდა სისხლის აღების შეცვლას გამოსყიდვით, თუ მოკლულის ნათესავები მკვლელს შეიწყალებდნენ. ამ ჯგუფის სხვა დანიშნულებისათვის პასუხისმგებლობა ემყარებოდა ტალიონის პრინციპს, რომელიც ყურანში თავისებური ფორმით შევიდა. „სული – სულის წილ და თვალი – თვალის წილ, ცხვირი – ცხვირის წილ და ყური – ყურის წილ, კბილი – კბილისა წილ...“ (5.49); 3. მესამე კატეგორიას ეკუთვნოდა ისეთი ქმედებები, რომლებიც ხალიფატის დამკვიდრების ეტაპზე დასჯადი არ იყო და ამიტომ შარიათის ძირითად დებულებებში მოხსენიებული არ არის. სამართლებრივი დოქტრინების განმტკიცების ეტაპზე ისეთი ქმედებები გამოცხადდა დანაშაულად და დასჯადად, როგორიცაა მარხვის არდაცვა, მსუბუქი სხეულებრივი დანაშაული, შეურაცხყოფა და სხვა. ასეთ კატეგორიებზე სასჯელის ღონისძიება დამოკიდებული იყო მოსამართლის პიროვნულ

შეხედულებებზე.

განდგომა, ანუ ირთილადი, ისლამის მიხედვით, ყველაზე მძიმე დანაშაულია და მისი ჩამდენი სიკვდილით ისჯება. თუ განდგომილი აღიარებს დანაშაულს და ისლამს დაუბრუნდება, იგი ამ მძიმე დანაშაულისაგან თავისუფლდება.

ხელისუფალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – ბოგატი, ისეთი ქმედებაა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ. თუ ხელისუფალი მშვიდობიანი გზით გადატრიალების მცდელობას ვერ შეაჩერებს, მას უფლება ეძლევა დამნაშავენი ფიზიკურად სრულად გაანადგუროს.

ყაჩაღობა – კუტაუტ-ტარიდი – ღვთისა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ, თუ მას მკვლელობა არ ახლავს, ზოგიერთი მუსლიმური სკოლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა არ უნდა იქნეს გამოყენებული.

ქურდობა – სირკა. საიტერესოა, რომ ცალკეულ პირთა მკვლელობა კერძო ხასიათის დანაშაულად არის მიჩნეული, ქურდობა კი მუსლიმური სამართლით ალაჰის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება, ე.ი. მუსლიმური სამართლისათვის საკუთრება სამართლის ძირითადი ობიექტია.

სპირტიანი სასმელების გამოყენება – „ისტიმალალ მურაკარი". შიიტური სამართლის სკოლა არა მარტო სპირტიანი სასმელების გამოყენებას მიიჩნევს ალაჰის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, არამედ მის დამზადებასაც. ასეთ შემთხვევაში სასჯელის ზომად გაროზგვა გამოიყენება, ხოლო მეოთხე შემთხვევაში – სიკვდილით დასჯა.

მრუშობა – ზინა – გულისხმობს უკანონო კავშირს თავისუფალ ქალთან. ებრაული სამართლის მსგავსად, ეს ქმედება მუსლიმურ სამართალში მძიმე დანაშაულად არის მიჩნეული და დამნაშავის მიმართ შეწყალება არ გამოიყენება. განვითარების შემდგომ ეტაპზე დანაშაულთა ეს სახე ორ ნაწილად გაიყო: გათხოვილ ქალთან და გაუთხოვართან ურთიერთობა; პირველი, მეორესთან შედარებით, მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში დარჩა.

ასევე მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და შეწყალება არ გამოიყენება *ღალატში ცილისწამების* დროს – კაზაფი.

მკვლელობა – კერძო ხასიათის დანაშაულთა კატეგორიაა და იგი ორ ნაწილად იყოფა: აბსოლუტურად განზრახი და აბსოლუტურად გაუფრთხილებელი. განზრახ მკვლელობად მიჩნეულია ქმედება, რომელიც შეგნებულადაა ჩადენილი. ასეთ შემთხვევაში სასჯელად სიკვდილით დასჯა გამოიყენება, თუმცა მოკლულის ნათესავებს აქვთ დამნაშავის შეწყალების უფლება მკვლელისაგან გამოსასყიდის გადახდის შემდეგ. გაუფრთხილებელ მკვლელობად კვალიფიცირდება დანაშაული, თუ დამნაშავეს მკვლელობის მიზანი არ ჰქონია. ასეთი ქმედება იწვევს გამოსყიდვას. სისხლის აღება და სიკვდილით დასჯა არ დაიშვება.

მკვლელობის კიდევ ერთი სახე არსებობს, როცა განზრახვის დადგენა შეუძლებელია, ანუ შემთხვევით, შეცდომის შედეგად ჩადენილი მკვლელობა. ასეთ შემთხვევაში აბსოლუტურად არ არსებობს აზრი მკვლელობაზე, მაგრამ გაუფრთხილებლობით შედეგი მაინც დადგა. მაგალითად, მონადირე შორიდან ნადირს ესვრის და შემთხვევით ადამიანს მოარტყამს.

სხეულის დაზიანება – ეს დანაშაულიც შეიძლება განზრახ ან გაუფრთხილებლობით იქნეს ჩადენილი. განზრახვის შემთხვევაში ტალიონის პრინციპი და გამოსყიდვა გამოიყენება, ხოლო გაუფრთხილებლობის შემთხვევაში – მხოლოდ გამოსყიდვა.

სხვისი ქონების იძულებით მიტაცება – მუსლიმურ სამართალში ეს დანაშაული „გასბის" სახელწოდებით მოიხსენიება და შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: 1. ქონება უნდა გამოვიდეს მესაკუთრის მფლობელობიდან და 2. გადავიდეს მიმტაცებლის ხელში. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ გამოიყენება. მიმტაცებელი ვალდებულია დააბრუნოს მიტაცებული ქონება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

რაც შეეხება სასჯელებს, მათ მუსლიმურ სამართალში განსაკუთრებული ხასიათი აქვთ, რადგან ინარჩუნებენ შურისძიების ხერხებსა და სისხლისსამართლებრივ რეპრესიულ ღონისძიებებს.

სასჯელის სახეებია: სისხლის აღება, გამოსყიდვა, სიკვდილით დასჯა, ჩაქოლვა, ხელებისა და ფეხების მოკვეთა, გამათრახება, ციხეში ჩაგდება, გასახლება, გადასახლება, ქონების კონფისკაცია.

ზოგიერთი გამაწბილებელი სასჯელი, რომლებიც მუსლიმური სკოლების მიერ გამოიყენება, შარიათში გათვალისწინებული არ არის. ასეთია, სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა, წვერის მოპარსვა და სხვ.

შარიათით გათვალისწინებული სასჯელები შუასაუკუნეებისათვის ტიპიური სიმკაცრითა და დაშინებით გამოირჩევა. მაგალითად, ***სიკვდილით დასჯა*** ხორციელდებოდა საჯაროდ ჩამოხრჩობის ან ოთხად გაგლეჯის გზით, ხოლო შემდეგ გვამი გამოიკიდებოდა საზოგადოებისაგან შეურაცხყოფისათვის. ზოგიერთი სკოლა სიკვდილით დასჯის ხერხად მიიჩნევს დახჩრობასა და მიწაში ცოცხლად დამარხვას. ფართოდ გამოიყენებოდა ***ასოთდამასახიჩრებელი სასჯელები*** – თითის, ფეხის, ხელის მოკვეთა, გამათრახება, ქვებით ცემა და სხვა. ***ტუსაღობა*** არაბთა ხალიფატში, როგორც წესი, გამოიყენებოდა სასამართლომდე, თუმცა თანდათან გადაიქცა სასჯელად და ინიშნებოდა სამუდამო პატიმრობის სახით. მუსლიმური სამართალი ***ქონებრივ სანქციებსაც*** იცნობდა (კონფისკაცია, ჯარიმა და სხვა) და ***გამაწბილებელ სასჯელებსაც*** (წვერის მოპარსვა, ჩალმის ტარების უფლების ჩამორთმევა, საჯარო გაკიცხვა და სხვა). რაც შეეხება ***სისხლის აღებას***, იგი გვაროვნული წყობილებიდან შემორჩა და არაბეთში ერთი პირის განზრახ მკვლელობისათვის მკვლელის ათ ნათესავზე გადადიოდა. თუ გვარის ერთი წევრი ჩაიდენდა დანაშაულს, გვარის კოლექტიური პასუხისმგებლობა დგებოდა. სისხლის აღება, ძირითადად, კერძო ხასიათის დანაშაულზე ვრცელდებოდა, მაგრამ, ამასთან, მოკლულის ახლო ნათესავებს (შვილს, ძმას, ცოლს და ა.შ.) მკვლელის შეწყალების უფლებაც ჰქონდათ. მოგვიანებით, სისხლის აღების ნაცვლად გამოიყენებოდა ***დანაშაულის გამოსყიდვა***, თუ მკვლელი მოკლული ნათესავი ან ორსული ქალი იყო. გამოსასყიდი მტკიცედ განსაზღვრული არ ყოფილა. იგი დამოკიდებული იყო მკვლელის ან მოკლულის სოციალურ მდგომარეობაზე – სქესზე, მკვლელო-

ბის სახესა და დაზიანების ფორმაზე. გამოსყიდვის სრული ოდენობა 100 აქლემს უდრიდა, თუმცა შეიძლებოდა ფულით გადახდაც 91000 დინარი ოქრო ან 10000 დრაქმა ვერცხლი).

სასამართლო პროცესი. მუსლიმური სამართლის მიხედვით, პროცესი ბრალდებით ხასიათს ატარებდა. საქმე აღიძვრებოდა არა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, არამედ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით (სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოკლებით). პრაქტიკულად არ არსებობდა განსხვავება სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში. საქმეები განიხილებოდა საჯაროდ, როგორც წესი, მეჩეთებში. მხარეები თვითონ წარმართავდნენ საქმეებს ადვოკატის გარეშე.

პროცესი ზეპირი ხასიათის იყო, თუმცა აბასიდემის დინასტიის დროს სამოქალაქო საქმეებზე უკვე იქმნებოდა სასამართლოს ოქმები.

ძირითად მტკიცებულებებს განეკუთვნებოდა მხარეთა აღიარება, მოწმეთა ჩვენება, ფიცი. საქმე უნდა გადაწყვეტილიყო პირველივე სხდომაზე და არ შეიძლებოდა მისი მოსმენა მეორე დღისათვის გადადებულიყო. შარიათის საპროცესო ნორმების თავისებურებად ითვლება ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ განიხილებოდა როგორც საბოლოო და შეუქცევადი. ახალი ფაქტებისა და გარემოებების დადგენის შემთხვევაში ადრე განხილული საქმე იმავე მოსამართლეს შეეძლო ხელახლა განეხილა. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლოში დამკვიდრებული იყო ფორმალიზმი. სრულფასოვან მტკიცებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ორი მუსლიმის მოწმეობა. ქალის ჩვენება ნახევარ მტკიცებულებად ითვლებოდა. სხვა მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენებოდა ალაჰის დაფიცება.

§ 90. მუსლიმური სამართლის თანამედროვე პრობლემები

ჩვენ მიერ განხილული მუსლიმური სამართალი თითქოს ისტორიის კუთვნილებაა და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს არ შეესაბამება, მაგრამ იგი დღევანდელი მსოფლიოს ერთერთი დიდი სისტემატთაგანია და სხვადასხვა სახელმწიფოში 400 მილიონზე მეტი მუსლიმის უოველდღიურ ურთიერთობებს ეხება.

მრავალი ქვეყნის მუსლიმური კონსტიტუციეა კვლავ აცხადებს ისლამის პრინციპებისადმი ერთგულებას (ირანი, სირია, მაროკო და ა.შ.). სირიის (1944 წ.), ეგვიპტის (1948 წ.), ერაყის (1951 წ.) სამოქალაქო კოდექსები მოსამართლეებს ურჩევენ კანონის ხარვეზები მუსლიმური სამართლის პრინციპებით შეავსონ. მართალია, მუსლიმური სამართალი ტრადიციულად უცვლელია, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს მისი მოქნილობაც, რადგან ადათებს, მხარეთა შეთანხმებებს, ადმინისტრაციულ რეგლამენტებს ისეთი შესაძლებლობა ენიჭებათ, რომ საშუალებას იძლევა, სამართლის შეუცვლელად დამკვიდრდეს ახალი ნორმები.

თანამედროვე პირობებში უკვე უცხო აღარ არის საზოგადოებრივი ხელისუფლების ჩარევა მუსლიმურ სამართალში. მუსლიმური თეორიის მიხედვით[1], სუვერენი, მონარქი იქნება იგი თუ პარლამენტარი, სამართლის ბატონი კი არ არის, არამედ – ყმა და ამის გამო მას არ შეუძლია იკანონმდებლოს, სამაგიეროდ, ადმინისტრაციული უფლებებით სარგებლობს, კერძოდ, მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას ადევნებს თვალყურს. მუსლიმური სამართალი აღიარებს იმ მომწესრიგებელი ღონისძიებების კანონიერებას, რომლებიც ამის გამო ხელისუფალთა მიერ მიიღება.

---

1 ნახე: Аль-Джанаби М. М. Теология и философия ал-Газали, дом Марджани, 2010; Средневековая арабо-мусульманская философия в переводах А. В. Сагадеева: в 3 т. Т. 3. Ибн Баджжа. дом Марджани, 2010; Лимэн Оливер. Введение в классическую исламскую философию. Пер. с анг. М., 2007.; Ренан Э. Аверроэс и аверроизм: Исторический очерк. Пер. с фр. 2010; Гейдар Джахидович Джемал, Революция пророков, М.: Ультра. Культура, 2003; Ashk Dahlén, Islamic Law, Epistemology and Modernity, New York, 2003.

მუსლიმურ სამართალში XIX-XX სს. სამი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: პირველი – ადმინისტრაციული რეგლამენტაციის (კანუნი) განვითარება; მეორე – ზოგიერთ საკითხზე დასავლური სამართლის რეცეფცია; მესამე – ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური სასამართლოების ლიკვიდაცია, რომლებსაც მუსლიმური სამართალი უნდა გამოეყენებინათ. მართალია, მუსლიმური სამართალი ტრადიციულად აღიარებდა ხელისუფალთა გადაწყვეტილების მიღების უფლებას საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, მაგრამ ბოლო საუკუნეებში ამ უფლებამოსილებას იმდენად ინტენსიურად იყენებდნენ, რომ საქმე ახალი დარგების წარმოქმნამდე მივიდა; ირღვეოდა ტრადიციებზე დაფუძნებული მატერიალური სამართლის ნორმები, უფრო მეტად კი „პირადი სტატუსის" (პირის, ოჯახის და მემკვიდრეობის) ნორმები, რომელიც მუსლიმური სამართლით დეტალურადაა მოწესრიგებული. პირველი კოდიფიკაციის შედეგი საოჯახო სამართლისა და მემკვიდრეობის სფეროში (1927-1935 წწ.) პრომულგირებული ირანის სამოქალაქო კოდექსი იყო. პირადი სტატუსის კოდექსები მიიღეს ტუნისში, მაროკოში, ეგვიპტეში. მნიშვნელოვანი რეფორმები შეეხო მემკვიდრეობის წესებს. ამას მოჰყვა სისხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და სხვა აქტები, მაგრამ ყველა კონპილაციამ სხვადასხვა ქვეყანაში ხელი შეუწყო დასავლური კონცეფციის რეცეფციას.

ეს სურათი განსაკუთრებით ნათელია თურქეთში, სადაც 1926 წელს პრეზიდენტმა ათა თურქმა გამოსცა დეკრეტი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის შემოღების შესახებ ზოგიერთი ცვლილებებით. საერთოდ, მუსლიმური ქვეყნების უმეტესობაში დაინერგა დუალისტური პრინციპი: სამართალი ძირითადად ისევეა გაგებული, როგორც დასავლეთში, გარდა ზოგიერთი დარგისა (პირადი სტატუსის საკითხები), სადაც შარიათის ტრადიციული ნორმები კვლავ განაგრძობს მოქმედებას.

მუსლიმური ქვეყნების პოზიტიური სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდება, რადგან განსხვავებულია მათი საზოგადოებრივი განვითარების დონე და ტრადიციები. თუმცა, შეიძლება საერთო ნიშნების მიხედვით სამ ჯგუფად გაერთიანდეს: პირველ

ჯგუფს შეადგენეს მუსლიმებით დასახლებული ქვეყნები (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები შუა აზიაში და ალბანეთი), სადაც მუსლიმური სამართალი არ გამოიყენება თავისი ტრადიციული გაგებით.

მეორე ჯგუფის ქვეყნებს კი, პირიქით, ნაკლებად ეხებათ თანამედროვე იდეები (საუდის არაბეთი, იემენი, სპარსეთის ყურის ემირატი, ავღანეთი, სომალი).

მესამე ჯგუფის ქვეყნები გამოიყენებოდა მუსლიმური სამართლის საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მხარეთა მოწესრიგებისათვის, რომლებიც პირად სტატუსს, რელიგიურ დაწესებულებებსა და მიწის რეჟიმს შეეხება. მათ პარალელურად კი არსებობს ევროპიდან რეცეფცირებული სამართალი. ამ ჯგუფის ქვეყნები კიდევ ორ კატეგორიად იყოფია: ფრანგული სამართლის (აფრიკული, არაბული სახელმწიფოები, სუდანისა და ირანის გარდა) თუ ჰოლანდიური სამართლის (ინდონეზია) ნიმუშით აქვთ აგებული თავიანთი სამართალი.

ამ კლასიფიკაციაში არ ხვდება თურქეთი. საინტერესოა, რომ ქემალისტური რეეოლუცია არ იყო წარსულთან სრული განხეთქილება, მან უფრო მეტად დააჩქარა 1839 წლიდან დაწყებული ევოლუცია. გიულხანეს წმინდა ქარტიამ თანზიმათად წოდებული ეპოქა გახსნა. თურქეთის მიერ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის რეცეფციას მოჰყვა დასავლური ნიმუშის პირადი სტატუსის, საოჯახო სამართლისა და სამემკვიდრეო სამართლის შემოღება, რითაც კავშირი გაწყდა ტრადიციულ მუსლიმურ ცნებებთან. კერძოდ, დაგმობილ იქნა მრავალცოლიანობა, ქმართან ქორწინების ცალმხრივი მოშლა, მემკვიდრეობის უთანასწორო გაყოფა გარდაცვლილის ვაჟებსა და ქალებს შორის და სხვ.

ამგვარი ტენდენცია მუსლიმურ ქვეყნებში სამართალმცოდნეებს აფიქრებინებს, რომ, კი არ მოხდება საერთო სამართალთან ან რომაულ სამართალთან მუსლიმური სამართლის შერწყმა, არამედ ამ ქვეყნებში შეიძლება წარმოიშვას დასავლური სამართლიდან გადმოღებული კატეგორიების, ცნებებისა და მუსლიმური სამართლის ტრადიციების სინთეზი.

თავი VI. რუსეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

§ 91. კიევის რუსეთის ადრეფეოდალური მონარქია

სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი რუსეთის ტერიტორიაზე დაკავშირებულია დიდი ოჯახების რღვევასა და გვაროვნული თემის სასოფლო თემად გადაქცევასთან. ახ.წ. VII-VIII სს. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმა სლავებში შეიძლება განისაზღვროს როგორც „სამხედრო დემოკრატია", რომლის დროს საგვარეულო არისტოკრატიის ყველა მამაკაცი მონაწილეობას იღებდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოს სახალხო კრება წარმოადგენდა. ამ პერიოდში სლავური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე არსებობდა 14 ასეთი სამხედრო გაერთიანება, სადაც ბელადისა და მმართველი ფენის ხელისუფლების განმტკიცებას მოჰყვა მთავრისა და სამთავრო დრუჟინის ადმინისტრაციული მმართველობის ჩამოყალიბება. გვაროვნული კავშირები კიდევ უფრო მსხვილ ერთეულებად – „კავშირთა კავშირებად" გაერთიანდა. ასეთ ფორმირებათა ერთ-ერთი ცენტრი კიევში მდებარეობდა. საერთოდ, ისტორიულ წყაროებში სამი პოლიტიკური ცენტრი მოიხსენიება, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოებრივ გაერთიანებებად ჩაითვალოს, კერძოდ, ეს არის კუიაბა (სლავების ჩრდილო გაერთიანება, ცენტრი – კიევში), სლავია (ცენტრი ნოვგოროდი), არტანია (ჩრდილო-აღმოსავლეთი სლავები, ცენტრი – რიაზანი), IX საუკუნეში სლავური ტომების უმეტესი ნაწილი ერთმანეთს შეერყწა და ტერიტორიულ კავშირად გაერთიანდა „რუსული მიწების" სახელწოდებით.

882 წელს კიევისა და ნოვგოროდის ორ მსხვილი პოლიტიკური ცენტრი კიევის გარშემო გაერთიანდა და წარმოიშვა ძველირუსული სახელმწიფო.

დღეს რუსულ ისტორიოგრაფიაში უარყოფილია გერმანელი მეცნიერების გოტლიბ ბაიერის, გერხარდ მილერის მოსაზრე-

ბა რუსეთის სახელმწიფოს ნორმანებისაგან წარმოშობის შესახებ (ნორმატივიზმის თეორია). ეს თეორია ეყრდნობა რუსი მემატიანე ნესტორის ლეგენდას ვარიაგთა ბელადების რუსეთის მთავრად მოწვევის შესახებ. ს.მ. სოლოვიოვი, ვ.ო. კლიუჩევსკი, მ.ს. გრუშევსკი, მ.ნ. პოკროვსკი, ა.ა. შახმატოვი და სხვები თვლიდნენ, რომ ეს დებულება საფუძველს მოკლებულია და რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობა რთული სოციალ-ეკონომიკური პროცესის შედეგია (ანტინორმანისტული თეორია)[1].

ჩრდილოეთის სლავებმა მართლაც მოიწვიეს შინაომების ჩასახშობად სამი ძმა რიურიკი, სინეუსი და ტრუვორი. სწორედ რიურიკმა ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება ხელში აიღო და პოლიტიკურ მმართველობას ჩაუყარა საფუძველი. რიურიკის შემდეგ ნოვგოროდში მთავრად იყო ოლეგი, მასვე ეკისრებოდა რიურიკის შვილზე – იგორზე მზრუნველობა. ოლეგმა მიიღო „რუსეთის დიდი მთავრის" ტიტული და სატახტო ქალაქად კიევი აირჩია.

კიევის რუსეთის სახელმწიფო წყობილება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადრეფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში იდგა კიევის დიდი მთავარი. ხელისუფლების განხორციელებისას იგი ეყრდნობოდა მთავრის დრუჟანის და უხუცესთა საბჭოს. ადგილობრივი მმართველობა ნამესტნიკების, (ქალაქში) და ვოლოსტელების (სოფლად) მეშვეობით ხორციელდებოდა.

დიდი მთავარი სხვა მთავრებთან სახელშეკრულებო ან სიუზერენულ-ვასალურ ურთიერთობაში იყო. XI-XII სს-ში ადგილობრივ ფეოდალთა გაძლიერებას მოჰყვა ხელისუფლების ახალი ფორმის, და ახალი ორგანოს, ფეოდალთა ყრილობის დაარსება („снемы"). ამ ყრილობებზე წყდებოდა ომისა და ზავის, მიწის გაყოფის, ვასალიტეტისა და სხვა საკითხები.

---

1 Байер Г.З. Сочинение о варягах автора Феофила Сигефра Бейра, бывшего профессора Восточной истории и восточных языков при Императорской Академии наук.,СПб., 1747, С. 10; Миллер Г.Ф. Важности и трудности при сочинении Российской истории // Сочинения по истории России. Избранное,М., 1996, С.143; Меркулов В. И. Откуда родом варяжские гости? (генеалогическая реконструкция по немецким источникам), М., 2005, с. 33-40; «История России» / А. С. Орлов, В. А. Георгиев, Н. Г. Георгиева, Т. А. Сивохина, Москва , 2010., с.89-95;

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხორციელდებოდა სამხედრო გარნიზონების მიხედვით და სასახლურ-ვოტჩინურ მმართველობასთან ერთად, რიცხობრივ – ათობით პრინციპს ეყრდნობოდა. მმართველობა ადგილებზე ხორციელდებოდა მთავრის ნდობით აღჭურვილი პირების – ტისიაცკის, სოტსკის, დესიატსკის მიერ. სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის მმართველობის მატერიალური უზრუნველყოფა ეფუძნებოდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფის სისტემას („кормление").

თავის საქმიანობაში მთავარი ეყრდნობოდა ბოირთა სათათბიროს. მთავრის სასახლის მეურნეობის მმართველობისათვის ინიშნებოდნენ სხვადასხვა სახის მმართველები – ტიუნები. დროთა განმავლობაში სასახლის მმართველობის ეს ფორმა გადაიზარდა სახელმწიფო დარგობრივი მმართველობის ორგანოების სისტემაში. ამ ეტაპზე რიცხობრივი მმართველობა შეიცვალა სასახლურ-ვოტჩინურით, რაც ნიშნავს მესაკუთრისათვის (ბოიარი – მესაკუთრე) პოლიტიკური უფლებამოსილების მინიჭებას. წარმოიქმნა ხელისუფლების ორი ცენტრი: მთავრის სასახლე და ბოიარის ვოტჩინა, რამაც მომავალში საფუძველი ჩაუყარა რუსეთის დაქუცმაცებულობას.

ადრეფეოდალურ მონარქიაში მნიშვნელოვან სახელმწიფო და პოლიტიკურ ფუნქციას ახორციელებდა სახალხო კრება – ვეჩე, რომელიც ეროვნული სახალხო ყრილობების გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ ორგანოს ფუნქციონირება გარკვეულ სახელმწიფოებრივ ფორმალობებს მოითხოვდა. მაგალითად, მზადდებოდა დღის წესრიგი"; შეირჩეოდა ასარჩევი თანამდებობისათვის კანდიდატურები, განსაზღვრული იყო ვეჩეს კომპეტენციაც: იხილებოდა გადასახადების დაკისრების, ქვეყნის თავდაცვისა და სამხედრო ლაშქრობების ორგანიზაციის, ცალკეული თანამდებობის პირთა არჩევის საკითხები (ნოვგოროდის მთავრის). ვეჩეზე მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ქალაქის თავისუფალ (ქმედუნარიან) მცხოვრებლებს. ვეჩეს თავისი აღმასრულებელი ორგანო გააჩნდა „საუკეთესო ხალხის" (ქალაქის პატრულატი, მამასახლისები) საბჭოს სახით.

ადგილობრივ გლეხურ თვითმმართველებად რჩებოდა თემი („Вервь"), რომლის კომპეტენცია იყო მიწის ნადელების განსაზღვრა, საპოლიციო ზედამხედველობა, საგადასახადო-საფინანსო საკითხები, დანაშაულის გამოძიება და სასჯელის აღსრულება.

საეკლესიო ორგანიზაციის იურისდიქცია რუსეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ყალიბდება. სასულიერო პირები იყოფოდა „შავი" და „თეთრი" (სამრევლო): ეკლესიების ორგანიზაციული ცენტრები იყო ეპარქიები და დემონსტრაცია და სამრეკლოები. ეკლესიამ მიიღო მიწის შეძენის უფლება. სპეციალური სასამართლო იურისდიქციის განხორციელების უფლება და სხვა.

§ 92. ძველირუსული სამართლის ძირითადი ნიშნები

ძველირუსული სამართლის უპირველეს წყაროს ადათები წარმოადგენდა.

რუსული სამართლის პირველი წერილობითი ძეგლებია X საუკუნეში ბრიზანტიელებთან დადებული ხელშეკრულებები.

ძველი რუსული მატიანის ცნობით, რუსეთსა და ბიზანტიას შორის ოთხი ხელშეკრულება არსებობდა (907, 911, 945, 971). პირველი ხელშეკრულების ტექსტი უცნობია, მემატიანე მხოლოდ მის შინაარსს გადმოსცემს. რაც შეეხება დანარჩენ სამ ხელშეკრულებას, ისინი მოიცავენ საერთაშორისო, სავაჭრო, პროცესუალური და სისხლის სამართლის საკითხებს.

სამართლის უძველეს წყაროებს ეკუთვნის აგრეთვე ვლადიმირ სვიატოსლავისა და იაროსლავ ვლადიმირის ძის წესდებები (X-XI სს.), რომლებიც შეიცავენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს ეკლესიის, ზნეობისა და ოჯახის წინააღმდეგ. ამ წესდებებში განსაზღვრულია სასამართლოთა და ეკლესიის ორგანიზაციის იურისდიქცია.

კანონებიდან მნიშვნელოვანი ძეგლია „რუსსკაია პრავდა". ჩვენამდე მოღწეულია „რუსსკაია პრავდის" ასამდე ხელნაწერი. ყველა ის სამ ძირითად რედაქციად იყოფა: მცირე, ვრცელი და

შემოკლებული. უძველეს რედაქციას ეკუთვნის მცირე „რუსსკაია პრავდა“ (1054 წ.), რომელიც შედგებოდა იაროსლავის პრავდის (1-19 მუხ.) იაროსლავიჩების პრავდის (19-41 მუხ.). „пакон вирный“ რომელიც კორმლიენის სისტემას განსაზღვრავდა (42 მუხ.), „Урок мостникам“ რომელიც მშენებელთა ანაზღაურების საკითხებს განსაზღვრავდა (43 მუხ.).

ვრცელი რედაქცია 1113 წელს არის შედგენილი ვლადიმერ მონომახის მიერ და მოიცავს იაროსლავის სასამართლოსა (1-52 მ.) და მონომახის წესდებას (53-121 მ.).

შემოკლებული რედაქცია გაჩნდა XV საუკუნეში ვრცელი რედაქციის გადამუშავების საფუძველზე.

რუსულ სამართალზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა კანონიკურმა სამართალმა – ნომოკანონებმა.

რუსული სამართალი შეიცავს ზოგიერთ ნორმას, რომლებიც მოსახლეობის გარკვეული ფენების უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს, მაგრამ ტექსტის მიხედვით ძნელია მმართველ ფენასა და მოსახლეობის დანარჩენ მასებს შორის უფლებრივი საზღვრების დადგენა. ამისათვის, ძირითადად, ორი იურიდიული კრიტერიუმი შეიძლება მოიძებნება, კერძოდ კი, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლის მკვლელობისათვის მომეტებული (ორმაგი) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები (მუხ. 1.მ.პ.) და ამ ფენის წარმომადგენელთათვის უძრავი ქონების (მიწის) განსაკუთრებული წესით მემკვიდრეობით გადაცემის მარეგულირებელი ნორმები (მუხ. 91. მ.პ.). ეს იურიდიული პრივილეგიები ეხებოდათ მთავრებს, ბოიარებს, მთავრის ტოვნებს, „იგნიშანებს“. ამ ჩამონათვალიდან ყველა არ ითვლება ფეოდალად. უბრალოდ, საუბარია მათ პრივილეგიებზე განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობის გამო.

მოსახლეობის ძირითადი მასა იყოფოდა თავისუფალ და დამოკიდებულ ხალხად. არსებობდა შუალედური და გარდამავალი კატეგორიებიც.

დიდებულთა ფენას შეადგენდნენ ბოიარები, რომელთაც საკუთარი დრუჟინა ჰყავდათ და მთავრის წინაშე ვასალურ სამსა-

ბურს ეწეოდნენ. ისინი სარგებლობდნენ იმუნიტეტით, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ფეხს ვერ შედგამდნენ ბოიარის მამულში.

თავისუფალთა კატეგორიას ეკუთვნოდა ქალაქის მოსახლეობა (ვაჭრები, ხელოსნები).

ნახევრად თავისუფალთა კატეგორია იყო სმერდი-მეთემეები. ისინი ბეგარასა და ღალას მხოლოდ სახელმწიფოს უხდიდნენ. მაგრამ სმერდი ვალდებული იყო მებატონისთვისაც ემუშავა. „რუსსკაია პრავდას“ მიხედვით, სმერდი ჩადენილი დანაშაულისათვის მთავრის ხაზინის სასარგებლოდ ჯარიმას იხდიდა („Продажа“). სმერდის მიმართ მოქმედებდა ე.წ. „მკვდარი სულის“ უფლება. თუ სმერდს მამრობითი სქესის მემკვიდრე არ დარჩებოდა, მისი ქონება ბატონისა იყო. სმერდების გარკვეული წრე ხელშეკრულების საფუძველზე („рядъ“) ფეოდალზე დამოკიდებული ხდებოდა („рядовичи“) და თავისუფლებას კარგავდა. ის გაღარიბებული გლეხები, რომლებიც ბატონისაგან მოსავლის, პირუტყვის თუ თანხის სახით იღებდნენ, ზაკუპებად იწოდებოდნენ („закупы“). სასამართლოში ზაკუპის ჩვენება მხოლოდ მაშინ მიიღებოდა მხედველობაში, თუ სადავო საქმე მცირე იყო. თუ ზაკუპს დათქმულზე მეტ თანხას სთხოვდნენ, მას უფლება ჰქონდა მთავართან ეჩივლა. ბატონი ზოგჯერ საშოვარზე წასვლის ნებართვას აძლევდა. თუ ზაკუპი ფეოდალისაგან აღებულ სესხს ორკეცად დააბრუნებდა, მაშინ იგი თავისუფლებას იბრუნებდა. ზაკუპი ის იურიდიული ფიგურა იყო, რომელმაც ყველაზე უკეთ ასახა ფეოდალიზაციისა და თავისუფალ მეთემეთა მიწაზე მიმაგრების პროცესი რუსეთში. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა იყო ე.წ. „იზგოები“. ისინი მოკლებულნი იყვნენ საარსებო საშუალებებს და გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი თემთან. მონა, რომელმაც მებატონისაგან თავი გამოისყიდა, მაგრამ არაფრის მქონე დარჩა – იზგოი ხდებოდა.

ხოლოპი (მონა) შედარებით უუფლებო კატეგორიას წარმოადგენდა. ყველაფერი, რაც მას გააჩნდა, მისი მებატონის საკუთრება იყო. ხოლოპის მიერ დადებული ხელშეკრულებისა და ვალდებულებათა შედეგებისათვის პასუხს აგებდა ბატონი. იგი არც

სამართლის სუბიექტი იყო. ხოლოპის მოყვანისთვის ჯარიმა იყო დაწესებული, ისევე როგორც ქონების განადგურებისათვის. სასამართლო პროცესზე ხოლოპი არ შეიძლება მხარედ გამოსულიყო (მოსარჩელე, მოპასუხე, მოწმე). კანონი იცნობდა ხოლოპად გადაქცევის წყაროებს: თვითგაყიდვა, შთამომავლობითი მონობა, მონასთან ქორწინება, მონობის სასჯელის მოხდა (მაგალითად, „პოტოკ ი რაზგრობლენიე"), მებატონისაგან ზაკუპის გაქცევა. რაც შეეხება მონობის ყველაზე გავრცელებულ სახეს – ტყვეობას, რუსული სამართალი მას არ იცნობს.

რუსული სამართალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კერძო სამართლის კოდექსი, რადგან მისი ყველა სუბიექტი ფიზიკური პირია, ხოლო იურიდიული პირის ცნებას კანონი არ იცნობს. ასევე არ არის განსაზღვრული ისეთი აბსტრაქტული ცნებები, როგორიცაა „საკუთრება", „მფლობელობა". მაგრამ, კოდექსი კაზუისტური პრინციპითაა აგებული და კანონმდებელი ცდილობს გაითვალისწინოს ყველა შესაძლებელი შემთხვევა.

„რუსსკაია პრავდის" ნორმები იცავდა კერძო საკუთრებას (მოძრავი და უძრავი), ადგენდა მისი მემკვიდრეობით, ხელშეკრულებით თუ ვალდებულებით გადაცემის წესებს. „რუსსკაია პრავდას" ეპოქის რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული წარმოდგენა კერძო მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებაზე. მიწაზე არსებობდა თემური საკუთრება, რომლის გვერდით გაჩნდა „ვოტჩინა" (მამული). ვოტჩინა ბოიართა საკუთრება იყო და მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ვოტჩინას გამყიდველის ნათესავები უკუგამოსყიდვის უფლებით სარგებლობდნენ. არსებობდა მთავრისგან ნაწყალობევი მიწები, ანუ „პროჟივანიე", თავისი განსხვავებული იურიდიული რეჟიმით. უკუგამოსყიდვის უფლება აქ არ გამოიყენება.

ვალდებულებითი ურთიერთობები ზიანის მიყენების ან ხელშეკრულების დარღვევის შედეგად წარმოიშობოდა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირი ქონებით აგებდა პასუხს ან ზოგჯერ საკუთარი თავისუფლებით. ხელშეკრულება იდებოდა ზეპირად, მონმეების თანდასწრებით.

„რუსსკაია პრავდა“ ხელშეკრულებათა შემდეგ სახელებს იცნობს: ყიდვა-გაყიდვა, გირავნობა, კრედიტირება, პირადი გირავნობა, შენახვა, წარმომადგენლობა და ა.შ.

ძველი რუსული სამართლის კერძო ხასიათი სისხლის სამართლის სფეროშიც გამოჩნდა. დანაშაული განისაზღვრებოდა არა როგორც კანონის ან მთავრის ნების დარღვევა, არამედ, როგორც პირის ან პირთა ჯგუფისათვის მორალური არ მატერიალური ზიანის მიყენება. სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო დარღვევები ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული.

დანაშაულის ობიექტი იყო პიროვნება და ქონება. ობიექტური მხარე ორ სტადიად იყოფოდა: დანაშაულზე წასწრება (ისჯებოდა კაცი, რომელიც ხმალს იშიშვლებდა, მაგრამ არ გამოიყენებდა) და დამთავრებული დანაშაული. კანონი იცნობდა თანამონაწილეობის ცნებასაც, მაგრამ თანამონაწილეობის სახელები, ანუ როლების გამიჯვნა (წამქეზებელი, აღმსრულებელი და სხვ.) კანონში არ ჩანს.

„რუსსკაია პრავდა“ იცნობს აუცილებელი მოგერიების გადაცილებას (თუ მონას მოკლავენ დაჭერის შემდეგ, როცა მისი ქმედების საშიშროება უკვე აღარ არსებობს).

შემამსუბუქებელ გარემოებებს კანონი მიაკუთვნებს სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენას, ხოლო დამამძიმებელს – ანგარებას. კანონმდებელი იცნობს რეციდივის ცნებას – დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

დანაშაულის სუბიექტად ითვლებოდა ყველა ფიზიკური პირი მონის გარდა. 15 წლამდე ასაკის პირი მცირეწლოვნად ითვლებოდა, ხოლო 20 წლამდე – არასრულწლოვნად.

XI-XII სს-ში რუსული სამართლის ძეგლებში დანაშაულის სუბიექტად ცხოველები და უსულო საგნები არ ჩანს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა მაიმუნის სიკვდილით დასჯისა, აგრეთვე ეკლესიის ზარისთვის ყურის მოჭრისა და გასახლებისა. დამნაშავის ქმედუნარიანობის ასაკზე „რუსსკაია პრავდაში“ არაფერია ნათქვამი. დანაშაულის სუბიექტური მხარე მოიცავდა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას.

მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სხეულებრივი სასჯელები (ხელის, ფეხის მოკვეთა და სხვ.); ქონებრივ დანაშაულს ეკუთვნოდა ყაჩაღობა (რომელიც არ გაირჩეოდა ძარცვისაგან), ქურდობა, სხვისი ქონების განადგურება, ცეცხლის წაკიდება, ცხენის მოპარვა, ვალის ბოროტად არგადახდა და სხვ. შედარებით დაწვრილებით არის რეგლამენტირებული „татьба"-ს ცნება. ცნობილია ამ დანაშაულის ისეთი სახეები, როგორიცაა დაკეტილი შენობიდან ქურდობა, ხოლოპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოპარვა და ა.შ.

ძველ რუსულ სამართალში სასჯელთა სისტემა შედარებით მარტივია. კოდექსში სიკვდილით დასჯა არ მოიხსენიება, თუმცა მას პრაქტიკაში მაინც იყენებდნენ. სასჯელის უმაღლეს ზომად მიჩნეული იყო „Поток и разграбление.", რომელიც სამ შემთხვევაში ინიშნებოდა: ძარცვის დროს, მკვლელობის შემთხვევაში (მუხ. 7. მ.პ.), ცეცხლის წაკიდების (მუხ. 83. მ.პ.) და ცხენის მოპარვის (მუხ. 35. მ.პ.) დროს. სასჯელი მოიცავდა ქონების კონფისკაციასა და დამნაშავის (ოჯახთან ერთად) მონობაში გადაცემას.

მძიმე სასჯელი იყო „вира" – ჯარიმა, რომელიც მკვლელობის დროს ინიშნებოდა. „вира" შეიძლება ყოფილიყო ერთჯერადი (თავისუფალის მკვლელობისათვის) ან ორმაგი (პრივილეგირებულის მკვლელობისათვის). „вира" შედიოდა მთავრის ხაზინაში, დაზარალებულის ოჯახისათვის გადაიხდებოდა „Головничество" – ფულადი გამოსასყიდი.

არსებობდა „вира" სპეციალური სახე – „Дикая вира", რომლის გადახდა მთელ თემს ეკისრებოდა, თუ თემი მკვლელობაში ეჭვმიტანილ მის წევრს არ გასცემდა.

ძველ რუსულ სამართალში შენარჩუნებული იყო ტალიონის პრინციპი („თვალი თვალის წილ, კბილი – კბილის წილ) სისხლის აღების შემთხვევაში.

სასამართლო პროცესი მკვეთრად გამოხატულ შეჯიბრებითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. იგი იწყებოდა მოსარჩელის ინიციატივით და მხარეები თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ, პროცესი ზეპირი და საჯარო იყო. სხვა მტკიცებულებებთან

ერთად დიდი როლი ენიჭებოდა ორდალებსა და ფიცს.

პროცესი სამ სტადიას მოიცავდა. „Заклич" – ანუ პირველ ეტაპზე ხდებოდა დანაშაულის ჩადენის გამოცხადება. მაგალითად, ნივთის დაკარგვის შესახებ ხალხმრავალ ადგილას. 3 დღის გასვლის შემდეგ, ვისაც ეს ნივთი აღმოაჩნდებოდა, მოპასუხედ ითვლებოდა.

მეორე სტადია იყო „Свод-отыскание"-ის სამოქალაქო პროცესში გამოიყენებოდა, სისხლის სამართლში კი – დაპირისპირება. პირს, რომელსაც სადავო ნივთი აღმოაჩნდებოდა, უნდა დაესახელებინა შეძენის წყარო. „Свод-отыскание" – გრძელდებოდა მანამ, სანამ რომელიმე პირი ნივთის შეძენის თაობაზე ინფორმაციას ვეღარ მისცემდა., ანუ ეს იყო სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის საშუალება, რითაც ის წააგავს თანამედროვე ვინდიკაციურ პროცესს.

„Судоговорение" (კვალზე დადგომა) პროცესის მესამე სტადიაა, როცა მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენა და დამნაშავის მოძიება ხდებოდა (მ.77 მ.პ.). პროცესი საჯარო (მოედანზე, ხალხმრავალ ადგილას) და ზეპირი (არავითარი ფიქსაცია არ ხდებოდა) ხასიათისა იყო. გადაწყვეტილებაც ზეპირად გამოდიოდა, განაჩენი სისრულეში მაშინვე მოჰყავდათ.

მტკიცებულებათა სისტემა ეყრდნობოდა: მოწმის ჩვენებას („видаки – დანაშაულის მნახველნი და „послухи" – კეთილი ნების მოწმენი), „ორდალს" (ცეცხლით, წყლით, რკინით გამოცდა), ნივთიერ მტკიცებულებას, ფიცს. პრაქტიკაში გამოიყენებოდა სასამართლო ორთაბრძოლა, თუმცა რუსული სამართალი მას პირდაპირ არ იხსენებს. ასევე არ ვხვდებით „დანაშაულის ცნებასა" და წერილობით მტკიცებულებებს.

§ 93. ფეოდალური სახელმწიფოები რუსეთის ტერიტორიაზე (XII-XV სს.)

კიევის რუსეთის დაშლის გამომწვევი ფაქტორები მრავალია. პირველ ყოვლისა, ეს იყო ეკონომიკური საფუძველი, ანუ ნატუ-

რალური მეურნეობის სისტემის არსებობა, რასაც მოჰყვა ცალკეული სამეურნეო ერთეულების იზოლაცია. ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად მოქმედებდა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორიც. ბოიარები სამხედრო ელიტიდან საერო დიდებულებად იქცნენ. ამ პერიოდში იცვლება სახელმწიფო მმართველობის ფორმები5 „ათთა სისტემა“ იცვლება სასახლურ-ვოტჩინებით, რასაც მოჰყვა ორი ცენტრის ფორმირება: მთავრის სასახლე და ვოტჩინა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო ფაქტორსაც. კერძოდ, თათარ-მონღოლების გამოჩენას.

კიევის რუსეთის დაშლის შემდეგ შეიქმნა ახალი პოლიტიკური ერთეულების კონგლომერატი: როსტოვ-სუზდალის, სმოლენსკის, რიაზანის, გალიჩ-ვიოლინის, პერეისლავის, ჩერნოგორის, პოლოცკო-მინსკის, კიევის, ნოვგოროდის შემადგენლობით. თითოეულის შიგნით დაქუცმაცებულობის ტენდენცია გრძელდებოდა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს რღვევის პროცესი უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

ნოვგოროდ-ფსკოვის სახელმწიფო და სამართალი. ეს სახელმწიფო რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. მისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივი წყობილების თავისებურება, რაც გამოწვეული იყო ნოვგოროდელ ბოიართა აქტიური მონაწილეობით ვაჭრობასა და სამრეწველო საქმიანობაში. მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორს მიწა კი არ წარმოადგენდა, არამედ კაპიტალი. ყოველივე ამას მოჰყვა სახელმწიფო მმართველობის თავისებური ფორმის ჩამოყალიბება.

შუასაუკუნეობრივი დასავლეთ ევროპის (გენუა, ვენეცია) ანალოგიით ნოვგოროდსა და ფსკოვში თავისებური რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. ხელოსნობისა და ვაჭრობის გაზრდას მოჰყვა ფართო მასების ჩაბმა სახელმწიფოს მმართველობაში და შედარებით დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა.

ნოვგოროდ-ფსკოვში მმართველობა ვეჩეს სისტემით ხდებოდა: დედაქალაქებში მოეწყობოდა საერთო-საქალაქო თავყრილობა – კრებები. ფორმალურად ვეჩე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სა-

სამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციებით. ვეჩეზე მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ქალაქის თავისუფალ მოსახლეობას. გადაწყვეტილების მიღება ერთხმად ხდებოდა. საქმეთა წარმოებისათვის არსებობდა კანცელარია, სადაც საქმისწარმოება ხდებოდა დიაკების მიერ. ვეჩეს გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობისათვის არსებობდა ბოიართა სათათბირო, რომლის სათავეში არქიეპისკოპოსი იდგა.

„ბატონი დიდი ნოვგოროდის“ მაღალი თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ: პოსადნიკი, ტისიაცკი, არქიეპისკოპოსი, მთავარი.

პოსადნიკი – აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირი იყო, რომელსაც ვეჩე ერთი-ორი წლით ირჩევდა. მთავართან ერთად განაგებდა მმართველობისა და სასამართლოს საკითხებს, იყო სამხედრო მეთაური;

ტისიაცკი – ვაჭრობის საკითხებს განაგებდა;

არქიეპისკოპოსი – სახელმწიფო ხაზინის მცველი იყო (ამასთან, მას ჰქონდა უმაღლესი სასულიერო პირის სტატუსიც);

მთავარი – მოიწვეოდა მოქალაქეების მიერ და ასრულებდა მთავარსარდლის ფუნქციებს; იცავდა ქალაქს. სამხედრო და სასამართლო ფუნქციას იგი ინაწილებდა პოსადნიკთან ერთად. ხელშეკრულებით მოწვეულ მთავარს (XIII-XV სს-ში 70-მდე ასეთი ხელშეკრულებაა ცნობილი) ეკრძალებოდა მიწების შეძენა ნოვგოროდში, განეხორციელებინა სასამართლო ხელისუფლება ქალაქის გარეთ, გამოეცა კანონები, გამოეცხადებინა ომი და დაედო ზავი. ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევაში დაიშვებოდა მთავრის განდევნა.

ნოვგოროდის ტერიტორია იყოფოდა ვოლოსტებად, ხუთეულებად. თითოეული ხუთეული მიწერილი იყო ნოვგოროდის ერთერთ ბოლოზე. ერთ დროს ასეთ შემოგარენად ითვლებოდა ფსკოვი, რომლის გარშემო ფსკოვის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა. ფსკოვის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ნოვგოროდის ანალოგიურ ინსტიტუტებს იმეორებდა.

ამ რეგიონში სამართლის წყაროები იყო „რუსსკაია პრავდა“,

ვეჩეს გადაწყვეტილებანი, მთავრის ხელშეკრულებები, სასამართლო პრაქტიკა, უცხოური კანონმდებლობა, ხოლო XV საუკუნეში კოდიფიკაციის გზით გაჩნდა დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტები – ნოვგოროდისა და ფსკოვის სასამართლო სიგელები. შემორჩენილა ნოვგოროდის სასამართლო სიგელის მხოლოდ ნაწყვეტია, რომელიც არეგულირებდა სამართალმოწყობისა და სამართალწარმოების საკითხებს. სასამართლო ფუნქცია ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა (ვეჩე, პოსადნიკი, ტისიაცკი, მთავარი, ბოიართა სათათბირო, არქიეპისკოპოსი, სოტსკი, მამასახლისი). დამოუკიდებელ სასამართლო ჩინოსნებს წარმოადგენდნენ: დიაკები, პრისტავები, გადამწერები, მეჟნიკები და სხვ.

ფსკოვის სასამართლო სიგელი 1467 წელს იქნა შედგენილი და 120 მუხლს შეიცავდა. მასში დაწვრილებით რეგულირდებოდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები, ვალდებულებითი სამართალი; განხილული იყო აგრეთვე რამდენიმე პოლიტიკური და სახელმწიფო დანაშაული.

სანივთო სამართალი ითვალისწინებდა ნივთების დაყოფას უძრავ (отчина) და მოძრავ (живот) ნივთებად. ერთმანეთისგან განასხვავებდა მემკვიდრეობით (вотчина) და პირობით (кормля) მიწათსარგებლობის ფორმებს.

ვალდებულებითი სამართალი იცნობდა ხელშეკრულებათა იმავე სახელებს, რასაც „რუსსკაია პრავდა". ხელშეკრულება იდებოდა ზეპირად. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იყო წინდი (სესხისა და გირაოს დროს), თავდები ან მისი წერილობითი გაფორმება.

ფსკოვის სასამართლო სიგელი დანაშაულის ცნებაში, პირველად რუსულ სამართალში, არა მარტო კერძო პირის, არამედ სახელმწიფოსადმი ზიანის მიყენებასაც გულისხმობს. კანონი იცნობს დანაშაულთა შემდეგ სახეებს: სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაული («Перевет» – გადატრიალება, ღალატი) მმართველობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული («Взятка» – ქრთამი, სასამართლოში ძალით შეჭრა და სხვ.), ქონებრივი დანაშაული («Тятьба» – ჩვეულებრივი და კვალიფიციური, საეკლესიო ქონების გატაცება, ძარცვა, ყაჩაღობა), პიროვნების წინააღმდეგ

მიმართული დანაშაული («Ïоловщина»- მკვლელობა ან მოქმედებით შეურაცხყოფა).

„რუსსკაია პრავდასგან“ განსხვავებით, ფსკოვის სამართლის სიგელში შედარებით უკეთ არის რეგლამენტირებული სასამართლო პროცესის საკითხები. პროცესი შეჯიბრებით ხასიათს ატარებდა. გაიზარდა მოსამართლის როლი და ფუნქციები. მას შეეძლო უწყებით გამოეძახა პირი სასამართლოში. სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოიყენებოდა სასამართლო ორთაბრძოლა («Поле») და წერილობითი მტკიცებულებანი. ფეხს იკიდებს სასამართლო თავდებობის ინსტიტუტები სასამართლო ორთაბრძოლებში. სასამართლოს მიერ განხილული საქმეები ხელახალ განხილვას არ ექვემდებარებოდა.

ოქროს ურდოს სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო. XIII საუკუნის ბოლოს ჩინგისხანის იმპერიას გამოეყო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელიც ოქროს ურდოს სახელითაა ცნობილი და XV საუკუნემდე იარსებებ. ამ ტერიტორიაზე ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურება ეფუძნებოდა საზოგადოების მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ხასიათს, სადაც გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ ბელადებს, რომლებიც სახელმწიფო მმართველებად იქცნენ. სახელმწიფო რელიგიას აქ ისლამი წარმოადგენდა. ხელისუფლება შემდეგი იერარქიის მიხედვით იყო წარმოდგენილი: ხანი, უფლისწულები, ბეგები, თარხანები, ნუკერები. ოქროს ურდოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რიცხობრივ პრინციპს ეყრდნობოდა: ათასეული, ასეული, ათეული.

ჩინგიზ ხანის იმპერია 4 ულუსად იყოფოდა, რომელთა სათავეშიც უფლისწულები იდგნენ: სახელმწიფოს მეთაური – ხანი უმაღლეს მმართველობას ახორციელებდა. მას აირჩევდნენ მონღოლთა არისტოკრატები – ყურულტაიზე. ცენტრალური მმართველობა ხორციელდებოდა დივნების მეშვეობით, დივნებს კონტროლს უწევდა ვეზირი.

ულუსებში უმაღლეს თანამდებობის პირებს ემირები, ბოქაულები და ტექნიკები წარმოადგენდნენ. ადგილობრივი მმართველობა ბასკავების მეშვეობით ხორციელდებოდა.

მონღოლებმა რუსეთის სამთავროები დაიპყრეს და XIII საუკუნის II ნახევრიდან ოქროს ურდოს შეუერთეს, თუმცა სამთავროებმა თავიანთი მმართველობის ფორმები მაინც შეინარჩუნეს. ხანი „იარლიყს“ აძლევდა ერთ-ერთ მთავარს, რომელსაც ხარკი უნდა აეკრიფა სლავური სამთავროებისაგან ხანისათვის. იარლიყის მქონე მთავარი დიდ მთავრად მიიჩნეოდა და ხანისაგან სამხედრო თანადგომას იმსახურებდა. მოსაკრებლების შეგროვების აღწერას, დამსჯელ და საპოლიციო ფუნქციებს რუსების სამთავროების ტერიტორიებზე ბასკავები ახორციელებდნენ.

მოსკოვის სახელმწიფოში მონღოლებმა ადმინისტრაციული მმართველობის თავისებური ფორმები დანერგეს, რაც შეეხო სატრანსპორტო სამსახურს, სახაზინო-საფინანსო უწყებას, ჯარის ორგანიზაციას და სხვ.

ოქროს ურდოს მთავარი სამართლის წყარო იყო ჩინგიზხანის დიდიასა – 1206 წ, რომელიც ძირითადად სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდა. იგი მუსულმური სამართლის პრინციპებზე იყო აგებული და ამიტომ სამართლის ცალკეული დარგები მუსულმური სამართლის ცალკე პარაგრაფში განვიხილოთ.

შიდა (ხელისუფლებისათვის ბრძოლა) და გარე (კულიკოვოს ბრძოლაში დამარცხება 1380 წ.) მიზეზებმა ოქროს ურდოს დაშლა გამოიწვია. ჩინგიზხანის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა რამდენიმე სახელმწიფოებრივი ერთეული: ციმბირის, ყაზანის, ასტრახანის სახანოები და XVI საუკუნიდან რიგრიგობით მოსკოვის სახელმწიფოს ექვემდებარებიან.

რუსეთის მიწები ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში. ლიტვის სამთავრო XIII საუკუნეში აღმოცენდა და 1385 წელს კრევოში ხელი მოეწერა უნიას ლიტვასა და პოლონეთს შორის, ხოლო 1569 წელს ლუბლინაში ახალმა უნიამ რეჩ-პოსპოლიტას სახელმწიფოებრივი გაერთიანება დააკანონა.

XII საუკუნის შუა წლები გალიჩ-ვოლონის სამთავროს აყვავების პერიოდია, მაგრამ XIV საუკუნეში იგი ლიტვამ და პოლონეთმა გაიყო. ეს მიწები ლიტვის შემადგენლობაში საზოგადოებრივი წყო-

ბის გარკვეული თავისებურებებით სარგებლობდა.

ლიუბლინის უნიამდე ჩერნოგორსკისა და სმოლენსკის მიწები ლიტვის სამთავროს გამოეყო და მოსკოვის სამთავროს შეუერთდა. რეჩ-პოსპოლიტას შემადგენელობაში რუსეთის მიწების ნაწილი XVIII საუკუნემდე დარჩა (პოლოცკი, ვიტებსკი, ფინეთი და სხვ.).

ამ პოლიტიკური ერთეულების სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარება ლიტვისა და პოლონეთის ტრადიციებზე დაყრდნობით მიმდინარეობდა. სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა დიდი მთავარი, რომელიც ეყრდნობოდა „პანი რადას", ანუ მსხვილ ფეოდალთა საკრებულოს. საკრებულოში შედიოდნენ კათოლიკე ეპისკოპები, კანცლერი, ქვეკანცლერი, ჰეტმანი, მარშალი. საკრებულოს დროთა განმავლობაში უფრო ვიწრო შემადგენლობის „საიდუმლო საბჭო" გამოეყო.

1507 წლიდან მოიწვეოდა (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ) დიდი სეიმი – წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ორპალატიანი იყო: სენატი და დეპუტატთა პალატა. XVII საუკუნის შუა პერიოდში დეპუტატები ადგილობრივ სეიმებზე აირჩეოდნენ. სეიმი „ვეტოს" უფლებას იმკვიდრებდა, როცა თითოეულ დეპუტატს შეეძლო შეეცვალა სეიმის გადაწყვეტილება.

უმაღლეს თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ: მარშალი, კანცლერი (სახელმწიფო საქმისწარმოებას ახორციელებდა), „ზემსკი" (სახელმწიფო ხაზინას ედგა სათავეში), ჰეტმანი (სამხედრო მეთაური).

ლუბლიანის უნიის შემდეგ შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული ორგანოები: მეფე (რომელსაც შლიახტა ირჩევდა), სენატი (16 კაცის შემადგენლობით), სეიმი.

უნიამდე ლიტვის ადგილობრივი მმართველობა – ვოევიდებად, ვოლოსტებად, დერჟავებად, მაზრებად – ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას ეყრდნობოდა. ქალაქის ადმინისტრაციას სათავეში ედგნენ არჩევითი თანამდებობის პირები: ვოიტი, ბურმისტრი. მათ ეკუთვნოდა ადმინისტრაციული და სასამართლო მმართველობა ქალაქში.

უმაღლესი სასამართლო ფუნქცია დიდ მთავარს ეკისრებოდა.

სხვა ინსტანციის სასამართლოები იყო: პანირადას სასამართლო, მთავარი ტრიბუნალი (1581 წლიდან აირჩეოდა შლიახტისა და სასულიერო პირთა მიერ), ზემსკის სასამართლო (მიწის შესახებ დავების განსახილველად). XVI საუკუნიდან მოხდა ასესორთა სასამართლოს (დიდი მთავრის დავალებით) და მარშალის სასამართლოს (მომრიგებელი) ფორმირება. ადგილებზე მოქმედებდა სათემო და საგლეხო სასამართლოები.

ლიტვის დიდი სამთავროს სამართლებრივ აქტებად ითვლება 1529, 1566, 1588 წწ. სტატუტები. სტატუტები შეიცავს სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმებს.

სამართალმა დააკანონა ფეოდალური ურთიერთობათა ძირითადი პრინციპები: ფეოდალთა (პანი, შლიახტა, ეპისკოპოსი) უფლებრივი პრივილეგიები. გლეხთა კატეგორიები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: სასახლის, შინაყმა, დაქირავებული. 1477 წელს დადგინდა ფეოდალების შეწირულობათა ნორმები და სენიორული სასამართლოს უფლება.

ფეოდალური საკუთრების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა მიწა, რომელიც სამუდამო მფლობელობაში გაიცემოდა, ან ორ თაობაზე, ან უვადოდ. ლიტვის სტატუტები მფლობელობის სამ ფორმას გამოყოფენ: „პოჟალოვანიე" (ნაწყალობევი), სამემკვიდრეო და სყიდვითი. კანონი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა, რათა მიწა არ დაქუცმაცებულიყო.

სისხლის სამართალში არსებობდა ცნება „выступ" – სამართლიდან გადახვევა, როგორც საზოგადებრივად საშიში ქმედება, სხვა შემთხვევებში სამართალი განიხილებოდა, როგორც დაზარალებულისავის ზიანის მიყენება — «Кривда» . განირჩეოდა განზრახ და გაუფრთხილებელი დანაშაული. განზრახი დანაშაულისათვის სტატუტები მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებდა (მაგ., სიკვდილით დასჯა და ქონებრივი საზაურის გადახდა — «годовщина») გაუფრთხილებლობისავის პირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა (თუმცა დაზარალებულისათვის უნდა გადაეხადა ქონებრივი საღზაური – «годовщина»)

სასჯელთა შორის გავრცელებული იყო ჯარიმები, თუმცა ვხ-

ვდებით სიკვდილით დასჯასაც (დაწვით, ბორბალზე გაკვრით) და სხეულებრივ სასჯელებს. სასჯელთა სისტემა ეფუძნება საზოგადოების წოდებებად დაყოფას. ერთი და იმავე დანაშაულისათვის შლიახტისა და უბრალო ხალხის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად ისჯებოდა.

მოსკოვის სამთავრო – XIII-XV სს. XIV საუკუნიდან რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით შეიმჩნეოდა ცენტრალიზაციის ტენდენცია მოსკოვის სამთავროს გარშემო, რომელიც XII საუკუნეში ვლადიმირ სუზდალის სამთავროს გამოეყო.

ცენტრალიზაციაზე საუბრის შემთხვევაში ყურადღება ექცევა ორ გარემოებას: ახალი ცენტრის მოსკოვის გარშემო სამთავროების გაერთიანებას და ცენტრალური სახელმწიფო აპარატის ახალი სტრუქტურების შექმნას.

მოსკოვის დიდი მთავრის ხელისუფლებისადმი სხვადასხვა მთავრების დაქვემდებარებამ გამოიწვია ფეოდალთა რთული იერარქიის შექმნა. XV საუკუნიდან მიმდინარეობს ფეოდალთა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მკვეთრი შემცირება. მომსახურე ბოიართა ფუნქციების გაზრდით მოსკოვის დიდ მთავარს ფეოდალურ არისტოკრატიასთან ბრძოლის დასაყრდენი შეექმნა. ეკონომიკურ სფეროში ბრძოლა გაჩაღდა ვოტჩინურ (ბოიართა, ფეოდალთა) და პომესტიურ (აზნაურთა) მიწათმფლობელობას შორის.

სერიოზული პოლიტიკური ძალა ხდება ეკლესია, რომლის ხელში მიწების დიდი ნაწილი მოექცა და ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის დასაყრდენი გახდა (იდეა „მოსკოვი – მესამე რომი", „მართლმადიდებლობის ბატონობა", „მეფე – ღვთის მოციქული").

ქალაქის მოსახლეობა შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ფეოდალურ არისტოკრატიასთან მიწებისა და სამუშაო ადგილების უქონლობის გამო და ამიტომ იგი მტკიცედ უჭერდა მხარს ქვეყნის ცენტრალიზაციას. ქალაქში იქმნებოდა ახალი კორპორაციული ორგანოები, რომლებიც ფეოდალური წარმოებების წინააღმდეგ გამოდიოდა.

ამ პოლიტიკურ სიტუაციაში სამივე სოციალური ძალა – ფე-

ოდალები (საერო და სასულიერო), მომსახურე აზნაურები და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა შეადგენდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მმართველობის საფუძველს.

ცენტრალიზაციას მოჰყვა მმართველობის აპარატისა და სახელმწიფო იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ოქროს ურდოს ხანისა და ბიზანტიის იმპერატორის ანალოგიით დიდი მთავარი იქცა მეფედ („Iарь“). რუსეთმა ბიზანტიისაგან აიღო მართლმადიდებლური სახელმწიფოს პოლიტიკური და რელიგიური სიმბოლოები, რაც ქვეყნის აბსოლუტურ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს გამოხატავდა. XV საუკუნიდან რუსეთის მიტროპოლიტი ბიზანტიის პატრიარქის თანხმობის გარეშე ინიშნებოდა (ეს ის პერიოდია, როცა ბიზანტიის იმპერია ეცემა).

დიდი მთავრის (მეფის) ხელისუფლების გაზრდასთან ერთად მიმდინარეობდა სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანოების – პრიკაზ-ვოევოდთა ფორმირებები. მათთვის დამახასიათებელი იყო წოდებრიობის უპირატესობა და ცენტრალიზაციის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ იქცა ბოიართა სათათბირო, რომელშიც საერო და სასულიერო ფეოდალები შედიოდნენ. იგი არისტოკრატიულ სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა.

ცენტრალური მმართველობის დარგობრივი ორგანოების ჩამოყალიბება საპრიკაზო უწყებების მეშვეობით განხორციელდა (სახაზინო, საელჩო, მეზარბაზნეთა, საავაზაკო საქმეთა, საიამე – საფოსტო კავშირების). პრიკაზების ხელში გაერთიანებული იყო ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები და სათავეში ბოიარი ედგა. პრიკაზის სამოხელეო აპარატი საპრიკაზო დიაკებისა და მწერლებისაგან იყო დაკომპლექტებული. ადგილებზე იგზავნებოდა სპეციალურად უფლებამოსილი პირი. მოგვიანებით საუწყებო პრიკაზებთან ერთად გაჩნდა ტერიტორიული პრიკაზები, რომელთაც რომელიმე ქალაქი ან სოფელი ებარათ. მათი ძირითადი შემოსავალი იყო ამ ტერიტორიული ერთეულებიდან აკრეფილი გადასახადები. პრიკაზების ამოცანების გართულებასთან ერთად იზრდებოდა როგორც მათი მოხელეების რიცხვი, ასევე პრიკაზების რაოდენობა. ასე წარმოიქმნა „პომესტიების“, სააფთიაქო, ია-

რალის პრიკაზი და საჯინიბო პრიკაზი.

ადგილობრივი მმართველობა ეფუძნებოდა „კორმლენიეს“ სისტემას. „ნამესტნიკები“ და „ვოლოსტელები“ (მაზრებსა და ვოლოსტებში) ინიშნებოდნენ დიდი მთავრის მიერ და ხელისუფლების განხორციელებისას ეყრდნობოდნენ მოხელეთა აპარატ. „კორმლენიე“, ანუ საზრდოობის უფლების ვადა შეზღუდული იყო ერთი ან სამი წლით. ამ ხნის განმავლობაში ნამესტნიკი (მთავრის ნაცვალი) თუ ვოლოსტილი (ადგილის უფროსი, თემისთვის) ქონებას იძენდა, მდიდრდებოდა და ვადის გასვლის შემდეგ ბრუნდებოდა სატახტო ქალაქში, სადაც მას დიდი მთავრისათვის სამსახური უჯამაგიროდ უნდა შეესრულებინა. თავისი რიგის მოსვლის შემდეგ დაიშვებოდა კორმლენიეს ხელახლა ბოძება.

XV საუკუნიდან ბევრი მოხელე კორმლენიეს წყალობით დამოუკიდებელი გახდა და ამიტომ იგი მიუღებელი იყო ცენტრალური ხელისუფლებლებისათვის. ასევე მცირდებოდა საზრდოობის უფლების ვადა; ხდებოდა შეწირულობათა რეგლამენტაცია; იზღუდებოდა მათი სასამართლო ფუნქციები.

ბიზანტიისა და აღმოსავლეთის გავლენამ განაპირობა ხელისუფლების პოლიტიკასა და სტრუქტურაში ძლიერი და თან დესპოტური ტენდენციები. სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენი იყო არა ქალაქების კავშირი აზნაურებთან, არამედ პომესტიური აზნაურობა. ცენტრალიზაციას თან ახლდა გლეხობის მიმაგრება მიწაზე და წოდებრივი დიფერენციაციის გაზრდა.

§ 94. რუსეთის (მოსკოვის) სახელმწიფო და სამართალი (XVI-XVII სს.)

სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება. XVI-XVII საუკუნეები რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის პერიოდად არის ცნობილი. სახელმწიფოს პოლიტიკა ამ ეტაპზე გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, ეს თავისებურებები ქვეყნის წოდებრივი შე-

მადგენლობის უფლებრივ მდგომარეობას გულისხმობს.

ცენტრალიზაციის ეტაპზე დაიწყო ფაქტობრივად მოპოვებულ უფლებათა და პრივილეგიათა იურიდიული გაფორმება. მმართველ ფენად ფეოდალურ არისტოკრატიასთან (ბოიარი) ერთად დამკვიდრდა მომსახურეთა წოდება – აზნაურები. პირველის ეკონომიკურ საფუძველს „ვოტჩინური" მიწათსარგებლობა წარმოადგენდა, ხოლო მეორის – „პომესტიური". „ვოტჩინა" მამული მემკვიდრეობით გადაეცემოდა აზნაურებს და „პომესტიე" მემკვიდრეობით არ გადადიოდა. ამ სამართლებრივ რეჟიმს მოჰყვა გლეხთა გადადინება პომესტიური ნაკვეთებიდან ვოტჩინებში, ხოლო პომეშჩიკებსა და ვოტჩინიკებს შორის – ბრძოლის გაძლიერება.

XVI საუკუნიდან მიმდინარეობს „ვოტჩინისა" და „პომესტიეს" იურიდიული სტატუსის გათანაბრების მცდელობა. დადგინდა სახელმწიფო (სამხედრო) სამსახურის ერთიანი წესი, ანუ „ვოტჩინისა" და „პომესტიეს" მფლობელს თანაბარი ოდენობის ჯარი უნდა გამოეყვანა მეფისათვის. ამასთან, გაიზარდა „პომესტიის" მფლობელთა უფლებები: შეიძლებოდა პომესტიის ვოტჩინაზე გაცვლა, ხოლო XVII საუკუნიდან მეფის ბრძანებით „პომესტიე" შეიძლებოდა „ვოტჩინად" გადაქცეულიყო.

ქალაქის მოსახლეობა XVII საუკუნეში დამოუკიდებელ სახელს ღებულობს – „посадские люди". ამ პერიოდში განუხრელად იზრდება ქალაქებისა და ქალაქის მოსახლეობის რიცხვი (სამარა, რარატივი, ჩებოკსარი, სვიაჟისკი და სხვ.). თუმცა ეს ქალაქები ჯერ კიდევ არ იყო დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების მსგავსად მრეწველთა ორგანიზაციული ცენტრები.

რუსეთის ქალაქების ჩამორჩენილობა კარგად ჩანს 1550 წლის სამართლის წიგნში, სადაც ქალაქის პატრიციატის უმაღლესი ფენა, თავისი მდგომარეობით ფეოდალებს უახლოვდება. ვაჭრის პატივი და ღირსება მცირე რაბათელი ადამიანის ღირსებასა და პატივთან შედარებით 50-ჯერ მეტად ფასობს კანონმდებლის თვალში. რუსი ვაჭრების მოთხოვნით, მთავრობამ უცხოელებს აუკრძალა უბაჟოდ ვაჭრობა. რაც შეეხება გლეხებს, მათი მიმაგრება მიწებზე შედარებით ადრე დაიწყო. 1497 წლის სამართლის წიგნით

დადგინდა „იურის დღე“, ანუ, როცა გლეხს „პოჟილოეს“ გადახდის შემდეგ უფლება ეძლეოდა მებატონისაგან მხოლოდ ამ დღეს წასულიყო. 1581 წ. გამოცემული ბრანებით „заповедных летах“, გარკვეულ პერიოდში ასეთი წასვლაც აიკრძალა.

XVI საუკუნიდან გამოიცემოდა ბრძანებები, რომლებიც ადგენდა გაქცეული გლეხის დაბრუნების ვადებს (5-15 წელი).

გლეხის მიწაზე მიმაგრების დამაგვირგვინებელი აქტი იყო 1649 წლის ძეგლისდება, რომელმაც უარყო წინა აქტით დადგენილი წესი და გლეხის უვადო ძებნა დააკანონა. კანონი გაქცეული გლეხის დაფარვისათვის გარკვეულ პასუხისმგებლობას ადგენდა. მიწაზე გლეხთა მიმაგრება ორი გზით ხორციელდებოდა: ეკონომიკური და არაეკონომიკური. ეკონომიკური დაკაბალება გლეხებს შორის უფლებრივ განსხვავებას გულისხმობდა. XVI საუკუნეში გლეხები ორ კატეგორიად გაიმიჯნენ: „სტაროჟიდცები“ და „ნოვოპრიხოდცები“. პირველი კატეგორია საკუთარ მეურნეობას ეწეოდა და ამისთვის იხდიდა შეწირულობას, არც ფეოდალური მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა; მეორე, როგორც ახალი მოსული, შეწირულობათა მთლიანი გადახდის საშუალება არ ჰქონდათ და გარკვეული შეღავათებით სარგებლობდა, მეორე იღებდა კრედიტებს და გირაოს. მათი დამოკიდებულება მებატონესთან საკმაოდ კაბალური იყო და აქაც განსხვავებული სტატუსით სარგებობდნენ. დაკაბალებული გლეხი შეიძლება მენახევრე ყოფილიყო (მოსავლის ნახევრისათვის ემუშავა) ან „სერებრიანნიკი“ (პროცენტისათვის ემუშავა).

გლეხის მიმაგრების არაეკონომიკური პოლიტიკა ხოლოპის ინსტიტუტის არსებობაში გამოვლინდა, რომელმაც „რუსსკაია პრავდას“ შემდეგ გარკვეულწილად იცვალა სახე. შეიზღუდა ხოლოპობის წყარო. გახშირდა ხოლოპის გათავისუფლების შემთხვევები. ხოლოპი უკვე არ შეიძლებოდა ანდერძით გადაცემულიყო. მისი შვილები ხოლოპებად აღარ იქცეოდნენ. ასეთმა რეფორმებმა ხოლოპი უფლებრივი მდგომარეობით გლეხს გაუთანაბრა.

სახელმწიფო წყობილება. ივანე IV მრისხანედ წოდებულმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, 1548 წლიდან ოფიციალურად

მიიღო მეფის („Царь“)ტიტული და მისი ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა.

სახელმწიფოს მართვაში იგი ეყრდნობოდა ბოიართა დუმას (სათათაბიროს). სწორედ ამ მუდმივმოქმედი ორგანოს არსებობა განაპირობებს რუსეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის არსებობას. 1549 წლიდან ბოიართა დუმას შემადგენლობაში დაფუძნდა „არჩევითი დუმა“, რომელიც მეფის ნდობით აღჭურვილი პირებისაგან იქმნებოდა.

სახელმწიფო ორგანოთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საერობო კრებებს (XVI-XVII სს. II ნახ.). მისი მოწვევა მეფის სიგელის მიხედვით ხდებოდა ბოიართა დუმის, საეკლესიო კრებების, აზნაურებისა და ამირადნიკების წრიდან. აზნაურები მეფის არმიის ძირითად დასაყრდენს შეადგენდნენ და ამიტომ ეს წოდება მთავარი მომსახურე ძალა იყო მეფის კარზე. პოსადნიკები კი მეფის ხაზინის ძირითად დასაყრდენს შეადგენდნენ. სწორედ ამ ფუნქციების გამო ხდებოდა მათი მიწვევა საერო კრებებზე. მათ შორის წინააღმდეგობების არსებობა კი მეფის მონარქიული ხელისუფლების ბალანსირებისა და განმტკიცების საშუალებას აძლევდა.

საერო კრებებზე ხდებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა (კანონმდებლობა, ფინანსები, სახელმწიფო აღმშენებლობა). საკითხის განხილვა წოდებების მიხედვით ეწყობოდა (პალატების მიხედვით), გადაწყვეტილებას კრება ერთად იღებდა.

ადგილებზე წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს ფუნქციებს ასრულებდა საერობო და სამაზრო „ქოხები“. ამ ორგანოთა შემოღებამ ჯერ შეზღუდა, შემდეგ კი შეცვალა „კორმლენიეს“ სისტემა: არჩევითი თვითმმართველობის ქოხები საკუთარ თავზე იღებდნენ ფინანსურ-საგადასახადო (საერობო) და საპოლიციო-სასამართლო (სამაზრო) ფუნქციებს. ამ ორგანოთა კომპეტენცია განისაზღვრებოდა სამაზრო სიგელებითა და საერობო სიგელებით, რომელთაც მეფე აწერდა ხელს. საერობო და სამაზრო ქოხებში შედიოდნენ: ერისთავები, ორმოცდაათისთავები, მამასახლისები,

დიაკები.

სამაზრო და საერობო ქოხების საქმიანობა კონტროლირდებოდა დარგობრივი პრიკაზების მიერ. ჩატარდა საპრიკაზო სისტემის რეორგანიზაცია. მათ მუშაობაში დამკვიდრდა მკაცრად განსაზღვრული ბიუროკრატიული სტილი, რაც გამოიხატა ვერტიკალურად მკაცრ დამორჩილებასა და ჰორიზონტალურად ინსტრუქციებითა და მიწერილობებით ხელმძღვანელობაში.

XVII საუკუნიდან განხორციელდა ადგილობრივი მმართველობის რეორგანიზაცია: სამაზრო, საერობო ქოხები და ქალაქის მმათველები დაქვემდებარდნენ ცენტრიდან დანიშნულ ვოევოდებს. ისინი ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ, საპოლიციო და სამხედრო ფუნქციებს. ვოევოდებთან გაჩნდა სპეციალური აპარატი (საპრიკაზო ქოხი) დიაკების, პრისტავებისა და პრიკაზჩიკების შემადგენლობით.

სამართალგანვითარება[1]. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის სამართალგანვითარება რუსეთში, უპირველეს ყოვლისა, ამ ეტაპზე განხორციელებული სამართლებრივი პოლიტიკის შედეგია.

სახელმწიფოს ცენტრალიზაცია გარკვეული რეფორმების ჩატარებას მოითხოვდა როგორც ადმინისტრაციულ, ისე საფინანსო და სამხედრო სფეროში. საპრიკაზო-ვოევოდური სისტემის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო მმართველობის ცენტრალიზაციასა და სასახლურ-ვოეტჩინური სისტემის ლიკვიდაციას.

საფინანსო რეფორმა XVI საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა. ფინანსებმა თავი მოიყარა სახელმწიფოს ხელში. XVI საუკუნის ბოლოს მოხდა მთელი მიწის სავარგულების აღწერა და დაწესდა ერთიანი სავაჭრო ბაჟი საქონლის ფასის 5– ოდენობით.

სამხედრო რეფორმა აზნაურთა სავალდებულო სამსახურის იდეასთან იყო დაკავშირებული. მომსახურეები პომესტიების სახით ღებულობდნენ სამსახურის საფასურს. სამხედრო ძალა ძირითად დაკომპლექტებული იყო აზნაურებისაგან (მსროლელები,

1 რუსეთის სამართალგანვითარებაზე ნახე: Исаев И.А. История государства и права России. М., 2004 г. с. 146; История Государства и права России - под. ред., С.А. Чибараева. 1998 г.

მეზარბაზნეები); დაიშვებოდა სამხედრო მოსამსახურეთა ქირავნობაც. XVII საუკუნიდან ჩნდება აახალი რეგულარული ჯარი (რეიტარები, დრაგუნები და სხვ.).

XVI საუკუნიდან იწყება კერძო სამონასტრო მიწების კონფისკაციაც, ხოლო 1551 წლისათვის დადგა საკითხი საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის შესახებ. ეს ღონისძიებები პრაქტიკულად მთლიანად არ გატარებულა; მოხდა მხოლოდ სამონასტრო მიწების ნაწილის კონფისკაცია და შეიზღუდა მემკვიდრეობით „ვოტჩინების" მონასტრებისათვის გადაცემა. მონასტრებს აეკრძალათ „ვოტჩინების" ყიდვა. ამასთან, გაიზარდა მონასტრების პოლიტიკური როლიც. 1589 წლიდან რუსეთის ეკლესიამ სრული დამოუკიდებლობა მიიღო, მას თავისი პატრიარქი ჰყავს. საერთო კანონმდებლობით პირველად დადგინდა პასუხიმგებლობა საეკლესიო დანაშაულებისათვის.

გადამწყვეტი პოლიტიკური ეტაპი ხელისუფლების განმტკიცებაში იყო განსაკუთრებულ ღონისძიებათა სისტემა – „опричнина" 91565-1572 წწ.). ქვეყნის მთელი ტერიტორია ოპრიჩნინებად დაიყო, რაც საგანგებო მდგომარეობით იყო გამოწვეული და არ ემყარებოდა ტრადიციულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას. საგანგებო შეიარაღებული ქვედანაყოფები (ოპრიჩნიკები) ოპრიჩნინას ძირითად დასაყრდენს და რეპრესიების მექანიზმს წარმოადგენდნენ.

პოლიტიკურ გაერთიანებასან ერთად დაიწყო იურიდიული სივრცის გაერთიანების სრულყოფა. კოდიფიკაციის პირველი მცდელობის შედეგია ივანე შშშ-ის ძეგლისწერა. ამ კოდექსის შედგენას ვლადიმერ გუსევს მიაწერენ, რომელიც მალევე, სამართლის წიგნის გამოსვლის შემდეგ, მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასაჯეს. 1497 წლის სამართლის წიგნი 69 მუხლისაგან შედგებოდა და ძირითადად სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ნორმებს შეიცავდა.

1550 წელს შეადგინეს კიდევ ერთი სამართლის წიგნი („ასისთავი"), რომელიც სამოქმედოდ 1551 წელს იქნა შემოღებუ-

ლი. ეს კრებული ეყრდნობა ვასილ III-ის სამართლის წიგნს, რომელსაც, მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი არსებობა ისტორიკოსთათვის ეჭვს არ იწვევს, აგრეთვე მეფის მიერ გამოცემული სამართლის სიგელებს და 1497 წლის ზოგიერთ ნორმას. იგი 100 მუხლისაგან შედგება და ნაწილობრივაა სისტემატიზებული. ასისთავი სამოქალაქო სამართლის ძეგლად მიიჩნევა და პირობითად ოთხ ნაწილად არის დაყოფილი: 1. დადგენილებები ცენტრალური სასამართლო ორგანოების საქმიანობის შესახებ; 2. საოლქო სასამართლოების შესახებ; 3. სამოქალაქო სამართლის პროცესის შესახებ; 4. დამატებითი მუხლები.

1550 წლის სამართლის წიგნის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფოში კანონს უკუქცევადი ძალა არა აქვს, ხოლო სასამართლო პროცესი საბრალდებო ხასიათს ატარებს. იზრდება იმ საქმეთა რიცხვი, სადაც საქმის აღძვრის ინიციატივა სახელმწიფოს ეკუთვნის.

საერთოდ, მტკიცების პროცესი პრიმიტიული იყო: მხარეები სასამართლოს წარუდგენდნენ რა მტკიცებულებებს, გაივლიდნენ განსაკუთრებულ გამოცდას, რომლის შედეგი წყვეტდა საქმეს. ხშირად პროცესი სასამართლო ორთაბრძოლის შედეგებით წყდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრებოდა დანაშაულის აღიარებას. აღიარებული იყო ორდალებისა და ფიცის, როგორც მტკიცებულების როლი.

1550 წლის კოდექსი დანაშაულთა შემადგენლობის დამუშავებისა და დიფერენციაციის თვალსაზრისით, წინგადაგმული ნაბიჯია რუსულ სამართალშემოქმედებაში.

სასტიკად ისჯებოდა მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. თუ ცილისმწამებელი ცნობილი იქნებოდა ბოროტ ადამიანად, იგი სიკვდილით ისჯებოდა; ცრუ-მოწმე საქვეყნოდ გამათრახდებოდა; იდევნებოდა ყალბი დოკუმენტების დამზადება.

სახელმწიფო დანაშაულთა სფეროში სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, კერძოდ, ღალატისა და ქალაქის მტრისათვის ჩაბარების შემთხვევაში.

რუსული სამართლის ისტორიაში პირველად მოხსენიებულია თაღლითობის ცნება. იგი ქურდის მსგავსად ისჯებოდა. ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სისხლის დაურვების სისტემა, მაგრამ შეცვლილი თვისებებით. „პროდაჟა“ სახელმწიფო სასჯელების დამატებითი ღონისძიებაა. იგი უფრო წააგავს სასამართლო ბაჟს, ვიდრე კერძო სასჯელს.

კოდექსში საკმაოდ მკაცრია სასჯელთა სისტემა. სიკვდილით სჯიდნენ თემის მიერ ავკაცად აღიარებულ პირებს ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის, ცეცხლის წაკიდებისათვის და სხვ. რეციდივის შემთხვევაში ქურდს სიკვდილით სჯიდნენ. ასევე სიკვდილით ისჯებოდა ბატონის მკვლელი.

სხეულებრივი სასჯელებიდან კანონი იცნობს გაროზგვასა და გამათრახებას.

გავრცელებული არ იყო თავისუფლების აღკვეთა. იგი მეტად იშვიათად გამოიყენებოდა. პატიმრობა ინიშნებოდა როგორც აღმკვეთი ღონისძიება საქმის სასამართლოში განხილვამდე.

კოდექსში ვხვდებით განუსაზღვრელ სანქციებსაც. მაღალი თანამდებობის პირისათვის სასჯელს მეფე თავისი შეხედულებით განსაზღვრავდა.

XVI საუკუნის რუსეთში მშობლებს სრული უფლება ჰქონდათ თავისი შვილი ხოლოპად გაეყიდათ. შვილებს მშობლის თანხმობის გარეშე არ შეეძლოთ საკუთარი თავის გაყიდვა ხოლოპად.

სასამართლო სისტემა. სასამართლო რამდენიმე ინსტანციისაგან შედგებოდა:

1. ნამესტნიკების სასამართლო;
2. პრიკაზების სასამართლო;
3. ბოიართა სათათბიროს ან დიდი მთავრის სასამართლო. პარალელურად მოქმედებდა საეკლესიო სასამართლოები.

ეკლესია თავის საქმიანობაში საეკლესიო სამართლის სისტემას ეყრდნობოდა (მიტროპოლიტთა მართლმსაჯულება და ასისთავი, რომელიც საეკლესიო კრებამ მიიღო).

XV-XVI საუკუნეების საოჯახო სამართალი მნიშვნელოვანწილად ადათებს ეყრდნობოდა და საეკლესიო სამართლის გავლენას

განიცდიდა. იურიდიულ შედეგებს იწვევდა მხოლოდ საეკლესიო ქორწინება. ქორწინების ნამდვილობისათვის მშობლების თანხმობა იყო საჭირო. განსაზღვრული იყო საქორწინო ასაკიც: ვაჟებისთვის 15 წელი, ქალებისთვის 12 წელი. ეთიკური წესებისა და ადათების კრებულმა და ასისთავმა განამტკიცეს ქმრის უფლებები ცოლ'ხე და მამის უფლებები შვილებზე. დაიშვებოდა მეუღლეთა თანასაკუთრება, მაგრამ ქმარს ეკრძალებოდა ცოლის მზითევის განკარგვა. საერთო საკუთრება შენახვასა და შვილებისთვის მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ქვრივი მანამ ინახავდა მის ქონებას, სანამ მემკვიდრეები სამკვიდროს წილს არ გადაუხდიდნენ.

XVI საუკუნიდან ფეხს იკიდებს ანდერძი, რომელიც ქორწინების მომენტში დგებოდა ქმრის მიერ. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში მის მშობლებს უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ მზითევი. ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ცოცხალი მეუღლე სამუდამოდ სარგებლობდა გარდაცვლილი მეუღლის უძრავი ქონებით.

ეკლესიების განსჯადობის საკითხი იყო ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. განსაკუთრებით მძიმე რელიგიური დანაშაულებისთვის ცალკე სახელმწიფო სასჯელი ეკისრებოდა, ცალკე საეკლესიო. იკრძალებოდა აზარტული თამაშობები და სხვა ამგვარი გართობები, მისნობა, ცრუ წიგნების კითხვა და ა.შ. საეკლესიო სამართალი სასჯელთა თავისებურ სისტემას აყალიბებდა: განდგომა, მონასტერში აღკვეცა და სხვ.

შიდასაეკლესიო საქმიანობა რეგულირდებოდა საკუთარი წესებითა და ნორმებით: „ორხელისუფლებიანობის" იდეა (საერო და სასულიერო) ეკლესიას სახელმწიფოს ძლიერ კონკურენტად აქცევდა. ეკლესიამ დაიწყო ბრძოლა სახელმწიფოზე მაღლა დამდგარიყო. ეს ბრძოლა XVIII საუკუნემდე გაგრძელდა.

ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლია 1649 წლის ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდება. კოდექსის პროექტის შედგენა ავტორიტეტულ კომისიას დაევალა, რომლის წინაშე შემდეგი ამოცანები დაისახა:

1. ამოეკრიბათ წმინდა მოციქულთა წიგნებიდან სახელმწიფო

ხელისუფლებისათვის გამოსაყენებად ვარგისი მუხლები;

2. შეეგროვებინათ წინათ გამოცემული მეფეთა ბრძანებულებები;

3. ყველა საჭირბოროტო საკითხზე, რომელზე პასუხსაც სხვა აქტებში ვერ ნახავდნენ, „საერთო ბჭობის" საფუძველზე შეედგინათ ახალი მუხლები.

1649 წლის ძეგლისდების წყარო იყო პროხეირონი, ლიტვის სტატუტები, რუსეთში ადრე გამოცემული კანონები (რუსსკაია პრავდა, 1497, 1550 წლის სამართლის წიგნები) . ძეგლისდება 25 თავისა და 967 მუხლისაგან შედგება. წინა ეპოქის სამართლის ძეგლების კაზუისტურმა ხასიათმა თავისი გავლენა იქონია ახალ კოდექსზეც.

ძეგლისდების თავები მოცულობით არათანაბარია: I-IX თავში ასახულია მაშინდელი წარმოდგენით სახელმწიფო სამართლის ნორმები; X-XV თავები შეიცავენ სამართალნარმოებისა და სასამართლო წყობილების მარეგულირებელ ნორმებს; XVI-XX თავები ეძღვნება სანივთო სამართალს; XXI-XXII თავები – სისხლის სამართალს; XXIII-XXV თავები შეადგენენ დამატებებს.

სჯულდება ცალკეული დარგების მიხედვით ასე გამოიყურება:

სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას მოჰყვა მიწისათვის სასაქონლო ხასიათის შეძენა. 1649 წლის სჯულდების XVI და XVII თავები „პომესტიებსა" და „ვოტჩინას" ეხებოდა. კანონმდებელი მებატონეს უფლებას ანიჭებდა არა მარტო მიწაზე, არამედ ყმა გლეხებზეც, საკუთრების ცალკე სახე იყო მეფის დომენი. ძეგლისდება დასავლეთ-ევროპული ბენეფიციუმის მსგავსად, „ვოტჩინის" გვერდით განსაზღვრავდა „პომესტიეს" სამართლებრივ რეჟიმს. პომეშჩიკს თავისი პომესტიეს გაყიდვა და დაგირავება აკრძალული ჰქონდა. ამიტომ ყოველი გარიგება პომესტიეს ირგვლივ ბათილად ითვლებოდა. ხოლო მათი მცოდველი ან დამგირავებელი, ფაქტობრივად, გადახდილ თანხას კარგავდა. „პომესტიეს" ფლობდნენ მსახური პირები – აზნაურები, ბოიართა წულები, დიაკები, დრაგუნები. XVII საუკუნიდან პომესტიე მემკვი-

დრეობით გადაეცემოდა არა მარტო დაღმავალი ხაზის უახლოეს ნათესავებს, არამედ გვერდით ნათესავებსაც. რაც შეეხება „ვოტჩინას“, ძეგლისდების XVII თავის მე-13-15 მუხლების მიხედვით, იგი მემკვიდრეთა საერთო მფლობელობაში იმყოფებოდა. მამულის განკარგვისათვის საჭირო იყო ყველა თანამფლობელის თანხმობა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში – უფროს ძმას უფლება ჰქონდა მამულის წილი თანხმობის გარეშე გაეყიდა, თუ იგი მამის მიერ დატოვებული ვალის გადასახდელად იყიდებოდა.

ძეგლისდება იცნობდა როგორც „პომესტიეს“, ისე „პოჟალუოვანიეს“, უკუგამოსყიდვის უფლებას. ვოტჩინის გაყიდვის ან დაგირავებიდან 40 წლის განმავლობაში შეიძლებოდა მისი უკუგამოსყიდვა.

1649 წლის ძეგლისდებით რუსული სამართლის ისტორიაში პირველად აისახა სერვიტუტი. გათვალისწინებული იყო სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება (ტყე, საძოვარი, პირუტყვისათვის წყლის დასალევი ადგილი).

რუსეთში თანდათან ვითარდება ვალდებულების, როგორც პიროვნების მოქმედებაზე უფლების ცნება. წინათ ვალდებულების უზრუნველყოფის სუბიექტი პიროვნებაც შეიძლება ყოფილიყო. სჯულდების მიღებიდან კი დებიტორი თავისი ქონებით აგენდა პასუხს და არა პიროვნულად. რუსულ სამართალში თანდათან იზრდება ხელშეკრულებათა რიცხვი. სესხის, გაცვლისა და ნასყიდობის გარდა გაჩნდა ქონების ქირავნობის, მიბარებისა და სხვა ხელშეკრულებანი.

მრეწველობისა და მანუფაქტურის განვითარება სამოქალაქო სამართლისაგან მოითხოვდა ქირავნობის ხელშეკრულების დამუშავებას. სჯულდების მიხედვით პირს შეეძლო 5 წლის ვადით მიჰქირავებოდა მწარმოებელს. მაგრამ ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცებულიყო „სახოლოპო პრიკაზში“. გარდა პიროვნებისა, ფულად ურთიერთობათა განვითარებას მოჰყვა საცხოვრებელი სახლისა და ქონების ქირავნობის ინსტიტუტების დამკვიდრება. სჯულდება მათ სამართლებრივ რეჟიმსაც სათანადოდ განსაზღვრავს.

სისხლის სამართალი. 1649 წლის სჯულდებაში დანაშაული განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფოს მიმართ ურჩობა, მეფის ნების დარღვევა და „ღვთის შიშის" დავიწყება.

სასჯელი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ძალადობის ისეთ ღონისძიებას, რომელიც ხორციელდებოდა თვითმპყრობელი მეფის სახელით და მიზნად ისახავდა არა დაზარალებულის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას, არამედ დაშინებას.

დანაშაულთა სისტემა სჯულდების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: ღვთის გმობა მართლმადიდებლის მიერ ტაძარში ლიტურგიის მსვლელობის ჩაშლა და სხვ.;

2. სახელმწიფო დანაშაული: მეფის ან მისი ოჯახის წევრების პიროვნების მიმართ ნებისმიერი მოქმედება: აჯაყება, შეთქმულება, ღალატი. ასეთი კატეგორიის დანაშაულისათვის არა მარტო მისი ჩამდენი, არამედ ოჯახის წევრებიც კისრულობდნენ პასუხისმგებლობას;

3. მმართველობის დადგენილი წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: სასამართლოში წინასწარი განზრახვით არგამოცხადება ან პრისტავისათვის წინააღმდეგობის გაწევა; ყალბი სიგელებისა და ბეჭდების დამზადება; საზღვარგარეთ თვითნებური გამგზავრება; ყალბი ფულის მოჭრა; სასამართლოში ცრუ დაფიცება; ცრუ ჩვენების მიცემა და სხვ.;

4. ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: გაქცეულთათვის თავშესაფრის მიცემა, ქონების უკანონო გაყიდვა (მოპარულის, სხვისი ქონების)და სხვ.;

5. თანამდებობრივი დანაშაული: მექრთამეობა, გამოძალვა, უკანონო გადაწყვეტილების მიღება ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, დოკუმენტების ფალსიფიცირება, მოროდიორობა, სამხედრო ნაწილიდან გაქცევა და ა.შ.;

6. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: მკვლელობა (უბრალო და კვალიფიციური – მშობლების, ბატონის და ა.შ.), სხეულის დაზიანება, ცემა, შეურაცხყოფა, ცრუ ინფორმაცი-

ის გავრცელება. საერთოდ არ ისჯებოდა მოღალატისა და ქურდის ადგილზე მკვლელობა;

7. ქონებრივი დანაშაული (უბრალო და კვალიფიციური – საეკლესიო ქონების, სამსახურებრივი, ცხენის ქურდობა): ყაჩაღობა, ძარცვა, თაღლითობა, ცეცხლის წაკიდება, სხვისი ქონების ძალით დაუფლება, სხვისი ქონების გაფუჭება;

8. ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: შვილების მშობლებისადმი დაუმორჩილებლობა; მოხუცი მშობლების შენახვაზე უარის თქმა; ცოლის შეცდენა; ბატონის კავშირი მონა ქალთან.

სასჯელთა სისტემისათვის კი დამახასიათებელი იყო:

1. სასჯელის ინდივიდუალიზაცია. ცოლი და შვილები დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის პასუხს არ აგებდნენ. თუმცა, ძველი გადმონაშთის სახით ისევ არსებობდა III პირების პასუხისმგებლობის პრინციპი: თუ ბატონი სხვის გლეხს მოკლავდა, მისთვის ზიანის ასანაზღაურებლად სხვა გლეხი უნდა გადაეცა. მნიშვნელოვანწილად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დანაშაულის ჩამდენი პირის თავდებს;

2. სასჯელთა წოდებრივი ხასიათი. ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები სხვადასხვა პასუხისმგებლობას კისრულობდნენ (ანალოგიური დანაშაულისათვის ბატონი თუ ღირსების ჩამორთმევით დაისჯებოდა, ქვედა ფენის წარმომადგენელი – მათრახით);

3. სასჯელი – დაშინებას უკავშირდება. განაჩენში შეიძლება ასახულიყო არა სასჯელის სახე, არამედ ისეთი ფორმულირება, როგორიცაა: „ბატონი განსაზღვრავს“, „ბრალის მიხედვით“ ან „დაისაჯოს მკაცრად“. ზოგჯერ, თუ სასჯელი მითითებული იყო, არ იყო ნაჩვენები მისი აღსრულების ხერხი („დაისაჯოს სიკვდილით“, ან არ იყო მითითებული სასჯელის ვადა (ჩააგდონ ციხეში ბატონის ბრძანებამდე). სასჯელის განუსაზღვრელობის პრინციპს ემატებოდა სასჯელთა სიმრავლის პრინციპი. ერთი და იმავე დანაშაულისათვის შეიძლებოდა ერთი და იმავე დროს რამდენიმე სასჯელის დაწესება: გამათრახება, ენის მოჭრა, გასახლება, ქონების

კონფისკაცია.

დაშინების მიზანს ემსახურებოდა დასჯის განსაკუთრებული სიმბოლიკის არსებობა: დამნაშავის წინააღმდეგ იყენებდნენ ტალიონის პრინციპს.

სასჯელის აღსრულების ხერხები განსხვავებული იყო. მაგალითად, სიკვდილით დასჯა სრულდებოდა ბორბალზე გაკვრით, დანაწილებით (დამნაშავეს ჯერ ხელებს მოჰკვეთდნენ, მერე ფეხებს, დაბოლოს, თავს), დაწვით, ყელში გამდნარი რკინის ჩასხმით, მიწაში დამარხვით. ეს იყო კვალიფიციური ხერხები. უბრალო სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა თავის მოკვეთითა და ჩამოხრჩობით.

დამასახიჩრებელი სასჯელები მოიცავდა: ხელის მოკვთას, ფეხის მოკვეთას, ენის ამოგლეჯას, ტუჩებისა და ყურის მოჭრას, თვალის ამოთხრას. ეს სასჯელები გამოიყენებოდა როგორც დამატებითი ორი ძირითადი სასჯელის სახით. მათ დაშინების გარდა, ის ფუნქცია ჰქონდა, რომ დამნაშავე საზოგადოებისაგან გამორჩეული ყოფილიყო კასტრირებული სხეულით. გამაწბილებელ სასჯელებს ეკუთვნოდა გამათრახება ან გაჯოხვა, რომელიც ხალხის თავშეყრის ადგილებში (ქალაქის ცენტრი) ხდებოდა. ციხეში ჩასმა, როგორც სასჯელის სპეციალური სახე, გამოიყენებოდა 3 დღიდან 4 წლამდე ან განუსაზღვრელი ვადით. დამატებით სასჯელად ითვლებოდა გასახლება.

დიდებულთათვის დაწესებული იყო ჩინის ჩამორთმევა, რაც სამოქალაქო სიკვდილს უთანაბრდებოდა; ფართოდ გამოიყენებოდა ქონებრივი სანქციები. მისი უმაღლესი ზომა იყო ქონების კონფისკაცია. სასჯელთა სისტემაში შედიოდა საეკლესიო სასჯელები (შერისხვა, ეკლესიიდან მოკვეთა, მონასტერში გასახლება და სხვ.).

სამართალგანვითარებაში, გარდა კანონებისა, დიდ როლს ასრულებდა: „ბოიართა დუმის განაჩენები“, საერობო კრებების დადგენილებანი, პრიკაზების დარგობრივი განკარგულებანი, კერძო აქტები – სასულიერო პირთა სიგელები, ხელშეკრულებები.

§ 95. რუსეთის სახელმწიფო და სამართალი აბსოლუტიზმის ხანაში (XVII ს. II ნახ. – XVIII ს. II ნახ.)

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში აბსოლუტური მონარქია დამკვიდრდა. აბსოლუტური მონარქიისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების თავმოყრა ერთი პირის ხელში (როგორც საერო, ისე სასულიერო). ხელისუფლების ასეთი გაერთიანება არა მარტო ეგვიპტის ფარაონებისა და რომის იმპერატორების, არამედ XX საუკუნის დიქტატორთა მიერაც ხორციელდებოდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო აბსოლუტიზმი, მისი პოლიტიკური დატვირთვით. აბსოლუტიზმისათვის დამახასიათებელია ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურ რელსებზე გადასვლა. სხვადასხვა ქვეყანაში ეს პროცესი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს ემთხვევა, თუმცა ისინი საერთო ნიშნებს ინარჩუნებენ. აბსოლუტური მონარქიისათვის დამახასიათებელია პროფესიონალური ბიუროკრატიული აპარატი, ძლიერი არმიის ყოლა, წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების გაუქმება.

თუ გერმანიაში აბსოლუტიზმი „პროვინციული აბსოლუტიზმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ბრიტანეთში – „შეზღუდული აბსოლუტიზმის“, ხოლო საფრანგეთში – განათლებული აბსოლუტიზმის“, რუსეთის აბსოლუტიზმს კი მათგან განსხვავებული თავისებურებები გააჩნია:

1. ევროპის აბსოლუტიზმი ფეოდალური ინსტიტუტების გაუქმებით დაიწყო, რუსეთის აბსოლუტიზმი საგლეხო მეურნეობის განვითარებას დაემთხვა;

2. დასავლეთ ევროპის აბსოლუტიზმის სოციალურ ბაზას აზნაურობისა და ქალაქის (თავისუფალი, საიმპერატორო) მოსახლეობის კავშირი წარმოადგენდა, რუსეთის აბსოლუტიზმი მთლიანად მომსახურე აზნაურთა კატეგორიას ეყრდნობოდა.

3. რუსეთის აბსოლუტიზმის იდეოლოგია მთლიანად „პატრიარქალურია“. სახელმწიფოს მეთაური (მეფე, იმპერატორი) მიიჩნევა „ერის მამად“, „ხალხის მამად“. ამიტომ მას უფლება აქვს აღზარდოს „შვილები“ და აკონტროლოს ყველაფერი კერძო და სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების მცირედი გამოვლინებებიც კი (როდის უნდა აინთოს სინათლე, რა ცეკვები შეიძლება შესრულდეს, როგორი კუბოთი შეიძლება დაიმარხოს, გაიპარსონ წვერი თუ არა და ა.შ.) . ამ ეპოქას რუსეთში „პოლიციურსაც“ უწოდებენ, რამეთუ, სწორედ აბსოლუტიზმის ხანაში შეიქმნა რუსეთში პროფესიონალური პოლიცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ წვრილმანს აკონტროლებდა.

არც „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეოლოგიაა რუსეთისთვის უცხო: წარმოიშვა ფრანგული და ბრიტანული სამართლის მსგავსი ფორმები; იყო მცდელობა „სამართლებრივი „ხელმწიფის“ ნიშნების დამკვიდრებისა, მიიღეს კულტურისა და განათლების კონსტიტუცია. ყველა ეს ღონისძიება არა მარტო კონკრეტული მონარქების (ეკატერინე II, ალექსანდრე I) მოთხოვნით იყო განპირობებული, არამედ მათ ხელს უწყობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაც. ეკონომიკურ იდეოლოგიაში ინერგებოდა მერკანტელიზმის იდეოლოგია, რომელიც ორიენტაციას იმპორტზე ექსპორტის უპირატესობაზე აკეთებდა და ხელს უწყობდა სახელმწიფო პროტექციონიზმს.

პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივ სტრუქტურაში. პეტრე პირველის დროს კანონმდებლობა აზნაურობას აღიარებდა ისეთ ერთ მთლიან წოდებად, რომელსაც ერთიანი უფლება-მოვალეობები გააჩნდა. 1714 წელს კანონით „поместие“ გაუთანაბრდა „вотчина“. ფეოდალური სამსახურის საფასურად ადგილ-მამულს ღებულობდა დროებით სარგებლობაში. ჩნდება ტენდენცია, რომ აზნაურობა ფულად საზღაურზე გადაიყვანონ. ყოველი აზნაური, რომელიც სამხედრო ვალდებულებად ითვლებოდა, მოვალე იყო 15 წლის ასაკიდან სიბერემდე ემსახურა არმიაში. 1730 წელს კანონით სამხედრო სამსახურში იწვევდნენ 20 წლიდან 25 წლამდე.

მემამულეთა უფლებრივი მდგომარეობა გაფართოვდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი პეტრე პირველმა უზარმაზარი მსხვერპლის ფასად დაუსვა რუსეთს. რაც შეეხება ყმაგლეხობას, მათი ექსპლუატაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. პეტრე პი-

რველი ბარბაროსული საშუალებით ებრძოდა არა მარტო რუსულ ჩამორჩენილობას, არამედ ქვედა ფენების წინააღმდეგობასაც.

საკანონმდებლო წესით გაფორმდა საზოგადოების ოთხ წოდებად დაყოფა: აზნაურები (შლიახტა), სასულიერო პირები, ქალაქის მოსახლეობა (მეშჩანები) და გლეხობა. სამღვდელოება ორ ნაწილად გაიყო: თეთრ და შავ სამღვდელოებად. რამდენადაც ბერს ცოლის შერთვის და მონაზონს გათხოვების უფლება არ ჰქონდა და მათ შთამომავლები არ რჩებოდათ, წოდებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ თეთრი სამღვდელოება. ეს უკანასკნელი იყოფოდა მღვდელმსახურებად და საეკლესიო მსახურებად. პეტრე პირველი იბრძოდა შავი სამღვდელოების წინააღმდეგ და 1823 წელს კანონით აიკრძალა ბერად აღკვეცა. თუმცა ბოლო პერიოდის ისტორიკოსები პეტრე პირველის როლს რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოს განმტკიცებაში ასეთი თვალით აღარ უყურებენ, მაგრამ ს.მ. სოლოვიოვის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი არ იყო მეფე, ამ სიტყვის მისი წინაპრისეული გაგებით, იგი იყო გმირი – საზოგადოების გარდამქმნელი, ახალი სამეფოს, იმპერიის დამაარსებელი. კაცი, რომელიც, რაც უფრო გულისხმიერად ცდილობდა ქვეყნის გარდაქმნასა და გაძლიერებას, მით უფრო ნაკლებად მოგვაგონებდა თავის წინაპრებს. უპირველეს ყოვლისა, პეტრე იყო, ენერგიული და მოქმედი ადამიანი; იგი იყო ძველი რუსეთის ახალ რუსეთად გარდამქმნელი.

რაც შეეხება **სახელმწიფო წყობილებას**, აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის რეფორმებს.

პეტრე პირველის დროს იწყება მთელი ხელისუფლების თავმოყრა იმპერატორის ხელში. საერო კრებებსა და ბოიართა სათათბიროს პოლიტიკური ორგანოების როლი დაეკარგა. არ გაუუქმებია რა ისინი ჩრდილოეთის ომის პირველ წლებში, ახალი ორგანოების შექმნა დაიწყო. ჯერ კიდევ არსებობდა პრიკაზების სისტემა, მაგრამ მათ გვერდით შეიქმნა მინისტრებისა და კონსილიუმების ინსტიტუტი, სადაც პრიკაზების მესვეურნი და მხედართმთავრები შედიოდნენ. სახელმწიფოს მართვაში დიდი როლი დაეკისრა პირად კანცელარიას ე.წ. „კაბინეტი“.

სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1708-1709 წლებში ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა. თავდაპირველად 8 გუბერნია შეიქმნა, რომელიც ათამდე გაიზარდა. ამ რეფორმის მიზანი იყო ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება.

1711 წელს პეტრე პირველის ბრძანებულებით შეიქმნა – სენატი. სენატი 9 კაცისაგან შედგებოდა და ბოიართა სათათბიროსაგან განსხვავებით, (რომლის წევრები სახელმწიფოში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს „წვერჩამოშვებულნი ისხდნენ და დუმდნენ"), არა მარტო ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავლობა იყო წარმოდგენილი, არამედ მეფესთან დაახლოებული ნიჭიერი და უნარიანი აზნაურების წარმომადგენლებიც.

სენატის არსებობა ბოიართა სათათბიროს ზედმეტს ხდიდა. სენატს მეფის დედაქალაქში არყოფნის დროს მისი მაგივრობა უნდა გაეწია. სენატი უმაღლესი მმართველობის ორგანო იყო. იგი განაგებდა სამხედრო საქმეებს, საგარეო ვაჭრობას და ა.შ. მასვე ევალებოდა ახალი კანონპროექტების შემუშავება, რომელსაც მეფე ამტკიცებდა. 1822 წლიდან სენატის მუშაობას თვალყურს ადევნებდა გენერალ-პროკურორი, რომელსაც „ხელმწიფის თვალს და ყურს" უწოდებდნენ. გენერალ-პროკურორი ადგილებზე ნიშნავდა პროკურორებს, რომლებიც აკონტროლებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას. სენატი სასამართლო დაწესებულებაც ფუნქციაც ჰქონდა. მას შეეძლო გარკვეული კატეგორიის საქმეების განხილვა. დაწესდა ფისკალთა ინსტიტუტი. ობერ-ფისკალი, 1723 წლიდან გენერალ-ფისკალი, აგრეთვე მის დაქვემდებარებაში მყოფი პროვინციებისა და ქალაქების ფისკალები ჩუმად თვალყურს ადევნებდნენ და ამხელდნენ თანამდებობის პირებს. ისინი უმეტესად სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს იცავდნენ.

1719 წელს გაუქმდა ძველი პრიკაზები და მათ ნაცვლად დაწესდა ცხრა კოლეგია, რომელიც შემდეგ თორმეტამდე გაიზარდა. კოლეგიათა შორის ფუნქციები ზუსტად განისაზღვრა. თითოეული კოლეგია მმართველობის ერთ რომელიმე დარგს განაგებდა (საგარეო საქმეთა, სამხედრო იუსტიც-კოლეგია), მრეწველობი-

სა და ვაჭრობის, მანუფაქტურთა კოლეგიას ჰყავდა კანცელარია, რომელიც შედგებოდა მდივნების, ნოტარიუსების, მთარგმნელებისა და არქივარიუსებისაგან.

მნიშვნელოვანი რეფორმები ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის სფეროში. 1813 წლიდან აზნაურები გუბერნიებში ირჩევდნენ რვიდან თორმეტამდე მრჩეველს (ლანდრატი). 1833 წელს გუბერნიებში შეიქმნა საპოლიცმაისტერო კანტორები. 1885-1893 წლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმების მიხედვით რუსეთში შეიცვალა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრები. გუბერნიებად და მაზრებად ახალი დაყოფა დაფუძნებული იყო დასაბეგრავი მოსახლეობის ოდენობაზე. გუბერნიები ერთიანდებოდა „საგენერალ-გუბერნატოროდ". ძველი მაზრების ნაცვლად 500-მდე ახალი მაზრა შეიქმნა.

სამართლის ახალი სისტემის ფორმირება. აბსოლუტიზმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის სჯულდებამ. იგი ივსებოდა მანიფესტებით, სახელობითი ბრძანებებით, მონარქთა რეზოლუციებით და სხვა აქტებით. აქტების სიუხვე მათი სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის აუცილებლობას მოითხოვდა. 1649-1696 წლებში 1500 აქტი მაინც იქნა მიღებული. პეტრე პირველის დროს კი ამ აქტებს 3000-მდე აქტი დაემატა. უკვე XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ნორმატიული აქტების ქრონოლოგიური კრებულების შედგენა იწყება (1714-1719; 1719-1720 წწ.) დაარსდა სპეციალური პალატა (1700 წ.), რომელსაც სამართლის ნორმების კოდიფიკაცია ევალა. პალატამ მუშაობა დაამთავრა 1703 წელს. პროექტი 25 თავისაგან შედგებოდა და აბსოლუტურად განახლდა შინაარსობრივად.

1725 წელს მუშაობა დამთავრდა კიდევ ერთ კანონთა კრებულზე, რომელმაც მოიცვა მანამდე არსებული ყველაზე გავრცელებული სამართლებრივი აქტები:

1. რეგლამენტები – სულ ამ პერიოდში 7 რეგლამენტი დამტკიცდა (სახელმწიფო გასავლების შესახებ 1710 წ. შემოსავლის შესახებ 1710 წ. და სხვ.);

2. მანიფესტები, – მონარქი მიმართვა მოსახლეობა მსხვილი

პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ასევე (ომისა და ზავის საკითხები და სხვ.;

3. სახელობითი ბრძანებები – მონარქი გადაწყვეტილებას იღებდა კონკრეტული სახელმწიფო დაწესებულების მიმართ (სენატი, კოლეგიები, გუბერნიები);

4. ბრძანებულებანი – მონარქის ან მისი სახელით სენატის მიერ გამოიყენებოდა კონკრეტული საქმის ან ვითარების რეგულირებისათვის;

5. წესდებები ან ის კრებულები, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოებრივი საქმიანობის გარკვეულ სფეროს (მაგალითად, 1716 წ. სამხედრო წესდება, 1820 წ. საზღვაო წესდება და სხვ.).

სისხლის სამართლის სფეროში სამართალგანვითარება შეეხო როგორც ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტების, ასევე კონკრეტულ დანაშაულათა დახვეწას. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა განზრახვა, გაუფრთხილებლობა და შემთხვევა. ჩამოყალიბდა დანაშაულისა და ბრალის ცნება, სასჯელის მიზნები, აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობის პირობები.

დაიხვეწა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა წრე: აქ კანონმდებელ, პირველად რუსული სამართლის ისტორიაში გადადის აბსტრაქტულ, ზოგადიურიდიულ ფორმულირებებზე; გვერდს უვლის ტრადიციულად არსებულ კაზუალისტურ სისტემას. თანამონაწილეობა კვლავ არ არის დიფერენცირებული, თუმცა ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულზე დაქირავებული პირი უფრო მცირე სასჯელით ისჯება, ვიდრე აღმსრულებელი.

დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინი „преступление“ პირველად პეტრე პირველის დროს შემოვიდა. მის მიერ 1716 წელს გამოცემული სამხედრო წლების მიხედვით, დანაშაული არის კანონების და ხელმწიფის ნება-სურვილის დარღვევა; დანაშაულის რელიგიური გაგება, როგორც ღვთის ნების დარღვევა, მხედველობაში აღარ მიიღებოდა.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სფეროდან საინტერესოა თანამდებობრივი დანაშაული: სამსახურში უღირსი კაცის მიღებისათვის ქრთამის აღება ან უიმისოდ (მეგობრობა);

დამნაშავე თანამდებობის პირს ჩამოერთმეოდა ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ; მდივანი, რომელიც განზრახ სიყალბეს ჩაიდენდა, სამუდამო კატორღით ისჯებოდა.

სასჯელთა სისტემამ შეინარჩუნა ოდიოზური სიმკაცრის ნიშნები. სიკვდილით დასჯა დაახლოებით 200 შემთხვევისათვის იყო დაწესებული, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა: გამდნარი ლითონის ყელში ჩასხმა, დაბორბვლა, ე.ი. სხეულის ასოთა ბორბლებით დამტვრევა, ნელ ცეცხლზე დაწვა, ნეკნებით კავზე ჩამოკიდება და სხვა. სამხედრო წესდება იცნობდა კოლექტიურ სასჯელსაც (მაგ. „ჩამოხრჩობილი იქნეს ყოველი მეათე ჯარისკაცი"); ასეთივიე მძიმე ფორმით სრულდებოდა სხეულებრივი სასჯელები: კანის ამოწვა, დადაღვა, ნესტოების ამოგლეჯა, როზგებითა და „შპრიცრუტენებით" სხეულის დაზიანება და სხვ. არ შეცვლილა საკატორღო სამუშაოების სიმძიმე და გამოყენების სფერო.

ქონებრივი სასჯელებიდან კონფისკაცია და ჯარიმა გამოყენებული იყო როგორც დამატებითი სასჯელები.

სასჯელთა დაკისრება რთული სასამართლო ორგანიზაციის პირობებში ხდებოდა.

უმაღლეს ინსტანციას მონარქი წარმოადგენდა, რომელიც სამართალწარმოებაში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა.

შემდეგი ინსტანცია იყო სენატი (სააპელაციო ინსტანცია), ადგილობრივი სასამართდოების მართვას იუსტიციის კოლეგია ახორციელებდა.

სასამართლო ფუნქციებით იყვნენ აღჭურვილი (თავიანთი მოხელეების მიმართ) პრიკაზები, რომლებიც კოლეგებით ჩანაცვლდა. მაგალითად, კომერციული კოლეგია განიხილავდა სავაჭრო და სავექსილო დავებს; სავოტჩინო კოლეგია – მიწათსარგებლობასთან წარმოშობილ დავებს, ფინანსურ დანაშაულებს — კამერც-კოლეგია და ა.შ. ადგილობრივ სასამართლოებს გუბერნატორები ედგნენ სათავეში. ასე, რომ, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციული მმართველობისაგან გამიჯვნის მცდელობა რუსეთში ამ ეტაპზე უშედეგო აღმოჩნდა.

1713 წელს გუბერნიებში სასამართლო ფუნქცია დაეკისრათ ლანდრიხტერებს, 1719 წლიდან კი ასესორებისგან შემდგარი კოლეგიალური სასამართლოები დაფუძნდა რომელთაც სათავეში ობერ-ლანდრიხტერები ედგა.

1710 წელს ქვეყანა დაიყო სასამართლო ოკრუგებად, სადაც სასახლის სასამართლოები შეიქმნა. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და 2-დან 6-მდე წევრი. ეს სასამართლო საქმეს აღძრავდა ფისკალის დასმენის საფუძველზე, იგი ქვემდგომი სასამართლოების მიმართ სააპელაციო სასამართლოდაც ითვლებოდა.

1720 წელს შემოიღეს სასახლის სასამართლოებთან პროკურორის თანამდებობა, რომელიც სამართალწარმოების მართლზომიერებაზე ახორციელებდა კონტროლს.

სასახლის სასამართლოებს ორი ქვემდგომი სასამართლო ემორჩილებოდა. კოლეგიალური და ერთპიროვნული მათი იურისდიქცია აზნაურებზეც ვრცელდებოდა. გლეხებს მცირემნიშვნელობის საქმეზე „პომეშჩიკი" ასამართლებდა. ქალაქელებისთვის არსებობდა – მაგისტრატურები. სასულიერო პირები გასამართლდებოდნენ სინოდში. პოლიტიკურ საქმეთა განხილვა ხდებოდა პრეომრეაჟენსკის პრიკაზში ან საიდუმლო კანცელარიაში.

1722 წელს სასამართლო რეფორმით დაითხოვეს ქვედა სასამართლოები და შეიქმნა ახალი პროვინციული სასამართლოები. სამოქალაქო სასამართლოებთან ერთად შეიქმნა სამხედრო და საზღვაო სასამართლოები – „გენერალური კრიგსრეხტი", რომლებიც საქმეებს სამხედრო არტიკულარებით განიხილავდნენ.

ამ პერიოდში ახალი სასამართლო ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი იყო:

1. სასამართლოთა კოლეგიური მოწყობა;

2. სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანიზაციის გამიჯვნის მცდელობა;

3. სასამართლო ორგანოთა კონტროლი სპეციალური ორგანოების მიერ (პროკურორი, ფისკალი);

4. სამოქალაქო და სამხედრო იუსტიციის შერწყმა.

XVIII საუკუნის მანძილზე შეიმჩნეოდა სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებაც. მკვიდრდება საკუთრების აბსტრაქტული ტერმინი „собственность". „პომესტიებმა" შეიძინა მემკვიდრეობითობის თავისებურება, რამაც გამოიწვია „ჰომესტიეს" შერწყმა „ვოტჩინასთან" და სანივთო სამართლის ახალი ცნების –„უძრავი ქონების" დამკვიდრება. შემდგომში ამ ცნებას შეუერთდა მანუფაქტურები და ეზოები ქალაქის ადგილებში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების დაგირავება და გაყიდვა კვლავაც აკრძალული იყო.

გარდა ამისა, განვითარდა ვალდებულებითი სამართლის ნორმები. მაგალითად, ახალი ეტაპი განვლო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილმა ვალდებულებამ. ნებადართულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება რწმუნებულების მეშვეობით. გარკვეული უნდა ყოფილიყო ნასყიდობის ფასი და საგანი.

დაიშვებოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების დაქირავება. 1739 წლის ბრძანებულებით დუქნები და სხვა სამეურნეო ნაგებობები, რომელიც მიწის დამქირავებელმა ააგო განსაზღვრული ვადით, ვადის გასვლის შემდეგ მიწის მესაკუთრის მფლობელობაში გადადიოდა.

ამასთან, ვითარდებდა ამხანაგობის ხელშეკრულება სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების ზრდასთან ერთად. ამხანაგობის საქმეებს განაგებდა ამხანაგობის მიერ არჩეული ორგანოები 9გამგეობა, მამასახლისი).

დიდი ცვლილებები განიცადა საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობამ. საქორწინო ასაკი მამაკაცისათვის განისაზღვრა 20 წლით, ხოლო ქალისათვის – 13 (ბიზანტიური კანონმდებლობის მეთოდით).

ქორწინების აუცილებელ პირობად ჩაითვალა დაქორწინებულთა თანხმობა, რაც რუსული სჯულის კანონების რედაქციებში საერთოდ არ იყო მოხსენიებული. სამხედრო მოსამსახურის ქორწინებას უფროსის ნებართვა სჭირდებოდა. საინტერესო იყო აზნაურისათვის ქორწინების ნებართვის პირობა. პეტრე პირველ ასეთ პირობად დაწყებით განათლებას მიიჩნევდა (არითმეტიკა და გეო-

მეტრია მიღებული იყო სავალდებულო საგნად). თავისუფალ ადამიანთან ქორწინების შემთხვევაში ქალი ქმრის წოდებას იღებდა. აქ ერთი გამონაკლისიც დაიშვებოდა. აზნაური ქალი თუ არააზნაურზე გათხოვდებოდა, ის თავის წოდებრივ მდგომარეობას მაინც ინარჩუნებდა.

XVIII საუკუნის კანონმდებლობაში კანონისმიერ მემკვიდრეობასთან ერთად ვხვდებით ანდერძით მემკვიდრეობასაც. სამკვიდროს დამტოვებელს შეეძლო თავისი საგვარეულო ადგილ-მამული კანონით მემკვიდრეთა წრის შიგნით გაესხვისებინა, ხოლო კეთილშენაძენი, ანუ საკუთარი შრომა – გარჯით მონაგები ანდერძით დაეტოვებინა.

§ 96. რუსეთის სახელმწიფო და სამართალი (XIX ს.)

აბსოლუტიზმის ეპოქაში დამკვიდრებული სახელმწიფო მექანიზმი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იხვეწებოდა. შეიმჩნეოდა ბიუროკრატიული აპარატის ცენტრალიზაცია; სუსტდებოდა ცალკეულ ორგანოთა მმართველობის ფუნქციები.

ქვეყნის მთელ ხელისუფლებას იმპერატორი ედგა სათავეში, ამასთან 1801 წლამდე არსებობდა დიდებულთა წრისგან შემდგარი სათათბირო ორგანო. 181) წელს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სახით იქმნება სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ იმპერატორი ითვლებოდა და თვითონვე აწერდა კანონებს ხელს. ამ ორგანომ 1917 წლამდე იარსება და მისი წევრები, რომელთა რიცხვი 40-დან 80-მდე, ითვლებოდნენ მინისტრები ან ინიშნებოდნენ იმპერატორთა მიერ. სახელმწიფო საბჭო ხუთ დეპარტამენტს მოიცავდა: კანონთა დეპარტამენტი (კანონპროექტებს ამზადებდა), სამხედრო საქმის, სამოქალაქო და სასულიერო საქმის, სახელმწიფო ეკონომიკის და პოლონეთის სამეფოს საქმეების (1830-1831 წწ.). 1826 წელს სახელმწიფო საბჭოსთან იქმნება დიდი კანცელარია, რომელიც ძირითადად სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ-დარგობრივ სისტემას ხელმძღვანელობდა.

სახელმწიფო მმართველობის შემდგომი ცენტრალიზაცი მოითხოვდა დარგობრივი უწყებების გადასინჯვას. ამიტომ 1802 წელს მიიღეს მანიფესტი „სამინისტროების დაფუძნების შესახებ", კოლეგიები შეცვალა სამინისტროებმა და გაიზარდა მათი პერსონალური პასუხისმგებლობა (თავიდაპირველად 9 სამინისტრო იყო). მინისტრსა და მის ამხანაგს (მოადგილე) იმპერატორი ნიშნავდა. სამინისტროს აპარატი დეპარტამენტებისაგან და კანცელარიისაგან შედგებოდა. აქვე არსებობდა კოლეგიალური ორგანო – მინისტრთა საბჭო.

1828 წელს შეიქმნა ჟანდარმთა კორპუსი, რომელიც იმპერატორის სამხედრო და ოპერატიულ დასაყრდენს წარმოადგენდა. 1836 წლის დებულებამ „ჟანდარმთა კორპუსის შესახებ" კი მოაწესრიგა ჟანდარმთა ოკრუგების მთელი ქსელი. ამ ორგანოს ამოცანა იყო აჯანყებებსა და გამოსვლებზე თვალყურის დევნება და წესრიგის აღდგენა ქვეყანაში.

XIX საუკუნის ბოლოს იზრდება რუსეთის იმპერიის საზღვრები. 1800 წელს რუსეთს შემოუერთდა ფინეთი, 1885 წელს – ვარშავის საჰერცოგოს ნაწილი. შემოერთებულ ტერიტორიაზე რუსეთმა დატოვა არსებული მმართველობა, თუმცა რუსეთის იმპერატორი ამ ტერიტორიების უმაღლეს გამგებლად და მმართველად ითვლებოდა და თავისი ხელისუფლების განხორციელებისათვის ადგილებზე აგზავნიდა ნამესტნიკებს, რომელთაც თავიანთი სათათბირო ორგანო – სახელმწიფო საბჭო ჰყავდათ.

რუსული სამართლის კოდიფიკაცია XIX საუკუნეში. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მიმდინარე რეფორმებს თან ახლდა რთული საკოდიფიკაციო მუშაობა. 1804 წელს ალექსანდრე I შექმნა რიცხვით მე-10 საკოდიფიკაციო კომისია, თუმცა ამ კომისიის მუშაობას წარმატება არ მოჰყოლია.

1810 წელს გერმანიის ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორების დახმარებით შეადგინეს სისხლის სამართლის სჯულდების პროექტი, რომელიც სხვადასხვა ინსტანციაში მოგზაურობის შემდეგ 1826 წელს არქივში გადააგზავნეს. ცალკეული დარგების კოდექსების იდეა უარყოფილ იქნა. სამაგიეროდ, დაიწყო მუშაობა

„რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებულის" და „რუსეთის იმპერიის კანონთა ნაკრების" (Свод) შესადგენად. კრებულების შედგენას გრაფი ***სპერანსკი*** ხელმძღვანელობდა, რომელიც კარგად ერკვეოდა გერმანულ და ფრანგულ კანონმდებლობაში. უკავშირდებოდა ა. ფოიერბახსა და ი. ბენტამს და ითხოვდა მათგან წერილობით რჩევა-დარიგებას და რუსულ „ბარბაროსულ სამართალში" ევროპის ცივილური ნორმების გადმოტანაზე ფიქრობდა.

სპერანსკის კომისია 1826 წელს შეუდგა მუშაობას და 1830 წელს გამოიცა „რუსული იმპერიის კანონების სრული კრებული" 946 ტომად). კრებულში შევიდა 1649 წლიდან 1825 წლამდე გამოცემული ყველა საკანონმდებლო აქტი, ხოლო 1835 წელს გამოვიდა კრებულის შემცირებული ვარიანტი15 ტომად – „რუსეთის იმპერიის კანონთა ნაკრები". ეს კრებული სამოქმედო ძალის მქონე იყო და 1835 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

საკოდიფიკაციო საქმიანობა გრძელდებოდა და 1845 წელს მიიღეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი „სჯულდება სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ", თუმცა ვერც ეს კოდექსი ასცდა ძირითადი იურიდიული პრინციპების უქონლობასა და კაზუისტურობას. ამ აქტის უპირატესობად ითვლება სასჯელთა სისტემის შემოღება, დანაშაულის ცნების გაშლა. დანაშაულის ქვეშ კანონმდებელს ესმოდა კანონის ყოველნაირი დარღვევა უმაღლესი ხელისუფლების, საზოგადოების და კერძო პირების უფლებებისა და უშიშროების ხელყოფა.

სასჯელთა რთული იერარქია იყოფოდა საერთო და განსაკუთრებულ სასჯელებად. თავის მხრივ, საერთო სასჯელებში გამოიყოფოდა – მთავარი, დამატებითი და შემცვლელი. ამასთან, მთავარი სასჯელები კიდევ იყოფოდა სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელებად. დადგენილი იყო 11 სახის სასჯელი, რომელიც 35 საფეხურად ნაწილდებოდა. უმაღლეს სასჯელს სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა, უმცირესს – დატუქსვა.

სისხლის სამართლის სასჯელებად ითვლებოდა: 1. სიკვდილით დასჯა; 2. საკატორღო სამუშაოზე გასახლება უვადოდ ან 4-დან 20 წლამდე; 3. ციმბირში გადასახლება; 4. კავკასიაში გადა-

სახლება.

ყველა ამ სასჯელთან ერთად გამოიყენებოდა წოდებრივი უფლების აყრა. ის, ვისაც წოდებრივ უფლებას აყრიდნენ, ავტომატურად კარგავდა საკუთრების უფლებას ქონებაზე და ეს ქონება მემკვიდრეებზე გადადიოდა. ერთი სიტყვით, უფლებათა აყრა სამოქალაქო სიკვდილი იყო.

გამასწორებელ სასჯელებად ითვლებოდა:

1. განსაკუთრებული უფლების და უპირატესობის ჩამორთმევა, ციმბირის ნაკლებად შორეულ ადგილებში გადასახლება, დროებით დაპატიმრებით ან უამისოდ; 2. ციხეში დამწყვდევა (9-16 წლამდე); 3. ციმბირის სხვა გუბერნიებში გასახლება.

სამართლის შემდგომი განვითარება რუსეთში დამოკიდებული იყო XIX საუკუნის II ნახევრის რეფორმებზე (საგლეხო, საერობო სასამართლო, სამხედრო).

1861 წლის 10 თებერვალს იმპერატორმა საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით დაამტკიცა ცალკეული საკანონმდებლო აქტები, რომლის ძირითადი იდეა იყო: რომ გლეხი პირად თავისუფლებას ღებულობდა და პომეშჩიკთან გამოსყიდვის ხელშეკრულების დადებამდე მიწა მის სარგებლობაში გადადიოდა. მიწების დანაწილება დებულებით გათვალისწინებული ნორმატივების მიხედვით ხდებოდა: პომეშჩიკს არ შეეძლო იმაზე ნაკლები მიწა მიეცა გლეხისათვის, ვიდრე ეს ადგილობრივი დებულებით იყო გათვალისწინებული, ხოლო გლეხს მასზე მეტის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

1864 წლის 1 იანვარს დამტკიცდა დებულება „გუბერნიებისა და საბაზრო-საერობო დაწესებულებათა შესახებ". კანონი ითვალისწინებდა სამი არჩევითი კურიის არსებობას:

1. სამაზრო მიწათმფლობელთა კურია, რომლისთვისაც მაღალი ქონებრივი და წოდებრივი ცენზები იყო დაწესებული. ნაკლები ცენზის მქონენი არჩევნებში მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით ახორციელებდნენ;

2. ქალაქის კურიები, რომლის მონაწილეებს უნდა ჰქონოდათ ვაჭრის ან მრეწველის მოწმობა;

3. სასოფლო კურიები, სადაც ქონებრივი ცენზი დადგენილი არ იყო, მაგრამ შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი არჩევნები... ვოლოსტის კრებაზე გლეხები ირჩევდნენ წარმომადგენელს, რომელსაც აგზავნიდნენ საერთო კრებაზე და ეს უკანასკნელი ირჩევდა საერობო ხმოსნებს. საერობო რეფორმას არ შეუქმნია ერთიანი ცენტრალიზებული და მწყობრი სისტემა არჩევნებისა და წარმომადგენლობით ორგანოთა ორგანიზაციისა. ამიტომ 1866 და 1879 წლებში მიიღეს ახალი დებულებები „ქალაქების შესახებ", რომელმაც განამტკიცა ქალაქის საზოგადოებრივი მმაართველობის ორგანოთა სისტემა (ქალაქის ამომრჩეველთა კრება და საქალაქო დუმა).

1864 წელს განხორციელდა სასამართლო რეფორმაც, რომლის საფუძველზე შეიქმნა სასამართლოთა – სისტემა: ადგილობრივი და საერთო. ადგილობრივს ეკუთვნოდა ვოლოსტის სასამართლო, მომრგებელი მოსამართლე, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა. საერთო სასამართლოებს მიეკუთვნა – ოკრუგის სასამართლო, რომელიც რამდენიმე მაზრისთვის იქმნებოდა; სასამართლო პალატები (სამოქალაქო და სისხლის საქმეებზე). ამ სასამართლოთა იურისდიქცია ყველა სფეროზე ვრცელდებოდა, გარდა საეკლესიო, სამხედრო, კომერციული და საგლეხო სასამართლოებისა.

რეფორმების პერიოდში შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. შეიცვალა პროკურატურის ფუნქციები, კერძოდ, მას დაეკისრა ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში, სასამართლოებზე გამოძიებასა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობა. სენატთან შეიქმნა გენერალ-პროკურორის თანამდებობა ობეპ-პროკურორების, პროკურორებისა და პროკურორების ამხანაგების სისტემა. ყველა პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. სასამართლო პროცესების შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვამ გამოიწვია ადვოკატურის ინსტიტუტის შემოღება.

სამხედრო რეფორმამ (1874 წ.), წოდებებისა და მდგომარეობის მიუხედავად, სავალდებულო გახდა სამხედრო სამსახური მამრობითი სქესის 21 წელს მიღწეული პირისათვის.

სახელმწიფო სისტემის განვითარება „არააბსოლუტიზმის ეტაპზე“. 60-80-იანი წლების რეფორმებში აისახა სახელმწიფო აპარატის განვითარების ბურჟუაზიული ტენდენციები, მაგრამ, ამასთან ერთად, შენარჩუნებულ იქნა აზნაურთა როლი პოლიტიკურ და სახელმწიფო სისტემაში.

იმპერატორს ჩააჩნდა შეუზღუდავი მონარქის სტატუსი. უმაღლეს სათათბირო ორგანოდ რჩებოდა სახელმწიფო საბჭო, რომელთანაც წარმოიქმნა კომიტეტები (დასავლეთის, კავკასიის, სოფლის მოსახლეობის მოწყობის საკითხებზე და სხვ.) და კომისიები (სახელმწიფო წესრიგის დაცვის). ერთ-ერთი ასეთი კომიტეტი (მინისტრთა კომიტეტი) გადაიქცა სახელმწიფო მმართველობის ორგანოდ.

რეფორმების მიწურულს დაფუძნდა მინისტრთა საბჭო, სადაც შევიდნენ სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობდა იმპერატორი.

გენერალ-გუბერნატორმა გ.ტ. ლორის-მელიქოვმა 70-იანი წლების ბოლოს წამოაყენა იდეა „დასაყრდენი ელემენტების მოზიდვის შესახებ“. ლორის-მელიქოვი სთავაზობდა იმპერატორს ზოგიერთი სახელმწიფო პრობლემის განხილვის დროს მოეწვიათ საერობო ცენზების საზოგადოებიდან წარმომადგენლები. იმპერატორმა მოიწონა იდეა, მაგრამ ვერ მოასწრო ხელი მოეწერა პირველი რუსული კონსტიტუციისათვის. იგი 1881 წლის 1 მარტს მოკლეს.

1882 წელს საპოლიციო ზედამხედველობის შესახებ მიიღეს დებულება, რითაც გაძლიერდა საპოლიციო სამსახურის როლი და დანიშნულება რუსეთის სახელმწიფოს მართვაში.

ქვეყნის განვითარების ლიბერალურ პერიოდს მოჰყვა კონტრრეფორმების ეპოქა (1880-1890 წწ.)

1871 წლიდან სახელმწიფო დანაშაულზე მოკვლევა ოფიციალურად გადაეცა ჟანდარმთა კორპუსს, მისი შეგროვილი მასალა გადაეცემოდა იუსტიციის მინისტრს და ეს უკანასკნელი გზავნიდა საქმეს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.

იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმის შემდეგ გაძლი-

ერდა ხელისუფლების შეტევა სასამართლო ორგანოებზე. 1881 წელს მიიღეს სპეციალური დებულება, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-გუბერნატორს უფლება მიეცათ რიგი საქმე საომარი მდგომარეობის წესებით განსახილველად სამხედრო სასამართლოებისათვის გადაეცათ. 1881 წელს საჯაროობის საწინააღმდეგოდ დაიწყო თანამდებობის პირთა კონფიდენციალური დაკითხვები. 1866 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წაერთვა ბეჭდვითი საქმეების განხილვა.1887 წლიდან სასამართლოს უფლება ჰქონდა სხდომა დახურულად გამოეცხადებინა საკითხის „დელიკატურობის“ ან „საიდუმლოების“ მოტივით.

1880 წლის აქტით კი სერიოზული დარტყმა მიადგა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტს, მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 1913 წლისათვის საერთოდ გაქრა. მომრიგებელ მოსამართლეთა ნაცვლად სასამართლო ფუნქცია საერობო მმართველს დაეკისრა. ამით დაინგრა სასამართლო და ადმინისტრაციული მმართველობის გამიჯვნის ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული პრინციპი.

კონტრრეფორმების ტალღამ 80-90-იან წლებში ადგილობრივ თვითმმართველობასაც შეეხო. ადგილებზე კურიერის სისტემა შეინარჩუნეს, მაგრამ აღარ არსებობდა არჩევის პრინციპი. კურიის წევრობა აზნაურთა შთამომავლებზე გადადიოდა და რაც შეეხება საგლეხო კურიებს, აქ გუბერნატორი ხმოსნებს თავისი შეხედულებით ნიშნავდა.

§ 97. ცვლილებები რუსეთის პოლიტიკურ სისტემასა და სამართალში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ

მოდერნიზაციის პრობლემა, ანუ ეკონომიკურ თუ სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული განახლება რუსეთის წინაშე XX საუკუნის დასაწყისში კვლავ დადგა.

კონტრრეფორმებით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა ქვეყანა აჯანყებამდე და რევოლუციებამდე მიიყვანა. 1905 წლის რევოლუციამ შეუზღუდავი თვითმპყრობელური სახელმწიფო კონსტი-

ტუციური მონარქიით შეცვალა. გაიზარდა სახელმწიფო დუმის როლი, სადაც ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით უკვე ყველა მამაკაცს შეეძლო მიეღო მონაწილეობა 25 წლის ასაკიდან, ჯარისკაცების, დაქირავებული მუშების გარდა. არჩევნები სამსაფეხურიანი გახდა. თითოეული გუბერნიიდან აირჩეოდა წარმომადგენელი საამომრჩევლო კრებისათვის. ეს უკანასკნელი კი არჩევდა დეპუტატს დუმაში. გლეხებისათვის ოთხსაფეხურიანი არჩევნები დაწესდა; ასეთივე საფეხურებრივი იყო მუშათა არჩევნებიც. დუმა აირჩეოდა 5 წლით. მისი ვადაზე ადრე დათხოვნა შეეძლო იმპერატორს. დუმასთან ერთად არსებობდა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ასევე საკანონმდებლო ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, რადგან ზედა პალატის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი; სახელმწიფო საბჭოში შედიოდნენ სასულიერო პირები, მეცნიერებათა აკადემიის წევრები, ერობებიდან – აზნაურები.

1918 წლის 25 თებერვალს იმპერატორმა გამოსცა ბრძანებულება სახელმწიფო დუმის დათხოვნის შესახებ. დუმის დეპუტატებმა 28 თებერვალს შექმნეს სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა დროებითი მთავრობა.

სამართლის განვითარება XX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში სამართლის წყაროთა სისტემა შეივსო ახალი ელემენტებით: მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და სახელმწიფო საბჭოს განკარგულებები. მართალია, მათ კანონქვემდებარე აქტების ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ აღმასრულებელი ორგანიოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო იყო. ამასთან ერთად ჩნდება „დროებითი წესები“, რომლებიც კონკრეტული სიტუაციის რეგულირებისათვის მიიღებოდა და კანონის ძალა ჰქონდა; გამოიცემოდა ბრძანებულებები და დადგენილებანი ახლად წარმოქმნილი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების რეგლამენტაციისათვის. ყველაზე ფუნდამენური აქტები ღებულობდა „კანონის“ სახეს. აქტების კოდიფიკაციას ახდენდა სახელმწიფო დუმა, მინისტრთა საბჭო და ცალკეული სამინისტროები. ზედამხედველობას კოდიფიკაციაზე სენატი ახორციელებდა.

სივრცეში მოქმედების მიხედვით კანონები იყოფოდა ზოგადი (მთელი იმპერიის ტერიტორიაზე), ადგილობრივი (ტერიტორიების მიხედვით), სპეციალური (პირთა გარკვეული წრისათვის).

კონტრრეფორმების შემდეგ, 1885 წელს, სასამართლოთა სისტემაში კვლავ ლიბერალიზაციის ეტაპი დაიწყო. აიკრძალა საქვეყნოდ სიკვდილით დასჯა. 1886 წელს გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა უფლებები. მათ კვლავ მიიღეს პროცესზე საკითხის დაყენების უფლება (ადრე ამას მხოლოდ მოსამართლე აკეთებდა). 1883 წლიდან სასამართლო პალატებში შემოდის ადვოკატის სავალდებულო დანიშვნის ინსტიტუტი. 1909 წლიდან რუსულ კანონმდებლობაში გამოჩნდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვადამდე გათავისუფლების ცნება. 1913 წელს სასამართლოს უფლებებში აღდგენის, ანუ რეაბილიტაციის საშუალება მიეცა.

ახალი მოვლენა იყო ადმინისტრაციულ-სამეურნეო ურთიერთობათა რეგულირებისათვის ადმინისტრაციული იუსტიციის შემოღება.

§ 98. საბჭოთა სამართლებრივი სისტემა

1918 წლის 28 თებერვალს იმპერატორის ხელისუფლებამ რუსეთში არსებობა შეწყვიტა. სახელმწიფოში წესრიგის შენარჩუნებისათვის სახელმწიფო დუმამ ჩამოაყალიბა დროებითი კომიტეტი, ხოლო 1 მარტს – დროებითი მთავრობა, რომელმაც სრული პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა, აღიარა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ჯარისკაცები გაუთანასწორა მოქალაქეებს; შექმნა მილიცია (პოლიციის ნაცვლად) და დაიწყო მზადება დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. 2 მარტს დუმის დეპუტატები (ა. გუჩკოვი და ვ. შულგინი) იმპერატორს ეწვიენ ფსკოვში და სთხოვეს ტახტიდან გადამდგარიყო. ნიკოლოზ II-მ ხელისუფლება ძმას – მიხეილს გადასცა, მაგრამ მისგან უარი მიიღო და 3 მარტის მანიფესტით სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საკითხი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე შეაჩერა. დათხოვნილ იქნა ჟანდარმერია, პოლიცია, ცენზურა. იუსტიციის სამინისტრო-

სთან შეიქმნა საგანგებო საგამოძიებო კომისია ყოფილი მინისტრების საქმეების გამოსაძიებლად. შეიქმნა ახალი სათათბიროები: ეკონომიკური, იურიდიული, ადგილობრივი თვითმმართველობის, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შემუშავება.

ამ ვითარებაში სოციალისტური ძალები პოლიტიკური შეტევისა და ძალაუფლების ხელში აღებისათვის გააქტიურდნენ და ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების გზით კიდეც აიღეს ხელისუფლება. დაიწყო მმართველობის ახალი ფორმის საბჭოების რესპუბლიკის დამკვიდრება. ეს იყო პირველი და ერთადერთი ფორმა მსოფლიო სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში. მართალია, სახელმწიფო ფორმით რესპუბლიკა იყო, მაგრამ შინაარსით დიქტატურას ვერ ასცდა. დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა იქ, სადაც მუშები საზოგადოების მცირე ნაწილს შეადგენდნენ.

ბოლშევიკური პარტიის დიქტატის წყალობით სოციალისტურმა რესპუბლიკამ რუსეთში „ერთა თვითგამორკვევის" ლოზუნგით შექმნა – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ეს იყო რუსეთის ახალი იმპერია, რომელმაც სახელმწიფო წყობილებაში – საბჭოთა რესპუბლიკის, ხოლო სამართალში – სამართლის დამოუკიდებელი სისტემის – საბჭოთა სამართლებრივი სისტემის 70-წლიანი არსებობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მსოფლიოს სახელმწიფოთა ისტორიაში. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად არის შეფასებული როგორს სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოებაში. მკვლევარები კვლავ არაერთგზის მიუბრუნდებიან ამ ფენომენის შესწავლას.

საბჭოთა სამართლებრივი სისტემა. საბჭოთა სამართლებრივი სისტემა მსოფლიო სამართლებრივ სისტემათა ჯგუფში დამოუკიდებლად არსებობს როგორც პარტიის იდეოლოგიის სამართალი. მისი განვითარება რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციით დაიწყო, როდესაც სამხედრო კომუნიზმი დამყარდა. ამ ეტაპზე აიკრძალა კერძო ვაჭრობა, კერძო საკუთრება; გაუქმდა საუკუნეების მანძილზე ნაშენები სასამართლო ორგანიზაცია და პროცედურული პრინციპები. ახლად შექმნილ სასამართლოებს კი გადაწყვეტი-

ლებები ფორმალური პროცედურის გარეშე გამოჰქონდათ რევოლუციური სინდისისა და მართლშეგნების შესაბამისად, მუშურ-გლეხური ხელისუფლების სასარგებლოდ. სამხედრო კომუნიზმის ეტაპზე დამთავრდა ამიერკავკასიის მიერთება რუსეთთან.

30-ინ წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა წინა პერიოდთან შედარებით უკან დახევით ხასიათდება. ნეპმა ბევრს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში დამყარებული რეჟიმი ლიბერალიზაციას განიცდიდა ისეთი ტრადიციული ღირებულებების აღიარებით, როგორიცაა კერძო საკუთრება, კერძო ინიციატივა და სამართალზე დაფუძნებული საზოგადოება.

ამ ეტაპის მნიშვნელოვანი მომენტებია კოდექსების მიღება, სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო, სისხლისა და სისხლის საპროცესო, საოჯახო კოდექსი, ახალი მიწის კოდექსი. იმავდროულად რეორგანიზაცია განიცადა მართლმსაჯულების მართვის სისტემამ. გამოცხადდა სოციალისტური კანონიერების პრინციპი და შეიქმნა განსაკუთრებული ინსტიტუტი – პროკურატურა – მმართველობის ყველა ორგანოსა და მოქალაქეთა მიერ კანონიერების პრინციპის დაცვაზე ზედამხედველობისათვის. ნეპმა მნიშვნელოვანი ეფექტი მოუტანა რუსულ ეკონომიკას, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ მაშინვე უარი თქვა მასზე. ნეპს ისინი ყოველთვის უყურებდნენ, როგორც სტრატეგიულ უკანდასახევს, პაუზას სოციალიზმის აშენების წინ.

შემდეგ ეტაპზე განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია (1928-1932 წწ.). დამკვიდრდა „პირადი საკუმირების" ცნება, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ პირად საკუმირებამ დაშვებული ზომით საკუთარი საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს და არ უნდა წარმოადგენდეს არაშრომითი შემოსვლის წყაროს. ამ ეტაპზე ძალაში დარჩა ნეპის პერიოდში მიღებული კოდექსები, თუმცა ივსება ახალი დადგენილებებით, რომელიც ოდნავ ცვლის და საბჭოთა ცხოვრების ახალი ასპექტებით ავსებს მათ. ბოლო აკორდი სოციალიზმის აშენებისა 1936 წლის კონსტიტუცია იყო. მართალია, მას შემდეგ მძიმე ომისა და ეკონომიკაში სერიოზული ზარალის მიუხედავად, სტაგნაცია არ მომხდარა, მაგრამ 1978

წლის კონსტიტუციამ აღიარა პროლეტარიატის დიქტატურის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნა. არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა გარდაქმნების გზით საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი, მაგრამ ერთი ცხადია, იურიდიულ და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის ზღვარი გეომეტრიული სისწრაფით იზრდებოდა. გარდა ამისა, სამართალში კონსტიტუსიით აღიარებული ძირითადი დებულებების გარანტიათა არარსებობამ ამ სახელმწიფოს ნგრევა გამოიწვია.

საბჭოთა სამართლის ძირითადი პრინციპები. საბჭოთა სამართლის წყაროს, უპირველეს ყოვლისა კანონი წარმოადგენდა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგან სამართალი განიხილება, როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ინსტრუმენტი და იგი საზოგადოების სიღრმისეულ გარდაქმნას უნდა ემსახურებოდეს. შორის უზენაესი ძალა აქვს კონსტიტუციას (სულ საბჭოთა პერიოდში 4 კონსტიტუციაა მიღებული – 1919-1924-1936-1979 წწ). კონსტიტუციასთან ერთად მოქმედებდა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონები. დარგობრივი კანონები კოდექსების ფორმით გამოდიოდა, მაგრამ აქ ისიც აღსანიშნავია, რომ 1936 წლის კონსტიტუციაში ცვლილებებია საერთო-საკავშირო კოდექსები მხოლოდ სავაჭრო ზღვაოსნობის და საჰაერო სფეროში მიიღებოდა, ყველა სხვა დარგებში საერთო-საკავშირო კომპეტენცია შეიზღუდა (გამოცემოდა საფუძვლები), კოდექსებს მოკავშირე რესპუბლიკები გამოსცემდნენ. თუმცა საფუძვლების ნორმები მთლიანად გადადიოდა კოდექსებში. რესპუბლიკების ავტონომია, ამ თვალსაზრისით, მეტად უღიმღამოდ გამოიყურებოდა.

სამართლის წყარო იყო პრეზიდიუმის ბრძანებულება (როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოსი, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა). მათი გამოცემა ხდებოდა როგორც საერთო-საკავშირო, ასე რესპუბლიკური კანონმდებლობის ქრონოლოგიური და სისტემატური კრებულების მიხედვით.

კანონქვემდებარე აქტებიდან ცნობილი იყო მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროების მიერ მიღებული აქტები (დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანებულება). რაც შეეხება სასამართლო

პრაქტიკას, იგი საბჭოთა სამართლის წყაროდ არ იყო მიჩნეული, თუმცა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებანი ყოველთვის მხედველობაში მისაღები იყო მოსამართლეთათვის.

საბჭოთა სამართალში ჩვეულებას, როგორც სამართლის წყაროს, მეტად შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, კონსტიტუციის 130-ე მუხლი, სადაც სოციალისტურ საერთო ცხოვრების წესებზეა ლაპარაკი, სწორედ ახალი ჩვეულებების ფორმირება იგულისხმობდა.

საბჭოთა სამართალი სამართლის სტრუქტურის ორიგინალობითაც გამოირჩეოდა. მან გადმოიღო ძველი რუსული იურიდიული ნორმების სტრუქტურების ისეთი კონცეფცია, რომელიც ახალი ნორმების რომანულ-გერმანულ სისტემაში არსებულ კატეგორიებს მიესადაგებოდა. რაც შეეხება კატეგორიებსა და ინსტიტუტებს, ისინი არსებითად განსხვავებულია. მაგალითად, საკუთრება ევროპულ სამართალში ისეა გაგებული, რომ მასთან დაკავშირებული საკითხები ერთობ გაბნეულია სანივთო სამართლის, სახელშეკრულებო სამართლის სხვა ნორმებში. საბჭოთა სამართლისთვის საკუთრების ინსტიტუტი ნორმათა ურთიერთობაა, რომელიც არა მარტო მატერიალურ სიკეთეთა მითვისების წესს და ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლას განსაზღვრავს, არამედ ქონების მართვას და მასთან დაკავშირებულ იურიდიულ მოქმედებებსაც (პირადი საკუთრება კოოპერაციული საკუთრება, სოციალისტური საკუთრება.)

კარი VII. ამერიკის სახელმწიფოები და სამართალი

თავი I. ამერიკის შეერთებული შტატები

§ 99. აშშ-ის სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ეტაპები

ამერიკის ტერიტორია ევროპელთა კოლონიზაციამდე დასახლებული იყო ინდოელებითა და ესკიმოსებით, რომლებიც პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ (1492 წ.) ესპანეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა და ევროპის სხვა სახელმწიფოებმა დაიწყეს ამ კონტინენტის კოლონიზაცია. პირველი ინგლისური დასახლებანი აქ მხოლოდ XVII საუკუნეში გაჩნდა: 16)7 წელს – ვირჯინიაში, 1620 წელს – პლიმუტში, 1630) წელს – მასაჩუსეტსი, 1632 წელს 2 მერილენდში. რაც შეეხება ნიუ-იორკს – 2 იგი ჰოლანდიელთა მიერ დაარსებული კოლონია იყო და მხოლოდ 1664 წელს გადავიდა ინგლისელთა ხელში. XVIII საუკუნეში რუსებმა აღმოაჩინეს ალასკა და მისი ათვისება დაიწყეს. ამავე საუკუნის ბოლოს კალიფორნიაში ჩნდება ესპანური დასახლებები. მაგრამ ინგლისელთა მასიურ გადასვლას ამერიკაში კოლონიზატორული ომების შედეგად თან სდევდა ინდიელთა მიწების ექსპროპრიაცია და მათი ულმობელი ხოცვა-ჟლეტა. მონობა და მონათვაჭრობა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი თავისებურება იყო. მონების ძირითად მასას შეადგენდნენ ზანგები, რომლებიც პლანტატორებს იძულებით მოჰყავდათ აფრიკიდან. კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვა ჩრდილოამერიკელი ერის ფორმირება და წინააღმდეგობა კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის.

ცნობილია, რომ ინგლისელებმა ამერიკაში გადასახლებისას თან წაიღეს თავიანთ ქვეყანაში უკვე დაკარგული ძველი, ანგლოსაქსურ თვისუფლებათა ნაწილი. „ბუნებითი სამართლის“ იდეალებით ისინი გაემიჯნენ თითქმის მთელს მსოფლიოს და დაიწყეს ახალი კანონებისა, რომლითაც აპირებდნენ ცხოვრებას. ჯერ კიდევ გემზე „მაისის ყვავილი“, რომლითაც პირველი ემიგრანტები 1620 წელს წავიდნენ ამერიკაში, მოხდა დიდი შეთანხმება კოლონისტებს შორის გაერთიანების შესახებ, რომ უფლება ჰქონოდათ ერთობლივად შეემუშავებინათ კანონები. აუცილებელ პირობად ითვლებოდა რელიგიის თავისუფლების, საერო ხელისუფლების საკულტო საქმიანობაში ჩაურევლობისა და სინდისის თავისუფლების აღიარება. ასევე აღიარებულ იქნა მოქალაქეთა მიერ თანამდებობის პირთა არჩევის უფლება, იარაღის ტარებისა და სამხედრო განაყოფების შექმნის უფლება და სხვ. რა თქმა უნდა, ამ უფლებებთან ერთად ემიგრანტებმა ამერიკაში მიიტანეს „ნაფიც მსაჯულთა“ ინსტიტუტი და ინგლისური „საერთო სამართალი“. ემიგრანტთა დასახლებები დროთა განმავლობაში ერთიანდებოდა პოლიტიკურ კავშირებად, რომელთაც ინგლისის ხელისუფლება ქარტიების მეშვეობით იურიდიულადაც განამტკიცებდა. ამ პოლიტიკურ ერთეულებში მნიშვნელოვნად განვითარდა თვითმმართველობის სისტემა. ქალაქებისა და დასახლებების წარმომადგენლები შეადგენდნენ პარლამენტის მსგავს ორგანოს კოლონიისათვის, რომელიც ირჩევდა გუბერნატორს. განსხვავებული ვითარება იყო ვირჯინიაში, სადაც გუბერნატორს ბრიტანების მეფე ნიშნავდა.

მთელი კოლონიების ერთიან ფედერაციად გაერთიანების იდეა XVIII საუკუნის შუა წლებში გაჩნდა, როცა 1748 წელს ფრანკლინის ფედერაციის ცნობილი პროექტი იქნა შედგენილი. ეს პროექტი ინგლისის ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, უარყო, რადგან დაყოფილი ამერიკის მართვა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმისა. „ერთ ლურსმანსაც არ დავამზადებთ ამერიკაში“ – აცხადებდა იმდროინდელი ინგლისის მთავრობის მეთაური ლორდ ჩატამი. კოლონიები ვალდებული იყვნენ თავიანთი საქონელი მხოლოდ ინგლისში გაესაღებინათ და მხოლოდ ინგლი-

სისაგან მიეღოთ მათთვის საჭირო საქონელი.

ამ ვითარებით გამოწვეული უთანხმოება ღია ოპოზიციაში გადაიზარდა. 1863 წლისათვის ბრიტანეთმა და ამერიკულმა კოლონიებმა საიმპერიო კონტროლსა და კოლონიურ თვითმმართველობას შორის კომპრომისს მიაღწიეს. ამერიკის საგარეო საქმეებსა და საგარეო ვაჭრობას აკონტროლებდა მეფე და ბრიტანეთის პარლამენტი. ყველა დანარჩენი უფლებამოსილებანი თვითმმართველობის მიერ ხორციელდებოდა. მაგრამ კოლონიების მმართველობის ხარჯები საგრძნობი იყო. ინგლისელი თანამემამულეები ამტკიცებდნენ, რომ, რადგან ამერიკელები მეტი უფლებებით სარგებლობდნენ, მეტი ხარჯიც უნდა გაეღოთ. ბრიტანელებს კოლონიების დაბეგვრა ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საუკეთესო გზად მიაჩნდათ. კოლონიზატორები ამას არ ეთანხმებოდნენ. მათ არ სურდათ, რომ დაბეგრილი ყოფილიყვნენ ისეთი შორეული ხელისუფლებისაგან, სადაც არავითარი წარმომადგენლობა არ გააჩნდათ. ასეთმა დაპირისპირებამ ბევრი კოლონისტი აქცია რევოლუციონერად, რომლებიც ბრიტანული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდნენ.

1773 წლის 16 დეკემბერს იმპორტულ ჩაიზე ბრიტანული გადასახადების დაწესებას კოლონისტების მწვავე რეაქცია მოჰყვა. მათგან შეგულიანებულმა ხალხმა დაიკავა სამი გემი და ძვირად ღირებული საქონლით სავსე 342 ყუთი ბოსტონის ყურეში გადაუძახა. ურჩ კოლონისტებზე ბრიტანული კონტროლის განსამტკიცებლად ლონდონის პარლამენტმა 1774 წელს მიიღო „იძულებითი" კანონები. ერთ-ერთი კანონის ძალით, ქ. ბოსტონს უწესდებოდა ბლოკადა მანამ, სანამ იგი განადგურებულ ჩაის საფასურს არ გადაიხდიდა. სხვა კანონი მეფის მიერ დანიშნულ გუბერნატორს უფლებას აძლევდა ბრიტანელი ჯარისკაცები კერძო სახლებში ჩაეყენებინა. ამ შემთხვევაში გადასახადების საკითხი უკანა პლანზე გადავიდა. უფრო მნიშვნელოვანი გახდა კონფლიქტი ბრიტანეთის მიერ წესრიგის მოთხოვნასა და ამერიკელთა მიერ თავისუფლების მოთხოვნას შორის. ამ კონფლიქტის დასაძლევად ვირჯინიის და მასაჩუსეტსის ასაბლეებმა მოიწვიეს „კონტინენტური კონგრესი",

რომელიც ყველა 13 ამერიკული კოლონიის ხალხთა სახელით ალაპარაკებდა.

პირველი კონსტიტუციური კონგრესი ფილადელფიაში შეიკრიბა 1774 წელს და აირჩიეს ლიდერი – პრეზიდენტი. ამავე წლის ოქტომბერში დელეგატებმა მიიღეს „განცხადება უფლებებისა და პრინციპების შესახებ", რომლის დიდი ნაწილი „დამოუკიდებლობის დეკლარაციასა" და „კონსტიტუციაში" შევიდა. ეს განცხადება ისეთ მოთხოვნებს აყენებდა, როგორიცაა „სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება", „მშვიდობიანი თავშეყრის, საჩივრების განხილვისა და მეფესთან შუამდგომლობის უფლება".

1775 წლის დამდეგს დაიწყო მოძრაობა, რომელსაც თვით კოლონისტები რევოლუციას უწოდებდნენ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1783 წლამდე გაგრძელდა. 1776 წლის 8 ივნისს ვირჯინიის დელეგაციამ მოუწოდა კონგრესს საბოლოოდ გადაეწყვიტა შეერთებული კოლონიების თავისუფლება ბრიტანეთის მეფის მიმართ ვალდებულებისაგან. 5 კაცისგან შემდგარ კომისიას დაევალა დოკუმენტის (პროკლამაციის) მომზადება, რომელშიც დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზები იქნებოდა ასახული.

1776 წლის 4 ივლისს მეორე კონტინენტალურ კონგრესზე, ფილადელფიაში მიიღეს ვირჯინიელი ფერმერისა და ადვოკატის თომას ჯეფერსონის მიერ მომზადებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია", რომელმაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა გამოაცხადა.

პრინციპები, რომელსაც დეკლარაცია ეფუძნებოდა, ჯონ ლოკის ფილოსოფიიდან იღებს დასაბამს. ლოკი ამტკიცებდა, რომ ადამიანებს აქვთ ღვთისგან ბოძებული, ანუ ბუნებრივი უფლებები, რომლებიც ხელშეუვალია და არავითარ ხელისუფლებას არ ძალუძს მათი წართმევა. ყველა კანონიერი პოლიტიკური ხელისუფლება არსებობს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ბუნებრივი უფლებები და ეს ხელისუფლება ეფუძნება იმ ადამიანთა თანხმობას, რომელთაც მართავს. თანხმობის იდეა მომდინარეობს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიიდან. ჯონ ლოკის მსგავსი არგუმენტები გამოიყენა ჯეფერსონმა და ხელისუფლების მიზნებად

„დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" განსაზღვრა – „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნირებისაკენ ლტოლვა", ხოლო ამ მიზნების განხორციელებისათვის, როგორც დეკლარაციაშია მითითებული, „ადამიანებისგან იქმნება მთავრობა, რომელთაც თავიანთი კანონიერი ძალაუფლება ენიჭებათ მათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ: კერძოდ, თუ გამგებლობის რომელიმე ფორმა ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხის უფლებაა შეცვალოს ან გააუქმოს იგი და ახალი მთავრობა ჩამოაყალიბოს, რომელიც დაეფუძნება ამგვარ (ზემოთ ჩამოთვლილი) პრინციპებს და ისეთი ძალაუფლებით უნდა აღჭურვოს, რომელიც მისი (ხალხის) აზრით, ყველაზე უკეთ ემსახურება ხალხის უსაფრთხოებასა და ბედნიერებას".

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარი პირობაა, რომ ხალხს უფლება აქვს აჯანყდეს, თუ გადაწყვეტს, რომ მთავრობა მას კანონიერ უფლებებს ართმევს. დეკლარაციას კენჭი უყარა და თანხმობა მისცა 11 შტატმა. როდ-აილენდის დელეგაცია კონგრესს არ ესწრებოდა, ხოლო ნიუ-იორკის დელეგაციამ, რომელსაც საკუთარი შტატის ინსტრუქცია არ გააჩნდა, თანხმობა მხოლოდ 15 ივლისს განაცხადა.

ომი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბევრად უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო და დამთავრდა 1781 წლის 10 ოქტომბერს, როდესაც ლორდ კორნუოლისის 6-ათასიანი არმია დანებდა მოწინააღმდეგეს იორკთაუნში, ვირჯინიის შტატში.

ინგლისისაგან გამოყოფის შემდეგ კოლონიები რეალური ცენტრალური ხელისუფლების გარეშე დარჩნენ. ამიტომ რევოლუციონერებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს. ამ შემთხვევაში ეს ტერმინი აღნიშნავდა ხალხის თანხმობას, რათა მართვა განხორციელებულიყო ხალხის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენლების მიერ.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ ერთი კვირის შემდეგ, მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო კომისიის მოხსენება კონფედერაციის მუხლებისა და მუდმივი კავშირის შესახებ.

კონფედერაცია დამოუკიდებელი სახელმწიფოების მჭიდრო კავშირს არ წარმოადგენს, მათი მონაწილენი თანხმდებიან ითანამშრომლონ გარკვეულ საკითხებში. კონფედერაციის წევრი სა-

ხელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტს, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება მხოლოდ მის საზღვრებში ვრცელდება, ცენტრალური მთავრობა ამ შემთხვევაში სუსტია. მას შეუძლია მხოლოდ კოორდინაცია გაუწიოს, მაგრამ ვერ გააკონტროლებს სუვერენული სახელმწიფოს საქმიანობას.

„კონფედერაციის მუხლები" მიიღეს 1777 წლის 15 ნოემბერს. ყოველ შტატს, სიდიდის მიუხედავად, კონგრესში თითო ხმა ჰქონდა. მაგრამ რეალური ხელისუფლების შექმნის პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. „კონფედერაციის მუხლებმა" მარცხი განიცადა ოთხი მიზეზის გამო: 1. ისინი არ აძლევდნენ უფლებას ეროვნულ ხელისუფლებას აეკრიფა გადასახადი. ამის შედეგად კონგრესს შტატებისაგან უხდებოდა სახსრების მოთხოვნა, რათა ომი გაეგრძელებინა დიდ ბრიტანეთთან და განეხორციელებინა ახალი სახელმწიფოსათვის საჭირო საგარეო ფუნქციები; 2. კონგრესის თავმჯდომარედ, პრეზიდენტის გარდა, არ იყო გათვალისწინებული რაიმე აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის პოსტი. ეს შეგნებულად გაკეთდა, რადგან კოლონისტებს მონარქის ხელისუფლების აღდგენის ეშინოდათ; 3. ცენტრალურ მთავრობას შტატთაშორისი და საგარეო ვაჭრობის უფლება არ ჰქონდა; 4. „კონფედერაციის მუხლები" არ შეიძლება შეცვლილიყო კონგრესის ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა და ყველა შტატის საკანონმდებლო ორგანოსს თანხმობის გარეშე. ასე რომ, თითოეულ შტატს ჰქონდა ვეტოს უფლება კონფედერაციაში ნებისმიერ ცვლილებაზე.

როგორც კი რევოლუცია დასრულდა და დამოუკიდებლობა რეალობად იქცა, აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ მთავრობას ფუნქციონირებისათვის არ გააჩნდა არც ეკონომიკური და არც სამხედრო ძალა. ომისდროინდელი სიძნელეები მოიხსნა და ამერიკელებმა სასწრაფოდ დაიწყეს უცხოური საქონლის შეძენა. ვალების გაზრდას მოჰყვა მასიური გაკოტრება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა მასაჩუსეტსში, სადაც ფერმერებმა რევოლუციური ომის ვეტერანის დენიელ შეიზის მეთაურობით, რამდენიმე ამბოხება მოაწყვეს, რათა ხელი შეეშალათ დაგირავე-

ბული ფერმების გაყიდვისათვის. ვინაიდან კონგრესს შტატების სახსრების შესაკრებად ძალაუფლება არ გააჩნდა, მასაჩუსეტსის გუბერნატორმა პოლიციის მეშვეობით აღადგინა წესრიგი. შეიზის ამბოხებამ აჩვენა კონფედერაციის უძლურობა. წესრიგი, რომლის შენარჩუნება ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო, ვერ ხორციელდებოდა.

1786 წელს ვირჯინიმ კონვენტზე მოიწვია სხვა შტატები, რათა „კონფედერაციის მუხლები" გადაესინჯათ. მართალია, დელეგატები ვირჯინიაში მხოლოდ 5 შტატმა გაგზავნა, მაგრამ ის მაინც მოახერხეს, რომ მომდევნო წელს ახალი შეხვედრა დაენიშნათ ქ. ფილადელფიაში. მოგვიანებით, კონგრესი დაეთანხმა კონვენტის მოწვევას, მაგრამ მისი ფუნქცია შემოიფარგლა მხოლოდ „კონფედერაციის მუხლების გადასინჯვის მიზეზების შესწავლით".

კონსტიტუციური კონვენტი ოფიციალურად გაიხსნა 1787 წლის 25 მაისს. ვირჯინიელმა დეპუტატმა – ედმუნდ რენდოლფმა წარმოადგინა ცვლილებების გრძელი ნუსხა, რომელიც შემოთავაზებული იყო მისი ვირჯინიელი კოლეგის ჯეიმზ მედისონის მიერ. ამ შესწორებებს უნდა შეეცვალათ შტატების სუსტი კონფედერაცია ძლიერი ცენტრალური მთავრობით. დელეგატები ერთსულოვნად დათანხმდნენ განეხილათ რენდოლფის წინადადება, რომელსაც „ვირჯინიის გეგმა" უწოდეს და დაიწყეს მუშაობა ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად.

ძლიერი საკანონმდებლო ხელისუფლების შემოთავაზებით, რომელსაც უპირატესობა გააჩნდა შტატების ლეგისლატურასთან შედარებით, „ვირჯინიის გეგმა" მხარს უჭერდა მთავრობის ახალი ფორმის შექმნას. ეს უნდა ყოფილიყო შერეული სტრუქტურა, სადაც ეროვნულ ხელისუფლებას შტატებზე ზეგავლენის საშუალება ექნებოდა. „ვირჯინიის გეგმას" სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდა ჯ. მედისონის სახით საკანონმდებლო ორგანოებში წარმომადგენლობის კანონმდებლობის არჩევის მეთოდისა და აღმასრულებელი განშტოების სტრუქტურის საკითხებში.

როდესაც გაირკვა, რომ „ვირჯინიის გეგმის" ძირითადი ნაწილი მიღებული იქნებოდა დიდი შტატების ხმებით, ამის გარდა მო-

მცრო (ხალხმცირე) შტატები ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ. ნიუჯერსის დეპუტატმა უილიამ პეტერსონმა წარმოადგინა ცხრა რეზოლუციის ალტერნატიული ნუსხა, რომელსაც „კონფედერაციის მუხლების“ ძირითადი პრინციპები უნდა შეენარჩუნებინა და ითვალისწინებდა ერთპალატიან საკანონმდებლო ორგანოს, რომელსაც გადასახადის აკრეფის უფლება ექნებოდა; მრავალწევრიან აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც საკანონმდებლო ხელისუფლება აირჩევდა; საკანონმდებლო ხელისუფლების აქტების სავალდებულობას შტატებისათვის.

„ვირჯინიის გეგმის“ წინადადება ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შესახებ კამათს არ იწვევდა, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, წარმომადგენლების არჩევის იდეამ ცხარე დებატები გამოიწვია. მომცრო შტატები თანაბარი ოდენობის წარმომადგენლებს მოითხოვდნენ ყველა შტატისათვის.

გამოსავალის მოსაძებნად შეიქმნა კომისია, რომელიც ყველა შტატისაგან ფარული კენჭისყრით არჩეულ თითო დეპუტატისაგან შედგებოდა. კომისიამ წარმოადგინა „დიდი კომპრომისი“ („კონექტიკატის კომპრომისი“), რომლის თანახმად, წარმომადგენელთა პალატა პროპორციული წესითი არჩეული 56 დეპუტატისაგან შედგებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ შტატები თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი სენატში; თითო შტატიდან ორ-ორი სენატორი – „დიდი კომპრომისი“ მიღწეული იქნა.

დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ აშშ-ს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ორი მიმართულებით წარიმართა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სამრეწველო გადატრიალებები ხდებოდა, რასაც თან ახლდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მკვეთრი ფორმირება, სამხრეთ შტატებში კი მტკიცდებოდა და ახალ-ახალ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა მონობა. მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პროცესში შეიქმნა ფედერალისტებისა და რესპუბლიკელების პარტიები. ფედერალისტები მსხვილ პლანტატორთა ინტერესებს გამოხატავდნენ და პოლიტიკურ სფეროში ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. რესპუბლიკელები მოთხოვდნენ მიწა ყველასათვის ხელმისაწვდომი

ყოფილიყო და დემოკრატიზაციის საკითხში შტატებს ფართო უფლებები მინიჭებოდა.

ინგლის-ამერიკის ომის შემდეგ, რომელიც 1812-1814 წლებში მიმდინარეობდა, ფედერალისტურმა პარტიამ, ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. რესპუბლიკურმა პარტიამ 1829 წლამდე იარსება. ბურჟუაზიისა და მონათმფლობელთა შორის პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას დემოკრატიული რეფორმების ვითარებაში, რესპუბკელთა პარტიის დაშლა მოჰყვა. 1829 წელს გაფორმდა დემოკრატიული პარტია. იგი აერთიანებდა პლანტატორ-მონათმფლობელებსა და ჩრდილოელ ბურჟუაზიის ნაწილის, რომელიც ეკონომიკურად დაკავშირებული იყო მონათმფლობელებსა და ფერმერებთან. 1834 წელს ჩამოყალიბდა ვიგების პარტია, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში გაიშალა მასობრივი საერთო ეროვნული მოძრაობა – აბოლიციონიზმი, რომელიც მონობის მოსპობას ითხოვდა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკელები. მათ მონობის შეზღუდვა და მრეწველობის წახალისება მოითხოვეს. ეს პერიოდი აშშ-ში მცირე ბურჟუაზიულ რევოლუციადაა ცნობილი. კონტრრევოლუციური გამოსვლა მოხდა 1861 წლის 4 თებერვალს. 1861 წლის 14 აპრილს აშშ-ში სამოქალაქო ომი დაიწყო და 1877 წლამდე გაგრძელდა. რევოლუციამ ორი ეტაპი გაიარა: 1. სამოქალაქო ომი (1861-1865 წწ.), რომლის დროსაც მოისპო მონობა და კონტრრევოლუციამ სამხედრო მარცხი განიცადა და 2. რეკონსტრუქციის პერიოდი (1865-1877 წწ.), როცა სამხრეთში მიმდინარეობდა ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. რევოლუციას მოჰყვა ცვლილებები ქვეყნის სოციალურ წყობილებაში. გადაწყდა აგრარული საკითხი; შეიქმნა პირობები სწრაფი ეკონომიკური პროგრესისათვის.

XIX საუკუნის 70-იან წლებშ, აშშ-ში მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. ამ ეტაპზე მსხვილი საწარმოები და სააქციო კომპანიები აწარმოებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 67%. 1898 წელს აშშ-მ ხელში ჩაიგდო ჰავაის კუნძულები და ომი დაიწყო ესპანეთის წინააღმდეგ. ომის

შედეგად აშშ გაბატონდა ფილიპინებზე, გუამაზე, პუერტო-რიკოზე და პროტექტორატი დაამყარა კუბაზე. 1899 წელს ჩინეთში გამოცხადდა „ღია კარის დოქტრინა“, რომელიც ამ ქვეყანა ამერიკული მონოპოლიების ექსპანსის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.

XX საუკუნეში გაძლიერდა ზანგთა მოძრაობა სოციალური უფლებებისათვის, რასაც მოჰყვა პრეზიდენტ თ. რუზველტის მოქნილი საშინაო პოლიტიკა. პირველ მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ამერიკის მთავრობამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ 1917 წლის 6 აპრილს იგი ომში ჩაება ანტანტის მხარეს. ომის პერიოდში მონოპოლიებმა თავიანთი პოზიციები ლათინურ ამერიკაში განიმტკიცეს.

1937 წელს აშშ-ში დაიწყო ჭარბწარმოების ახალი კრიზისი, რომელიც „ახალი კურსის“ წარუმატებლობას მოწმობდა, ამ კურსის გატარება ეკუთვნის პრეზიდენტ ფ.დ. რუზველტს, რომელიც ამომრჩევლებს ლიბერალური კურსის გატარებას დაჰპირდა და ნაწილობრივ კიდევაც შეძლო უმუშევრობის აღმოფხვრა, კლასობრივი ბრძოლის შერბილება. ამ პერიოდში საგრძნობლად ტენდენციური აღმოჩნდა უზენაესი სასამართლო, რომელიც ცდილობდა სოციალური რეფორმების კურსის ჩაგდებას. ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, რომ აშშ-ს მართავდა არა პრეზიდენტი და კონგრესი, არამედ უზენაესი სასამართლო. 1936 წელს უზენაესმა სასამართლომ პარალიზება გაუკეთა ფედერალური ადმინისტრაციის პრაქტიკულად ყველა საქმიანობას; უზენაესი სასამართლოს ორ სხდომაზე არაკონსტიტუციურად გამოცხადდა კონგრესის 23 საკანონმდებლო აქტი, რომელმაც ფ. რუზველტის პროგრამის ბლოკირება მოახდინა. პრეზიდენტს არ შეეძლო შეეცვალა უზენაესი სასამართლო, მაგრამ წინადადება დააყენა მისი შემადგენლობა 15 კაცამდე გაზრდილიყო. ამ წინადადებით შეშინებულმა უზენაესმა სასამართლომ დაიწყო პრეზიდენტის კანონების მხარდაჭერა.

ასეთ რთულ და დაპირისპირებულ ბრძოლებში უხდებოდა აშშ-ს შექმნის დღიდან აღიარებული დემოკრატიის დაცვა. ცხადია, ისეთ რთულ საზოგადოებაში, რომელიც აშშ-ია, ხალხი ვერ შეიკრიბება ერთ ადგილას ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეო-

ბისათვის. ამ თვალსაზრისით, ძველბერძნული დემოკრატია – ხალხის მმართველობა – აშშ-ში პირდაპირი მნიშვნელობით არ არის გაგებული. თვით ძველ ბერძნებსაც ეშინოდათ ხალხის ამგვარი მმართველობისა და დემოკრატიის გვერდით ხშირად ხმარობდნენ ტერმინს „დემაგოგი“ (ანუ პიროვნება, ვინც ხშირად ატყუებს მასებს მათი გრძნობებისა და რწმენის მანიპულირების გზით). ასეთი დემოკრატიის ალტერნატივაა შუალობითი დემოკრატია, ანუ ის, რასაც ჩვეულებრივ წარმომადგენლობით დემოკრატიას უწოდებენ; მოქალაქეები მონაწილეობენ ხელისუფლებაში ოფიციალური თანამდებობის პირების არჩევის გზით, რომლებიც მათ მაგიერ იღებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს.

§ 100 აშშ-ის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

კონსტიტუცია ოფიციალურად ძალაში შევიდა 1787 წლის 21 ივნისს, მას შემდეგ, რაც მეცხრე შტატმა – ნიუ-ჰემპშირმა – მისი რადტიფიკაცია მოახდინა. მიუხედავად ამისა, ახალი ხელისუფლების წარმატება მხოლოდ 1788 წლის აგვისტოში იქნა გარანტირებული, როდესაც ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონსტიტუცია ყველაზე დიდმა შტატებმა – ვირჯინიამ და ნიუ-იორკმა მიიღეს. ამ კონსტიტუციამ მთელს მსოფლიოს ამცნო, რომ ახალი ხელისუფლების წარმოშობა შეიძლება მშვიდობიანად მოხდეს. მოგვიანებით ფრანგი პოლიტოლოგი ალექსის დე ტოკვილი (1805-1859 წწ.) წერდა: „საზოგადოების ისტორიაში სიახლეა იმ დიდი ხალხის ქცევა, რომელიც მისმა კანონმდებლებმა გააფრთხილეს სახელმწიფო მანქანის მოსალოდნელი შეჩერების შესახებ და რომელმაც უშიშრად და აუჩქარებლად შეძლო თავისი ყურადღების გადატანა სიღრმისეულ მიზეზებზე; ორი წელი მოანდომა ამ სენის წამლის ძიებას და როცა საბოლოოდ წამალი დადგენილ იქნა, ნებაყოფლობით მიიღო ისე, რომ ადამიანებს ერთი წვეთი არც ცრემლი და არც სისხლი არ დაუღვრიათ“[1]. ასე რომ, მას შემდეგ, რაც ბრიტა-

1 Democracy in America Chicago (the University of Chicago), 2000; p. 32.

ნეთმა 1783 წელს ვერსალის საზავო ხელშეკრულებით ცნო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა, ახალი სახელმწიფოს შექმნის იურიდიული საფუძველი გახდა „დიდი კომპრომისის" შედეგად 1787 წელს მიღებული კონსტიტუციური კანონი. კონსტიტუციის დამფუძნებლები ეყრდნობოდნენ ოთხ პოლიტიკურ პრინციპს, რომლებმაც ერთობლიობაში შექმნეს რევოლუციურად ახალი პოლიტიკური წესრიგი. ეს პრინციპები იყო – რესპუბლიკანიზმი, ფედერალიზმი, ხელისუფლების დანაწილება და ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემა.

რესპუბლიკანიზმის პრინციპის საფუძველზე, კონსტიტუციის დამფუძნებლები მოწადინებულნი იყვნენ თავიდან აეცილებინათ არისტოკრატია 90 მართვა შთამომავლობითი ფენების მიერ, მონარქია (ერთი პირის მართვა) და უშუალო დემოკრატია (ხალხის მიერ მართვა). ახალი რესპუბლიკური მმართველობის დროს მართვა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობით ხორციელდებოდა. თუმცა, კონსტიტუციის დამფუძნებლებიც არ იყვნენ ბოლომდე დარწმუნებული, რომ ასეთი მთავრობა სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა. როდესაც კონვენტის შემდეგ ბენჯამინ ფრანკლინს ჰკითხეს, რა ტიპის მმართველობა უნდა ჰქონდეს ახალ სახელმწიფოსო, უპასუხა: „რესპუბლიკა, თუკი მას შეინარჩუნებთ".

ამერიკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილება არა მარტო „ჰორიზონტალურად" – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის. არამედ „ვერტიკალურადაც" მიმართული ხელისუფლების ცალკეულ სტრუქტურის ელემენტებს შორის. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი განმტკიცებულია პირველ ოთხ მუხლში.

ამერიკის კონსტიტუციის „მამა დამფუძნებლებმა" (Founding Falhers) შექმნეს ხელისუფლების დანაწილების მონტესკისეული თეორიის საკუთარი მოდელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ ამერიკის კონსტიტუციას დაურთეს „შეკავებისა და წონასწორობის" სისტემა (System of Checks and Balances). ძირითადი იდეა ამ სისტემისა ის არის, რომ ხელისუფლების თითოეული განშტოება

აღჭურვილი იყო ურთიერთდაკავშირებული უფლებამოსილებით და ნებისმიერი განშტოების გადაძალვის შემთხვევაში, მეორე განშტოებას შეეძლო იგი გაენეიტრალებინა.

პირველი კონსტიტუცია თავდაპირველად შეიცავდა მოკლე პრეამბულასა და შვიდ მუხლს. შემდგომ წლებში მას დაემატა 27 შესწორება (ბოლო 1992 წ.), რომლებიც საკუთრივ კონსტიტუციის ტექსტში არ შეიტანეს, არამედ ტექსტის გარეთ ცალკეული დოკუმენტების სახით არსებობს.

ამერიკის კონსტიტუციის სტრუქტურა. კონსტიტუციის შესავალ ნაწილს პრეამბულა წარმოადგენს, რომელშიც გაცხადებულია კონსტიტუციის მიღების მიზეზები და მიზნები. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების წყაროა ამერიკელი ხალხი, რომელიც კონსტიტუციის მიღების პერიოდში 13 შტატის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო აქ ფორმულირებული ძირითადი პრინციპები მეტყველებს იმაზე, რომ ეს დოკუმენტი კონფედერაციასთან შედარებით წარმოადგენს, უფრო ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის იურიდიულ გაფორმებას.

კონსტიტუციის შვიდი მუხლი ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, კონსტიტუციის მიხედვით, ითვლება ფედერალური ხელისუფლების პირველ განშტოებად.

საკანონმდებლო ხელისუფლება. კონსტიტუციის I მუხლში 10 განყოფილებაა. მასში შესულია ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ და ახასიათებენ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – ფედერალური კონგრესის კონსტიტუციურ სტატუსს. კონსტიტუციამ დაადგინა ორპალატიანი კონგრესი სენატისა და წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობით.

1-ლი მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების ვადას. იგი არ აღემატება 2 წელს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ტარდება ხელახალი არჩევნები. გათვალისწინებული იყო, რომ სენატორები აერჩიათ შტატების ლეგისლატურებს, ხოლო წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩეოდნენ მოსახლეობის მიერ.

ამერიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ფედერალური შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში 18 წლის ასაკიდან.

გარდა ასაკობრივი ცენზისა, არსებობს აგრეთვე ბინადრობის ცენზი, რომელიც სხვადასხვა შტატში სხვადასხვაა როგორც ადგილობრივი, ასევე ფედერალური კონგრესის არჩევნებისათვის.

წარმომადგენელთა პალატის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე 7 წლის განმავლობაში, რომელმაც მიაღწია 25 წელს და არჩევნების ჩატარების დროს ცხოვრობს იმ შტატში, რომელშიც იქნა არჩეული.

მთლიანობაში კონგრესის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 435 კაცით. ვაკანსიის შემთხვევაში შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

სპიკერი და წარმომადგენელთა პალატის სხვა თანამდებობის პირები აირჩევიან პალატის მიერ.

სენატი შედგება 100 სენატორისაგან – ორი თითოეული შტატიდან. ისინი აირჩევიან შტატის მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით. თითოეულ სენატორს კენჭისყრაში მონაწილეობისას ერთი ხმის უფლება აქვს (I მუხლის მე-3 განყოფილება, XVIII შესწორება).

კონსტიტუციის თანახმად, როგორც კი სენატორები აირჩევიან და შეიკრიბებიან სენატში, ისინი იყოფიან სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში სენატორების თანაბარი რაოდენობაა. პირველი ჯგუფის უფლებამოსილების ხანგრძლივობა წარმოადგენს ორ წელს, მეორე ჯგუფისა – 4 წელს, ხოლო მესამისა – 6 წელს. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სენატორთა მესამედი იცვლება. კონსტიტუციის თანახმად, სენატორი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე 9 წლის განმავლობაში, მიაღწია 30 წელს და არჩევნების დროისათვის ცხოვრობს იმ შტატში, რომელშიც იგი აირჩიეს.

სენატის თავმჯდომარეა ვიცე-პრეზიდენტი. მას არა აქვს ხმის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხმები სენატში თანაბრად იყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ვიცე-პრეზიდენტს გაცილებით ნაკლები ხელისუფლება აქვს სენატში, ვიდრე სპიკერს

წარმომადგენელთა პალატაში.

სენატორები და წარმომადგენლობის პალატის წევრები უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში არ შეიძლება დაინიშნონ ფედერალურ სამოქალაქო თანამდებობაზე. კონგრესმენებს არა აქვთ უფლება იმსახურონ აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატში კონგრესის წევრობის შეთავსებით.

ამასთანავე, კანონი არ უკრძალავს კონგრესმენებს, დაინიშნონ წარმომადგენლებად საერთაშორისო კონფერენციებზე. სენატორები ხშირად ახორციელებენ აშშ-ს დელეგაციის დროებითი წევრის ფუნქციებს გაეროს გენერალურ ასამბლეებზე. ფედერალური კონსტიტუცია არ უკრძალავს კონგრესმენებს შტატებში თანამდებობის დაკავებას.

კონსტიტუცია წარმომადგენლობით პალატასა და სენატს არსებითად მსგავს საკანონმდებლო უფლებებს ანიჭებს. ისინი ინაწილებენ ომის გამოცხადების, არმიისა და ფლოტის შექმნის, სესხის აღებისა და ფულის მოჭრის, შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირების, ფედერალურ სასამართლოთა შექმნის, ემიგრანტთა ნატურალიზაციის დამდგენი წესების შემუშავების და ყველა იმ კანონის შექმნის უფლებას, რომელიც აუცილებელი და სავალდებულო იქნება ამ უფლებამოსილებათა აღსრულებისათვის (მუხლი 1-ლი, ნაწილი 9).

ამ ორ პალატას შორის არსებობს განსხვავებაც კონსტიტუციურ მოვალეობათა შორის. მხოლოდ წარმომადგენლობით პალატას აქვს უფლება შეიტანოს კანონპროექტი ფინანსურ საკითხებზე, რასაც ესწრაფოდნენ კონსტიტუციური კონვენტის დროს. პრაქტიკაში ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რადგან ყველა კანონპროექტი, მათ შორის წლიური შემოსავლების შესახებ, საბოლოოდ მოწონებულ უნდა იქნეს როგორც პალატის, ასევე სენატის მიერ. პალატას აქვს ასევე იმპიჩმენტის უფლება, ანუ უფლება, ბრალი დასდოს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტსა და სხვა სამოქალაქო თანამდებობის პირებს ღალატში, მექრთამეობაში ან სხვა სახის მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში.

სენატი უფლებამოსილია იმპიჩმენტის ბრალდების განხილ-

ვისას იმოქმედოს როგორც სასამართლომ. დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა დამსწრე სენატორთა ორი მესამედის მხარდაჭერა. მხოლოდ ენდრიუ ჯონსონი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც იმპიჩმენტი გამოუცხადეს 1969 წელს. სენატში მის დამნაშავედ ცნობას ერთი ხმა დააკლდა. უფრო მოგვიანებით, უოთერგეითის სკანდალში მონაწილეობისათვის პალატის იურიდიულმა კომისიამ ხმა მისცა პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტს. 1974 წლის აგვისტოში იგი გადადგა. დამნაშავეებად ცნეს ფედერალური მოსამართლეების მცირე ჯგუფი და ისინი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. კონსტიტუცია სენატს უფლებას აძლევს, დაამტკიცოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები გარკვეულ თანამდებობებზე (ფედერალური მოსამართლეები, ელჩები და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში მოცემულია კონგრესის უფლებამოსილების ვრცელი ჩამონათვალი, ხშირად დავა წარმოშობილია იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანი განეკუთვნება მხოლოდ კონგრესის უფლებამოსილებას[1]. მაგალითად, ომის გამოცხადების უფლებას კონსტიტუცია მხოლოდ კონგრესს ანიჭებს, მაგრამ ბევრ პრეზიდენტს წამოუწყვია საომარი მოქმედება თავისი ინიციატივით. ხშირად სასამართლოებს აღმოუჩენიათ, რომ კონგრესი შტატების უფლებების უზურპირებას ახდენდა.

აღმასრულებელი ხელისუფლება. ჩრდილო ამერიკის კოლონიებმა დაამთავრეს თუ არა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მაშინვე შეიქმნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენტის დელეგატები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ არაკონტროლირებად ხელისუფლებას და გადაწყვეტილი ჰქონდათ არ შეექმნათ ყოვლისშემძლე, დიქტატორული საპრეზიდენტო ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხელისუფლების იდეა არაპოპულარული იყო დელეგატთა შორის, ამ უკანასკნელთ ესმოდათ, რომ უნდა შექმნილიყო გარკვეული ტიპის აღმასრულებელი ორგანო. მათი ამოცანა იყო ძლიერი ხელისუფლების უზრუნველყოფა, ოღონდ ისე, რომ არ დაეშვა

1 ნახე: ანდრაშ შაიო – ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თბ., 2003 წ. გვ. 22; ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე – კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2010 წ. გვ. 39.

ტირანია. დებატები დაიწყო ამ ორგანოს ხასიათის ირგვლივ: უნდა იყოს ერთი პრეზიდენტი, საპრეზიდენტო საბჭო თუ კომიტეტი. პრეზიდენტი კონგრესმა უნდა აირჩიოს თუ არა უნდა იყოს პრეზიდენტი ამ ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული თუ არა.

საპრეზიდენტო ხელისუფლების საბოლოო სტრუქტურა ასახავდა ურთიერთშეკავშირებისა და ურთიერთგაწონასწორების ფილოსოფიას, რომელიც მთელს კონსტიტუციას გასდევდა. საპრეზიდენტო ხელისუფლება მნიშვნელოვნად იზღუდებოდა იმ უფლებამოსილებით, რომელიც სპეციალურად მიენიჭა კონგრესსა და სასამართლოს.

კონსტიტუციის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, პრეზიდენტი, (ისევე, როგორც ვიცე-პრეზიდენტი, აირჩევა ოთხი წლის ვადით. XXII შესწორების თანახმად, პრეზიდენტად ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ეს შესწორება შევიდა მას შემდეგ, რაც ფრანკლინ რუზველტი 1944 წელს მეოთხედ იქნა არჩეული. პრეზიდენტის ზედმეტად გაძლიერების თავიდან ასაცილებლად, კონგრესმა მიიღო XXII შესწორება (1951 წ.). პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება ხდება XXV შესწორების მიხედვით (1967 წ.).

კონსტიტუციის (მუხლი მე-2, გან. I, პ. 6) მიხედვით, პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრი მოქალაქე, ე.ი. ის, ვინც დაიბადა ამ ქვეყანაში და მიიღო მოქალაქეობა „ნიადაგის პრინციპით", ანდა იშვა უცხოეთის ტერიტორიაზე აშშ-ის მოქალაქეებისაგან და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღო „სისხლის პრინციპის" საფუძველზე.

პრეზიდენტს აქვს სრულიად განსაზღვრული ანაზღაურება, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს მისი უფლებამოსილების პერიოდში. ამით კანონი არ აძლევს კონგრესს საშუალებას იმოქმედოს პრეზიდენტზე ანაზღაურების შემცირების ან გაზრდის მეშვეობით.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული

შტატების პრეზიდენტის უფლებამოსილება. მე-2 მუხლის მე-2 განყოფილების მიხედვით, პრეზიდენტი წარმოადგენს შეიარაღებული ძალებისა და ცალკეული შტატების პოლიციის (ნაციონალური გვარდიის) მთავარსარდალს, როდესაც ისინი ფედერალური მთავრობის დაქვემდებარებში იმყოფებიან.

პრეზიდენტი იღებს სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატურ წარმომადგენლებს, გარდა ამისა, აქვს უფლება დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

პრეზიდენტი პერიოდულად წარუდგენს კონგრესს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ. კონსტიტუცია პრეზიდენტს ავალდებულებს, გაუგზავნოს კონგრესს მიმართვა. პრეზიდენტის ყოველი მიმართვა შეიცავს ამა თუ იმ ვითარების ანალიზს და ამასთანავე, სათანადო საკანონმდებლო წინადადებებსაც.

პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს კონგრესის ორივე პალატის ან ერთ-ერთის რიგგარეშე სხდომა და შეწყვიტოს სხდომები, თუ თვითონ პალატები ვერ შეთანხმდებიან სესიების შეწყვეტის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ 1930 წლიდან მოქმედებს პრეზიდენტთან არსებული აღმასრულებელი აპარატი, რომელშიც შედის თეთრი სახლის კანცელარია, პოლიტიკის შემუშავების სამსახური, ნაციონალური უშიშროების საბჭო, ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამსახური, ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო, ცენტრალური სადაზვერვო სამსახური, გარემოს დაცვის საბჭო, საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებზე პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის სამსახური და ვიცე-პრეზიდენტის კანცელარია.

პრეზიდენტი ნიშნავს ფედერალურ მოსამართლეს და უზენაესი სასამართლოს წევრებს.

პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შედის ნებისმიერი განაჩენის აღსრულების გადადება, განთავისუფლება სასამართლოს მიერ დადგენილი გადასახადის გადახდისაგან, სიკვდილის დასჯის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის ვადის შემცირება და შეწყალება.

პრეზიდენტის, როგორც ხელმძღვანელის, მოვალეობები სცილდება კონგრესსა და სახელმწიფოს და ვრცელდება საერთაშორისო არენაზე. პრეზიდენტი მზად უნდა იყოს იმოქმედოს, როგორც დიპლომატმა და კრიზისის მომწესრიგებელმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო მსოფლიოში კომუნისტური ექსპანსიის შეკავება. ახლა, კომუნიზმის კრახის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტები საერთაშორისო ურთიერთობების ახალ ეპოქაში შედიან და აქცენტს აკეთებენ ეკონომიკური ურთიერთობების მართვაზე.

სასამართლო ხელისუფლება. სასამართლო ხელისუფლებას ეძღვნება კონსტიტუციის მე-3 მუხლი, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგება.

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და იმ ქვემდგომი სასამართლოების მიერ, რომელიც დროთა განმავლობაში იქმნება კონგრესის მიერ". ამგვარად, უზენაესი სასამართლო არის ის ერთადერთი ფედერალური სასამართლო, რომლის შექმაც პირდაპირ კონსტიტუციას მიეწერება.

მოქმედი კანონმდებლობით ფედერალურ სასამართლოს სისტემაში შედის 80 რაიონული სასამართლო, 11 სააპელაციო, ერთი საპრეტენზიო სასამართლო და ერთი სპეციალიზებული აპელაციური სასამართლო საბაჟო და საპატენტო საქმეებზე. კონგრესმა ასევე შექმნა სხვბადასხვა სახის სასამართლო (მაგალითად, სამხედრო იუსტიციის სასამართლო და სხვ). ყველა ეს სასამართლოები ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლებას, ე.ი. ახორციელებს მართლმსაჯულებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელით. უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეებს თავიანთი თანამდებობა უკავიათ, „სანამ მათი საქმიანობა წუნდაუდებელია". მათი ანაზღაურება არ შეიძლება შემცირებულ იქნეს მათი მოსამართლედ ყოფნის დროს. არსებობს შეხედულება, რომ ფედერალური მოსამართლე შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

კონსტიტუცია ადგენს, რომ ფედერალურ მოსამართლეს ნიშნავს პრეზიდენტი სენატის რჩევითა და თანხმობით. უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე არსებითად წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ მოსამართლეს. რაიონულ სასამართლოში საქმე, როგორც წესი, განიხილება ერთი მოსამართლის მიერ, აპელაციურ სასამართლოში – სამი მოსამართლის მიერ.

ის გარემოება, რომ ფედერალური სასამართლოს იურისდიქციას კონსტიტუცია ავრცელებს წინასწარ განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე, თავისთავად არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ იმავე კატეგორიის საქმეებზე ვრცელდებოდეს შტატის სასამართლოს იურისდიქციაც. თუმცა, კონგრესს შეუძლია ამა თუ იმ კატეგორიის საქმეზე განავრცოს მხოლოდ და მხოლოდ ფედერალური სასამართლოს იურისდიქციაც.

შტატებს შორის ურთიერთობა. კონსტიტუციის მე-4 მუხლში რეგლამენტირებულია არა მარტო შტატებს შორის ურთიერთობები, არამედ ურთიერთობა შტატებსა და ფედერაციას შორის.

ყოველი შტატი ენდობა სხვა შტატის კანონებს და სამართალწარმოების დოკუმენტებსა თუ მასალებს.

სირთულეები წარმოიშობა სასამართლოს მიერ გაყრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთ შემთხვევებში პირველხარისხოვნად მიჩნეულია საკითხი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ყოველ შტატს უფლება აქვს თავისი მაცხოვრებლების ქორწინებისა და გაყრის რეგულირებისა. ერთი შტატის სასამართლოს მიერ დამტკიცებული გაყრა უნდა აღიაროს ყველა შტატმა.

შტატის მოქალაქეები სარგებლობენ ყველა პრივილეგიით და იმუნიტეტით, რომლითაც სარგებლობენ სხვა შტატის მოქალაქეები. შტატს უფლება არა აქვს შეზღუდოს სხვა შტატის მოქალაქის უფლებები, გარდა კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი შემთხვევისა.

თუ ერთი შტატის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი თავს შეაფარებს სხვა შტატს და აღმოჩენილი იქნება, იგი

გადაეცემა იმ შტატს, რომლის სასამართლომაც ცნო დამნაშავედ. შტატებსა და ფედერაციას შორის არსებული ურთიერთობების დასახასიათებლად, საინტერესოა აღინიშნოს ის წესები, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ახალი შტატის მიღების შემთხვევაში.

კონგრესის მიერ შეერთებულ შტატებში ახალი შტატის მიღება მოითხოვს შემდეგი ოთხი ეტაპის გავლას: 1) ტერიტორიის მოსახლეობის მიერ კონგრესს გადაეცემა პეტიცია შტატის სახით გაერთიანებაში მიღების შესახებ; 2) კონგრესის მიერ მიიღება რეზოლუცია, რომელიც უფლებას აძლევს ტერიტორიის მოსახლეობას, შექმნას თავისი კონსტიტუცია (ეს რეზოლუცია პრეზიდენტმა უნდა მოიწონოს); 3) კონსტიტუციის პროექტი მოწონებულ უნდა იქნეს ორივე პალატის უმრავლესობისა და პრეზიდენტის მიერ; 4) ტერიტორია მიიღება გაერთიანებაში შტატის სახით.

აღნიშნული წესით, გაერთიანებაში ახალი შტატის შესვლა, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ფორმდება და ახალი შტატი იძენს სხვა შტატის თანაბარ პოლიტიკურ ხელისუფლებას. ამდენად, გაერთიანებაში შესული ახალი შტატი სუვერენულია იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მას აძლევს ფედერალური კონსტიტუცია.

მე-4 მუხლში ასევე რეგლამენტირებულია კონგრესის უფლებები ამერიკის შეერთებული შტატების მფლბელობებისა და ტერიტორიების მიმართ. 1-ლი და მე-4 მუხლების გაცნობის შემდგომ (როდესაც საუბარია ფედერალურ მთავრობასა და შტატებს შორის ურთიერთობაზე), შეიძლება დავასკვნათ, რომ შტატებს ფედერალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობებისას მეტწილად უწევთ კავშირის დამყარება კონგრესთან. ეს იმით არის განპირობებული, რომ შტატებთან კავშირი ძირითადად ხორციელდება საკანონმდებლო ხელისუფლების საშუალებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება შტატების დაცვა სამხედრო აგრესიისაგან (მე-4 მუხლის მე-4 განყოფილება), აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების შეჭრა ნებისმიერი შტატის ტერიტორიაზე აღიქმე-

ბა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ძალის შეჭრა.

ლეგისლატურის ან შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების თხოვნით, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა იღებს ზომებს ცალკეული შტატის დასაცავად „შინაგანი ძალადობისაგან". განსაზღვრულ შემთხვევებში კონგრესი ნებას რთავს პრეზიდენტს, გააგზავნოს შტატში ფედერალური ჯარები. ზოგიერთ შემთხვევაში პრეზიდენტს შტატში, ყოველგვარი თხოვნისა და ნებართვის გარეშე, უფლება აქვს გაგზავნოს ჯარი, რათა დაამყაროს მშვიდობა და აიძულოს შტატის ხელისუფლება, შეასრულოს ფედერალური კანონები, რომლებიც სავალდებულოდ ცხადდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

შესწორების შეტანის პროცედურა. კონსტიტუციის მე-5 მუხლში მოცემულია სახელმწიფოს ძირითად კანონში შესწორების შეტანის პროცედურა. კონგრესი ან სპეციალურად მოწვეული სხდომა (კონვენტი) წარმოადგენს შესწორებას ყველა შტატის ორი მესამედის საკანონმდებლო კრებების თხოვნით. კონსტიტუციაში შესწორების შეტანის პროცედურა სამი ეტაპისაგან შედგება: 1. შესწორების ტექსტის განხილვა; 2. შესწორების მიღება; 3. მისი რატიფიკაცია. შესწორება ძალაში შედის შტატების სკანონმდებლო კრებების (კონვენტების) მიერ რატიფიკაციის შემდგომ. პრეზიდენტს არა აქვს იურიდიული კავშირი შესწორების შეტანის პროცედურასთან.

1780 წლიდან 1992 წლამდე კონგრესში წარმოდგენილ იქნა 5000 შესწორების პროექტი, საკუთრივ კონგრესმა აქედან წარმოადგინა 31 პროექტი. რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ 27 შესწორება. პირველი ათი შესწორება რატიფიცირებულ იქნა 1791 წელს და მათ ეწოდათ „ბილი უფლებათა შესახებ".

იმისათვის, რომ შესწორება ამოქმედდეს, ე.ი. შევიდეს ძალაში, საჭიროა რატიფიკაცია, რომელიც უნდა მოხდეს კონგრესის მიერ დადგენილი გარკვეული დროის პერიოდში. მაგალითად, კონგრესმა XXII-XXVI შესწორებების რატიფიკაციის ვადად დაადგინა 8 წელი.

კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებები. კონსტიტუცია ძალაში შედიოდა მხოლოდ შტატების მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ. შტატების საკანონმდებლო კრებებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციას აკლდა „ბილი უფლებათა შესახებ", ე.ი. აკლდა ის ნორმები, რომლებითაც გარანტირებული უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები. პროექტი უფლებათა შესახებ რატიფიცირებულ იქნა კონგრესში 1791 წელს. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, ყველა შესწორება, გარდა XXI-სა, რატიფიცირებული იქნა შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ, ხოლო XXI კი, შტატების კონვენტების მიერ (მე-5 მუხლის მე-2 განყოფილება).

პირველი შესწორება უკრძალავს კონგრესს, გამოსცეს სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, პეტიციებისა და რელიგიის თავისუფლების შემზღუდველი კანონები. მე-2 შესწორება მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, ატარონ იარაღი, რადგანაც „კარგად ორგანიზებული პოლიცია აუცილებელია თავისუფალი სახელმწიფოს დაცვისათვის". ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს იმას, რომ იარაღის გაყიდვა, შენახვა და ტარება არ არის რეგლამენტირებული კანონმდებლობით. სახელმწიფო ზრუნავს, რათა იარაღის გაყიდვა, შენახვა და ტარება სათანადო ლიცენზიის საფუძველზე მოხდეს.

მე-3 შესწორება კრძალავდა მშვიდობიან თუ ომიანობის პერიოდში ჯარისკაცის მიერ სახლის პატრონის თანხმობის გარეშე მის სახლში გაჩერებას (რაც გავრცელებული იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში). კონსტიტუციურ პრაქტიკას არ ახსოვს სასამართლო დავა, რომელიც ყოფილიყო აღძრული მე-3 შესწორების საფუძველზე.

მე-4 შესწორება აღიარებდა მოქალაქეთა უფლებას, დაეცვა თავისი პიროვნება, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანი ქაღალდები და ქონება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ჩხრეკისა და დაპატიმრებისაგან. ბილსი ავტორთა მიზანი იყო, გაეტარებინათ ახალ სახელმწიფოში პიროვნებებისა და საცხოვრებელი ადგილის ხელ-

შეუხებლობის პრინციპი. ამგვარად, შესწორება გარკვეულწილად იცავდა კერძო საკუთრებას.

მე-5 შესწორებიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულის დამტკიცება ნებისმიერ შემთხვევაში აკისრია ბრალმდებელს, ვინაიდან „არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ". დადგენილ იქნა ასევე, რომ არავინ არ შეიძლება იქნეს დასჯილი, ჩამოერთვას ქონება და შეეზღუდოს თავისუფლება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მე-6 შესწორება შეიცავს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ზოგიერთ პრინციპებსა და პირობებს, ასევე ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებს.

მე-7 შესწორება ანიჭებს უფლებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველ ჟიურის, ე.ი. 12-კაციან კოლეგიას, გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღებას.

მე-8 შესწორება კრძალავს უზომო გირაოს მოთხოვნას. არ შეიძლება „ამოებულ იქნეს უზომოდ დიდი ჯარიმები", შეფარდებულ იქნეს მკაცრი და უჩვეულო სასჯელები.

მე-9 შესწორებაში გაცხადებულია, რომ „კონსტიტუციაში განსაზღვრული უფლებების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უარყოფა ან შეზღუდვა ხალხში არსებული უფლებებისა".

ამგვარი შესწორების შეტანა განპირობებული იყო იმ საშიშროებით, რომ შესწორებებში აღნუსხული უფლებები არ ყოფილიყო გაგებული როგორც ამომწურავი.

მე-10 შესწორება აცხადებს, რომ უფლებამოსილებანი, რომლებიც არ არის რეგლამენტირებული კონსტიტუციის მიერ და რომლებითაც სარგებლობა არ ეკრძალება შტატს, ეკუთვნის შესაბამისად შტატებსა და ხალხს.

მე-11 შესწორება მიღებულ იქნა 1795 წელს და იგი უკრძალავს ამერიკის სასამართლო ხელისუფლებას წარმოებაში მიიღოს ის საქმე, რომელიც ეფუძნება ერთი შტატის მოქალაქის სარჩელს

მეორე შტატის მიმართ.

1804 წელს მიღებული მე-12 შესწორება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მან შემოიღო პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნების ახალი პროცედურა, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები ირჩევდნენ როგორც პრეზიდენტს, ისე ვიცე-პრეზიდენტს. მაშინ, როდესაც ადრე არსებული წესის თანახმად, პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი ხმების მიხედვით იკავებდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას.

მე-13 შესწორება იყო პირველი იმ სამი შესწორებიდან (მე-13, მე-14, მე-15), რომლებიც მიღებულ იქნა 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შედეგად. ისინი იწოდება რეკონსტრუქციის პერიოდის შესწორებებად. მე-13 შესწორება მიღებულ იქნა 1865 წელს და იგი კრძალავდა მონობას ამერიკისა და მის იურისდიქციის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

1868 წელს მიღებულ იქნა მე-14 შესწორება. იგი შედგება ოთხი განყოფილებისაგან და კრძალავს შავკანიანებისათვის საარჩევნო უფლების შეზღუდვას; ადგენს სასჯელს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებაში მონაწილე პირთათვის და უკრძალავს სასამართლოებს ყოფილი მონათმფლობელებისაგნ იმ პრეტენზიების მიღებას, რომლებიც დაკავშირებული იყო მონების განთავისუფლებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებასთან.

მე-15 შესწორება კრძალავს საარჩევნო უფლების შეზღუდვას რასის საფუძველზე. იგი მიღებულ იქნა 1870 წელს.

მე-16 შესწორებამ -1913 წელს – უფლება მიანიჭა კონგრესს დაედგინა და აეკრიფა გადასახადები ნებისმიერი წყაროდან მიღებულ შემოსავალზე. ამავე წელს მიღებული მე-17 შესწორების თანახმად თითოეული შტატიდან აირჩეოდა ორი სენატორი – თითოეული ექვსი წლის ვადით. თუ სენატორის ადგილზე ვაკანსია გაჩნდებოდა, შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავდა არჩევნებს ან შტატის საკანონმდებლო ხელისუფლებას უფლება ჰქონდა დაევალებინა გუბერნატორისათვის სენატის ახალ არჩევნებამდე დაენიშნა სენატორი.

1919 წელს მიღებულმა მე-18 შესწორებამ აკრძალა ალკოჰო-

ლური სასმელების წარმოება და გაყიდვა. 1933 წელს ეს შესწორება გაუქმდა.

XIX შესწორებამ, რომელიც 1920 წელს იქნა მიღებული, აკრძალა საარჩევნო უფლების შეზღუდვა სქესის მიხედვით.

1933 წელს მიღებულმა მე-20 შესწორებამ განსაზღვრა პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და კონგრესის წევრების უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის დრო და პრეზიდენტის მიერ თავისი თანამდებობის დაკავების წესი.

1933 წელს მიღებული მე-21 შესწორებით გაუქმდა მე-18 შესწორება და ყველა მასში დადგენილი აკრძალვა სპირტიანი სასმელების წარმოება-გაყიდვაზე.

მე-22 შესწორების ძალით აიკრძალა ერთი და იგივე პირის მიერ პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება ორზე მეტ შემთხვევაში. ეს შესწორება კონგრესმა მიიღო 1951 წელს.

შემდგომი, მე-23 შესწორება რატიფიცირებული იქნა 1961 წლის 20 მარტს და მან ნება დართო კოლუმბიის შტატის მაცხოვრებლებს მიეღოთ მონაწილეობა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნებში.

ამერიკის თერთმეტ შტატში ფედერალური არჩევნებისას ამომრჩეველს ხმის მიცემისათვის უნდა გადაეხადა გარკვეული გადასახადი. სწორედ ეს გადასახადი იქნა გაუქმებული მე-24 შესწორების ძალით, რომელიც რატიფიცირებული იქნა 1964 წლის 23 იანვარს.

XXV შესწორება, რომელიც კონგრესმა მოიწონა პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ – 1963 წლის ნოემბერში- რატიფიცირებული იქნა 1967 წლის 10 თებერვალს.

მასში ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როდესაც ჩნდება პრეზიდენტის თანამდებობაზე ვაკანსია. ასეთ შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი. ამერიკის ისტორიაში იყო 8 შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი გარდაიცვალა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე და მისი თანამდებობა დროებით დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა. მაგრამ, გარდა ამ შემთხვევებისა, შვიდი ვიცე-პრეზიდენტი გარდაიცვალა თავისი ფუნქციების შესრულები-

სას, ხოლო ერთი გადადგა. ამგვარად, სახელმწიფო თექვსმეტჯერ დარჩა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის მემკვიდრის გარეშე. ამიტომაც მე-25 შესწორების თანახმად პრეზიდენტი სთავაზობს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას კონგრესს და ორივე პალატის თანხმობის შემთხვევაში წარდგენილი კანდიდატი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას.

ეს შესწორება არეგულირებს იმ მდგომარეობასაც, როდესაც პრეზიდენტს ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების შესრულება.

მე-26 შესწორების მიღებით კონგრესმა შეცვალა არჩევნებში მონაწილეთა ასაკობრივი ცენზი, ნაცვლად ადრე არსებული 21 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ. შესწორება რატიფიცირებულ იქნა 1971 წლის 30 ივლისს.

მე-27 შესწორება რატიფისირებულია 1992 წლის მაისში და ეხება სენატორთა გასამრჯელოს: არც ერთი კანონი, რომელიც შუცვლის სენატორთა ან წარმომადგენელთა გასამრჯელოს, განკუთვნილს მათი სამსახურისათვის, არ შევა ძალაში, ვიდრე არ შედგება წარმომადგენელთა არჩევნები.

ორასი წლის წინ მიღებული კონსტიტუცია წარმოადგენს შეერთებული შტატებისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ აქტს, რომელმაც შექმნა სათანადო წანამძღვრები ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისათვის. შეერთებულმა შტატებმა კაპიტალიზმის საფუძველზე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში – პირველ ყოვლისა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შეფასებისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იგი წარმოადგენდა მოწინავე კონსტიტუციას იმ პერიოდისათვის. შეერთებული შტატების კონსტიტუციამ განამტკიცა მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, რომელიც თავისუფალი იყო ფეოდალურ-მონარქიული წყობილების ელემენტებისაგან; ამერიკის კონსტიტუცია ამტკიცებდა ფედერალურ მმართველობას.

ამერიკის რევოლუციის დოკუმენტებმა – დამოუკიდებლობის დეკლარაციამ, კონსტიტუციამ – დიდი გავლენა მოახდინა შემდგომში ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე საფრანგეთში და რაც მთავარია, ლათინური ამერიკის ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

§ 101. აშშ-ის სამართლის თავისებურებანი

ინგლისისაგან ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაციას თან მოჰყვა ამ ტერიტორიაზე საერთო სამართლის გავრცელება იმდენად, რამდენადაც მისი ნორმები შეესაბამებოდა კოლონიის პირობებს. მართალია, იყო სამართლის „კოდიფიკაციის“ ცდები, მაგრამ მასაჩუსეტსში და პენსივანიაში 1634-1682 წლებში შედგენილი კოდექსები საკმაოდ პრიმიტიული იყო და არაფერი ჰქონდა საერთო კოდიფიკაციის ტექნიკასთან. საინტერესოა ის, რომ ამერიკელებმა, ინგლისელებისაგან განსხვავებით, სადაც უმეტესად სასამართლო პრაქტიკა იყო გავრცელებული და კანონს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, ორიენტაცია ფორმულებისაკენ აიღეს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა ამერიკული სამართლის ავტონომიის იდეა. უფლებათა დეკლარაციისა და 1787 წლის კონსტიტუციის შემდეგ მიიღეს ფრანგული ტიპის სამოქალაქო კოდექსები (1808 წ.) ლუიზიანის შტატში, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგიერთ შტატში, მაგალითად, ტეხასა და კალიფორნიაში, ინგლისის საერთო სამართლის ადაპტაცია მოხდა. უმრავლეს შტატში კანონებმა პირდაპირ დაადგინეს, რომ საერთო სამართალი აშშ-ში მოქმედი სამართალია. ასე რომ, ახალ სახელმწიფოში ერთმანეთს დაუპირისპირდა რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა და საერთო სამართალი. მიუხედავად ამისა, აშშ-ს სამართალი მაინც საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება, რადგან გამოიყენება სამართლის იგივე დაყოფა და იგივე კატეგორიები, როგორც ინგლისში. მაგალითად, „საერთო სამართალი“, „სამართლიანობის სამართალი“, „რწმუნებითი საკუ-

თრება“ და სხვ. შესაბამისად, აშშ-ის სამართალს საერთო სამართლის ანალოგიური სტრუქტურა გააჩნია. ისიც აღსანიშნავია, რომ არსებობს ერთი ფუძემდებლური თავისებურება, რომელიც აშშ-ს სამართლის ორიგინალურობას ქმნის – განსხვავება ფედერალურ სამართალსა და შტატების სამართალს შორის.

აშშ-ს სამართლის ეს ორიგინალურობა კარგად ჩანს ამ ქვეყნის სასამართლო სისტემაში, რომელიც, ერთის მხრივ, მოიცავს ფედერალურ სასამართლოებს, მეორე მხრივ, შტატების სასამართლოებს.

ფედერალური სასამართლოები ორ ჯგუფად იყოფა:

1. პირველი ტრადიციული ფედერალური სასამართლოები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც საოლქო სასამართლოები. აქ საქმეთა განხილვა ერთპიროვნულად ხდება და მათი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. სულ აშშ-ში 11 სააპელაციო სასამართლოა და საქმეები სამი მოსამართლის მიერ კოლეგიალურად განიხილება. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება უზენაეს სასამართლოში, რომელიც თავმჯდომარისა და 9 წევრისაგან შედგება;

2. მეორე ჯგუფს განეკუთვნება სპეციალური – ფედერალური სასამართლოები; სასამართლოები, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავენ: პრეტენზიების პალატა, საგადასახადო, საბაჟო, საპატენტო საქმეების განმხილველი სასამართლოები. რაც შეეხება შტატების სასამართლო სისტემას, ყოველ შტატს თავისი საკუთარი სასამართლო სისტემა გააჩნია. ზოგ შტატში ორსაფეხურიანი სასამართლო სისტემაა, ზოგში – 3. სამოქალაქო და სისხლის სამართლის დარგებში დასაშვებია სხვადასხვა სპეციალური სასამართლოს არსებობა.

როგორც ფედერალური, ისე შტატების სასამართლოსათვის, დამახასიათებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ყოველწლიურად 10000-ზე მეტი საქმე განიხილება. ფედერალური სასამართლოებისათვის მიმართვა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როცა ამას კონსტიტუცია ან კონგრესის კანონი უშვებს. ფედერალური სასამართლოების კო-

მპეტენტურობა ზოგჯერ დავის ხასიათთან არის დაკავშირებული (თუ საქმე კონსტიტუციის ან ფედერალური კანონის დარღვევას ეხება), ზოგჯერ კი მოსარჩელის პიროვნებასთან (დიპლომატთა, დავები სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის).

როგორია სამართლის მნიშვნელოვანი წყაროს – კანონების -სტრუქტურა აშშ-ში.

აშშ-ს კანონმდებლობა, ერთის მხრივ, ფედერალურ კანონებს მოიცავს, მეორეს მხრივ, შტატების კანონებს და რაოდენობით საკმაოდ დიდია. ამიტომ კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად არსებობს ოფიციალური და კერძო კრებულები. ამ კრებულებს ზოგჯერ კოდექსებსაც უწოდებენ. მაგალითად, არსებობს აშშ-ის კანონების კოდექსი, რომელიც მოქმედი ფედერალური კანონების სისტემატიზებულ კრებულს წარმოადგენს. ამერიკული კოდექსები ევროპულის იდენტური არ არის. ამერიკელები კოდექსებში კონსოლიდაციის საშუალებას ხედავენ და არა ახალი სამართლის შემუშავებისა და განვითარების საფუძველს, როგორც ეს რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებშია.

სამართლის ძირითადი დარგები და ინსტიტუტები. იყო დრო, როცა ეკონომიკური რეგულირების სფეროში სახელმწიფოს ამოცანას კაპიტალისტური წარმოების მხარდაჭერა შეადგენდა. მონოპოლიების გაზრდას მოჰყვა სახელმწიფო ხელისუფლების რთული სამეურნეო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას. 1890 წლის 2 ივნისს მიიღეს შერმანის კანონი – პირველი ფედერალური „ანტიმონოპოლისტური" აქტი, რომელიც სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების ნიშნებს შეიცავდა. მალე ეს კანონი გამოიყენეს ახალ ორლეანში მუშათა აჯანყების წინააღმდეგ. შერმანის კანონი ითვალისწინებდა „ასოცირებული კაპიტალის" ცნებას, რომლის ქვეშ სასამართლოებმა განმარტეს „შრომის გაერთიანებაც". ეს დაედო საფუძვლად პროფკავშირებისაგან აღნიშნული კანონის წინააღმდეგ გამოსვლებს. 1914 წელს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ მიღებულ იქნა კლეიტონის კანონი, რომელიც შერმანის კანონის შესწორებასა და დამატებას წარმოადგენდა. ამ კანონს უკვე

აღარ ჰქონდა მთლიანად მონოპოლიის შეზღუდვაზე პრეტენზია, არამედ მიმართული იყო ცალკეული მონოპოლისტური პრაქტიკის წინააღმდეგ. მაგალითად, კანონის მე-2 მუხლში ნათქვამი იყო: არამართლზომიერად ითვლება ფასებში დისკრიმინაცია, თუ ასეთი დისკრიმინაციის შედეგად კონკურენციის შესუსტება მოხდება ან მონოპოლიის ტენდენცია გაიზრდება. მე-3 მუხლი კრძალავდა „დამაკავშირებელ კონტრაქტებს“, რომლის დროსაც მსხვილი კორპორაციები თავიანთ ხელშეკრულებებში დებდნენ პირობებს, რომ კონტრაგენტს ეკრძალებოდა გარიგება კონკურენტ კომპანიასთან.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ამერიკაში მოჰყვა საკუთრებაზე ფეოდალური შეზღუდვების ლიკვიდაცია. მაგალითად, მოიხსნა საგვარეულო ნადელების გაუსხვისებლობისა და მაიორატის პრინციპი. ამის შედეგად შეიქმნა საზოგადოებრივი მიწის ფონდი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი გახდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1862 წლის კანონს, რომლის მიხედვითაც აშშ-ის ყველა მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, თუ ის არ მონაწილეობდა სამხრეთის შტატების აჯანყებულთა მხარეს, შეეძლოთ მიეღო მიწის ნადელი 160 აკრის – 65 ჰა – ოდენობით პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობით.

ვალდებულებითი სამართლის საკითხში აშშ-ს სამართალი ეყრდნობოდა ხელშეკრულებათა თავისუფლების პრინციპს. რაც შეეხება მემკვიდრეობას, აშშ-ს სამართალი ითვალისწინებდა როგორც კანონისმიერ, ისე ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. მოძრავი და უძრავი ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობის განაწილების დროს ერთი მესამედი ეკუთვნოდა მეუღლეს, ხოლო დარჩენილი თანაბრად ნაწილდებოდა შვილებს შორის. ისევე როგორც ინგლისში, აშშ-შიც ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სრული თავისუფლება არსებობდა.

სისხლის სამართალი და პროცესი. XVIII-XIX საუკუნეში ამერიკის პოლიტიკური ლიდერები გარკვეულ სიძნელეებს განიცდიდნენ სისხლის სამართლის გამოყენების დროს, რადგან ხალხი

თავის ზიზღს გამოხატავდა და უარყოფდა ინგლისისაგან მემკვიდრეობით მიღებული ინკვიზისციური სისხლის სამართლის პროცესის ნორმებზე. სწორედ ეს იყო საფუძველი კონსტიტუციის მე-4 და მე-5 შესწორების, რომელთა მიხედვითაც სისხლის სამართლის სასჯელი არ დაეკისრება პირს მანამ, სანამ მისი ბრალი არ დადასტურდება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურით. ფარულ გამოძიებას დაუპირისპირდა საჯარო სასამართლო პროცედურა, ბრალდებულის წამებით დაკითხვის ვალდებულობას – მისი უფლება, უარი ეთქვა ჩვენების მიცემაზე ერთპიროვნულად საქმის განხილვას – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

დანაშაულთა სისტემატიზაცია აშშ-ს სამართალმა ინგლისური სამართლისაგან პირდაპირ აიღო: დისპოზიციები, სისხლისსამართლებრივი დანაშაულების და დასჯადი გადაცდომების შესახებ. აშშ-თვის სპეციფიკურია ზოგიერთ სამხრეთის შტატში მონობის გაუქმების შემდეგ ე.წ. „შავი კოდექსების" არსებობა, რომლებიც ზანგებს მიწის საკუთრების უფლებას, არჩევნებში მონაწილეობას, თეთრკანიანთან ქორწინებას, თანამდებობათა დაკავებას უკრძალავდა.

კონსტიტუციის მე-5 შესწორება განამტკიცებდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ბრალდების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალმდებლის მხარესაა. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლით პირი ივარაუდება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მის მიმართ საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული. თუ არსებობს ეჭვი, რომ ბრალი სათანადოდ არ არის დამტკიცებული, პირი უდანაშაულოდ ითვლება.

XX საუკუნეში ამერიკის სამართალმა გარკვეული ევლუცია განიცადა, რაც გულისხმობს, რომ სამართალი უკვე აღარ განიხილება, როგორც მხოლოდ დავების გადაწყვეტის საშუალება. თანდათან იგი იქცა საზოგადოებრივი და კერძო ურთიერთობების რეგულატორად; გაიზარდა ამერიკული სამართლის ზღვარი ინგლისურ სამართალთან; შეიქმნა ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც არეგულირებს კერძო პირთა და ადმინისტრაციას შო-

რის ურთიერთობებს, აგრეთვე მსხვილ კორპორაციებს სახელმწიფოს შორის. ამ სფეროში ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენს: 1. ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედება; 2. ადმინისტრაციული იუსტიცია; 3. ადმინისტრაციული სასამართლო კონტროლი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა ფედერალური კანონმდებლობის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში. 1950 წლის 23 სექტემბერს მიიღეს ფედერალური კანონი „შიდასახელმწიფოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ (მაკარენის კანონი), რომელსაც თავისი სიმკაცრით ანალოგი არ მოეძებნება. კანონი მოითხოვს ყველა პარტიის რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში. ასეთ რეგისტრაციაზე თავის არიდება ითვალისწინებს 5 წლით თავისუფლების აღკვეთას და 1000 დოლარ ჯარიმას რეგისტრაციის ყოველი გადაცილებული დღისათვის. ამ კანონის მეორე თავი მოითხოვს ყველა იმ პირის დაკავებას, ვის მიმართაც ეჭვი არსებობს და გამოძიების ფედერალური ბიუროს „შავ სიებშია“ შეყვანილი. კანონი პრეზიდენტს უფლებას აძლევს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში აჯანყების შემთხვევაში. „შავ სიებში“ შეყვანილი ყველა პირი შეიძლება დააკავონ. კანონი არ აზუსტებს აჯანყების ცნებას. ამიტომ მისი ფართოდ გამოყენება დასაშვებია.

აშშ-ს კანონმდებლები ყოველთვის ერთგულნი რჩებიან ამ სახელმწიფოს შემქმნელია ძირითადი იდეებისა: გაწონასწორდეს კონფლიქტები ფასეულობებს შორის, უზრუნველყოფილ იქნეს წესრიგი და მშვიდობა საზოგადოებაში.

§ 102. ლათინური ამერიკის სახელმწიფოები და სამართლის თავისებურებები

1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ სამხრეთ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ამ კონტინენტზე ესპანელები მივიდნენ და მდიდარი მიწების ათვისება დაიწყეს. ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობა – ინდიელები, რომელთა რაოდენობა იმ პერიოდისათვის დაახლოებით 15 მილიონს შეადგენდა პირველყოფილი გვაროვნული წყობილებით ცხოვრობდა. მხოლოდ მაიასა და აცტეკთა ტომები იცნობდნენ მიწათმოქმედების კულტურას, მიწის კერძო საკუთრებას, საზოგადოების ფენებად დაყოფასა და სახელმწიფოებრიობის ზოგიერთ ატრიბუტს. აცტეკებში წამყვანი მდგომარეობა აცტეკებს ეკავათ. იგივე შეიძლება ითქვას ინკების ტომებზეც. მათი მიწები სამ ნაწილად იყოფოდა: პირველი – ბელადებს ეკუთვნოდა, მეორე – მხედრებს, მესამე – ტომის დანარჩენ ხალხს.

ესპანელების პირველი დარტყმა კუბის, ჰაიტის, პუერტორიკოსა და აღმოსავლეთ ინდიელმა ტომებმა მიიღეს. დაპყრობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე ინდიელები თითქმის სულ გაწყდა. 1518-1521წწ. ესპანელებმა დაიპყრეს მექსიკა, რომელსაც მოჰყვა ინკების „იმპერიის" – პერუს ტერიტორიის აღება. შედარებით გართულდა არგენტინის კოლონიზაცია ესპანელთა მიერ. სამხრეთ ამერიკის კოლონიებში ესპანეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა 4 ვიცე-მეთის მიერ ხორციელდებოდა. ერთი სათავეში ედგა მექსიკას და ცენტრალურ ამერიკას, მეორე – პერუს და ჩილეს, მესამე – ვენესუელას, ეკვადორსა და კოლუმბიას, მეოთხე – ბოლივიას, პარაგვაის, ურუგვაის და არგენტინას.

XVII ს. დასაწყისიდან ამერიკის ესპანურ და პორტუგალიურ კოლონიებში მიწათმფლობელობის ორი ფორმა გამოიკვეთა: „ასენდა" და მონათმფლობელური პლანტაცია. ეს უკანასკნელი რაიმე დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. „ასენდას" მიწებზე

მომუშავე „ბატრაკები“ კი პირადად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ მიწა საკუთრებაში არ ჰქონდათ და ამიტომ მიწათმფლობელის კაბალაში ექცეოდნენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი კაბალა სამუდამო იყო და შთამომავლობითაც გადადიოდა. „ასენდა“ იყო ფეოდალური ექსპლუატაციის საკმაოდ მტკიცე ფორმა, რომელიც ძირითადად ინდიელებზე ვრცელდებოდა. მეტროპოლიას მარტო მიწათმფლობელები არ ამარაგებდნენ. სამასწლიანი ბატონობის პერიოდში ესპანური კოლონიებიდან გაიტანეს 6 მილიარდი დოლარის ოქრო. იმ პერიოდში ეს უდიდესი თანხა იყო. XIX ს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ძვირფასი ლითონების მოპოვება მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით 10-ჯერ ჭარბობდა. ევროპის კაპიტალისტური წარმოების წარმატება სწორედ ამერიკის, აფრიკისა და აზიის სიმდიდრის ბრუნვასთან იყო დაკავშირებული.

აშშ-ს სახელმწიფოს შექმნასა და საფრანგეთის დიდ რევოლუციას მოჰყვა განმათავისუფლებელი ბრძოლები სამხრეთ ამერიკაში. პირველი აფეთქება 1791 წლის 22 აგვისტოს მოხდა ჰაიტში, სადაც ზანგთა გამოსვლებს სათავეში ჩაუდგა ტუხსენ-ლუვერტიუსი. ტუხსენის არმიამ გაანადგურა პლანტატორთა ჯარები, მოიგერია ინგლსელთა შემოტევა, აიძულა ფრანგთა საექსპედიციო კორპუსი კაპიტულაციაზე.

XIX ს.-ის დასაწყისში ესპანური კოლონიები წინასარევოლუციო სიტუაციამ მოიცვა. უკმაყოფილება სუფევდა არა მარტო ინდიელებს, არამედ კრეოლებს (ესპანელთა შთამომავლები) შორისაც. ისინი ვერ ურიგდებოდნენ, რომ არმიასა და ადმინისტრაციაში ძირითადი თანამდებობები ესპანეთიდან ახალმოსულებს ეკავათ. ვაჭარ-მწარმოებლებს არ მოსწონდათ, რომ ესპანეთის ხელისუფლება კოლონიებთან საგარეო ვაჭრობის წესებს კი არა, შიდა ვაჭრობის წესებს იყენებდა. ამასთან, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის 1808 წ. ბრძოლამ ესპანეთის ტახტზე ბონაპარტთა მემკვიდრეობისათვის ესპანურ კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას შეუწყო ხელი. რევოლუციას სათავეში ჩაუდგნენ კრეოლები, ხოლო მებრძოლთა ძირითად მასას გლეხი-ინდიელები და ‚მეტისები“ შეადგენდნენ. რევოლუცია 1810

-1825 წწ. მიმდინარეობდა, რომელსაც მოჰყვა ეკვადორის, ვენესუელას და კოლუმბიის დამოუკიდებლობა. 1810 წ. არგენტინაში ჩამოაგდეს ვიცე-მეფე და ხელისუფლება გადავიდა რევოლუციურ საბჭოს – ხუნტას ხელში. 1816 წელს არგენტინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. არგენტინის გათავისუფლებას მოჰყვა ჩილეს და ბოლივიის დამოუკიდებლობა. ცენტოალურ ამერიკამ (ნიკარაგუა, გვატემალა და სხვა) დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1821 წ.

სამხრეთ ამერიკის რევოლუციას შედეგად რესპუბლიკების წარმოშობაც მოჰყვა: პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილი, ბოლივია, კოლუმბია, ვენესუელა, ეკვადორი. ბრაზილია, რომელიც, გარკვეულ პერიოდში იმპერიას წარმოადგენდა. 1898 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა კუბამ, ხოლო 1903წ. – პანამამ. პანამა ატლანტისა და წყნარი ოკეანის შესაყარზე აშშ-ს გადაწყვეტილებით შეიქმნა. ასე რომ, მექსიკისა და ჰაიტის რესპუბლიკებთან ერთად სამხრეთ ამერიკაში ოცამდე ლათინოამერიკული სახელმწიფო წარმოიშვა. კოლონიურ მდგომარეობას ინარჩუნებდა გვინეის ნაწილი, მარტინიკის, იამაიკისა და სხვა კუნძულები.

ხუნტის რეჟიმი, რომელიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა, კონსერვატიული ბუნების გამო, მონარქიული მმართველობის მრწამსს ინარჩუნებდა, ამიტომ ახალი სახელმწიფოების შექმნის პირველი მოდელი მონარქიული იყო, მაგრამ ამ რეჟიმის მორჩილება არმიასა და დემოკრატიულ ძალებს ნამდვილად არ უნდოდათ.

ამ ქვეყნების კონსტიტუციები იმეორებდა შტატების კონსტიტუციით დადგენილ მოდელს: პრეზიდენტი, პარლამენტის ორი პალატა, ამომრჩეველთა ვიწრო წრე. მთელს ლათინურ ამერიკაში წამყვან მდგომარეობას მიწათმფლობელები ინარჩუნებდნენ. არც ერთ ახალ სახელმწიფოში, ჰაიტის გამოკლებით, აგრარული საკითხი ხელისუფლების წინაშე არ დამდგარა. მიწათმფლობელებმა არა მარტო შეინარჩუნეს მამულები, არამედ კიდეც გააფართოეს ისინი. ამასთან, კვლავ შემორჩა ზანგებისა და ინდიელების მონობა და „პეონაჟი", ანუ „ასენდებში" გლეხების ექსპლუატაციის სისტემა. მონობის გადაგდება ლათინურ ამერიკაში თითქმის ერთი

საუკუნე გაგრძელდა 1823 წლიდან (ჩილე) – 1888 წლამდე (ბრაზილია). რევოლუციების შედეგად ლათინოამერიკული წარმოება და ვაჭრობა განთავისუფლდა ესპანელთა შევიწროებისაგან. ერთ პერიოდში, კიდევაც შეძლო ევროპული წარმოების კონკურენციას გაქცეოდა, მაგრამ შიდა ბაზარზე ფეოდალური ურთიერთობითა და რეაქციული მიწათმფლობელობით გამოწვეულმა შედეგებმა კონკურენციისაგან თავის დახსნის პარალიზებას შეუწყო ხელი.

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები დიქტატორების (კაუდილების) ხელში აღმოჩნდნენ. კონსტიტუციების არსებობას ამ სახელმწიფოთა დემოკრატიული განვითარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან რეჟიმულ სახელმწიფოებზე მათი მორგება და მისადაგება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. უ.ფოსტერის გამოთვლით, ვენესუელაში ასი წლის განმავლობაში 15-ჯერ შეიცვალა კონსტიტუცია, ეკვადორში 13-ჯერ, ბოლივიაში – 10-ჯერ, ხოლო მთლიანად ლათინურ ამერიკაში 1810 წლიდან მოყოლებული, კონსტიტუცია 125-ჯერ მაინც შეიცვალა. ასეთი არასტაბილურობა სწორედ ამ ქვეყნებში გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო, რამაც თავისი კვალი დააჩნია სახელმწიფოთა სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 40-50 წლის განმავლობაში ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს დაბალი ჩინის ოფიცრები მართავდნენ, რომელთაც ესპანეთთან ომში გამოიჩინეს თავი. ხოლო პოლიტიკურ თავისუფლებასა და სოციალურ რეფორმებზე ისინი საერთოდ არ ფიქრობდნენ. კაუდილის ხელისუფლება უმეტეს წილად ძალის გამოყენებით მყარდეოდა (სამხედრო გადატრიალების გზით). ზოგიერთი კაუდილო ხელისუფლებას ათეული წლების განმავლობაში ინარჩუნებდა, უმეტესობა კი ყოველწლიურად იცვლებოდა ახალი გადატრიალების შედეგად.

ლათინურ ამერიკაში კაუდილიზმი მას შემდეგაც დარჩა, რაც სცენიდან „რევოლუციონერი გენერლები“ ჩამოვიდნენ. ამ პროცესს ხელი შეუწყო მსხვილი მიწათმფლობელობის წამყვანმა ადგილმა ქვეყნის მეურნეობაში, რადგან მისი ინტერესი არმიასაც

გააჩნდა.

ასზე მეტი ომიდან, რომელსაც აშშ შექმნის დღიდან აწარმოებდა, უმეტესი ნაწილი ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდის. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის შედეგად აშშ-მ მექსიკის ჩრდილოეთი პროვინციები მიიტაცა. სწორედ ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე წარმოიქმნა ტეხასის, კალიფორნიისა და სხვა შტატები. 1898 წელს კუბისა და პუერტო-რიკოს რიგი დადგა. ესპანეთის ამ უკანასკნელ კოლონიებში ომის საბაბი გახდა ჰავანის პორტში კრეისერ „მენის" ჩაძირვა. მოკლე საბრძოლო კომპანიის შემდეგ ესპანეთის უარი უნდა ეთქვა კუბასა და სხვა ტერიტორიებზე ფილიპინების ჩათვლით.

დაახლოებით ამავე პერიოდში, აშშ-მ დაიწყო ლათინური ამერიკის ეკონომიკური ექსპანსია. აშშ-ს კომპანიებმა ხელში ჩაიგდეს ჯერ ძვირფასი ლითონების მონოპოლია, ხოლო შემდეგ ნავთობის.

1876 წელს მექსიკაში წარმოშობით ინდიელი პრეზიდენტის პორფირიო დიასის რეჟიმი დამკვიდრდა. დიასი უცხო კაპიტალის შემოჭრას უწყობდა ხელს და მთლიანად მის დამცველად გამოდიოდა, თუნდაც ამ პოლიტიკის გატარებისათვის ხალხის დახვრეტაც დასჭირვებოდა. 1911 წ. აჯანყება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა და დიასის რეჟიმი დაემხო. მექსიკის რევოლუციას მოჰყვა მიწების განაწილება მათთვის, ვისაც დამუშავება შეეძლო. 1917 წ. ეროვნულმა კონგრესმა მექსიკის ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის იყო. კონსტიტუციამ მიწა და წიაღი სახალხო საკუთრებად გამოაცხადა, ცნო კერძო საკუთრება და დაუშვა გლეხებზე მიწების გადანაწილების შესაძლებლობა. კონსტიტუციამ გამოაცხადა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, მამაკაცთა საყოველთაო-საარჩევნო უფლებით და სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა.

შედარებით სხვა გზით მოხდა პორტუგალიისაგან ბრაზილიის გამოყოფა, თუმცა ეს პროცესი საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად განიხილება.

ბრაზილია ლათინური ამერიკის ტერიტორიის ერთ მესამედზეა განლაგებული და სიდიდით მსოფლიოში მეხუთე ადგილზე დგას, მოსახლეობის ოდენობით – მეექვსე, ხოლო ეკონომიკური განვითარებით – მერვე ადგილზე. მისი ეტიმოლოგია წითელი ხის – პაუ-ბრაზილიდან მომდინარეობს, რომელიც პორტუგალიელებს გაჰქონდათ ამ ქვეყნიდან. XVI ს.-ში ბრაზილიაში პორტუგალიელთა მმართველობა დამყარდა და ქვეყნის ტერიტორია 13 საკაპიტნოდ დაიყო. დაიწყო მსხვილი მიწათმფლობელოქბის (სესმარია)[1] შექმნა და მონების ფართო მასშტაბით შემოყვანა. კოლონიებში აიკრძალა იმ საქონლის წარმოება, რომელიც მეტროპოლიიდან შეჰქონდათ (ღვინო, ხორბალი, მცენარეული ზეთი და სხვა). 1630 წ. ერთ-ერთ შორეულ საკაპიტნოში გაქცეულმა მონებმა დაარსეს პალმარეს რესპუბლიკა, რომელმაც მხოლოდ 1697 წ.-მდე იარსება. ოქროსა და ალმასის მოპოვებამ ბრაზილიაში ხელი შეუწყო ახალი ქალაქების დაარსებას, რომელსაც თან ახლდა გზების მშენებლობა, მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად ქვეყანაში გამოსვლები არ ცხრებოდა. 1783 წ. მინას-ჟერაისის პროვინციაში შეთქმულება მოეწყო ინკოფიდენტების საიდუმლო ორგანიზაციის მეშვეობით. შეთქმულების მიზანი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა და მონობის თანდათანობითი გაუქმება იყო. 1815 წ. ბრაზილიამ სამეფო სტატუსი მიიღო და იგი ფორმალურად კოლონიად აღარ ითვლებოდა, ფაქტობრივად კი ქვეყანაში პორტუგალიის ადმინისტრაცია მოქმედებდა. ბრაზილიის დამოუკიდებლობის დეკლარირება 1822 წ. „ზევიდან“ დაიწყო. პორტუგალიის მეფის ვაჟმა და მემკვიდრემ – პედრომ, რომელიც ბრაზილიაში იმყოფებოდა. უარი თქვა დამორჩილებოდა პორტუგალიის პარლამენტის გადაწყვეტილებას, დაბრუნებულიყო პორტუგალიაში და 1822 წ. 9 იანვარი ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა. 1833-1849 წწ. ბრაზილიას რესპუბლიკური მმართველობის მოთხოვნით შეიარაღებული აჯანყების ტალღამ გადაუარა. 1865-1870 წწ. არგენტინასა და ურუგვაისთან პარაგვაის დანაწილებისათვის ომის

1 სესმარია – მომდინარეობს პორტუგალიური seasmar-დან და ნიშნავს მიწის დაყოფას ნაკვეთებად.

მსვლელობის დროს გაძლიერდა აბოლიციონისტური მოძრაობა და 1888 წ. დაემხო პედრუ მეორის ხელისუფლება და ბრაზილია ფედერალურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს ფაქტი ლათინური ამერიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რესპუბლიკური მმართველობის რეჟიმი განმტკიცდა 1891წ. კონსტიტუციით, რომელიც თითქმის აშშ-ს კონსტიტუციის ასლს წარმოადგენს. იგი არა მარტო აშშ-ს სახელმწიფო წყობილების, არამედ ფედერალური მოწყობის საკითხსაც იმეორებს. ქვეყნის სახელწოდება ოფიციალურად გაფორმდა, როგორც „ბრაზილიის შეერთებული შტატები." XX ს-ის დასაწყისში ბრაზილიაში მუშათა მოძრაობები და გამოსვლები დაიწყო. 1930 წ. ძალაუფლება ხელში აიღო ჟ. ვარგასმა და დიქტატურა დაამყარა. ქვეყანაში გერმანული და იტალიური კაპიტალი შეიჭრა. 1937 წ. ჟ.ვარგასმა დაითხოვა კონგრესი, აკრძალა პოლიტიკური პარტიები და კონსტიტუციით ბრაზილია „ახალ სახელმწიფოდ" გამოაცხადა. 1945 წ. ვარგასი ლიბერალიზაციის პოლიტიკას დაადგა. გამოსცა ამნისტია და კვლავ დაუშვა პარტიების ლეგალიზაცია. ამავე წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად სათავეში მოვიდა ე. დუტრას მთავრობა. რომელიც შეეცადა კონსტიტუციაში აესახა ბრძოლით მოპოვებული ზოგიერთი დემოკრატიული უფლება, მაგრამ 1951 წ. ვარგასმა კვლავ შეძლო სახელმწიფო გადატრიალებით ხელისუფლების დაბრუნება. რეაქციული წრეებისაგან შეთქმულების მომზადებამ ვარგასს თვითმკვლელობისაკენ უბიძგა. სამხედრო წრეებმა სცადეს თავიანთი დიქტატურა დაემყარებინათ, მაგრამ ხალხის მასიურმა გამოსვლებმა ეს მცდელობა ჩაშალა. 50-იან წლებში ბრაზილია აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1961 წ. გადატრიალებით სახელმწიფოს სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა, ჟანიუ კუადრუს მეთაურობით, რომელმაც კავშირი აღადგინა სსრკ-თან 1964 წ. ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გენერალ უ.კასტელუ ბრანკუს ხელმძღვანელობით. მან დაითხოვა პოლიტიკური პარტიები, გააუქმა კანონი ქვეყნიდან უცხო საწარმოთა მოგების გატანის შეზღუდვის შესახებ და სხვა. 1967 წელს მთავრობამ პარლამენტი დაითხოვა

და მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში მოექცა. 1974 წ. შეიქმნა ახალი მთავრობა ერნესტო გაზელის მეთაურობით, რომელიც ამერიკის ქვეყნებთან შემდგომი „ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის" მომხრედ გამოდიოდა და დიდ ყურადღებას უთმობდა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებას.

ბრაზილიის სახელმწიფოს განვითარების შემდგომი პერიოდი ლიბერალიზაციის ღონისძიებების განვითარებასთან არის დაკავშირებული. 1985 წ. ბრაზილიაში აირჩიეს პირველი სამოქალაქო პრეზიდენტი. არჩევნების გზით შეიქმნა ეროვნული კონგრესი (ე.წ. კონსტიტუციური კონგესი), რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის ძირითადი კანონი და საფუძველი ჩაუყარა „ახალი რესპუბლიკის" პერიოდის დაწყებას.

აშშ-საგან განსხვავებით, პლურალისტული დემოკრატიის ჩარჩოებში, ბრაზილიაში მოქმედებს მრავალი პოლიტიკური პარტია: ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის პარტია (1980 წ.), სახალხო პარტია (1982 წ.), ლიბერალური ფრონტი (1974 წ.), მშრომელთა პარტია (1980 წ.), სოცია-დემოკრატიული პარტია (1980 წ.), ეროვნული მოძრაობა საპარლამენტო მმართველობისათვის (1991 წ.), ბრაზილიის კომუნისტური პარტია (1922 წ.),რომელიც წლების განმავლობაში იატაკქვეშეთში ეწეოდა მუშაობას.

ბრაზილიის 1988 წ. კონსტიტუცია რიგით მერვეა ამ ქვეყნის ისტორიაში. მას პოლიტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით ცვლილებები არ განუცდია. ძალაში დარჩა ქვეყნის ფედერალური მოწყობა, არ შეცვლილა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ტრადიციული დანაწილება და საპრეზიდენტო მმართველობა. კანადის 1982 წ. კონსტიტუციის მსგავსად, ბრაზილიის კონსტიტუცია არეგულირებს ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობასთან – ინდიელებთან ურთიერთობას. კონსტიტუციის 231-ე მუხლის მიხედვით, ინდიელებს აქვთ სოციალურ ორგანიზაციებად გაერთიანების, ჩვეულებების, ენის, რწმენისა და ტრადიციის, აგრეთვე იმ მიწებზე უპირატესი უფლება, რომელიც ტრადიციულად მათ უკავიათ. ხელისუფლება თვითონ ადგენს ასე-

თი მიწების საზღვრებს. ინდიელებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ ტერიტორიებზე არსებული მიწებით, მდინარეებითა და ტბებით. ამ წესიდან გამონაკლისიც კანონითაა დადგენილი, კერძოდ კი, არაინდიელებისათვის სამდინარო რესურსების გამოყენება დაიშვება ეროვნული კონგრესის წინასწარი ნებართვის საფუძველზე. ასეთ ნებართვას ეროვნული კონგრესი დაინტერესებულ ინდიელ ტომებთან კონსულტაციის შემდეგ იძლევა. ინდიელებს მიეცემათ მათ ტერიტორიაზე ექსპლუატირებული რესურსებიდან მოგების წილი.

პლებისციტი „მონარქია თუ რესპუბლიკა" რესპუბლიკის სასრგებლოდ გადაწყდა და შეიქმნა აშშ-ს მსგავსი საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, იმ განსხვავებით, რომ ბრაზილიის (ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში) პრეზიდენტი მნიშვნელოვნად მეტი უფლებებით არის აღჭურვილი, ვიდრე მისი ანალოგი აშშ-ში.

წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული კონგრესი – ორი პალატისაგან შედგება: ა) დეპუტატთა პალატა, რომელიც საერთო ეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოა და ბ) ფედერალური საბჭო, ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლობითი პალატა.

ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ქვეყნის *პრეზიდენტი*, რომელიც, ამავე დროს, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერიც არის. პრეზიდენტის ფვრთო უფლებასმოსილება იმ ისტორიული განვითარების შედეგია, რომელიც ლათინოამერიკულმა ქვეყნებმა განვლეს. ფედერალურ უმაღლეს სასამართლოსა და სხვა უმაღლესი სასამართლოების წევრებს პრეზიდენტი ნიშნავს. ასევე პრეზიდენტის პრეროგატივაა ქვეყნის პროკურორის, ცენტრალური ბანკის პრეზიდენტისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნა. კონსტიტუციური ცვლილებები განიცადა აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურამ. ადრე არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს ნაცვლად პრეზიდენტთან ორი საკონსულტაციო ორგანიზმი შეიქმნა: ეროვნული თავდაცვის საბჭო და რესპუბლიკის საბჭო. რესპუბლიკის საბჭო უმაღლესი

საკონსტიტუციო ორგანოა, სადაც ვიცე-პრეზიდენტის, დეპუტატთა პალატის, ფედერალური სენატის წარმომადგელებთან ერთად შედიან საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის ლიდერები, იუსტიციის მინისტრი და 6 ბრაზილიელი მოქალაქე. ეროვნული თავდაცვის საბჭო – პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოა ეროვნული სუვერენიტეტისა და თავდაცვის საკითხებში. მასში შედიან ვიცე-პრეზიდენტი, კონგრესის პალატის წარმომადგენლები, იუსტიციის, სამხედრო და სხვა მინისტრები. ორივე საბჭო იძლევა დასკვნას თავდაცვის მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამასთან, პირველი საბჭო განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილიზაციის საკითხებს, ხოლო მეორე – მოქმედებს ომისა და ზავის გამოცხადების დროს და შეიმუშავებს წინადადებებს ეროვნული უშიშროებისა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ბრაზილია დაიყო შტატებად (25 შტატი), ფედერალურ ოლქად, რომელშიც დედაქალაქია განთავსებული, და მუნიციპალიტეტებად. გარდა ამისა, ფედერაციის შემადგენლობაში შედის ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული სამი ფედერალური ტერიტორია. მართალია, ფედერაციაში შემავალ შტატებს თავიანთი კონსტიტუცია გააჩნიათ, აქვთ თავიანთი საკანონმდებლო კრება და ჰყავთ გუბერნატორი, მაგრამ ქვეყნის მართვის კომპეტენციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების ხელშია. ცენტრალური ხელისუფლება საკანონმდებლო გზით განამტკიცებს შტატების საქმიანობაში ჩარევისა და მათზე ზემოქმედების საკმაოდ მრავალმხრივ მექანიზმს.

სასამართლო ორგანოები, კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. სასამართლო იერარქიის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს ფედერალური უმაღლესი სასამართლო, რომელსაც კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციაც აქვს დაკისრებული. კონსტიტუცია ითვალისწინებს მართლმსაჯულების ტრიბუნალის არსებობასაც. იგი პირველი ინსტანციის უფლებით იხილავს გუბერნატორთა

შტატებსა და ფედერალურ ოლქებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებს. ახალი კონსტიტუციით გაუქმდა ფედერალური სააპელაციო ტრიბუნალი. სასამართლოთა ქვედა რგოლია ფედერალური მოსამართლეები. ფედერალურ დონეზე მოქმედებენ სპეციალიზებული სასამართლოები: შრომის სამართლის საქმეებზე, სამხედრო საქმეებზე და სხვა. თითოეულ შტატს აქვს თავისი სასმართლო სისტემა, რომლებიც საფინანსო და ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ. შტატებში, ისევე როგორც ფედერალურ დონეზე, შესაძლებელია მუნიციპალიტეტებისა და შტატების მიერ მიღებული აქტების გასაჩივრება ამ შტატის კონსტიტუციისადმი მისი შეუსაბამობის მოტივით.

კარი VIII. თანამედროვე სამართლის განვითარების ტენდენციები

XX ს. ბოლოს ისეთი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, კანადა, იტალია და სხვა მაღალგანვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში შევიდნენ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება და მსხვილი ინდუსტრიის განვითარება, რაც მმართველობის განსაკუთრებულ ელემენტებს წარმოქმნის. საბაზრო და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შერწყმით კი იზრდება სახელმწიფო ხელისუფლების მასშტაბები.

ფართო ინტეგრაციული პროცესების მიუხედავად, შენარჩუნებულია სამართლებრივი სისტემების „მრავალფეროვნება". ეს პროცესები ხელს უწყობს სხვადასხვა სისტემის ტრანსფორმირებასა და მათ ურთიერთდაახლოებას. კონტინენტური სამართალის, ანგლოსაქსური და მუსლიმური სამართლის გვერდით წარმოიშვა ახალი, ლოკალური სამართლებრივი სისტემები.

საინტერესოა ის, რომ სამართლის სისტემაში კერძო და საჯარო სამართალს შორის ზღვარი თანდათან იშლება. ამ პროცესს ხელი შეუწყო ეკონომიკის შედარებითი სტაბილურობის მხარდაჭერისათვის წარმოების, ფინანსებისა და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირებამ და ადმინისტრაციული სამართლის იმპერატიული ნორმების სამოქალაქო სამართალში მასიურად შეჭრამ.

ამასთან, შეიმჩნევა სამართლის წყაროთა უნიფიკაცია. ანგლოსაქსონურ ქვეყნებში გაიზარდა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების როლი, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კი სასამართლო პრაქტიკამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, შენარჩუნებულია ფორმალური პრინციპის: „გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს იმ საქმეზე, რომელზეც იგი მიღებულია" და ქვედა ინსტანციის სასამართლოები ხელმძღვანელობენ ზემდგომის გადაწყვეტილებებით საქმეთა კატეგორიების ანალოგიით.

სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო სამართალს გამოეყო შრომისა და სოციალური სამართალი, გაიზარდა უფლებათა დაცვის სფეროს მარეგულირებელი ნორმები: ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება, სიტყვის, რწმენის, გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები და აშ. მიმდინარეობს სამართლის ყველა დარგის ნორმების ტრანსფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, რაც სამართლის დემოკრატიზაციაზე მიუთითებს,

ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიულმა პირებმაც შეიძინეს სამართლის სუბიექტის სტატუსი (ორგანიზაციები, დაწესებულებები და აშ). გაჩნდა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სამართლის იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და სხვა) რომლებიც სამოქალაქო კოდექსისა და სამეწარმეო კანონმდებლობის საფუძველზე იქმნება, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირები – ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

გაფართოვდა უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი: ყველა განურჩევლად სქესისა, რელიგიური მრწამსისა, ეროვნული წარმომავლობისა თანასწორია კანონის წინაშე, მიმდინარეობს მზრუნველობისა და მეურვეობის ინსტიტუტის ჰუმანიზაცია.

თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში მფლობელობა განიხილება, როგორც ნივთის ფაქტობრივი ფლობა თუმცა მფლობელობის იურიდიული დაცვის რეჟიმები განსხვავებულია. ფრანგული სამართალი, ამ თვალსაზრისით, სამი სახის სარჩელს იცნობს: 1) ფაქტობრივ ან იურიდიული მოქმედების შეწყვეტა, მფლობელობის უფლების პირდაპირ ან ირიბად დარღვევის შემთხვევაში; 2) მომავალში უფლების დარღვევის თავიდან აცილება; 3) ძალადობით ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება.

დაახლოებით მსგავსი სასარჩელო წესით ხდება მფლობელობის დაცვა გერმანიაში რაც შეეხება ანგლოამერიკულ სისტემას, ყველა ქონებრივი უფლება განიხილება როგორც საკუთრების სხვადასხვა სახეობა. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ქონებრივი უფლებების დაცვა მიყენებული ზიანისათვის ზოგადსამოქალაქო სარ-

ჩელით ხორციელდება.

საკუთრებას თანამედროვე სამართალში აბსოლუტური ხასიათი აქვს. რაც გულისხმობს ყველა სხვა პირის ვალდებულებას, ცნოს ეს საკუთრება და არ დაარღვიოს მესაკუთრის უფლება. ამ თვალსაზრისით, კონტინენტურ ქვეყნებში შენარჩუნებულია მესაკუთრის უფლებამოსილებანი: მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფონზე ეს უფლებამოსილებანი ტრანსფორმაციას განიცდის. მაგალითად, ინფორმაციას შეიძლება მესაკუთრე არ ჰყავდეს, ამიტომ სამართლებრივ ურთიერთობებში ამ ობიექტის მიმართ გამოიყენებაა (შენახვა, დამუშავება, გავრცელების" სამართლებრივი რეჟიმები. საკუთრების აბსოლუტურობის საკითხს აქვს გამონაკლისი, რადგან საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობით მიწაზე საკუთრების დასაშვები აუცილებელი პირობებიც დგინდება (კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის შესაძლებლობა სახელმწიფო საჭიროებისათვის კომპესაციის გადახდით).

კონტინენტური ევროპის უმეტეს ქვეყნებში შენარჩუნებულია სამართლებრივი ურთიერთობის კლასიფიკაცია ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებად. განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება არაქონებრივი უფლებები (სამრეწველო საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, ნოუ-ჰაუ), იზრდება ფინანსური საკუთრების მნიშვნელობაც (ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, ვექსილი, აქცია და ა.შ.). ყოველივე ამის საფუძველზე იქმნება ახალი ნორმატიული ბაზა: სალიცენზიო კანონმდებლობა, პატენტები და ა.შ. გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს კანონმდებლობა პატენტმფლობელს 20 წლის განმავლობაში აძლევს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას.

საავტორო სამართლის სფეროში მიღებულია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენების მარეგლამენტირებელი ნორმები. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი შეასრულა „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის 1886 წ. და ჟენევის 1952 კონვენციებმა.

ვალდებულებითი სამართალი. სოციალურ და სამეურნეო ურთიერთობათა გაფართოებას მოჰყვა ახალი ვალდებულებებისა და ახალი შინაარსის ხელშეკრულებათა წარმოშობა. მაგალითად, გამომგონებელი კონტრაგენტს გადასცემს ლიცენზიას გარკვეულ უფლებათა ფარგლებში (პატენტს ან ნოუ-ჰაუს); ლიზინგი, ანუ ხანგრძლივი არენდით მანქანის, დანადგანისა თუ მოწყობილობის გაყიდვა; ბარტერული გარიგებანი და სხვა.

საოჯახო სამართალი განვითარდა ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით. XX ს 80-ან წლებში აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის კანონმდებლობამ დაადგინა მეუღლეთა თანასწორობა ქონებრივ და სხვა საოჯახო ურთიერთობებში. გაუმჯობესდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები. გერმანიის, იტალიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნის კანონმდებლობამ უარი თქვეს ისეთ იურიდიულ ტერმინზე, როგორიცაა „ოჯახის უფროსი".

დღესდღეობით საოჯახო ქონების ორი სამართლებრივი რეჟიმია გავრცელებული: სახელშეკრულებო (საქორწინო კონტრაქტი) და ლეგალური. თუ საქორწინო კონტაქტი მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში განსაზღვრავს, ლეგალური რეჟიმი მეუღლეთა ქონებრივ ინტერესებს კანონმდებლობით ადგენს. ასეთი რეჟიმების გავრცელებული სახეებია: 1) ქონების გაყოფა (დიდი ბრიტანეთი, აშშ-ს უმეტესი შტატი, ჩგერმანია); 2) საერთო საკუთრება (საფრანგეთი, შვეიცარიის კანტონები, აშშ-ს 8 შტატი). ამ შემთხვევაში პირად საკუთრებაში მხოლოდ ქორწინებამდე შეძენილი ქონება რჩება.

შრომის სამართალი — ყველაზე მგრძნობიარე დარგია თანამედროვე სამართალში. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის აუცილებელი კომპრომისი რევოლუციური ძვრების თავიდან აცილების საშუალებაა. შრომის სამართალი წარმოიშვა და ვითარდება როგორც ეკონომიკურად სუსტი მხარის სოციალური დაცვის საშუალება. ამიტომ ეს დარგი არ განიხილება კერძო სამართლის ქვესისტემად, რომლისთვისაც ურთიერთობის მონაწილე მხარეთა

თანასწორობაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად არასტაბილური სწორედ შრომის სამართალია: მისი ინსტიტუტების შინაარსი ხშირად იცვლება მშრომელთა უფლებების გაფართოების ან შევიწროების კუთხით. ჩვენ საბჭოთა სამართლის თავისებურებებზე ვისაუბრეთ წინა პარაგრაფებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა სისტემას ყველაზე დახვეწილი და დასაქმებულზე ორიენტირებული შრომის კანონმდებლობა ჰქონდა. მაგალითად, საქართველოში 2006 წლამდე მოქმედებდა 1976 წელს მიღებული შრომის კოდექსი (8-საათიანი სამუშაო დღე, ქალთა უფლებები, ბავშვთა უფლებები შრომით ურთიერთობებში, დასვენება, შესვენება, შვებულება, პენსია ასაკის ან ინვალიდობის გამო და ა.შ).

სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი ქვეყნის პოლიტიკური კურსის მიხედვით პროგრესული ან რეაქციული ტენდენციებით ვითარდება. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გამოვყოთ ზოგადი ნიშნები და მახასიათებლები, რომლებიც საერთოა სამართლის სხვადასხვა სისტემისათვის:

სისხლის სამართლის ჰუმანიზაციის თვალსაზრისით, შეიმჩნევა დეკრიმინალიზაციისა და სასჯელთა შემცირების ნიშნები, უმეტეს ქვეყნებში გაუქმდა სიკვდილით დასჯა, ფართოდ გავრცელდა ჯარიმების სისტემა, რაც დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის მაჩვენებელია.

ტრადიციული სახის დანაშაულთან ერთად გაჩნდა პასუხიმგებლობა ახლი სახის დანაშაულზე: ადამიანია გატაცება, ტყვედ აყვანა, ცდების ჩატარება ადამიანზე ბიომედიცინის სფეროში, მონაცემთა ბაზებსა და ბანკებში შეღწევა და სხვა კიბერდანაშაულები, პირის პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება, დისკრიმინაცია რელიგიური ან სხვა ნიშნით და ა.შ.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს, გავრცელებული ფორმებია შეჯიბრებითობა და შერეული პროცესი. შეჯიბრებითობა (დიდი ბრიტანეთი, აშშ და სხვა) ეფუძნება მხარეთა თანასწორობას (ბრალდებული და ბრალმდებელი). ამასთან, მტკიცების

ტვირთი ბრამდებელს ეკუთვნის. თუმცა ნაციონალურ კანონმდებლობებში შეჯიბრობითობის პროცესს კონკრეტიზაციის დროს მრავალი თავისებურება ახლავს თან. მტკიცებულებათა შეფასება ნაფიც მსაჯულთა მიერ ხდება, რაც მართლმსაჯულების პროცესში არაპროფესიონალ მოსამართლეთა ჩართულობას გულისხმობს.

შერეული პროცესი გავრცელებულია საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. მისთვის დამახასიათებელია განსხვავებული პრინციპები სასამართლომდე და სასამართლო გამოძიების დროს. პირველ ეტაპზე მკვეთრად შეზღუდულია დაცვის საშუალებები, მეორე ეტაპი ეფუძნება საჯაროობის, შეჯიბრებითობისა და სხვა პრინციპებს.

მუსლიმური სამართალი. ტრადიციული ნორმების განვითარება და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება წარმოშობს გარკვეულ ცვლილებებს მუსლიმური ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში. ეს ცვლილებები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განვიხილოთ:

1. „ვესტერნიზაცია“, მუსლიმურ სამართალში რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსონური სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპების მემკვიდრეობითობა. ეს პრინციპები ძირითადად შეეხება ახალო დარგების განვითარებას – შრომის სამართალი, პროცესუალური სამართალი და ა.შ.
2. პირადი სტატუსისა და იმ ნორმების კოდიფიკაცია, რომელთაც ვესტერნიზაცია არ შეხებიათ. კოდიფიკაციის მიზანი იყო ნორმათა სისტემატიზაცია, რათა გამოირიცხოს ერთსა და იმავე პრობლემაზე მუსლიმური სამართლის სხვადასხვა სკოლის განსხვავებული განმარტებების შესაძლებლობა.
3. პროფესიონალური სასამართლოების ჩამოყალიბება, ტრადიციული შარიათის სასამართლოს ნაცვლად (სუნიტური სასამართლოები ერაყსა და ლიბანში კვლავ შემორჩენილია).

თანამედროვე მუსლიმური სისხლის სამართალი მკვეთრად განსაზღვრულ სანქციებს ადგენს ისეთი დანაშაულისათვის, რო-

გორიცაა მკვლელობა, ცილისწამება, ქურდობა, სპირტიანი სასმელების გამოყენება, აჯანყება. ყველა სხვა სახის დანაშაულისათვის სასჯელებს ადგენს მოსამართლე. სამართალწარმოება მარტივია. სასამართლოთა იერარქია, როგორც წესი, არ არსებობს. მოსამართლეებს საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია მოეთხოვებათ რელიგიურ-სამართლებრივი მომზადების კუთხით.

მუსლიმური სამართლის თავისებურებას განაპირობებს საკრალური და საერო, რელიგიური და იურიდიული საწყისების ურთიერთობა, რაც მისი წარმოშობით, ისტორიული ევოლუციით, სტრუქტურითა და მოქმედების მექანიზმებით აიხსნება. მუსლიმურ სამართალში წარმოდგენილია რელიგიურ-ნაციონალური ფორმების ფართო სპექტრი, რომელშიც შერწყმულია, ერთი მხრივ, დეტალიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებები და საერთო პრინციპები, მეორე მხრივ, ნორმათა სტაბილურობა და დროში ცვალებადობის შესაძლებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში მუსლიმური სამართალი განაგრძობს თანაარსებობას სხვა სამართლებრივ სისტემებთან ერთად და უცხოური იურიდიული გავლენის მიუხედავად წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას, რომელიც გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე.

ინდური სამართალი. ინდოეთში ერთმანეთის პარალელურად სამი სამართლებრივი სისტემა განვითარდა: ინდუსური სამართალი, მუსლიმური სამართალი და ინდოეთის ეროვნული სამართალი. ინდუსური სამართალი, როგორც ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნეთ, ინდუიზმზე აგებული თემის სამართალია. ინდოეთის ეროვნული სამართალი კი ქვეყანის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება და ყველა მოქალაქეს შეეხება, მიუხედავად ეროვნული, რელიგიური თუ თემური კუთვნილებისა. ინდოეთის ეროვნულ სამართალზე გავლენა მოახდინა ინგლისურმა საერთო სამართალმა და პრეცედენტების სისტემამ.

XX ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო ინდური სამართლის კოდიფიკაცია და სამართლებრივი სისტემა ტრადიციულ ინდუსურ სამართალსა და საერთო სამართალზე ადაპტირებით განვი-

თარდა. კანონი და სასამართლო პრეცედენტი თანამედროვე ინდოეთის მთავარი წყაროებია. კანონმდებლობა და სასამართლო გადაწყვეტილებები კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. სასამართლო გადაწყვეტილებებიდან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს აქტები ითვლება სამართლის წყაროდ (ინდოეთის კონსტიტუციის 141-ე მ.).

თანამედროვე ინდურ სამართალში, მუსლიმური და ჩინური სამართლისაგან განსხვავებით, ჩვეულების როლი უმნიშვნელოა. ჩვეულება გამოიყენება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან თუ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული.

როგორც ინდუსური სამართალი, მუსლიმური სამართალიც ინდოეთში თემის შიგნით ურთიერთობების რეგულირებისათვის გამოიყენება. მუსლიმური სამართლის პრინციებით მხოლოდ ორი საერთო-ეროვნული კანონი არსებობს: 1937 წლის კანონი მუსლიმური პირადი სამართლის გამოყენების შესახებ და 1939 წლის კანონი მუსლიმური ქორწინებისა და განქორწინების წესის შესახებ.

ასე რომ, თანამედროვე ინდუსური სამართალი პირადი სტატუსის საკითხების განხილვის დროს გამოიყენება:

1. საოჯახო სამართალი — მეურვეობა, მზრუნველობა, შვილად აყვანა, ქორწინება, ოჯახი, ქონების გაყოფა, მემკვიდრეობა.
2. საოჯახო-საზოგადოებრივი საკითხები — რელიგიური და საქველმოქმედო შეწირულობის საკითხები;
3. საზოგადოებრივი ხასიათის საკითხები – შესყიდვის უპირატესი უფლება, ანდერძით ქონების გადაცემა;
4. კასტების (ფენების) სამართალი.

ასეთ საქმეებს იხილავენ საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეული მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილება გარკვეულწილად შეზღუდულია. კერძოდ, მათი განხილვის საგანს შეადგენს: ყველა სახის საყოფაცხოვრებო დავები (ნარგავებისა თუ ნახირის განადგურება და სხვა). აგრეთვე ქონებრივი ხასიათის დავები, თუ

ის 1 000 რუპიას არ აღემატება.

იაპონიისა და ჩინეთის სამართალი. თანამედროვე იაპონური სამართალი შედარებითი სამართალმცოდნეობის უნიკალური ნიმუშია. ახალ კოდექსებში სამართლებრივი ტრადიციები შერწყმულია საფრანგეთის, გერმანიისა და ამერიკის სამართლებრივ პრინციპებთან.

რაც შეეხება ჩინეთს, აქ რომაულ-გერმანული სამართლის გავლენა იგრძნობა. დასავლეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთი ეს ის ქვეყანაა, სადაც სამართალი არ არის (ჩინელი მკვლევარი – ცზიან ჩახაო). მართლაც, თუ ვინმე დასავლურ სამართალს ჩინეთში საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთადერთ საზომად გამოიყენებს, აუცილებლად ამ დასკვნამდე მივა. საქმე ისაა, რომ კონფუციურ-დაოისტურ ღირებულებათა სისტემამ პრაქტიკაში ბუნებითი სამართლის ხასიათი შეიძინა. სწორედ ეს განასხვავებს ჩინურ სამართალს დასავლური სამართლის გაგებისაგან.

მიუხედავად განსხვავებისა, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამართალს, სამართლის იდეა ყველგან სამართლიანობასა და საზოგადოებრივ წესრიგზე გადის. განსხვავებაა შინაარსსა და გამოხატვის ფორმაში.

ძნელი არ არის ჩინურ სამართალში შეამჩნიო ოჯახის, სამსახურისა და სამშობლოს პრიორიტეტულობა. თუმცა ამის პარალელურად მიმდინარეობს მთელი საკანონმდებლო სპექტრის მოდერნიზაცია, რომელიც სახელმწიფო იძულების ტრადიციულ რეპრესიულ ასპექტებს შეიცავს (სწორედ ამის მეშვეობით შეძლეს ჩინელებმა კორუფციის აღმოფხვრა)

კონფუცის ფილოსოფია (ერთიანობის მიღწევა სხვადასხვა აზრის საფუძველზე) არ აძლევს საშუალებას ჩინელებს რეფორმები „შოკური თერაპიით" განავითარონ. ისინი თვლიან, რომ ქვეყნის მოდერნიზაცია თანდათანობით, შეთანხმებულად, გააზრებულად და ეფექტურად უნდა წარმართონ.

SUMMARY

A General History of State and Law.

Mariam Tstatsanasvili — Professor, Doctor of Law.

The second edition of this manual is based on the author's lectures and courses on law at various European universities and is designed to be consistent with the latest advances in the field of state law. The work gives a detailed presentation of of the origin, development and peculiarities of the legal processes of several states, ranging from Ancient Oriental Empires to more modern European, Asian, and American States.

The author avoids a doctrinal periodization of human history in her work and relies, instead, on general philosophical principles and methodological algorithms to shed more light on the historical development of state law. She analyses a vast and diverse sampling of legal processes ranging, charts the evolution of those processes throughout history and tries to draw big-picture cause-effect relationships between those processes and their consequent role in managing the affairs of the large social organizations that had given them birth. Especial attention is given to the problem of human rights, the basic principles of state-law, the history of parliamentarism , and the various methods of checks and balances.

The vast and detailed range of legal traditions and state politics presented in this work is intended to provide Georgian students with a comprehensive and up-to-date introduction to the roots of modern legal and political culture.

რეკომენდირებული ლიტერატურა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესასწავლად

1. ზ.მ. ჩერნილოვსკი. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (მთარგმნელი: ვ. ლორია, რედ.: მ.კეკელია თბ., მე-2 გამოცემა, 2003;
2. რენე დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ.; 1993;
3. გ. ნადარეიშვილი. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან. თბ., 1986;
4. გ.ნადარეიშვილი. საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა, თბ., 2007;
5. გ.ნადარეიშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2004;
6. გ.ნადარეიშვილი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (რედ.: ზ.ნანობაშვილი), თბ., 2002;
7. გ. მელიქიშვილი. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1988;
8. გ. ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005;
9. გრ. გიორგაძე. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, გამომცემლობა „მემატიანე“, თბ., 2004;
10. ვ. აბაშმაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები. თბ., 1989;
11. ს.ფ. კეჩეკიანი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. თბ., 1946;
12. ი.ს. პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ის-

ტორია (ძველი რომი). თბ., 1947;

13. ვ.მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები). თბ., 1995;
14. ნ.სურგულაძე. ისლამური სამართლის საკითხები. (ლექციების კურსი), ნაწ. I ,II, III, თბ., 2005;
15. ი. ხახუბია – ქორწინება და განქორწინება მოსეს რჯულის მიხედვით, თბ., 2006;
16. ხამურაბის კანონები. ზ.კიკნაძის თარგმანი და კომენტარები, თბ.,1988;
17. ჰეროდოტე. ისტორია. ტ.1-2. თბ., 1975-1977;
18. გორტინის კანონები. ლ. იოსელიანის რედაქციით, თბ., 1966;
19. რომის სამართლის ძეგლები (იუსტინიანეს დიჰესტები), ლათ. თაგმნა.: ნ.სურგულაძემ, რედ.: ვ.მეტრეველი, თბ., 2000;
20. რომის სამართლის ძეგლები (იუსტინიანეს ინსტიტუციები), ლათ. თაგმნა.: ნ.სურგულაძემ, რედ.: ვ.მეტრეველი, თბ., 2002;
21. ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963;
22. „ყურანი". არაბულიდან თარგმნა, შესავ. წერილი და განმარტ. დაურთო გიორგი ლობჟანიძემ; (რედ. როსტომ ჩხეიძე), თბ., კავკას. სახლი, 2006;
23. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. ა. დემეტრაშვილის რედაქციით. თბ., 1992;
24. Ashk Dahlén. Islamic Law, Epistemology and Modernity, New York, 2003.
25. Bartholomew Shower. The Compleat English Copyholder: Or, a Guide to Lords of Manors, Justices of the Peace, Tenants, Stewards, BiblioBazaar, 2010;
26. Carmen Dragonetti: Essays on Indian philosophy in comparative

perspective. Hildesheim [u.a.], Olms, 2009;

27. Carnes, Mark C., and John A. Garraty, The American Nation: A History of the United States. N.Y., 2011;

28. Coke, Edward. Coke's Institutes of the Laws of England. 7 vols. London: E. & R. Brooke, 1794;

29. Critical Studies in Ancient Law, Comparative Law and Legal History / ed. John W. Cairns and Olivia F. Robinson. Ox., 2004;

30. David Cartwright. A Historical Commentary on Thucydides: a companion to Rex Warner's Penguin translation, The University of Michigan Press, 1997;

31. Derret J. Essays in Classical and Modern Hindu Law. Leyden, 2008;

32. Driver and Miles. The Babylonian Laws. I-II. Oxford, 1956;

33. Driver and Milles. The Assyrian Laws. Oxford, 1935;

34. Elli Kohen. History of the Byzantine Jews: a microcosmos in the thousand year empire,University Press of America,2007;

35. Esdaile C. Napoleon's Wars: An International History, 1803-1815,London, New York, etc.: Penguin, 2009;

36. Frankel, Richard E, Bismarck's Shadow. The Cult of Leadership and the Transformation of the German Right, 1898–1945, Berg Publishers, 2005;

37. Fulbrook, Mary. A Concise History of Germany, 2nd edition, 2004, Cambridge University Press.

38. Gadd C. J. Hammurabi and the end of his dynasty, Cambridge University Press, 1965.

39. George Lachmann Mosse. The Nationalization of the Masses: Political Symbolism and Mass Movements in Germany from the Napoleonic Wars through the Third Reich, Cornell University

Press, 1991;

40. Goetre. The Laws of Eshnunna. IV . «Summer», 1948;
41. Henri Frankfort - Ancient Egyptian Religion: An Interpretation New York, Harper, 1948;
42. Jacques Le Goff. Medieval Civilization, 400-1500, translated by Julia Barrow. Oxford: Blackwell, 1988;
43. John Abbott. The Life Of Napoleon Bonaparte; Biography & Autobiography, 2005;
44. John Fortescue, On the Laws and Governance of England, Shelley Lockwood, 1997;
45. Kevin Morgan. Ramsay MacDonald. 20 British prime ministers of the 20th century; Haus Publishing, 2006;
46. Klatt, H. German Unification and the Federal System / German Politics. 1992. Vol.1, № 3.;
47. Kohler, Peiser, Ungnad. Hammurabi's Gesets. I-VI. 1904-1909;
48. Kook. The Laws of Moses and The Code of Hammurabi. London, 1903;
49. Laderman, Gary Religion and American Cultures: An Encyclopedia of Traditions, Diversity, and Popular Expressions, Santa Barbara, Calif: ABC-CLIO, 2003;
50. Law and Governance in Postnational Europe / ed. Michael Zurn and Christian Joerges . Cambridge University Press, 2006;
51. Lex salica - the ten texts with the glosses, and the lex emendata. Synoptically edited by J. H. Hessels. With notes on the Frankish words in the Lex salica. By H. Kern, London, 1880;
52. Olivelle Patrick Manu's Code of Law: A Critical Edition and Translation of the Mānava-Dharmaśāstra, Oxford University Press, 2005;

53. Rasor, Eugene L. Winston S. Churchill, 1874-1965: A Comprehensive Historiography and Annotated Bibliography. Greenwood Press, 2000;

54. Richardson, M.E.J. Hammurabi's Laws: Text, Translation and Glossary (Academic Paperback) , 2000;

55. Setalvad M. The Role of English Law in India. Jerusalem, 2006;

56. Stair. Institutions of the low of Scotland. 1981;

57. Steele. The Code of Lipit-ishtar. AjA, 1948;

58. Vallance, Edward. The Glorious Revolution: 1688 – Britain's Fight for Liberty. Brown Little, 2006;

59. Аль-Джанаби М. М. Теология и философия ал-Газали, дом Марджани, 2010;

60. Байер Г.З. Сочинение о варягах автора Феофила Сигефра Бээра, бывшего профессора Восточной истории и восточных языков при Императорской Академии наук.,СПб., 1747;

61. Вологдин А. А. История государства и права зарубежных стран. Практикум, М., Высшая школа, 2012;

62. Глазова Е. В. История государства и права зарубежных стран/Е. В. Глазова, Л. Н. Терехова. – СПБ.: Питер, 2009;

63. Желудков А. В. История государства и права зарубежных стран. Конспект лекций/ А. В. Желудков. М., А-Приор, 2011;

64. И.М. Бусыгина Германский федерализм: история, современное состояние, потенциал реформирования// Полис – 2000, №5, С.110-120;

65. Иванов А. А. История государства и права зарубежных стран. М., Юнити-Дана, 2010;

66. Ильинский Н. И. История государства и права зарубежных стран. В вопросах и ответах, М., Дикта, 2011;

67. Исаев И. История государства и права зарубежных стран. Учебник для бакалавров, М., Порспект, 2013;

68. Исаев И. История государства и права зарубежных стран. Учебник для бакалавров, М., Порспект, 2013;

69. Исаев И.А. История государства и права России 3-е изд., перераб. и доп. М., Юристъ, 2004;

70. История государства и права зарубежных стран/ Под ред. К.И. Батыра 5-е изд., перераб. и доп., М., Проспект, 2012;

71. История государства и права зарубежных стран: Конспект лекций, М., АСТ, Сова, 2010;

72. Лимэн Оливер. Введение в классическую исламскую философию. Пер. с анг. М., 2007.

73. Литман Л. Д. Современная индийская философия. — М.: Мысль, 1985;

74. Медведев А. Японские парадоксы.-М.:Изд-во «ЭКО», 1998;

75. Леонтьева Е. Япония: экономическое положение, XXв.-М, изд-во «МЭМО», 2001;

76. Меркулов В. И. Откуда родом варяжские гости? (генеалогическая реконструкция по немецким источникам), М., 2005;

77. Миллер Г.Ф. Важности и трудности при сочинении Российской истории // Сочинения по истории России. Избранное,М., 1996;

78. Савиньи, Фридрих Карл фон - Система современного римского права [Электронный ресурс] : [сборник] / Фридрих Карл фон Савиньи ; пер. с нем. Г. Жигулина ; под ред. О. Кутателадзе и В. Зубаря; М., Статут, 2011.

79. Средневековая арабо-мусульманская философия в переводах

Л. В. Сагадеева: в 3 т. Т. 3. Ибн Баджжа. дом Марджани, 2010;

80. Томсинов В. А. Хрестоматия по истории государства и права зарубежных стран. Новое и Новейшее время, М., Зерцало-М, 2012;

81. Хрестоматия по всеобщей истории государства и права. Под редакцией К.И. Батыра и Е.В. Поликарповой. М., 1996, т. I,II;

82. Эйдус Х.Т. Япония от первой до второй мировой войны, М., Госполитиздат, 1946.